

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
ნიკო გერკენიშვილის ინსტიტუტი

შრომები VII



გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი 2008

**МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ И НАУКИ
ГРУЗИИ**

ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ

ТРУДЫ VII

Издательство «Государственный университет Шота Руставели»
Батуми 2008

**MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF
GEORGIA**

NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

TRANSACTIONS VII

Publishing House “Shota Rustaveli State University”
Batumi 2008

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების მეშვიდე ტომი ეძღვნება ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავს. მასში განხილულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ლინგვისტიკის, ფოლკლორის, ეკონომიკის, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები.

რედაქტორი – ვ.შამილადე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

სარედაქციო კოლეგია – პროფესორი ვ. შამილადე (რედაქტორი); პროფესორი რ. მაღაყმადე (მოდერატორი); პროფესორი გ. ჩაგანავა (პასუხისმგებელი რედაქტორი); პროფესორები: ნ. ინაიშვილი, თ. შიოშვილი, ნ. კახიძე, ჯ. მიქაშავიძე, მ. ქამადაძე, მ. სიორიძე; მ. პელკმანსი (ჰოლანდია); დ. ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი); მ. ვიკერსი (დიდი ბრიტანეთი); ლ. აბრამიანი (სომხეთი); ლ. სოლოვიოვა (რუსეთი); მ. აგლაროვი (რუსეთი), მ. რაგიმოვა (აზერბაიჯანი).

Седьмой том Трудов Института Нико Бердзенишвили посвящен 50-летию основания Института. В этом томе рассматриваются актуальные вопросы истории, археологии, этнологии, лингвистики, фольклора, экономики, социологии и психологии Юго-Западной Грузии.

Редактор - член-корреспондент АН Грузии, профессор В.Шамиладзе

Редакционная коллегия: Профессор В.Шамиладзе (редактор); Профессор Р.Малакмадзе (заместитель редактора); Профессор Г.Чаганова (ответственный редактор); Профессора: Н.Инаишвили, Т. Шиошвили, Н.Кахидзе, Ж.Микашавидзе, М.Камададзе, М.Сиоридзе; М.Пелканс (Голландия); Д. Браунд (Великобритания); М.Викерс (Великобритания); В.Л.Абрамян (Армения); Л.Соловьева (Россия), М.Агларов (Россия); М.Рагимов (Азербайджан).

The seventh volume of Niko Berdzenishvili Institute is dedicated to the 50-th anniversary of Institute. In this issue are presented the different works discussing the actual problems of history, archeology ethnology, linguistics, folklore, economics, sociology and psychology of the South-Western Georgia.

Editor - The corresponding member of the Georgian Academy of Sciences, Professor V.Shamiladze

Editorial Board: Professor V.Shamiladze (editor); : Professor R.Malakmadze (deputy editor); Professor G.Chagavava (managing editor); Professors:N.Inaishvili; T. Shiosvili; N.Kakhidze; Zh.Mikashavidze; M.Kamadadze; M.Sioridze; M.Pelkmans (Netherlands); D.Braund (Great Britain); M.Vikersi (Great Britain); L.Abramian (Armenia); L.Soloviova (Russia); M.Aglarov (Russia); M.Ragimov (Azerbaijan).

გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2008

Издательство «Государственный университет Шота Руставели» - 2008

Publishing House “Shota Rustaveli State University” - 2008

ISSN 1512-4991

შ ი ბ ა ა რ ს ი С о д е р ж а н и е C o n t e n t

ეთნოლოგია ЭТНОЛОГИЯ ETHNOLOGY

ნოდარ კახიძე – აჭარის მოსახლეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში (მოგზაურ-მკვლევართა ცნობების მიხედვით)	9
Нодар Кахидзе - Население Аджарии во второй половине XIX века (По данным путешественников-исследователей)	18
Nodar Kakhidze - The population of Adjara in the Second Half of the 19-th Century (According to the travellers-explorers)	18
თამილა ლომთათიძე – მარცვლის საკრალური დანიშნულება სარიტუალო კერძებში (აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)	20
Тамила Ломтатидзе - Сакральное значение зерна в ритуальных блюдах (по этнографическим материалам Аджарии)	25
Tamila Lomtatzidze -Sacred Meaning of Grain in Ritual Dishes (Ethnographical Reality of Adjara)	26
თამაზ ფუტკარაძე – მარცვლეულის გასაღლეწი და გასანიავებელი იარაღ-მოწყობილობანი შავშეთში	28
Тамаз Футкарадзе -Специфические технологические орудия обработки зерна в Шавшети	31
Tamaz Phutkaradze - Threshing and Airing Tools of Grain in Shavsheti	31
Екатерине Капустина, Михаил Солоненко - Ашūra в Дербенте: специфика «исламского возрождения» и идентичность шиитской общины сквозь призму религиозного события	32
ეკატერინე კაპუსტინა, მიხეილ სოლონენკო – აშურა დარუბანდში: “ისლამური აღორძინების” სპეციფიკა და შიიტური თემის იდენტურობა რელიგიური მოვლენების პრიზმაში	38
E. Kapustina, M. Solonenko - Ashura in Derbent: the Specifics of "Islamic Revival" and the Identity of Shiite Community in the Light of Religious Event	39
რუსლან ბარამიძე – სასულიერო სამუსლიმანო გაერთიანების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების თავისებურებანი აჭარაში	40
Руслан Барамидзе - Особенности организации и функционирования мусульманского духовного управления в Аджарии	50
Ruslan Baramidze - The particularities of Muslim Unions and Organizations in Adjara	50
ჯემალ მიქელაძე – საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი სოფელ ზოტში (საველე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)	52
Джемал Микеладзе - Жилые и хозяйственные постройки села Зоти в соответствии с полевыми этнографическими материалами	59
Djermal Mikeladze - Dwelling Houses in Accordance with the Field Ethnographic Materials in Zoti Village	60
მანუჩარ ლორია - ქართველ ებრაელთა საცხოვრისი ვიზუალური ანთროპოლოგიის თვალსაზრისით	61
Манучар Лория - Жилище грузинских евреев с точки зрения визуальной антропологии	65
Manuchar Loria -The Dwelling of Georgian-Jews from the Viewpoint of Visual Anthropology	66

ნაილა ჩელებაძე – „სადილის მიტანის“ ტრადიცია (აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)	68
Наи́ла Че́лебадзе - Тради́ция «преподнесения обеда» (По этнографическим материалом Аджарии)	74
Naila Chelebabadze - Tradition “To Present the Dinne” (According the ethnographic materials of Adjara)	75

ისტორია ИСТОРИЯ HISTORY

ოთარ თურმანიძე - ბათუმის ინდუსტრიული კადრები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში (XX საუკუნის 50-80-იანი წლები)	77
Отар Турманидзе-Индустриальные кадры Батуми в борьбе за технический прогресс (Вторая половина XX-го столетия)	86
OtarTurmanidze- Industrial Personnel of Batumi in the Struggle for Technical Progress	86
სიმონ გოგიტიძე – ურარტუელი ქვეყნების ზაბახასა და სირიმუთარას ლოკალიზაცია და ეთნიკური კუთვნილება	88
Симон Гогитидзе - Локализация и этническая принадлежность стран Сиримутара и Забаха	94
Simon Gogitidze - The Localization and the Ethnic Belonging of Urartian Countries Tabakha and Sirimutara	94
უჩა ოკროპირიძე – ჰომო სოვეტიკუსის “მესამე მდგომარეობა” და თანამედროვე ქართული ეროვნული მოძრაობა	98
Уча Окропиридзе - «Третье положение» Homo soveticus-а и современное национальное движение Грузии	108
Ucha Okropiridze - “The Third Condition of “Homo Soveticus” and Modern National Movement in Georgia	109

არქეოლოგია АРХЕОЛОГИЯ ARCHEOLOGY

მერაბ ხალვაში- სინოპური ამფორები გონიო-აფსაროსიდან	110
Мераб Халваши- Синопские амфоры Гонио-Апсара	117
Merab Khalvashi- Sinopian Amphora From Gonio-Apsarus	117

ლინგვისტიკა ЛИНГВИСТИКА LINGUISTICS

მიხეილ ჯამადაძე-აჭარის სოფლები ზ.ჭიჭინაძის აღწერის მიხედვით	119
Михаил Камададзе-Аджарские села по описанию З.Чичинадзе	129
Mikheil Kamadadze-Adjarian Villages According to Z.Chichinadze’s Description	130
ნანული ნოგაიდელი – მეტსახელთა საკითხისათვის აჭარულში	131
Нанули Ногaidели-К вопросу опровзвищх в аджарском диалекте	136
Nanuli Nogaideli-Nicknames in Adjarian Dialect	136
ციალა ნარაკიძე-ადამიანის ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკიდან ღაზურში	138
Циала Наракидзе-Из лазской лексики связанной с физиологией человека	145
Tsiala Narakidze-Lexis Connected with Human Physiology	146
ელზა ფუტკარაძე – მემინდვრობის ლექსიკასთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი აჭარულში	147
Эльза Путкарадзе - Образные слова и выражения связанные с полеводством в аджарском диалекте	151
Elza Putkaradze - The Figurative Word-Ezpressions Connected With Field Crop Cultivation in Adjarian Dialect	152

თამარ კუკულაძე – ფონეტიკური მოვლენის მორფოლოგიზაციის შემთხვევები ქვემო აჭარის ტოპონიმიაში (მაჭახლის ხეობის მასალის მიხედვით)	153
Тамар Кукулაძе - Морфологизация фонетического явления в топонимии Нижней Аджарии (По материалу Мачахельского ущелья)	156
Tamar Kukuladze - Cases of Morphologizing Phonetic Occurrences in the Toponymy of Lower Adjara	157
ნარგიზ ახვლედიანი – ერთი გვარის ისტორიისათვის აჭარაში	158
Наргиз Ахвледяни - К истории одной фамилии в Аджарии	168
Nargiz Akhvlediani -The Origin of one surname in Adjara	169
ფოლკლორი ФОЛЬКЛОР FOLKLORE	
თინა შიოშვილი – სამეაროსა და პირველი ადამიანების შექმნის მოტივი აჭარულ შესაქმეს ლეგენდაში	171
Тина Шиошвили - Мотив сотворения мира и первых людей в аджарской легенде бытия	180
Tina Shioshvili - Motive of the Creation of the World and First Human in Adjarian Legend on Creation	180
გიორგი მახარაშვილი – ახალგაზრდული ქალიშვილისათვის “სადილის” მიტანის ტრადიცია აჭარაში და მისი გენეზისის პრობლემა (დიდი წარღვნის ლეგენდის აჭარული ვარიანტების მიხედვით)	182
გიორგი Махарашвили -Традиция преподнесения «Сადили» новообранной девушке и проблема его генезиса (по аджарским вариантам легенды большого потопа)	190
George Makharashvili - Traditions of Delivering “Dinner” to the newly married Female in Adjara and the Problem with its Genesis (According to the Adjarian Variant of the Legend on Greet Deluge)	191
ეთერ ზოიძე – გარეული ფრინველის (ქორის) სიმბოლიზაცია აჭარის ზეპირსიტყვიერებაში	192
Этер Зоидзе - Символизация дикой птицы (ястреба) в устном народном творчестве Аджарии	196
Eter Zoidze - Symbolization of the Wild Bird (Yawk) in Oral Folk-Lore of Adjara	196
პრობლემატიკა ЭКОНОМИКА ECONOMICS	
ვახტანგ მიქაშავიძე, ჯანი მიქაშავიძე – ტურიზმის განვითარების რეგიონული ასპექტები	198
Вахтанг Микашавидзе, Жани Микашавидзе - Региональные аспекты развития туризма	207
Vakhtang Mikashavidze, Zhani Mikashavidze - Regional Aspects of Tourism Development	207
პაატა ჩაგანავა – აჭარის სამშენებლო ბაზრის ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემები	209
Паата Чаганавა - Проблемы экономической эффективности строительного рынка Аджарии	217
Paata Chaganava - The Problems of Economics Effectiveness of the Building Market of Adjara	217
ირმა ჩხაიძე, ღამარა მიქელაიშვილი – საქართველოში გამჭირვალე საპენსიო სისტემის შექმნის პერსპექტივები	218

Ирма Чхaidze, Ламара Микелашвили - Перспективы создания прозрачной пенсионной системы в Грузии	222
Irma Chkhaidze, Lamara Mikelaishvili - Prospects of Creation of Transparent Pension System in Georgia	222
ბესიკ ბოლქვაძე – საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების რაოდენობრივი და თვისებრივი ასპექტები აჭარის რეგიონში	224
Бесик Болквадзе - Качественные и количественные аспекты функционирования бюджетно-налоговой системы в Аджарском регионе	230
Besik Bolkvadze - Qualitative and Quantitative Aspects of Budget-Tax System Functioning in Adjara Region	230
სოციოლოგია СОЦИОЛОГИЯ SOCIOLOGY	
კოტე გლონტი – შრომის სოციოლოგიის ზოგიერთი ასპექტი ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ შეხედულებებში	232
Коте Глonti - Некоторые аспекты социологии труда в древневосточных и античных взглядах	240
Kote Glonti - Some Aspects of Sociology of the Labour According to Ancient East and Antiquity Ideas	240
ფსიქოლოგია ПСИХОЛОГИЯ PSYCHOLOGY	
გურამ ჩაგანავა – ცნობიერების პრობლემა აპროპრიაციის ფსიქოლოგიის საფუძველზე	242
Гурам Чаганова - Проблема сознания на основе психологии апроприации	252
Guram Chahanava - The Problem of the Consciousness on the Basis of the Psychology of the Appropriation	252

ნოდარ კახიძე

**აჭარის მოსახლეობა XIX საუკუნის
მეორე ნახევარში**

(მოგზაურ-მკვლევართა ცნობების მიხედვით)

მოსახლეობის აღწერას, მისი რიცხოვნობის დადგენას, საერთოდ, დემოგრაფიული პროცესების შესწავლას საქართველოში, დიდი ხნის ისტორია აქვს. ადრინდელი ნაბიჯები ამ მხრივ შუა საუკუნეებიდან გადაიდგა. ასეთი აღწერები ჩატარდა ერეკლე II და გიორგი XIII მეფობის დროს, თუმცა, მათი დიდი ნაწილი ჩვენამდე არ მოღწეულა. ამავე დროს, მსგავსი აღწერები რამდენადმე ნაკლები იყო და ძირითად მიზნად ისახავდა გადასახადებისა და ჯარში გასაწვევთა რიცხოვნობის დადგენას. XIX საუკუნიდან ტარდებოდა ე. წ. კამერალური აღწერები, რომლებიც საქართველოს ცალკეულ რეგიონებს მოიცავდა (გუგუშვილი პ. 1971, 346).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში (ასევე ამიერკავკასიის მასშტაბით) გაფართოვდა ინფორმაცია ქვეყნის ცალკეული კუთხეების, გუბერნიების, მაზრების, საპოლიციო უბნების, სასოფლო საზოგადოებების, დასახლებული პუნქტების მიხედვით მოსახლეობის რაოდენობაზე, მის ეროვნულ თუ ეთნიკურ რიცხოვნობაზე, სოციალურ ფენებად თუ რელიგიურ-კონფესიური ნიშნით დაყოფაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ამიერკავკასიის მოსახლეობის 1886 წლის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც 1893 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა თბილისში (Свод...1886). 1897 წელს ჩატარდა ყოფილი რუსეთის იმპერიის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა, რომელიც რამდენიმე ტომად გამოიცა. თითო ტომი მიემდგნა ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების მოსახლეობის აღწერას (Первая всеобщая перепись... 1897). აღწერის მასალებში ცნობები დაცულია აჭარაზეც, რომელიც მაშინ რამდენიმე საპოლიციო უბნისაგან შედგებოდა.

დასახლებული ოფიციალური სახელმწიფო აღწერების გარდა, XIX საუკუნიდან არსებობდა ცალკეულ ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა სტატისტიკური ხასიათის ცნობებიც საქართველოს ცალკეული სოფლებისა თუ ქალაქების მოსახლეობის შესახებ. მათ შორის აღსანიშნავია XIX საუკუნის მეორე ნახევრის აჭარის მოსახლეობაზე არსებული მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანი წყაროა მოცემულ პერიოდში რეგიონის დემოგრაფიული პროცესების შესწავლისათვის.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის აჭარის მოსახლეობის შესწავლაში ორი პერიოდი გამოიყოფა. პირველი მოიცავს 50-70-იანი წლებს,

ანუ ოსმალთა მფლობელობის პერიოდს, მეორე – რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების პერიოდს (1878 წლის 25 აგვისტო-1900 წლამდე).

პირველი პერიოდის დახასიათებისათვის მნიშვნელოვანი წყაროა ტრაპიზონში ინგლისელი კონსულის ჯიფორდ პალგრევის 70-იანი წლების “ანგარიშები” (Пальгрев Дж. Отчет, 1872), გ.ყაზბეგის მოგზაურობის მასალები (ყაზბეგი გ. 1960; Казбек Г. 1876), ა. ფრენკელის ჩანაწერები (Френкель А. 1879). მეორე პერიოდის დახასიათებისას კი ქართველ (თ. სახოკია, ზ. ჭიჭინაძე), რუს და დასავლეთ ევროპელ (ვ.ლისოვსკი, ჟან მურიე) და სხვა მკვლევარ-მოგზაურთა მონაცემები. ეს ცნობები შეეხება არა მარტო ქართულ მოსახლეობას, არამედ სხვადასხვა მიზეზით აქ ჩამოსახლებულ სხვა ეროვნებებს (რუსები, ბერძნები, სომხები, ქურთები, ჰემშილები, აფხაზები, ჩერქეზები).

პალგრევის მონაცემები იმითაც იქცევა ყურადღებას, რომ მასში დემოგრაფიულად აღწერილია მაშინდელი აჭარის ტერიტორიაზე არსებული ცალკეული ოკრუგები (ჩურუქსუ, ბათუმი, ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი, გონიო), რომლებიც თურქული ადმინისტრაციული დაყოფით ნაპიებად იწოდებოდა.

ჩურუქსუს ნაპიე მოიცავდა კინტრიშის ხეობას. ჩრდილო აღმოსავლეთით მას ესაზღვრებოდა გურია, აღმოსავლეთით პერანგას ქედი, რომელიც მას ზემო აჭარის ნაპიესაგან გამოყოფდა. სამხრეთით ჩურუქსუ ბათუმის ნაპიეს ემიჯნებოდა, დასავლეთით – შავ ზღვას. ოკრუგში 18 სოფელი შედიოდა. 1877 წლის ტრაპიზონის კალენდრის მიხედვით კი – 20 სოფელი (ცინცაძე ზ. 1980, 66-67). მოსახლეობის ძირითად ნაწილს გამუსლიმანებული ქართველები შეადგენდნენ.

ბათუმის ნაპიე მოიცავდა ჩაქვისწყლის, ყოროლისწყლისა და კახაბრის ველის ნაწილს. თურქული მონაცემებით ნაპიეში შედიოდა 20 სოფელი, რუსული მონაცემებით კი - 14. ზემო აჭარის ნაპიე, რომელიც ქვემო აჭარისა და მაჭახლის ნაპიებთან ერთად აჭარის ყაზაში (მოგვიანებით აჭარის საპოლიციო უბანი) შედიოდა, თურქული წყაროებით აერთიანებდა 20 სოფელს (ხულო, აღმე, ნიგაზეული, ჭვანა, შუახევი, ტბეთი, მირათისხევი, ხიხაძირი, სხალთა, ღორჯომი, ფურტიო, დიდაჭარა, ჩაო-თაგო და სხვ.). ქვემო აჭარის ნაპიეში 39 სოფელი ითვლებოდა და მოიცავდა თითქმის დღევანდელ ქედის რაიონს იმ სოფლების გამოკლებით (მილისი, ნამილისევი, უჩხითი, ჭალახმელა), რომლებიც ოსმალთა ბატონობის დროსაც და შემდეგაც გარკვეული დროით მიწერილი იყო მაჭახლის ნაპიეზე (თემზე). მაჭახლის ნაპიე 26 სოფელს აერთიანებდა. მასზე საკუთრივ მაჭახლის ხეობის სოფლების (აკრია, მინდიეთი, ხერთვისი, ქვაბითავი, ზედვაკე, ევრატი, ჩხუტუნეთი, გორგაძეთი, საფუტკრეთი, ჩიქუნეთი, ცხემლარა, აჭარისაღმართი, ჭანივრი, სინდიეთი, ქედქედი) გარდა, როგორც ითქვა, მიწერილი იყო დასახლებული დღევანდელი ქედის რაიონის, აგრეთვე ჭოროხის ხეობის ქვემო წელის სოფლები (მაჭახლისპირი, ხერთვისი, მალლაკონი, კირნათი, კობალეთი, გვარა (კახიძე ნ. 1974, 27).

გონიოს ნაპიეს საზღვრებიც ადრე ფართო ტერიტორიას მოიცავდა და მასში საკუთრივ გონიოს გარდა შედიოდა სარფის,

მაკრიალის, ბელღევანისა და ჭოროხის ხეობის ქვემო წელის ჩრდილო ნაწილის სოფლები. ტრაპიზონის 1878 წლის კალენდრის მიხედვით გონიოს თემი ითვლიდა 21 სოფელს (გონიო, ზემო მარადიდი, ქვემო მარადიდი, მირვეთი, სიმონეთი, ბორჩხა, არჩვეთი, კატაფხია, მაკრიალი და სხვა (ცინცაძე ზ. 1980, 69). პალგრევიც თავის ანგარიშებში 21 სოფელს ასახელებდა. აქედან აჭარას ისტორიულად ეკუთვნის გონიოს თემი, სიმონეთი, მირვეთი (1921 წლიდან აჭარას მიეკუთვნა ქვემო მარადიდი კირნათის თემთან ერთად).

პალგრევის 1872 წლის ანგარიშები ჩურუქ-სუს, ბათუმის, ზემო აჭარის, ქვემო აჭარის, მაჭახლის, გონიოს ოკრუგების მოსახლეობაზე ასეთ სურათს იძლევა:

ჩურუქ-სუს ოკრუგი აერთიანებდა 17 სოფელს 1445 კომლით. მოსახლეობის (გამუსლიმანებული ქართველები) საერთო რიცხვი შეადგენდა 7378 სულს. სხვა ეროვნების მცხოვრებნი აქ არ სახელდება. მოსახლეობის ძირითად საქმიანობას შეადგენდა მიწათმოქმედება, მემინდვრობა. მოჰყავდათ სიმინდი, ბრინჯი, მისდევდნენ მეფუტკრეობას, მესაქონლეობას (Отчет, 1872, 43).

ბათუმის ოკრუგი მოიცავდა 18 სოფელს, სადაც ცხოვრობდა 1057 კომლი. მათ შორის 300 კომლს შეადგენდნენ აფხაზეთიდან 1864 და 1867 წლებში ემიგრირებული ჩერქეზები. მოსახლეობის საერთო რიცხვი აღწევდა 7616 სულს. ჩერქეზები მეტწილად განსახლებული იყვნენ ბათუმის ახლო-მახლო უბნებში. ოკრუგში ცხოვრობდნენ აგრეთვე თურქეთიდან გადმოსახლებული აფხაზები. მოსახლეობა მისდევდა მემინდვრობას. ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა იყო ბრინჯის მოყვანა. მასობრივად იჭერდნენ დეფუნის, რომლის ქონიც გასაყიდად გაჰქონდათ (Отчет, 1872, 43-44).

საკუთრივ აჭარა, ჯ. პალგრევის 1872 წლის “ანგარიშების” მიხედვითაც 3 ოკრუგად იყოფოდა: ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი (Отчет, 1872, 50).

ზემო აჭარის ოკრუგში შედიოდა 22 სოფელი 1827 კომლით. მოსახლეობის სულადობა კი შეადგენდა 11 620 კაცს. ოკრუგის მთავარი სოფელი იყო ხულო, რომელიც ზემო აჭარის ბეგების რეზიდენციას წარმოადგენდა. ხულოში ცხოვრობდა 160 კომლი. ცენტრში არსებობდა 18 დუქანი, სადაც სხვადასხვა საჭიროების საქონელი იყიდებოდა (Отчет, 1872, 51).

ჯ. პალგრევის ამ ცნობებს ავსებს გ. ყაზბეგი, რომელმაც ხულოში და, საერთოდ, ზემო აჭარაში 1874 წელს იმოგზაურა. თუმცა გ. ყაზბეგი ხულოში 7 დუქანს ასახელებდა, რომელთაგან 4 ეკუთვნოდა არტანუდან მოსულ სომხებს, 3 კი ტრაპიზონელ ბერძნებს. სომეხი ვაჭრებისაგან ადგილობრივი მოსახლეობა ყიდულობდა დამასკოდან შემოტანილ საპონს, სტეარინის სანთელს, დანებს, მაკრატლებს, სარკეებს, ფრანგული წარმოების წვრილმან ნივთებს. ბერძნების სავაჭროებში კი იყიდებოდა ინგლისში დამზადებული საუკეთესო ქსოვილები. რუსული წარმოების საქონელი კი იშვიათობას წარმოადგენდა (ყაზბეგი გ. 1960, 51).

ქვემო აჭარის ოკრუგის მოსახლეობა შეადგენდა 10 300 კაცს 1962 კომლითა და 31 სოფლით. ოკრუგის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა სოფელი ქედა. მოსახლეობის მთავარი საქმიანობა იყო

მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ნაწილი დახელოვნებული იყო ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღების დამზადებაში (Отчет. 1872, 55).

ჯ. პალგრევის მონაცემებით 1872 წლისათვის ზემო და ქვემო აჭარის ოკრუგების 56 სოფელში სულ ცხოვრობდა 3799 კომლი 22 920 მცხოვრებით.

მაჭახლის ოკრუგი 26 სოფელს ითვლიდა. აქ ცხოვრობდა 7910 კაცი 1908 კომლით (Отчет, 1872, 56). გ. ყაზბეგის მონაცემებით კი 1876 წელს მაჭახლის ოკრუგში 9600 კაცი სახლობდა, ე. ი. 300 კაციით მეტი (ყაზბეგი გ. 1960, 86).

გონიოს ოკრუგის მოსახლეობა შეადგენდა 9300 კაცს 1317 კომლით, რომელიც განსახლებული იყო 21 სოფელში.

ამგვარად, პალგრევის 1872 წლის მონაცემებით ჩამოთვლილ 6 ოკრუგში (ჩურუქ-სუ, ბათუმი, ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი, გონიო) სულ სახლობდა 54 124 კაცი. კომლთა რაოდენობა შეადგენდა 9516, სოფლებისა – 138. საშუალოდ ერთ კომლზე მოდიოდა 5 სული.

აჭარის 6 ოკრუგის მოსახლეობის ამ საერთო რაოდენობაში (54 124) უნდა ვიგულისხმოთ გონიოს ოკრუგის მხოლოდ იმ ოთხი სოფლის (გონიო, სიმონეთი, მირვეთი, მახო) მოსახლეობა, რომელიც ტერიტორიულად მაშინაც აჭარის ფარგლებში შედიოდა. ოკრუგის დანარჩენი, ზემოთ მითითებული სოფლები კი, აჭარას არ ეკუთვნოდა. ეს სოფლები ადმინისტრაციული მმართველობის მიზნით მიაკუთვნეს გონიოს ოკრუგს. პალგრევის 1872 წლის “ანგარიშებში” ოკრუგის ცალკეული სოფლების კომლთა და მოსახლეთა რაოდენობა მითითებული არ არის და ამდენად, გაურკვეველია, რამდენი მოსახლე ცხოვრობდა გონიოს ოკრუგის 4 სოფელში. ამის გარკვევა მოგვიანო ცნობებით ხერხდება. მაგალითად, ა.ფრენკელის 1878 წლის სტატისტიკური მონაცემებით გონიოს, სიმონეთის, მირვეთის, მახოს სოფლების მოსახლეობის რაოდენობა ერთად აღებული შეადგენდა 360 სულს (გონიო – 85, სიმონეთი – 132, მირვეთი – 132, მახო – 211 (Френкель А. 1879, 119). ვლისოვსკის 1884 წლის სტატისტიკური მონაცემებით კი 349 სულს (გონიო – 150, სიმონეთი – 49, მირვეთი – 67, მახო – 83) (Лисовский В. 1887. იხ. წიგნზე დართული ცხრილი).

ამდენად, აჭარის 5 ოკრუგის მოსახლეობის რაოდენობას (ჩურუქ-სუ – 7378, ბათუმი – 7616, ზემო აჭარა – 11 620, ქვემო აჭარა – 10 300, მაჭახელი – 7910) ანუ 43 808 სულს უნდა დაემატოს გონიოს ოკრუგის მითითებული იმ ოთხი სოფლის (გონიო, სიმონეთი, მირვეთი, მახო) მოსახლეობის რაოდენობა – დაახლოებით 350 სული, რომელიც ტერიტორიულად აჭარას ეკუთვნოდა (დანარჩენი 17 სოფელი კი ისტორიულად აჭარის ფარგლებში არ შედიოდა). პალგრევის “ანგარიშების” მიხედვით აჭარის მთელი მოსახლეობა 1872 წელს შეადგენდა 44 158 კაცს (43 808+350). ბუნებრივია, მოსახლეობის ეს რაოდენობრივი მაჩვენებლები ± ფარგლებში მერყეობს.

ოსმალთა ბატონობის დროინდელი აჭარის მოსახლეობაზე ყველაზე სარწმუნოდ მივიჩნევთ გ.ყაზბეგის ცნობებს. მან სწორედ ამ ბატონობის დროს – 1874 წელს იმოგზაურა აჭარაში, შავშეთ-იმერხევ-ლაზისტანში და მართლაც მნიშვნელოვანი სტატისტიკური

ცნობები დაგვიტოვა აჭარისა და მთელი ლაზისტანის სანჯაყის მოსახლეობაზე. ეს ცნობები კარგად ასახავს XIX საუკუნის 40-70-იანი წლების მოსახლეობის დინამიკას. მან პირველმა შეიტანა სიზუსტე აჭარის მოსახლეობის თურქული აღწერის მასალებში. გაარკვია მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და რელიგიურ-კონფესიური კუთვნილება. ამ მიზნით იგი სარგებლობდა მოსახლეობის აღწერის იმ ცნობებითაც, რომლებიც ჯერ ფრანგულ ენაზე ყოფილა დაბეჭდილი, ხოლო შემდეგ 1873 წელს რუსულ ენაზე თარგმნილ სტატიაში “შენიშვნები ბათუმზე” (Заметка о Батуме, 1873).

1874 წელს აჭარაში მოგზაურობის დღიურებში გ.ყაზბეგი წერდა: “ამ ოცდაათი წლის წინათ თურქეთის საქართველოში ჩატარდა აღწერა, რათა ხალხისათვის მეთაფი გადასახადი დაეკისრებინათ. იმ დროიდან აღწერა აღარ უწარმოებიათ და ოფიციალურად აჭარის მოსახლეობას უცვლელად თვლიან. თუმცა ფაქტიურად მცხოვრებთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა” (ყაზბეგი გ. 1960, 113). აღვნიშნავთ, რომ ზემო აჭარაში მცხოვრებთა რიცხვი ორივე სქესისა, გარაუდით, შეადგენდა 12 600-14 700 სულს, ხოლო მთავრობის ანგარიშით – 11 400-13 400 სულს (კომლზე 6-7 კაცის ანგარიშით). კომლთა რიცხვი კი გარაუდით იყო 2100, მთავრობის ანგარიშით – 1900 (ყაზბეგი გ. 1960, 113). უშუალოდ გ.ყაზბეგის მიერ შეკრებილი მონაცემებით ზემო და ქვემო აჭარის ოკრუგების მოსახლეობა მაჭახლის ოკრუგის მოსახლეობის ჩათვლით 1874 წელს შეადგენდა 34 800 კაცს (Казбек Г. 1876, 86). ექვსივე ოკრუგის მოსახლეობის საერთო რაოდენობა კი 62 ათას კაცზე მეტი (Казбек Г. 1876, 86) სხვაობა პალგრევისა და და გ.ყაზბეგის ცნობებს შორის 7 ათასი კაცია.

ამ შემთხვევაშიც, როგორც პალგრევის მაგალითზე ითქვა, აჭარის მოსახლეობის რაოდენობაში უნდა შევიყვანოთ არა მთელი გონიოს ოკრუგის მოსახლეობის რიცხვი (9 ათასი კაცი), არამედ ამ უბნის მხოლოდ ოთხი სოფლის (გონიო, მირვეთი, სიმონეთი, მახო), მოსახლეობის რიცხვი (350 კაცი). ასევე უნდა ითქვას ა.ფრენკელის სტატისტიკური მაჩვენებლების დახასიათებისას.

ა.ფრენკელი არსებითად ოსმალთა ბატონობის დროინდელი აჭარის მოსახლეობის დახასიათებას იძლევა. ქალაქ ბათუმის მოსახლეობის აღწერისას იგი იყენებს ბათუმში რუსეთის ყოფილი კონსულის ჯუდიჩის მონაცემებს, რომლის თანახმად 1871 წლისათვის ბათუმში ცხოვრობდა 1076 კომლი 3327 სულით. მათ შორის ქართველი მუსლიმანი იყო 3037, მართლმორწმუნე ბერძენი - 186, გრიგორიანელი სომეხი - 93, კათოლიკე სომეხი 11 სული. ჩურუქ-სუს ნაპიერში კი ცხოვრობდა 1283 კომლი (3592 სული) მუსლიმანი (Френкель А. 1879, 10). ა.ფრენკელი აქვე იმოწმებს მის მიერ მოპოვებულ ცნობებსაც ბათუმის, კინტრიშის (ჩურუქ-სუს), გონიოს უბნების მაგალითზე, რომლებიც უსარგებლია 1878 წლის “ტრაპიზონის კალენდრიდან” (Френкель А. 1879, 10). ეს ცნობები კი ასე გამოიყურება: ბათუმის უბანში ცხოვრობდა 3320 სული 894 კომლით, კინტრიშში 4887 სული 1259 კომლით, გონიოს უბანში 2196 სული 655 კომლით. სამივე უბანში კი ერთად ცხოვრობდა 10403 სული 288 კომლით (Френкель А. 1879,

12). აჭარის მოსახლეობის საერთო რიცხვი ა.ფრენკელის მიხედვით 28 ათასი კაცით განისაზღვრება.

ა.ფრენკელი სოფლების მიხედვით განიხილავს მაჭახლის ნაჰიეს, ზემო და ქვემო აჭარის ყაზების მოსახლეობას, საქონლის (ხარი, ძროხა, კამეჩი, ჯორი, ცხვარი, თხა) რიცხოვნობას, შემოსავლის რაოდენობას. ამ მონაცემების მიხედვით: მაჭახელში ცხოვრობდა 3725 სული 1225 კომლით, ზემო აჭარის ყაზში 6719 სული 2411 კომლით, ქვემო აჭარაში – 7200 სული 1840 კომლით (Френкель А. 1879, 147-149). სულ სამივე ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრობდა 1763 სული 4476 კომლით. მთლიანობაში ა.ფრენკელის ცნობების მიხედვით ბათუმის, კინტრიშის (ჩურუქ-სუს), გონიოს უბნებში, მაჭახლის ნაჰიეში, ზემო და ქვემო აჭარის ყაზებში 1878 წლისათვის ცხოვრობდა 28 047 სული 7254 კომლით.

თუ პალგრევის 1872 წლის (54 134 სული, 9516 კომლი) და ა.ფრენკელის 1878 წლის (28 147 სული, 4476 კომლი) მონაცემებს ერთმანეთს შევუდარებთ, დავინახავთ, რომ განვლილი 6 წლის მანძილზე 1878 წლისათვის აჭარის 6 ოკრუგის (ჩურუქ-სუს, იგივე კინტრიშის, ბათუმის, ზემო და ქვემო აჭარის, გონიოს) მოსახლეობა სულადობრივი და კომლობრივი შემადგენლობით შემცირებული ჩანს და სხვაობა შეადგენს 26 077 სულს 2262 კომლით.

კითხვებს ბადებს პალგრევისა და გ.ყაზბეგის სტატისტიკურ მონაცემებს შორის სხვაობა აჭარის მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისას 1872-1874 წლებში. პირველ შემთხვევაში აჭარის მოსახლეობა შეადგენდა 54 ათასზე მეტს, მეორე შემთხვევაში – 62 ათას კაცზე მეტს. სხვაობა შეადგენს 8 ათას კაცზე მეტს. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ასევე დიდია სხვაობა გ.ყაზბეგის 1874 წლის მონაცემებსა (62 430 კაცი) და ა.ფრენკელის მონაცემებს (28 ათასი კაცი) შორის. პალგრევისა და გ.ყაზბეგის მონაცემების შემთხვევაში ადგილი აქვს მოსახლეობის ზრდას 1872-1874 წლებში, ხოლო პალგრევისა და ა.ფრენკელის შემთხვევაში (1872-1878 წლები) მოსახლეობის შემცირებას 26 ათასი კაცით.

პალგრევისა და გ.ყაზბეგის სტატისტიკურ ცნობებს შორის განსხვავება შეიძლება აიხსნას იმდროისათვის შესაბამისი მონაცემების ნაკლებობით. პალგრევისა და ფრენკელის, ისევე როგორც გ.ყაზბეგისა და ა.ფრენკელის სტატისტიკურ მაჩვენებლებს შორის განსხვავების მიზეზი შეიძლება მუჰაჯირობის პირველი პერიოდის (მუჰაჯირობა რუსეთის ჯარის აჭარაში შემოსვლამდე ანუ 1878 წლის 25 აგვისტომდე) პროცესებითაც აგვეხსნა, როდესაც განსაკუთრებით აჭარის ზღვისპირა რაიონებიდან თურქი ხელისუფალნი იძულებით ერეკებოდნენ მოსახლეობას თურქეთში. ამის შესახებ თვით ა.ფრენკელიც იუწყებოდა თავის ნაშრომში (Френкель А. 1879, 108). მაგრამ სხვა მონაცემების მიხედვით ამ პერიოდში და არც შემდგომ ასეთი დიდი რაოდენობით, თუნდაც ძაღადობით, გასახლება არ დასტურდება. ზ.ჭიჭინაძე ასეთ ცნობებსაც გვაწვდის: ჯერ კიდევ ომის პერიოდში ქობულეთიდან ალი-ფაშას ძაღდატანებით 7 ათასი მოსახლე გადასახლდა თურქეთის პროვინციებში. მისივე ცნობით, ქვედა აჭარიდან ომის დაწყებამდეც დიდძალი ხალხი ემზადებოდა გასასახლებლად (ჭიჭინაძე ზ. 1912, 12, 128). მიუხედავად ამისა, ოფიციალურად

გაცხადებამდე მუჰაჯირობა შეზღუდული იყო. იგი მხოლოდ მას შემდეგ გაიზარდა, როდესაც რუსეთ-თურქეთს შორის 1879 წლის 27 იანვარს კონსტანტინოპოლში დადებული ტრაქტატის ძალით მუჰაჯირობის ოფიციალურ ვადად დაწესდა 3 წელი (1879 წლის 3 თებერვალი-1882 წლის 3 თებერვალი) (მეგრელიძე შ. 1964, 42). 1879 წელს მართლაც ბევრი მუჰაჯირი წავიდა განსაკუთრებით ზღვისპირა რაიონებიდან. საბოლოოდ დადგენილად ითვლება, რომ აჭარიდან მუჰაჯირად წასულა 10 ათასი კაცი. ამ რიცხვში იანგარიშება აქ მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირებიც, რომელთა რიცხვი 2-3 ათასს აღწევდა (მეგრელიძე შ. 1964, 62-63).

ამდენად, პალგრევის, გ.ყაზბეგისა და ა.ფრენკელის ცნობები, ისე როგორც საერთოდ ოსმალთა მმართველობის პერიოდის (XIX საუკუნის მეორე ნახევარი) სტატისტიკური მონაცემები აჭარის მოსახლეობაზე, მკვეთრად ჭრელია, განსხვავებულია. ამიტომ საკითხის შესწავლა მოსახლეობის რიცხოვნობის დაზუსტება-დადგენის მიზნით სპეციალურ კვლევა-ძიებას საჭიროებს სხვათა მონაცემების დაძებნისა და გათვალისწინების საფუძველზე.

ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ოსმალთა ბატონობის შემდგომი პერიოდის აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობისა და საერთოდ რეგიონის დემოგრაფიული პროცესების შესასწავლად.

ამ პერიოდის ქართველ თუ უცხოელ მოგზაურთა ცნობებში უფრო ზუსტადაა წარმოდგენილი არა მარტო აჭარის, არამედ მთელი მაშინდელი ბათუმის ოლქის (ართვინისა და ბათუმის ოკრუგები) მოსახლეობის სტატისტიკა, მაშინდელი დემოგრაფიული სიტუაცია.

სტატის ამ ნაწილში ვსარგებლობთ ვლისოვსკის, ჟან მურიეს, თ. სახოკიას სტატისტიკური მონაცემებით. თ.სახოკია ძირითადად მხოლოდ ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობის, ჟან მურიე კი ქალაქ ბათუმის მოსახლეობის შესახებ გვაწვდიან ცნობებს. მაჭახლის ოკრუგის მოსახლეობის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული წერეთლისა (გაზ. “დროება”, 1878) და რუსი სამხედრო პირის პ. იურჩენკოს (გაზ. “Кавказ”, 1881) ჩანაწერებში.

ვ. ლისოვსკი საერთოდ ჭოროხის მხარის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ კუთხეთა შორის ასახელებს შავშეთ-იმერხევს (17 ათასი კაცი) და აქვე მიუთითებს, რომ შედარებით მცირედ დასახლებულია კინტრიშისა (6 ათასი კაცი) და გონიოს (9 ათასი კაცი) უბნები (Лисовский В. 1887, 51). როგორც ზემოთ ითქვა, გონიოს უბანში მაშინ შემავალი თემებიდან საკუთრივ აჭარას ეკუთვნოდა გონიოს ოკრუგის მხოლოდ ოთხი სოფელი, ნაწილობრივ ერგეს თემი. ქალაქ ბათუმში ვ. ლისოვსკის ცნობით 1882 წელს ცხოვრობდა 8,5 ათასი სული, 1884 წელს კი 19 ათასი (Лисовский В. 1887, 131). ვ. ლისოვსკის წიგნზე დართულია მთელ ჭოროხის მხარეში და მათ შორის აჭარის დასახლებულ 6 ოკრუგში შემავალი სოფლების სია კომლობრივი და ორივე სქესის სულადობრივი მაჩვენებლების მიხედვით. ასეთი სიის შესადგენად ვ. ლისოვსკის იმდროისათვის არსებული აღწერების მასალებით უნდა ესარგებლა.

განსხვავებულია ჟან მურიეს მონაცემები. მისი ცნობით 1884 წელს ბათუმის მოსახლეობა შეადგენდა 8671 სულს, 1885 წელს – 12 ათასს (ჟან მურიე. 1962, 25).

უფრო ზუსტი უნდა იყოს ვ. ლისოვსკის მონაცემები, რადგან ბათუმი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ცნობილი მიზეზების გამო (პორტო-ფრანკოდ გამოცხადება, ტრანსკავკასიურ სარკინიგზო ქსელში ჩაბმა, საზღვაო ნავსადგურის განვითარება და სხვ.) სწრაფი განვითარების გზაზე იდგა და მისი მოსახლეობაც შესაბამისად იზრდებოდა. თ.სახოკიას მონაცემებით, ამავე საუკუნის 90-იანი წლების ბოლოსათვის ქალაქ ბათუმის მოსახლეობა 30 ათასი სულით იანგარიშება. თ.სახოკიამ იმდროინდელი ბათუმი დაახასიათა, როგორც მოზრდილი ქალაქი, სადაც ფაცხა-სახლების ადგილას ორ-სამ სართულიანი სახლები შენდებოდა. ქალაქს ამშვენებდა მოკირწყლული გზები და ქუჩები. ქალაქში გაჩაღებული იყო ვაჭრობა. არსებობდა საკრედიტო დაწესებულებები, ქარხნები, სხვადასხვა სახის სასწავლებლები (მათ შორის გიმნაზია). სახმელთო და საზღვაო გზებით კი იგი დაკავშირებული იყო მთელ მსოფლიოსთან (სახოკია თ. 1950, 349).

თ. სახოკია ქვემო და ზემო აჭარის მოსახლეობაზეც გვაწვდის ცნობებს. ზემო აჭარაზე მოსახლეობის შესახებ ცნობები 1889-1896 წლებს შეეხება. ქვემო აჭარის შესახებ კი 1895 წელს. ზემო აჭარის მოსახლეობა 1889 წელს შეადგენდა 17 579 სულს (მდედრობითი - 8423, მამრობითი - 9156), 1896 წელს კი - 19 465 სულს აღწევდა. მატება 8 წლის მანძილზე ტოლია 1 886 სულისა. აქვე მკვლევარი დაადგენს ქორწინებრივ მაჩვენებელსაც. მაგალითად, 1894 წელს ზემო აჭარაში უქორწინია 36 კაცს. დაბადებულთა რაოდენობა კი 299 ბავშვს შეადგენდა (მდედრობითი - 107, მამრობითი - 192) გარდაცვლილია 144 ბავშვი (მდედრობითი - 45, მამრობითი - 99). როგორც ჩანს, სიკვდილიანობის ტემპი ზემო აჭარაში მაშინ მაღალი ყოფილა და მატება მხოლოდ 155 ბავშვს შეადგენდა (მდედრობითი - 62, მამრობითი - 93) (სახოკია თ. 1950, 161).

ქვემო აჭარის მოსახლეობა 1895 წლის მონაცემებით შეადგენდა 13 135 სულს (მდედრობითი - 6071, მამრობითი - 7064) 2 506 კომლით. ამ მონაცემებში შედის მხოლოდ მაშინდელი ქვემო აჭარის 64 სოფელი მაჭახლის ხეობის ჩათვლით. აღნიშნულ წელს აჭარაში დაბადებულა 266 სული (მდედრობითი 131, მამრობითი 134), ხოლო გარდაცვლილა 111 სული (მდედრობითი - 29, მამრობითი - 82). მატება წელიწადში 154 კაცს შეადგენდა.

თ.სახოკიას მონაცემებით ზემო და ქვემო აჭარაში (დღევანდელი ხულოს, შუახევის, ქედის რაიონები) 1895-1896 წლებში მოსახლეობის რაოდენობა აღწევდა 32 600 კაცს.

მოგზაურ-მკვლევართა ცნობებით XIX საუკუნის მეორე ნახევრის აჭარის მოსახლეობის მთლიანი რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა კომპლობრივი და სულადობის მიხედვით, ბუნებრივია, შეუძლებელია. ამას ავსებს ოფიციალური აღწერის მასალები, რომელიც ასეთ სურათს იძლევა: 1865 წელს აჭარაში ცხოვრობდა 48,5 ათასი კაცი, 1874 წელს - 48490, 1886 წელს - 56,6 ათასი, 1897 წელს - 80000 (ჯაოშვილი ვ. 1962, 92). ამავე აღწერებით ქალაქ ბათუმის მოსახლეობა კი ითვლიდა: 1882 წელს - 3671 (ИКОИРГО, 1884-1885, 93), 1886 წელს - 14803, 1990 წელს - 14674 (სიჭინავა ვ. 1958, 112), 1897 წელს - 28 512 კაცს (ჯაოშვილი ვ. 1962, 108).

1897 წლის მონაცემები აღებულია რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალებიდან.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოგზაურ-მკვლევართა ცნობები ნათელ სურათს წარმოაჩენს აჭარის მოსახლეობის დინამიკაზე (სოფელთა, კომლთა და მცხოვრებთა რაოდენობა, ეროვნული შემადგენლობა) XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

მოგზაურთა მონაცემები ემყარება როგორც მანამდე არსებულ სტატისტიკურ, ასევე უშუალოდ მათ მიერ ადგილებზე მოპოვებულ მასალებს. ამავე დროს მოგზაურთა ცნობებში შედარებით სრულად აისახა ოსმალთა ბატონობის დროინდელი (1850-1878 წლები) აჭარის მოსახლეობის დინამიკა ცალკეული ოკრუგების (ჩურუქ-სუ ანუ კინტ-რიში, ბათუმი, ზემო და ქვემო აჭარა, მაჭახელი, გონიო) მიხედვით, ვიდრე ამ ბატონობისაგან განთავისუფლების შემდგომი პერიოდისა (1880-1900 წლები). თუმცა, პირველი პერიოდის სტატისტიკურ მონაცემებში უზუსტობანიც შეინიშნება, რაც იმითაა გამოწვეული, რომ სულადობის განსაზღვრა ზოგჯერ ხდებოდა კომლში ხან ხუთი, ხან კიდევ ექვსი-შვიდი სულის ანგარიშით.

სამაგიეროდ, მეორე პერიოდის მოსახლეობის დინამიკაზე ასევე შედარებით სანდო მონაცემები მოგვეპოვება ოფიციალური აღწერის მასალებში.

ორივე პერიოდში ცალკეული წლების მიხედვით ადგილობრივი მოსახლეობის შემცირების ტენდენციებზე გავლენას ახდენდა მექანიკური თუ ორგანიზებული მიგრაციული პროცესები რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების პერიოდში, ომის წლებში და ომის შემდგომ პერიოდში. ამათგან უმთავრეს ფაქტორად იქცა მუჰაჯირობა, რომელმაც ოფიციალური ცნობებით 1878-1890 წლებში აჭარიდან მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვიტა 10 ათასამდე კაცი (სხვა ეროვნებების ჩათვლით). ისინი თურქეთის სხვადასხვა პროვინციებში დაასახლეს. მათ მიწებზე კი, განსაკუთრებით შავიზღვისპირა სოფლებში, რუსი და სხვა კოლონისტები დასახლდნენ.

განხილული მონაცემების შეჯამება ასეთ სურათს გვაძლევს: აჭარის დასახელებული 6 ოკრუგის მოსახლეობა პალგრევის მონაცემებით (1872 წელი) 54 ათასიდან (გ.ყაზბეგის 1874 წლის მონაცემებით 62 ათასიდან) 1897 წლისათვის გაიზარდა მხოლოდ 80 ათასამდე (ჯაოშვილი ვ. 1862, 108). ე.ი. აჭარის მოსახლეობის ზრდა განვლილი 23-25 წლის (1872-1897) მანძილზე შეადგენდა 28-36 ათას კაცს (აჭარის მოსახლეობის დინამიკაზე 1872-1897 წლებში იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი). თუ 1800-იანი წლების მონაცემებს ავიღებთ საზომად (ამ დროს აჭარის მოსახლეობა 160 წლის მანძილზე ორჯერ გაიზარდა. 2005 წლის მონაცემებით აჭარაში 381802 კაცი ცხოვრობდა.

ნოდარ ჰახიძე

**Население Аджарии во второй половине XIX века
(По данным путешественников-исследователей)**

Резюме

В статье по данным грузинских и иностранных (западноевропейских) путешественников-исследователей и соответствующих сравнительных материалов охарактеризована динамика населения Аджарии во второй половине XIX века по отдельным округам (Чурук-Су, Батуми, Верхняя Аджария, Нижняя Аджария, Мачахели, Гонио).

Выявлены те факторы (механические и организованные миграционные процессы, в том числе махаджирство), которые определили рост и упадок численности населения Аджарии, как в последние годы (1850-1878) турецкого владычества, так и после освобождения Аджарии до конца 1890-ых годов, что было основным результатом Русско-Турецкой войны 1877-1878 годов.

К статье прилагается таблица динамики населения Аджарии изучаемого периода.

Kakhidze Nodar

**The population of Adjara in the Second Half of the 19-th Century
(According to the travellers-explorers)**

Summary

In the article according to the Georgian and foreign (west european) travellers - explorers and corresponding comparative materials is characterised the dynamics of population of Adjara in the second half of the 19-th century in the different districts of the region (Churuc-Su, Batumi, Upper Adjara, low Adjara, Machaheli, Gonio).

The facts were found (mechanical and organized migrational processes, also machadjiring), which defined the increase and decrease of population in Adjara, so as in the last years (1850-1878) of Turkish occupation and after the liberation of Adjara till the end of 1890-th, that was the main result of Russian-Turkish war in 1877-1878.

The table of the population of Adjara dynamics of studying period is added to the article.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გუგუშვილი პ. სოციოლოგიური ეტიუდები, II. გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1971.
2. კახიძე ნ. მაჭახლის ხეობა, გამომცემლობა “საბჭოთა აჭარა”, ბათუმი, 1974.

3. ლევიე ე. ემილ ლევიეს მოგზაურობა კავკასიაში, ჟურნალი “მოამბე”, №3, თბილისი, 1894.
4. მეგრელიძე შ. აჭარის წარსულიდან, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი, 1964.
5. სიჭინავა ვ. ბათუმის ისტორიიდან, სახელგამი, ბათუმი, 1958.
6. ტბეთის სულთა მატეიანე, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი, 1977.
7. ჟან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი. სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1962.
8. ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქართველოში. – გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ. სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1960.
9. ცინცაძე ზ. ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IX, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი, 1980.
10. წერეთელი დ. მაჭახელა, გაზ. “დროება”, 1878, №238.
11. ჭიჭინაძე ზ. ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი – ემიგრაცია. ტფილისი, 1912.
12. ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი, 1984.
13. Заметка о Батуме. ИКОИРГО, т. II, Тифлис, 1873.
14. Казбек Г. Военно-статистические и стратегические очерки Лазистанского санджака, Тифлис, 1876.
15. Лисовский В.Я. Чорохский край. Типография А.А. Михельсона, Тифлис, 1887.
16. Лиозен Э. Берег русского Лазистана. ИКОИРГО. т. XVIII, №1. Тифлис, 1905.
17. Отчет консула Джифорда Пальгрева ... за лето 1872 года. Материалы для описания Азиатской Турции и Батумской области. ИКОИРГО. т. VII, ч. II. тифлис, 1882-1883 годы.
18. Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года. т. LXVI (Кутаисская губерния), т. LXIX (Тифлисская губерния). СПб, 1905.
19. Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 года. Тифлис, 1893.
20. Юрченко П. Заметка о поездке по ущельям Чорох-Су. газ. «Кавказ», №194, 1881.

თამილა ლომთათიძე

მარცვლის საკრალური დანიშნულება სარიტუალო კერძებში

(აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

ქართველი ხალხის ცნობიერებამ შემოინახა სამყაროს სიმბოლური გააზრების არაერთი არქეტიპი. ქართველი მეურნის მსოფლმხედველობის ნათლად გამომხატველი ერთ-ერთი ყელაზე ხატოვანი და უძველესი სიმბოლოა მარცვალი. მარცვალს ქართველთა, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ხალხების, რწმენა-წარმოდგენებში, გარკვეული ფუნქციონალური დანიშნულება ჰქონდა. მარცვალი, თესლი აღიქმება, როგორც დედამიწისაგან ნაშობი ნაყოფი, რომელშიც კოდირებულია სიცოცხლის მარადიული წრებრუნვის ციკლი, კოსმოგონური ტრიადა: სიცოცხლე – სიკვდილი – სიცოცხლე და ამით იგი მოკვდავ-აღდგენადი ღვთაებების რანგშია აყვანილი.

აჭარის ეთნოგრაფიულმა ყოფამ მარცვლის საკრალური დანიშნულებით გამოყენების არაერთი ასპექტი შემოინახა. ამჯერად ჩვენ მარცვლეულის სარიტუალო დანიშნულებით გამოყენების ერთ ასპექტს - სარიტუალო კერძებში მარცვლეულის სიმბოლურ გააზრებას შევეხებით.

მარცვალი ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში განიხილებოდა, როგორც ნაყოფიერების, ბარაქის, სიუხვის, მოსავლიანობის სიმბოლო, ამიტომაც მისი გამოყენება სარიტუალო კერძებში ნაყოფიერებისა და სიუხვის უზრუნველსაყოფად სავსებით ბუნებრივია. სხვადასხვაგვარი მარცვლეულისგან დამზადებული სარიტუალო კერძები ხშირად ფიგურირებს საახალწლო, საგაზაფხულო და საშემოდგომო წეს-ჩვეულებებში. მაგალითად, აჭარაში ახალ წელს ტრადიციულად სავსე სუფრით ხვდებოდნენ, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მოხარშულ სიმინდის მარცვალს. სიმინდს გარკვეულ ხანს წყალში გაააჩერებდნენ, შემდეგ მოხარშავდნენ და მარილთან ერთად მიირთმევდნენ ან ამზადებდნენ სირსვალს – მოხარშული კანგაცილილი სიმინდის ნივრით და ნიგვზით შეკმაზმულ შეჭამანდს. სწამდათ, რომ, როგორც “კარდალში გასივდება და აივსება სიმინდი, ისე აივსება ნათესი და კაი მოსავალი იქნებაო”. სირსვალის ჭამა აუცილებელი იყო ოჯახის წევრებისათვის, მაგრამ სხვას, უცხო მას არ ატმევდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ “ოჯახიდან ბარაქა წავიდოდა”. ამგვარად, ახალ წელს, ისე, როგორც სამეურნეო წლის სხვადასხვა ეტაპზე, მარცვლეულისგან დამზადებულ სარიტუალო კერძებს სიმბოლური ხასიათი ჰქონდა და ძირითადად მოსავლიანობისა და ნაყოფიერების უზრუნველსაყოფად მზადდებოდა.

ამ დანიშნულებით აჭარაში მზადდებოდა კორკოტი. მთიან აჭარაში კორკოტი, ძირითადად, შვიდი სხვადასხვა სახის მარცვლეულისა და რძისაგან დამზადებული ერთგვარი ფაფაა. მისი ძირითადი კომპონენტია ხორბალი, რომელსაც ურევდნენ ყველანაირ მარცვლეულს,

რასაც საკვებად იყენებდნენ: სიმინდს, ბრინჯს, ღომს, ქერს, შვრიას, სხვადასხვა მწვანილის თესლს და სხვ. მაგრამ იკრძალებოდა ხორბალთან ერთად მწარენაყოფიანი მცენარის, მაგალითად, წიწაკის თესლის მოხარშვა. ამ კერძში აუცილებლად შეიდიოდა სახის მარცვალი უნდა ყოფილიყო, რადგან საკრალური მნიშვნელობა ენიჭებოდა არა მხოლოდ მარცვლეულის ჯიშს, არამედ რაოდენობასაც. ხშირად კორკოტში დებდნენ ბეჭედს ან მონეტას. მას, ვისაც კორკოტის ჭამისას ბეჭედი შეხვდებოდა – ბედნიერებას უწინასწარმეტყველებდნენ, ხოლო მონეტის შემთხვევაში – გამდიდრებას.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხორბლისაგან მზადდებოდა მსგავსი კერძები, რომლებიც, გარდა კორკოტისა, ჭანტილის/წადილის სახელწოდებითაც იყო ცნობილი. ჭანტილი მზადდებოდა შემდეგნაირად: შობის წინა დღეს, მზის ამოსვლისას ხარშავდნენ პურის კაკალს. შიგ ჩაყრიდნენ ყველანაირ მარცვლეულს სამ-სამ ცალს. მოხარშულ ჭანტილს დადებდნენ გობზე. ოჯახის უფროსი ქალი გობს კერასთან სამჯერ შემოატარებდა და დაილოცებოდა: “ღმერთო, რამდენი კაკალიც ესაა, იმდენი თეთრი და ქონება და კოდი პური მოგვეცეო”. ჭანტილის ნახარშ ქაფს ან თვით ჭანტილს ყველანაირ ხეხილს მიაცხებდნენ. ოთახის ოთხივე კუთხეში სანთელს აანთებდნენ. რომელ მხარესაც ადრე ჩაქრებოდა, იმ მხრიდან ცუდ მოსავალს ელოდნენ (ბრეგაძე ნ. 1969, 227). ხვინა-თესვის დროს რაჭა-ლეჩხუმში სცოდნიათ 9 თავი მარცვლის ერთად არევა, მოხარშვა და ჭამა. ამ კერძს წანდილს ეძახდნენ. ის ძირითადად ხორბლისაგან მზადდებოდა, მაგრამ მასში ურევდნენ სხვადასხვა პურეულის სამ-სამ მარცვალს (ბრეგაძე ნ. 1964, 126). კორკოტის მოხარშვის ჩვეულება გაზაფხულზე, თესვის დაწყებასთან დაკავშირებულ ღილაშუენეს დღეობაში დასტურდება სვანეთშიც, მულახის თემში. იგი მზადდებოდა მოხარშული ხორბლისაგან, რომელსაც ურევდნენ ქერს, ცერცვს, მუხუდოს, ოსპს (ბარდაველიძე ვ. 1953, 63).

ლაშხეთში შობის წინა დღეს, ჭანტილობას, რომელიც უქმე დღე იყო, დილით სახლის უფროსი მანდილოსანი ჩადგამდა ხორბალს და სადამოსთვის ამზადებდა კორკოტს – ჭანტის, რომელსაც მარცვლეულის, ბარაქიანობის, კერიის მფარველი ღამარიას სახელზე შეწირავდა (ალავერდაშვილი ქ. 2002, 63). მარცვლეულის ამგვარი საკრალური დანიშნულებით გამოყენება ხშირად გვხვდება არა მხოლოდ საწესო კერძებში, არამედ ზოგიერთ რიტუალშიც. მაგალითად, ნაყოფიერების სიმბოლოს დატვირთვა ჰქონდა მარცვლეულს აჭარაში საახალწლო წეს-ჩვეულებებშიც: ახალი წლის ღამეს დიასახლისი მარცვლეულს აპნევდა როგორც ოთახის კუთხეებში, ასევე საახალწლო სუფრაზეც. ამ სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოხარშული კვახი. ხშირად კვახს ტაბლაზევე დაჩეხავდნენ, რომ მისი თესლი სუფრაზე დაყრილიყო. ეს სიუხვისა და ბარაქის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობად ითვლებოდა. ახალ წელს ბოსდობის რიტუალის შესრულებისას კაცი საქონელს ირგვლივ შემოუვლიდა და მარცვალს მიმოფანტავდა, ან კიდევ საქონელს მარცვალს აჭმევდა, ახორში ბრინჯს, სიმინდს ხაპის გულს მოაპნევდა – “ბერექეთი იყოსო!” (შამილაძე ვ. 1971, 31). ამგვარად, მარცვალი, თესლი, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო, იწვევდა სიუხვის ასოცია-

ციებს და საახალწლო რიტუალში გამოიყენებოდა მოსავლიანობისა და სიუხვის უზრუნველსაყოფად.

კორკოტან დაკავშირებული რიტუალებიდანაც ჩანს, რომ მარცვლეულის სარიტუალო კერძები მიწის ნაყოფიერების, ბარაქისა და სიუხვის დაბეგებისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ, ამავე დროს, მათი დამზადების ზოგიერთი ტრადიცია ამ კერძის განსხვავებულ დანიშნულებაზეც მიუთითებს. მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმში შობის წინა დღეს – 6 იანვარს (24 დეკემბერი), რომელსაც “პურეულის ეანების ღოცვის დღეს” უწოდებდნენ, კორკოტს პურეულის მოსავლისათვისაც ამზადებდნენ და მიცვალებულთა სულისათვისაც (მინდაძე ნ., აბაკელია ნ. 1988, 45). აჭარაშიც სწამთ, რომ კორკოტის მომზადება გარდაცვლილ წინაპართათვის “მადლია, მიცვალებულებს მიეგებებათ”. კორკოტის დანიშნულების ამგვარი გააზრება სრულებით არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან, როგორც ცნობილია, მარცვლეული, როგორც რიტუალური სიმბოლო, უშუალოდ დაკავშირებული მიწასთან, რომელიც, ამავე დროს, მიცვალებულთა ადგილსამყოფელიცაა. ამიტომ მარცვალი, როგორც ზესკნელისა და ქვესკნელის დამაკავშირებელი სიმბოლო, რომელიც თავის თავში მოიცავს კვდომასაც და აღორძინებასაც, მიწის მოსავლიანობასა და ნაყოფიერებასაც უკავშირდება და მიცვალებულებსაც, რადგან ხალხური რწმენით, თესლის გაცოცხლება-აღმოცენება, ზრდა-განვითარება და სიმწიფე დედამიწისა და მისი ქვეშეთის ბინადართა ნებაზეც არის დამოკიდებული (ოჩიაური თ. 1987, 11). ამიტომაც მიცვალებულის კულტმსახურების დღეებში მათი სულისათვის მზადდებოდა მარცვლეულისაგან გარკვეული სახის კერძები (წადილი, ფლავი) ან მარცვლეულის სართიანი (ცერცვიანი, ღობიანი) რიტუალური პური. წადილი/კორკოტი/ჭანტილი/კოლიო გარდაცვლილ წინაპართა სულებისათვის განკუთვნილი საკურთხის ერთ-ერთ მთავარ კერძს წარმოადგენდა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მზადდებოდა “გარდაცვლილთა სულების გაცილების”, იგივე “სულის გადაბრძანების” რიტუალისათვის (Абакелия Н. 1991, 36-38).

კორკოტი/წადილი/ჭანტილი ქრისტიანული სარწმუნოებისათვისაც კარგადაა ცნობილი და მიუხედავად იმისა, რომ დღეს იგი მიცვალებულთა სულებისათვის განკუთვნილ საწესო კერძად აღიქმება, ეკლესია მას ყოველწლიურად დიდმარხვის პირველი შვიდეულის შაბათს აკურთხებს მორწმუნეთათვის წმ. თეოდორე ტირონის ხსენების დღესასწაულზე. გადმოცემით, უსჯულო მეფე იულიანე განდგომილმა გადაწყვიტა დიდმარხვის პირველ კვირიაკეს ბაზარში პროდუქტებისათვის ნაკერპევი სისხლი ეპკურებინა, რათა ქრისტიანები ფარულად შეეხილწა. მაშინ სწორედ დიდმოწამე თეოდორე ტირონი გამოეცხადა მთავარეპისკოპოს ევდოქსის და ურჩია, მრევლს არ ეყიდა ბაზარში სანოვაგე და ეჭამათ მხოლოდ კოლიო – თაფლთან ერთად მოხარშული ხორბალი. სწორედ ამ მოვლენის აღსანიშნავად და თეოდორე ტირონის პატივსაცემად აკურთხებს მართლმადიდებლური ეკლესია კოლიოს – წადილს, კორკოტს მორწმუნეთათვის, მაგრამ ტრადიცია მას მაინც მიცვალებულთა აკავშირებს. როგორც ვხედავთ, კორკოტი, წადილი მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელიც იყო და მიწის ნაყოფიერებასაც უკავშირდებოდა,

რაც სრულიად არ უნდა იყოს შემთხვევითი. ცნობილია, რომ მიცვალებულისა და მიწის კულტები მსოფლიოს მრავალი ხალხის რწმენაში მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. საქართველოში გავრცელებული რწმენითაც მიცვალებულ წინაპრებს შეეძლოთ ზეგავლენა მოეხდინათ ცოცხლების ყოფაზე, მიწის ნაყოფიერებაზე, ეშუამდგომლათ შესაბამის ღვთაებებთან და გამოეწვიოთ მათი თანადგომა. ამიტომაც მიცვალებულთა სულებისათვის განკუთვნილი დღესასწაულები უხვად ატარებს ბუნების აღორძინების დღეობების ნიშნებს (ბარდაველიძე ვ. 1953, 60-62; სახოკია თ. 1964, 176; გიორგაძე დ. 1976, 126; გიორგაძე დ. 1984, 129). მცენარეული სამყაროსა და მიცვალებულთა სულების ურთიერთობის რწმენაზეა დაფუძნებული სულთაკრეფის დღეს ეზოსა და საფლავზე ხორბლის მოყრა და მიცვალებულის სულისათვის ხვავისა და ბარაქის შევედრება. ასევე ტრადიციული იყო მიცვალებულის კულტმსახურებაში მარცვლეულისაგან დამზადებული კერძის (ფლავი, წადილი) შეწირვა (ბერიაშვილი ლ., გოცირიძე გ. 1988, 74) ან დაკრძალვამდე მიცვალებულის თავთან “მგბარი” (მოხარშული) ან უმგბარი ხორბლის დადგმა. ამ ხორბლის ნაწილი შემდგომ წანდილად იხარშებოდა, ნაწილს კი საფლავში ყრიდნენ (გიორგაძე დ. 1987, 11). სამგლოვიარო სუფრაზეც ყველაზე უმთავრესი და აუცილებელი რიტუალური საკვები “მგბარი” ხორბალი, წანდილი, იგივე კორკოტი (გოცირიძე გ. 2002, 147). მიცვალებული, უძველესი ხალხური შეხედულებების თანახმად, მოკვდავ და აღდგენად ღვთაებებთანაა გაიგივებული და ის აგრარული კულტების იერსახეს წარმოადგენს. მიცვალებულთა სულებისათვის განკუთვნილი კორკოტიც მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებების სახელზე განკუთვნილი რიტუალური საკვები უნდა იყოს (სურგულაძე ი. 1978, 78-82).

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ აჭარაში გავრცელებულ კიდევ ერთ კერძზე, რომელიც ასევე მარცვლეულის კულტს უკავშირდება. ეს კერძი ექსშაშის ანუ აშურას სახელით იყო ცნობილი. იგი მზადდებოდა 7 სახის მარცვლეულის, ხაპისა და ბეთმეზისაგან (გასქელებული მსხლის წვენი). აშურა საგანგებოდ შემზადებული წვნიანი საჭმელია, რომელშიც უნდა იყოს თითო ან ორი მარცვალი იმ თესლისა, რასაც ადამიანი თესავს: ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი, მხალი, ქინძი, ქერი, ფეტვი და სხვა. როგორც ვხედავთ, აშურა მუსლიმანური სამყაროსათვის დამახასიათებელი კორკოტის მსგავსი სარიტუალო კერძია. დანიშნულებითაც იგი დიდ მსგავსებას ავლენს კორკოტთან. ეს რიტუალური კერძი ჰიჯრის პირველი თვის – მუჰარამის პირველ ათდღიურში - აშურას მთვარეზე, ამავე სახელწოდების დღესასწაულისას მზადდებოდა. ესაა შიიტების სამგლოვიარო დღესასწაული, მიძღვნილი 680 წელს ქერბელასთან დაღუპული მესამე იმამის ჰუსეინის ხსოვნისადმი. ეს დღესასწაული ხალხში შახსეი-ვახსეის სახელითაა ცნობილი, მუსლიმანურ ქვეყნებში ამ დღეს ეწეობა მისტერიები, მორწმუნეთა თვითგვემა, ყურანის კითხვა. მსგავსი რიტუალები აჭარაში არ ფიქსირდება, აქ აშურა მხოლოდ კერძის სახელწოდებაში შემოგვრჩა. თუმცა გარდა სახელწოდებისა, იგი არანაირ კავშირს არ ამჟღავნებს აღწერილ რიტუალთან. უფრო მეტიც, აშურას დღესასწაულისას ასეთი სახის სარიტუალო კერძის

დამზადების ჩვეულება არაა დამახასიათებელი ზოგადად მუსლიმანური სამყაროსათვის. თუმცა, სხვა დროს, განსაკუთრებით ახალ წელსა და საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებისას, ამზადებდნენ მარცვლეულის რიტუალურ კერძებს. მაგალითად, მუსლიმანური ახალი წლის – ნავროზობის დროს ასეთივე კერძი მზადდებოდა შუა აზიის მიწათმოქმედ ხალხებში. ეს კერძი ცნობილი იყო გუჯას სახელწოდებით (Древние обряды, верования и культы народов Средней Азии, 1986, 15). მსგავს კერძს ამზადებდნენ უზბეკებიც. იგი სუმალიაკის სახელით იყო ცნობილი (Снесарев Г.П., 1960, 212). აჭარაშიც აშურას დროს მარცვლეულის საწესო შეჭამანდის დამზადება შესაძლოა მოგვიანებით დაუკავშირდა შიიტურ სამგლოვიარო რიტუალს, თვითონ კერძის დამზადების ტრადიცია კი უძველესი ხანიდან მომდინარეობს. ხალხური გადმოცემებიც მიუთითებს მის არქაულობაზე: წარღვნის შემდეგ, როცა ნოეს კიდობნიდან ცოცხლად გადარჩენილები ხმელეთზე გადმოსულან, ნოეს (აჭარაში მას ნუხ ფეილამბერს ეძახიან) ბრძანებით შეუგროვებიათ ყველანაირი თესლის მარცვალი და მოუმზადებიათ მათგან საჭმელი - აშურა. ეს კერძი მზადდება აშურას მთვარის მე-10 დღეს. აშურ არაბულად ათს ნიშნავს. კერძის სახელწოდებაც აქედან უნდა მომდინარეობდეს. დღეს მისი რიტუალური დანიშნულება მივიწყებულია. ამ კერძის დამზადებით ადამიანები ცდილობენ ბარაქის დაბეგვას (ნოღაიდელი ჯ. 1971, 61-62). თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მუსლიმანებიც ამ კერძს ნუხ ფეილამბერის (ნოე წინასწარმეტყველის) სახელთან აკავშირებენ და თვლიან, რომ ეს იგივე კორკოტია, რომელიც ნოემ წარღვნიდან მეათე დღეს დაამზადა კიდობანის ბინადარი ყველა სულიერის მიერ მოტანილი სხვადასხვა მარცვლეულით, რაც კიდობანში იყო დარჩენილი და ამ საკვებმა გადაარჩინა შიმშილისაგან ნოეს ოჯახიცა და საქონელ-ფრინველიც. აქედან დარჩენილა ეს ადათიც (ფუტკარაძე შ. 1993, 58-59). მეტიც, აშურას ანუ ექსშაშის მსგავსი კერძების (გუჯა, სუმალიაკი) დამზადების წესი მუსლიმანურ სამყაროშიც არქაული რიტუალებიდან უნდა იყოს გადასული. სხვადასხვა სახის პარკოსნებისა და მარცვლეულისაგან დამზადებული ასეთივე სახის კერძი უძველეს დროში აპოლონისა და დემეტრას მთავარი შესაწირავი იყო. მსგავს კერძს ამზადებდნენ სლოვაკები, ბერძნები, ბულგარელები, იტალიელები რუმინელები, ინგლისელები და სხვ. (Календарные обычаи и обряды в странах Зарубежной Европы, 1983, 164).

ყველა აღწერილი სარიტუალო კერძი, როგორც ითქვა, 7 სხვადასხვა სახის მარცვლეულისაგან მზადდებოდა, რადგან საერთოდ, რიტუალურ კერძებში მაგიურ რიცხვებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომაც მათ ამზადებდნენ არა მხოლოდ გარკვეული რაოდენობით – 3,7,9, რაც რიცხვების მაგიური დანიშნულების რწმენის გამოხატულებაა, არამედ მათში უნდა ყოფილიყო მაგიური რიცხვების პროდუქტი. მიტომ უნდა იყოს კორკოტში, აშურაში შვიდი სახის მარცვლეული. საკრალურ მარცვლეულთან ერთად რიცხვების მაგიასაც უნდა ემოქმედა და გამოეწვია მოსავლიანობა, ოჯახის კეთილდღეობა.

ამგვარად, მარცვლისაგან დამზადებული რიტუალური კერძები განკუთვნილი იყო ერთი მხრივ მოსავლიანობის, ბარაქის, სიუხვის და მიწის ნაყოფიერების მფარველი მოკვდავი და აღდგენადი აგრარული ღვთაებებისათვის, ხოლო მეორე მხრივ – მიცვალებულთა სულებისათვის, რომელთაც, ხალხური რწმენით, შეეძლოთ ევნოთ ან კეთილისმოქმედი გავლენა ჰქონოდათ ცოცხლებზე. უზრუნველყოთ მარცვლეულის აღმოცენება, მიწის მოსავლიანობა, ნაყოფიერება. ამიტომ მარცვლეულისაგან დამზადებული სარიტუალო კერძები მიცვალებულის კულტმსახურების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. მარცვალს ამ კერძებში გარკვეული საკრალური დატვირთვა ჰქონდა, რადგან იგი არქაული მსოფლმხედველობით გააზრებული იყო, როგორც ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლი ადამიანურ და ხტონურ სამყაროებს შორის, ვეგეტატიური სიმბოლო, რომელიც თავის თავში მოიცავდა დროის ციკლურობას და ამავე დროს იყო აღორძინებული, განახლებული სამყაროს გამოხატულებაც.

Тамила Ломтатидзе

**Сакральное значение зерна в ритуальных блюдах
(По этнографическим материалам Аджарии)**

Резюме

В этнографическом быту Аджарии сохранился не один аспект сакрального значения зерна. На сей раз, мы обратим внимание на сакрализацию зерна в ритуальных блюдах. Зерно рассматривается в верованиях грузин как вегетативный символ плодородия, изобилия, который является выражением обновленного, возрожденного мира. Поэтому ритуальные блюда из зерна часто фигурируют в календарных обычаях и обрядах. В Грузии из зерна готовили ритуальную кашу (цадили, плави....) или ритуальные хлеба с разными начинками из злаков (бобовые, рис...). Такие блюда готовили во время посевных работ, сбора урожая. Назначение таких блюд - обеспечение урожайности и плодородия Земли. В этнографическом быту Аджарии сохранилось блюдо такого назначения – «коркоти» - каша из семи разных злаков. По преданию, коркоти готовится ради обильного урожая и блага семьи, но верят и в то, что коркоти – благодеяние для душ умерших. По этому эту кашу готовят в специальные поминальные дни, предназначенные для умиловления умерших предков, у которых испрашивали содействия в полевых работах и изобилия тех злаков, которые употребляли в ритуальной еде. Эти обычаи образовались на почве веры существования внутренней связи между миром растений и умершими, которые по архаическим взглядам являлись разновидностью аграрных культов и были возведены в ранг умирающих и воскрешающихся божеств. Зерно, в этом случае, рассматривается, как связующее звено между человеческим и хтоническим миром и символизирует их неразрывную связь.

**Sacred Meaning of Grain in Ritual Dishes
(Ethnographical Reality of Adjara)**

Summary

Ethnological studies in Adjara have elucidated a number of aspects of using grain in sacred rituals. Currently, we will review one aspect of this tradition, symbolic use of grain in ritual dishes. Georgians have regarded grain as a symbol of productivity, abundance, fertility, and this is why it was used in dishes for depicting productivity and fruitfulness. Furthermore, grain was believed to link the human and chthonic worlds as a kind of vegetative symbol that enveloped in it time cycles and at the same time expressed regenerated, revived world. That is why grain as a ritual symbol is closely linked to productivity and fruitfulness as well as to the dead. According of the Georgians' belief departed people could affect living ones, land fertility, mediate between relevant deities and stimulate their support. Therefore, in certain days on behalf of the departed souls special grain dishes were made (Korkoti, Ashura), that served as a funeral repast of the deceased and ritual dishes for mortal, restored and agrarian deities.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აღავერდაშვილი ქ. ზოგიერთი რიტუალური პურის სიმბოლიკა ახალი წლის ციკლის დღესასწაულებში ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით (სვანეთი). კრ.: ოჩხარი, თბილისი, გამომცემლობა მემატიანე, 2002.
2. ბარდაველიძე ვ. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953.
3. ბერიაშვილი ღ., გოცირიძე გ. ქართლის 1985-86 წლების ექსპედიციის მუშაობის ანგარიში. კრ.: საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1988.
4. ბრეგაძე ნ. მემინდერობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები რაჭა-ლეჩხუმში. კრ.: მაცნე (ისტორიის სერია), 2, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964.
5. ბრეგაძე ნ. მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 1969.
6. გიორგაძე დ. მიცვალებულთა კულტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 1976.
7. გიორგაძე დ. ახალი წლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. კრ.: მაცნე (ისტორიის სერია), 2, თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 1984.
8. გიორგაძე დ. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 1987.
9. გოცირიძე გ. საწესო სუფრების ისტორიიდან – სამგლოვიარო სუფრა. კრ.: ოჩხარი, თბილისი, გამომცემლობა მემატიანე, 2002.
10. მინდაძე ნ., აბაკელია ნ. რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში. კრ.: საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 1988.

11. ნოღაიდელი ჯ. ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი, გამომცემლობა “საბჭოთა აჭარა”, 1971.
12. ონიაური თ. დაკრძალვის წესები ქართლში ძველად და ახლა. თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 1987.
13. სახოკია თ. მიცვალებულის კულტი სამეგრელოში. თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 1964
14. სურგულაძე ი. ქართველთა აგრარული რწმენა-წარმოდგენების ისტორიიდან (მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებები). კრ.: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XIX, თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 1978.
15. ფუტყარაძე შ. ჩვენებურების ქართული. ბათუმი, აჭარის უერნალ-გაზეთების გამომცემლობა, 1993.
16. დამბაშიძე ნ. შობის დღესასწაული ერწო-თიანეთში. კრ.: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIII, თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 1987.
17. შამილაძე ვ. აგრარულ-რელიგიური დღესასწაულების ისტორიიდან. კრ.: აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971.
18. Абакелия Н. Миф и ритуал в Западной Грузии. Тбилиси, Издательство Наука, 1991.
19. Древние обряды, верования и культы народов Средней Азии, Историко-этнографические очерки. М., Издательство Наука, 1986.
20. Календарные обычаи и обряды в странах Зарубежной Европы, исторические корни и развитие обычаев. М., Издательство Наука, 1983.
21. Снесарев Г.П. Реликты домусульманских верований и обрядов у узбеков Хорезма. М., Издательство Наука, 1960.

თამაზ ფუტყარაძე

მარცვლეულის გასალეწი და გასანიაგებელი იარაღ-მოწყობილობანი შავშეთში

ისტორიული ქართული პროვინცია შავშეთი ამჟამად თურქეთის პოლიტიკურ საზღვრებშია მოქცეული და ართვინის ვილაიეთის შემადგენელი ნაწილია. მკვიდრმა შავშელებმა საკუთარ სამშობლოში, მაგრამ უცხოური რეჟიმის, სრულიად განსხვავებული, არამონათესავე ეთნიკური ჯგუფების მეზობლობა-გარემოცვის პირობებში შეძლეს შეენარჩუნებინათ ქართული ყოფისა და კულტურის ზოგადქართული თავისებურებები, ხელიდან არ გაუშვიათ ტრადიციული გუთანი და თოხი, ამრავლეს მარცვლეულის ადგილობრივი ჯიშები, სათუთად შეინახეს მარცვლეულის მოვლა-მოყვანის ძველქართული წესები, თაობიდან თაობას გადასცეს ქართული ხორბლის თესლი, შეინარჩუნეს ძველი ქართული სამეურნეო ტრადიციები.

შავშელთა სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული მასალებით ირკვევა, რომ მათ მემინდვრობაში დღემდეა შემონახული ხორბლეულის ისეთი ძველი ჯიშები, როგორიცაა: ქერი, ბუდაი, თეთრი, ჭვავი, წმინდა, დოლის პური და ა.შ. ამის დასტურია მემინდვრობასთან დაკავშირებული სამეურნეო ტოპონიმების (კალო, ნაკალიევა, ჭუავის საგორებელი, ნაკოდი კალო, დოლიანთა, ნაკალევეთი . . .), შრომის იარაღების (მერული, კეკრი, არუნაი, ფორჩხი ...), მოწყობილობების (ხვაგი მაქინა), სამეურნეო ნაგებობების (საბზელი) და სხვათა არსებობა.



ფარცხი (ფორჩხი)

პრაქტიკული სამეურნეო და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით სპეციალისტთა ყურადღებას იქცევს კეკრი. ჩვეულებრივ, კეკრი

არის ერთ, ორ და სამფიცრიანი. განასხვავებენ კევრის თრიალეთურ და ქართულ სახესხვაობებს (გასიტაშვილი გ. 1985, 78). ქართული კევრი თავიანთი, თრიალეთური კი – ბრტყელი, ოდნავ თავახრილი. ამის გამო კალოზე ლეწვის დროს ქართული კევრი ნამჯას არ იხვეტავდა, თრიალეთური კი პირიქით, რის შედეგადაც ლეწვა რამდენადმე ძნელდებოდა (გასიტაშვილი გ. 1985, 78). თავისი აგებულებით ქართულს ჰგავს შავშეთური კევრი, რომელიც ქართული კევრის სახესხვაობაა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი ერთფიცრიანია.

შავშეთური კევრი წარმოადგენს 1 -1,5 მ. სიგრძის ფიცარს, რომლის წინა ნაწილი მარხილის საცურავის მსგავსად არის ამოღუნული, თავახრილი. საკევრედ არჩევენ წაბლის, თელის, ნაძვის, იფნის ხის ჯიშებს. იმერხევში უპირატესობას ანიჭებენ ნაძვის ხეს, როგორც დასამუშავებლად შედარებით ადვილ მასალას. შესაბამისად ხდებოდა უროკო ხეების შერჩევა. ფიცრის სისქე იყო 5-7 სმ. მისი ქვედა ზედაპირი იხვრიტებოდა 3-3,5 სმ-ის სიღრმეზე, რომელშიც ჩაეწყოთოდა კაჟის ქვები. რაც უფრო მეტი ნახვრეტი ჰქონდა კევრს, მით უფრო კარგი იყო ლეწვის ხარისხი. შავშურ კევრს დაახლოებით 250 ნახვრეტი მაინც აქვს.

საკევრე მასალას ოდნავ შეაშრობდნენ. მისი გახმობა არ შეიძლებოდა, რადგან ლეწვისას ხე ვერ დაიჭერდა კაჟის ქვებს (ქართულ ეთნოლოგიურ ყოფაში მას კოხებს ეძახიან). მისი გათლა იწყებოდა მსხვილი თავიდან. გამძლეობის ხარისხის ასამაღლებლად საკევრე მასალას ცეცხლის ალზე მოტრუსავდნენ. შემდეგ აღნიშნავდნენ კაჟის ქვების ჩასაწყობელ (საკოხე) ადგილებს ისე, რომ ქვები ერთ რიგში მოხვედრილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ლეწვისას კევრი თავთავს აიხვეტავდა. ხმარების დროს ზოგჯერ კაჟი ცვდებოდა, ამიტომ დროდადრო კევრს პირს „მოუკოდავენენ“, განაახლებდნენ და დაკოდილ კევრს წყალს ასხამდნენ, რომ წყლით გაჟღენთილ ფიცარს „ქვები-სათვის მოეჭირა“.

კევრს წინა მხრიდან ჩქნოლით (წკნელი) მიებმება უღლიანი კავი. სიმძიმისათვის კევრზე ჯდებიან კიდევ. იმისათვის, რომ კევრმა ხორბალი „დაჭრას//დააწკრილოს“, ხარები მოძრაობენ წრიულად. გაღეწილ ხორბალს მოყრიან ერთ ადგილზე და ჩაყრიან ბზისა და მარცვლის გასანიავებელ მოწყობილებაში - ხვაჯი მაქინაში.

ქართულ ეთნიკურ სინამდვილეში ხვაჯის გასანიავებლად - მარცვლებისაგან ბზის, ქვების, სარეველების მოსაშორებლად გამოიყენებოდა იარაღები, რომლებიც იყოფოდა 3 ჯგუფად: ა) სანიავებელი ბ) გასაცხავებელ-გასაცხრილავი გ) დასაკაზმავე და დასარკვევი (ჩიტაია გ., ხაზარაძე ბ., 1985, 84).

სანიავებელი იარაღებია: ნიჩაბი, ხელგარცლი, ტაბაკი, საფრიელა//ფეთქი. გასაცხავებელი და გასაცხრილავი აერთიანებს ცხავსა და ცხრილს, ხოლო დასაკაზმავე იარაღებიდან ცნობილია: ტაბაკი, ხელგარცლი, რიჭი, გობი (ჩიტაია გ., ხაზარაძე ბ., 1985, 84 ,85, 91).

შავშეთში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ ჩვენებურები მარცვლეულის გასანიაგებლად იყენებდნენ მოწყობილობას, რომელიც ხვაგი მაქინას სახელწოდებითაა ცნობილი.



„ხვაგი მაქინა“

ეს არის ემპირიული გამოცდილებით შემუშავებული ხალხური ხელსაწყო. ცნობილია, რომ XIX საუკუნის ბოლოს ჩნდება ფაბრიკული წარმოების სანიაგებელი მანქანა, მაგრამ მისი ყიდვის შესაძლებლობა მხოლოდ შეძლებულებს ჰქონდათ, „ხვაგი მაქინის“ გაკეთება კი შესაძლებელი იყო კუსტარულ პირობებშიც. იგი დამახასიათებელი იყო მემინდვრობის მაღალი კულტურისა და ტრადიციების მქონე რეგიონებისათვის.

„ხვაგი მაქინა“ წარმოადგენს ოთხკუთხა ჯარას. მის ზედა-წინა მხარეს არის ე.წ. ხვიმირი-ბზის ჩასაყრელი მოწყობილება დამრეცი ფიცრით. ხვიმირის ბოლოში მოთავსებულია მოძრავი ვიწრო ფიწალი. იგი მოძრაობაში მოჰყავს მბრუნავ ღერძს. ღერძზე დამაგრებულია ფირფიტები, რომელიც ბრუნვისას წარმოქმნის ქარს და აცალკევებს პურის მარცვალს. მარცვალი მიიმეა, ქარი მას ვერ ერევა, ამიტომ იგი ძირში იყრება, ბზეს კი ქარი ცალკე ყრის. მბრუნავი ღერძი მოძრაობაში მოდის ტარის საშუალებით. ფიწალს ქვემოდან აქვს საცერი. მარცვლების უფრო სუფთად გასარჩევად საცერი ხშირად იცვლება.

ბზის თანდათანობით მისაწოდებლად (საცერში ერთდროულად რომ არ ჩაუშვას) ხვიმირს ჩაუდებენ პატარა ფიცარს, რომელსაც თახთახ უწოდებენ.

ყურადღებას იქცევს გასაღეწ-გასანიაგებელ მოწყობილობებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია: ჩქნოლი, დაწკრილვა (დაჭრა), ხვაგი მაქინა, ხვიმირი, ფიწალი და ა.შ. როგორც ტერმინოლოგია, ისე სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული იარაღი-მოწყობილობანი და ყოფითი თავისებურებანი ნათელყოფს, რომ შავშეთი საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან ერთად წარმოადგენდა ერთ სამეურნეო-ეკონომიკურ ერთეულს. ისტორიის სიდრმეში ჩამოყალიბებული ქართული სამეურნეო ერთეულებიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველო გარკვეული პერიოდის განმავლობაში უცხო

სახელმწიფოს საზღვრებში აღმოჩნდა, ხოლო ისტორიული ტოკლარჯეთი დღესაც მეზობელი სახელმწიფოს შემადგენლობაშია, მაგრამ ჩვენებურებმა მაინც მოახერხეს ქართული სამეურნეო ყოფითი თავისებურებების შენარჩუნება. ესეც იყო ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის გზა და შეესაბამებოდა ქართველობის შენარჩუნების ინტერესებს.

Тамаз Путкарадзе

Специфические технологические орудия обработки зерна в Шавшети

Резюме

Историческая провинция Грузии-Шавшети, в настоящее время находится в территориальных пределах Турции, местное грузинское население, даже в условиях иноэтнического окружения, смогло сохранить национальную самобытность, подтверждением чего является широкий терминологический спектр орудий труда, используемый в хозяйственной деятельности.

В статье рассматриваются специфические орудия «кеври» и «хვაви макина», используемые в технологических процессах обработки зерна.

Tamaz Phutkaradze

Threshing and Airing toois of grain in Shavsheti

Summary

Georgian historical province of Shavsheti is included in the territory of modern Turkey. The Georgian living there despite of their contacts with unrelated ethnic groups have kept national individuality. The clear example of that is their economic activity, means of labour, terminology etc. There is a discussion of such threshing and airing tools as „Kevri”, „Khvavi maqina” in the article. As we think they are similar to the tools and equipments with analogous functions.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გასიტაშვილი გ. კვერი. – საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მემინდვრობა, თბ.1985.
2. ჩიტაია გ., საზარაძე ბ. მარცვლეულის გასანიავებელი იარაღები. – საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მემინდვრობა, თბ.1985.

Капустина Е.Л., Солоненко М.В.

АШУРА В ДЕРБЕНТЕ: СПЕЦИФИКА «ИСЛАМСКОГО ВОЗРОЖДЕНИЯ» И ИДЕНТИЧНОСТЬ ШИИТСКОЙ ОБЩИНЫ СКВОЗЬ ПРИЗМУ РЕЛИГИОЗНОГО СОБЫТИЯ

В современной литературе, посвященной религиозной ситуации на Северном Кавказе, процессы, начавшиеся в мусульманской среде в канун распада СССР и в первые десятилетия новой России, обычно называются «возрождением ислама», хотя некоторые исследователи считают этот термин некорректным и предпочитают использовать выражение «легализация ислама» (Малашенко А., 2007, 14.). Однако, следует отметить сложность и противоречивость этого явления: возрождение ли это традиционных для региона форм ислама, или возникновение новых. Дербент, один из крупнейших городов в Дагестане, привлекает внимание исследователей тем, что вышеозначенное явление проходит здесь на фоне сложной этнической и конфессиональной картины.

С древнейших времён Дербент являлся одним из крупнейших культурных и экономических центров Кавказа. С XVI века в Южном Дагестане укрепляется шиитский ислам. В Дагестане шиизм так и остался локализован внутри древних крепостных стен Дербента, в азербайджанском квартале - Магале. На сегодняшний день это единственный в России город, где компактно проживает шиитская община. Некогда азербайджанцы-шииты составляли большинство в городе, хотя помимо них в Дербенте проживали евреи, армяне, русские, персы. Во второй половине XX века ситуация изменилась: население Дербента становится еще более пестрым за счет переселения лезгин, агулов, табасаранцев и других народов Дагестана, и соответственно увеличивается количество мусульман-суннитов в городе. Согласно переписи 2002 г., в Дербенте проживает 101 тысяча жителей, из них 31,6 % - азербайджанцы, от 80 до 90 % которых составляют шииты (Шахбанов М., 2002.). Таким образом, шииты уже не составляют реального большинства в городе.

В статье речь пойдет о том, как происходит процесс «исламского возрождения» в шиитской общине Дербента на примере самого значимого для шиитов религиозного события года – Ашуры, а также то, как Ашура влияет на формирование идентичности общины.

Ашура – дни поминовения имама Хусейна, сына Али, внука Пророка Мухаммада, убитого вместе со своими сторонниками в 680 году в битве с войсками халифа Язида при Кербеле. Ежегодно в первую декаду месяца *мухаррам* (первый месяц мусульманского календаря) шииты поминают своего убитого имама. Это и есть Ашура – «декада траура», от арабского слова «ашара» - «десять». Как и все остальные даты лунного календаря, она наступает каждый год на 10-11 дней раньше, чем в предыдущем (Сеидова Г., 2007, 115). Ашура – это комплекс обрядовых действий, которые направлены на символическое проигрывание и коллективное воспоминание тех событий.

В этот период каждый вечер в джума-мечети проходят меджлисы (собрания), каждый из которых посвящен определенному сюжету трагедии в Кербеле. Порядок следования отдельных меджлисов неизменен: общая молитва, поминание Пророка, 12-ти имамов, известных алимов прошлого, проповедь ахунда – духовного лидера общины. В промежутках между его выступлениями чтецы из числа верующих – роузехани - исполняют мерсия – стихи, описывающие страдания мучеников. В эти дни по улицам Магала шествуют процессии с черными знаменами-алямами. Они сопровождаются шествиями групп молодых шиитов «зинжир-дюган» (молодых людей, бьющих себя плетками из железных цепей) и «синя-дюган» (бьющих себя ладонью в грудь). Эти процессии организуются отдельными людьми по обету – назиру.

Вершина траура – девятый («тасуа») и особенно десятый («ашура») дни. Вечером 9 дня все население Магала собирается на меджлис. После него в отдельных дворах кварталов проводится обряд «баш чапан», более известный как «шахсей-вахсей» (от иранского «Шах Хусейн, вах Хусейн!» - «Царь Хусейн, о Хусейн»). По обету мужчины острием кинжала делают себе несколько надрезов на темени. И «шахсей-вахсей», и выступления «зинжир-дюган» являются символическим знаком раскаяния и скорби. Согласно преданию, жители иракского города Куфа, не оказавшие обещанную поддержку отряду Хусейна, встретили пленников из семейства Пророка плачем и самоизбиением, положив начало этим обрядам.

После этого глубокой ночью жители Магала отправляются на берег Каспийского моря, где кидают в воду заранее написанные ахундом записки на арабском языке и загадывают желания. В эту ночь в знак сопереживания мученикам верующим нельзя спать. Под утро (по преданию, Хусейн погиб на рассвете) все опять собираются во дворе мечети, из которой выносят портрет Хусейна. После этого мужчины собираются на старом кладбище у источника «дюль-дюль Али», повторяют обряды «шахсей-вахсей», бьют себя цепями. К полудню на кладбище приходят женщины, раздают сладости (во исполнение желаний). Вечером этого дня снова идут в мечеть на поминальный меджлис. На этом активная фаза Ашуры завершается и начинается 40-дневный траур, в течение которого запрещены увеселения (свадьбы, дни рождения и т.д.), многие носят чёрные одежды, не смотрят развлекательные телепрограммы.

Традиция отмечаия Ашуры в Дербенте хотя и сохранилась к настоящему времени, тем не менее претерпела некоторые изменения на протяжении всего XX века. Так, к 1948 году исчезли яркие экзальтированные театрализованные представления («шабих»), повествующие о событиях в Кербеле и похоронах погибших. В 30-е годы XX века отмечаия Ашуры, как и других религиозных мероприятий оказалась под угрозой: было запрещено празднование религиозных праздников, джума-мечеть поначалу хотели взорвать, затем разместили в ней тюрьму; были репрессированы алимы, ученые-арабисты.

С 1950-х годов джума-мечеть вновь открыта для верующих, однако во время Ашуры за ее посещением осуществлялся строгий контроль. Особенно был строг запрет на посещение мечети в Ашуру детьми – за этим вынуждены были следить учителя местной школы. Обряд «шахсей-вахсей» проводился «тайно»: ночью на кладбище, в частных домах, в крепости Нарын-Кала.

В 1990-е годы религиозная политика в стране изменилась. В условиях появившейся религиозной свободы строятся мечети, медресе, в молодежной

среде престижным становится исламское образование, тысячи верующих совершают хадж в Мекку. В шиитском квартале Дербента также открылось свое медресе, сотни молодых людей направились изучать исламское богословие в иранские университеты.

Вместе с этим в республиках Северного Кавказа в последние два десятилетия наблюдается процесс, названный в литературе фундаментализмом. Первоначально, религиозными фундаменталистами называли тех, кто защищает все традиционное, выступает против «разбавления и выхолащивания религиозной доктрины» (Геллнер Э., 1995, 26). Однако, по мнению Э. Геллнера, хотя исламский фундаментализм и ополчается на безверие, но главная область, в которой он проявляет свою активность – борьба со всякого рода простонародными искажениями ислама, с необоснованными предрассудками и незаконными ритуальными дополнениями (Геллнер Э., 1995, 26).

Шиитская община Дербента не является в этом плане исключением. Здесь также появляются люди, по большей части молодёжь, получившая исламское образование в Иране и Ираке, а также шиитские миссионеры из-за границы, которые горят желанием очистить местный ислам от «неправильных» наслоений. Образцом для них, зачастую, является иранский вариант. В этих условиях можно говорить об идеологическом расслоении шиитской общины на приверженцев традиционного, локального ислама и адептов «чистого» шиизма.

Эти противоречия проявляется, прежде всего, в траурную декаду Ашуры. Сторонники локального шиизма ориентируются на традицию предков, это, в основном, люди среднего и старшего поколения, воспринимавшие религиозные догматы через семью и не имеющие духовного образования. Для них важным стало восстановление своих, старинных обычаев и их открытое исполнение – «шахсей-вахсей», самобичевания, поход к святому источнику.

Приверженцы же «чистого» ислама зачастую воспринимают некоторые локальные традиции Ашуры как неправильные, противоречащие нормам ислама. Так, в частности, они выступают против обряда «шахсей-вахсей», критикуя кровопролитие и предлагая заменить обряд сдачей донорской крови (вариант, официально одобренный в Иране). Формально их поддерживает и ахунд, упоминая об этом в своих проповедях на меджлисе. Впрочем, его речь носит лишь рекомендательный характер, что позволяет желающим проводить этот обряд. Другая дербентская традиция Ашуры, которую критикуют «новые шииты» – ночной поход к Каспию в ночь с 9 на 10 день и кидание записок с пожеланиями.

Ж 18 - ... у нас в Дербенте неправильно делают, так как в море все купаются, оно нечистое.

«Сейчас в дагестанском шиизме много народного, многие адаты, противоречащие или не согласующиеся с классическим шиизмом, воспринимаются как его неотделимая часть. Но постепенно образованных людей среди дагестанских шиитов становится всё больше, наша молодёжь только-только возвращается после учёбы из иранских религиозных центров - и народ возвращается к классическому шиизму. В том же, как сейчас отмечают Ашуру, много народных обычаев, к примеру, эти же самобичевания» - так видит ситуацию один из «новых шиитов» (Шахбанов М., 2002). Эта цитата в целом выражает позицию «новых шиитов». Что характерно, помещена она в замет-

ке в республиканской газете: позиция, импонирующая суннитскому большинству Дагестана, в большинстве своем воспринимающему самоистязания шиитов как дикость, не имеющую ничего общего с исламом.

Сторонников «чистого шиизма» можно определить в когорту религиозных фундаменталистов. Однако появление их в Дербенте – не только и не столько следствие мировой тенденции исламского фундаментализма конца XX века, упоминаемой Э. Геллнером. Дело в том, что за годы советской власти, когда религия была фактически вне закона, «традиционные» формы шиизма и, в частности, Ашуры частично исчезли. Поскольку в Советском Союзе было открыто единственное медресе «Мир Араб» в Бухаре, ориентировавшееся, прежде всего, на суннитские масхабы, в общине Дербента практически не осталось людей, получивших исламское образование. Это, а также отсутствие авторитетных духовных лидеров (алимов) в последней трети XX века привело к тому, что к 1990-м годам шиитская община Дербента не имела внутри себя потенциала к ликвидации своей религиозной безграмотности. Единственным источником религиозных знаний стали, прежде всего, иранские духовные учебные заведения, иранские миссионеры, которые, в свою очередь, зачастую пропагандировали именно идеи исламского фундаментализма. В результате, те, кто хотел получить духовное шиитское образование, с тем, чтобы впоследствии поделиться знаниями в своей общине, могли сделать это лишь в рамках доктрин иранского «классического ислама».

Таким образом, складывается ситуация, когда невозможно уже говорить о некой однородной традиции Ашуры в Дербенте. Именно в этот период разногласия между «традиционным» и «классическим» шиизмом проявляются больше всего, так как в другое время религиозные вопросы в общине не столь актуальны: как отмечают информанты, на Ашуру в мечеть приходят даже те, кто никогда не делает это в другое время.

Несмотря на наличие противоречий у обеих групп, стоит отметить, что и «традиционалисты», и поборники «чистого ислама» – лояльны по отношению друг к другу, ограничиваются лишь словесными увещаниями и критикой. Поэтому большим преувеличением было бы говорить о расколе в общине Магала. В этой связи следует рассмотреть вопрос, как сквозь Ашуру горожане воспринимают свою общину, а также свой город и его место на «шиитской» карте мира.

Локальное расселение шиитов в Магале постепенно уходит в прошлое. И хотя многие по-прежнему стараются построить свои новые дома именно здесь, все больше шиитов перебираются в другие районы Дербента. К тому же непростая экономическая ситуация в республике Дагестан в целом вынуждает многих уезжать из города в поисках работы в другие регионы страны. В этих условиях Ашура все же воспринимается как именно событие, так или иначе объединяющее всех шиитов Дербента.

М20 - В шиизме что нас объединяет – это Мухаррам Хусейна. Всегда хоть ты делал намаз, хоть не делал, хоть верующий, хоть не верующий (приходят)» (ПМА. Дербент. 2008).

Подобная функция Ашуры в Дербенте полностью отвечает первоначальному смысловому наполнению этого траурного цикла – сплотить шиитов в борьбе за власть в мусульманской общине в VII-VIII веке (Сеидова Г., 2007, 115). Все основные обряды Ашуры суть воспоминание о событиях 680 года в

Кербеле, они направлены на то, чтобы участники прочувствовали их, методично повторяя их в строгой последовательности.

На Ашуру в Дербенте воссоединяются не только шииты, живущие в разных концах города, но и те, кто разъехался далеко за его пределы. Так неоднократно можно было слышать рассказы о том, что даже живущие в «шиитском» Баку дербентцы приезжают отмечать Ашуру в Дербент. Многие выходцы из Дербента приезжают в родной город лишь один раз в году – и именно на Ашуру: практически все уехавшие стараются оказаться в эти дни в Дербенте.

В связи с этим, безусловно, для членов дербентской шиитской общины важным является «избранность» города, причем именно со стороны общемусульманских и шиитских праведников и лидеров. Например, популярна легенда о посещении Дербента Пророком Мухаммадом (когда Пророк, приняв пищу, стряхнул крошки со скатерти на землю и объявил, что в город всегда будет хлебным местом). Имам Али, чрезвычайно почитаемый шиитами, также, по преданиям, посещал окрестности Дербента: с его именем связывается происхождение священного места – родника «Дюль-дюль Али» (по одной версии, источник возник от удара копыта коня Али, по другой – Али просто основал его совместно с другим праведником и даже спускался в него в поисках воды, где принял бой с демонами). Другое святое место Дербента – кладбище Кихляр – знаменито могилами 40 арабов, мученически погибших, за ислам в первые десятилетия арабских завоеваний. Информанты также не раз указывали на то, что город Дербент даже упоминается в Коране.

Восприятие города как авторитетной мусульманской и, в частности, шиитской святыни в какой-то мере помогает преодолеть чувство провинциальности современного Дербента как в экономическом, политическом плане (в республике более развитыми считаются города севера – Махачкала, Хасавюрт, Кизляр), так и в религиозном. Несмотря на то, что Дербент – крупный город по дагестанским меркам, здесь сравнительно мало исламских учебных заведений. Экспертами в области «высокого» шиизма для дербентцев выступают приезжие «арабисты» из Баку и особенно из Ирана. Так, в 1990-е годы несколько лет ахундом дербентской общины был бакинец, которого уважали как человека, получившего хорошее религиозное образование. В 2007 году на Ашуру были приглашены два известных роузехани, читавшие мерсия в джума-мечети всю траурную декаду.

Иран и проповедники из Ирана – безусловные непререкаемые авторитеты, их религиозную образованность уважают даже те, кто придерживается идей традиционализма в отправлении культа. Отношения с Баку, на наш взгляд, более сложные. Баку – крупнейший азербайджанский мегаполис, центр республики, находящийся всего в нескольких часах езды от Дербента. И в советское время, и сейчас тесны экономические связи двух городов, у многих дербентцев в Баку живут родственники, значительная часть торговцев едут в столицу Азербайджана за товаром. В религиозном плане у Баку более неоднозначный статус. В начале 1990-х годов, на волне религиозного возрождения в Азербайджане появилось много иранских миссионеров, но в последующее десятилетие иранское влияние здесь постепенно сошло на нет. В качестве причин этого исследователи называют и ориентацию властей Азербайджана на светский характер правления, и прозападную политику, и также некое противодействие со стороны местных шиитских общин (Балджи

Б., 2006, 84.). При том, что бакинцы, получившие религиозное образование, имеют в Дербенте большой авторитет, информантами на современном этапе порой подчеркивается их большая секуляризация, не такая эмоциональная и насыщенная, как в Дербенте, отмечание Ашуры, некоторые даже высказывают предположение, что традиции Ашуры не одобряются властями Азербайджана.

Ж60 – Его (мужа - авт.) брат в Баку рубит голову тоже. Иногда его брат приезжает к нам в день Ашура, сюда приезжает, с Баку. Потому что там, я ж говорю, запрещено. Там насколько вот это, Ильгам Алиев, как бы там чего не было, у них есть ... они боятся. У них даже в день Ашура у них нету, чтобы они концерты не давали, у них нету, чтобы хотя бы приостановили временно, хотя бы на дня три, уже не скажу там 40 дней (ПМА. Дербент. 2008).

Здесь опять выступают на поверхность противоречия между сторонниками «традиционализма» и «чистого ислама». Традиционалисты воспринимают Дербент как центр сохранных традиций Ашуры, наполненных настоящим переживанием трагедии. Авторитет города подтверждается рассказами информантов о том, что многие жители Баку (причем не только выходцы из Дербента) на Ашуру приезжают исполнять обряды (особенно «баш чапан») именно в Дербент.

Ж50 - Дербент вообще специфическое место. Один ... профессор ... говорил, что у вас там, община. Я говорю, на это не смотрите, в самые времена, когда гонения были, со всего Северного Азербайджана сюда приезжали, потому что здесь всегда торжественно все идет... Это вообще уникальный город, это первый мусульманский город России, откуда исламизация всего Кавказа шла. И при этом сумел сохраниться как островок шиизма, что очень большая редкость (ПМА. Дербент. 2008).

Исходя из этого, Дербент как бы соревнуется со столичным Баку за право быть городом, лучше всех сохранившим старые шиитские традиции. И древняя славная история шиизма в Дербенте, его большая приверженность соблюдению традиций отмечания Ашуры позволяют традиционалистам шиитской общины считать себя победителями в этом споре.

Для сторонников «чистого ислама» локальные традиции Ашуры в Дербенте не являются безусловной ценностью, гораздо важнее для них оказывается уровень религиозного образования и через это – «правильного» понимания смысла шиизма.

Ж 18 (1,5 учится в Куме, Иран) – В Иране у людей больше имана (веры – авт.), там все больше знают по религиозному... А у нас поговорить мало с кем можно. Говоришь: «Имам Реза», а они спрашивают: «А кто это?» (ПМА. Дербент. 2008).

Следует еще раз повторить, однако, что разногласия «традиционалистов» и новых «шиитов» Дербента не разбивают общину на два лагеря, так как подчас и те, и другие находятся в пределах одной семьи. К тому же у последних нет сколько-нибудь авторитетного и значительного лидера и все формально подчиняются ахунду, занимающему срединную позицию: с одной стороны, он предлагает общине отказаться о «баш чапан», а другой стороны открыто не критикует этот обряд. Что касается кидания записок в море, то он сам активно участвует в этом процессе – пишет их по просьбам желающих.

Исходя из всего вышеизложенного, можно говорить о том, что декада Ашуры и последующий траур – тот кульминационный момент, в который шиитская община Дербента максимально вовлечена в религиозную дискуссию. С одной стороны, это приводит к обострению противоречий между «традиционным» и «чистым» шиизмом, но одновременно с этим и позволяет общине ощутить свое конфессиональное единство в условиях суннитского окружения, определить высокий статус города в шиитском мире и интегрироваться вокруг самого значительного религиозного события.

ეკატერინე კაპუსტინა, მიხეილ სოლონენკო
რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პეტრე დიდის
სახელობის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის
მუზეუმი (კუნსტამერა). კავკასიის განყოფილება

**აშურა დარუბანდში: „ისლამური აღორძინების“ სპეციფიკა და შიიტური
თემის იდენტურობა რელიგიური მოვლენების პრიზმაში**

რეზიუმე

სტატია ეძღვნება დარუბანდის შიიტური თემის გამოკვლევას, ასევე რელიგიური და ეთნიკური იდენტურობის ფორმირებისა და შენარჩუნების მექანიზმებს. დარუბანდის რელიგიურ ცხოვრებაში შეიმჩნევა ისლამის საერთო მსოფლიო „რეფორმაციის“ გავლენა, ასევე წმინდა ადგილობრივი თავისებურებანი, რომლებიც უკავშირდებიან ბოლო ორი ათწლეულის სოციალურ ტრანსფორმაციებს. აშურას რიტუალური კომპლექსის განხილვისას, ავტორები აღწერენ რთულ პროცესებს, რომლებიც დარუბანდის აზერბაიჯანული თემის შიგნით მიმდინარეობს. ერთის მხრივ, თემში არ არსებობს ერთიანი აზრი იმამ ჰუსეინის მოხსენიების რიტუალის შესრულების „სისწორის“ შესახებ. სახეზეა თემის რელიგიურ დისკურსში „გახლეჩა“. მეორეს მხრივ, აშურას მოსახსენიებელი ღონისძიებების მიმდინარეობისას აქტუალიზირდება „საერთო“ და ხდება „ალის პარტიის“ მიმდევრების მძლავრი კონსოლიდაცია. ამგვარად, აშურას ღონისძიებებში მონაწილეობა თემს აძლევს საშუალებას შეიგრძნოს თავისი კონფესიონალური ერთიანობა სუნიტური გარემოცვის პირობებში, განისაზღვროს თავისი ქალაქის მაღალი სტატუსი შიიტურ სამყაროში და მოახდინოს ინტეგრაცია ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური მოვლენის ირგვლივ.

Ashura in Derbent: the specifics of "Islamic revival" and the identity of Shiite community in the light of religious event

Summary

This article deals with the outcomes of the research of the community of Shiites, living in Derbent (Dagestan, Russia). The research was focused on the analysis of the mechanisms of construction and reproduction of religious and ethnic identity. Religious life of Derbent is being influenced both by the worldwide tendency of reformation of Islam and local peculiarities, connected to the social transformations of the last two decades. Regarding the ritual complex Ashura, the authors describe complicated social processes, which are seen within Azerbaidzhan community of Derbent. On the one hand, there is no any common agreement on one true variant of performing of the ritual of commemoration of imam Khusein. It remarks the split of community in the religious discourse. On the other hand, during funeral events of Ashura common identity is being actualized and the followers of Party of Ali are being consolidated. Thus, an active participation in the ritual of Ashura allows the community to become aware of its confessional unity, being surrounded by Sunnit environment. The ritual also provides the city with a higher status in the Shiite milieu, and helps the community members to be integrated on the basis of the most outstanding religious event.

Литература

1. Балджи Б. Судьбы шиизма в постсоветском Азербайджане // Этнографическое обозрение. 2006. №2. С.75-85/
2. Гаджиева С.Ш. Дагестанские азербайджанцы XIX-начала XX века. М., 1999.
3. Геллнер Э. Условия свободы. М., 1995.
4. Малашенко А. Ислам для России. М., 2007.
5. Сеидова Г.Н. Шиизм в Дагестане. М., 2007.
6. Шахбанов М. Наш Шахсей-Вахсей // Республика. 2002. №5.
www.chemnovik.net/index.php?paper_id=208
7. Полевые материалы авторов. Дербент. 2008 год.

რუსლან ბარამიძე

სამუსლიმანო სასულიერო გაერთიანების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების თავისებურებანი აჭარაში¹

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოში არსებული მუსლიმთა გაერთიანების თანამედროვე სპეციფიკის წარმოჩენა, რამაც ბოლო წლების განმავლობაში განიცადა რიგი ცვლილებები. სტატიაში აისახება აჭარის სამუფთო სამუსლიმანო გაერთიანების ისტორია.

აჭარის სამუსლიმანო სასულიერო სამუფთო სამმართველოს ცენტრს წარმოადგენს ბათუმის ცენტრალური მეჩეთი, რომელიც ცნობილია „ორთაჯამის“ სახელით. იგი მოიცავს საკულტო, სამუფთოს ადმინისტრაციულ ნაწილს, სასწავლებელს, სამეურნეო ნაწილს და რომელსაც გააჩნია თავისი ვაყუფი², ანუ მეჩეთის მიმდებარე ფართი, რომელშიც განთავსებულია სხვადასხვა ობიექტები. მათგან ორი მაღაზია ორიენტირებულია რელიგიური ლიტერატურისა და რიტუალური დანიშნულების საქონლის ვაჭრობაზე. ამ მხრივ ბათუმის მეჩეთი წარმოადგენს როგორც რელიგიურ, ასევე კომერციულ დაწესებულებას. ამასთან დავეხებით, რომ ბათუმის მეჩეთი ამ ეტაპზე რეგიონში ერთადერთი ოფიციალურად რეგისტრირებული მეჩეთია³, რომელსაც

¹ სტატია მომზადებულია პროექტის „საქართველოს მუსლიმური თემი თანამედროვეობის კონტექსტში (ისტორიული, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული, სოციო-ფსიქოლოგიური, კულტუროლოგიური და სტატისტიკური ანალიზი)“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი ხორციელდება სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (გრანტი № 07-614-1-140). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) შეხედულებებს.

² ვაყუფი - ისლამური კანონების მიხედვით რელიგიურ ან საქველმოქმედო სარგებლობაში გადაცემული ქონება.

³ ოფიციალური ნიშნით, მეჩეთები იყოფიან რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ მეჩეთებად. ამ თვალსაზრისით მეტად რთულია მათი ზუსტი სიის წარმოდგენა, რადგან საკანონმდებლო ბაზისა და სახელმწიფო პოლიტიკის თავისებურების გამო, მეჩეთების უმრავლესობა არარეგისტრირებულია. ამასთან, ცალკეულ შემთხვევაში მეჩეთად მოიხსენიება სასულიერო სასწავლო დაწესებულება, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა “მედრესას” სახელით მოიხსენიებს. ასეთი შემთხვევები ძირითადად ხდება იმ ადგილებში, სადაც არ არის აგებული მეჩეთი. მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ სალოცავად მედრესას გამოყენება შესაძლებელია და ნებადართულია გარდა პარასკევისა და სადღესასწაულო ღონისძიებებისა. სხვათა შორის, ზუსტი სიისა და კლასიფიკაციის პრობლემა არის რუსეთშიც «Так, в 1980 году, по свидетельству Г. Михайлова, начальника Отдела по связям с религиозными организациями Совета Министров РСФСР имели официальное разрешение на отправленные культа 335 имамов и мулл, тогда как 1245-совершали обряды без регистрации» (Михайлов Г., 1993. 18-19). და შემდეგ «Точно так же существует разрыв

გააჩნია სამუფთო გაერთიანების ორგანიზაციისა და საქმიანობისათვის შემუშავებულია წესდება. იგი ძირითადად შიდა ორგანიზაციისათვის გამოიყენება. ნაშრომში სწორედ ამ წესდებაზე დაყრდნობით არის წარმოდგენილი სამუსლიმანო გაერთიანების ფუნქციონირების თავისებურებანი.

წესდების მეორე მუხლის თანახმად, „აჭარის ა.რ. სამუსლიმანო სასულიერო სამუფთო სამმართველო წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც შექმნილია მუსლიმური რწმენის ადამიანთა გაერთიანებით, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ახორციელებს მათ სასულიერო ხელმძღვანელობას შარიათის საფუძველზე“.

საყურადღებოა, რომ ორგანიზაციული კუთხით სამუფთო ითვალისწინებს ისტორიულად არსებულ პრინციპებს, თუმცა შეიმჩნევა რიგი ცვლილებაც. კერძოდ, რუსეთის იმპერიის პერიოდიდან სამუსლიმანო ორგანიზაციული სტრუქტურა მკაფიოდ იყო განსაზღვრული. იმპერატორის მიერ 1872 წელს ხელმოწერილი დებულების - „Положение объ управлѣніи Закавказскаго мусульманскаго духовенства“ - მიხედვით, სამუსლიმანო გაერთიანების სტრუქტურა და მუშაობის პრინციპები ამიერკავკასიის რეგიონში სრულად იყო ასახული. ამ დოკუმენტით, იქმნებოდა რა ცალ-ცალკე შიიტებისა და სუნიტების სამმართველოები, განისაზღვრებოდა იმპერიის პოლიტიკა ახლადშემოერთებული ამიერკავკასიის მუსლიმების მიმართ. ფაქტიურად რუსეთის იმპერია ამ პერიოდისათვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუსლიმურ სამყაროსთან - მის ტერიტორიაზე მრავლად სახლობდნენ მუსლიმები. მათი მრავალრიცხოვნებისა და ერთმანეთთან თანამშრომლობის აუცილებლობის შედეგად ეკატერინე მეორემ 1788 წლის 22 სექტემბერს შექმნა „უფის სასულიერო მაჰმადიანური კანონის კრება“ („Уфимское Духовное Магометанского закона Собрание“; 1796 წლიდან მისი სახელი ორენბურგით შეიცვალა) სამუსლიმანო სამმართველო ცენტრით უფაში. უკვე XVIII საუკუნის ბოლოდან სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული იყო კონკრეტული ინტერესების განსახორციელებლად - საკუთარ ტერიტორიაზე მუსლიმთა კეთილგანწყობის მოპოვება და სახელმწიფო ინტერესების გავრცელება აღმოსავლეთში. ამ მიზნით შემუშავებული ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგ აქტიურად გამოიყენებოდა მათ შორის ამიერკავკასიის სამუსლიმანო გაერთიანების შექმნისას (აქ და ქვემოთ: В память... 1892); კერძოდ, ამიერკავკასიის სამუსლიმანო გაერთიანების დებულების მიხედვით, სუნიტი სასულიერო (უმაღლესი და

между числом зарегистрированных и не прошедших регистрацию мечетей. По данным муфтия С.-М. Абубакарова, на 1997 год их было в России три с половиной тысячи, тогда как кавказовед В.Бобровников на конец 1994 года располагал сведениями более чем пяти тысячах мечетей» (Малашенко А., 1998, 77). პრინციპულად ისლამში სალოცავად არ არის აუცილებელი რაიმე საკულტო ნაგებობა, რადგან ღოცვა შეიძლება და აუცილებელია ნებისმიერ ადგილზე (გარდა განსაზღვრული შეზღუდვებისა). მუჰამად შუამავალს მიეწერება სიტყვები “მასჯიდი იქნება იქ, სადაც დადგება ჟამი ღოცვისა და შეასრულებ საღათს” (ისლამი. 1999. 132.). ამის გამო არსებობს ცალკეული არაოფიციალური თუ არარეგისტრირებული მეჩეთები, უფრო ზუსტად - სალოცავი სახლები.

ადგილობრივი) პირები ახორციელებენ როგორც სასულიერო საქმიანობას, ასევე ადმინისტრაციული წესით ასრულებენ მთავრობის კანონებსა და განკარგულებებს, რის კონტროლს, სასწავლო დაწესებულებებთან ერთად, ახორციელებენ გუბერნატორები და ადგილობრივი ხელმძღვანელები. ამავე დროს, უმაღლეს კონტროლს ახორციელებს კავკასიის მთავარმართებელი.

სუნიტური სასულიერო სამმართველო განთავსებული იყო თბილისში. სტრუქტურულად მუფთსა და სასულიერო სამმართველოს ექვემდებარებოდნენ ყადები და საგუბერნიო სამმართველოები, რომლებიც თავის მხრივ აკონტროლებდნენ ადგილობრივ სამლოცველოებსა და სასწავლებლებს. ამასთან, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე შემუშავებული იყო საქმის წარმოების წესები (მორწმუნეების აღრიცხვა, ქორწინებისა და გარდაცვალების აქტები, საგანმანათლებლო საკითხები და ა.შ.) და განისაზღვრებოდა შესაბამისი საქმის წარმოება. დებულებით განსაზღვრული სტრუქტურა კურირებდა რელიგიური რიტუალებისა და წესების შესრულებას, ნებადართული რელიგიური სწავლების გავრცელებას, სახელმწიფო დადგენილებებისა და განკარგულებების განხორციელებას, რასაც იმპერატორის/იმპერიის წინაშე დადებული ფიცით ადასტურებდა. თავისთავად დებულება მოიცავდა სამეურნეო და ფინანსურ მხარეებსაც, რითაც განსაზღვრული იყო ყველა თანამდევი ხარჯის დაფარვა. დებულება ითვალისწინებდა სასულიერო პირის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო სპეციალურ მოთხოვნათა (განათლება, მოქალაქეობა და ა.შ.) პირობების დაკმაყოფილებასაც; ამავდროულად, მსახურობის პერიოდში იმპერია მათ, ოჯახის წევრებთან ერთად ათავისუფლებდა გადასახადებიდან, ვალდებულებებიდან, სასჯელის ცალკეული ფორმებიდან, აფინანსებდა მივლინებებს. 20 წლის ნამსახურეობის ან ფიზიკური დაზიანების მიღების შემთხვევაში პირს ათავისუფლებდა გადასახადებისაგან, ცალკეული ვალდებულებების და სასჯელის სხვადასხვა ფორმიდან. უმაღლესი რანგის სასულიერო პირების შვილებს ენიჭებოდათ პირადი აზნაურის ან პირადი საპატიო მოქალაქის უფლებები (წყარო: Положение... 1872).

მუსლიმურ სამყაროსთან ურთიერთობის პოლიტიკის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა წესდება „მაჰმადიანური მეჩეთების მშენებლობის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა სამლოცველოს გახსნას ყველა დასახლებულ პუნქტში, სადაც 200 მუსლიმი ცხოვრობდა (Саидбаев Т. 1984, 121-122). ამ ფაქტორითაც უნდა აიხსნას აჭარაში სამლოცველოების რიცხვის ჩქარი ზრდა 1878 წლიდან. პრინციპული ცვლილება ამ სქემაში შეტანილი იყო 1917 წელს, როცა სასულიერო კრება შეიცვალა მუსლიმთა ცენტრალური სასულიერო სამმართველოთი (ЦДУМ), ხოლო მოგვიანებით უკვე სახალხო კომისრების საბჭოს ნაციონალურ სამმართველოსთან იქმნება კომისარიატი მუსლიმთა საქმეებზე (მსგავსი კომისარიატი მოქმედებდა აჭარაშიც). 1940 წელს ორგანიზაციული რეფორმების ფონზე იქმნება ამიერკავკასიის სასულიერო სამუსლიმანო სამმართველო ცენტრით ბაქოში. საქართველოს გასაბჭოებასთან ერთად უქმდება ადგილობრივი სამუფთო, იხურება ყველა მეჩეთი და სასულიერო სასწავლებელი, თუმცა, რამდენიმე

წელიწადში ბათუმის მეჩეთი (ორთაჯამე) ისევ აახლებს მუშაობას.

სამუფთოს არქივში დაფიქსირებული ცნობის თანახმად ორთაჯამის მეჩეთში 1866 წლიდან 1995 წლამდე მუშაობა შემდეგ სასულიერო პირები:

- | | |
|--------------------|--|
| 1. 1866-1882 წლები | ყადი ბერიძე შირინი |
| 2. 1881-1890 წლები | იმამი ბერიძე იშიქი |
| 3. 1890-1901 წელი | იმამი სურმანიძე ყადირი
ხუთბეს იმამი ღოდობერიძე ოსმანი |
| 4. 1901-1935 წლები | იმამი თავდგირიძე იბრაჰიმი |
| 5. 1946-1950 წლები | იმამი კონცელიძე ფერათი |
| 6. 1950-1958 წლები | იმამი ღოდობერიძე ოსმანი |
| 7. 1958-1995 წლები | იმამი გობაძე დაუთი |

ბათუმის მეჩეთი და ადგილობრივი მუსლიმები ექვემდებარებოდა ამიერკავკასიის სამუსლიმანო გაერთიანებას.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ადგილზე მეჩეთების აქტიური გახსნისა და მორწმუნეთა გააქტიურების ფონზე მიმდინარეობს სამმართველოს ჩამოყალიბების მცდელობა; ამიერკავკასიის სამუსლიმანო გაერთიანებასთან შეთანხმებით მოხდა მუფთის თანამდებობის აღდგენაც. მუფთის თანამდებობის შემოღებასა და ადგილობრივი სტრუქტურის შემუშავებაზე მუშაობა უკავშირდება ავთანდილ (ნერჯი-ვან) აბაშიძის სახელს, თუმცა, მცირე ხანში, ადგილობრივი ხელისუფლების გავლენით, ის იძულებული ხდება, დატოვოს ეს თანამდებობა. მის ადგილს მ. ქამაშიძე იკავებს. მ. ქამაშიძის მმართველობის პერიოდში სამუფთო სტრუქტურა საბოლოოდ კარგავს მიმდინარე რეის-ლამიზაციის პროცესის კონტროლს, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში აქტიურად რესტავრირდება ან შენდება ახალი მეჩეთები და ა.შ. ფაქტიურად, სამუფთო ატარებდა ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მხარდამჭერ პოლიტიკას, თუმცა, საჩვენებელი ტოლერანტობისა და ურთიერთმხარდაჭერის მიუხედავად, პრობლემათა რიცხვი მატუ-ლობდა (მოგვიანებით შეინიშნებოდა სამუფთოსა და ისლამის პოლიტი-ზირების მცდელობაც). ამ პერიოდში სტრუქტურულად საერთო ხელ-მძღვანელობას მუფთი ახორციელებდა, რაშიც მას მეჯლისი ეხმა-რებოდა. ადგილზე საქმიანობას ადგილობრივი იმამები მართავდნენ, თუმცა ამ თავისებურებას მკაფიო სისტემის ან დამუშავებული მექანიზმის სახე არ მიუღია (მათ შორის არ იყო დაზუსტებული ძველი, მოქმედი და მშენებარე მეჩეთების ნუსხა, მედრესეების რიცხვი და ა.შ.). ამ ფონზე 2004 წელს, „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში, მმართველობითი სისტემის სისუსტემ და მოქმედების რეალური გეგმის უქონლობამ თემში განხეთქილების საფრთხე გააჩინა. თუმცა, მხარეები ერიდებოდნენ თემის პოლიტიკურ თამაშში ჩართვას. განვითარებული მოვლენების ფონზე თანამდებობა დატოვა ყოფილმა მუფთმა და მისი ადგილი ახალმა მუფთმა - ბეჟან (ბექირ) ბოლქვაძემ დაიკავა. საყურადღებოა, რომ, საკა-ნონმდებლო ბაზისა და შიდა რეგულირების დოკუმენტის არარსებობის გამო, მუფთის ცვლილების ძირითადად არაოფიციალური სახელმწიფო ჩარევით ხორციელდებოდა. ახალი მუფთის მოსვლის შემდეგ დაიწყო ორგანიზაციის მართვის ახლებური სქემით მუშაობა, რომლის ერთ-ერთ

მიზანი საქმიანობის გამართული წარმოება იყო. მუფთ ბ.ბოლქვაძის მოსვლას უკავშირდება ასევე, წესდების მიღებაც, რომლის ანალიზსაც ამ ნაშრომში გთავაზობთ.

სამუფთოს დამოკიდებულება საზოგადოებასთან განსაზღვრულია წესდების მე-3 მუხლში და იქვე აღნიშნულია, რომ ის მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ რელიგიურ მხარეებს და ეყრდნობა ყურანსა და ჰადისებს. უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული ავტორები (ე. ბელიაევი, გ. ქერიმოვი, ტ. შაიდბაევი, ვ. ბასილოვი, რ. ანდრიაშვილი და სხვები) რელიგიისა და მისი ინსტიტუტების საზოგადოებრივ ფუნქციებს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვინემ მხოლოდ რელიგიურს. ჩვენი აზრით, ისლამს აჭარაში რეალურადაც უფრო მეტი ადგილი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ის ლოკალური თავისებურებებით გამოიხატება.

წესდების მე-4 და მე-5 მუხლების თანახმად, სამუფთო, კონსტიტუციაზე დაყრდნობით, აღიარებს თავის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან, თუმცა კონსტიტუციაზე დაყრდნობითვე იცავს სახელმწიფო ინტერესებს და თანამშრომლობს მასთან. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის მდგომარეობა საქართველოში მეტად არაერთგვაროვანია. მართალია, საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობას, მაგრამ იქვე აღნიშნავს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლსა და ადგილს. ამ აზრის გაგრძელებას წარმოადგენდა 2002 წლის კონსტიტუციური შეთანხმება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ამ შეთანხმებით განსაზღვრულია რიგი მნიშვნელოვანი მომენტი (მატერიალური, ტექნიკური, ფინანსური და ა.შ.) სახელმწიფოსა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის თანაცხოვრებაში (დაწვრ. იხ. ჩიკვაიძე დ., 2003). ამავდროულად, სხვა რელიგიური ჯგუფები 2004 წლამდე ხშირად ხდებოდნენ ძალადობისა და უკანონობის მსხვერპლნი, რაც ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო სტრუქტურების უყურადღებოებით იყო გამოწვეული. ამასთან შედარებით ტრადიციულ⁴ ჯგუფებს ასეთი რამ ნაკლებად ეხებოდა. როგორც ქ. ხუციშვილი აღნიშნავს რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების უმეტესობა ზუსტად არატრადიციულ ჯგუფებს ეხებოდა (ხუციშვილი ქ. 2004, 88-93). ამ მხრივ მუსლიმების თანამედროვე მდგომარეობა სახელმწიფოს მხრიდან ატარებს არაოფიციალურად ურთიერთაღიარებით ხასიათს. ამის მთავარ მაჩვენებელს საკულტო და სასწავლო ნაგებობების მნიშვნელოვანწილად არაოფიციალური სტატუსი წარმოადგენს; კერძოდ, აჭარაში ოფიციალურად მოქმედებს მხოლოდ რამდენიმე სასულიერო თუ სასწავლო დაწესებულება (აქედან სასწავლებლები ძირითადად დარეგისტრირებული არიან არასამთავრობო ორგანიზაციებად), მაშინ, როცა, დაზუსტებული მონაცემებით, აჭარის სამუფთო

⁴ ტრადიციულად ჩვენ ვთვლით ისეთ ჯგუფებს, რომელთა გარკვეული სოციალური, კულტურული, მატერიალური და ა.შ. გავლენა ფიქსირდება ისტორიული პროცესების დიდ ინტერვალში.

გაერთიანება შემდეგი სტრუქტურით წარმოგიდგება⁵:

კომპლექსის ტიპი	რაოდენობა
მეჩეთი-სკოლა ⁶	95
მეჩეთი	41
სასწავლებელი ⁷	18
სხვა ⁸	2

ამას გარდა, სამუფთო მოიცავს რიგ უმოქმედო ნაგებობას, ხოლო მეჩეთის შენობების ნაწილი ამჟამად დანგრეულია, ნაწილი კი გამოიყენება არადანიშნულებისამებრ. ამასთან ერთად, სახელმწიფო დონეზე მუსლიმების მიმართ იკვეთება გარკვეული პოზიცია, რაც ძირითადად ეთნიკურად აზერბაიჯანელ მუსლიმებს ეხება.

სახელმწიფოსთან არაერთგვაროვანი ურთიერთობის ფონზე სამუფთო ინარჩუნებს თავისუფალი მოქმედების საშუალებას. წესდების მე-12 მუხლის მიხედვით, სამუფთოს „აქვს უფლება, დაამყაროს კავშირი მეზობელი ქვეყნის რელიგიურ ორგანიზაციებთან, ოღონდ აჭარის ა.რ. ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით; ასევე დამოუკიდებლად მიიღოს ფინანსური დახმარება“.

სახელმწიფო სტრუქტურებთან საქმიანობის შეთანხმება სამუფთოს კონსტრუქციული პოზიციის გამოხატულებაა. მრიგად, სამუფთოს მხრიდან სახეზეა საკუთარი დამოუკიდებელი საქმიანობის შეზღუდვა, განსაკუთრებით - სამმართველოს სრულფასოვანი ფუნქციონირების კუთხით; ხოლო მეორეს მხრივ – მნიშვნელოვანი სახელმწიფო კონტროლი, რომლის მიზანიც, თანამშრომლობის უფრო ხელსაყრელი ფორმის მოძიებამდე არსებული გაურკვეველი მდგომარეობის შენარჩუნებაში გამოიხატება.

რაც შეეხება სამუფთოს ფინანსურ და მატერიალურ საქმიანობას, წესდების მე-6 მუხლით ის ღიაა. ამასთან, თვითფინანსირების ფარგლებში სამმართველო აწარმოებს მკაცრ სამეურნეო და საფინანსო კონტროლს. დაფინანსების წყაროებიდან დღეისათვის ფიქსირდება:

1. კერძო პირთა შემოწირულობანი – ამ მუხლით სამუფთო თანხებს ღებულობს პირდაპირ; ამავე დროს, კერძო პირები ახორციელებენ ცალკეული პროექტების ან მეჩეთების დაფინანსებას.

2. შემოწირულობანი სასულიერო ხაზით – სადღესასწაულო შემოწირულობანი, სადაც⁹ და ა.შ. მათ რიცხვს მიეკუთვნება, ასევე, საკლავის (ყურბანის) ტყავის შეწირვა, რომელიც მეჩეთის სახელზე

⁵ სტატისტიკა მოყვანილია სამუფტოს არქივში დადასტურებული ცნობების მიხედვით.

⁶ მოიცავს როგორც მეჩეთს, ასევე - სასწავლებელს.

⁷ ანუ მედრესა, სადაც გარდა სასწავლო პროცესისა, იმართება ღოცვები. მედრესეთა ნაწილი მოქმედებს სამუფთოსაგან დამოუკიდებლად და შესაბამისად ამ სტატისტიკაში ისინი არ ასახულან.

⁸ დროებითი სამლოცველოები ან სამლოცველო ოთახი;

⁹ სადაცა - ნებაყოფილობითი შეწირულობა.

იყიდება. ფაქტიურად, ასეთი შემოსავალი შეადგენს ხელვაჩაურის რაიონის მეჩეთების შემოსავლის ძირითად წყაროს.

3. ადგილობრივი შემოსავალი – ცალკეული მეჩეთის ხარჯს მასთან დაკავშირებული მორწმუნეები იხდიან. შესაბამისად ფიქსირდება პირდაპირი კავშირი მეჩეთსა და მოსახლეობის მხრიდან მისი შენახვის ხარჯებს შორის – ფაქტიურად მეჩეთის „ფლობა“ მისი შენახვის ხარჯებს ნიშნავს. ამ მხრივ ისლამის „სიძლიერე“ ადგილობრივი საკულტო ნაგებობის მდგომარეობის პირდაპირ პროპორციულია. ამ მიზნით მთიან აჭარაში მოქმედებს ე.წ. „ვეზიფე“, ანუ „ჯამის ფარა“ - გადასახადი, რომელსაც მოსახლეობა მეჩეთის შესანახად იხდის. როგორც სავსე მუშაობის დროს დადასტურდა, მის ოდენობას, შეგროვების წესს და სხვა საკითხებს ადგილობრივი მეჩეთის მეჯლისი განსაზღვრავს, ხოლო აგროვებს სპეციალურად გამოყოფილი მოღარე ან მეჯლისისაგან გამოყოფილი პირი, ანდა მოსახლეობა პირდაპირ აბარებს ამ თანხას კონკრეტულად დადგენილ დღეს. ძირითადად ეს საკომლო გადასახადია და ის 2,5–დან 5 ლარამდე მერყეობს (Барамидзе Р. 2005, 39-69).

4. ცალკე გამოყოფთ ცენტრალური მეჩეთიდან წარმოებულ დაფინანსებას – ის ძირითადად ვრცელდება ადგილობრივ მუფთებზე, იმამებზე და მასწავლებლებზე. თავის მხრივ ეს დაფინანსება ცენტრალური მეჩეთის მიერ მოპოვებული სხვადასხვა სახსრებიდან წარმოებს. ამ მხრივ ცენტრალური მეჩეთი წარმოადგენს ერთიან საფინანსო ცენტრს; ამიტომ ფინანსური პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში დახმარებისათვის ზუსტად ცენტრალურ მეჩეთს მიმართავენ.

5. ვაყუფი –სავაყუფო ქონებას აჭარაში მეჩეთების უმრავლესობა ფლობდა, თუმცა, რუსეთის იმპერიის პერიოდშივე შეინიშნებოდა სავაყუფო ქონების შემცირება ქალაქში (იხ.: ბარამიძე ი., 2004, 40-43). ვაყუფების გაქრობა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან იწყება. მიუხედავად ამისა, თანამედროვე პერიოდში სავსე მასლებით ვაყუფები მაინც ფიქსირდება – ცალკეულ შემთხვევაში ვაყუფად მოიხსენიებენ მეჩეთის მიმდებარე ადგილს, სასაფლაოს, საერთო სარგებლობაში მყოფ ტერიტორიებს, თუმცა შეიმჩნევა სხვადასხვა ქონების ვაყუფად გადაცემის მცდელობაც. წესდების მე-14 მუხლის მიხედვით, სამუფთო იტოვებს უფლებას, „ისარგებლოს მიწით, აწარმოოს კომერციული საქმიანობა, ფლობდეს სასტუმროს, შესაბამისი ხელშეკრულებით სამმართველოს საქმიანობისათვის ან თავისი თანამშრომლების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად იქირაოს ან გააქირაოს შენობა, ააშენოს ან შეიძინოს საცხოვრებელი სახლი“; ხოლო მე-16 მუხლის თანახმად, სამუფთო იტოვებს უფლებას, შეიძინოს სხვა ქონება, თუ მას ამის საშუალება გააჩნია.

რელიგიური ჯგუფის სრულფასოვანი ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასულიერო განათლებას. წესდების მე-15 მუხლი ზუსტად საგანმანათლებლო საკითხებს ეხება. როგორც მოყვანილი სტატისტიკიდან ვხედავთ, საგანმანათლებლო სექტორი სამუფთოში საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. სასწავლებ-

ლების უმრავლესობა გათვლილია დაწყებითი ცოდნის გადაცემაზე, თუმცა ნაწილი გამოირჩევა ორგანიზაციისა და მომზადების საკმაოდ მაღალი დონით. სასწავლებლები ძირითადად სამუფთოს ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (თუმცა, არა ყველა). ცალკეულ შემთხვევაში ხარჯებს ადგილობრივი მოსახლეობა ფარავს. მოსწავლეები ცოდნას ღებულობენ ძირითადად სარწმუნოებისა და რიტუალების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შესახებ. მოგვიანებით სამუფთოში მიღებული იყო დოკუმენტი სასულიერო განთლების შესახებ, რომელიც შედგება 2 ნაწილისა და 10 პუნქტისაგან (აჭარის..., 2006). ამ დოკუმენტით რეგულირდება განათლების სისტემა და რაც მთავარია, საგანმანათლებლო პროგრამა. ამ პროგრამის თანახმად „მსურველებს შეუძლიათ მიიღონ რელიგიურ-კულტურული განათლება მხოლოდ არასამუშაო დღეებში“. შესაბამისად, პროგრამის მიხედვით, კვირაში მეცადინეობა წარმოებს 2, თვეში 8, ხოლო წელიწადში 96 დღეს. სემესტრების მიხედვით მათ ემატება 15 დღე და მთლიანობაში კურსი შეადგენს 110 დღიან მეცადინეობას. ამასთან, ზაფხულის პერიოდში შესაძლებელია უფრო დეტალური პროგრამის მომზადება. პროგრამის მიხედვით, მეცადინეობა გრძელდება 2 საათი, რაც კვირაში შეადგენს 8 საათს და შემდეგნაირად ნაწილდება: ყურანი (50 წუთი, 2 დღე), თაჯვიდი ანუ ყურანის კითხვის წესები (50 წუთი, 1 დღე), ილმიჰალი, ანუ ისლამის საფუძვლები (50 წუთი, 2 დღე), ჰადისები (50 წუთი, 1 დღე), სიერი, ანუ მუჰამედ შუამავლის ცხოვრება და მოღვაწეობა, 50 წუთი, 1 დღე), საქართველოს ისტორია (50 წუთი, 1 დღე). პროგრამის მიხედვით სამუფთო იტოვებს უფლებას, თავად შეარჩიოს მასწავლებლები. მეცადინეობა უნდა წარიმართოს სამუფთოს-თან დაქვემდებარებულ ან მის მიერ რეკომენდირებულ შენობებში. საგანმანათლებლო პროცესების წარებისათვის სამუფთო ღებულობს ვალდებულებას, მოიძიოს შესაბამისი სახსრები.


წესდების დიდი ნაწილი ეხება თემის, სამუფთოსა და მისი ხელმძღვანელი ნაწილის სტრუქტურისა და ფუნქციონირების თვისებურებებს. წესდების მე-8 მუხლის თანახმად, სამუფთოს ხელმძღვანელობას და რელიგიური განათლების მქონე პირებს აქვთ უფლება, შესაბამის პირობებში იმოქმედონ სამმართველოს სახელით. სამმართველოს ხელმძღვანელად ითვლება მუფთი, რომელსაც ირჩევენ წინა მუფთის რეკომენდაციით. ასეთი თავისებურება მუფთისა და სამუფთოს საქმიანობაში გარკვეული ხაზის ჩამოყალიბებისა და გატარებას პირობას წარმოადგენს. კერძოდ, მოქმედი მუფთის მიერ ახალი მუფთის წარდგენა ხელს უწყობს საქმიანობის არსებული მიმართულების შენარჩუნებას, თემისა და სამმართველოს დაცვას კარდინალური და პრობლემური ცვლილებებისაგან და აუცილებლად აისახება რელიგიურ, საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ, ფინანსურ და მატერიალურ საქმიანობაზე. ფაქტიურად, სტაბილური განვითარების საჭიროებამ აიძულა სამუფთო, რომ შეემუშაებინა შესაბამისი გეგმა და მიეღო წესდება, რაც შემდგომი საქმიანობისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს.

წესდების მე-9 მუხლით განისაზღვრება მუფთის აპარატი. ის წარ-

მოდგენილია თანაშემწით (დღეისათვის - ჯემალ პაქსაძე), სამმართველოსთან არსებული მეჩეთის იმამით (დღეისათვის - შამილ ბოლქვაძე), ასევე მრჩეველით, რომელიც გამორჩეულია თავისი ავტორიტეტით ან განსაკუთრებული რელიგიური განათლებით (დღეისათვის - ზურაბ (ქემალ) ცეცხლაძე). თავის მხრივ ადგილზე „მეჩეთის სამეურნეო საქმიანობას აწარმოებს იმამების ხელმძღვანელობით“ (მე-18 მუხლი). როგორც ცნობილია, ისლამში არ არის ისეთივე მკაფიო სისტემა, როგორიც - ქრისტიანობაში, რაც ცალკეულ შემთხვევებში წარმოშობს გაუგებრობას, ან ხდება არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველი. ადგილობრივ დონეზე მეჩეთის მმართველობა თავმოყრილია ადგილობრივი იმამის ხელში. თავის მხრივ მათაც ჰყავთ თანამშრომლების გარკვეული წრე, რომლებიც ეხმარებიან მეჩეთთან დაკავშირებულ საქმეებში. მე-19 მუხლით თანამშრომლების რაოდენობა იმამის ჩათვლით განისაზღვრება 2-3 პირით. იმამს, წესდების თანახმად, ევალება მორწმუნეების ხელმძღვანელობა და ღოცვის დროული გამართვა; ამასთან ერთად, იმამს არ აქვს უფლება, უმიზეზოდ დატოვოს მეჩეთი ან დროულად არ გამართოს ღოცვა (21-ე მუხლი). მუფთს თავის მხრივ უფლება აქვს, მიიწვიოს ისინი მეჯლისზე ან მიიღოს ისინი მეჯლისში. ამ მხრივ წესდება განსაზღვრავს ზოგადად სასულიერო პირების, კონკრეტულად კი ადგილობრივი იმამების ადგილს, როლსა და მნიშვნელობას რელიგიური ჯგუფისათვის, რომლებიც თავისი განათლებითა და საქმიანობით სასულიერო ავტორიტეტებს წარმოადგენენ. მეორეს მხრივ მკაფიოდ არის წარმოდგენილი მუფთის ადგილი არსებულ სისტემაში. ხელმძღვანელობის მონაცვლეობითი ცვალებადობა და ადგილობრივი იმამების პატივისცემისა და ღირსეული არსებობისათვის ხელშეწყობა განაპირობებს პროფესიონალი სასულიერო პირებისა და ხელმძღვანელობის ჩამოყალიბებას. ამის კვალობაზე, მიზანმიმართულად გატარებული საქმიანობის შედეგად, დღეისათვის ცალკეულ მეჩეთებში წარმოდგენილია გარკვეული ჯგუფი, შეიძლება ითქვას ელიტა, რომელიც განაგებს და წვევტს როგორც ადგილობრივი, ისე მთლიანად სამუფთოს გავლენის ფარგლებში მყოფი, მუსლიმური თემის წინაშე არსებულ პრობლემებს. ამ ჯგუფს შეადგენენ როგორც უხუცესები, ასევე - განათლებამდიდრებული ახალგაზრდები. ამ ჯგუფის ძალისხმევა მიმართულია როგორც წმინდა რელიგიური პრობლემების გადაჭრისკენ, ასევე პასუხისმგებლობას იღებს თემის ინტერესებში საქმიანობის გატარების დროს, განსაკუთრებით ეს ეხება მუსლიმური თემის დაცვას რადიკალური ან მარგინალური ზეგავლენებისაგან ან სახიფათო პოლიტიკური პროცესებისაგან. ასეთ ვითარებაში ბუნდოვანია სასულიერო სამმართველოს პოზიცია. კერძოდ, წესდების მე-9 მუხლის თანახმად, „სამმართველო ახორციელებს თავის შეკრებებს საჭიროების მიხედვით, მხოლოდ რელიგიური საკითხების მოსაგვარებლად“. ასევე სამუფთო სამმართველო, მუფთან შეთანხმებით, უფლებამოსილია, დაითხოვოს სამმართველოს ან მეჯლისის ნებისმიერი წევრი, მაგრამ ამის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ყურანის მოთხოვნების ან სამმართველოს წესდების დარღვევა (მე-11 მუხლი). თუმცა, წესდება ასევე ითვალისწინებს ვერტიკალური დაქვემდებარების სპეციფიკას; მე-17 მუხლით განისაზღვ-

რება ცენტრალური და ადგილობრივი მეჩეთების ურთიერთვალდებულებები როგორც რელიგიური, ისე ფინანსური კუთხით. ამრიგად, სამმართველო ვერტიკალურ ჭრილში შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ამგვარი სტრუქტურით მიღწეულია მართვის დღეისათვის მისაღები ფორმა.



ამრიგად, მუსლიმთა მმართველობის სისტემა რუსეთის იმპერიის პერიოდიდან საკმაოდ მკაფიო და ორგანიზებული სტრუქტურით გამოირჩეოდა, სადაც დიდი ადგილი ენიჭებოდა სახელმწიფოსადმი და ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებას. საბჭოთა პერიოდიდან რელიგიური სტრუქტურის ცვლილებას ამიერკავკასიის სამუსლიმანო სამმართველოს რეორგანიზაცია და მისი ცენტრის თბილისიდან ბაქოში გადატანა მოჰყვა. ამ პერიოდში აჭარაში ძირითად მმართველობას ახორციელებდნენ ყადები. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აჭარაში ჩამოყალიბდა ახალი სამმართველო, რომლის სათავეში მოექცა მუფთი. 2004 წლიდან სამუფთო სამმართველო თავისი საქმიანობის მოსაწესრიგებლად ღებულობს წესდებს და სამმართველოს ხელმძღვანელობის გაფართოებულ სქემას ამკვიდრებს. ამ შიდაორგანიზაციული ხასიათის დოკუმენტზე დაყრდნობით, დღეისათვის აჭარის სამუსლიმანო სასულიერო სამმართველო ახორციელებს აქტიურ სასულიერო, საგანმანათლებლო, საფინანსო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

Руслан Барамидзе

**Особенности организации и функционирования мусульманского
духовного управления в Аджарии**

Резюме

Мусульманское духовное объединение с периода российской империи имела четкую и организованную систему, где большое внимание уделялось вопросу взаимоотношения государства и духовенства. Соответствующая система действовала в Аджарии. При этом государство уделяло большое внимание как организационным, так и образовательным, ритуальным, статистическим и хозяйственно-экономическим вопросам. В том числе государство содействовало строительству культовых сооружений в мусульманских населенных пунктах. С советского периода религиозная система меняется, формируется закавказское мусульманское духовное управление с центром в Баку. В этом периоде в Аджарии продолжает действовать лишь одна, центральная мечеть. Управлял местной уммой - кадии. С периода независимости в Аджарии формируется новая система управления, во главе которого определяется муфтии. С 2004 года для организации своей деятельности духовное управление принимает устав, который имеет внутренне регулирующий характер. При этом проводится работа по организации и расширению системы управления. На основе этого устава на сегодняшний день аджарское духовное управление проводит активную духовную, образовательную, финансовую и общественную деятельность.

Ruslan Baramidze

The particularities of Muslim unions and organizations in Ajara

Resume

In the Russian Empire, Muslim religious system was characterized by a rather organized and defined structure while the attitude towards state and government occupied a rather big place. Such system was present in Ajara as well. Meanwhile, the state was paying much attention to organizations, educational, ritualistic, statistical and economic issues. The state was promoting the process of building religious shrines in areas populated by Muslims. In Soviet times, however, the change of the religious structure was followed by the reorganizations of Muslim governance of the Caucasus while the centre was transferred from Tbilisi to Baku, the capital of Azerbaijan. At that time, there was only one mosque operating in Ajara while the management was conducted by Kadi. After Ajara gained independence, the new governing body headed by a Mufti was established. Since 2004, the Mufti governing body operates under its charter and aims at establishing an expanded scheme of governance. Based on this internal document, the Ajarian Muslim governing body is carrying out its active spiritual, educational, economic and social activities.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის სამუსლიმანო სამუფთო გაერთიანების დოკუმენტები – წესდება, 2004.
2. აჭარის სამუსლიმანო სამუფთო გაერთიანების დოკუმენტები – რელიგიური განათლების წესები და პროგრამა, 2006.
3. ბარამიძე ი. ბათუმის აზიზიე მეჩეთის სავაყუფო მიწების შესახებ//საისტორიო მაცნე (სტატიების კრებული) XIII. ბათუმი, 2004.
4. ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი, 1999.
5. ჩიკვაძე დ. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. კომენტარები. თბილისი, 2003.
6. ხუციშვილი ქ. რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედროვე საქართველოში, თბილისი, 2004.
7. Барамидзе Р. Ислам и его особенности в Аджарии. - кр.: Идентичность, власть и город в работах молодых ученых Южного Кавказа. Tbilisi, 2005.
8. В память столетия Оренбургского Магометанского Духовного Собрания, учрежденного в г.Уфе - <http://www.bashedu.ru>).
9. Малашенко А., Исламское возрождение в современной России. М., 1998.
10. Михайлов Г., Ислам в России//Ислам в России и Средней Азии. М., 1993.
11. Положение объ управленіи Закавказскаго мусульманскаго духовенства Суннитскаго ученія, от 5-го апрелья 1872 года.
12. Саидбаев Т. Ислам и общество. Москва, 1984.

ჯემალ მიქელაძე

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაბეობანი სოფელ ზოტში

(საველე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

1975 წელს სოფელ ზოტში ეთნოგრაფიული ექსპედიცია მოაწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, (ექსპედიციის ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალ. რობაქიძე, მოადგილე – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. კახიძე, წევრები – მეცნიერ-თანამშრომლები ი. სამსონია, ჯ. ვარშალომიძე, მხატვარ-არქიტექტორი ჯ. მიქელაძე, ასპირანტი მ. ქამადაძე).

2003 წელს სოფელ ზოტში მოეწყო მეორე ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. დოქტორი ნ. მგელაძე, წევრები: ისტ. მეცნ. კანდიდატები – ჯ. მიქელაძე, თ. ტუნაძე). ექსპედიციაში მონაწილეობდნენ გერმანელი მკვლევარი ქალები და თბილისიდან მოწვეული ეთნოგრაფები.

ექსპედიციების დროს ჩვენს მიერ ფოტოფირზე გადაღებული და გრაფიკულად ჩახაზულ-ჩახატული იქნა სოფელ ზოტის მთლიანი ხედი, საზოგადოებრივი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების იარაღ-ინვენტარი და სხვ.

სოფელი ზოტი გურიაში (ჩოხატაურის რაიონი) ყველაზე მაღალი დასახლებული ადგილია, სადაც ცხოვრობენ XIX ს. ბოლოს ზემო აჭარიდან ჩამოსახლებული აჭარლები.

ზოტის ადგილმდებარეობა შევსებულია. სოფლის შუა ნაწილში წყალუხვი მდინარე გუბაზეული ჩამოედინება, რომელიც ქმნის გუბაზეულის ხეობას. მდინარის მარჯვენა და მარცხენა მხარის მდელოებზე მოსახლეობა ცხოვრობს. დასახლებულ ადგილებს ირგვლივ სათიბები, საძოვრები და ტყით დაბურული მთები აკრავს. ფლორის ძირითადი სახეებია: წიფელა, წაბლი, ნაძვი, თხმელა, თელა, რცხილა და სხვ. აქაური წაბლისა და თელის მასალით აშენდა 1902 წელს აჭარის სოფელ ღორჯომში ყველაზე დიდი (23 მ. x 22 მ.) და მაღალმინარეთიანი სამლოცველო-ჯამე.

ზოტის ტერიტორიაზე მთა სანისლიას მიდამოებს სოფელ ხევის (ჩოხატაურის რაიონი) მცხოვრები ელიაძეები საქონლის საძოვრების სათვის იყენებდნენ. მიწის გარკვეული ნაწილი კეკელიძეების საკუთრებად იყო. აქედან გადადიოდა ცხენით სავალი გზა ახალციხეში. მეგრელებს აქედან გადაჰყავდათ საქონელი ადიგენის მიმართულებით. ფაქტობრივად, გურიისა და სამეგრელოს რეგიონების საგზაო კავშირი აღმოსავლეთ რეგიონებთან, ადიგენი, ახალციხე და სხვა აქედანაც ხდებოდა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაზე.

ზოტის რელიეფი, ჰავა და სხვა ბუნებრივი მონაცემები ზემო აჭარის მსგავსია. როგორც ჩანს, ამანაც განაპირობა ზოტში ზემო აჭარიდან მოსახლეობის თანდათანობით ჩამოსახლება.

სოფელ ზოტის მცხოვრები რ. ირემაძის გადმოცემით, ზემო აჭარიდან ზოტში საცხოვრებლად პირველად ისმაილ ირემაძე გადმოსულა. ელიაძისგან შეუძენია საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და დასახლებულა.

ისმაილ ირემაძეს ზოტში ტყე გაუკაფია, სახლისთვის სამშენებლო მასალა ადგილზე დაუმზადებია და როგორც კარგ ხელოსანს, სახლიც თვითონვე აუშენებია. შემდეგ მას თავისი ორი ძმა სულეიმანი და ზულქიფლი ჩამოუყვანია. მათთან ერთად დემურალი და ადემ ირემაძეები წამოსულან და ზოტში დასახლებულან. სულ 9 ოჯახი გადმოსულა ზემო აჭარიდან. ამათგან ზოგი მერიაში, ზოგიც ქობულეთში ჩასახლებულა. ზოტში კი: ქაზიმ, ჯემალ, დურსუნ, რეზო და მიხეილ ირემაძეების ხუთი ოჯახი დარჩენილა.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ელიაძეების უბანში რეზო ირემაძის მიერ აშენებული აჭარული ტრადიციული, ხის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის კონსტრუქციის ხეები (ქირიშები) წაბლის, ხოლო კედლის, იატაკისა და ჭერის მასალა კი ნადვისაგანაა დამზადებული. სახლის პირველი სართული საქონლის სადგომია. ზოტში საცხოვრებელი სახლიდან საქონლის სადგომის გამოცალკევება ძირითადად 1970-80-იანი წწ-დან დაიწყო, რაც ჰიგიენური თვალსაზრისითაც გამართლებულია. მეორე სართული შედგება 6 ოთახისაგან: სტუმრის მისაღები ოთახი, სასტუმრო ოთახი, სამი საძინებელი, სარძიე (რძის პროდუქტების შესანახი) და სამზადი ოთახი. ოთახებს შუაზე გამჭოლი, ფართე დერეფანი ჰყოფს. ოთხქანობიან სახურავის სხვენში პროდუქტების შესანახი ბედელია აშენებული. სამეურნეო ნაგებობებიდან წარმოდგელობს ნალია და საბძელი (ტაბ. 1).

ზოტის დასახლება შედგება ორი ნაწილისაგან – ზედა და ქვედა ზოტისაგან. თითოეული მათგანი დაყოფილია უბნებად. ამათგან სიძველეთი გამოირჩევა ელიაძეების და ბერბეროღლების უბანი. ბერბეროღლების უბანთან დაკავშირებით შემდეგი გადმოცემა არსებობს: ზოტის ქვედა ნაწილში დასახლებლად ზემო აჭარიდან ვინმე ბერიძე ჩასულა და მიწის ნაკვეთის შეძენა დაუპირებია. მიწის პატრონიც გვარით ბერიძე ყოფილა. ადგილობრივი ბერიძე შეკითხვებია მყიდველს თუ რა გვარის იყო იგი. მყიდველიც რომ ბერიძე აღმოჩნდა ადგილობრივ ბერიძეს რატომღაც არ მოსწონებია და უთქვამს: ბერიძე მე ვარ და თქვენ ბერიძე როგორ იქნებითო. როდესაც გაიგო, რომ მყიდველი ბერიძე სოფელ ტუნაძეებიდან იყო, უთქვამს: თუ ჩემგან მიწის ყიდვა გნებაეთ, ამიერიდან თქვენ ტუნაძე იქნებითო. ასეც შეთანხმებულან. მყიდველი ბერიძე ტუნაძის გვარზე დაწერილა. მისი შთამომავალნი დღესაც ტუნაძეებად იწერებიან.

ჩვენს მიერ აღწერილი და გრაფიკულად ფიქსირებული მასალებიდან ჩანს, რომ ამჟამად ზოტში 18 სხვადასხვა გვარის აჭარული ოჯახი ცხოვრობს, რომელთა საერთო რაოდენობა 190 კომლზე მეტია. ესენია: ირემაძეები, ქათამაძეები, ანთაძეები, გორგაძეები, პაიჭაძეები, მიქელაძეები, ბერიძეები, ვანაძეები, ჯიჯავაძეები, ძირკვაძეები,

კონცელიძეები, ჭელიძეები, კახაძეები, ართმელაძეები, პაქსაძეები, ალაძეები, ტუნაძეები, რამიშვილები. აღნიშნული გვარებიდან ყველაზე მეტი რაოდენობისაა ირემაძეები, (44 კომლი), ანთაძე (25 კომლი), ქათამაძე (21 კომლი), ართმელაძე (14 კომლი), ტუნაძე (8 კომლი) და ა.შ.

ზოტში ტიპიური აჭარული ხის სახლები თანდათანობით მცირდება. ადრეული, ხის საცხოვრებელი სახლების ადგილს ქვისა და აგურით ნაშენი სახლები იჭერს. ახალ საცხოვრებელ ნაგებობებში მკვიდრდება გურული, იმერული და მეგრული საცხოვრებელი სახლებისათვის დამახასიათებელი შემინული შუშაბანდიანი ფასადები. ცვლილება ჩანს ბუხრის მშენებლობაშიც. მაგალითად, აჭარულ ერთპირიან ბუხარს ენაცვლება მრავალპირიანი და ერთ საკვამურიანი ბუხარი. რაც შეეხება აჭარული სახლის ინტერიერის დაგეგმარებას და სეგმენტაციას, იგი სრულყოფილ დონეზეა წარმოდგენილი და მნიშვნელოვან ცვლილებას არ ექვემდებარება.

ჩვენს მიერ ჩახატული და აზომილ იქნა სოფელ ქვედა ზოტის მცხოვრები ბერიძე სულეიმანის ახალი აჭარული საცხოვრებელი სახლი, რომელსაც გააჩნია ორპირიანი და ერთ საკვამურიანი ბუხარი. ნაგებობა ორსართულიანია. მისი პირველი სართული საქონლის სადგომია და შედგება ოთხი განყოფილებისაგან: შესასვლელი ახორპავლი, სათივე საბძელი და ორი თანაბარი ზომის ახორი. ერთ ახორში, შესასვლელ კართან სახბორეა შემოტიხრული. ახორის გარეთ მხარეზე კუთხეში საპირფარეშო და კიბეა გამართული, რომელიც მეორე სართულის სასტუმრო ოთახს უკავშირდება.

მეორე სართული საცხოვრებელია და შესდგება შემდეგი განყოფილებისაგან: ერთ საკვამურიანი ორსაცეცხლურიანი ორი ოთახი, სასტუმრო ოთახი, სარძიე – (რძის სამზადი და შესანახი ოთახი), ოთახებს შუაზე მთელ სიგრძეზე ფართე დერეფანი ჰყოფს. დერეფნის ერთ მხარეს ფქვილის შესანახი კიბობანი დევს, მის მოპირდაპირე მხარეს კი სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების სპილენძის ჯამჭურჭელი. სახლს გააჩნია ოთხმხრივი დერეფანი და სამი კიბე. ერთი კიბე შუა დერეფანშია განთავსებული, ორი კიბე კი გარე დერეფნებში. სხვენის ნაწილში არის პროდუქტის შესანახი ბედელი. სახლი აშენებულია თხმელის ხის მასალით. ძირითადი კონსტრუქციის ხეები (ქირიშები) წაბლისაა, კედლის ფიცარი, იატაკი და ჭერი კი თხმელის ხე-მასალისგან. სახლი კვადრატული ფორმისაა. სიგრძე 8,95 სმ-ია, სიგანე 8,85 სმ. სიმაღლე 7 მ. ნაგებობის სახურავი ოთხქანობიანია, გადახურული ყავრით. ტაბ. 2

ეთნოლოგიის განყოფილების გამგის, ისტ. მეცნ. დოქტორის ნ. კახიძის მიერ 1975 წელს ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს შედგენილ დღიურებში, საინტერესო მასალებია წარმოდგენილი, ზოტის მერიაში ზემო აჭარიდან მოსახლეობის ჩამოსახლეობასთან დაკავშირებით. (კახიძე ნ. 1975. 2-53).

მოხრობელი ქათამაძე ალალი გულოს ძე 83 წლის: „მამაჩემს აჭარაში, სოფელ წინწკალაშვილებში ცხოვრება გაუჭირდა და საცხოვრებლად ზოტიმერიაში ჩასახლდა. „მე მაშინ ათი წლის ვიქნებოდი. ბჟოლიეთის კეკელიძეებიდან ფულით იყიდა მიწა და ააშენა ხის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. სახლებს ჩვენი ზოტელი

უსტიები აკეთებდნენ. გურულებიც მოგვეყავდა დაბლა ციხიდან. ჩვენზე 4-5 წლით ადრე უზეირ ანთაძე ჩამოსახლებულა ძმასთან – ხასანთან ერთად. ზოტიმერიის მოსახლეობა მესაქონლეობით ირჩენდა თავს. აქ სიმიინდი არ მწიფდებოდა, ამიტომ ჩოხატაურში ჩავდიოდით და ვყიდულობდით. პარასკევს დღეს იყო ჩვენი ბაზრობა. გასაყიდი სიმიინდი უფრო მეგრელებს ჩამოჰქონდათ ურმებით. სიმიინდი ფუთობით იყიდებოდა. ერთი ფუთი სამი აბაზი ღირდა. ჩოხატაურიდან ზოტის მიმართულებით ურმის გზა არ იყო და ცხენით ვეზიდებოდით ნავაჭრს საქონელს. ჩოხატაურიდან ზოტში ასვლას ორი დღე-ღამე სჭირდებოდა. მაშინ სასტუმრო გზად არ იყო და მოსახლეობაში გვიწევდა ღამის გათევა”.

სოფელი ზოტი; მთხრობელი, მჭედელი ტაშტან ყადირის ძე მიქელაძე, 65 წლის: „მამანქმი ღორჯომიდან ზოტში რომ ჩამოსულა, მე მაშინ სამი წლის ვყოფილვარ. პირველად ზოტში უზეირ ანთაძე ჩამოსულა და ზოტიმერიაში დასახლებულა. შემდეგში ჩამოვიდნენ გულაამედ ქათამაძე, ეუბ ირემაძე და ზეჟერია ირემაძე. მათ საქონელი ბევრი ჰყავდათ, ჰქონდათ იაილები, წისქვილიც გააკეთეს. აქაური მიწები ადრე კეკელიძეებს ეკუთვნოდათ. ესენი იყვნენ ძმები ივანიკა და ლევანტია. ისინი ყანას ამუშავებდნენ. აქ ცხოვრობდა აგრეთვე ორი ძმა ვატა და სარდიონ კეკელიძეები, ისაკ ბერიძე. ისინი აქ იყვნენ კოლექტივის დაარსებამდე. ზოტში მაშინ დასახლებული ადგილები ცოტა იყო. აქაურობა სულ ტყეს ეჭირა. მარტო ზოტიმერიას იყო თავისუფალი-(ტიალი) ადგილები. ადრე ზოტიმერიაში ერთსართულიანი ჯარგვალი სახლები ჰქონდათ. ჯარგვალს გვერდით მიდგმული ჰქონდა საქონლის სადგომი. კარგ მესაქონლეს 25-30 სული საქონელი მაინც უნდა ჰყოლოდა, ხარ-კამეჩის ჩათვლით”.

სოფელი ზოტი, მთხრობელი, მუხამედ ართმელაძე, 64 წლის. მისი გადმოცემით: „1945 წელს სამანქანე გზის გაყვანის დროს იმ ადგილას, რომელსაც ღობოროტს ეძახიან აღმოჩენილ იქნა რკინის წილები, ნახშირი, აგურის ნაშთები, ძვლის ნაშთები და სხვ. რკინის წილებს ამ სოფელში სხვაგანაც შეხვედრიან”. შემთხვევით აღმოჩენილი მიწისქვეშა მასალები იმაზე მიუთითებს, რომ ზოტში ცხოვრება უძველესი დროიდან ყოფილა, რომლის მოსახლეობა დროდადრო მცირდებოდა და კვლავ მრავლდებოდა.


ნ. მგელაძის და თ. ტუნაძის ერთობლივ ნაშრომში სწორადაა ახსნილი, ზემო აჭარიდან მოსახლეობის მიგრაციის პროცესი, გურიის რეგიონში-გუბაზეულის ხეობაში. კერძოდ, სოფელ ზოტში, ჩხაკაურასა და ქვაბლიანში. „აჭარის მოსახლეობისათვის ს. ზოტში მიგრაცია არ იყო განპირობებული მხოლოდ სოციალური, თუ ეკონომიკური იძულებით, აღნიშნულ სოფელში გადასახლებას მიმზიდველს და ხელსაყრელს ხდიდა მსგავსი გეოკლიმატური და სამეურნეო-ეკონომიკური პირობები, ასევე ახალმოსახლეობისადმი გურიის მკვიდრთა კეთილგანწყობა და მათზე ხელშეწყობა”. (მგელაძე ნ., ტუნაძე თ., 2003. 4).




საქართველოს კუთხეების, განსაკუთრებით გურიის ბარისა და მთიანი რეგიონის ზოგიერთი სოფლების ახალგაზრდობის მიგრაცია სხვადასხვა ქალაქებში კატასტროფულად იზრდება, რაც სოფლად

შექმნილი სიღუხჭირითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე ბევრი კარ-მიდამო მოხუცების ანაბარადაა დარჩენილი.

ხელისუფლებამ ამ უარყოფით მოვლენას ყურადღება დროზე თუ არ მიაქცია, შექმნილი ვითარება მალე სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანს.

ზოტის უნიკალური დასახლება რომ შევინარჩუნოთ და მოსალოდნელი დაცარიელებისაგან გადავარჩინოთ, საჭიროა საავტომობილო გზის კეთილმოწყობა, სოფლის მეურნეობის და ტურიზმის სფეროს განვითარება და ახალგაზრდობის ინტენსიური დასაქმება.





სოფელ ზოტის ნაგებობებისა და კომლთა ნუმერაცია

1. გამგეობის სახლი- გამგებელი ანთაძე ომარ შირინის ძე; 2. საშუალო სკოლა- ღირექტორი ანთაძე ზაზა მეველუდის ძე; 3. ახალი ჯამე; 4. ძველი ჯამე; 5. ქათამაძე მურთაზ რიზალის ძე; 6. ქათამაძე სულიკო მუხამედის ძე; 7. ირემაძე ომარ მუხამედის ძე; 8. ირემაძე უსუფ მუხამედის ძე; 9. ირემაძე უსუფ რეზოს ძე; 10. ქათამაძე გურამ მუხამედის ძე; 11. ქათამაძე ზაური რეზოს ძე; 12. ქათამაძე თამაზ ზივერის ძე; 13. ირემაძე ალიბეგ ადემის ძე; 14. ირემაძე ღიზალ რეჯების ძე; 15. ანთაძე საშურა; 16. ანთაძე შაღბანა; 17. ანთაძე აჰმეთი; 18. ქათამაძე თამაზი; 19. ქათამაძე ეუბი; 20. პაიჭაძე მურმან ხულუსის ძე; 21. ირემაძე ნუგზარ ღიზალის ძე; 22. ირემაძე ჯემალ ღიზალის ძე; 23. ირემაძე ზულალ იენუსის ძე; 24. ირემაძე ჯუმბერ; 25. ირემაძე ხემზე იენუსის ძე; 26. ირემაძე მუხამედ იენუსის ძე; 27. ირემაძე სულიკო იენუსის ძე; 28. ქათამაძე ჯოტო ბიჭიკოს ძე; 29. ქათამაძე აივაზ მუხამედის ძე; 30. ქათამაძე დილგი მუხამედის ძე; 31. გიორგაძე ჯემალი; 32. გიორგაძე ისკენდერი; 33. ანთაძე მეველუდ; 34. ანთაძე კაკო მემედის ძე; 35. ანთაძე ღურსუნალი; 36. ანთაძე ჯელალ; 37. ანთაძე ენვერ რეზოს ძე; 38. ანთაძე ჯემალ რეზოს ძე; 39. ანთაძე დავით ნოდარის ძე; 40. ანთაძე ჯემალ ჭუტოს ძე; 41. ანთაძე ენვერ ფაიყის ძე; 42. ანთაძე არსენ რეჯების ძე; 43. ანთაძე ომარ შირინის ძე; 44. ანთაძე ომარ უსუფის ძე; 45. ანთაძე ამირან ოსმანის ძე; 46. ანთაძე სერგო ომარის ძე; 47. მიქელაძე ენვერ შირინის ძე; 48. ქათამაძე კაციკუცა მუხამედის ძე; 49. ანთაძე გოჩა რეზოს ძე; 50. ქათამაძე ეუბ მუხამედის ძე; 51. ქათამაძე სერგო მუხამედის ძე; 52. ქათამაძე ჯუმბერ ახმედის ძე; 53. ქათამაძე დაუდ ჯემალის ძე; 54. ბერიძე მეველუდ მეუდინის ძე; 55. ბერიძე შაბან ეუბის ძე; 56. ბერიძე იენუს ეუბის ძე; 57. ბერიძე კაკო ეუბის ძე; 58. ბერიძე ენვერ ეუბის ძე; 59. ბერიძე ჭანტუკი ეუბის ძე; 60. ქათამაძე სულეიმან; 61. ირემაძე აჰმედ ომარის ძე; 62. ვანაძე მუხო შაიას ძე; 63. ჯიჯავაძე ოსმან მემედის ძე; 64. ვანაძე ვახტანგ შაჰანის ძე; 65. ვანაძე თემურბეგი თალიბის ძე; 66. ირემაძე ჯუმბერ არსენის ძე; 67. ვანაძე შაჰია; 68. ვანაძე რესულა ზაქარის ძე; 69. ვანაძე რესიყა ზაქარის ძე; 70. ქათამაძე სულიკო ხემზეს ძე; 71. ძირკვაძე მეველუდ; 72. კონცელიძე იენუს მუხამედის ძე; 73. კონცელიძე ისმაილ; 74. ჭელიძე მუხამედ; 74ა. ჭელიძე მეველუდ მუხამედის ძე; 75. ჭელიძე ხალიდ სულეიმანის ძე; 76. ჭელიძე გენო მუხამედის ძე; 77. ანთაძე ამირან ნიკოლოზის ძე; 78. ანთაძე ახმედ ნიკოლოზის ძე; 79. ქათამაძე დებას ახმედის ძე; 80. ირემაძე შუღეიბა ისმაილის ძე; 81. ირემაძე ჯემალ ზურქიფლის ძე; 82. ირემაძე სულიკო ღურსუნის ძე; 83. ირემაძე უსუფ ზურქიფლის ძე; 84. ირემაძე მუხამედ მეველუდის ძე.
1. ანთაძე ზაზა მეველუდის ძე; 2. ანთაძე ენვერ ქელეშალის; 3. ანთაძე დავით შაქროს ძე; 4. გიორგაძე დავით ტიტეიკოს ძე; 5. გიორგაძე ხასია ტიტეიკოს ძე; 6. გიორგაძე ავთო ტიტეიკოს ძე; 7. გიორგაძე უსუფ ჯივანალის ძე; 8. ქათამაძე ოსმან ღინლის ძე; 9. ქათამაძე ვლადიმერ ხუსიას ძე; 10. ქათამაძე მალხაზ ფირუზის ძე; 11. ირემაძე აკაკი მუხამედის ძე; 12. ირემაძე სულიკო მუხამედის ძე; 13. ირემაძე მუხამედ; 14. ირემაძე ასან; 15. ირემაძე ბეჟან ნურიალის ძე; 16. ირემაძე ხუსეინ ოსმანის ძე; 17. ირემაძე რეზუკა ბარათალის ძე; 18. ირემაძე გოჩა ვაჟას ძე; 19. ირემაძე მამია; 20. ირემაძე რიზალ პავლეს ძე; 21. ირემაძე დათიკო ხასანის ძე; 22. ირემაძე ენვერ ხასანის ძე; 23. ირემაძე ჯემალ ახმედის ძე; 24. ირემაძე ხასან ოსმანის ძე; 25. ირემაძე ოსმან; 26. ირემაძე სოსო ეროდეს ძე; 27. ირემაძე ენვერ ხუსიას ძე; 28. ირემაძე მეველუდ სულიკოს ძე; 29. ირემაძე დარჯანია რიზალის ძე; 30. ჭახაძე კიკო ქელეშალის ძე; 31. ჭახაძე ჰაიდარ ქელეშალის ძე; 32. ჭახაძე ზიალა უსუფის; 33. ართმელაძე შაბან; 34. ართმელაძე ენვერ რიზალის ძე; 35. ართმელაძე რეჯებ; 36. ართმელაძე მუსა არიფის ძე; 37. ართმელაძე ახმედ; 38. პაქსაძე მუხამედ; 39. პაქსაძე შერიფ; 40. პაქსაძე ჟორა; 41.

მიქელაძე რამაზ ნევრიზის ძე; 42. გიორგაძე ვეზირ; 43. ანთაძე ნუგზარ ხალიდის ძე; 44. მიქელაძე რეზო თუფანის ძე; 45. ირემაძე თამაზ ახმედის ძე; 46. ირემაძე ახმედ ასლანის ძე; 47. ირემაძე ბონდო ასლანის ძე; 48. ირემაძე ხუსია ასლანის ძე; 49. მიქელაძე უსუფ; 50. ანთაძე ბეგი ხალითის ძე; 51. გიორგაძე ნიკო ღილოს ძე; 52. მიქელაძე მეხსუდ გაშტანის ძე; 52. მიქელაძე მეხსუდ გაშტანის ძე; 53. ჭელიძე თამაზ ისკენდერის ძე; 54. ჭელიძე ომარ ისკენდერის ძე; 55. ჭელიძე სულიკო მუხამმედის ძე; 56. ჭელიძე კახა უსუფის ძე; 57. ჭელიძე თამაზ უსუფის ძე; 58. ბერიძე სულეიმან მემედის ძე; 59. ბერიძე სულიკო მუხამმედის ძე.

1. მიქელაძე იოსებ ავთანდილის ძე; 2. მიქელაძე უსუფ გაშტანის ძე; 3. ანთაძე მუხამმედ შაჰანაღის; 4. ანთაძე კობა ისმაილის ძე; 5. ირემაძე ამირან უსუფის ძე; 6. ანთაძე რუბენი ნურის ძე; 7. ბერიძე ოსმან; 8. ბერიძე შუქრი რეჯების ძე; 9. ქათამაძე ჯემალ ისმაილის ძე; 10. გიორგაძე თამაზ შაჰმენდერის ძე; 11. გიორგაძე ნევრიზ; 12. გიორგაძე იურა; 13. ართმელაძე თამაზ ისმაილის ძე; 14. ართმელაძე თემურ რეჯების ძე; 15. ართმელაძე ხემზე მუხამმედის ძე; 16. ართმელაძე ანზორ ხემზეს ძე; 17. პაქსაძე გელა გივის ძე; 18. ქათამაძე ტარიელ ისმაილის ძე; 19. ჭელიძე ხუსია შაისმაღილის ძე; 20. ჭელიძე ავთო ემინახმედის ძე; 21. ართმელაძე ჯემალი ხასიას ძე; 22. ირემაძე შაბან; 23. ირემაძე იენუს; 24. ირემაძე დემურ ჯეფერის ძე; 25. ირემაძე რეზო შაისმაღილის ძე; 26. ადაძე ასლან ჯემალის ძე; 27. ტუნაძე რეზო რეჯების ძე; 28. ტუნაძე ქემალ რეჯების ძე; 29. ტუნაძე ოთარ ლისალის ძე; 30. ტუნაძე ფრიდონ ლისალის ძე; 31. ტუნაძე ომარ თეფიყის ძე; 32. ტუნაძე თენგიზ ხალიდის ძე; 33. ართმელაძე უშანგ ერმილეს ძე; 34. ართმელაძე ქიბარ სეებანის ძე; 35. ართმელაძე ისკენდერ შირინის ძე; 36. ართმელაძე ოსმან შირინის ძე; 37. პაქსაძე ისმეთ ხუსეინის ძე; 38. მიქელაძე გენო თუფანის ძე; 39. ჭელიძე რეჯებ შაისმაღილის ძე; 40. ირემაძე ჯემალ მამიას ძე; 41. ჭელიძე ბარნაბა ხასანის ძე; 42. ირემაძე რევაზ ქემალის ძე; 43. პაქსაძე რეზო შერიფის ძე.

ნადაბური

1. რამიშვილი ჭუჭულია რეზოს ძე; 2. რამიშვილი თევრათ რეზოს ძე; 3. რამიშვილი ადემ ზაბითის ძე; 4. რამიშვილი ილია ზაბითის ძე; 5. ტუნაძე რეჯებ; 6. რამიშვილი მუხამმედ; 7. რამიშვილი სულეიმან; 8. ტუნაძე შაქრო; 9. ტუნაძე ტარიელ ფერათის ძე.

Джемал Микеладзе

Жилые и хозяйственные постройки села Зоти в соответствии с полевыми этнографическими материалами

Резюме

Село Зоти является самым высоким населенным пунктом в горной части Гурии. Сюда из Верхней Аджарии в конце 19-го века переселились аджарцы, которые в настоящее время составляют 190 дымов.

В селе Зоти первоначально строились традиционные аджарские деревянные жилье и хозяйственные строения. Но с 1980 годов в этом селе начали строить дома с использованием различных материалов (камень, кирпич, черепица, жость, дерево и т.д.).

В жилых строениях аджарцев постепенно упрочились характерные элементы гурийских домов, где фасадная сторона обычно занята стеклянной

галлерей, а также используются камины с несколькими очагами, которые имеет один дымоход.

Село Зоти является уникальным поселением и для его сохранения, в первую очередь, необходимо проведение ремонта автомобильной дороги, обеспечение занятости молодежи и развитие туризма.

Djemal Mikeladze

Dwelling Houses in Accordance with the Field Ethnographic Materials in Zoti Village

Summary

Zoti is the highest village in Guria mountainous region. Adjarians from upper Adjara (Ghordjomi, Chvana, Nenia, etc.) came and settled here in the 19th century. Nowadays 190 families live here.

In the early period, in Zoti the people were building traditional adjarian wooden houses. Since 1980s, they started to build their houses with the various materials (stone, brick, tile, tinwork, and others).

Now in Adjarian dwellings there are several stoves in one fireplace with only one stovepipe in the entrance hall as it usually used in this region.

In order to save the dwellings in Zoti, it is necessary to reconstruct the road, provide the employment of the youth and develop the tourism and agriculture.

გამოყენებული ლიტერატურა

1 კახიძე ნ., 1975 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები. ბათუმი, 1975. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ფონდი № ანაწერი №5, საქმე №83.

2 მგელაძე ნ., ტუნაძე თ., საინტერესო აღმოჩენა გუბაზეულის ხეობაში (ზოტის კოლხური ცული). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ნიკო პერძენიშვილის ინსტიტუტი. შრომები V გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2007.

ქართულ ებრაელთა საცხოვრისი ვიზუალური ანთროპოლოგიის თვალსაზრისით

ეთნოლოგიური კვლევის პროცესში ვიზუალური საშუალების გამოყენებამ საფუძველი დაუდო ახალ სამეცნიერო მიმართულებას – ვიზუალურ ანთროპოლოგიას. ამერიკელი ანთროპოლოგი მ. მიდი წერდა: „ვიზუალურ ანთროპოლოგიის მთავარი მიზანი უნდა იყოს კულტურის აუდიო-ვიზუალური დოკუმენტაცია და ანალიზი... ვიზუალური მასალები, რომლებიც ინარჩუნებენ დროის რეალობას, წარმოადგენენ ახალი ჰიპოთეზის აღუწერელ წყაროს“ (იხ.: ალიკვი . 1987, 1988; ეად . 1995).

1960 წლიდან სწრაფი ტემპებით იწყება ვიზუალური ანთროპოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულების განვითარება. სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში იქმნება შესაბამისი მიმართულების ცენტრები, ტარდება ანთროპოლოგიური, ეთნოლოგიური ფილმების ფესტივალები და კონფერენციები (დე პოპოლის ფესტივალი ფლორენციაში; ვიზუალური ანთროპოლოგიის კონფერენცია ფილადელფიაში; დუ რეალის კინო პარიზში; მარგარეტ მიდის ფილმის ფესტივალი ნიუ-იორკში; სამეფო ანთროპოლოგიური ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ფილმის ფესტივალი მანჩესტერში; რუსეთის ანთროპოლოგიური ფილმების ფესტივალი და სხვა მისუალ ნტპროპოლოგკ, 1996, 4/1348-1349; ასევე, Материальная база сферы культуры, 1997, 1998, 1999, 2001, 2002, 2003; Открытие и сообщаемость культур, 1998; Материалы Второго Московского Международного Фестиваля и конференции визуальной антропологии, 2004)


ვიზუალური ანთროპოლოგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კვლევის პროცესში ილუსტრაციების გამოყენება. ამ თვალსაზრისით საქართველოს ებრაელებთან დაკავშირებით საინტერესოა თვითნასწავლი მხატვრის შალომ კობოშვილის შემოქმედება.

შ. კობოშვილი დაიბადა 1876 წელს ახალციხეში, ღარიბი ებრაელის ოჯახში. 1937 წელს იგი საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში იწყებს მუშაობას დარაჯად. მუზეუმში გაიხსნა 1933 წლის 23 ნოემბერს, ღარიბკომთან არსებული კულტბა-ზის შენობაში, არონ კრიხელის ინიციატივით. მუზეუმში იყო სამი განყოფილება: ეთნოგრაფიული, ისტორიული და სოციალისტური. 1934-1936 წლებში მუზეუმმა მოაწყო სამეცნიერო ექსპედიციები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ქართველი ებრაელები. ექსპედიციის შედეგად მოპოვებული იქნა მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა. სამეცნიერო პოტენციალის გაზრდის შედეგად 1940-1945 წლებში მუზეუმმა გამოსცა სამი კრებული, რამაც დიდი როლი შეასრულა ებრაელთა თვითშეგნების ამაღლებაში, დიასპორის კულტურის წარმოჩენის სფეროში

(იხ.: საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, 1940, 1941, 1945).

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მუშაობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შ. კობოშვილზე, რომელმაც ხატვა 60 წლის ასაკში დაიწყო. ხუთი წლის მანძილზე თვითნასწავლმა შემოქმედმა ფანქრით, აკვარელითა და ზეთით 60-ზე მეტი მცირე და დიდი ზომის სურათი დახატა. მის ნახატებში, ძირითადად, ახალციხის ებრაელთა ძველი და ახალი ყოფა იყო ასახული. აჯლა, აგყალა, ავამდყოფი ბავშვი ექიმბაშთან, ამულეტებით მოვაჭრე მისიონერი, ათარა, ბატონების წამლობა, ბავშვის დაბადება, ბავშვის წინდასაცვეთად წაყვანა, ბაზარი ახალციხეში, ბრეთის ბიბლია, დვაცატნიკი, ებრაელთა კვარტალი (ახალციხე), ებრაელი სოფლოვარი, ებრაელთა დარბევა, ლილახანა, მიკვე, მიკვეში დაავადებული ქალი ექიმბაშთან, მისიონერის მიერ ბავშვების კურთხევა, მოჯამაგირე ბიჭი, მეკურტნეები, მდიდარი ებრაელის ცოლი მიდის აბანოში, მალკუტი, ნეფე, პატარძალი, პატარძლის წაყვანა აბანოში, სიმხა თორის დღესასწაული, ფულის განაწილება აგყალის შემდეგ, ფურიმი, ფინჯრაობა, ფალახაზე აყვანა, ქუჩაში მოვაჭრე მეწვრილმანეები, ქათმის დაკვლა რიტუალური წესით, ყმა ებრაელების გაყიდვა ფეოდალების მიერ, ხელსაქმე, ხერიმი-ანათემა, შაქარ პურის გატანა, ცეკვა, ჯეიზი და სხვ. – ჩამოთვლილ ნახატებში დეტალურადაა მოცემული საქართველოს ებრაელთა ყოველდღიური ცხოვრების თავისებურებანი. წინამდებარე ნაშრომში კი ყურადღება გამახვილებული იქნება ებრაული ოჯახის სამყოფ-საცხოვრის მხოლოდ ზოგიერთ ასპექტზე.

ტოპონიმიკური, არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ საქართველოში საქალაქო უბნების ჩამოყალიბება სხვადასხვა ნიშნით ხდებოდა. ერთ შემთხვევაში უბნები იყოფოდა მოსახლეობის სპეციფიკური საქმიანობის მიხედვით, მეორე მხრივ, ცალკე უბანი ყალიბდებოდა ეთნიკური, რელიგიური და სხვა ნიშნებით. ყოველივე ეს დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ებრაელებისთვისაც. სინაგოგის ირგვლივ წარმოქმნილი კომპაქტური ებრაული დასახლებანი იყო თბილისში, ქუთაისში, სურამში, საჩხერეში, ონში, ცხინვალში, ახალციხეში, კულაშში, ბანძაში... (იველაშვილი თ., ცაგარეიშვილი თ. 1995, 17; მესხიშვილი ც. 1997, 68-69).



ამულეტებით
მოვაჭრე მისიონერი

საილუსტრაციოდ განვიხილავთ შალომ კობოშვილის მხოლოდ რამდენიმე ნახატს:

აგყალა. მხატვარს აღებული აქვს ებრაელთა უბნის ერთი კუთხე, სადაც ნაწილობრივ მოცემულია მისი კოლორიტი. მასში კარგად ჩანს სახლების მგლოვიარე და დაღვრემილი იერი;

ამულეტებით მოვაჭრე მისიონერი.

აქ წარმოდგენილია ღებულია ებრაელთა კვარტალი, რომელშიც ვაჭრობს

ებრაელი მისიონერი. ნახატში სავსებით სწორადაა ხაზგასმული ებრაული კვარტალისათვის დამახასიათებელი სიმჭიდროვე;

ბეშვის დაბადება. ნახატში მაყურებელი ხედავს, თუ როგორაა ოთახში ავეჯი განლაგებული და გამოყენებული იგი. ფარდაგადაფარებულ ძველებურ ტახტზე გაშლილია საწოლი; ტახტის წინ დალაგებულია ბავშვის ტანსაცმელი, კედელზე მიყუდებული არშიებიანი სართაული¹⁰, ხოლო იატაკზე გაშლილია ჭილობი. მის მახლობლად დადგმულია გობი, სპილენძის დოქი, გუგუმი. თაროზე გაწყობილია თევშები, ბოთლები, იბრიხი¹¹, განჯინის წინ კედელთან მიდგმულია კიდობანი. განჯინაში დალაგებულია ქაშანური ჭურჭელი და სხვა წვრილმანი.



ბავშვის დაბადება



ებრაული კვარტალი ახალციხეში

ებრაული კვარტალი ახალციხეში. ტილო თავისი კოლორიტითა და ერთმანეთზე ჯაჭვივით გადაბმული ქოხმახებითა თუ მიწური სახლებით, კარგად მოფიქრებული, საამო და მიმზიდველ ფერებში გამოხატულ სინამდვილეს ასახავს. აულის მსგავს უბანში თავისი სიდიდით და კეთილმოწყობით სინაგოგის მხოლოდ ორი შენობა გამოირჩევა. ამით მხატვარი


ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ღარიბი ებრაელობა ქოხმახეში ცხოვრობდა, მაგრამ მათი ნაშრომი გროშებით მაინც საუკეთესო სინაგოგები შენდებოდა (პაპისმედლოვი ი. 1941, 89, 91, 94). ამას სხვა ავტორებიც ადასტურებენ. ი. დავიდი აღნიშნავს, რომ „ებრაული მოსახლეობა ახალციხეში ცხოვრობდა მიწისქვეშა ქოხებში, სადაც სინათლე სახურავიდან ჩამოდიოდა“ (Давид И. 1989, 27). 1932 წლის საქართველოს ეროვნული უმცირესობების კომისიის აღწერის მიხედვით, ახალციხის ებრაელთა სახლები იყო ერთსართულიანი, ზოგჯერ ნახევრად მიწურიდან შედგებოდა 2 ოთახისაგან. მდიდრებს ჰქონდათ 3-ოთახიანი, იშვიათად 10-12-ოთახიანი სახლები, რომელშიც ცხოვრობდა 60-70 სული.

სახლები ძირითადად მიწურიატაკიანი იყო, განსაკუთრებით სამზარეულო, სადაც უმეტეს დროს ატარებდნენ (აბულაძე ქ. 2000,

¹⁰ მუთაქის მაგიერ

¹¹ ხის ჭურჭელი

58). საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი ფ. მახარაძის მიერ 1933 წელს გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნულია: „სახლები, სადაც ცხოვრობს ებრაული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, წარმოადგენენ ნახევრად დანგრეულ მიწურებს, რომლებიც აუშენებიათ ფიჩხ-ძეძვისაგან. ისინი ნესტიანია, ბნელი, უშუქო და უჰაერო. დაუცველია ქარის წვიმის და სიცივისაგან. თითქმის მთელს მოსახლეობას ერთ სულზე აქვს ერთობ არასაკმარისი ფართობი – 1 კვ.მ. მრავალწლიანი ოჯახები ცხოვრობენ ერთ ოთახში, რომელთა ფართობი 10-15 კვ.მ-ს არ აღემატება, და არა აქვთ არავითარი სათავსოები. სახლები ისე ახლოსაა განლაგებული ერთმანეთთან, რომ მცირედი ხანძრის შემთხვევაშიც კი, ცეცხლი მოიცავს მთელს კვარტალს და ასობით ათასები გახდებიან სტიქიური უბედურების მსხვერპლი“ (ვადაჭკორია შ. 2005, 189).




მიკვეში დაავადებული
ქალი ექიმბაშთან

ებრაელთა საცხოვრებელი რიგ შემთხვევაში რელიგიურ სტატუსსაც იძენდა. ი. პაპისმედოვი აღნიშნავს: „გორში მცხოვრებ ებრაელთა 16-17 ოჯახი ერთ დიდ, ორსართულიან შენობაში ბინადრობდა. შენობის მეორე სართულის ბოლოს, ერთი დიდი ოთახი ღოცვას ჰქონდა დათმობილი,¹² ღოცვის ქვეშ პირველი სართულის დაბლა სარდაფში, გაკეთებული იყო ერთაუზიანი მიკვე, რომელიც გორელ ებ-

რაელთა მთელ საზოგადოებას ეკუთვნოდა“ (პაპისმედოვი, 1986: 156).

აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით შ. კობოშვილმა 1938 წელს შექმნა ეთნოგრაფიული ხასიათის სურათი: „მიკვე“ და „მიკვეში დაავადებული ქალი ექიმბაშთან“.

ქორწილის წინა დღეს ებრაელი ქალი მიკვეში მიჰყავდათ. რ. თავდიშვილს ქუთაისელ ებრაელებში ეს რიტუალი დეტალურად აქვს აღწერილი: „სადედოფლო შიგ მიკვეში სამჯერ გაეფლება, მიკვეს ზედამხედველი ქალი და თავისი



¹² პოსტსაბჭოურ სივრცეში ფიქსირდება სამი ტიპის ებრაული სალოცავი: ოფიციალურად რეგისტრირებული სინაგოგა, არაოფიციალურად არსებული სალოცავი სახლები (რომლებიც მოქმედებდნენ მანამ, სანამ ხელისუფლება არ დაიწყებდა ანტირელიგიურ კამპანიას) და ე.წ. მინიამი ქვორუმი, რომელიც, გორელ ებრაელთა მსგავსად კერძო სახლში იხსნებოდა (დოტკენბერგ ე. 1971, 47-50; Itsbuler M. 1998, 39)&

წამოვლიც ერთხმად მიაძახებენ: „ქაშერ, ქაშერ, ქაშერ“¹³; ქალი შიგ წყალშივე თავზე ხელებს დაიფარებს და აკურთხევს. ამოვა წყლიდან, არ გაიმშრალებს, ისე ჩაიცვამს, მიაძახებენ: „ვაჟის დედა, ვაჟის დედა, ვაჟის დედა“. იგი გაეხვევა ისევ მანდილში და მორიდებულად წავა შინ, რომ არავინ შეამჩნიოს, თუ სად იყო“ (თავდიშვილი რ. 1940, 28). ებრაელთა წარმოდგენით, მიკვეს რიტუალის საშუალებით პატარძალი წყლის გამანაყოფიერებელი ძალის თანაზიარი ხდებოდა და შვილიერების უნარს იძენდა. წყლის გამანაყოფიერებელი ძალა ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. რიტუალური განბანვა ებრაელი ქალისთვის აუცილებელი იყო და იგი ამას სხვა შემთხვევებშიც ასრულებდა. სიმბოლური განწმენდის გარეშე მას ეკრძალებოდა ქმარის სარეცლის გაზიარება (პაპისმელოვი ი. 1986, 156).

ამრიგად, მხატვარ შალომ კობოშვილის შემოქმედება წარმოადგენს ძვირფას ეთნოგრაფიულ წყაროს, საქართველოს ებრაელთა მატერიალური თუ სულიერი კულტურის და, საერთოდ, ტრადიციული ყოფის სხვადასხვა ასპექტით შესწავლის თვალსაზრისით. მის სურათებში ეთნოგრაფიული მომენტები თითქმის ზუსტადაა დაცული, რაც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ეთნოლოგიური კვლევის პროცესში სათანადო ილუსტრაციების ჩართვა (საველე-ეთნოგრაფიულ მასალებთან თუ წერილობით წყაროებთან შედარების გზით) საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. ამ კუთხით, ვიზუალური ანთროპოლოგიის კვლევის პრინციპების დაწერგვა თანამედროვე ქართულ ეთნოლოგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

Манучар Лория

Жилище грузинских евреев с точки зрения визуальной антропологии

Резюме

Художника-самоучка Шалом Кобошвили родился в 1876 году в бедной еврейской семье в городе Ахалцихе. Он начал работать в Еврейского историко-этнографического музея Грузии с 1937 года.

В статье рассматриваются рисунки Ш. Кобошвили, касающихся особенностей жилища грузинских евреев с точки зрения визуальной антропологии.

В работах Ш. Кобошвили оживает жизнь еврейского народа в радости и печали, их повседневный быт, важные события, характерные ритуалы, традиции и религиозные праздники. Некоторые из них сегодня уже утеряны, но благодаря произведениям Ш. Кобошвили сохранилась великолепная летопись еврейского духа.

¹³ ალაღია

Тематическое богатство и разнообразие анализируемого материала представляет ценный этнографический источник для изучения материальной и духовной культуры еврейского народа, позволяет проследить тончайшие особенности этих самобытных культур. Использование подобных иллюстраций в процессе этнологических исследований и сопоставление их с полевыми этнографическими и письменными источниками позволяет получить интересные и убедительно аргументированные научные выводы. Внедрение методов визуальной антропологии в грузинскую этнологию является одним из актуальных и важных вопросов современной науки о человеке.

Manuchar Loria

The dwelling of Georgian-Jews from the viewpoint of visual anthropology

Resume

Shalom Koboshvili was born in 1876 in Akhaltsikhe in a poor Jewish family. In 1937 he starts working as a watchman in the Historical-Ethnographic Museum of Jews of Georgia. In 1934-1936 Museum made scientific expeditions in almost all regions of Georgia, where the Georgian Jews lived in compactness. The result of expedition was a rich ethnographic material. Working in the Museum impressed on Sh. Koboshvili greatly, who started painting at the age of 60. In the noted article an attention is paid to those paintings, where some aspects of the Jewish family life are analyzed.

From the analyzed materials seem that the work of Sh. Kobiashvili represents a valuable ethnographic source from the standpoint study of material, spiritual culture and different aspects of traditional life. The noted once again assures us that the involvement of illustration in the process of ethnographic investigation in the comparison with its field-ethnographic or written sources makes a possibility to infer an interesting conclusion. From this standpoint, the introduction of research principles of Visual Anthropology in the Georgian Ethnology is one of the most important and actual subject of contemporaneity.

ლიტერატურა

1. აბულაძე ქ. ქართველ ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა 1921-1940 წლებში, საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, თბილისი, 2000
2. ვადაჭკორია შ. ებრაელთა საკითხი და ქართული სინამდვილე (1921-1940), გამომცემლობა მემატიანე, თბილისი, 2006
3. თავდიშვილი რ. ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან, ტექგამომცემლობა ტექნიკა და შრომა № თბილისი, 1940
4. იველაშვილი თ., ცაგარეიშვილი თ., გვიხმობს მამული მამა-პაპათა (ედგენება ისრაელში წასულ ქართველ ებრაელებს და მათ შთამომავლობას), გამომცემლობა მეცნიერება № თბილისი, 1995

5. მესხიშვილი ც., ებრაელთა უბანი ახალციხეში.- მესხეთი (საისტორიო კრებული), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა ახალციხე, 1997
6. პაპისმედლოვი, 1941 - პაპისმედლოვი ი., თვითნასწავლი მხატვარი შ. კობიაშვილი და მისი შემოქმედება.- საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, II, თბილისი, 1941;
7. პაპისმედლოვი ი., ნანახი, მოსმენილი, განცდილი, გამომცემლობა „კავკასიონი“ თელ-ავივი, 1986
8. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, 1940; II, 1941; III, 1945, თბილისი
9. Давид И., История евреев на Кавказе, II, Тель-Авив; 1989
10. Материальная база сферы культуры, 1997, 1998, 1999, 2001, 2002, 2003, Издательство РГБ, Москва
11. Открытие и сообщаемость культур: гуманитарный симпозиум, Москва, Издательство Путь, 1998
12. Материалы Второго Московского Международного Фестиваля и конференции визуальной антропологии, "Традиции и объектив, Издательство МГУ, Москва, 2004
13. Altsbuler M., Synagogues and Rabbis in the Soviet Union in the Light of Statistics, 1953-1964. – Jews in eastern Europe, vol. 35, No 1, 1998
14. Balikci A., The Legacy of Margaret Mead: the Case of Visual anthropology. In: Bulletin of the International Committee on Urgent Anthropological Research. Vienna. Vol. 8, 1987
15. Balikci A., Anthropologist and Ethnographic Filmmakers. In: Anthropological Filmmaking. J' Rollwagen, ed. NY Harwood, 1988
16. Visual Anthropology. In Encyclopedia of Cultural Anthropology, David Levinson and Melvin Ember, editors. New York: Henry Holt and Company, vol. 4, 1996
17. Mead M., Visual Anthropology in a Discipline of Words. In: Principles of Visual Anthropology. P. Hockings, ed. Mouton, 1995
18. Rothenberg J., the Jewish Religion in the Soviet Union, New York, 1971

ნაილა ჩელებაძე

„სადილის მიტანის“ ტრადიციის შესახებ

(აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

„სადილის მიტანა“ ქორწილის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი დამახასიათებელი ტრადიციული წესჩვეულებაა. ქორწინების ინსტიტუტი აჭარაში ერთიანი ქართული ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების გამომხატველია. აქ კარგად არის შემონახული ამ ტრადიციის ცალკეული არქაული ელემენტები, რომლის შემადგენელ ნაწილს ყოფაში დღემდე შემორჩენილი „სადილის მიტანის“ ჩვეულება წარმოადგენს. ქორწინების ციკლის ამ ნაწილს თანამედროვე ელემენტებიც შეერწყა, რომლის ფუნქციონირება ამ ტრადიციის მნიშვნელობითა და ორიგინალობით უნდა იყოს განპირობებული.

ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში „სადილის მიტანის“ ეს საინტერესო ტრადიცია ნაკლებად არის შესწავლილი. ამ სახელწოდებით იგი მხოლოდ აჭარაში შემორჩა. ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარების პერიოდში ინტერესი საქართველოს ცალკეული კუთხის საქორწინო ტრადიციების შესწავლისადმი კიდევ უფრო გაიზარდა. არაერთი საყურადღებო გამოკვლევა მიეძღვნა აჭარის საქორწინო ტრადიციების შესწავლას (ბაქრაძე დ. 1987; სახოკია თ., 1985; დერუაშვილი ნ. 1902; კუჭუხიძე ლ. 1940; მსხალაძე ა. 1969; ნოღაიდელი ჯ. 1971; ბექაია მ. 1974; ნოღაიდელი ნ. 1979; მეგელაძე ვლ. 1996 და სხვ.). გარკვეული ადგილი დაეთმო აგრეთვე „სადილის მიტანის“ ჩვეულების წარმოშობის საკითხებსაც (ნოღაიდელი ჯ. 1971, 61). მოგვიანებით ამავე საკითხს მიეძღვნა სხვა გამოკვლევებიც (ბექაია მ. 1974; ნოღაიდელი ნ. 1979, ნოღაიდელი ნ. 1998, ჩელებაძე ნ. 2005). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „სადილის მიტანის“ ჩვეულება აჭარაში დღემდე არის შემორჩენილი და მოსახლეობა მიიჩნევს, რომ იგი „ოდითგან წამოსული წესია“.

„სადილის მიტანასთან“ დაკავშირებით არსებობდა გარკვეული სახის რწმენა, რომლის შინაარსი კარგად ჩანს შემდეგი სახის შეხედულებებშიც: თუ დედა სიცოცხლეში შვილთან სადილს ვერ მიიტანდა, მაშინ იგი სულის ახსნის დროს ან სულაც სასაფლაოზე მიჰქონდა. ეს აუცილებლობა მდგომარეობდა იმაში, რომ ხალხური რწმენით „დედამ ძუძუ უნდა უქნას შვილს ალალი“, რადგან მისი „ამაგი არ გამეიხსნებაო“ და ამის გამო მიაჩნდათ, რომ იმქვეყნიურ ცხოვრებაში ისინი ერთმანეთს ვერ შეხვდებოდნენ. ამ აუცილებლობას აძლიერებდა აგრეთვე რწმენა იმისა, რომ გათხოვილი გოგოს ოჯახიდან გარდაცვლილი მშობლის სულს არაფერი მიუვიდოდა.

ქორწილიდან მე-8, ზოგან მე-15, ძირითადად კი 22-ე დღეს, ქალის მშობლები „სადილით“ მიდიოდნენ შვილთან. ხალხური ახსნით, „მშობლებს სადილი მიაქვთ აქამდე უჭმელი ქალიშვილისათვის“ (ბექაია მ. 1974, 71), რადგან მშობლების ოჯახში ქორწილის შემდეგ გატეხილი ღუკმის ნაწილი მასაც ეკუთვნოდა. ის ფაქტი, რომ

„სადილის მიტანის” ჩვეულება არის ქორწინების დამოუკიდებელი ციკლი, კარგად ჩანს ამ ტერმინის შინაარსობრივი ანალიზითაც: ქართულ ენაში ტერმინი „სადილი” ნიშნავს შუადღის პურის ჭამას და, ასევე, ამ ჯერზე მისაღებ საჭმელს, მაშინ როდესაც საქორწილო ქეიფის, ღვინისა თუ დიდი წვეულების აღსანიშნავად არსებობს სიტყვა ნადიმი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.1990). ხალხური შეხედულებით, მიტანილი სადილი ისეთი ხვავრიელი ყოფილა, რომ ამის შემდეგ ქმრის ოჯახში გოგოს გული მაძლარი და ყოველდღიური ლუკმაც მისთვის დაუმაღლებელი ხდებოდაო. როცა გათხოვილი გოგო მშობლებთან მიდის, მას გული ენაზეა, ყველაფრის წაღება უნდა და შიშისაგან „ჭალაში ქვა კანკალებს, მეც არ წამიყვანოსო”. მოსახლეობა მიიჩნევდა, რომ ეს წესი ღმერთისგან დავალებული იყო და იმ შემთხვევაში, თუ შვილს სადილს არ მიუტანდნენ, ღმერთი მათ ოჯახს აღარ შეიწყალებდა. ასევე გაგრცელებული შეხედულებით, „სადილის მიტანას” ოჯახში ხვავისა და ბარაქის გარდა მძახლებს შორის ურთიერთობაში სიტკბოებაც უფრო მეტი შეჰქონდა. გარდა ამისა, დედა სადილის მიტანით გათხოვილ გოგოს „ფეხს ხსნიდა”, რომლის შემდეგაც მას უკვე შეეძლო მშობლების ოჯახში მოსვლა(ჩელებადე ნ. 2001-2008). ხდებოდა ისეც, რომ იგი ქორწილიდან რამდენიმე დღის შემდეგ სიძის სტუმრობის დროს ქმართან ერთად ბრუნდებოდა სახლში, რომელსაც **ფეხნაქცევად** მისვლა ეწოდებოდა. ჩვეულებისამებრ, სიძე ასაჩუქრებდა ქალებსა და მშობლებს. ეს წესი ზოგადქართულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში დამოწმებული **ფეხისბრუნების //სახსიოდ მისვლის** იდენტურია. (ითონიშვილი ვ. 1960; მაკალათია ს. 1984; ხარჩილავა ი. 2005) სიძის **ფეხისბრუნება** და მეუღლის ოჯახში ტრაპეზის მიღება ინკორპორაციის თავისებურ სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა და ხელოვნური დანათესავების აუცილებელ პირობად ითვლებოდა.

ამასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დამოწმებული „სახლში დაბრუნების” ჩვეულება, რომელიც ეთნოგრაფიული ლიტერატურის მიხედვით მატრილოკალური დასახლებიდან პატრილოკალურზე გადასვლის პერიოდს მიეკუთვნება (კოსვენი მ. 1946).

„სადილის მიტანის” მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ განქორწინების შემთხვევაში ქალის ოჯახს შეეძლო სადილი მოეთხოვა, რომლის დაბრუნებაც ძირითადად თანხის სახით იცოდნენ.

სადილის შემადგენლობა აჭარის მთასა და ბარში ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავდებოდა კიდევ. ქვემო აჭარაში სადილის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო: სამი ცალი ხაჭაპური, ერთი ცალი ქათამი (აუცილებლად კენტი), ტკბილეულობა და ღვეზელი. სხვა ვარიანტის მიხედვით: ცხრა ხაჭაპური, მთვარის ფორმის სამი ღვეზელი//„ღვიძელი”, შექერლამა//შაქარლამა, ბაბთიანი ინდაური, ან დედალი – დედოფლისათვის, მამალი – სიძისთვის. ასევე, სპეციალური ღვეზელიც, რომელიც სიძე-დედოფლისათვის იყო განკუთვნილი. „სადილის მიტანის” ზემოაჭარული ტრადიციით მის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე ყვთმერი, ზოგჯერ 7-8 ცალი პური, თუმცა იკრძალებოდა ქათამი, რადგან „უკანჩხრეკელიაო” და

საქონელი, რომელიც სამზითვო საჩუქრის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვეკონდეს სათავენოსა და „სადილის მიტანის“ ჩვეულებების სრულიად დამოუკიდებელ ინსტიტუტებთან, მაშინ, როდესაც ქვემო აჭარაში ამ ორი ტრადიციის შერწყმასა და, შესაბამისად, ტრანსფორმაციულ მოვლენას უნდა ვპოვნოთ ადგილი. ასევე, საფიქრებელია, რომ ზემოაჭარულ ყოფაში სათავენოს დამოუკიდებლად განვითარების ინტენსიური ხასიათი მესაქონლეობაში ამ რეგიონის დაწინაურებითა და მასში ქალთა დასაქმების მაღალი ხვედრითი წილით უნდა განპირობებულიყო.

მისატანი სადილის რაოდენობასა და ხარისხს ქალის ოჯახის შესაძლებლობები განსაზღვრავდა. მაგალითად, კინტრიშის ხეობაში საუკეთესო სადილი შემდეგნაირი იყო: 200 ნაჭერი ბაქლავა, 200 ცალი შექერლამა, შამფურზე წამოგებული დედალი ინდაური ხაჭაპურებით, ასევე „მრგვალი ქათამი“ - დედალი და, არცთუ იშვიათად, მამალიც. უფრო შეძლებული ოჯახი შვილს დეკეულსაც კი მიუყვანდა. სადილს ამშვენებდა დიდ კეცზე გამომცხვარი ხაჭაპური - რომელიც 22, ზოგი ცნობით კი კენტი ოდენობის (ერთი ან სამი) უნდა ყოფილიყო და, ამდენივე, 20-25 კვერცხიანი ღვეპელი//ღვიძელი//ღვიძლი. გარდა ამისა, ცალკე კეთდებოდა 15-19 ცალი შექერლამის კვერი, რომელიც გათხოვილი გოგოსა და ქმრის ოჯახისათვის იყო განკუთვნილი. ერთ-ერთ მათგანში ოქროს ფულსაც „დაამწყვრევდნენ“ და ვისაც შეხვდებოდა, იგი ბედნიერად ითვლებოდა.

გათხოვილ ქალთან დედის სტუმრობის საყურადღებო ტრადიცია არსებობდა მოხვევებში. ქორწილიდან 2-3 თვის შემდეგ დედას გათხოვილ „შვილთან მიჰქონდა სკივრი მასში ჩალაგებული იმ საგნებითურთ, რომლებიც პატარძალს თავის პატივისმცემელთათვის საჩუქრად უნდა მიეცა“(ითონიშვილი ვ. 1960, 233). საგულისხმოა, რომ ქორწილში მნახველებისათვის პატარძლის მიერ საჩუქრის, კერძოდ, ნაქსოვი წინდების მიცემის ტრადიცია ზემო აჭარაში დღემდე არის შემორჩენილი. ამასთან, იშვიათად ვხვდებით აგრეთვე სკივრის გატანების ფაქტს, რომელიც ძირითადად სამზითვო კომპლექსში შედიოდა.

სადილი რიგდებოდა ოჯახის საახლობლოში, უფრო მეტად ქალებზე, ნაწილს კი სტუმრებისთვის გადაინახავდნენ.

„სადილის მიტანის“ არქაულობა კარგად ჩანს ლაზურ ტრადიციაშიც, რომლის მიხედვით სახლში მოსულ შვილს დედა კვლავ ატანდა შექერლამას, ბაქლავას და, აგრეთვე, „ქოთუმეში დოღმას“ (ბრინჯით ამოვსებული გამოშიგნული დედალი, რომელსაც ამ მიზნით სპეციალურად ასუქებდნენ).

თურქეთის ქართველობაში სადილის მიტანა შემდეგნაირად ხდებოდა: „გოგოს დედა სიძეს რომ ესტუმრებოდა 10-15 დღის მერე, ზღვენი//ძღვენი წამეიღებდა - ხაჭაპურები, და კარგი რაღაცეები ქურაბიე(ნამცხვრები). ხაჭაპურებს ზემოდან სუსამია, შიგნით კვერცხები და ესაა ზღვენი და ამას დაარიგებენ სოფელში, ახლობლებში. ხაჭაპურები იყო მოგრძო, მრგვალიც და ჭიქებით დაახატავდნენ. იტყვიან, ზღვენი გუუკეთებია, მშიერი არ დარჩესო“ (ჩელებაძე ნ.

2008) იმერხევული მასალებით, ჩვენებურებში სადილთან ერთად მიჰქონდათ „...ბადიაჲ, თასი, თაბალი, მუთვალის თახიმი მააქჟან. ზაათი და გაატანდენ, ია-არა. ქილიმები, ლოგინები...” (ფუტკარაძე შ. 1993, 209). ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალებით, ჩვენებურებში „სადილის მიტანის” ტრადიციის კავშირი წარღვნის მოტივთან, ჯერჯერობით არ დასტურდება.

როგორც წესი, სადილი გათხოვილი ქალის ოჯახში, ანუ, მის ნაბურავში, სამყოფში უნდა მომზადებულიყო. პირველად ბებია დაიწყებდა სადილის გაკეთებას - „ხელს გაარევიებდნენ სადილში, რომ მისი ხელდანადები მისულიყო შვილიშვილთან და კარგი მეოჯახე გამოსულიყო, გამოყოლოდა კარგი ტრადიცია”. ბებია თან დაიღოცებოდა: „ჩემი ასაკის მოყარე, ქმარ-შვილში თეთრი ღეჩაქით//მანდილით დააბერე, ქუდზე უძლიერე და საყოლი უმრავლეო”. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ბებია არ იყო, სადილს დედა ამზადებდა. სწორედ მას უნდა გაეკეთებია სიძის ოჯახის წევრებისათვის განკუთვნილი მრგვალი შაქარლამა. დანარჩენს კი მეშაქარლამე ქალები აკეთებდნენ. ლაზური წესის მიხედვით ადრე შაქარლამას წვაგდნენ და შემდეგ ოთხ ნაწილად ჭრიდნენ. საერთოდ, სადილის გასაკეთებლად მოიწვევდნენ ახლობელ, ბედნიერ ქალს, რომელიც გათხოვილი უნდა ყოფილიყო. თუკი დედა შვილთან სადილის გარეშე აპირებდა მისვლას, მას ქალები მაინც უნდა წაეყვანა. ამას მოსანახულებლად // გადასანახულებლად მისვლა, ან კიდევ ქალებით მისვლას // ქალების სტუმრობასაც ეტყოდნენ. ყველა მათგანს, მათ შორის ბავშვსაც, საჩუქარი უნდა მიეტანა. თანმხლებ მამაკაცებს საჩუქრის მიტანა არ ევალებოდათ. ეს სტუმრობა იმ წესზე უნდა მიგვანიშნებდეს, როცა ქორწილიდან მეორმოცე დღეს დედა ახლობელ ქალებთან ერთად მიდიოდა გათხოვილ ქალიშვილთან და მას **საორმოცოდ** მისვლასაც ეძახდნენ (შდრ. ბექაია მ.1974, 71).

სადილის მისატანად შეარჩევდნენ ხუთშაბათს, შაბათს ან კვირას დღეს. ყურადღება ექცეოდა მთვარის ფაზებსაც - იგი სავსე უნდა ყოფილიყო.

გამზადებულ სადილს ძველად ახლადმოწულ გოდრებსა და კალათებში აწყობდნენ, სადილი მიჰქონდათ აგრეთვე სპილენძის ჭურჭლით-თასით. მოგვიანებით კი ამ მიზნით ფართოდ დაიწყეს ვედროების, ლანგარისა და საინების გამოყენებაც. ერთ-ერთი ამ ჭურჭელთაგანი აუცილებლად უნდა დარჩენილიყო გათხოვილი გოგოს ოჯახში. დიდი ყურადღება ექცეოდა სადილის გაფორმებას. შაქარლამასა და ბაქლაგას ცალ-ცალკე „კოშკით დააწყობდნენ”. შემთხვევითი, შესაძლოა არც ეს ფორმა ყოფილიყო, რადგან მითოლოგიურად მსგავსი ფორმები წარმოადგენენ „მსოფლიო მთას, კოსმოსის სიმბოლურ სახეს”(ფრეხერი ჯ. 1983, ელიადე მ. 1987, 153). ზემოდან სპეციალურად გოგოსთვის მისატან ერთ ცალ ბაქლაგასა და ერთ ცალ შაქარლამას დადებდნენ. მოგვიანებით ამას დაემატებოდა სადილად მიტანილი თითო ნაჭერი ქათამი, ხაჭაპური და ღვეზელი, რომელსაც ერთ თეფშზე დაალაგებდა დედამთილი და რძალს თავის ოთახში შეუტანდა. მსგავსი წესი სრულდებოდა ლაზებში სიძის მიმართაც: როდესაც იგი ხუთშაბათობით თავის

დანიშნულთან ფარულად მიდიოდა, სიდედრი მაგიდაზე ფარულად დაახვედრებდა შაქარლამასა და ჩურჩხელას.

მნიშვნელობა ენიჭებოდა სადილის წადების წესსაც. სადილს ერთი ვინმე - ახალგაზრდა ძმა ან ბიძაშვილი გაიტანდა სახლიდან, რომელიც დაუოჯახებელი უნდა ყოფილიყო, რადგან, ხალხური შეხედულებით იგი „უფრო წმინდააო“. ამ წესს თურქეთის ქართველობაშიც მკაცრად იცავდნენ და სადილს „პაწა ძმა მისცემდა დედოფალს ხელში“. სადილს მთარიდებდნენ „თვალმაკვეთარა და ენატანია ქალს - გოგოს ამბავი ენა-ყბაზე გავაო“.

სიძის ოჯახში მიტანილ სადილს ჩაიბარებდა დედამთილი ან ოჯახის უფროსი. ზოგიერთი ცნობის მიხედვით სადილს დაიხსნიდნენ, ანუ მასში ფულს გადაიხდიდნენ. გარდა ამისა, სტუმრების თხოვნით მამამთილი რძალს ხეხილს ან საქონელს აჩუქებდა. ანალოგიურად ასაჩუქრებდნენ სიძეს „ფეხნაქცევად“ სტუმრობის დროსაც. თურქეთის ქართველებშიც გავრცელებული ტრადიციის მიხედვით, მას ერთგვარ გამოცდასაც კი უწებდნენ, რისთვისაც მას ცალი ხელით უნდა აეტაცა გაწყობილი სუფრა. ამ დროს სიძე არ ჭამდა, ხოლო მისი თანმხლები ბიჭები კოვზებს მოიპარავდნენ და სიძის დასაჩუქრებას ითხოვდნენ. სიმამრიც აჩუქებდა ხეს ან ძროხას. ამის შემდეგ დაიწყებდა სიძე ჭამას (ჩელებაზე ნ. 2008).

მასპინძლები სტუმრებს სათანადოდ უმასპინძლებოდნენ და სუფრაში გაქონდათ მათ მიერ მიტანილი სადილის ნაწილიც.

„სადილის მიტანის“ ხასიათი ნათლად იკვეთება ამ ტრადიციასთან დაკავშირებულ ბიბლიურ გადმოცემებშიც (გოლიაძე ო. 1998). ამ გარემოებას თავის დროზე სათანადო ადგილი დაუთმო ცნობილმა ეთნოგრაფმა ჯ. ნოღაიდელმა თავის ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში. მკვლევარის ეთნოგრაფიული ჩანაწერების მიხედვით, „როცა ქვეყანა წყლით დაფარულა, ნუხს(ფეიხამბერს)* თავის გემზე ჰყოლია მისი სამი ვაჟი: სემ/სამ, ქამ და იაფეთი, ერთი ქალი და ყველა ჯურის ცხოველები წყვილად, დედალ-მამალი. ხალხი რომ გაწყვეტილა, ნუხს გადაუწყვეტია, ხალხი რომ გამრავლებულიყო, თავისი ქალის თავისსავე ვაჟზე მითხოვება. მაგრამ ქალი ერთი ჰყავდა და ვაჟი კი სამი. ნუხ ფეილამბერი დაღონებულა, მაშინ ღმერთს ჯებრავლი მიუგზავნია ნუხისთვის და უბრძანებია, შენ რომ დედალი ვირი და ძალდი გყავს, ღამე შენს ქალთან ერთად ოთახში დაამწყვდიეო. ნუხს ბრძანება შეუსრულებია და დილას ოთახში სამი ქალი დახვედრია. ნუხს თავისი ასული ველარ უცვნია. თითო ვაჟისთვის თითო ქალი დაურიგებია. შემდეგ ნუხს თავისი ქალის ცნობა გადაუწყვეტია. ერთი კვირის შემდეგ მიუტანია ერთ-ერთი ვაჟისთვის სადილი და უკითხავს: როგორია ჩემი ასულიო? პასუხად მიუღია ერთი ასულის თაობაზე – ჯიუტიაო, მეორესთან სტუმრობის დროს – ბევრს ლაპარაკობსო, მესამე კი შეუქეს და ამ გზით ნუხ ფეიხამბერს თავისი პირმშო ასული გამოუცნია და უნდა ვიფიქროთ, რომ ქორწილის შემდეგ „სადილის მიტანა“ ჩვენში ამ ნიადაგზე უნდა იყოს გავრცელებული“ (ნოღაიდელი ჯ. 1971, 61, კურანი მუჰამადისა, 1906, სურა71)

ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალები ცნობებს გვაწვდის არა მარტო ნოეს შვილების შესახებ, არამედ იმათ შესა-

ხედავ, ვინც ნოეს ეხმარებოდნენ კიდობნის მშენებლობაში. გადმოცემის ჩვენეულ ვარიანტებში, ნოემ ინატრა სამი ქალიშვილი თავისი დამხმარეების – ხელოსნების გულის მოსაგებად – რადგან მათ მოეწონათ მისი ერთადერთი ქალიშვილი, ნოემ კი სამივე მოინდომა სასიძოლდ.

„სადილის მიტანის” შესახებ არსებული გადმოცემა ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესოა. ამ გადმოცემებში საერთოა ის არის, რომ ყველა მათგანი პირდაპირ არის დაკავშირებული წარღვნის თემასთან, თუმცა, ჩვენი ვარაუდით, ამ გარემოებაზე გარკვეული მინიშნებებიც უნდა არსებობდეს. ასეთად მიგვაჩნია სადილის მიტანის რამდენიმე დრო – მე-8, მე-15 და 22-ე დღე, რომლებიც ნოეს მიერ კიდობანში შესვლას და ხმელეთზე ამბის მოსატანად ფრინველის რამდენიმეჯერ გაგზავნას, ანუ შესაბამისად პირველ, მეორე და მესამე კვირის შემდგომ დღეებს უკავშირდება. (ბიბლია თავი მე-6, მ. 7,8.) ამ მიმართებით არანაკლებად საინტერესოა აგრეთვე სხვა რიცხვთა სისტემის შესატყვისობა შემდეგ ფაქტებსა და მოვლენებთან: 9 თვე კიდობნით ცურვა(მეათე თვემდე) 40- ბიბლიის მიხედვით წვიმების ხანგრძლივობისა და ნოეს მიერ სარკმლიდან ყორანის გამოშვების დროა, ეთნოგრაფიული მონაცემებით კი იგი ქალების სტუმრობის, ზოგჯერ კი სიძის ფეხნაქცევად მისვლის დროის გამომხატველია და სხვა მომენტები(მაგალითად, კვერცხიანი ღვეხელი, თეთრი სფეროსებური შაქარღამა, რიტუალური კერძები, მათი საკრალური რაოდენობა და ა.შ.). რაც შეეხება ფრინველებს (ყორანი, მტრედი), ესეც კარგად ცნობილი ფაქტებია მითოლოგიურ სისტემაში, რომლის ანალოგები ქართულ სინამდვილეში სათანადოდ არის გამოვლენილი და შესწავლილი (კიკნაძე ზ. 1985, 87-88, სურგულაძე ი. 1986, 87, სურგულაძე ი., 2003). შესაძლებელია, რომ საკრალურობის ამავე პრინციპზეა გათვლილი ახალ სიცოცხლესთან – ბავშვის დაბადება-აღზრდასთან დაკავშირებული დროის რიგობითი თანმიმდევრობა (9 თვე, 7 და 40 დღე) და სხვა. რომლებიც სამომავლოდ უფრო მეტ კვლევასა და გააზრებას საჭიროებენ.

ამრიგად, როგორც ეთნოგრაფიულმა და ფოლკლორულ-დიალექტოლოგიურმა მასალებმა და გამოკვლევებმა გვიჩვენა, „სადილის მიტანა” აჭარაში წარმოადგენს საკმაოდ მყარად დამკვიდრებულ ტრადიციას. ვლინდება, რომ აგრერიგად გათანამედროვეებულ ტრადიციას ძალზე ძველი წინარე ისტორია აქვს. ქორწილის შემდგომი პერიოდის ეს წესი თავისი ფუნქციებითა და სტრუქტურული ელემენტებით წარმოადგენს საქართველოში ამ ინსტიტუტის განვითარების საკმაოდ სრულყოფილ ვარიანტს, რომლის კვალი კარგად არის შემონახული არა მარტო აჭარაში, არამედ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა საოჯახო ტრადიციებში. ერთი შეხედვით, წარღვნისა და სადილის მიტანის შესახებ წარმოდგენილი ვარიანტები ერთმანეთთან ძნელად დასაკავშირებელ მოვლენებს წარმოადგენენ, რადგან წარღვნის შესახებ არსებულ გადმოცემაში სადილის მიტანის ამბავი არ არის ბიბლიური სიუჟეტი და იგი მხოლოდ ხალხის ფანტაზიაა, თუმცა საინტერესო სწორედ ისაა, თუ რატომ დაუკავშირა მოსახლეობამ ერთმანეთს ეს ორი მოვლენა. გათვალისწინება იმისა, რომ საიტორიო ტრადიციით ქართველები ითვლებიან ნოეს შვილის –

იაფეთის შთამომავლებად, სრულებითაც არ გამორიცხავს ქართველთა მსოფლმხედველობაში ამ ისტორიული წარსულის – წარღვნის მოტივის თავისებური გააზრებას.

ამ იდეურ ერთიანობას მნიშვნელოვნად განამტკიცებს მოსახლეობაში დაცული ორივე ტრადიციის შესახებ საყურადღებო ცოდნა, რომელთა ურთიერთმიმართებაში ჩნდება ამ ორი ტრადიციის უწყვეტობა კულტურული მემკვიდრეობის დინამიკაში. ნოეს მთავარი მისია წარღვნის შემდგომ კაცთა ახალი მოდგმის შექმნაა, მაშინ, როდესაც „სადილის მიტანა“ წარმოადგენს ახალ გარემოში ახალი ოჯახის შექმნისა და მისი ხელშეწყობის ფაქტს.

ამასთან, „სადილის მიტანის“ ტრადიცია გამოხატავს არა მარტო გათხოვილი ქალის პატივისცემას, არამედ იგი ემსახურება მოყვრების დაახლოებისა და მათ შორის კეთილგანწყობის შექმნას, ოჯახში სიტკბოების შეტანასა და დამკვიდრებას, ქალისათვის მშობლიური მიკროსამყაროს არა მარტო შესაძლო იდენტიფიკაციას, არამედ ქალის ახალ ოჯახსა და მშობლების ოჯახების სულიერ მაკავშირებელსაც (ჩელებაძე ნ. 2003, 160). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ამ ტრადიციის ცალკეული მხარის როგორც ზნეობრივი, ისე სიმბოლური და სანახაობითი შინაარსიც, რომელშიც აისახა ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და რელიგიური შეხედულებები. ამასთან, აღნიშნული ტრადიცია ტრანსფორმირებული სახით დღემდე შემორჩა და იგი თანამედროვე ქორწილის ერთ-ერთ ღამაზე და ორიგინალურ ელემენტად მკვიდრდება.

Наила Челебадзе

**Традиция «преподнесения обеда»
(По этнографическим материалам Аджарии)**

Резюме

«Преподнесения обеда» - эта одна из основных частей свадебного цикла, которая до сегодняшнего дня остаётся наиболее распространённой и популярной традицией в Аджарии. Из фольклорно-этнографических источников стало ясно, что она связана с библейской историей и в частности со «всемирным потопом». Целью этой традиции, главным образом, является визит к замужней дочери со сладостями в знак счастья и согласия в семье и пожеланием изобилия.

**The Essence of Tradition “To Present the Dinner”
(According the ethnographic materials of Adjara)**

Summary

“To present the dinner” is one of the main part of wedding cycle, which is the most popular and wide-spread tradition in Adjara. According to the folk-ethnographic sources, it became clear that the tradition is connected with the biblical subject, in particular with “Noah’s Flood”. The aim of this tradition is to visit the newly-wed daughter and to gift her some baked sweets that means to bring happiness and abundance in the son-in-law’s family”.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბექაია მ. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში. ბათუმი, 1974.
2. ბიბლია. თავი მე-6, მ. 7,8.
3. გოლიაძე ო. ბიბლიური ნაკადი ქართულ პაგიოგრაფიაში. უფრნ. კლდეკარი, №13, 1998.
4. ითონიშვილი ვ. ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი, 1960.
5. კიკნაძე ზ. ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა. თბილისი, 1985.
6. კურანი მუჰამადისა. თბილისი, 1906.
7. კუჭუხიძე ღ. აჭარული ოჯახი. ხელნაწერი. ისტორიის ინსტიტუტის არქივი. თბილისი, მ. 65, 1940.
8. მაკალათია ს. ხევსურეთი. თბილისი, 1984.
9. მგელაძე ვლ. ქორწინება და საქორწინო წესწვეულებანი აჭარაში. კრ. კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, ბათუმი, 1996.
10. მსხალაძე ა. აჭარის საოჯახო საწესწვეულებო პოეზია. ბათუმი, 1969.
11. ნოღაიდელი ნ. ქორწინების ღესიკა. კრ. აჭარული დიალექტის დარგობრივი ღესიკა. II, თბილისი, 1979.
12. ნოღაიდელი ნ. ხატოვანი გამოთქმები და დიალექტის დარგობრივი ღესიკა (აწარული დიალექტის მასალების მიხედვით), ბათუმის შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), III, ბათუმი, 1998.
13. ნოღაიდელი ჯ. ნარკვევები და ჩანაწერები. წიგნი I. ბათუმი 1971.
14. სურგულაძე ი. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბილისი, 1986.
15. სურგულაძე ი. მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი, 2003.
16. ფუტყარაძე შ., ჩვენებურების ქართული. ბათუმი, 1993.
17. ქართული ენის განმარტებითი ღესიკონი. ერთტომეული. ნაკვეთი მეორე(მ-ჰ). თბილისი, 1990.
18. ჩელეაძე ნ. საველე ეთნოგრაფიული მასალები. 2001-2008
19. ჩელეაძე ნ. ქალი და ოჯახი. თბილისი, 2005.
20. ჩელეაძე ნ. მზითვის ინსტიტუტის რაობისათვის. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, III, თბილისი 2003.

21. ჩელებაძე ნ, წარღვნის მოტივი აჭარაში ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით. კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VIII, თბილისი 2006.
22. ხარჩილაძე ი. ქორწინება და საქორწინო ტრადიციები ისტორიულ სამურზაყანოში ავტორეფერატი საკ. დის. მოსკო, თბილისი, 2005.
23. Державин Н.С. Свадьба у гурийцев-мусульман в окрестностях Батума СМОМПК, №31,1902.
24. Косвен М.О. Обычай возвращения домой (из истории брака) . КСИЭ. Вып. I, 1946.
25. Фрезер Дж. Дж. Золотая ветвь. М.,1983.
26. Элиаде М. Космос и история. М. 1987.

ოთარ თურმანიძე

**ბათუმის ინდუსტრიული კადრები ტექნიკური
პროგრესისათვის ბრძოლაში**

(XX საუკუნის 50-80-იანი წლები)

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბათუმს ამიერკავკასიაში მესამე ადგილი ეკავა სამრეწველო-ეკონომიკური განვითარებით. ინდუსტრიალიზაციის განვითარების შედეგად ბათუმის სამრეწველო-ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვნად გადიდდა. 1928-1940 წლებში ბათუმში მსხვილი მრეწველობა 48-ჯერ და მეტად გაიზარდა(22.25.) მნიშვნელოვნად დაწინაურდა მრეწველობასთან ერთად მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. ცხადია, ამის შედეგად ჩამოყალიბდა ინდუსტრიის კადრები – პროფესიული მუშათა კლასი და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. 1939 წლის დასაწყისში ბათუმში ინდუსტრიული კადრები 11766 კაცს მიითვლიდა. მათ შორის იყო 10746 მუშა და 1020 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი(20.128,151).

ინდუსტრიული კადრების თვისებრივ-რაოდენობრივ ზრდაში დიდ-მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა XX საუკუნის 50-80-იანი წლებში. ამ წლებში ბათუმში არაერთი ახალი საწარმო, საამქრო და საწარმო უბანი გაიხსნა. ქალაქის მატერიალური წარმოება და მომსახურების სფერო მნიშვნელოვნად დაწინაურდა. შეიქმნა ათასობით სამუშაო ადგილები, რის შედეგად ინდუსტრიის კადრების რიცხოვნობა შესამჩნევად გაიზარდა. 1959 წლის დასაწყისში ბათუმის ინდუსტრიის კადრების რაოდენობა 22372 კაცს შეადგენდა. აქედან მუშა იყო 18548, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი 3825 კაცი(1. 1- 4). თვისებრივ-რაოდენობრივი ზრდა კიდევ უფრო მაღალი იყო მომდევნო წლებში. 1989 წლის დასაწყისში აჭარის ქალაქად (ძირითადად ბათუმში) აღირიცხა 46760 მუშა და 7803 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი(21). ეს მაჩვენებელი 1959 წლის მახასიათებლებს ორჯერ აღემატება.

ბათუმის ინდუსტრიული კადრები, მატერიალურ პროდუქციის წარმოებასთან ერთად, მნიშვნელოვან ტექნიკურ-შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ. ისინი აუმჯობესებდნენ ტექნიკას, სქემებს, მანქანა-დანადგარებს, კმნიდნენ ახალ დეტალებს, მექანიზმებს, მოწყობილობებს. ამის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა წარმოების მექანი-

ზაცია და ავტომატიზაცია, ხოლო ქვეყანამ დიდძალი ეკონომიური მოგება მიიღო.

XX საუკუნის 20-30-იანი წლებში ბათუმის ინდუსტრიული კადრები ტექნიკურ შემოქმედებით საქმიანობას ძირითადად პირადი ენთუზიაზმით ეწეოდნენ. მაშინ არ იყო საჭირო საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი მაკორდინებელი სტრუქტურები. ცხადია, სახელმწიფო არასაკმარის ყურადღებას იჩენდა ნოვატორების მიმართ. 50-იანი წლებიდან მოყოლებული მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვალა. 1958 წელს შეიქმნა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოება. ანალოგიური ორგანიზაცია დაარსდა საქართველოშიც.

ამ დროისათვის აჭარაში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების დაარსებისათვის პირობები შემზადებული იყო. 1958 წლის ივლისში აქ აღირიცხა 1293 გამომგონებელი და რაციონალიზატორი, რაც 1951 წლის მაჩვენებელს 3,3-ჯერ აღემატებოდა. ბათუმის საწარმოებში 30-მდე პირველადი ორგანიზაცია მუშაობდა (17.18;3.202). მათ ბაზაზე 1058 წელს შეიქმნა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საოლქო საბჭო. ბათუმში დაარსდა აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება და გაიხსნა ტექნიკის სახლი. ზემოაღნიშნული სტრუქტურები ნაყოფიერ მუშაობას ატარებდნენ ნოვატორთა საქმიანობის კოორდინაციისა და ტექნიკური შემოქმედების გაფართოებისა და გადრმავეებისათვის.

საგრძნობლად გაფართოვდა აღმოჩენების, გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული საქმიანობის საკანონმდებლო ბაზა. ამ ჭრილში საყურადღებოა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 მაისის დადგენილება "გამომგონებელთა და რაციონალიზატორული წინადადებების სახალხო მეურნეობაში დანერგვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". 1963 წელს საზოგადოების წესდება დაამტკიცეს, 1973 – დებულება, ხოლო 1977 წელს შემუშავეს ინსტრუქცია. ამ დოკუმენტებში განსაზღვრულია აღმოჩენების, გამომგონებლობის, რაციონალიზატორობის მნიშვნელობა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში. მათში მოცემულია ძირითადი ამოცანები ამ სფეროს განვითარებისათვის. 1979 წელს დაწესდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა დღესასწაული. იგი აღინიშნებოდა ივნისის ბოლო შაბათს.

ცხადია, ხელისუფლების მიერ შემუშავებული ღონისძიებები მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისი იყო ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობის გაფართოებისა და თვისებრივად განვითარებისათვის. ყველაზე სუსტი ადგილი იყო მატერიალური სტიმულირების ჯეროვანი შეუფასებლობა. რაც უფრო დიდი ეკონომიკური ეფექტიანობა ჰქონდა აღმოჩენებს, გამომგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადების, მით უფრო ნაკლები იყო საამისოდ გასაცემი გასამრჯელო. წლების განმავლობაში ჭიანურდებოდა დიდ-მნიშვნელოვანი აღმოჩენების, გამომგონებებისა და რაციონალიზატო-

რული წინადადების წარმოებაში დანერგვა. ცხადია, ბიუროკრატიული ქმედებების გამო დიდძალი თანხები იკარგებოდა.

ასეთი მდგომარეობა იყო მოღიანად საქართველოში და მაინც ინდუსტრიული კადრები მოზღვაებული ძალისხმევითა და დაუცხრო-მელი ენთუზიაზმით იბრძოდნენ ტექნიკური პროგრესისათვის. უკვე 1971 წლის ბოლოს ბათუმში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების 83 პირველადი ორგანიზაცია მოქმედებდა, რომლებშიც გაერთიანებული იყო 6284 წევრი(12.18-21). ნაყოფიერად მუშაობდა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება, რომლის მთავარი ამოცანა იყო მეცნიერებისა და წარმოების კავშირის განმტკიცება, ერთობლივი ძალისხმევით ახალი მანქანების, მოწყობილობების, მექანიზმების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნა. 1976 წელს მის რიგებში ითვლებოდა 20 ათასი წევრი(16.21-22).

სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების დასყრდენი იყო ბათუმის ტექნიკის სახლი, სადც მრავალმხრივ საინტერესო მუშაობა მიმდინა-რეობდა. მაგალითად, 1975-1976 წლებში ბათუმის ტექნიკის სახლში ჩატარდა 15 კონფერენცია, 27 თათბირი, 64 სემინარი, 13-ჯერ მოეწყო ნივატორთა დღეები, 17-ჯერ გაიმართა მოწინავეთა სკოლების შეკრება და სხვა. ანალოგიური ღონისძიებები სხვა დროსაც ტარდებოდა. ამ ღონისძიებებში რეგიონის მეცნიერებისა და ინდუსტრიული კადრების გარდა მონაწილეობდნენ რუსეთის, უკრაინის, თბილისის და სსრ კავშირის შესაბამისი პროფილის წამყვანი სპეციალისტები, მეცნიერები, ნოვატორები, წარმოების ხელმძღვანელები (16. 10-17). მათ რეკომენდა-ციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტექნიკური პროგრესის დაჩქა-რებაში.

აჭარაში 1964 წელს 947 ნოვატორმა 1573 წინადადება შეიტანა, რომელთაგან წარმოებაში დაინერგა 825. წლიური ეკონომიკური ეფექტი 1190,2 ათას მანეთს შეადგენდა. მომდევნო წლებში აღნიშნული მაჩვენებ-ლები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1974 წელს 1427 ნოვატორმა 2070 რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა, აქედან დაინერგა 1470, ყოველწლიური ეკონომიკური ეფექტი 3182 ათას მანეთს უდრიდა. 1986 წელს გამოგონებლობისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მიღებული წლიური ეკონომიკური ეფექტი 10254 ათას მანეთს შეადგენდა (23.43;24.39).

ცხადია, ბათუმს წამყვანი ადგილი ეკავა რეგიონში ინდუსტრიული კადრების ტექნიკურ შემოქმედებაში. 1971 წელს ბათუმში 1298 გამომ-გონებელი და რაციონალიზატორი აღირიცხა, რომლებმაც 1510 წინადა-დება შეიტანეს, წარმოებაში დაინერგა 1265, ხოლო მოსალოდნელი წლიური ეკონომიკური ეფექტი 1051,4 მანეთს შეადგენდა(13.1-2).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკავშირო და საკავში-რო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები. მაგალითად, ნავ-თობგადამამუშავებელ ქარხანაში 1971 წელს ითვლებოდა 147 რაციო-ნალიზატორი, მანქანათსაშენში – 49, კოფეინის – 47, სამკერვალო

გაერთიანებაში – 36, თევზჭერის ბაზაში – 50, ნავთობპროდუქტების გადასატვირთავ მთავარ ბაზაში – 35, რკინიგზის ტრანსპორტზე – 90, ავტოტრანსპორტის საწარმოებში – 181, საქართველოს სანაოსნოში – 326, ფეხსაცმლის საწარმოში – 16, თამბაქოს ფაბრიკაში – 16 რაციონალიზატორი და ა.შ. (13.1-2).

ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედებით გამორჩეული იყო ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. ამ საწარმოში 1951-1960 წლებში შეიმუშავეს 2741 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან წარმოებაში დაინერგა 1666. ეკონომიკური ეფექტი 1337 ათას მანეთს შეადგენდა. 1961-1970 წლებში – 1340 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა წლიური ეკონომიკური ეფექტი 1861 ათას მანეთს უდრიდა.

ქარხნის კოლექტივისათვის 70-80-იანი წლები კიდევ მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. 1977 წელს ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში დაინერგა 153 რაციონალიზატორული წინადადება, რომლის წლიური უკუგება 362 ათას მანეთს უდრიდა 1978 წელს ამ მაჩვენებელმა 107 ერთეული და 401,3 ათასი მანეთი შეადგინა (14.196). 1980 წელს ქარხანაში მუშაობდა 20 შემოქმედებითი ბრიგადა და 118 ინდივიდუალური გეგმით მომუშავე რაციონალიზატორი. მათ 118 წინადადება შეიმუშავეს, რომელთაგან დაინერგა 65. წლიური ეკონომიკური ეფექტი 803 ათას მანეთს შეადგენდა. მათ შორის ერთი გამოგონების დანერგვის ეკონომიკური ეფექტი წლიურად 649 ათას მანეთს იძლეოდა (15.181). ნოვატორული მუშაობით გამოირჩეოდნენ ზ. ფირიაშვილი, ა. ხარებავა, ს. დოლიძე, მ. კრასნოლობოვი, გ. კულმაშნი, გ. ჯიქიძე, მ. ბეჟანიძე, ე. კეველსონი, და სხვები. 1951 წელს განხორციელდა ერთ-ერთი დანადგარის რეკონსტრუქცია, რის შედეგად მისი სიმძლავრე 70%-ით გაიზარდა. იგი განხორციელდა ვ. ქირიას, ხ. სარჯველაძისა და ვ. ჩიქოვანის რაციონალიზატორული წინადადებებით. 1953 წელს ქარხნის მთავარმა ინჟინერმა მ. ბეჟანიძემ შეიმუშავა ავტობენზინის წარმოების ახალი ტექნოლოგია, რითაც მისი ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა. 1955 წელს ნოვატორების ვ. ქირიასა და ს. დოლიძის წინადადებების დანერგვის შედეგად ქარხნის № 25 დანადგარის სიმძლავრე 40%-ით გაიზარდა. გ. ჯიქიძემ 1959 წელს შეიტანა წინადადება ტრანსფორმატორის გასაწმენდად ტუტის ხსნარის შემზადებისათვის ტექნიკური წყლის გამოყენების შესახებ. ამ წინადადების დანერგვის შედეგად საწარმო წლიურად 9446 მანეთ მოგებას იღებდა (26. თურმანიძე ო. 341).

ტექნიკურ სიახლეთა ძიებაში კარგ შედეგს იძლეოდა შემოქმედებითი კომპლექსური ბრიგადების საქმიანობა. ერთ-ერთმა ასეთმა ბრიგადამ (მ. ბეჟანიძე, მ. კრასნოლობოვი, გ. კულმაშნი და სხვები) განახორციელა ნავთობის პირველადი გამოხდის დანადგარის რეკონსტრუქცია. ამ სიახლის დანერგვის შედეგად წარმოების წლიური მოგება 167326 მანეთს უდრიდა. მეორე კომპლექსურმა ბრიგადამ (ს. დოლიძე, მ. კრასნოლობოვი, გ. კულმაშნი და სხვები) შექმნა ატმოსფერული ვაკუმის

დანადგარის ახალი მიღსადენ-გამახურებელი, ამასთან თერმული კრეკინგის ღუმელი გადაიყვანეს მუშაობის ერთნაკადიან სქემაზე. ამ სიახლის დანერგვით საწარმო ყოველწლიურად 120210 მანეთ დამატებით შემოსავალს იღებდა(10. 83; 11.168).

ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კატალიზური საამქროს ნოვატორთა კომპლექსურმა ბრიგადამ (ა.ბესელია, გ.ბერიძე, ი.ჯინჭარაძე) შეცვალა ბენზინის კომპონენტთა შემადგენლობა. ეს სიახლე დაინერგა 70-იანი წლების დასაწყისში, წლიური ეკონომიკური უკუგება 100 ათას მანეთს აღემატებოდა. კიდევ უფრო შედეგიანი აღმოჩნდა გ.კულბაშნის, ვ.ქირიას, ი.მაჭუტაძის, დ.შაცის რაციონალიზატორული წინადადებები, რომლებიც 1977 წელს დაინერგა. წლიური ეკონომიკური ეფექტი 250 ათას მანეთს უდრიდა(26. თურმანიძე ო. 342-343).

ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის რაციონალიზატორებიდან გამორჩეული იყვნენ ა.ხარებავა, გ.დარჩია, მ. რასნოლობოვი, გ.კულბაშნი და სხვები. აკაკი პეტრეს ძე ხარებავა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში 1933 წლიდან მუშაობდა და ყოველთვის ტექნიკური სიახლის ძიებაში იყო. თვალსაჩინო მიღწევებისათვის 1962 წელს მას მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება. გივი დავითის ძე დარჩია ზემოთდასახელებულ საწარმოში 1943 წლიდან მუშაობდა. გ.დარჩიას მიერ შეტანილი რაციონალიზატორული წინადადებით ქარხანაში მრავალი ტექნიკური სიახლე დაინერგა, საწარმომ კი ათასობით მანეთის მოგება მიიღო. წარმატებული ტექნიკური შემოქმედებითი საქმიანობისათვის 1967 წელს გ.დარჩიას მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება.

წარმოების რაციონალიზაციაში შესამჩნევი მიწევები ჰქონდა ნავთობპროდუქტების გადამტვირთავი ბაზის რაციონალიზატორებს მ.შაქარიშვილს, ი.აბრამცოვს, ა.მირიბიანს, ე.ისაენკოს და სხვებს. მათ მიერ შეტანილი რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად შემცირდა ნავთობპროდუქტების ამოქაჩვა-გადატვირთვის ზედმეტი ოპერაციები, შეიცვალა საწარმოსა და რეზერვუარ-ცისტერნებს შორის დამაკავშირებელი ნავთობმილსადენი სქემები, დაინერგა ახალი ტექნიკა ტანკერებში თხევადი ნავთობპროდუქტების დატვირთვისათვის. მ.შაქარიშვილის რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა 78 ათას მანეთს ითვლიდა, ი. აბრამცოვის – 50 ათას, ა.მირიბიანის – 69 ათას, ე.ისაენკოს – 47 ათას მანეთს(11.95-124; თურმანიძე ო. 345-346).

XX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოების ტექნიკურ პროგრესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბათუმის მანქანათმშენებლობისა და ლითონდამამუშავებელმა საწარმოებმა. მანქანათსაშენ ქარხანაში თვალსაჩინო რაციონალიზატორები იყვნენ გ.ცინცაძე, მ.დუნდუა, ი.კალაშნიკი, ო.ჯანელიძე, შ.ჩაგუნავა, ვ.დოლიძე, პ.ბონდარენკო, გ.ჭეიშვილი და სხვები. მათ მიერ შეტანილი გამოგონებათა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად შეიქმნა ახალი მექანი-

კური მოწყობილობანი, კვანძები, დეტალები, გაუმჯობესდა არსებული. ამ ტექნიკურ სიახლეთა დანერგვით საწარმო წლიურად ათასობით მანეთ მოგებას იღებდა. მაგალითად, 1955 წელს დაინერგა 55 გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომლის წლიური შემოსავალი 231 ათას მანეთს უდრიდა (19.14). 1980 წელს გამოგონებათა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის წლიური ეკონომიკური ეფექტი 538,6 ათას მანეთს, ხოლო 1981 წელს-496 ათას მანეთს შეადგენდა (თურმანიძე ო. 347). ტექნიკურ სიახლეთა ძიებაში სარეკორდო იყო 1984 წლის მაჩვენებლები, როდესაც ფულადი გამოხატულებით ერთ მილიონ 54 ათასი მანეთი შეადგონა(თურმანიძე ო. 347).

ამ მიღწევებში განსაკუთრებულია გიორგი ცინცაძის, ივანე კალაშნიკის და პავლე ბონდარენკოს წვლილი. გიორგი ცინცაძეს 1966 წელს მიანიჭეს აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება, ხოლო 1969 წელს წარადგინეს საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის წოდებაზე. აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება მიანიჭეს ივანე კალაშნიკსა და პავლე ბონდარენკოს.

ნაყოფიერ ტექნიკურ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა ეფიმი ხაზანზუნი, რომელიც 1963 წლამდე ელექტრომექანიკურ ქარხანაში მუშაობდა. შემდეგ გადავიდა საყოფაცხოვრებო მანქანათსასენ ქარხანაში, სადაც განაგრძო აქტიური ნოვატორული საქმიანობა. ე. ხაზანზუნის წინადადებით შეიქმნა რეზინის ნაწილებად სატრელი სპეციალური აპარატი, სარეცხი მანქანის ძრავის ახალი კონსტრუქციის სამაგრი, შეიცვალა კონდენსატორის ნაწილები, განხორციელდა ერთ-ერთი დაზღვის ავტომატიზაცია და სხვა. ე. ხაზანზუნის მიერ 1960-1967 წლებში გამოგონებათა და რაციონალიზატორული წინადადებების ეკონომიკური ეფექტიანობა 191,1 ათას მანეთს უდრიდა. სამაგალითო მიღწევებისათვის ე. ხაზანზუნს 1966 წელს მიანიჭეს აჭარის, ხოლო 1969 წელს – საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება.

ბათუმის გემთსაშენ ქარხანაში 1951-1990 წლებში რაციონალიზატორთა რაოდენობა 18-დან 57 შორის მერყეობდა. გამორჩეული რაციონალიზატორები იყვნენ პ.ჯორბენაძე, ვ.ტაბანოვი, ა.სტრელიაევი, ლ. ბესტავაშვილი, ა.სეიდიშვილი და სხვები. მნიშვნელოვანი მიღწევებისათვის ვლადიმერ ანისიმის ძე ტაბანოვსა და ანატოლი ალექსანდრეს ძე სტრელიაევს 1967 წელს მიანიჭეს აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება.

XX საუკუნის 60-80-იან წლებში ათეულობით რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებში. აქედან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვან თანხას შეადგენდა. მაგალითად, 1966 წელს ტრანსფორმატორების ქარხანაში რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის წლიური შემოსავალი 210 ათას მანეთს, 1967 წელს – 453,1 ათას, ხოლო 1968 წელს – 410 ათას მანეთს უდრიდა (თურმანიძე ო. 353). ნოვატორული საქმიანობით გამოირჩეოდნენ ა.ჯიჯავაძე, ნ.ფეოდორიდი, ვ.ვოდოლაჟსკი, შ.გოგიჩაიშვილი და

სხვები. ქარხანაში ნაყოფიერად მუშაობდა სამი კომპლექსური ბრიგადა. ერთ-ერთმა ბრიგადამ შექმნა შუქტექნიკის ახალი სახეობა, რომლის დანერგვით საწარმო წლიურად 410 ათას მანეთს უკუგებას იღებდა (თურმანიძე, 353).

მრავალი ტექნიკური სიახლის ავტორი იყო აკაკი სულეიმანის ძე ჯიჯავაძე. მნიშვნელოვანი მიღწევების გამო 1969 წელს მას მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება. ვლადიმერ პავლეს ძე ვოდოლაჟსკი 60-იანი წლებიდან მოყოლებული 80-იანი წლების ბოლომდე ტექნიკის სიახლეთა ძიებაში იყო. მან გამოიგონა მცირე გაბარიტის ნახევრადავტომატური სახვევი დაზგა, შეცვალა ავტოტრანსფორმატორის კონსტრუქცია, შეიმუშავა გასაუქმნო თხევადი მასალების დამზადების ტექნოლოგია და შემადგენლობა. კინემატიკური სქემის გამოყენებით გაზარდა სახვევი დაზგის სიჩქარე, შუქტექნიკის დამზადების მაღალეფექტიანი ხერხები და სხვა. ამ სიახლეთა დანერგვის შედეგად ტრანსფორმატორების ქარხანა მნიშვნელოვან დამატებით შემოსავალს იღებდა. ასეთი მიღწევების გამო ვ.ვოდოლაჟსკი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი გახდა. ეს წოდება მიანიჭეს აგრეთვე ქარხნის ნოვატორებს არისტოტელე სიმონიდს და ნიკოლოზ ფეოდორიდს.

ელექტრომექანიკური ქარქხნის ნოვატორებს შორის ყველაზე წარმატებული იყო ბორის ლომთაძე. მისი წინადადებით ელექტროკარის ბაქნის მექანიკური ამწე ჰიდრავლიკურით შეიცვალა. ამ სიახლის შედეგად ელექტროკარის თვითამწეობა 750-დან 1000 კილოგრამამდე გაიზარდა. ამასთან შემცირდა მანქანის წონა და იგი ტექნიკურად სრულყოფილი გახდა, საწარმოს წლიური ეკონომიკური ეფექტი 1,6 მილიონ მანეთს აღემატებოდა. ასეთი მაღალი მიღწევა აჭარაში იშვიათობას წარმოადგენდა. წარმოებაში დაინერგა ბ. ლომთაძის მიერ შემოტანილი არაერთი რაციონალიზატორული წინადადება. ნოვატორულ საქმიანობაში სანიმუშო წარმატებისათვის მას მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება (11. 35-36; 25.).

ნოვატორული საქმიანობით ყურადღებას იმსახურებს ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა, სადაც რაციონალიზატორთა რაოდენობა XX საუკუნის 50-80-იან წლებში 9-დან 50 კაცს შორის მერყეობდა. მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდათ ბ.მაისურაძეს, გ.ჩიხლაძეს, ი.აბაჯიდს, ბ.ბოჭორიშვილს, ე.ბოჭორიშვილს და სხვებს. გ.ჩიხლაძისა და ე.ბოჭორიშვილის წინადადებით წარმოებაში დაინერგა პრეპარატ "ომაინის" დამზადების ახალი ტექნოლოგია, რითაც წლიური მოგება 40 ათას მანეთს შეადგენდა (4.2;5.17). ბ.ბოჭორიშვილმა შეიმუშავა პრეპარატ "კოლხამაინის" ექსტრაქტის ხსნარის დამზადების ახალი ხერხები. ამ გამოგონების წლიური ეკონომიკური ეფექტი 202,9 ათას მანეთს უდრიდა. ე.ბოჭორიშვილის წინადადებით განხორციელდა პრეპარატ "ომაინის" წარმოების მანქანის რეკონსტრუქცია. ამის შედეგად აღნიშნული პრეპარატის დაფასოება და დოზირება ავტომატურად ხდებოდა.

ბოდა, ხოლო წარმოებამ ათასობით მანეთის მოგება მიიღო (2.17;6.21;8.39).

ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანის რაციონალიზატორებს გ.ჩიხლაძეს, ი.აბაჯიდს, კ. კეროპიანს, ბ.ბოჭორიშვილს წარმატებული საქმიანობის გამო მიანიჭეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება. ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის გამგე ჩიტო ჩიხლაძე 1980 წელს აღიარეს საუკეთესო რაციონალიზატორად, ხოლო 1983 წელს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ლაურიაცი გახდა.

ტექნიკურ პროგრესში მნიშვნელოვანი მიწვევები ჰქონდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს(ბათუმი). აქ 1968 წელს 183 გამომგონებელი და რაციონალიზატორი აღირიცხა. მათი რიცხოვნობა 1970 წელს 236-მდე გაიზარდა. სანაოსნოს გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა 1968 წელს შეიტანეს 201 წინადადება, ხოლო 1970 წელს-388. ამ წინადადებათა აბსოლუტური უმრავლესობა დაინერგა. ეკონომიკური უკუგება 1968 წელს 130,5 ათასი მანეთიდან 1970 წელს 235,5 ათას, ხოლო 1971 წელს – 278,4 ათას მანეთამდე გაიზარდა(13.33,52).

სანაოსნოს სტრუქტურული ერთეულებიდან ნოვატორული საქმიანობით გამოირჩეოდა ბათუმის სავაჭრო ნავსადგური. XX საუკუნის 50-80-იან წლებში ნავსადგურში 48-81-მდე ნოვატორი ითვლებოდა. მათ შორის მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლის ავტორები არიან რ.კობეშავიძე, შ.შათირიშვილი, ნ.სახნოვსკი, ა.სერდიუკი, ა.აბგარიანი, ბ.ლომთაძე, ა.გურგენაძე და სხვები. მათი წინადადებით გაუმჯობესდა სამაცივრო დანადგარები, დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზმები, შეიქმნა მანქანების ახალი კვანძები, დეტალები, რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. 1967 წელს ნავსადგურის უფროსის შ.ლომთაძის წინადადებით განხორციელდა საშენი მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზაცია. ეს სიახლე ნავსადგურს წლიურად 100 ათას მენეთ მოგებას აძლევდა. 1973 წელს განხორციელდა პნევმო-დანადგარების ტექნიკური რეკონსტრუქცია. ამის შედეგად ნავსადგური ყოველწლიურად 400 ათას მანეთ მოგებას იღებდა(თურმანიძე ო. 361).

ნავსადგურის ნოვატორებს თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდათ XX საუკუნის 80-იან წლებში. 1981 წელს ნავსადგურის 81 რაციონალიზატორმა 55 წინადადება შეიტანა. დაინერგა ყველა, ყოველწლიური ეკონომიკური უკუგება 87,4 ათას მანეთს უდრიდა. ამ მაჩვენებელმა 1984 წელს 98,3 ათასი, 1985 წელს 84,9 ათასი, 1989 წელს-236,6 ათასი მანეთი შეადგინა. ამ მიღწევებში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს შ.შათირიშვილმა, ნ.სახნოვსკიმ, რ.კობეშავიძემ, ა.აბგარიანმა და სხვა. საგულისხმოა, რომ 1981 წელს შ.შათირიშვილისა და ა.აბგარიანის წინადადების დანერგვით ნავსადგური ყოველწლიურად 58,8 მანეთ მოგებას იღებდა(18.)

XX საუკუნის 50-80-იან წლებში ნოვატორული საქმიანობა სუსტად იყო განვითარებული ბათუმის ავტოტრანსპორტის, ხისდამამუშავებელი,

მსუბუქი, კვების მრეწველობის, სამშენებლო ორგანიზაციებსა და საწარმოებში. 1971 წლის ბოლოს ბათუმის ზემოაღნიშნული დარგების საწარმოებში აღირიცხა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების 33 პირველადი ორგანიზაცია 2647 წევრით (12. 18-21). ეს მახასიათებელი ქალაქის საერთო რაოდენობის 42%-ს შეადგენდა, მაგრამ ეკონომიკური უკუგება შესაბამისი არ ყოფილა. ამის მიუხედავად XX საუკუნის 50-80-იან წლებში არაერთი ნიჭიერი ნოვატორი გამოვლინდა.

ბათუმის ხისდამამუშავებელი კომბინატის მუშამ ანზორ ივანეს ძე ანთიძემ გამოიგონა ჩაის საკრეფი მანქანა. იგი იყო მსუბუქი და მთავარიანი რელიეფის პირობებში უაღრესად გამოსადეგი. 1955-1956 წლებში მისი შემოწმება მიმდინარეობდა თბილისში და იგი წარმატებით ჩაიარა. 1968 წელს ა.ანთიძე სსრ კავშირის გამომგონებელთა და აღმოჩენების სახელმწიფო კომიტეტმა საუკეთესო გამომგონებლად აღიარა და სპეციალური დიპლომით დააჯილდოვეს (7.108;9.48,90). სამწუხაროდ, ეს გამოგონება სოფლის მეურნეობაში არ დანერგილა. მიზეზი ისევ და ისევ იყო ბიუროკრატიული მიდგომები. XX საუკუნის 60-70-იან წლებში "ბათუმმრეწვაჭრობის" მექანიკოსმა ე.მანეასმა გამოიგონა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამხარისხებელი მანქანა, ციტრუსების გადასაზიდი უკანბრუნებადი საკეცი ტარა, რომელიც დამზადდებოდა ლითონის ფურცლებისა და პლასტმასისაგან. მან გამოიგონა აგრეთვე ავტომობილების სარეცხი ჩოთქი (ავტოსამრეცხაოებისათვის), მაცივრების აგრეგატების გაცივების ჩამკეტი სისტემა. ეს უკანასკნელი დიდი რაოდენობით სასმელი წყლის ეკონომიას იძლეოდა (თურმანიძე ო. 359).

ნოვატორულ საქმიანობაში დიდმნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა ვლადიმერ ავრამოვს, რომელიც №5 სამშენებლო ტრესტის საწარმო წარმოების კომბინატის მთავარ ენერგეტიკოსად მუშაობდა. XX საუკუნის 60-იან წლებში მან შექმნა პემზა-ბეტონის ფილების დამამზადებელი მოწყობილობა, ახალი კონსტრუქციის ჩარხი, არმატურის ჟანგისაგან გამწმენდი და წვრილი საკედლო ბლოკების წარმოების მექანიზებული დაზგები, რეზინის საჭრელი ავტომატური მანქანა და სხვა. ვ.ავრამოვის გამოგონებები დიდძალ შემოსავალს იძლეოდა. მარტო ერთი გამოგონება პემზა-ბეტონის ფილების დამამზადებელი მოწყობილობა, რომელიც 1965 წელს დაინერგა "პიცუნდმშენში" (ბიჭვინთა, აფხაზეთი), წლიურად იძლეოდა 293 ათასი მანეთის მოგებას (თურმანიძე ო. 360). მნიშვნელოვან სიახლედ ითვლება პურკომბინატის ზეინკლის ა.კაზაროვისა და მონტიორ დ.ბოტინის გამოგონებები. ა.კაზაროვმა 1954 წელს შექმნა ცომის დასამრგვალებელი მანქანა. იგი 7-ჯერ მსუბუქი იყო და 3-ჯერ ნაკლებ საწვავს ხარჯავდა, ვიდრე არსებული "სკ" ტიპის მანქანა. დ.ბოტინმა 1956 წელს დაამზადა ციცხვიანი ამწე, რითაც პურკომბინატის სპეციალური საქვაბეებიდან წიდის გამოტანა მექანიზებული გახდა (თურმანიძე ო. 357).

ამრიგად, XX საუკუნის 50-80-იან წლებში ბათუმის ინდუსტრიულმა კადრებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს წარმოების ტექნიკურ

პროგრესში. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მოიშალა ეკონომიკის ერთიანი კომპლექსი. ბათუმის საწარმოთა უმრავლესობა გაჩერდა, ხოლო ნაწილის დემონტაჟი განხორციელდა. ცხადია, ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედება ამჟამად მხოლოდ ისტორიის კუთვნილებად ითვლება.

Отар Турманидзе

**Индустриальные кадры Батуми
в борьбе за технический прогресс
(Вторая половина XX-го столетия)**

Резюме

В указанной работе рассмотрено формирование и развитие индустриальных кадров в 50-80-ые годы XX-го столетия в Батуми.

Досконально изучено техническое творчество (и наследие) индустриальных кадров Батуми. Освещен вклад рационализаторов и изобретателей в деле ускорения и повышения экономического потенциала.

Otar Turmanidze

Industrial Personnel of Batumi in the Struggle for Technical Progress

Summary

The given work deals with the formation and development of industrial personnel in 50-80-ies of XX century in Batumi.

It scrutinizes technical heritage of the industrial personnel in Batumi, discusses the contribution of inventors in increasing the economic potential.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-178, ანაწერი 1, საქმე 1349.
2. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმე 2.
3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმე 4.
4. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმე 12.
5. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმე 16.

6. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმე 35.
7. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმე 51.
8. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმე 59.
9. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმე 73.
10. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმე 86.
11. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმე 88.
12. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმე 91.
13. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმე 110.
14. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-113, ანაწერი 1, საქმე 2727.
15. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-113, ანაწერი 1, საქმე 2848.
16. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-98, ანაწერი 1, საქმე 1180.
17. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების განყოფილება, ფონდი 1, ანაწერი 27, საქმე 76.
18. ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის მიმდინარე არქივი.
19. რუსეთის ფედერაციის სახალხო მეურნეობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (მოსკოვი), ფონდი 8212, ანაწერი 1, საქმე 445.
20. საქართველოს სსრ მოსახლეობის 1939 წლის აღწერის მასალები (ხელნაწერი დაცულია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში). ტ. IV.
21. საქართველოს სსრ მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მასალები.
22. საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათუმი, 1961.
23. აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული. ბათუმი, 1977.
24. Народное хозяйство Аджарской АССР, статистический сборник Ватуми, 1987.
25. საბჭოთა აჭარა, 1965, 10 თებერვალი
26. თურმანიძე ო., სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში ომისშემდგომ პერიოდში (1946-1990წწ.). ბათუმი, 2005.

სიმონ გოგიტიძე

ურარტული ქვეყნების ზაბახასა და სირიმუთარას ლოკალიზაცია და ეთნიკური კუთვნილება

სამეცნიერო ლიტერატურაში სირიმუთარასა და ზაბახას შესახებ, გარდა იმისა, რომ ზაბახა უკავშირდება საქართველოს ერთ-ერთ უძველესი პროვინციის ჯავახეთის მოსახლეობას, არაფერია ნათქვამი, ბუნებრივია არც მისი ლოკალიზაციისა და არც ეთნიკური კუთვნილების თაობაზე. თუმცა ისეთ შემთხვევაში, როცა მისი მეზობელი დიდი თუ მცირე ქვეყნების, არც ერთი მათგანის ეთნიკური კუთვნილება არ იყო ცნობილი და ზოგიერთი მათგანის შესახებ მკვლევარები მხოლოდ ბუნდოვანი ლოკალიზაციით შემოიფარგლებოდნენ.

სირიმუთარა და ზაბახა ურარტულ ლურსმნულ ძეგლებში, მხოლოდ თითოჯერ იხსენიებიან. ვანის კლდეზე არგიშტი I მიერ ძვ.წ. 785 წელს შესრულებული წარწერა მოგვითხრობს: „... მარცხნივ – ქვეყანა ბიანი, ქვეყანა ხუშანი, მარჯვნივ შევიწყალე მე თარიუნის ქვეყანა. გავემართე (სალაშქროდ) ზაბახას ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი მე ქვეყანა ზაბახა. მივედი? ქალაქ უზინაბითარნამდე, სირიმუთარას ქვეყნამდე, მთიან ქვეყნამდე. მარჯვნივ იგანის ქვეყნის ქალაქი მაკალტუნი მე შევიწყალე...“ (Меликишвили Г. 1960, 212).

აღნიშნულ მონაკვეთში ნარუთინიანი გ.მელიქიშვილისაგან განსხვავებით მიიჩნევს, რომ თითქოს სირიმუთარა იყოს მთა და არა ქვეყანა (Арутюнян Н. 1953, 87).

როგორც აღნიშნული წარწერიდან ჩანს, სირიმუთარა და ზაბახა მეზობელი ოლქებია. ისინი საძებარია ცნობილი დიაოხის თემებისა (კერძოდ, ბიანის, ხუშანისა და თარიუნის) და იგანის ქვეყანას შორის. დიაოხის აღნიშნული ოლქების ლოკალიზაცია კარგადაა ცნობილი. ბიანი და ხუშანი საქართველოს ისტორიული ოლქის ტაოს ტერიტორიაზე თავსდება. ბიანის კავშირი ბანასთან, ხუშანი||ხუშალხისა ხუშ||ხოშ ძირიან ტოპონიმებთან, რომლებიც ტაოს ტერიტორიაზე აღირიცხება და მრავალი საქართველოშიც დასტურდება, უეჭველია. ასე, რომ ორივე ეს ქვეყანა ოლთისისწყლის ხეობაში თავსდებიან (გოგიტიძე ს. 2006; 32-49; მისივე: 2007, 105-112; 2007, 28-35). თარიუნი მათ მეზობლად ე.წ. დიდი არტანის ლივაში მოხსენიებულ სოფელ თორის-ხევის მიდამოებში უნდა მოთავსდეს (გოგიტიძე ს. 2002, 101; მისივე: 2002, 53-62). რაც შეეხება იგანის ქვეყანას იგი ჩილდირის ტბის რაიონში, ხოლო მისი სამეფო ქალაქის მაკალტუნის დაპყრობის შესახებ მომთხრობი წარწერა—ამავე ტბის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროსთან, სოფლის დაშთ-კერპის მიდამოებშია ნაპოვნი.

ყოველივე ზემოთაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სირიმუთარა, მისი ქალაქი უზინაბითარნა და ზაბახა არტან-ბანასა და ჩილდირის ტბის მიდამოებს შორის უნდა მოთავსდეს. რადგან აღნიშნული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულები ერთიმეორის მი-

მართ ერთ ხაზზეა განლაგებული, ე.ი. დასავლეთიდან ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებით, ამის გამო გვაქვს სრული უფლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ საკვლევი ქვეყნები, ხუშანი-ბიანის მიმართ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ხოლო ჩილდირის ტბიდან სამხრეთ დასავლეთით მდებარეობდნენ.

ჩვენს მიერ გამოთქმულ ასეთ ვარაუდს, რომლებიც ურარტული წყაროების ანალიზზეა დამყარებული—თუ ეთანხმება სხვა წყაროების მონაცემები? დიახ, გვაქვს ასეთიც.

„მატიანე ქართლისაჲ და სუმბატ დავითისძე, იქ სადაც მოგვითხრობენ ბიზანტიის იმპერატორ ბასილსა და საქართველოს მეფე გიორგის შორის 1021 წელს მომხდარი ბრძოლის შესახებ, დასახელებულია სოფელი შირიმნი (შირიმთა). ქართველი მეფე ბასიანიდან მოსულა ოლთისს (ურარტული ულთუზა), აქედან კი კოლას; ბერძენთა მეფე მას უკან გამოსდევნებია და მათ შორის ბრძოლა სოფელ შირიმნისთან მომხდარა (Летопись картли. 1982, 62). სუმბატ დავითისძე კი ამ ბრძოლის ადგილად შირიმთას ასახელებს (სუმბატ დავითისძე. 1990, 54).

მაშასადამე, კოლას მახლობლად ყოფილა სოფელი შირიმნი (შირიმთა), რომელიც, ჩვენ მიგვაჩნია ურარტული წყაროს სირიმუთარა, რადგანაც სწორედ კოლას რაიონი მდებარეობდა ბანასა და ჩილდირის ტბას შორის. მეორე მხრივ, ურარტული წყაროს მონაცემებიც ასეთ შედეგს იძლევა. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფონეტიკური აგებულებით სირიმუთარა და შირიმნი (შირიმთა) ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინებს შორის 2000 წლოვანი მანძილი არსებობს, ისინი მაინც ერთმანეთის პროტოტიპებად რჩებიან. ქართული წყაროების შირიმ თა—შირიმ (უ) თა (არა)-ს შორის სხვაობა ძირითადად არ—სუფიქსით გამოიხატება.

თუ დავეკვირდებით ქართული წყაროების მონაცემებს შეიძლება კიდევ უფრო დავაზუსტოთ სირიმუთარას ლოკალიზაცია. მათი გადმოცემით გიორგი მეფე როცა კოლაში იმყოფებოდა, ბერძენთა წინმაველი და ქართული ლაშქრის უკანმაველ ნაწილებს შორის სწორედ ამ დროს გამართულა ბრძოლა სოფელ შირიმთან. მაშასადამე, სოფელი შირიმთა კოლასთან ახლომდებარე პუნქტი ყოფილა. ასეთ ვარაუდს ისიც ემოწმება, რომ ფეოდალურ ხანაში ოლთის-ბანადან კოლასაკენ და სოფელ სირიმუთარამდე ერთადერთი გზა იყო, რომელსაც სავაჭრო-საქარავნო მიმოსვლებისათვის იყენებდნენ. სწორედ ამ გზით უსარგებლიათ ამ 3000 წლის წინ ურარტეს მეფეს არგიშტისა და საქართველოს მეფეს გიორგის ჩვენი ერის XI საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში.

ასე რომ, კოლას რაიონის მიდამოებში 3 ათასი წლის წინათ უნდა არსებულიყო ქვეყანა სირიმუთარა თავისი ქალაქით — უზინაბითარნა. ეს ქვეყანა მდებარეობდა მტკვრის სათავეებთან, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით ყარსის მისადგომებამდე. ურარტულ წყაროში საგანგებო აღნიშვნა, რომ მთიანი ქვეყანაა, ზუსტად შეესაბამება არსებულ ტოპოგრაფიულ მონაცემებს: უზუნ-დერეს ირგვლივ ხუთი მთაა, რომელთა სიმაღლე 2,3 კმ-ს აღემატება. მდინარე შირახიც ყარსის მთიდან გაედინება.

ბრძოლა, რომელიც გაიმართა ბიზანტიელებსა და ქართველებს შორის ზოგიერთი მკვლევარი შირაქის ველს, არშარუნიქის გავარსა (კოპალიანი ვ., 1972, 176-182) (ყარსის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა) ან კიდევ უფრო სამხრეთით (ბასიანის ოლქში) ვარაუდობს.

ძველ სომხეთში შირიმ თითქოს სასაფლაოს, საძვალეს ნიშნავდა, მაგრამ ძვ.წ. IX-VIII საუკუნეთა მიჯნაზე, კოლას მიდამოებში ქართველური ტომების გარდა სხვა არავინ სახლებულა, მით უმეტეს სომხები. ამავე მნიშვნელობით ეს სიტყვა ქართულშიც ყოფილა გავრცელებული, თუ ეს ასეა, მაშინ, სომხურში მოგვიანებითაა შესული და საინტერესოა, აღნიშნავს შბადრიძე, რომ ქართული წყაროების კოლა-საპალაკაციოს მხარეში მდებარე შირიმს წმინდა ქართული ფორმით მოიხსენიებენ: შირიმნი, შირიმთა (ბადრიძე შ. 1973, 77). ეს შირიმთა მეცნიერის შენიშვნით კოლას მიდამოებში არსებობდა (იქვე, 66-82).

მაშასადამე, სირიმუთარა მდებარეობდა კოლას მისადგომებამდე, სადღაც აქვე მდებარეობდა მისი მნიშვნელოვანი ქალაქი უზინაბითარნა. თანამედროვე რუკას თუ ჩაუკვირდებით ადვილად შევამჩნევთ, რომ კოლას ახლოს აღმოსავლეთისაკენ მდებარე სოფელი უზუნ-დერე და მისგან კიდევ ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე შირახის მდინარესთან უნდა მოხდეს საკვლევი ქვეყნისა და ქალაქის იდენტიფიკაცია. ასე მაგალითად-შირიმთა-სირიმუთარას შირიხთან, უზინაბითარნას-უზუნდერესთან, თუკი რა თქმა უნდა ეს უკანასკნელი თურქული არაა და იგი გრძელ ხეობას არ ნიშნავს. შირიხი და შირიმუთარას ფუძეებიც ემთხვევა ერთმანეთს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გუჯარეთისწყლის ქვემო წელის მიდამოებში მდებარეობს ორი სოფელი: შირიმთა და უზნარიანი, რომლებიც ასოცირებას იწვევენ ურარტულ სირიმუთარასა და უზინაბითარნასთან. ორივე ტოპონიმის ერთად არსებობა მეტყველებს სამხრეთის მოსახლეობის ჩრდილოეთისაკენ გადმონაცვლების ფაქტზე. სხვათა შორის ურარტელები განსაკუთრებით აღნიშნავენ ქალაქ უზინაბითარნას, რომელიც, როგორც ეტყობა ძალიან გამაგრებული ქალაქი იყო, რომ იგი რაღაცით განსაკუთრებული, გამორჩეული ყოფილა, რომ იგი აღნიშვნის ღირსი გამხდარა.

ვახუშტის მიხედვით, უზნარიანის ციხე „ფრიად მაგარია“. იგი ვიწრო გასასვლელში, მდინარის პირას, კლდოვან ბორცვზეა აგებული. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით სირიმუთარასა და უზინაბითარნას ლოკალიზაციას ვახდენდით ქართლის ტერიტორიაზე, გუჯარეთისწყლის მიდამოებში (ბაგრატიონი ვ. 1895, 146; გოგიტიძე ს. 2002, 75).

დბერძენიშვილის გადმოცემით, გუჯარეთისწყლის ქვემო წელზე უზნარიანის ციხე ბატონობდა, ვახუშტის მიხედვით „ფრიად მაგარი“, კლდოვან ბორცვზე იყო აგებული. ჩანს, ამ ბუნებრივ პირობებს ადრიდანვე მიუყვრია ადამიანის ყურადღება, რასაც მოწმობს ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის აღმოჩენა ციხის მიდამოებში (ბერძენიშვილი დ. 1985, 34).

გრ.ლაფანციანი ურარტულ სირიმუთარას სომხურ მთასთან სრმანც-თან აიგივებდა, მდინარე გინეკის სათავეებთან (შენაკადია არტანის) (Капанцян Гр. 1940, 47).

გ.მელიქიშვილის აზრით, სირიმუთარა მდებარეობდა იგანის და-სავლეთით, ჩილდირის ტბის დასავლეთით (Меликишвили Г. 1954, 61).

ნარუთინიანი სირიმუთარას ჩილდირის ტბის შორიანხლოს ზაბახას ან იგანის მეზობლად ათავსებს. მკვლევარი უზინაბითარნას ზაბახას ქალაქად მიიჩნევს (Арутюнян Н. 1985, 170, 200). სხვა ნაშრომში უზინაბითარნას და სირიმუთარას ლოკალიზაციას ჩილდირის ტბის დასავლეთ (სამხრეთ-დასავლეთით), ზაბახასა და იგანის შორის ვარაუდობს (Арутюнян Н. 1970, 195).

რომელი ეთნიკური ჯგუფი მოსახლეობდა სირიმუთარას ქვეყნისა და მთის, მისი ცენტრის უზინაბითარნას ტერიტორიაზე?

ამ ქვეყნის მოსახლურ ქვეყნების იგანისა და ბიანის მიწა-წყალზე როგორც გაირკვა სვანურენოვანი მოსახლეობა ბინადრობდა. სავარაუდოა, რომ ამ პატარა ქვეყანაშიც ასეთივე ჯგუფის ხალხი მოსახლეობდა. დასახული ამოცანის გადასატრედად მიემართოდ ტერმინების სირიმუთარას (შირიმთა, შირიმნი) და უზინაბითარნას (უზნარიანი) სემანტიკის გარკვევას.

რადგან ურარტული სირიმუთარა ქართულ შირიმნისა და შირიმთას შეესაბამება, ამის გამო ტერმინის ფუძედ სირიმ-შირიმ უნდა ვივარაუდოთ. მათ შორის სხვაობა სუფიქსში არ გამოიხატება, რომელიც ქართველურ ტოპონიმებს ხშირად აწარმოებდა და ამჟამადც აწარმოებს. გრ.აჭარიანის აზრით, შირიმში ძველქართულად ნიშნავს საძვალეს, სასაფლაოს. „ნ“ ფორმანტი მრავლობითის ნიშანია (Ачариани Гр. 1977, 521). შირიმში ქართულში ასევე ნიშნავს ცარცივით თეთრ კენჭს (ქართულ კილო-თქმათა... 1984, 634). სირიმა-ოქროს თმაა, სირი-ჩიტი, შირიმი-ქვის ავადმყოფობა (ჩუბინაშვილი ნ. 1961, 366, 426). აღსანიშნავია ისიც, რომ დოშქიას ნაპიეში, ყარსის ლივანშია დადასტურებული სოფლები-სირუნი, სირათანი, უზუნი.

რა შეიძლება ითქვას უზინაბითარნას (უზნარიანის) შესახებ. გარდა იმისა რომ, მსგავსი ტოპონიმი ქართლშიც, გუჯარეთისწყლის ხეობაში დასტურდება, არის აგრეთვე ზნაური, სოფელი. გარდა ამისა შავშეთ-იმერხევის ტერიტორიაზე ახლაცაა შემონახული საუზნია, უზნა და უზნარათი (ცეცხლაძე ნ. 2000, 210, 216). ქართული გვარია-უზნაძე, უზუნაძე, უზუნაშვილი, უზანიშვილი (ახუნაშვილი ი. 1999, 763-764). თავად ტერმინის სემანტიკა შეიძლება დაუკავშირდეს: ოზუნა-აჭარულში ნიშნავს მარტოდ (ქართულ კილო-თქმათა... 426), უზანი ბუჩქია თეთრი ყვავილებით, წვნიანი შავი ნაყოფით (ქართული ენის... 1960, 1440). საკვლევი ტერმინის დაკავშირება შეიძლება აგრეთვე სვანურ სიტყვებთან: ძუზინა-გაუჯავრებელი, მიუბაძავი, დაუცინავი, უზანა-უფალი (ტყე) (თოფური ვ., ქალდანი მ. 2000, 732, 740). დ.ბერძენიშვილის აზრით, სახელი უზნარიანი უნდა მოდიოდეს მცენარის სახელწოდებიდან-უზანი, უზნი. აქედან-უზნარი-უზნარიანი (შეადარეთ: უზნარიანი თრიალეთში, კარწახის ხეზე). ს.მაკალათიას ვარაუდით, უზნარიანი უზნაძეთა გვარს უნდა ეკუთვნოდეს. დ.ბერძენიშვილის აზრით არსად არ დასტურდება (ბერძენიშვილი დ. 1985, 34).

სად მდებარეობდა ზაბახა?

როგორც ვანის კლდეზე მინაწერიდან ვგებულობთ, ბიანისა და თარიუნის მოსახლურედ ყოფილა ზაბახა. ხოლო მის შემდეგ მდებარეობდა

რეობდა სირიმუთარა. ამიტომ ზაბახა საძიებელია ბიანსა და სირიმუთარას შორის ანუ ტაოს ცენტრიდან ბანას მიდამოებიდან კოლას სანახებამდე, ე.ი. სირიმუთარას ქვეყნის დასავლეთით ოლთისისწყლის ხეობის მიდამოებამდე, სადაც მდებარეობდა ძველადმოსავლური ქვეყანა ბიანა-აბიანი-ბია.

პირველი ვინც ზაბახა დაუკავშირა ქართის ტომის ჯავახების სახელს იყო სომეხი მკვლევარი ი.სანდალჯიანი. შემდეგ ეს შეხედულება სხვებმაც გაიზიარეს (Капанцян Гр. 1940. 47; Меликишвили Г. 1950, 27 прим. 4; Арутюнян Н. 1970, 195). გ.ლაფანციანის აზრით, ზაბახა მდებარეობდა თანამედროვე ჯავახეთის სამხრეთით (Капанцян Гр. 1975, 107).

საკვირველი და სასაცილოა ის ფაქტი, რომ ეს ძველადმოსავლური მცირე ქვეყანა, თითქოს ჭოროხის სათავეების მიდამოებიდან მტკვრის სათავეებამდე განივრცობოდა, დიაოხის ტერიტორიის ხარჯზე (Всемирная история. 1956, იხ. რუკა).

ზაბახა||ჯავახი, როგორც ჩანს, ფუძეა ჯავა. ამის დასტურია სოფლის სახელი ჯავა, საქართველოს მთიანეთში, ლიახვის ხეობაში. ხი||ხა— კი სვანური კუთვნილებითი სუფიქსია. მაშასადამე ჯავახი აღნიშნავს „ჯავის ტომის ქვეყანას“. მართლაც ურარტულში ჯ ბგერის უქონლობით აიხსნება მისი შეცვლა ზ-თი. მსგავსი მოვლენები ქართველურ ენებში ფიქსირდება. „ქართლის ცხოვრებაში“ თავად ჯავახს აქვს ვარიანტი ზავახა (ქართლის ცხოვრება. 1955, 430). ვ და ზ ბგერების მონაცვლეობაც კანონზომიერი მოვლენაა, მაგალითად, იბერია-ივერია, ვატი-ბატი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯავახი ადამიანის საკუთარ სახელად უძველესი დროიდან შეინიშნება. გვაქვს ვარიანტული ძაბახიც, როგორც აღინიშნა ძ და ზ მონაცვლეობა ქართველური ენებისათვის დამახასიათებელია, მაგალითად: ძროხა-ზროხა, ზაბლავეთი-ძაბლავეთი.

ჯავახისაგან ნაწარმოები გვარები საქართველოში მრავალფეროვანია: ჯავახი, ჯავახიშვილი, ჯავახიძე, ჯავახია, ჯავახაძე, ჯავიაშვილი და ა.შ. (ქართლის ცხოვრება. 1973, 388, 389; ახუაშვილი ი. 1999, 811). თავად ჯავახეთის ტერიტორიაზე არის ამავე სახელის მქონე სოფელი და მთები. არის აგრეთვე ამ ტოპონიმისაგან ახლოს მდგომი სახელი საქართველოში, ჯავა-ერთ-ერთი საკურორტო ცენტრია ჯავახეთის ტერიტორიაზე, ხი კუთვნილებითი სუფიქსის გარეშე.

სატომო სახელ ზაბახას სემანტიკა შეიძლება აიხსნას ქართველური ენების ბაზაზე. მაგალითად მეგრულში ზაბაკუა ნიშნავს ტკეპნას (ქაჯაია ო. 2002, 7). შეიძლება ამგვარ ვარაუდს თანხმდებოდეს ვ. ბატონიშვილის მიერ ამ მხარის აღწერა: „... სრულიად უტყუო, ბალახ-შამბ-ყვავილიანი და სუროიანი“ (ბატონიშვილი ვ. 1882, 22), ე.ი. დატკეპნილი, უტყუო ადგილი. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სახელწოდება ჯავახეთი წარმოდგება მამამთავრის სახელისაგან-ჯავახოსისაგან. ტერიტორია, რომელიც მცხეთოსმა თავის შვილს ჯავახოსს უბოძა ფარავნიდან მტკვრის სათავეებამდე, მისი სახელის მიხედვით ჯავახოსი (ე.ი. ჯავახი)→ჯავახეთ (ქართული სუფიქსი) ეწოდა.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჯავახოსის მიერ აგებული ქალაქის არტაანის სემანტიკაც სვანური ენის მონაცემების მიხედვით იხსნება: არტამ-პარტამ ნიშნავს ბოსტანს. ქართლის ცხოვრებაში დადასტურებულია როგორც უპრეფიქსო ფორმა-არტაანი, ისე თავ-კიდური თანხმოვანით-პარტაანი. რაც შეხება ბოლოკიდურ ბგერას (მ)სვანურ სიტყვაში მისი მონაცვლეობა ნ-სთან ქართველურ ენებში ხშირია (მაგ.: ურარტული ილდამუსა-ქართული არტანუჯი, მომდინარეობს აღდამოწადან). თუმცა არაა გამორიცხული არტაანის ფუძე ართ-არდ იყოს, რაც პირველს, მზეს, მზიან აღვიღს აღნიშნავს ქართველურ ენებში.

ქართლის ცხოვრების ცნობით ჯავახოსი (ეპონიმი ჯავახებისა), უფლოსი (უფლისციხის მიდამოების ეპონიმი), ოძრხოსი (სამცხე-აჭარის ეპონიმი მცხეთოსის შვილები ყოფილან (ქართლის ცხოვრება, 1955, 9). ჯავახოსი ურარტული წყაროების ზაბახას (შეიძლება ითქვას აგრეთვე სირიმუთარას), უფლოსი (უფლისციხე-აფუნის ქვეყანას, ხოლო ოძრხე-უიტერუხის გაერთიანებას შეეფარდება. ჯავახოსს ამავე წყაროს ცნობით მცხეთოსის კუთვნილი მიწა-წყლის განაწილებისას პრგებია ტერიტორია ფარაენიდან მტკვრის სათავეებამდე (იქვე, 10). ჯავახოსს აღნიშნულ ტერიტორიაზე აუგია ორი ციხე-ქალაქი: წუნდა და არტაანი.

ამგვარი დაყოფები თითქოს ძველადმოსავლური ხანის გამოძახილია. მოგვიანო ხანის ოძრხე თითქოს ურარტული უიტერუხია, უფლოსი (უფლის ციხის ქვეყანა)-აფუნი, ხოლო ჯავახეთი-ზაბახა. მაგრამ ქართულ წყაროებში ამ ქვეყნებისადმი მიკუთვნებული ტერიტორია თითქმის არ ემთხვევა ურარტული წყაროების მონაცემებს. ამ უკანასკნელთა მიხედვით მათ გაცილებით პატარა ტერიტორიები ეკავათ, ვიდრე ქართლის ცხოვრების მონაცემებით. რის გამოც გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ურარტუს მფლობელობის დასასრულისათვის (VII-VI სს.) ამ ქვეყნებმა დაიწყეს ტერიტორიული გადანაწილება-დაპყრობითი ომები. ზაბახას, რომელსაც ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში მხოლოდ მცირე ტერიტორია (ჩილდირის ტბის სამხრეთ-დასავლეთით და ბანას ჩრდილო-აღმოსავლეთით) ეპყრა, კერძოდ შირიმთა ბანას შორის. როგორც ჩანს, ამ აღნიშნულ ოლქიდან დაიწყო თავისი ტერიტორიების განვრცობის პროცესი მეზობელი ქვეყნების ხარჯზე. როგორც შემდგომი კვლევა-ძიებს გვიჩვენებს ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიაზე რამდენიმე *hubi* (ხევი, ხეობა), ძველადმოსავლური ქვეყანა არსებობდა ურარტული წყაროების მიხედვით.

გ.მელიქიშვილი ფიქრობს ზაბახა ისეთივე „მსხვილი გაერთიანებაა“ როგორიც დაახლოებით დიაოხი და კულხა (მელიქიშვილი გ. 1999, 51). ზაბახა აღნიშნულ პერიოდში არათუ „მსხვილ გაერთიანებას“, არამედ იგი ძალიან პატარა ქვეყანას, ხევს წარმოადგენდა. მისი ტერიტორია სირიმთარასთან ერთად კოლას რაიონს არც კი გადასცდებოდა.

ურარტული წყაროების შემდეგ ჯავახეთი იხსენიება წმინდა „ნინოს ცხოვრებაში“ (შედგენილია 333 ან 339 წელს) (*Обращение грузии*. 1989, 36; გოგიტიძე ს. 1998, 105). უცხოური წყაროებიდან პირველადაა დადასტურებული ანანია შირიკაცის (VI-VII სს.) სომხურ გეოგ-

რაფიაში. აღნიშნულ წიგნში ჯავახეთი ქართლის პროვინციაა და იგი განისაზღვრება სამცხის, აჭარის, შავშეთის, კლარჯეთის და არტაანის თანატოლად (Армянская география. 1977,39). ამის შემდეგ ჯავახეთი საისტორიო წყაროებში არაერთხელ იხსენიება, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი ოლქი.

Симон Гогитидзе

Локализация и этническая принадлежность стран Сиримутара и Забаха

В научной литературе почти ничего не известно о странах Сиримутара (с его городом Узинабитарна) и Забаха, упомянутые в урартских источниках, не считая того, что Забаха, отождествляется с грузинским краем Джавахети.

Нашими исследованиями установлено, что страна Сиримутара должно быть была расположена в местечке Ширимта (Ширимни), где в 1021 году произошло сражение между грузинским царем Георгием и Византийским императором Василием. Эта область находилась к северо-востоку от древнегрузинского города Кола, в верховье реки Мтквари (Кура). Там же находился и город этой области - Узинабитарна. На сегодняшний день в тех же местах фиксируется река Ширази и деревня Узин-дере. В источниках, здесь же в Карской ливе упоминается деревня Сируни, Сиратана и Узуни. От страны Биани (район древнегрузинского города Бана) до Сиримутара (т.е. до Кола) располагалась страна Забахае.

Термины Сиримутара, Узинабитарна и Забаха по семантику связаны с картвельскими языками. Например, в Ширимта—Сиримутара корень «ши-рим» должно быть связан с грузинскими словами ширими (могила, могильный склеп), ширими (маленький камень белый как мел), сирима (золотой волос), ширими (каменная болезнь), сири (птичка). Корень топонима Узинабитарна «узани» связан с грузинскими словами узани (куст с белыми цветами), озана (одиноким, одиночный). Сванское узана (лесное божество), и узина (не сердитый, без насмешки). Название Забаха проявляет близость с менгрелским словом забакуа (топтанье).

Simon Gogitidze

The Localization and the Ethnic Belonging of Urartian Countries Tabakha and Sirimutara

Practically in the scientific Literature is nothing said about the countries Tabakha and Sirimutara mentioned in the Urartian sources.

According to our investigation was proved that Sirimutara can be identified with georgian village Shirimni-Shirimta. It was situated in the upper reaches of

Mtkvari river in the district of Kola. Here can be located its town Uzinabitarna. Now in this region are situated the village Uzun-dere and the river Shirani. According to ancient sources here can be identified the villages Siruni, Siratani and Uzuni. Zabakha must be situated between the district of Bana and Sirimutara.

The semantics of the investigated termins must be connected with the Kartvelian linguistic world. For example: The stem of the termins Shirimta-Sirimutara-“Shirim” must be connected with Georgian word Shirimi (cemetery), Shirimi (white as a chalk), Sirima (gold hair), Shirimi (stone malady), Siri (a bird). The stem of the termin Uzinabitarna is connected with the next Georgian words: Uzani (a bush with the white flowers), Ozuna (alone). In the Svanian language we have the next analogies: Uzana (deity of the forest), Iuzina (cloudless). The termin Zabakha according its phonetic structure is very close to Megrelian word Zabakua (to trample).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახუაშვილი ი. ქართული გეარ-სახელები. წ. II, თბილისი. 1999.
2. ბატონიშვილი ვ. საქართველოს გეოგრაფია. წ. I, სამცხე. ტფილისი. 1882.
3. ბატონიშვილი ვ. საქართველოს გეოგრაფია. წ. II, ქართლი. ტფილისი. 1895.
4. ბადრიძე შ. შირიმის ბრძოლისა და თარიღის შესახებ. მაცნე, ისტორიული სერია, 1979, №3.
5. ბერძენიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბილისი. 1985.
6. გოგიტიძე ს. დიაენი-დიაოხი (ლიკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის), ბათუმი. 2006.
7. გოგიტიძე ს. დიაოხის შემადგენელი ოლქების ლოკალიზაციისათვის. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, II, ბათუმი. 2002.
8. გოგიტიძე ს. ქვეყანა ბიანი. კრებ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები. II, ბათუმი. 2007.
9. გოგიტიძე ს. მირიან მეფე და ქართლის მოქცევა. ბათუმი. 1998.
10. გოგიტიძე ს. ქვეყანა ხუშანი (ლიკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის). ნ.ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, V, ბათუმი. 2007.
11. გოგიტიძე ს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ.წ. XII-IV სს.). ბათუმი. 2002.
12. თოფურია ვ. ქალდანი მ. სვანური ლექსიკონი. თბილისი. 2000.
13. კოპალიანი ვ. „შირიმის“-„შირიმთას“ ბრძოლისა და ადგილმდებარეობის შესახებ. ჟურნ. მნათობი. 1972, №7.
14. მელიქიშვილი ვ. ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში. თბილისი. 1999.
15. სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. თბილისი. 1990.
16. ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი. 1955.
17. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი. 1973.
18. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. VI. თბილისი. 1960.
19. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი. 1984.

20. ქაჯაია ო. მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ტ. II, თბილისი. 2002.
21. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი. თბილისი. 1961.
22. ცეცხლაძე ნ. შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია. ბათუმი. 2000.
23. Арутюнян Н.В. Бианили (Урарту), Ереван. 1970.
24. Арутюнян Н.В. Топонимия Урарту, Ереван. 1985.
25. Арутюнян Н.В. Хорхорская летопись Аргишти I. Эпиграфика востока. VII. 1953.
26. Ачарян Гр. Этимологический словарь. Ереван. 1977.
27. Арьянская география VII века, приписываемые Моисей Хоренского С-П. 1977.
28. Всемирная история. т. I. Москва. 1956.
29. Гогитидзе С.Д. Локализация «стран» Данаэн-Диаоха.-კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. VI. თბილისი-მონრეალი. 2002.
30. Капанцян Гр. Историко-лингвистическое значение топонимики, древней Армении. Ереван. 1940.
31. Капанцян Гр. Историко-лингвистические работы. т. II. Ереван. 1975.
32. Летопись Картли. Перевод Г.Цулая. Тбилиси. 1982.
33. Меликишвили Г.А. Диаухи. Вестник древней истории. 4. Москва. 1950.
34. Меликишвили Г.А. Наири-Урарту. Тбилиси. 1954.
35. Меликишвили Г.А. Урартские клинообразные надписи. Москва. 1960.
36. Обращение Грузии. Перевод Е. Такаишвили. Редакционная обработка, исследование и комментарии М.Чхартишвили. Тбилиси. 1989.

ცხრილი 1

უჩა ოქროპირიძე

ჰომო სოვეტიკუსის „მესამე მდგომარეობა“ და თანამედროვე ქართული ეროვნული მოძრაობა

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თანამედროვე ეტაპის ჭეშმარიტი ისტორიული სურათის შესაქმნელად აუცილებელია ყველა იმ უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის გათვალისწინება, რომლის წიაღშიც იგი ჩაისახა, აღმოცენდა და განვითარდა, ჩამოყალიბდა, როგორც ქართველი ერის უმთავრესი სულიერი მისწრაფების ფაქტორი და იქცა მისი ენერგიის იმ მიზნისკენ წარმართველ კატალიზატორად, რომლისთვის ბრძოლასაც არაერთი თაობა შეეწირა. ყველა არსებობაზე პრეტენზიის მქონე ერის უმთავრესი მიზანი კი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და საკუთარი სუვერენობის განმტკიცებაა.

ჯერ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ხანგრძლივმა ყოფნამ, შემდეგ კი იმავე რუსეთის მიერ ორგანიზებული, მოდერნიზებული საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ბატონობამ საქართველოში წარუშლელი კვალი დატოვა ქართველი ერის ფსიქო-სოციალურ წყობაზე, მის ბუნებაზე, მძლავრი დარტყმა მიაყენა მის ეროვნულ მდგრადობას. განსაკუთრებით მასზე ორი ასწლეულის განმავლობაში გამოყენებულმა რუსულ იმპერიული ძალადობის მოქნილმა სისტემამ ძლიერ შეაფერხა, სცადა მოესპო ქართველი ერის არსებობის და მისი გადარჩენის განმსაზღვრელი ის ზნეობრივი, ისტორიულ-ტრადიციული საყრდენი, რომელზედაც თავის დროზე ქართული სახელმწიფოებრივობა აღმოცენდა; შემდეგ კი მის ისტორიულ მსვლელობაში განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია, რასაც მოყვა მისი დაცემისა და კვლავ აღორძინების ციკლური პერიოდები და რაც ერის სულიერ მდგომარეობაზე არაერთმნიშვნელოვნად აისახა. განსაკუთრებით, ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოში საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ ბოლშევიკური სოციალიზმის იდეის ქვეშ განხორციელებული ექსპერიმენტი, რომელმაც თავისი ზეწოლის მექანიზმების სრულყოფილებითა და იდეოლოგიური ბრძოლის დახვეწილი მეთოდების გამოყენებით უფრო მეტი ზიანი მიაყენა ქართულ ეროვნულ სულიერ ღირებულებებსა და ათასწლოვან საყოფაცხოვრებო ტრადიციებს, ვიდრე ქვეყნის ისტორიული ბედუკუდმართობის დროინდელმა ასწლეულებმა. თუ რას ვგულისხმობთ ზემოთ აღნიშნულში, ამის საილუსტრაციოდ საჭიროა ვცადოთ ჩავწედეთ ბოლშევიკური სოციალიზმის (კომუნიზმის) და ტოტალიტარიზმის შინაგან არსს, მის რაობას, მისი ენარგიის წარმმართველი ძალების მოუთოკავი და ველური ბუნების მამოძრავებელ ინსტიქტებს და მათით მანიპულირების ტოტალურ მექანიზმთა ურთულეს სისტემას – ე.წ. სოციალისტურ-ტოტალისტურ სახელმწიფოს.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გიგანტურ ცვლილებათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენდა ახლანდელ პოსტსაბჭოურ სივრცეში დაწყებულ გარდაქმნათა შეუქცევადი პროცესი, რასაც აქ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი აღმავლობა და შემდეგ კი საბჭოთა იმპერიის ასევე შეუქცევადი ნგრევა მოყვა. სწორედ ამის შესახებ საუბრობს ცნობილი ფრანგი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი მორის ალლე თავის ნაშრომში “მღელვარე ცვლილებანი აღმოსავლეთში” [1, გვ.28–38], სადაც ნათქვამია, – “რომ ის გიგანტურ ტალღათა მორევი, რომელმაც ხუთშაბათს 1989 წლის 9 ნოემბერს ბერლინის კედლის გახსნის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპას ყოველგვარი ძალადობის გარეშე გადაუარა, როგორც თავისი ძლიერებით, ასევე სიდიადით... უდიდეს მოვლენას წარმოადგენს მომავლისათვის... ლიბერალური რევოლუცია, რომლის პროდრომების (პროდრომი–დაავადების მომასწავებელი რამ-უ.ო.) მოწმენი უკვე რამდენიმე წელია ჩვენ ვართ, შეუქცევადია და განსაზღვრული დროისათვის აფეთქების ხასიათს მიიღებს”, – ამბობს მორის ალლე და შემდეგ გამოთქვამს ვარაუდს, რომ უახლოეს პერიოდში ამას მოყვება ტოტალიტატორული კომუნიზმის ნგრევა. “ნამდვილად გასაკვირი ის არის, რომ ტერორისტულმა რეჟიმმა შეძლო ასე დიდი ხნის განმავლობაში მონობაში ჰყოლოდა მთელი ხალხები, მაგრამ ახლა მოხდა რაც ადრე უნდა მომხდარიყო,–აღნიშნავს იგი და იქვე განაგრძობს, – “მეორე რაშიც უნდა დავრწმუნდეთ, ეს არის უდიდესი მარცხი კოლექტივისტური ეკონომიკური სისტემისა კომუნისტურ ქვეყნებში... კოლექტივიზაციის არსებობის ორმოცი წელიწადი უფრო გამანადგურებელი იყო ეკონომიკისათვის, ვიდრე ორი მსოფლიო ომი... დღეს არსებული მდგომარეობის მიხედვით, ერთი ფაქტი ჩანს აბსოლუტურად დამარწმუნებლად, როგორც ადამიანურ სფეროში, აგრეთვე ეკონომიკურ დარგში. ტოტალიტარიზმის ეფექტურობა-ვარგისიანობა ნამდვილი ლეგენდაა” [1, გვ.28–29].

შემდეგ მაღლე წერილში საუბრობს ვარშავის პაქტის მითიურობის, გერმანიის შესაძლო და აუცილებელი გაერთიანების, ომისდროინდელი საფრანგეთის ოცნების აუსრულებლობის (მის მიერ დომინირებული ევროპა–უ.ო.), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დემოკრატიზაციის, მათი სისტემისა და ეკონომიკური სტრუქტურების ტრანსფორმაციის, იქ საბაზრო ეკონომიკის შემოღებისა და კერძო საკუთრების აღდგენის აუცილებლობაზე (რაც დღეს უკვე მომხდარი ფაქტია), იქვე მიუთითებს, „დღევანდელი აღმოსავლეთ ევროპის მდგომარეობა ბევრად უფრო მძიმეა და ყოვლად ცხადია, უბრალო “მარშალის გეგმა” საკმარის ვერ იქნება” [1, გვ. 29–30].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით გადავხედოთ საქართველოში იმ პერიოდში შექმნილ ვითარებას და ვეცადოთ აქ მიმდინარე ისტორიული პროცესების რეალურ არსში გარკვევას.

სოციალისტური სისტემის ხასიათზე, მის ტოტალიტარულ ბუნებაზე ჯერ კიდევ 1901 წელს წინასწარმეტყველურად წერდა გუსტავ ლებონი თავის წიგნში “სოციალიზმის ფსიქოლოგია” [2, გვ.49].

“სოციალიზმი იქნება უპიროვნო, მაგრამ სრულიად განუსაზღვრელი დიქტატურა. იგი ადამიანებს ფარად მიიჩნევს, რომელიც უნდა

ამუშაო და პარსო, ჰკვებო და არ დაუშვა ჩხუბამდე. იგი გულგრილია ყოველგვარი გონებრივი და ზნეობრივი პროგრესისადმი. იგი საერთაშორისო-ინტერნაციონალურია, არა აქვს სამშობლო და იბრძვის მოსპოს ქვეყანაზე სამშობლოს იდეა. სიძულვილი და შური, უგერგილობა და უკიდურესი ეგოიზმი და სიმდიდრის განსაკუთრებული კულტი; ქვეყანა გადაიქცევა ჩინოვნიკთა არმიის მიერ მხარდაჭერილ სასტიკ დისციპლინას დამორჩილებულ მონასტრად. მუშები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი თავისუფლებით... ეს იქნებოდა ყველაზე ბნელი მონობა განთავისუფლებაზე ყოველგვარი იმედის გარეშე. ადამიანთა გამყოფი განსხვავებანი გაქრება და დარჩება მხოლოდ საშუალო ადამიანის ტიპი, უვნებო და უხინჯო, არც ჩერჩეტი, არც ჭკვიანი, საშუალო თვალსაზრისის, საშუალო შეხედულებების... მაჰმადი ურჯულოებს მოაქცევდა მახვილით, ინკვიზიცია-ცეცხლით, კონვენტი-გილიოტინით, ისინი-ყოველგვარი იზოლაციით და გაჩანაგებით”... გაისმის სულ უფრო ძლიერი ყვირილი,-აღნიშნავს ლებონი,-რომელიც ითხოვს უფრო და უფრო წვრილმან რეგლამენტაციას. სახელმწიფო შეუჩერებელივ გამოსცემს კანონებსა და წესებს, იძულებულია ყოველივე განაგოს, ყოველივე გაითვალისწინოს. იგი შედის მოქალაქეთა ცხოვრების ყველაზე წვრილმან დეტალებში... ყოველივე გაქვავდა! უზნეობა და გამყიდველობა ღრდნის ადმინისტრაციას, სასამართლოების უფრო ეშინიათ, ვიდრე ბოროტმოქმედების. პარტიები განუწყვეტელივ იბრძვიან ძალაუფლების დაუფლებისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ ჰქონდეთ შესაძლებლობა თავის ჯერად გაყვლიფონ და გამდიდრდნენ” [2, გვ.49].

თუ გაავითვალისწინებთ სოციალისტური სისტემის მიერ განვლილ გზას და თუნდაც დღევანდლობამდე არსებულ მდგომარეობას, მეცნიერის შეხედულებანი მართლაც საოცრად ზუსტ წინასწარმეტყველებათ შეიცავენ და მისი მრავალი ასპექტი კვლავაც აქტუალურია პოსტსოციალისტურ თუ პოსტსაბჭოურ სივრცეში. ამასთან მეტად ნიშანდობლივია ე.წ. პროლეტარიატის დიქტატურისა და მუშათა კლასისადმი დამოკიდებულების ის გამოხატულება, რომელსაც აბდურახმან ავტურხანოვი თავის მოგონებებში იხსენებს და რომელიც პროფესორ ბულატოვს მათთვის სემინარზე: “ლენინური დიალექტიკა პარტიულ მუშაობაში” შემდეგი სახით ჩამოუყალიბებია: “ჩვენ ხელისუფლებაში მივედით როგორც რევოლუციური დიქტატორები და ვეყრდნობოდით უმცირესობას, ჩვენ ვრჩებით ხელისუფლებაში როგორც დიქტატორები და კვლავ ვეყრდნობით უმცირესობას. ჩვენ მუდამ უნდა “ვეთათბიროთ” ლენინს და არასდროს ხალხს. ხალხი უტვინო მასაა, რომელსაც ადვილი უნდა ამოსდო რომ მან იმუშაოს, მასზე უნდა იძალადო, რომ გააბედნიერო”- როგორც ვხედავთ პრაქტიკამ სრულიად დაადასტურა თეორია [2, გვ. 49-50]-დასძენს ავტურხანოვი (იხ. ა.ავტურხანოვი, მოგონებათა წიგნი, გვ. 728-729). ხოლო პოლიტიკური ფილოსოფიის კლასიკოსი ჰანნა არენდტი თავის ნაშრომში “ტოტალიტარიზმის წარმოშობა” (1951 წ.) საუბრობს რა ტოტალიტარული რეჟიმის შესახებ აღნიშნავს, რომ “ტოტალიტარული მოძრაობები ჩნდება იქ, სადაც მასებს,-ამა თუ იმ მიზეზით, პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის მადა გაეღვიძათ. ეს მასები არ არიან შეკავშირებული ინტერესთა გაცნობიერებული ერთობით, მათ

არა აქვთ კლასობრივი განსაზღვრულობა, რომელიც გამოიხატება კონკრეტული, შემოსაზღვრული და მისაღწევი მიზნის დასახვაში. ტერმინი მასა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომლებიც უბრალოდ და მრავალრიცხოვნების ძალით, ან გულგრილობის, ან ერთი ან მეორე მიზეზით, არ შეიძლება გაერთიანებული იქნენ ინტერესთა ერთობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციაში... მასები არსებობენ ყველა სახელმწიფოში, ქმნიან უმრავლესობას, რომელიც მოიცავს უზომო რაოდენობის ნეიტრალურ, პოლიტიკურად გულგრილ ადამიანებს, რომლებიც არასდროს შედიან პარტიაში და თითქმის არსოდეს მონაწილეობენ არჩევნებში... პოლიტიკურად ნეიტრალურ და გულგრილ მასას შეუძლია შეადგინოს მოსახლეობის უმრავლესობა დემოკრატიულად მართულ სახელმწიფოში და ე.ი. დემოკრატია შეუძლია იცხოვროს კანონებით, რომელსაც აქტიურად უჭერს მხარს მხოლოდ უმცირესობას, – ამბობს ავტორი და იქვე მიუთითებს, რომ “დამცველი კლასობრივი ტიხარების მოშლამ პოლიტიკურ პარტიათა გარეშე მყოფი პასიური უმრავლესობა გარდაქმნა გააფთრებულ ინდივიდთა ერთ უზარმაზარ, არაორგანიზებულ, უსტრუქტურო მასად... სწორედ ისინი წარმოადგენენ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დროიდან მოყოლებული ნებისმიერი ექსტრემისტული მოძრაობის ბაზას [2, გვ.48–49].

პოსტკოტალიტარული ქვეყნების საზოგადოებრივ აზროვნებაში იყო მცდელობა გამოენახათ სოციალიზმისა და კაპიტალიზმისაგან განსხვავებული რაღაც “მესამე გზა”. ალექსანდრე სოლჟენიცინის ნააზრევში აღნიშნული “მესამე გზა” არსებითად “ჯანსაღი ტოტალიტარიზმის” სახეს იძენს. ამ მესამე გზასთან დაკავშირებულად შეიძლება მივიჩნიოთ “მესამე მდგომარეობაში” მყოფი ადამიანი, ე.წ. ჰომო სოვეტიკუსი რომლის რაობის ახსნის გარეშე ძნელი იქნება პოსტსაბჭოურ სივრცეში, და კერძოდ, საქართველოში ეროვნული მოძრაობის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების სრულფასოვანი გააზრება და მათი ანალიზი.

“მესამე მდგომარეობაში” მყოფი ადამიანის შესახებ არის საუბარი იოანეს გამოცხადების ცნობილ “არცა ცივი ხარ, არცა ცხელი და არა უწყი, რამეთუ შენ ხარ უბადრუკ და საწყალობელ და გლახაკ და ბრმა და შიმველ, გირჩევ იყიდე ჩემგან ოქრო, ცეცხლით გაწმენდილი, რათა გამდიდრდე, და სპეტაკი სამოსი, რათა შეიმოსო და აღარ გამოჩნდეს შენი სიშიშვლის სირცხვილი, და საოლაგი იცხო თვალებზე, რათა იხილო” [4, თავი 3, 15–18].

ადამიანის “მესამე მდგომარეობის” თვალსაჩინო დოკუმენტია “სტალინიზმის მსხვერპლ ძველ კომუნისტთა შვილების წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ–სადმი. აღნიშნული წერილი მხილების მაგიერ ხელს აფარებს კომუნისტებს, “ბოროტების სამეფოს” შექმნას ისევ სტალინს მიაწერს” და ისევ და ისევ იმ სტალინურ მექანიზმს იყენებს პარტიის გათვორებისა. ამ ნამდვილი კომუნისტების ნამდვილი კომუნისტი შვილებისათვის მათი მშობლების მიერ მიღწეული ადამიანის გაწყვეტა, სოციალური ქსოვილის და სტრუქტურების რღვევასა და ნგრევაში მონაწილეობა სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე, რაღაც ზინოვიევისებურ “ისტორიულ აუცილებლობად”, ან სოლჟენიცინისებურ “იზდერჟკი ისტორიად”

წარმოგიდგება. დამოუკიდებელი რესპუბლიკების დაპყრობა—რუსეთის იმპერიის სამართლიან აღდგენად. ეს გასაოცარი დაბნელება ხედვისა ტიპოლოგიური მახასიათებელია “მესამე მდგომარეობაში” ჩავარდნილი ცნობიერებისა. ეს კი სრულ შესატყვისობაში იმყოფება ტოტალიტარიზმის საერთო სტრატეგიასთან,—მოახდინოს მასობრივი ცნობიერების შექანება და ამოძრავება თავის სასარგებლოდ. აქვე უნდა ითქვას, რომ მასობრივი ცნობიერების შექანების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს არასასურველი პირის ან მოვლენის დისკრედიტაცია მასათა თვალში. ეს, იმპერატორების პერიოდში ოსტატურად დამუშავებული მეთოდი, სოციალისტური ბრძოლის ტაქტიკად იქცა და დახვეწილი, რაფინირებული სახე მიიღო საბჭოთა უშიშროების, ე.წ. “კგბ”-ს ხელში. პიროვნებას უნდა გაუშრო სისხლი, თუ ვერ მოერევი,—ეს იყო ამ ტაქტიკის ლატენტური მაქსიმა. რა თქმა უნდა “კგბ”-მ და ტოტალიტარულმა სისტემამ შესანიშნავად იცოდა ვინ იყო სინამდვილეში მისი აგენტი, მაგრამ მასა იმის მასაა, რომ იმას დაუჯეროს, ვისგანაც ღოზუნგი ესმის (ე.ი. შეკვეთას დებულობს), რადგან საკუთარი აზრი არა აქვს და არც პიროვნულობა. ყოველივე ეს კი იმისთვისაა საჭირო, რომ ბიძგი მიეცეს ე.წ. კუდიანებზე ნადირობის დაწყებას, სადაც ვერავინ იგრძნობს თავს დაცულად და ხელშეუხებლად. ამასთან, ძალზე დამაფიქრებელი სურათია, როდესაც ასეთ ვითარებაში კეთილშობილი ინტელიგენტების ოჯახის შვილი თავის თავზე იღებს “კგბ”-ს დამახასიათებელ ფუნქციებს. მართლაც, დამაფიქრებელია ამგვარი დაკარგვა კრიტიკულებისა და ზნეობრივი პრინციპებისა. ასეთი ჩამოქვეითება და შექანება ცნობიერებისა სავსებით ტიპური ჩანდა და სავსებით შეესატყვისებოდა “მესამე მდგომარეობაში” მყოფ, გაჰმოსოვეტიკუსებული ცნობიერების, დაშლილი და დაავადებული ცნობიერების ტიპს.

ამგვარი კარგად ორგანიზებული და მიზანმიმართული “გაშავება—გათეთრების” სტრატეგიით “კგბ”-მ და მისმა საქართველოს განყოფილებამ “პარადოქსულად” შეიძინა ქართული ინტელექტუალური რეზერვუარის სახე. მასთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოთანამშრომელთა სია იმდენად ვრცელი და იმდენად ინტელექტუალურად მწიფე აღმოჩნდა, რომ ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ საქართველოს “კგბ”-სთან ამგვარი ინტელექტუალური ძალები თანამშრომლობენ, მაშინ ვინდა აკეთებს ნამდვილ ეროვნულ საქმეს, თუ არა იგივე “კგბ”? [1, გვ.56–59].- აღნიშნავს პეტრე იბერი. ახლა კი, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ეროვნული მოძრაობის საქმიანობასთან დაკავშირებული ის უდიდესი პრობლემები იმ ქვეყანაში, რომელშიც ლოგიკურ მსჯელობაზე მიყოლას ანალოგიური კითხვის დასმამდე მიუყვართ. ამიტომ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ტოტალიტარიზმი იქმნება იმ ისტორიული სინამდვილიდან, რომელსაც წარმოადგენს “მესამე მდგომარეობაში” მყოფი მასა; ხოლო საბჭოთა მასა—გენერალური მდივნიდან უკანასკნელ მსახურამდე ყოველთვის “მესამე მდგომარეობაში” იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა ჰომო სოვეტიკუსმა შეიძინა მასობრივი “მესამე მდგომარეობისათვის” დამახასიათებელი ყველა ამბივალენტური ნიშანი. ამ ურთიერთსაპირისპირო გრძნობებს აძლიერებდა ჯერ კიდევ შემორჩენილი ქართული ცხოვრების წესის სტრუქტურები, რომლებიც შიგა

სუბსოციალურ დონეზე განაგრძობდნენ მოქმედებას და ამით მაღალადა და აბუნდოვანებდა იმ ფუნდამენტური ცვლილებების სურათს, რომელიც ქართული ცხოვრების ტრადიციულმა წესმა და ხასიათმა, თუნდაც საბჭოთა პერიოდში განიცადა. ეს ქმნიდა იმის ილუზიას, რომ თითქოს ყველაფერი რიგზეა და ჰომო სოვეტიკუსმა საქართველოში ვერ მოიკიდა ფეხი, რომ ტოტალიტარიზმი აცდა საქართველოს. მაგრამ სინამდვილეში დემორალიზებამ აქაც, მართლაც ტოტალიტარული ხასიათი მიიღო. ეს განსაკუთრებით გამოამჟღავნა ედუარდ შევარდნაძის ეპოქაში, როდესაც ყოველგვარი ზნეობრივი კრიტერიუმი მოიშალა და მლიქვნელურ-მსახურებრივმა ამორალობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ამან გამოიწვია ის მასშტაბითაც და უზნეობითაც უპრეცედენტო აგრესია საკუთარი სამშობლოს მიმართ, რომელმაც ეროვნული თვითმკვლელობის, ანუ საკუთარი ხელით მტრის წინაშე ყელის გამოჭრის ხასიათი მიიღო. კვლავ გაისმა ნიკო ლორთქიფანიძის სულის შემძვრელი სიტყვები: “იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით... ჰყიდის ყველა”... ამ მოვლენათა ერთ-ერთი შემადგენელ ასპექტია თვითგამართლების ის უაღრესად დახვეწილი ტექნოლოგია, რომლითაც თითქმის ყოველი ქართველი და მთლიანად “ერი” თავის დანაშაულს ამართლებს სხვის აგრესიულობაზე მითითებით, რითაც თავის თავს არ აძლევს საშუალებას საკუთარ წილ ცოდვაზე და ცოდვილიანობაზე დაფიქრებისა, ანუ “მესამე მდგომარეობიდან” გამოსვლისა [1, გვ. 49–51].

წარმოჩენილ სურათისათვის მეტი დამაჯერებლობის მიცემის თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა ე.წ. საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელთა და დისიდენტური მოძრაობის ზოგიერთი აქტივისტის რეალური სახის გაშიშვლება.

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში საჯაროობის ღოზუნგს ამოფარებულმა საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გამოამჟღავნეს თავიანთი ნამდვილი სახე და არ მორიდებიან ე.წ. პატარა ერებისადმი, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილმოსურნე დამოკიდებულების აშკარა გამოხატვას: საქართველოსა და ქართველი ერისადმი “პატარა იმპერიის” ცნების დამკვიდრების არცთუ წარუმატებელი ცდა განახორციელა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა და დისიდენტმა, აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა; სტალინის ეპოქის სისხლიანი ფენომენის ქართული ეროვნული თავისებურებებით გახსნა სცადა მწერალმა ჩინგიზ აიტმატოვმა თუ სხვებმა; ხოლო ასევე ცნობილმა პროზაიკოსმა ვიქტორ ასტაფიევმა არაერთი გვერდი მიუძღვნა ქართველი ერის აშკარა განქიქებასა და ღანძღვა-გინებას [5, გვ. 100–141].

ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ კრიტიკული დამოკიდებულება გაძლიერებული ჰქონდა რუსული ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელს საკუთარი ერისადმიც, მაგრამ ამ საფარის ქვეშ სრულიად კარგავდა ობიექტურობის გრძნობას როცა საქმე ე.წ. პატარა ერების, კერძოდ კი საქართველოს ინტერესებს ეხებოდა. ადგილი ჰქონდა “პატარა” ერების წარმომადგენელთა მხრიდან საპირისპირო ქმედებასაც. მაგალითად, იგივე ალექსანდრე სოლჟენი-

ცინი თავის წერილში “როგორ მოვაწყოთ რუსეთი”?, ამბობს, რომ “...მომავალი დიდი დაპყრობებისათვის თავს ვინადგურებთ უგნური მმართველობით, ჩვენ გაეჩხეთ ჩვენი მდიდარი ტყეები, გავძარცვეთ ჩვენი უსაზღვრო სიმდიდრე... შეუბრალებლად გავყიდეთ ის საზღვარგარეთ. დავაძაბუნეთ ჩვენი ქალები ჯანის გამტეხი აუტანელი მუშაობით, მოვწყვიტეთ ისინი შვილებს. თვით ბავშვებზე მივუშვიტ სენი განათლების გაყალბებისა და გაველურებისა. მთლიანად მიშვეებულია ჯანდაცვა... მილიონობითაა უსახლკარო და გაუსაძლისი პირადი უუფლებობითაა წალეკილი მთელი ქვეყანა,—ჩვენ კი ერთი რამ გვაწუხებს,—არ წავგართვან უგნური ღოთობის საშუალება... ჩვენი მთელი უაზრობა და დაღუპვა შეგვიძლია ავიტანოთ, თუმცა მთელი ჩვენი ცხოვრება თვალწინ გვაქვს გადაშლილი—მხოლოდ თავს არ დაესხან, არ შეურაცხონ, არ შეაგინონ ჩვენს ნაციას! აქ—უკვე ვერაფერი დაგვაკავებს მარადიულ სიმშვიდეში, აქ ჩვენ აღშფოთებული სიმამაცით მივწვდებით ქვებს, ჯოხებს, იარაღს და დავეცემით მეზობლებს, რათა გადავწვათ მათი სახლები და ამოვხოცოთ ისინი”... [6, გვ.3–4]. მაგრამ ეხება რა “ნაციონალურ დამოუკიდებლობას ასე მოწყურებულ საქართველოს”, მისი აზრით, იგი რუსეთს ძალით არ დაუპყრია და იგი მხოლოდ ლენინმა დაიპყრო (Sic!-უ.ო.) 1921 წელს. და დღეს, ეს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საქართველო თურმე ავიწროვებს აფხაზებს, ოსებს, თავის ნამდვილ სამშობლოში არ უშვებს სტალინის მიერ გასახლებულ მესხებს,—ამის შემდეგ კი სვამს დიდაქტიკით გაზავებულ კითხვას: “ნუთუ ეს არის ასე სასურველი ეროვნული თავისუფლება?” [6, გვ.12]—და ეს მაშინ, როდესაც თვითონ წერილში “ჯანსაღი იმპერიალიზმის” ქვეშ სტალინურ მოდელს სთავაზობს “ახალ რუსულ იმპერიას” და შეგონებებიც კი აქვს “პატარა ხალხების” დასამშვიდებლად, ხოლო თავად სლავურ გაერთიანებაზე მეოცნებეს, უკრაინისა და ბელორუსიის დამოუკიდებლად არსებობის შანსიც არა აქვს დაშვებული [2, გვ.62]. ასეთია, სამწუხაროდ ამ რუსი ინტელექტ პატრიოტის ორმაგი სახე და მისი შეხედულებანი რუს ხალხზე; ქართველი ე.შევარდნაძე კი ტყავში ძვრება, რომ როგორმე ზნეობრივი სრულყოფილების თითქმის ეტალონად წარმოგვიდგინოს იგი. “რუსი ხალხისათვის,—ამბობს ე.შევარდნაძე,—მისი სულიერი არსისათვის დამახასიათებელია სოციალური სამართლიანობის გამახვილებული გრძნობა, რუს ხალხს ეროვნული თავისუფლების, ეროვნული სამართლიანობის მეტად გამახვილებული გრძნობა აქვს... რუსი ხალხი ოდითგანვე იყო მრავალრიცხოვანი, ძლიერი, გენიალური და დიდბუნებოვანი” [7, გვ.18]. მედროვეობამ და საკუთარი ცნობიერების მუდმივად “მესამე მდგომარეობაში” ყოფნამ ეს პიროვნება იქამდე მიიყვანა, რომ საქართველოს მზე ჩრდილოეთიდან ამოიყვანა, რაც ყველაზე მეტყველი მაგალითია “მესამე მდგომარეობაში” მყოფი ადამიანის მიერ მარადიული მონობის აპოლოგიისა.

აქვე უნდა მოვიყვანოთ კიდევ ერთი მრავლისმეტყველი მაგალითი. გაზეთ “ნოვოე რუსკოე სლოვოში” (ნიუ-იორკი) დაიბეჭდა ცნობილი რუსი სამართალდამცველის, ჟურნალ “კონტინენტის” (პარიზი) მთავარი რედაქტორის, მწერალ ვლადიმერ მაქსიმოვის სტატია სათაურით “დიდი ქართული შოვინიზმის შესახებ”, სადაც ავტორი აღნიშ-

ნავს, რომ “ქართული ეროვნული მოძრაობა სასტიკად თრგუნავს აფხაზთა და ოსთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას... ქართველი ნაციონალისტები სასტიკად წინააღმდეგნი არიან მუსლიმანი მესხებისა და თურქული მოდგმის ხალხის დაბრუნებისა მათს ისტორიულ სამშობლოში-მესხეთ-ჯავახეთში...”

რუსი სამართალდამცველი განსაკუთრებით აღუშფოთებია და ქართველთა საწინააღმდეგოდ განუწყვთია ბიულეტენ «Вести из СССР»-ში გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც მოთხრობილი ყოფილა ქართველი ნაციონალისტების მიერ სურამში, თითქოს-და ებრაელთა დარბევის ფაქტის შესახებ. მაქსიმოვი ნიშნის მოგებით აღნიშნავს, რომ “და ეს მოხდა საქართველოში, სადაც არასდროს არ ყოფილა ანტისემიტიზმი; თვით “პამიატიც” კი ჯერ არ მისულა ამ დონემდე”-და ბოლოს ასეთ დასკვნას აკეთებს: “ძნელია ქართველთა მეგობარი უცხად გადაიქცე მის მტრად-მაგრამ მე ისევე, როგორც ანდრეი სახაროვი და ყველა ჭეშმარიტი დემოკრატი, ჩემი უდიდესი სურვილისდა მიუხედავად, არ შემიძლია დავრჩე მეგობარი ასეთი ერისა: მისხენით ასეთი პატივისცეან!” [8]. აი, ასე, მოკლედ და კონკრეტულად: არავითარი ძიება, არავითარი საღი აზრი, უბრალოდ საბჭოთა ბიულეტენში ამოკითხული ყალბი ცნობის საფუძველზე შექმლო საბჭოთა “სამართალდამცველს” ასეთი დასკვნების გამოტანა, რითაც პირნათლად ასრულებდა მისი ერთადერთი ჭეშმარიტი დამკვეთისა და მოქმედებათა კოორდინატორის საბჭოთა სუკ-ის მიერ მიცემულ ინსტრუქციას, ამასთან გამოდიოდა ცნობილი რუსი სამართალდამცველისა და დისიდენტის საფარქვეშ. და ეს ე.წ. სამართალდამცველები და დისიდენტები, აკეთებდნენ რა თავიანთ შავ საქმეს, ზუსტად იმის საწინააღმდეგო აზრის ჩამოყალიბებას ემსახურებოდნენ, რაც თითქოსდა მათ უმთავრეს მოწოდებას შეადგენდა. კერძოდ, ტოტალიტარული რეჟიმის ინტერესთა დაცვასა და მისი მსოფლიო მასშტაბით გათეთრებას, რათა გაამართლონ იმავე მსოფლიოს თვალში მისგან გამოვლენილი ტოტალური აგრესია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა მიმართ და ხალხთა წინააღმდეგ მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი წარმოაჩინონ როგორც აუცილებლობით გამოწვეული ნაკლები ბოროტება. აი, ცნობიერების “მესამე მდგომარეობაში” ყოფნის ნამდვილი საბჭოური არსი, რომელიც დღემდე წამლავს არა მარტო პოსტსაბჭოურ სივრცეს.

ასე, რომ ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თანამედროვე ეტაპზე მოუხდა ყველა იმ სიძნელეთა დაძლევა, რომლებიც ჩვენ შეძლებისამებრ ვცადეთ ნაშრომში წარმოგვიჩინა, ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური ტოტალიტარული სახელმწიფოსა და ბოლშევიკური სოციალიზმის იდეოლოგიის შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული ტოტალიტარული რეჟიმი, რომელიც ადამიანებს ისე იყენებდა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, როგორც უბრალო ჭანჭიკებს; რამაც გამოიწვია ამ რეჟიმის პირობებში მცხოვრები ადამიანების ერთი პულტიდან სამართავ უპიროვნო მასად გადაქცევა. აქ კომუნისტური იდეოლოგიით განმსჭვალული და მის სახელმწიფოებრივ ზედნაშენთან შერწყმული მთელი სისტემა,- საზოგადოების დაშინებისა და მისთვის სახელმწიფო თვალსაზრისთა შთაგონების, ამასთან ამავე სახელმწიფოს ინტერესთა

შესაბამისად მათი მართვის უნიკალურ მექანიზმს წარმოადგენდა, – რისი თანამდევნი შედეგიც ამავე საზოგადოების ტოტალურ, უპიროვნო მასად ქცევა და გამოთავანება იყო. ამ უპიროვნო, გამასებულ, პასუხისმგებლობის არ მქონე ერთობისათვის კი ცნობიერების “მესამე მდგომარეობაში” ყოფნა ჩვეულებრივ, ბუნებრივ მდგომარეობად უნდა განვიხილოთ, ასეთ პირობებში კი ის “ცდომილებანი”, რომელიც ქართულ ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობას თანამედროვე ეტაპზე თან სდევდა, თავისთავად, მოვლენათა განვითარების ლოგიკაში ჩამჯდარ ახსნას პოულობს და დღევანდელ საზოგადოებასაც კარგ სამსახურს გაუწევს საბოლოოდ დაადწიოს თავი საბჭოური გადმონაშთების ტყვეობას. მთავარია სიმართლეს თვალი გაუფსწოროთ და ამ გზაზე არ შევჩერდეთ. ჩვენი ნაშრომიც სწორედ ამ სულისკვეთებით არის დაწერილი და ვფიქრობ, ის თავის მიზანს მიაღწევს.

„... და თუ ჩვენ დღეს ამ ზღვარს მივადექით, როცა უკვე აღარ შეგვიძლია ჩვენი გარემომცველისაგან განსხვავებული სამყარო წარმოვიდგინოთ, განვჭვრიტოთ რაიმე აშკარა და უეჭველი გზა, რაც მომავალში ძირეულად გააუმჯობესებს ახლანდელ წყობას, მაშინ კეთილი უნდა ვინებოთ და ისტორიის დასასრულის შესაძლებლობაც ვივარაუდოთ” [9, გვ.64]–ამბობს ფრანსის ფუკუიამა. მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ როდესაც იგი ლიბერალიზმისა და დემოკრატიის ურთიერთდაკავშირებულობაზე ლაპარაკობს, მიმართავს ლორდ ბრაისისეულ დემოკრატიის უძირითადეს უფლებათა კლასიფიკაციას, რომელშიც გამოიყოფა სამი უმთავრესი უფლება: 1. **სამოქალაქო**–“მოქალაქეთა განვითარების უფლება კონტროლისაგან, როცა საქმე ეხება მის პიროვნებას და საკუთრებას”, 2. **რელიგიურს**–“განთავისუფლება კონტროლისაგან რელიგიური შეხედულებების გამოხატვისა და ღვთისმსახურების დროს”, და 3. **პოლიტიკურს**–“კონტროლისაგან განთავისუფლება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ისე არ ზარალდება მთელი საზოგადოების კეთილდღეობა, რომ კონტროლი გახდეს აუცილებელი; აქვე მოიაზრება პრესის თავისუფლების ფუნდაქენტური უფლებაც, [9, გვ.57–58] – აღნიშნავს ფუკუიამა.

ფრენსის ფუკუიამას მიერ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას აქვს ის დიდი ნაკლი, რომ ისინი კაცობრიობის საზოგადოებრივი ისტორიისადმი უდიდესი პესიმიზმის გამოხატულებას წარმოადგენენ. მორწმუნე ადამიანი, რომელიც უფაღმა შექმნა “ხატად და სახედ თვისად”, არ შეიძლება ამ პესიმიზმს იზიარებდეს და ამით უარყოფდეს საკუთარ თავში დავანებულ ღვთიურ საწყისს, სამყაროს შემოქმედის ყოვლისშემძლეობასა და ამოუწურავობას. ავტორის პოზიცია მიუთითებს მისი გონებრივი შესაძლებლობების ზღვრულობისა და უნივერსალური შემოქმედის არსებობის ურწმუნოებაზე, რაც ადამიანთა ცნობიერების “მესამე მდგომარეობის” თავისებურ გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ,–როდესაც მისი “ხედვის” იქით თითქოს აღარაფერი არსებობდეს უსასრულო სამყაროში. ეს გონებრივი ბინდი და სისაპყრე დამახასიათებელია იმ სამყაროსათვის, რომელიც აპირებს თავად მოგვევლინოს მსოფლიოს ერთადერთ კანონმდებლად და ხილულ “ყოვლისშემძლედ”, სინამდვილეში კი დედამიწისეული, მიწიერი პრობლემების სათავესოდ გადაწყვეტას ცდილობს და ამი-

ტომაც “ქადაგებს”. თავისუფლება კი უფლის რწმენაა, რომელიც არავითარ კონტროლს არ შეიძლება ექვემდებარებოდეს. ადამიანი რწმენაში, თავად არის თავის უფალი. და პოსტსაბჭოურ სივრცეში როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ წამოყენებულმა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და თავისუფლების იდეებმა უპირველესი მოთხოვნების ხასიათი მიიღო,—მრავალწლიანი ტანჯვა-წამებისა და უღმერთობის აპოლოგიის შემდეგ,—ზუსტად ეს წარმოადგენს ყველაზე თვალჩინოდ მაგალითს ადამიანის ბუნების ჭეშმარიტებასთან უტყუარი ზიარობისა და თავის უფლისაგან მარადიული სწრაფვისა. და თუ კაცობრიობის ისტორიას დასასრული უწერია, ეს არ მოხდება მანამ, სანამ იგი არ მიაღწევს მისი ამ მარადიული სწრაფვის უმთავრეს მიზანს,—საწყისთან დაბრუნებას, ანუ თავის უფლებას.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფუკიამა იქვე გვამცნობს: “რჩეული ინტელექტუალები იმ დასკვნამდეც კი მივიდნენ, რომ საერთოდ არ არსებობს რაიმე ლოგიკური თანმიმდევრობა, ადამიანთა საქმიანობაში—ანუ ისეთი რამ, რასაც ჩვენ ისტორიას ვუწოდებთ” [9, გვ.21].

ლოგიკა, ისტორია თუ სხვა, ადამიანის მიერ შექმნილი ცნებები, მოვლენათა მისეული გააზრების მეთოდოლოგიური საშუალებებია, რომელთაც ღვთიურთან მხოლოდ იმდენად აქვთ შეხება, რამდენადაც აზროვნების პროდუქტს წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში და ამ თვალსაზრისით ეს ინტელექტუალები, შეიძლება მათდა უნებურადაც, ჭეშმარიტებასთან ახლოს არიან—რადგან რაში სჭირდება უფალს “რაიმე ლოგიკური თანმიმდევრობა ადამიანთა საქმიანობაში”, ანუ მათი ისტორია... ეს ჩვენთვის, მისგან უნებურად მოწყვეტილთათვის, არის აუცილებელი საჭიროება—ვიქონიოთ რაღაცის შესახებ მეხსიერება და გავაკეთოთ ანალიზი, ხშირ შემთხვევაში კი საკუთარ, ადამიანურ, უბადრუკ მოთხოვნების გამართლებას მივუსადაგოთ იგი სათანადო იდეოლოგიური საფენლის სახით. როდესაც ადამიანები ყოველივე ამას ბოლომდე გავიზიარებთ, სრულიად ბუნებრივი გამოჩნდება ჰეგელისეული წინასწარმეტყველება, რომ “ჩვენ ვდგავართ მნიშვნელოვანი ეპოქის კარიბჭესთან, იწყება დუდილის დრო, როცა სული დიდი სისწრაფით მიქრის წინ, იშორებს ძველ ფორმას და ახალს იძენს. უწინდელი წარმოდგენები, შეხედულებები, ძველი ჯაჭვები, რომლებიც ჩვენს სამყაროს აკავშირებდნენ და აერთიანებდნენ, სიზმარეული ჩვენებებით იშლება და იმსხვრევა. სული ახალ ფაზას იმზადებს თავისთვის... ისინი, ვინც ამას უმწეოდ ეწინააღმდეგებიან, ამოდ ებღაუჭებიან წარსულს” [10].

საბჭოთა იმპერიის გადარჩენის უკანასკნელ ცდას გარდაქმნა წარმოადგენდა. მაგრამ კომუნისტური რეჟიმის აღსასრული ვერ შეაჩერა პოლიტიკურმა ლიბერალიზმმა და კოსმეტიკური ხასიათის სოციალ-ეკონომიკურმა რეფორმებმა. მისი შეუქცევადი ნგრევა გაგრძელდა. ასეთ პირობებში შიდა და გარეშე ანტიქართულმა ძალებმა კარგად იცოდნენ, თუ რა გაქანებითა და სიცოცხლისუნარიანობით ხასიათდებოდა ქართული ეროვნული იდეა. სწორედ ეს იდეა იყო ის კატალიზატორი, რომელიც ასწლეულების განმავლობაში ასულდგმულებდა მოწინავე ქართულ საზოგადოებრივ აზრს. აქედან გამომდინ-

ნარე, თუ დავუშვებთ, რომ მტრული ძალები ცდილობენ შეაფერხონ ქართული ეროვნული იდეის განვითარება, მივაღწეოთ დასკვნამდე, რომ აქედანვე უნდა იღებდეს სათავეს ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვლილი გზის და მიღწეული შედეგების იგნორირებაც.

ამ კონტექსტში უნდა გაცნობიერდეს თანამედროვე დემოკრატიზმისა და პატრიოტული ნაციონალიზმის ურთიერთდამოკიდებულებაც. თუ მცირე ერების ეროვნული სულიერებისა და ფიზიკური გადარჩენის გზა პატრიოტული ნაციონალიზმია, იმპერიული დემოკრატიის ახალ ფორმას “ძალით მშვიდობის დოქტრინა” წარმოადგენს, რომელიც მიმართულია მცირე ომების საშუალებით ურჩი ერების თვითმყოფადობის დათრგუნვისა და შეჩერებისაკენ. ამასთან, არის მცდელობა ნაციონალიზმი გამოცხადდეს არაცივილიზირებული ერის თვისებად, რომელიც არ არის მზად დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. აგრეთვე ზოგიერთი უშვებს იმაზე დემაგოგიურ მსცელობასაც, რომ ადამიანური ჭეშმარიტება (ანუ საკუთარი “ჭეშმარიტება” – უ.ო.) სამშობლოზე მაღლა დგას და საერთოდ არ არის აუცილებელი ენისა და ერის ერთად რწმენა. ე.ი. ეროვნული იდეა დაიყვანება რაღაც ტომობრივ იდეაზე, რომელიც წარსულში გვაბრუნებს და ყველანაირ პერსპექტივას უსპობს მცირე ერების თვითმყოფადობას [11, გვ.108–111].

აი, ასეთ ვითარებაში მოუხდათ თანამედროვე ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთ თავზე აედოთ ეროვნული თავისუფლებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის უდიდესი პასუხისმგებლობა.

Уча Окропиридзе

«Третье положение» Homo soveticus-а и современное национальное движение Грузии

Резюме

В работе показаны те психо-социальные предпосылки, без изучения которых невозможно было бы создать правдивую историю современного национально-освободительного движения Грузии. В нем исследовано вечное бытие мышления «Homo soveticus»-а в «третьем положении» и исходя из этого его влияние на грузинское национально-освободительное движение.

**“The Third Condition of “Homo Sovieticus” and Modern
National Movement in Georgia**

Summary

The work shows the psycho-social prerequisites that played an important role in creation of the real history of modern national-liberation movement in Georgia. The work researches eternal being of thinking of “Homo Sovieticus” in the third condition and consequently its negative influence on the Georgian national-liberation movement.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალლე მორის, მღელვარე ცვლილებანი აღმოსავლეთში, ჟურნ. “ივერია”, 34, პარიზი, 1990.
2. იბერი პ., შენიშვნები, ჟურნ. “ივერია”, 35, პარიზი, 1990.
3. არენდტი ჰ., ტოტალიტარიზმის წარმოშობა, ჰაიდელბერგი, 1951.
4. გამოცხადება იოანე ღმრთისმეტყველისა, თ.3, 15–18.
5. Астафьев А., Место действия, рассказы, журн. «Наш современник», №5, Москва, 1986.
6. Солженщин А., Как нам обустроить Россию?, Париж, YMCA PRESS, 1990.
7. კაშია ჯ., ზოგიერთი რამ საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე, ჟურნ. “თავისუფლების ტრიბუნა”, №39, პარიზი, 1983.
8. გაზ.“ქართული ქრონიკა”, №58, 1990.
9. ფუკუიამა ფრ., ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბ., 1999.
10. Dokumente zu Hegels Entwicklung, ed. J.Hoffmeister, Stuttgart, 1936.
11. კვესელავა ივ., ადგიშვილი ეკ., გლობალიზაცია და ეროვნული იდეა, აღმანახი “საისტორიო ვერტიკალები”, №10, თბ., 2006.

მერაბ ხალვაში

სინოპური ამფორები ბონიო-აფსაროსიდან

რომაული და ბიზანტიური ხანის შავი ზღვის აუზის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ფორტის, აფსაროსის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად მოპოვებულ მასალაში, შავი ზღვისა და ზოგადად ეგეოსური სამყაროდან შემოტანილ ამფორათა შორის, რაოდენობრივი და ტიპობრივი მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა სამხრეთ შავი ზღვისპირეთის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სახელოსნო და სატრანზიტო ცენტრის სინოპეს ნაწარმი.

ძველ კოლხეთს ადრეანტიკური ხანიდან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სინოპესთან,¹⁴ რაც კიდევ უფრო იზრდება ელინისტურ ხანაში. ამ პერიოდის სინოპური იმპორტი გავრცელებულია როგორც კოლხეთის ზღვისპირა ზოლში, ასევე მის შიდა რაიონებში.¹⁵ აფსაროსის, ბიჭვინთის, სოხუმისა და ნოქალაქევის აღმოჩენები მოწმობენ, რომ კონტაქტები გრძელდება რომაულ და ბიზანტიურ ეპოქებშიც. აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის სინქრონული პერიოდის ძეგლებზე, მათ შორის აფსაროსშიც, დიდი რაოდენობითაა მოპოვებული არა მარტო ამფორები, არამედ სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი, სამშენებლო მასალა, მონეტები და ა.შ., თუმცა, ვფიქრობთ, რომ ურთიერთობა კოლხეთსა და ზოგადად მცირე აზიას შორის, წინარე ხანისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში სხვა ფორმითაა განსახილველი. ეს იმპორტი ძირითადად ზღვისპირა ქალაქებში, მათ შორის აფსაროსში, მდგარი რომაული და ბიზანტიური გარნიზონებისთვისაა განკუთვნილი. ცნობილია, რომ სინოპე წარმოადგენდა რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მდგარი არმიისა და ფლოტის

¹⁴ ამის დამადასტურებელია ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილი ადრეული ძვ.წ. 500-480 წწ (იხ.: ა.კახიძე, ფიჭვნარის სამაროვანზე 1967-68 წწ აღმოჩენილი უცხოური მონეტები.-მაცნე, 1974, 3, გვ. 79-86) და ბერძნული ნეკროპოლის ძვ.წ. 500-453 წწ (იხ.: ი.იაშვილი, ადრეული სინოპური ვერცხლის დრაქმა ფიჭვნარიდან.-სდსმ, XVI, 1987, გვ. 44-46) დათარიღებული სინოპური დრაქმები. მომდევნო პერიოდის სინოპური მონეტები აღმოჩენილია ბათუმის მიდამოებში (იხ.: Дундуа Г.Ф. Нумизматика античной Грузии.- Тб., 1987, с.34-38.), განთიადში (იხ.: ი.ვარშალომიძე, სინოპური მონეტა სოფელ განთიადიდან.-საისტორიო მაცნე, 3, ბათუმი, 1996 გვ. 36), ფიჭვნარში (Голенко К.В. Клад Синопских и Колхидских монет из Кобулет (1948).-ВДИ, 1, 19,1), ურეკში, სოხუმში (იხ.: Дундуа Г.Ф. указ. соч.) ეშერაში, დაფნარში, სვანეთში (გ.დუნდუა, საქართველოში აღმოჩენილი სინოპური მონეტები.-მაცნე, 2, 1971, გვ. 145).

¹⁵ სინოპური კერამიკის გავრცელების შესახებ იხ.: ო.ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ. 196, გვ. 125; ა.კახიძე, კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან.-სდსმ, II, 1971, გვ. 49-51.

ძირითად დასაყრდენ პუნქტს, საიდანაც ხდებოდა ამიერკავკასიასა და მცირე აზიის ჩრდილოეთ რაიონებში განლაგებული რომაელთა ჯარების მომარაგება,¹⁶ ამდენად სავსებით გასაგები ხდება აფსაროს-ში სინოპური კერამიკის აღმოჩენა და შემოტანის მიზეზი.

აფსაროსის სინოპური ამფორები სტრატეგრაფიულად ორ ქრონოლოგიურ ჯგუფში ერთიანდება. პირველი ჯგუფის ამფორები ძირითადად ახ.წ. II ს დასაწყისითა და ახ.წ. III ს დასასრულით, ხოლო მეორე ახ.წ. VI საუკუნით თარიღდება.

ტიპი I. ფსევდოკოსური ამფორები(ტაბ.1-1,2). აფსაროსის კასტელუმში კერამიკული ტარის ეს ტიპი ყურის ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ყური ზედა ბოლოს მიხერვით ადგილიდან 6 სმ დაშორებით ზეაწეულია და შემდეგ სწორი კუთხით იხრება მხრისკენ. საერთოდ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყურის ნაწილები ცალ-ცალკეა დამზადებული და შემდგომად ერთმანეთთან დაკავშირებული, ამის დამადასტურებელია ყურის მოხრის ადგილას არსებული განივი დანაძერწი (ტაბ.1-2). მსგავსი ტექნიკით დამზადებული ყურები ფიქსირებულია ჩრდილო-დასავლეთ ყირიმში – ჩაიკის ნაქალაქარზე. ხსენებულ დანაძერწს განიხილავენ, როგორც დამატებით დეტალს, რომელსაც ფუნქციონალური დატვირთვა ჰქონდა –გაემაგრებინა ყური მოხრის ადგილას.¹⁷

სენუკოვმა ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი ორმაგ-ყურიანი ამფორები გააერთიანა ერთ ტიპში (C I) სადაც გამოყო ორი ქრონოლოგიური ჯგუფი, აქედან პირველი დაათარიდა ძვ.წ. I ს, ხოლო მეორე – ახ.წ. I ს და II ს დასაწყისით.¹⁸ მათ ფსევდოკოსურებს უწოდებს და დამზადების ცენტრების მიხედვით ყოფს ორ ნაწილად – I. დასავლური (დამღების მიხედვით საწარმოო ცენტრებია – იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, ინგლისი); II. აღმოსავლური, შავიზღვისპირა აუზის ამფორები. მორფოლოგიური და თიხების პეტროგრაფიული ანალიზის საფუძველზე თვით შავიზღვისპირეთში გამოყოფს ფსევდოკოსური ამფორების ორ საწარმოო ცენტრს – სინოპსა და ჰერაკლევას.¹⁹ სენუკოვის ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს ჩვენ მიერ სინოპის არქეოლოგიურ მუზეუმში ნანახი სინოპური კეცის მთლიანი შეწყვილებულყურიანი ამფორა (საინვენტარო ნომერი 23.7.84) და აფსაროსში მოპოვებული ყურის ფრაგმენტი, რომელიც ახ.წ. I ს შუახანებით თარიღდება.

ტიპი II. მხრებზე ყურებმძიდრწილი ამფორები (ტაბ.1-3,4). ამ ჯგუფში გაერთიანებული ამფორების განსხვავებული თვისება იმაში

¹⁶ დაწვრილებით იხილეთ: Максимова М.М. Античные города Юго-Восточного Причерноморья, М, 1956 с. 30,-353. თავის მხრივ ამიერკავკასია სინოპესათვის იყო პოლიტიკური ზურგი მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში. იხ.: D.Braund. Georgia in antiquity. A history of Colchis and Transcaucasian Iberia, 550BC-AD5,2. Oxford. 1994. p. 157.

¹⁷ Внуков С.Ю. Широкогорлые светлоглиняные амфоры Северо-Западного Крыма.-СА,1988, с. 201, рис. 3-1.

¹⁸ Внуков С.Ю. указ. соч. с. 198-202.

¹⁹ Внуков С.Ю. Новые типы позднеинонопской тары.-РА,1993,3,с.208;მისივე, Амфоры с двустольными ручками Северном Причерноморье.-Международные отношения в бассейне Черного моря в древности и средние века, Тезисы докладов VIII международной научной конференции, Ростов на Дону, 1996, с.107-108.

მდგომარეობს, რომ ყურები პირდაპირ მხრებზეა აქვთ დაზერწილი. პირის პროფილის მიხედვით ორ განსხვავებულ ვარიანტად იყოფა:

ა. პირი ოდნავ გაშლილი, რომელსაც გარეთა ზედაპირზე პორი-ზონტალური, ჩაღრმავებული ზოლი შემოუყვება (ტაბ.1-3). ანალოგიური (ზომებისა და კეცის) ნიმუში დაცულია სინოპეს არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში.²⁰ მსგავსია, ასევე ტანაისში ნაპოვნი ამფორაც.²¹

ბ. აქვთ დაბალი, გაშლილი ოთკუთხედგანივკვეთიანი პირი (ტაბ.1-4).

ამფორების ეს ტიპი იშვიათად გვხვდება შავიზღვისპირეთში. ისინი არ ჩანს ეგეოსურ სამყაროშიც. სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არაფერია ნათქვამი ამ ამფორების დამზადების ცენტრის შესახებ. აფსაროსში აღმოჩენილი და სინოპეს მუზეუმში დაცული მასალით ჩანს, რომ ამ ტიპის ამფორების წარმოების ერთ-ერთი ცენტრი სინოპეა. აფსაროსში ორივე ვარიანტი ახ.წ. II–III ს. თარიღებულ კულტურულ ფენებშია ნაპოვნი.

ტიპი III. ერთიანდება დიდი ზომის სქელკედლიანი, ფართოყელიანი ამფორები. სინოპესთან ახლოს, სოფ. დემირჯში ნაპოვნი მათი დამამზადებელი ქურებიც.²² ახასიათებთ დაბალი ლილვისებური მოყვანილობის პირი, ფართო, შესამჩნევად გამობერილი ყელი, მასიური, სადაზედაპირიანი ყურები, კვერცხისებური მოყვანილობის ტანი და ოდნავ მომრგვალებული კონუსური ძირი (ტაბ.1-5,6,7). ზოგიერთი ნატეხის ზედაპირი წითელი წერნაქითაა დაფარული.²³ ყველა მათგანის ფორმა და ზომა თითქმის ერთნაირია. როგორც ჩანს, ამ ტიპის ტარას ფორმათა სტანდარტიზაცია ახასიათებს. პარალელები ცნობილია ბიჭვინთიდან,²⁴ სოხუმიდან,²⁵ ნოქალაქევიდან.²⁶ ასეთივე ამფორები (მათ შორის მთლიანი ცალები) დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სინოპეს მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზსა და ფონდებში.

ამ ტიპის ამფორები ბიჭვინტაში ახ.წ. III ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ ფენებშია ნაპოვნი. აქ ისინი ახ.წ. III საუკუნეშივე წყვეტენ არსებობას, რადგან ახ.წ. IV საუკუნის კარგად გამოკვეთილ ფენებში აღარ გვხვდება.²⁷ დაახლოებით ამ პერიოდით თარიღდება სოხუმის მონაპოვრებიც, აფსაროსში კი ახ.წ. II ს. დასაწყისითა და

²⁰ საინვენტარო № A.Dem. 95.14.

²¹ Арсеньева Т.М. Науменко С.А. Усадьбы Танаиса, М., 1997, с. 148, рис. 27-1.

²² D.Kassab-Tezgor et I.Tatlikan. Fouilles des ateliers d amphores a Demirci pres de Sinop en 1996 et 1997.-Anatolia Antiqua VI, Istanbul,1998,p. 424, fig. 56.

²³ წითელი საღებავითაა შეღებილი ბიჭვინტაში აღმოჩენილი ამფორების შიდა ზედაპირიც. იხ.: ქბერძენიშვილი, რ. ფუთურიძე, ბიჭვინტაში მოპოვებული ამფორები, კატალოგი.–დიდი პიტიუნტი,არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, I, თბ.,1975, გვ. 2,2, 2,3.

²⁴ ქბერძენიშვილი, რ. ფუთურიძე, დასახ.ნაშრ. გვ. 2,1-2,3, ტაბ. 534,5,10, 552,56,8.

²⁵ Трапш М.М. Древний Сухуми.-Труды,2, Сухуми,1969, с. 324, таб. XLIII-3; XLIV-8,10,12,13. Трапш М.М. Раскопки древнего Севастополиса в районе Сухумской крепости в 1959 г.-ТАИЯЛИ. XXXIII-XXXIV, Сухуми, 19,3, с.224, рис. ,1-4.

²⁶ დაცულია ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოქალაქევის ფონდებში, საინვენტარო №12-974-1985.

²⁷ ქბერძენიშვილი, რ. ფუთურიძე, დასახ.ნაშრ. გვ. 2,3.

ახ.წ. III ს. პირველი ნახევარით დათარიღებულ კულტურულ ფენებშია დადასტურებული.

ამ ამფორების ძირის მოყვანილობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალია მათი ასაკის ქვედა ქრონოლოგიური საზღვრის დადგენისათვის. აშკარაა, რომ ეს ჭურჭლები ახ.წ. II ს დასაწყისიდან მზადდება, რადგან ძვ.წ. I – ახ.წ. I სს სინოპური ამფორებისათვის დამახასიათებელია შედარებით მაღალი, კონუსური ფორმის გრეხილი ქუსლები, რომლებიც არსებობას წყვეტენ ახ.წ. I ს დასასრულს, უფრო ზუსტად მათ ეცვლებათ მხოლოდ და მხოლოდ ქუსლის კონფიგურაცია. რაც შეეხება პირ-ყელს, ყურებსა და ტანს ამ მხრივ ძვ.წ. I – ახ.წ. I საუკუნისა და სინოპური ამფორების III ტიპი ერთგვაროვანია. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ტიპი III წარმოიშვა ძვ.წ. I – ახ.წ. I სს გრეხილქუსლიანი ამფორებისაგან. როგორც ითქვა, განსხვავებული დეტალი მხოლოდ ძირის გაფორმებაში მდგომარეობს. განვითარების თვალსაზრისით ამ ტიპის სინოპურ ამფორებს ძვ.წ. IV ს–დან ახ.წ. III ს ჩათვლით არსებითი ცვლილებები არ განუცდია. ახ.წ. II–III სს სინოპური ამფორები იმეორებენ ადრინდელი, ელინისტური ხანის ფორმებს. ძვ.წ. I ს და ახ.წ. I ს–დან ქუსლი კონუსური მოყვანილობის ხდება.²⁸ ამდენად რომაულ ხანაში გავრცელებული დიდი ზომის სინოპური ამფორები სამართლიანად შეგვძლია მივიჩნიოთ ელინისტური ხანის სინოპური ამფორების შემკვიდრედ.

ტიპი IV. წარმოდგენილია პირის, ყელის, ყურისა და ძირის ფრაგმენტებით. ლილვისებური პირი გამობერილი, მხრისკენ შევიწროებული ყელისაგან არამკვეთრი ღარითაა გამოყოფილი. ოვალურგანივკვეთიანი ყურები სადაა, ძირი კონუსური ფორმისაა და ტანისაგან თითქმის არცაა გამოყოფილი (ტაბ.1-8,9,10). კორპუსი თხელკედლიანია. მსგავსად III ტიპისა, ამ ამფორებსაც ფორმათა სტაბილურობა ახასიათებთ.

თუ შევადარებთ ერთმანეთს III და IV ტიპებს, აშკარად დავინახავთ, რომ მათ ბევრი საერთო ნიშანი აქვთ – ლილვისებური პირი, საგრძნობლად გამობერილი ყელი, კვერცხისებური მოყვანილობის ტანი და კონუსური ქუსლი. თვალშისაცემია განსხვავებანიც, კერძოდ, IV ტიპის ამფორების პროპორციები შემცირებულია, ყელიც გაცილებით მაღალია და პირისაგან ღარით გამოიყოფა. თხელკედლიანი ტანი უფრო წაგრძელებული ხდება. მეტნაკლები სხვაობაა ძირის გაფორმების მიხედვითაც, IV ტიპის ამფორების ქუსლი იქმნება კორპუსის ქვემოთკენ მკვეთრად შევიწროების შედეგად – ზღვარი კორპუსსა და ქუსლს შორის შეუმჩნეველია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტიპი IV წარმოიშვა ტიპი III ფორმის მიმსგავსებით და დროის ერთ მონაკვეთში არსებობდნენ.

ანალოგიური ამფორები აღმოჩენილია ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძეგლებზე: გორგიპიაში, ტანაისში, ჩაიკისა და ნიჟნიდონის ნაქალაქარზე, კარა-ტობეში²⁹ და სხვ. ცალკე ტიპად პირველად ისინი ს.ენუკოვმა გამოყო.³⁰ ზუსტი დათარიღება ჯერჯერობით არ ხერხდება. სტრატиграფიული მონაცემების მიხედვით ეს ამფორები ჩრდილო

²⁸ მ.ხალვაში, კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან, ბათუმი, 2002, გვ.39, სურ.32.

²⁹ Внуков С.Ю. Новые типы... с. 208.

³⁰ Внуков С.Ю. Новые типы... с. 206 рис. 2,2; 3,1.

შავიზღვისპირეთში ახ.წ. II ს დასაწყისით დათარიღებულ კულტურულ ფენებში ჩნდება. არსებობას განაგრძობს ახ.წ. III ს მეორე ნახევარსა და ახ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარშიაც.³¹ აფსაროსში ისინი ძირითადად ახ.წ. II ს დასაწყისისა და ახ.წ. III ს პირველი ნახევრის კულტურულ ფენებშია აღმოჩენილი.

ტიპი V. მართალია რომაული ეპოქისაგან განსხვავებით, აფსარსში ადრებიზანტიური ხანის სინოპური ამფორების მხოლოდ ერთი ტიპია ცნობილი, მაგრამ რაოდენობრივად ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავიათ ამ პერიოდის კერამიკაში. ესაა საშუალო ზომის ამფორები პატარა, ლილვისებური უსწორმასწორო პირითა და მაღალი ვიწრო ყელით. ოვალურგანივკვეთიანი ყურების ზედაპირი არასიმეტრიული, გრძივი ქედებითაა შემკული. კონუსისებური ტანი ბოლოვდება მრგვალი ძირით. ჭურჭლის ზედაპირი მთლიანადაა გოფირებული. მხრისა და ძირის არეში ღარები უფრო თვალსაჩინოა, ხოლო შუა ნაწილში შედარებით ფართო ზოლებითაა წარმოდგენილი (ტაბ. I-11). სინოპეს მუზეუმში დაცული მთლიანი ნიმუშების მიხედვით მათი ზომები (სიმაღლეში) 50-55 სმ შორის მერყეობს და 6 ლიტრის ტევადობისაა.³² აფსაროსში მოპოვებულ ერთ-ერთ ამფორას ყურის ქვედა ბოლოზე, მხართან მიძერწვის ადგილას ამჩნევია თითების ანაბეჭდი, ხოლო მხრის არეში, როგორც ჩანს, სახელოსნოს (თუ ხელოსნის) აღმნიშვნელი გრაფიტო (N) აქვს დატანილი.

ასეთი ფორმის ამფორები დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი სინოპში, როგორც შიდა რაიონებში, ისე ზღვისპირა ზოლში. თიხის მიხედვით მათი სინოპური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. ამასვე ადასტურებს დოქტორ დ.კასაბ-თეზგორის მიერ სინოპეს სამხრეთით 15 კმ. დაშორებით, სოფ. დემირჯიში გათხრილი ქურები. გადანაყარის მიხედვით დგინდება, რომ ამ ქურებში სწორედ ამგვარი ამფორების გამოწვა ხდებოდა.³³

ტანის მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ფიქრობენ, რომ ეს ფორმა ახ.წ. I-IV სს-ში გავრცელებული ვიწროყელიანი ამფორების განვითარების ბოლო საფეხურია.³⁴ გენეტიკური კავშირი განსაკუთრებით კარგად ჩანს ყელის, ყურებისა და ტანის თითქმის ერთნაირ გაფორმებაში. ხოლოდ მრგვალი ძირი არის ის ძირითადი კონსტრუქციული დეტალი, რაც განაცალკევებს მათ ვიწროყელიანი ამფორებისაგან. რაც თავის მხრივ ამ ეპოქაში ჩამოყალიბებული ხელოსნური წარმოების წესის თავისებურებაა. გარდა ამისა, შეინიშნება პირის დაპატარავებისა და გასადავების ტენდენცია. დ.შელოვის ამ მოსაზრებას იზიარებს დ.კასაბ-თეზგორიც. იგი დემირჯიში დამზადებულ მსგავსი ტიპის ამფორებს გენეტიკურად უკავშირებს ღია ფერის ვიწროყელიან ამფორებს. ცალკეული მორფოლოგიური

³¹ Внуков С.Ю. Новые типы... с. 207, 208.

³² D.Kassab-Tezgor. Prospection sous-marine pres de la cote Sinopeenne: transport d'amphores depuis l'atelier et navigation en mer noire.-Anatolia Antiqua, VI, Istanbul, 1998, p. 445.

³³ D.kassab-Tezgor, დასახ. ნაშრ. D.kassab-Tezgor, I.Tatlican, Fouilles des... p. 423-442; I.tatlican, D.kassab-Tezgor, H.Ozdas, Sinop'ta sualti Calismalari.- IX. Muze kurtarma kazilari semineri, Ankara, 1999. p. 335-338; D.Kassab Tezgor, M.Touma, Amphors de mer noire en Syrie du nord. - Anatolia Antiqua, IX, 2001, p. 105-115.

³⁴ Шелов Д.В. Узкогорлые светлоглиняные амфоры спрофилированными ручками.- СА, 1972,3, с. 19, рис. 9.

ნიშნების გათვალისწინებით მიუთითებს, რომ არ ჩანს კავშირი გაწვევტილი ახ.წ. I–IV სს გავრცელებულ ვიწროყელიან და დემირჯში წარმოებულ ამფორებს შორის.³⁵ საქართველოში ასეთი ამფორები, გარდა აფსაროსისა, აღმოჩენილია ქუთისს მიდამოებში (პალიასტომის ტბაში),³⁶ ნოქალაქეში.³⁷ ცნობილია, ასევე ქერსონესში,³⁸ ტანაისში, ბასოკის ნაქალაქარზე³⁹ და ა.შ.

ტანაისსა და ქერსონესის მონაპოვრებზე დაყრდნობით დ.შელოვი თვლის, რომ ვიწროყელიანი ამფორები ეს სახე ახ.წ. IV ს ბოლოსა და ახ.წ. V ს დასაწყისში იყო გავრცელებული.⁴⁰ თვით სინოპეში ისინი ზოგადად ახ.წ. V–VI სს თარიღდება. ხშირ შემთხვევაში კი იუსტინიანე I (527-665 წწ.) მონეტებთან ერთადაა ნაპოვნი.⁴¹ აფსაროსშიც ასეთი ამფორების ორი ზედა ნაწილი და შედარებით დიდი რაოდენობით ტანისა და ძირის ფრაგმენტები აღმოჩნდა სამხრეთ კარიბჭესთან გამოვლენილ ამფორაყრილში ახ.წ. V–VI სს გავრცელებულ ამფორებთან ერთად. რამდენიმე ნატეხი დადასტურდა II კოშკში, სადაც იუსტინიანე I სახელით მოჭრილი მონეტებია ნაპოვნი. ჩანს, რომ ვიწროყელიანი ამფორების ეს ფორმა (დ.შელოვის კლასიფიკაციის მიხედვით ტიპი E) ჩნდება ახ.წ. IV ს ბოლოს და, როგორც ამას სინოპესა და აფსაროსის მონაპოვრებიც ადასტურებს, არსებობს ახ.წ. VI ს ბოლომდე.

აფსაროსში და შავი ზღვის აუზის სხვა ანტიკური ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი სინოპური მასალა ცხადყოფს, რომ რომის იმპერიის გავლენის ქვეშ მოქცევის შემდეგ პონტოსპირეთის უმნიშვნელოვანესი ბერძნული ქალაქის სინოპეს ეკონომიკამ, სოციალურმა წყობამ და სახელმწიფო მოწყობამ მიიღო განსაზღვრული მიმართულება, რომელიც პირველ რიგში დაკავშირებული იყო რომის (ხოლო შემდეგ ბიზანტიის-მ.ხ.) იმპერიის სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.⁴² სინოპეს წინაშე რთული პრობლემა იდგა – სხვადასხვა პროდუქტებით (უპირატესად ზეთუნის ზეთი, ღვინო) და კერამიკული ნაწარმით უნდა დაეკმაყოფილებინა რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მდგარი არმიისა და ფლოტის დიდი ნაწილი. ეს, ბუნებრივია, ხელოსნური წარმოების გაფართოებას მოითხოვდა. სინოპე კვლავაც გადაიტყდა მსხვილ სახელოსნო ცენტრად მთლიანად პონტოს სანაპიროზე. მრავალფეროვანი ხდება სინოპეში დამზადებული კერამიკული პროდუქცია. მარტო გონიო-აფსაროსის მონაპოვარი ადასტურებს, რომ ახ.წ. I–VI სს სინოპე აწარმოებდა ამფორების ხუთ ტიპს, აქედან ტიპი I კოსური ნაწარმის მიმსგავსებითაა დამზადებული, რაც მიანიშნებს, რომ რომაულ პერიოდში სინოპა, ჰერაკლესთან ერთად ერთვება

³⁵ D.Kassab-Tezgor. Prospection..., p. 447.

³⁶ გ. გამყერილიძე, წყალქვეა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ფოთის მიდამოებში.-მაცნე,თბ.,1987,1, გვ. 111, სურ. 10.

³⁷ დაცულია ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოქალაქევის ფონდებში - 12,574; 3041,12, 974; 2933.

³⁸ Якобсон А.Л. Средневековые амфоры Северного Причерноморья.-СА, XV,1951,с. 327, рис. 2в.


³⁹ Шелов Д.В. Узкогорлые светлоглиняные..., с. 19.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ D.Kassab-Tezgor, I.Tatlican, Fouilles des..., p. 433, fig. 20.

⁴² Максимова М.М. указ. соч. с. 30,-353.

ამფორების საერთო რომაულ-აღმოსავლეთშუაზღვისპირული ფორმების ჩამოყალიბების პროცესში.⁴³ ამასთანავე აგრძელებს ტრადიციული ფორმების წარმოებას (ტიპი III) და ჩნდება კერამიკული ტარის სრულიად ახალი ფორმებიც (ტიპი II და IV).



⁴³ Внуков С.Ю. Новые типы... с. 212.

Синопские амфоры Гонио-Апсара

Резюме

В материале обнаруженном в кастелле Гонио-Апсара своим количественным и типологическим разнообразием выделяются изделия самого значительного торгово-промышленного и транзитного центра южного Причерноморья, Синопы. Если учтём, что Синопа являлась основным опорным пунктом армии и флота, расположенных на востоке Римской империи, откуда и происходило снабжение римских частей находившихся Закавказье и северных районах Малой Азии, тогда многочисленность синопских керамических изделий является закономерным. По стратиграфическим данным Синопские амфоры Апсара объединяются в две хронологические группы.

Синопские амфоры I группы датируются началом II в. и концом III в. и делятся со своей стороны на 4 типа. Амфоры со специфическими ручками изготовлены по подобию Косского изделия (табл.1-1,2) также продолжается производства традиционных форм (типы III,) (табл.1-5,6,7) формируются совершенно новые типы керамической тары. Это амфоры типы IV (табл.1-8,9,10) и амфоры (табл.1-3,4) с ручками на плечах (тип II).

II группа датируется VI в. Если в материале I-III вв. н.э. выделены около 4 типов, на сегодняшний день известен только один тип ранневизантийского периода, хотя по количеству они занимают одно из ведущих мест. Это амфоры средних размеров, поверхность которых покрыта желобками (табл.1-11). Не вызывает сомнения их синопское происхождение. Это же подтверждает находка в селе Демирсе, в 15км. к югу от Синопы, печи для обжига подобных амфор. По морфологическим признакам тулова они обнаруживают генетическую наследственность с узкогорлыми амфорами I-IV вв. н.э. и являются последним этапом их развития. Опираясь на находки Танаиса и Херсонеса, Д.Шелов считает, что подобные амфоры были распространены в IV в и в начале V в. н.э. В Синопе они датируются V-VI вв. Чаше они обнаруживаются вместе с монетами Юстиниана I. Аналогичная датировка принята и в Апсаре.

Merab Khalvashi

Sinopian Amphora From Gonio-Apsarus

Summary

Sinope was a stronghold of the Roman and Byzantine Empires' army and fleet in the East which provided Roman and Byzantine troops located in the Caucasus and Asia Minor, therefore Sinopean Amphorae are distinguished by numerous typological variants in Apsarus. Among numerous fragments two main chronological groups can clearly be distinguished. First group is dated to 1st - 3rd

cc. A.D. and divided into four types. Second group is dated to 6th century A.D. and could be united into one group.

Type I (Fig.1-1,2): These amphora types are spread nearly in the whole Mediterranean, Northern, and Eastern Black Sea areas. The prototype is originated from Cos. Imitations were manufactured in the West, particularly in Pompeii, in Southern France and Spain. Scholars suppose that they were also manufactured in the Southern Black Sea area as well. in Gonio-Apsarus, it is possible to distinguish Sinopian imitations of Cos amphorae which were produced in Sinope. These types of amphorae are dated of middle to the 1st c. A.D.

Type II (Fig.1-3,4): According to the mouth and the clay color, this type is divided into two different variants. In Apsarus these types of amphorae are found in the cultural layers of the 2nd and 3rd centuries A.D.

Type III (Fig.1-5,6,7): They are characterized with everted rim, concave neck and egg-shaped body. Their production kilns are found in the village Demirci, near Sinope. They are found in large numbers. The surfaces of some fragments are covered with red paint. Such types of amphorae are found in Apsarus in the cultural layers to 2nd and 3rd cc. A.D.

Type IV (Fig.1-8,9,10): Thin walled amphorae, everted rims are separated from concaved necks with a groove. Oblong body ends in conic bottom. S. Vnukov distinguished their separate type (Sin II). In Apsarus they are dated beginning of the 2nd – first half of 3rd cc A.D.

Type V (Fig.1-11): These are middle sized amphorae with a small, shafted rim, long, narrow neck and with an undulating surface. Their production kilns are also found in the village Demirci, near Sinope. From the early Byzantine period only this type of Synopean amphora is known to have had a lead position in quantity. In Apsarus they dated to the 6th c A.D.

მიხეილ ქამადაძე

აჭარის სოფლები ზ.ჭიჭინაძის აღწერის მიხედვით

XIX საუკუნის დასასრულს აჭარაში იმოგზაურა ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა ზ.ჭიჭინაძემ, რომელმაც უაღრესად საინტერესო ცნობები შეკრიბა მხარის ისტორიის, მატერიალური კულტურის ძეგლების, ეთნოგრაფიის, მიგრაციული პროცესების შესახებ.

თავის წიგნში “მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში” მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აჭარის სოფლების აღწერას. იქვე მიუთითებს, აგრეთვე, აქ მცხოვრებ ზოგიერთ საგვარეულოზე, კომლთა რაოდენობასა და მიგრაციულ პროცესებზე.

ავტორი დღევანდელი აჭარის სოფლების აღწერას იწყებს კინტრიშის ხეობის (რომელსაც ქობულეთის ხეობასაც უწოდებს) სოფლების აღწერით (ზ.ჭიჭინაძე, 1913, გვ. 13–53).

ეს სოფლებია:

ქაქუთი, 50 კომლი, აქედან ოსმალეთში “მრავალნი” გადასახლდებულან.

ღელვა, 70 კომლი.

წყავრუკა, 70 კომლი.

ამჟამად ამ სოფლის ოფიციალური სახელია წყავროკა (საქ. სსრ აღმ...1987. გვ.122).

სკურე, 65 კომლი (ამჟამად სკურა, იხ.საქ. სსრ აღმ...1987. გვ.122).

ჩეხედენი, 60 კომლი.

ადგილობრივი მეტყველების მიხედვით ამ სოფლის სახელია ჩეხედანა, ოფიციალური დოკუმენტით კი – ცხრაფონა (საქ. სსრ აღმ...1987. გვ.122).

აჭყვის-თავი, 130 კომლი. მკვლევარი მოიხსენიებს ამ სოფელში მცხოვრებ ალი ქათამაძეს და ახმედ ჯინჭარაძეს, სახალხო მოქმედ ხუსეინ ხაბაზს.

ზენათი, 55 კომლი (ამჟამად–ზენითი–მ.ქ.).

ალამბარი, 90 კომლი. აქედან 100 კომლი გადასახლდებულა. მკვლევარს ამ სოფელში შეხვედრია მამუდ ხახუტოღლი, რომელიც “მე ხახუტაშვილი მეგონა, მაგრამ არაო, სოქვა მან, ხახუტა გათათრების შემდეგ უწოდებიათ ჩვენთვის, რადგანაც ეს ხახუტა სახელი ყოფილა ერთი ჩვენი წინაპრის, თორემ ჩვენ კომახიძეები გახლავართო”. ამავე სოფელში შეხვედრია მემამულე დედი-აღა ბასილოღლი ნიჟარაძე, “ძველი თავადიშვილთაგანი, ქართული ენა და ჩვეულების დამცველი”,–წერს ავტორი. აქვე მოიხსენიებს ეკლესიას, რომელსაც “წმ. გიორგი შუშანეთისას უწოდებენ”–ო.

ამ ჩანაწერში ნათლადაა მოცემული ერთი გვარის (“ხახუტაი-შვილი”) წარმომავლობა. კერძოდ, ხახუტაიშვილების თავდაპირველი გვარი “კომახიძე” ყოფილა, რაც ახლაც კარგადაა ცნობილი როგორც კომახიძეების, ისე ხახუტაიშვილების შთამომავალთათვის.

გვარა, 8 კომლი. აქედან 30 კომლი გადასახლებულა.

ხუც-უბანი. ამ სოფლიდან 50 კომლი გადასახლებულა.

ძველი ქობულეთი, 110 კომლი, გადასახლებულა 40 კომლი. ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ ძველი ქობულეთი სოფ.ქობულეთია. იმდროინდელ დაბა ქობულეთს კი ჩურუქსუს უწოდებდნენ.

კონდიდი, 50 კომლი.

კოხი, 60 კომლი.

კვირიკე. “აქ ყოფილა 160 კომლი”, – აღნიშნავს მკვლევარი. მოიხსენიებს სოფლის ხოჯას უსეინ წითლანაძეს, რომელიც სოფ. ვანათიდან ყოფილა.

დაგვა, 80 კომლი.

სამება, ამ სოფელში შეხვედრია აქაური მემამულე გულადა კაკაცოლი (გულო-აღა კაიკაციშვილი-მ.ქ.).

ჭახათი, 60 კომლი.

ზ.ჭიჭინაძის მოგზაურობის დროს აქ ქრისტიანებიც ყოფილან.

კეჭიეთი, 20 კომლი.

ვარჯანული, 30 კომლი.

ტყე-მაკარავა, 40 კომლი (ამჟამად ტყემაკარავი ჰქვია-მ.ქ.).

ცხემუანი, 40 კომლი (დღევანდელი ცხემვანი-მ.ქ.).

კობალაური, 60 კომლი.

ზარა-ბოსელი, 65 კომლი (ამჟამად ზერაბოსელი ჰქვია-მ.ქ.).

დიდი ვაკე, 70 კომლი (ამჟამინდელი დიდვაკე-მ.ქ.).

ზემო ხინო, 70 კომლი.

ზ.ჭიჭინაძის მიერ აღწერილი სოფლები: ტყემაკარავი, კობალაური, ზერაბოსელი, დიდვაკე, ზემო ხინო იმდროისათვის საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ჩანს. ისინი ამჟამად ფაქტიურად ნამოსოფლარებია. მოსახლეობა ქობულეთის რაიონის ბარის სოფლებშია ჩასახლებული. რამდენიმე კომლი თუ ცხოვრობს ცხემვანსა და ვარჯანულში.

კინტრიშის ხეობის სოფლებთან ერთად ავტორი აღწერს ჩაქვის-წყლისა და ბათუმთან ახლოს მდებარე სოფლებსაც:

ჩაქვა (ამჟამად-ჩაქვი-მ.ქ.), 100 კომლი.

ხალა, 150 კომლი.

ჩაქვის თავი, 70 კომლი.

გორგაძნეები, 30 კომლი.

მახინჯაური, 70 კომლი.

ოთრ-ბათუმი (ამჟამინდელი ორთაბათუმი, იგივე ჩაისუბანი-მ.ქ.), 60 კომლი.

ყოროლის-თავი, 40 კომლი.

აგარა, 60 კომლი.

ახალშენი, 50 კომლი.

ხალვაშნეები, 55 კომლი.

“გორგაძეები”, “ხალვაშნეები” ასე მოიხსენიებს ზ.ჭიჭინაძე სოფლების სახელებს, რომლებიც ამჟამად გვხვდება –ეებ– დაბოლოებით (მაგ., გორგაძეები). ქობულეთის რაიონში ამჟამად ანალოგიურ სახელებს აქ მცხოვრები გვარების მიხედვით ასე მოიხსენიებენ: გოგიტიძეები, ვერულიძეები... შეიძლება ზ.ჭიჭინაძის მიერ შეკრებილ მასალებში მექანიკური შეცდომაა და აქაც უნდა იყოს: გორგაძეები, ხალვაშნეები. ანალოგიური გაფორმების სახელები ნიშანდობლივია ქართული ენის დასავლური კილოებისათვის (ლენხუმური, იმერული, გურული) (ბ.ჯორბენაძე, 1993, გვ.45).

შემდეგ ზ.ჭიჭინაძე აღწერს დღევანდელი ქედისა და ხელვაჩაურის რაიონების სოფლებს (ზ.ჭიჭინაძე, 1913, გვ. 101–129).

დანდალო, 50 კომლი.

ავტორი მოიხსენიებს ამ სოფელში მცხოვრებ თევდორ–ოდლებს, იგივე ავალიანებს; ძველ ხიდსა და ნაეკლესიარს.

ჯალაბაშვილები, 35 კომლი.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ სოფელი ადრე ჯალაბაშვილებით ყოფილა დასახლებული. მისი მოგზაურობის დროს კი ამ გვარის აქ აღარავინ იყო.

გოგიაური, 25 კომლი.

მითითებულია, რომ აქ ძველად გოგიაშვილები ცხოვრობდნენ.

ამ სოფლის სახელი ამჟამად არის გოგიაშვილები. სხვა გვარებთან ერთად სოფელში გოგიაშვილებიც ცხოვრობენ. სავარაუდოა, რომ ზ.ჭიჭინაძის მოგზაურობის დროსაც სოფლის სახელი გოგიაური კი არა, გოგიაშვილი ან გოგიაშვილები იქნებოდა, რადგან –**ურ**– სუფიქსით გაფორმებული სახელები თითქმის არ შეცვლილა და დღესაც ისეთივე გაფორმებით გვხვდება, როგორც ადრე იყო.

ზაქარიაძეები, 40 კომლი.

ამჟამად სოფ. ხარაულას (ქედის რ.) ერთ–ერთი უბნის სახელია ზაქარიაძეები (ცხოვრობენ გვარად ზაქარიაძეები).

მკვლევრის ცნობით, ადრე ზაქარიაძეები, რომლებიც ართვინში ცხოვრობდნენ, “გაფრანგებულან”, დროის “მეოხებით” შემდეგ გასომხებულან და ზაქარიანცებად დაწერილან. ართვინის კათოლიკე ეპისკოპოსი ერთხანს ზაქარიანი (ზაქარიაძეების შთამომავალი) ყოფილა.

არსანაული, 25 კომლი.

წინათ აქ ავალიანთ ყმები არზანაძეები ცხოვრობდნენ და სახელი არსანაულიც ამის მიხედვით ჰქვიაო.–აღნიშნავს ზ.ჭიჭინაძე.

ამჟამად დანდალოს საკრებულოში (ქედის რ.) არის სოფლის უბანი არძენაძეები (ცხოვრობენ ძირითადად არძენაძეები), შესაძლოა, ზ.ჭიჭინაძე სწორედ ამ სოფლის სახელს წარმოგვიდგენს ფორმით “არსანაული”.

გორგისეული, 50 კომლი. ძველად აქ ავალიანთ ყმები გიორგაძეები ცხოვრობდნენო.–გვამცნობს მკვლევარი.

ზემო და ქვემო აჭარის საზღვარზე არის სოფელი გორგიელი. სწორედ ეს სოფელი უნდა იყოს ზ.ჭიჭინაძისეული გორგისეული.

კოკიტაური, 45 კომლი. ადრე აქ კოკიტაშვილები ცხოვრობდნენო.–წერს ავტორი.

ამჟამად ქედის რაიონის დანდალოს საკრებულოში არის სოფელი კოკოტაური, რომელიც კოკიტაური ფორმით აქვს ფიქსირებული ზ.ჭიჭინაძეს.

გელიაშვილები. ავტორის მიხედვით, გელიაშვილებით დასახლებული სოფელი ყოფილა. მაგრამ ამ სახელით აჭარაში სოფელი არ გვხვდება. ეს უნდა იყოს “ველიაშვილები”, რომელიც ამჟამად სოფ. ხარაულას (ქედის რ.) უბანია.

აბუჩაშვილები, პატარა სოფელია, ზ.ჭიჭინაძის მიხედვით, წინათ ამ სოფლის მცხოვრებნი ბაბუჩაშვილები ყოფილან.

სოფლის სახელად “აბუჩაშვილები” არ გვხვდება. ეს უნდა იყოს “ბაუჩაშვილები”, რომელიც ამჟამად სოფ. გოგიაშვილების უბანია. აჭარაში დასტურდება გვარი ბაუჩაძე, რომელიც ამოსავალია სახელწოდებისა “ბაუჩაშვილები”.

აქვე აღწერილია პატარა სოფლები: **კიკაშვილები, ძანაძეები, ბალაძე** (ამჟამად–ბალაძეები).

ცხმორისი, 72 კომლი. აქ დიდი ეკლესია ყოფილა, რომელიც 1730–იან წლებში დაუქცევიათ.

აბუქეთა (ამჟამად–აბუქეთა–მ.ქ.), 20 კომლი.

კანტაური, 32 კომლი. “ძველად აზნაურათ ყოფილ გვარის” ჩხეიძეების სოფელი ყოფილა.

ტბეთა (ამჟამად–ტიბეთა–მ.ქ.), 2 კომლი. აქედან ოსმალეთში ბევრი გადასახლებულა.–წერს მკვლევარი.

ნავანები, 65 კომლი. ერთი ფანატიკი ხოჯის ქადაგების წყალობით სოფლის მცხოვრებნი ოსმალეთში გადასახლებულან.

ნავანები ამჟამად სოფ. აბუქეთას ერთ-ერთ უბანს ჰქვია.

კვაშტა, 55 კომლი. ზ.ჭიჭინაძის ცნობით, აქ ცხოვრობენ “ბექა ჯაყელის საფირ–ფაშის შთამომავალნი, აწ ბეგებად ხმობილნი,”...

ვაიო, 50 კომლი. ავტორი მოიხსენიებს ამ სოფელში მცხოვრებ სახალხო მოქმედ ბუჰან ბაირახტარ შაფიშვილს.

აქუცა, 77 კომლი. “აქ სცხოვრობენ მაჰმადიანთ ერისთავები. ამ გვარისა ერთი კაცი–ლაა დარჩენილი, დანარჩენნი სულ ოსმალეთში წავიდნენ,”...–წერს მკვლევარი.

ლოლაძე, 32 კომლი. “უმეტესი ნაწილი ამ სოფლის მცხოვრებლებისა ძველად თათრობის გამო ქართლსა და იმერეთში გადმოცვინულან.”–აღნიშნავს ზ.ჭიჭინაძე.

გვარი ლოლაძე, რომლის მიხედვითაც ყოფილა სოფლის სახელი. ლოლაძე, ამჟამად გვხვდება ქედისა და ხელვაჩაურის რაიონებში. ლოლაძეები დღეს სოფ. ზედა ბზუბზუს ერთ-ერთ უბანს ჰქვია (ცხოვრობენ გვარად ლოლობერიძეები).

შოთიძე, 40 კომლი. ” ამ სოფლის მებატონენი ძველად შოთიძეები ყოფილან, მაჭახლიდამ გადმოსულნი.”–აღნიშნავს ზ.ჭიჭინაძე. აქედან ბევრი ოსმალეთში გადასახლებულა.

ამჟამად შოთიძეები სოფ. ბზუბზუს ერთ-ერთი უბანია და ცალკე სოფლად აღარ გვხვდება.

ახო, 35 კომლი.

ზ.ჭიჭინაძის ცნობით, თათრებს სოფლის მცხოვრებნი გაუწვევტიათ. ვინც დარჩენილა, ოსმალეთში გადაუსახლებიათ, აქ კი

საქართველოდან გამოქცეული გამუსლიმანებული ქართველები დაუსახლებიათ.

გობურნეთი, 30 კომლი.

ამ სოფლის სახელი ამჟამად არის გობრონეთი, რაც გობრონიძეების საცხოვრისს ნიშნავს, მაგრამ ამ გვარის აქ აღარავინ ცხოვრობს.

ვარჯანისი, 20 კომლი. ავტორის მიხედვით, აქედან გადასახლებულთაგან გაშენებულა კინტრიშის ხეობის სოფელი ვარჯანული (ქობულეთის რ.).

კენიფრი, 25 კომლი.

ეს უნდა იყოს ამჟამად სოფ. წონიარისის ერთ-ერთი დასახლებული უბანი “კენიფრი”.

წონიარისი, 40 კომლი.

სვანიფრი, 25 კომლი.

სვანიფრი ამჟამად სოფ. წონიარისის ერთ-ერთ უბანს ჰქვია (მ.ქ.).

ქინდაკარა, 10 კომლი. ასეთი სახელის სოფელი არ გვხვდება. შეიძლება იყოს ქინდაკარავი (საძოვრის სახელია სოფ. წონიარისში-მ.ქ.).

ქელა, 50 კომლი. ძველად აქ ყოფილა დიდი საყდარი, რომელიც დაუქცევიათ.

ქელის აღწერისას ავტორი მოიხსენიებს თავდგირიძეებს, ბეჟანიძეებს (“ძველად პირმსახურის ძენი” ყოფილან), შარვაშიძეებს, სურმანიძეებს. ერთ-ერთ სურმანიძეს ზ.ჭიჭინაძისათვის ისიც უთქვამს, რომ სურმანიძეები საბერძნეთის სურმანიდან მოსულან საქართველოში, აქ გაქართველბულან და ქართველებს სურმანიძე უწოდებიათ.—წერს ავტორი.

სურმანიძეების წარმომავლობასთან დაკავშირებით აღნიშნული გადმოცემა საინტერესოა, მაგრამ სურმანი თუ სურმენე საბერძნეთში კი არა, ისტორიულ ქართულ ტერიტორიაზეა საგულებელი, რომელიც ამჟამად თურქეთის სახელმწიფო საზღვრებშია მოქცეული. თუმცა მოცემული გვარის ამოსავალი შეიძლება იყოს მამაკაცის საკუთარი სახელი სურმან, რომელიც ამჟამადაც დასტურდება საქართველოში.

მერისი, 100 კომლი. სოფლის მებატონეები ძველად გოგორისშვილები და ჭინკაძეები ყოფილან. გათათრებამდე მერისი 700-კომლიანი სოფელი ყოფილა. თათრების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა გაწყვეტილა, დარჩენილა მხოლოდ ექვსი ძმა ცეცხლაძე, რომლებიც შემდგომში “გაჭირვების მეოხებით გათათრებულან”.—წერს ზ.ჭიჭინაძე.

კუჭური, 30 კომლი. ამ სოფლის მცხოვრებნი ზეგნიდან (ზემო აჭარიდან-მ.ქ.) მოსული ბოლქვაძეები ყოფილან.

მოცემული სოფლის სწორი სახელწოდება არის კუჭულა, რომელიც მერისის ხეობაშია.

კაპარტყე, 14 კომლი. ასეთი სახელწოდების სოფელი ამჟამად არ გვხვდება. შეიძლება ეს იყოს სოფ. გუნდაურის ამავე სახელწოდების უბანი.

სიხალაძე, 10 კომლი. ავტორის ცნობით, აქ ცხოვრობენ ჯავახეთიდან მოსული სიხლიძენი.

მოცემული სოფლის სახელწოდება ამჟამად არის სიხალიძეები. ზ.ჭიჭინაძის დროს უნდა ყოფილიყო სიხალიძე, აქ მცხოვრები გვარის (სიხალიძე) მიხედვით.

ქეშიშოლდები, 20 კომლი. ავტორის ინფორმაციით, აქ ერთი მღვდელი არ გათათრებულა, როცა მოხუცებულა, ქრისტიან ქართველებში წასულა და იქ გარდაცვლილა. მისი შვილები რომ გაუთათრებიათ, ქეშიშოლდები (“მღვდლის შვილები”) უწოდებიათ.

ქეშიშოლდები (ქეშიოლდებსაც უწოდებენ) ამჟამად მერისის ერთ-ერთი უბნის სახელია.

ალიოლდები, 30 კომლი. აქ პირველად ალიაშვილები გათათრებულან და თურქებს სოფლისათვისაც ალიოლდები უწოდებიათ. თუმცა ასეთი სახელწოდების სოფელი არ გვხვდება. ალიოლდები ამჟამად სოფ. კუჭულას უბანია, აქ ალიოლდი აღარავინაა.

ალიქოლდი, 60 კომლი. ამ სოფელშიც პირველად ალიქა გათათრებულა და თურქებსაც ალიქოლდი უწოდებიათ. ეს სახელი სოფელს 1940 წლამდე ერქვა, შემდეგ უწოდეს ოქტომბერი (საქ. სსრ აღმ...1977. გვ.334).

გოგნიძე, 17 კომლი. ამჟამად ქედის რაიონის სოფელი გოგინიძეები ზ.ჭიჭინაძეს მოხსენიებული აქვს “გოგნიძე” ფორმით, უნდა იყოს გოგინიძე.

მეძიბნა, 17 კომლი. ავტორის ცნობით, თათრობის ზიზღით სოფლის მცხოვრებნი გაქცეულან, აქ კი არტანუჯიდან და ართვინიდან მოსული ქართველები დასახლებულან.

შავაბურა, 21 კომლი. მეტად მშვენიერი სოფელია და ხშირად შავად იბურება, რადგანაც ტყიანი მთები აკრავს გარს.—აღნიშნავს მკვლევარი.

აქ ფაქტიურად მოცემულია ავტორის ცდა სახელწოდების ახსნისა. ამჟამად ამ სოფლის ოფიციალური სახელწოდება არის შავაბური.

აგოთა. ზ.ჭიჭინაძის მოგზაურობის დროს პატარა სოფელი ყოფილა.

სილიბაური, 50 კომლი.

გარეტყე, 30 კომლი.

სამზიარი, 80 კომლი. მშვენიერი სოფელია და მშვენიერ სამზერად აღვილზეც მდებარეობს.—წერს მკვლევარი. როგორც ვხედავთ, ავტორი სამზიარს ხსნის როგორც სამზერად აღვილს. მაგრამ სამზიარი სამის ზიარი აღვილი უნდა იყოს. ზ.ჭიჭინაძე აქვე მოიხსენიებს სოფლის მცხოვრებ აბულაძეებს (რომლებიც არტაანიდან მოსულან) და ხალიფაშვილებს.

სამზიარი ამჟამად სოფ. შავაბურის უბანია. აქ დღესაც ძირითადად აბულაძეები ცხოვრობენ.

ნამონასტრევი, პატარა სოფელია. როგორც ავტორი წერს, ძველად აქ ყოფილა ეკლესია.

ნამონასტრევი ამჟამადაც პატარა სოფელია მერისის ხეობაში, ამავე სახელწოდებით გვხვდება სოფელი ხულოს რაიონშიც. ორივე სახელი წინა ვითარებას ასახავს, კერძოდ, აღნიშნავს ადგილს თუ სოფელს, სადაც ადრე მონასტერი იყო.

ორცვა, 70 კომლი. ამბობენ, ორცვა „ცივი ადგილია და ამიტომ დარქმევია ეს სახელიცო.“–წერს მკვლევარი. მოიხსენიებს აქ მცხოვრებ გვარებს: შარვაშიძეები, თურმანიძეები (ძველი აზნაურული გვარი, თათრობის გამო შავშეთიდან მოსულან და აქ დასახლდნ ბუღან), ნაკაშიძეები (გურიიდან მოსულან).

კაკაოლდი, 30 კომლი. კაკაშიძეების სოფელი. მკვლევრის ცნობით, ისინი საქართველოდან მოსულან აქ.

ამჟამად ქედის რაიონის სოფელ არსენაულს 1948 წლამდე კაკაოლდები ერქვა (საქ. სსრ აღმ...1977. გვ.346).

ძენწმანი, 40 კომლი. მოხსენიებულია ამ სოფელში მცხოვრები აბდულ მიქელაძე.

კორმხეთი, 40 კომლი. ამ სოფლის სახელი ამჟამად არის კორმხეთი (მ.ქ.).

ორთა-ხოხნა, 41 კომლი. მოხსენიებულია ამ სოფლის მცხოვრები ლეზგი მახაცკაძე.

დერე-ხოხნა, 76 კომლი. ამ სოფლის ხოჯა ყოფილა ალი მახაცკაძე. აქ ცხოვრობენ, აგრეთვე, გურიიდან მოსული მიქელაძეებიო.–წერს ავტორი.

1948 წლამდე მოცემული სოფლების სახელები იყო ორთახოხნა და დერეხოხნა, პარალელურად უწოდებდნენ, აგრეთვე, “პაწაი ხოხნა” და “დიდი ხოხნა”. 1948 წელს ორივე სოფელს ერთი სახელი “კოლოტაური” ეწოდა (საქ. სსრ აღმ...1977. გვ.331). მანამდე კი ეს სახელი სოფლის ერთ-ერთ უბანს ერქვა.

ბზუბზო, 70 კომლი. ამ სოფლის სახელი ამჟამად არის “ბზუბზუ” (მ.ქ.).

ავტორის მიხედვით, ძველად “გამოჩენილი სოფელი იყო”. ამ სოფლის მებატონეები აქ მცხოვრები ბოლქვაძეები ყოფილან.

ზვარე, 40 კომლი.

ზუზოფელი, 40 კომლი.

ამ სოფლის სახელი ამჟამად არის “ზესოფელი”. ადგილობრივ მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს –ზოზოფელი//ზეზოფელი.

გულები, 50 კომლი.

ავტორი მოიხსენიებს აქ მცხოვრებ დიასამიძეებს. მასთანავე გვთავაზობს სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიის ცდას, კერძოდ, აღნიშნავს: სოფელი “ისეთს ალაგს სძევს, რომ მინამ კაცი შიგ სოფელში არ მივა, მინამ ვერას დაინახავს. ეს სახელი “გულები” მასზედ კანონიერია”. აღწერილია ნაეკლესიარი, აქაურთა ყოფა და ა.შ.

საღორეთი, 41 კომლი. ავტორს ხალხური გადმოცემაც ჩაუწერია, კერძოდ, ახლო სოფლები რომ გათათრებულა, რაც ღორები ჰყავდათ, ჯერ კიდევ ქრისტიანი საღორეთელებისათვის მიუციათ და უთქვამთ: თუ ისევ გაქრისტიანდებით, ღორებს დავიბრუნებთო. მაგრამ ისინი აღარ გაქრისტიანებულან და ღორებიც საღორეთელებს დარჩენიათ. სწორედ ამ მიზეზით დაერქვა სოფელს ეს სახელიო.

ავტორი მოგვითხრობს აქაური მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ, მოიხსენიებს ბეთლემის ტყეს, ბერთას მთას, “გემის საბამის” მთას...

როცა საღორეთელებიც გათათრებულან, ღორები ბეთლემის ტყეში შეურეკავთ. ბეთლემში აღარავინ ცხოვრობს, მთელი ეს მხარე გავერანებულია და ნადირთა თავშესაფრად ქცეულა, იქ რამდენიმე შეიარაღებული კაცი თუ გაბედავს წასვლას. “აქაური სოფლის ყანები ამოგდებულია ღორისა და დათვისაგან”, – წერს მკვლევარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, სოფლის სახელი “საღორეთი” მართლაც ღორების სიმრავლესთანაა დაკავშირებული. საბჭოთა პერიოდში ამ სოფელს პირველი მაისი უწოდეს. საღორეთს დ.ბაქრაძეც აღწერს (დ.ბაქრაძე, 1987, გვ.43). მისი მოგზაურობის დროს (1873 წ.) სოფელში 100 კომლი ყოფილა. XIX საუკუნის დასასრულს კი ზ.ჭიჭინაძე 41 კომლს მიუთითებს. მისივე შენიშვნით, “სწანს 60 კომლზე მეტი წასულა ოსმალეთში”.

ზედა მახუნცეთი, 47 კომლი.

ზენდიდი, 50 კომლი. სოფელი ვაკე ადგილასაა გაშენებული და სწორედ ამის მიზეზით უნდა დარქმეოდა სახელიო. – აღნიშნავს ავტორი. ეს შენიშვნა ფაქტიურად მოცემული სახელწოდების ეტიმოლოგიის ცდაა. კერძოდ, ზანური ზენ + დიდი არის “ვაკე-დიდი”. მოხსენიებულია ამ სოფელში მცხოვრები გვარები (ბერიძე, ქორიძე, თავადისშვილთ შთამომავალნი პირმსახურისძენი, იგივე ბეჟანიძეები)...

ზუნდაგა, 66 კომლი. მკვლევრის ცნობით, ბათუმის მაშინდელი მუფთი გვერდაძე ამ სოფლის მცხოვრები ყოფილა.

ცხემლანა, 21 კომლი.

ამჟამად სოფლის სახელი არის ცხემნა, ასეა შესული ოფიციალურ დოკუმენტში (საქ. სსრ აღმ...1987. გვ.120), ასევეა სამეცნიერო ლიტერატურაშიც (ი.სიხარულიძე, 1958, გვ. 55). სახელწოდების ამოსავალია მცენარის სახელი “ცხემლა”.

აგარა, 60 კომლი. მოხსენიებული არიან აქ მცხოვრები დევაძეები, ავტორის მიხედვით, ძველი აზნაურული გვარის წარმომადგენლები. გურიიდან ექვსი ძმა დევაძე მოსულა, მათგან ორი აქ გარდაცვლილა, ოთხი კი გათათრებულა.

ორპირი, 5 კომლი. ასეთი სახელწოდების სოფელი ამჟამად არ გვხვდება. საერთოდ, ტოპონიმი “ორპირი” არაერთ ადგილს ჰქვია აჭარაში. ორპირი სოფ. კანტაურის (ქედის რ.) უბანსაც ჰქვია.

ქვედა მახუნცეთი, 60 კომლი.

მკვლევარი მიუთითებს, რომ 1760 წელს აქ ქობულეთიდან მოსული თავდგირიძეები დასახლებულან.

კვირიტაული, 25 კომლი. ასეთი სახელის სოფელი ამჟამად არ გვხვდება.

ბაბუჩაშვილები, 60 კომლი. ძველად ამ სოფლის წინამძღოლნი ბაბუჩაშვილები ყოფილან. – აღნიშნავს ზ.ჭიჭინაძე.

ბელტური, 25 კომლი.

ბელტური, რომელსაც აღწერს ზ.ჭიჭინაძე, უნდა იყოს დღევანდელი ბელტული (სოფ. ზუნდაგის უბანი). იგი “ბელტული” ფორმით აქვს ფიქსირებული, აგრეთვე, ი.სიხარულიძეს (ი.სიხარულიძე, 1958, გვ. 52).

დოლოგანი, 70 კომლი.

მკვლევარი წერს: ამბობენ, სოფელს ძველად “ბოლოგანი” ერქვა და აქედან “გადაკეთდა” დოლოგანიო, სოფლის მდებარეობაც „ისეთია, რომ ყველა ბოლოს აქვს განი, თავში და შუაში– კი ვიწრო”. ამ სოფლის აზნაურები ძველად საფარაშიელები (საფარიძეები) ყოფილან. თათრების წინააღმდეგ ბრძოლაში 80 კომლიდან 5–დარჩენილა. “დღევანდელი 60 კომლი 1850 წლების შემდეგ მოშენდაო.”–წერს ავტორი.

საფარა, 20 კომლი.

ამ სოფლის სახელი ამჟამად არის საფარიძეები. სოფელში ძირითადად საფარიძეები ცხოვრობენ.

ჭინკაძე, 50 კომლი. ამ სოფლის ძველი მებატონე ჭინკაძეები მაჭახლიდან მოსულან.

ამჟამად სოფელს ჭინკაძეები ჰქვია.

კაპნის-თავი, 41 კომლი. ამ სოფლის სახელი ძველად “ბერიძე” ყოფილა, სოფლის მებატონეები “კიკინაძენი” იყვნენო. – აღნიშნავს ავტორი.

როგორც ზ.ჭიჭინაძე მიუთითებს, სოფლის ძველი სახელი “ბერიძეა”. ეს უნდა იყოს ამჟამინდელი ბერაძეები (ძირითადად ცხოვრობენ ბერიძეები), რომელიც სოფ. კაპნისთავის ერთ–ერთი უბანია.

კიბე, 60 კომლი.

ხერთვისი, 15 კომლი.

მაღლაკონი, 15 კომლი.

ჭალახმელა, 20 კომლი.

უჩხითი, 15 კომლი. ადრე 40 კომლი ყოფილა, მაგრამ ბევრი ოსმალებს გაუნადგურებიათ.

კირნათი, 25 კომლი. ამ სოფელშიც 60 კომლი ყოფილა, მაგრამ ოსმალებს გაუნადგურებიათ.

მილისი, 30 კომლი. ავტორის ცნობით, 1850 წელს ეს სოფელი ოსმალებს ყველაზე მეტად გაუნადგურებიათ.

ერგე, 40 კომლი.

მიკიტაური, 15 კომლი.

ამ დასახლებული უბნის სახელწოდება ამჟამად არის ნიკიტაური. ასე აქვს ფიქსირებული ი.სიხარულიძესაც (ი.სიხარულიძე, 1959, გვ.45).

ხელგანაური.

აქვე ავტორი მოიხსენიებს ოსანაურის ტყეს.

შარაბიძე, 15 კომლი. სოფლის ძველი მებატონეები შარაბიძეები ყოფილან. თათრობის გამო ბევრი მათგანი გურია–იმერეთში გაქცეულა.–აღნიშნავს ავტორი.

თოფალაშვილები, 30 კომლი. ამ სოფლის ძველი მებატონენი თოფალაშვილები ყოფილან.–წერს ავტორი.

თოფალაშვილები ამჟამად მიქელაძეებად იწერებიან. დღეს ამ სახელწოდების სოფელი აღარ გვხვდება. თოფალაშვილები ჰქვია სოფ. მეჯინისწყლის უბანს. ეს სოფელი ბათუმთან ახლოს, კახაბრის ველზე, უნდა ყოფილიყო, კერძოდ, იქ, სადაც ამჟამად სოფელი აღლიაა.

ურევი. აფხაზების გადმოსახლების შემდეგ ამ სოფელს ფერია უწოდესო.–აღნიშნავს ზ.ჭიჭინაძე.

ეტყობა, ურეყი საკმაოდ დიდ ტერიტორიას ერქვა. სოფლის ერთ ნაწილს მოგვიანებით უწოდეს ფერია. ამჟამად ბათუმთან ახლოს არის ორივე (ფერია და ურეყი) სოფელი. საყურადღებოა, რომ გასული საუკუნის პირველ ნახევარში შედგენილ დოკუმენტებში ამჟამინდელი ურეყი სამი ვარიანტით გვხვდება: ურეყი, ურეკი, ურეხი (ორი უკანასკნელი რუსულადაა). “ურეყი” აქვს ფიქსირებული ი.სიხარულიძესაც (ი.სიხარულიძე, 1959, გვ.90).

დედა-ბერა. აქაც გადმოსახლებული აფხაზები ყოფილან. ბათუმის ოლქის ყოფილი უფროსის გვარის მიხედვით ამ სოფლისათვის ახალი სახელი სტეფანოვკა უწოდებიათ.— შენიშნავს ავტორი.

გონიო. სოფელი ზღვის სანაპიროზეა გაშენებული. ვტორი არ ასახელებს აქ მცხოვრებ კომლთა რაოდენობას.

სიმონეთი, 15 კომლი. აქედან ზოგი ოსმალეთში გადასახლებულა.

მასო. ზ.ჭიჭინაძის მოგზაურობის დროს ამ სოფელში რამდენიმე კომლი ყოფილა. ამჟამად კი—ერთ-ერთი დიდი სოფელია ხელვაჩაურის რაიონში.

ყარა-შარვალი. წინათ სოფელს ქართული სახელი ჰქონია და ქართველები სახლობდნენ. მკვლევრის მოგზაურობის დროს კი აქ გადმოსახლებული აფხაზები ცხოვრობდნენ.

ამჟამად ამ სახელით სოფელი აღარ გვხვდება. “ყარაშარვალი” ტყის სახელია სოფ. ზედა თხილნარში და ჭარნალში. გონიოში მთას ეძახიან სახელს “ყარაშარვალბოლაზი”.

ყომბალო, 15 კომლი. 1830 წელს ამ სოფლის მცხოვრებნი ოსმალების წინააღმდეგ აჯანყებულან. ოსმალებს სოფელი დაუმორჩილებიათ და მცხოვრებნი აფრიკის მიმართულებით გაუსახლებიათ, აქ კი “შავი ხალხი” დაუსახლებიათ.—წერს მკვლევარი.

ამ დასახლებული უბნის სახელწოდება ამჟამად არის ომბალო. ასე აქვს ჩაწერილი ი.სიხარულიძესაც (ი.სიხარულიძე, 1958, გვ.138).

წითელი მიწა. ამ სოფლის მცხოვრებნიც ოსმალებს გაუსახლებიათ და აქ თათრები დაუსახლებიათ, სოფლისთვისაც თურქული სახელი “ყიზილ თოფრან” უწოდებიათ.

ზ.ჭიჭინაძეს აღწერილი აქვს, აგრეთვე, ზეგნის (ხულოსა და შუახევის რაიონები—მ.ქ.) 95-ზე მეტი სოფელი (ზ.ჭიჭინაძე, 1913, გვ. 176–186), მაგრამ ეს მასალები გამოქვეყნებულია ცალკე (მ.ქამადაძე, 1983, გვ. 31–44). ამიტომ ამ საკითხს აქ აღარ შევეხებით.

დღევანდელი აჭარა მოიცავს ქვედა მაჭახლის ხეობასაც (ზედა მაჭახლის ხეობა ამჟამად თურქეთის სახელმწიფო საზღვრებშია). ზ.ჭიჭინაძე ამ ხეობის სოფლების შესახებაც მოკლედ მოგვითხრობს (ზ.ჭიჭინაძე, 1913, გვ. 194–196). ეს სოფლებია: ქედ-ქედი, გვარა, ცხემლანა, ჩხუტუნეთი, ჩუკუნეთი (სწორი ფორმა უნდა იყოს ჩიქუნეთი—მ.ქ.), საფუტკრეთი (—საფუტკრეთი—მ.ქ.), სინდიეთი, მაჭახლის პირი, ძნელიეთი (ძნელაძეების საცხოვრისი), ბაზარეთი, კახიეთი (კახიძეებით დასახლებული სოფელი), გოშპარეთი, კეჟერეთი (კეჟერაშვილების უბანი), ხინკალეთი (ამჟამად—ხინკილეთი—მ.ქ.), კირკიტეთი, საყანური, გვიანეთი.

მოცემული ზოგიერთი სოფელი ამჟამად ცალკე სოფლად არ მოიხსენიება:

ბაზარეთი. ზედა ჩხუტუნეთში ადგილის სახელია ბაზიარეთი. ზ.ჭიჭინაძეს კი— ჩაწერილი აქვს ფორმით ბაზარეთი.

კახიეთი, ზედა ჩხუტუნეთის უბანია, ასევეა საფუტკრეთი, გვიანეთი, ძნელაძიები (არის, აგრეთვე, სახელწოდებები —ძნელიეთ ქელი და ძნელიეთა).

ქვედა ჩხუტუნეთის უბანია კეჟერეთა, ხოლო ჩიქუნეთის უბნებია ხინკილეთი და კირკიტეთი.

ცხემლანა ფორმით მოიხსენიებს ზ.ჭიჭინაძე სოფელს, ოფიციალურ დოკუმენტში კი— გვხვდება “ცხემლარა” (საქ. სსრ აღმ... 1987, გვ. 126). ი.სიხარულიძის მიხედვით,—ცხემლარი, ადგილობრივ ამბობენ, აგრეთვე “ცხემლალასაც” (ი.სიხარულიძე, 1958, გვ. 130, 173). ჩვენი მასალის მიხედვით კი არის ცხემლარა//ცხემლალა.

გოშპარეთი ამჟამად სოფ. აჭარისადმართის უბანია, ცხოვრობენ დემურაძეები (გოშპაროდლებს ეძახიან).

ზ.ჭიჭინაძეს მაჭახლის ხეობაში მოხსენიებული აქვს სოფ.საყა-ნური, რომელიც ამჟამად არ გვხვდება.

ზ.ჭიჭინაძეს დღევანდელი აჭარის 230—ზე მეტი დიდი და პატარა სოფელი აქვს აღწერილი. ავტორის მიერ შეკრებილი მასალები მხარის ისტორიის, მატერიალური კულტურის ძეგლების, ეთნოგრაფიული ყოფის, მიგრაციული პროცესების, ონომასტიკის, ასევე XIX საუკუნის დასასრულის დემოგრაფიული სიტუაციის შესახებ ძვირფას წყაროს წარმოადგენს აჭარის რეგიონის შესასწავლად. ავტორის ცნობები საინტერესოა ზოგიერთი გვარის წარმომავლობის, სოფლების თავდაპირველი სახელწოდებებისა და ლოკალიზაციის გასარკვევად. საყურადღებოა ისიც, რომ ანთროპონიმული წარმომავლობის სოფლების სახელები, რომლებიც ამჟამად —**ებ**— სუფიქსითაა გაფორმებული, მკვლევრის მასალებში მეტწილად აღნიშნული სუფიქსის გარეშეა (ბალაძე, გოგინიძე...). ასევე საინტერესოა ავტორის ეტიმოლოგიური დაკვირვებები, შეკრებილი ხალხური გადმოცემები და ა.შ.

Михаил Камададзе

Аджарские сёла по описанию З.Чичинадзе

Резюме

В конце 19-20 века аджарские сёла (более 230 сёл) описал известный грузинский исследователь З.Чичинадзе. Он собрал ценный материал, который представляет собой значительный источник для изучения истории аджарского региона, памятников материальной культуры, этнографии, миграционных процессов, ономастики, а также демографической ситуации конца 19 века.

Adjarian Villages According to Z.Chichinadze's Description

Summary

At the end of the XIX century Adjarian villages (more than 230) were described by a famous Georgian researcher Z.Chichinadze. He collected valuable material, which is the important source to study the history of Adjara region, its cultural monuments, ethnography, migration processes, onomastics and also, demographic situation at the end of the XIX th hcentury.

გამოყენებული ლიტერატურა

ზ.ჭიჭინაძე, 1913–ზ.ჭიჭინაძე. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი. 1913.

საქ. სსრ აღმ... 1987–საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ., 1987.

ბ.ჯორბენაძე, 1993–ბ.ხორბენაძე. ონომასტიკური გულანი, თბ., 1993.

საქ. სსრ აღმ... 1977–საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1977.

დ.ბაქრაძე, 1987–დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987.

ი.სიხარულიძე, 1958–ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. I. ბათუმი, 1958.

ი.სიხარულიძე, 1959–ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. II, ბათუმი, 1959.

მ.ქამადაძე, 1983–მ.ქამადაძე. ზემო აჭარის ტოპონიმის მასალები “დროებასა” და “ივერიაში”.– “აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა”, IV, თბ., 1983.

მეტსახელთა საკითხისათვის აჭარულში

ერის კულტურა, ისტორია, სულიერება ადამიანთა საკუთარ სახელებშიც აისახება. სახელებებისას წინა პლანზე დგება ადამიანთა ობიექტური მიზეზებით განსაზღვრული სუბიექტური თვალსაზრისი, რის გამოც ახალშობილს ურჩევენ ამა თუ იმ სახელს (წინაპართა ხსოვნა, წმინდანთა ხსენება, პირადი სურვილი...), მაგრამ საკუთართან ერთად ადამიანს ხშირად მიმართავენ მეტსახელით და ეს სახელითიკუნი ზოგჯერ ისე მიჰყვება მთელი ცხოვრების მანძილზე, რომ ხშირად არც კი აგონდებათ მისი ნამდვილი სახელი.

მეტსახელი პიროვნებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას გამოხატავს. იგი ადამიანის საკუთარ სახელებთან ერთად ანთროპონიმის ერთ-ერთი საინტერესო სახეობაა. მეტსახელის შერჩევა ხშირად სპონტანურად ხდება, ხშირად – გამიზნულადაც კი. მეტსახელს ადამიანს არქმევენ განსაკუთრებული ხასიათის, გარეგნული ნიშნების, აღნაგობის, განსხვავებული ქცევის, ასევე, საქმიანობის, წარმომავლობის, მეტყველებაში არსებული გამორჩეული გამოთქმების თუ სხვა ნიშნების მიხედვით. მეტსახელის “შერჩევისას” ქვეცნობიერად ხდება ადამიანის განსაკუთრებული დადებითი თუ უარყოფითი თვისებების გათვალისწინება. ამგვარ სახელთა აღნუსხვა და კვლევა მრავალ საყურადღებო ასპექტს წარმოშობს ლექსიკოლოგიაში. ამ მხრივ განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება დიალექტები, თუმცა დიალექტების მიხედვით მათი შესწავლა ნაკლებად ხდება. მეტსახელთა სიუხვით ხასიათდება აჭარული დიალექტიც. აქ მეტსახელს *ლაღაბს/ლაყაფს* (არაბ.) ეძახიან.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ ადამიანთათვის მეტსახელის შერჩევა, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აქაც სხვადასხვა მიზეზით ხდება: 1. აღნაგობისა თუ დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით; მაგ.: *ბუილა*, *ვირიყურა*, *კეხიანი*, *კიჭა*, *კოშაი*, *კრიჭო*, *ეუკი*, *ლაფშა*, *მარღო*, *ქოსა*, *ღლუნდა*, *ყიყვა*, *ყლიპო*, *ჩენგე*, *ცქნაფა*, *ცხვირა*, *წაკატა*, *ხერტალა*, *ჯირეკა* და სხვ. 2. დამახასიათებელი თვისებების მიხედვით: *ამრეკი*, *ბანდურა*, *თღემო*, *ინათა*, *ღუღუნა*, *ჩალიჩა*, *ჩუტე*, *ცეტო*, *ცმაკუნა*, *ძგიფო*, *წირეხა*, *ჭურღულა*, *ხველია* და სხვ. 3. კანის ფერის მიხედვით: *თეთრო*, *პამიდორა*, *ტუხა*, *ჩორნა*, *შავო*, *ჯანგარა* და სხვ. 4. წარმომავლობის მიხედვით: *ბუძი* (ქობულეთელი), *გუნდაურა* (სოფ.გუნდაურიდან), *კოწი* (გურული), *პარხალი* (პარხლელი), *პერსო* (ირანული წარმომავლობის), *ბუკუ* (მეგრელი) და ა.შ.

დაფიქსირებულია ფლორასა და ფაუნასთან დაკავშირებული თიკუნად გამოყენებული ათეულობით სახელი: *ბომბორა*, *ბოხრიკა*, *ზღარბლი*, *კამბენა*, *კვატა*, *კორიზა*, *პოსი*, *როჭო*, *სკვინჩა*, *ტეიპა*, *ტურიკა*, *ღლაპუტა*, *ჩხიკვა*, *წივწივა*, *წრუწუ*, *ჯამუშა* (*კამეჩი*), *ჯაჯია*, *ჯიხვა*... ან კიდევ: *ბუჯვა*, *დეალივრა*, *კიკილო*, *კოყო*, *კოში*, *კუკუტი*, *პოწი*, *ჭანჭურა*, *ხაპითავა*, *ხახვა*, *ჯირეკა*... ამგვარ სახელთა შერჩევა

ვაც, როგორც ჩანს, ადამიანის ხასიათის, აღნაგობის თავისებურებების თუ სხვა დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით ხდება.

აქვე გვინდა დავაფიქსიროთ მეტსახელები, რომლებიც ცალკეულ საგანთა სახელებიდან მომდინარეობს: *გებრა, თასმა, კაპიწა, კოპე, კოში, პლაკე, უსკურა, ფანდურა, ფუშრუკი, ქათიბა, ქალაჯო, ქაფო, ცინცქილა, ცირკი, ჭიბონა* და სხვ.

ვადარებთ რა სამეცნიერო ლიტერატურასა თუ გამოუქვეყნებელ ადრინდელ მასალებში დაფიქსირებულ თიკუნებს, ვხედავთ, რომ ჩვენ ხელთ არსებული ბოლო 10-15 წლის მანძილზე აღნუსხული მეტსახელები მკვეთრი ინოვაციით ხასიათდება. განსაკუთრებით შეიმჩნევა თანამედროვე ყოფისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რაც გამოიხატება აჭარულ დიალექტზე მოსაუბრეთა მეტყველებაზე ტელევიზიის, კინოს, ლიტერატურის, სპორტისა თუ სხვ. გავლენით. ახლა მეტსახელებად ფიქსირდება შემდეგი თიკუნები: *ბარჯაკუზა, ბაჩუკი, ბრინკა, გვადი, დარაპულკა, კვაჭი, კინკონკა, მაუგლი, მურტალო, ოტია, სანჩო, ტანტრე, თარზანა, ტასიკო, ფანტომზა, ფუფალა, ჩარლო, ჭრიჭინა, ჯაყო* და ა.შ. იკვეთება სპორტის გავლენა. გვხვდება თიკუნები: *ბაჯო, გარინჩა, პელე, პეშა, ტახამატა, ტომხონა...* ასევე, ისტორიულ და სამხედრო პიროვნებებთან ან სამართალდამცავ ორგანოებთან დაკავშირებული სახელები: *ბუდიონი, ბურახოვსკი, კუზმენკო, კუტუზოვი, შტემენკო* ან *კიდეე: გესტაპო, თავრობა, ობეხე, ტანკო, ტეტე, ხიშტო...*

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ, განათლებისა თუ საინფორმაციო საშუალებებით მისმა საყოველთაოობამ, როგორც ჩანს, გავლენა მოახდინა თიკუნებზეც. ახლა უკვე აქტიურად ფიქსირდება მეტსახელები: *გლობუსა, დანგრატა, კვაზი, პერეგოი, რედუქტორა, სკოჩი, სოჩიკა, ტალონა, ფორტუნა, შიპა...* უკვე გვხვდება კომპიუტერულ ტექნიკასთან დაკავშირებული სახელებიც: *მიკრო, ჩიპი/ჩიპიკა/ჩიპო...* როგორც ვხედავთ, დასახელებულ სახელთა უმრავლესობა ნასესხებია. ნასესხობათა თვალსაზრისით გვხვდება რუსული და თურქული ენებიდან ნასესხები სხვა რიგის სახელებიც: *ზრასტი, კალაბოკა, კნოპა, კურნოსა, პადლიზა, პერეკოსა, პრიჩოსკა, რიჟიკა, შიპლეტა, შპანა* (რუს.)... *ბუილა* (ულვაშა), *გებრა* (კოკარდია-ნი ქუდი), *ქელფეთა* (ჩაქუჩი), *ქემენა* (ხემი), *ჯაზი* (ავსული) (თურქ.)...

სტრუქტურული თვალსაზრისით აჭარულ დიალექტში გამოყენებულ მეტსახელთა უმრავლესობა ერთსიტყვიანია; გვაქვს ორფუძიანი სახელებიც. წარმოების თვალსაზრისით ორფუძიანი სახელები ქართული ენის გრამატიკის წესებს ემორჩილებიან. სახელთა უმეტესობა ნაწარმოებია კნინობითი სუფიქსით (*ბუქსა, კაჟა, კიჭა, კნოპა, ქელფეთა, შიპა, წერტილა, წუწკუნა...*); გვაქვს –ო სუფიქსით ნაწარმოები სახელებიც (*თეთრო, თღემო, კაკალო, კრიჭო, პერსო, ტიალო...*). იშვიათად გვხვდება სხვა სუფიქსებით (-ატ, -უტ, -იარ) ნაწარმოები მეტსახელებიც: *ბუტატა, ფულუტი, კეხიანი...*; ნაწილი სახელებისა წარმოდგენილია ფუძის სახით: *კოში, მუტრუკი, სკოჩი, უსკურა, შკემბე* (ვაში), *ჩენგე* (ყბა)...

მეტსახელთა ნაწილი კომპოზიტს წარმოადგენს. გვაქვს ფუძე-გაორკეცებული კომპოზიტები (*კვარკვალა, კვერკვეტო, ლაღლაღა, ტერტელე, ტიპტიპა, ტუნტულა, ფუსფუსა, ჩუნჩალა...*). კომპოზიტთა

მეორე რიგის სახელები ორი მარტივი ფუძის შეერთებითაა მიღებული (გიდლიმხარა, ვირიყურა, კუდმოლა, კრუხისპალო, მერიკუხა, პანტაბევი, პოლნისკარტა, ყოჩალია, ყურჭატა, ხაპითავა, ხარაბუა, ხეჩვისთავა...).

ნაშრომში მოტანილი ქართული თუ ნასესხები მეტსახელების სემანტიკა უმეტესად გამჭვირვალეა ან შესაძლებელია მათი დადგენა. გვხვდება ჯერჯერობით დაუდგენელი მნიშვნელობის სახელებიც (აზუ, აზდარი, ბაცა, ბერმანდო, ბუწლიკი, გამბეშა, დამთხა, თეოპანა, თიეო, იეტე, კირტანი, მუჩლუყა, უტანა, ფაიწი, ქაცაფა, ქუჩუშა, ჩოფა, ჩოეო, ჭოლლიკი, ჯუბლი და სხვ.)

ნაშრომში მოტანილ მეტსახელთა ანალიზისას თვალში საცემია ჩვენი ცხოვრების სოციალური მდგომარეობით თუ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებით განპირობებული ინოვაციები, მაგრამ საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ დიალექტთან თანაზიარი ახალი თაობის მეტყველებაში ჯერ კიდევაც დაცული ის ქართველური, თუ ძველქართული და, ასევე, დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც 2-3 ათეული წლის წინ დიალექტში ჩვეულებრივ აქტიურად მოიხმარებოდა, ახლა კი ნაკლებად გვხვდება ან კიდევ მხოლოდ მეტსახელად შემოგვრჩა. მაგ.:

ბოხრიკი – გამხდარი, მჭლე საქონელი (ნ.ნიჟ., ღლ.).

ბუმბრუჭა//ფუმფრუჭა – ახალგაზრდა მცხარი, რბილი, თბილი პური (ნ.ნიჟ.).

ბუნტა- ჩხუბისთავი.

ბუსკა – მსუქანი, ბუთხუზა, ჩაფსკენილი (შდრ. ქაჯაია, მეგრ.).

ბუშტუკა – გაბერილი.

ბუძგატა//ბუჯგა – წაბლის გარეთა ეკლიანი კანია. ასევე, ეკლებიანი მცენარე გოქშო. სიტყვა გვხვდება ბურძგატა ფორმითაც. ამ სიტყვაში ბუძგ – ძირია, -ატ კი ქართველური მაწარმოებელი სუფიქსი. ბუძგი ძველ ქართულში პატარა ზღარბსა ჰქვია (ნ.საბა). ქებღ-ის მიხედვით კი მსხვილი, ჯაგარივით ბაღანია. როგორც ირკვევა, ბუძგ – ძირი გვაქვს მეგრულსა და ლაზურში და აღნიშნავს გაბურძგვნას, ფეხის დაბუჯებას ან ეკლებს წაბლის ნაყოფზე (ნ.ჩიქობ., ეტიმ. ლექს., ჩუხუა). ბუძგთან ერთად აჭარულში გვაქვს ბუჯგიც. აქედან მეტსახელი ბუჯგა – ხშირთმებიანი და თანაც გაჩეჩილი. სიტყვის ფორმიდან და სემანტიკიდან გამომდინარე, ბუჯგვი ბუძგის ფონეტიკურად სახენაცვალ ფორმაა (ჯ-ძ-ს მონაცვლეობა ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში. ნ.ჩუხუა).

კამბეჩა – კამეჩივით ძლიერი და ზანტი.

კაჟა – ძლიერი, კაჟივით მაგარი.

კაპჭანა – პატარა, ჩია (სპილენძის პატარა ქვაბი - ნ.ნიჟ., შდრ. ქებღ, გურ).

კენჭო – ძლიერი, გამძლე.

კოჟო – კოჟრი, კორძი (ნ.ნიჟ.).

კორიზა – (ბერძ.) ბაღლინჯო (ნ.ნიჟ., ღლ.).

კოროპინა – ჭკვიანი, “დიდთავა”. კოროპინი - შუბლის ზემოთა ნაწილი (ნ.ნიჟ., შდრ. ბერძ. კორფუ, კორიფუ – მწვერვალი, კენწერო, თავის ზემოთა ნაწილი)

კრიტო – ვინც უშნოდ იცინის, იღრიტება (შდრ., ქეგლ, კრეტა – უშნოდ სიცილი, ღრეტა).

კურკუშა – პატარა, კოხტა. კურკუში – სითხეში გაუხსნელად დარჩენილი ფქვილის პატარა გუნდა (შდრ. ზან. კვარკვაშა – ქულა მატყლისა, ჩუხუა, 131; კვარკვაში – ტრიალი, პატარა გუნდად დახვევა – ქაჯაია, II).

ლაფაზა – მოუწესრიგებელი, მუდამ წვირიანი.

ლაფშა – დიდტუჩებიანი (შდრ. ლაფში – დიდი, დაშვებული ტუჩები).

პანტაბეგი – ვითომ დიდკაცი.

პაწკუნა – კოხტად მოსიარულე.

პაჭული – პატარა.

პლაკე – ფრიალო, სალი კლდე (გადატ.) მაგარი, მკვრივი, ძლიერი (ნ.ნიჟ; ღლ.). საბას განმარტებით პლაკა – ელენთ ენაა და ფიცარს აღნიშნავს. ბერძნულად კი plakos-ს უწოდებენ სწორხედაპირიან ქვას, ფიცარს. ასევე, ხის მორს, სამშენებლო ბლოკს.

პოსი – მამალი თხა. (გადატ. უხეში, გაუთლელი).

პუმპლი – ძალიან რბილი, ნაზი, ფაფუკი ბუმბული, გინგლი (ნ.ნიჟ., ღლ.).

პუწკია – ტუჩებაბუებული.

პუწკუნტურა – პრანჭია, კოხტა.

საპრაწუნა – ენაჭარტალა, ლაქლაქა.

ტომრულა – ტომრული-დან (თურქ.) გაუთლელი, მსხვილი მორი.

ტოპუხა – (თურქ.) მსუქანი.

ტყაჭა – გაბლინძულად, გატყლარტულად მოლაპარაკე.

უსკურა – ფეხიანი სპილენძის ჯამი (ნ.საბა, ქეგლ, ნიჟ.).

ფართხუშა – ფართხუნა.

ფულუტი – ჩუმჩუმელა. სახელი მიღებულია ფულუ ძირზე – უტ მაწარმოებლის დართვით. მეტსახელად აჭარულში ფულუც გვხვდება. იგი აღნიშნავს თხუნელას (ნ.საბა). ფულუ ზანური სიტყვაა. იგი გვაქვს გურულშიც. ფულუ და ფულუტიც ზანიზმია როგორც აჭარულში, ასევე გურულშიც (ნ. ეტიმ. ლექს., 325; ჩუხუა, 156, ქაჯაია, III).

ფხიტუა – მოუშორებელი, მოუცილებელი (შდრ. საბა, ფხიტა – ზურგმწვანე ჭუა).

ქალაჯო – დოს შეჭამადი (ნ.ნიჟ, ღლ., შდრ. საბა, ქალაჯოში – დოს კონწოლი, პურის შეჭამადი წვნიანი).

ქიბარა – ქიბარი-დან (არაბ.) – ამაყი, ამპარტავანი, თავმომწონე.

ქორიფთა – მოქნილი, მოხერხებული.

ქურუხა – ქურუხი, მოქურუხული ღრუბლიან, საწვიმარ ამინდს აღნიშნავს. ძველ ქართულში ქურუხა დამახასიათებელი ეპითეტია კუშტი, პირქუში ადამიანისა. სვანურში ქურუხ(უ)-ს რუხის მნიშვნელობა აქვს (ნ.ნოდ.).

ღვაზა – სახეამომტირალი, მუდამ მოწყენილი. ზანურში გვაქვს ღვაზუა//ღვეზუა, რაც მოქუფრვას, მოპირქუშებას, ძლიერ მოღრუბლვას აღნიშნავს, ხოლო ღღვაზალი, ღღვეზერე – ბღვერიას, წყრომით მაყურებელს (ნ.ქაჯაია). ღვაზა ზანიზმია აჭარულში.

ღლაპუტა – პატარა ღოქო (ნ.საბა).

დღუნძა – ღვარძლიანი, გულბოროტი, ბღვერით გამომზირალი (ნ.ნიჟ., დღ.).

დრინჯო – დადრეჯილი, უღამაზო, ებამოქცეული.

ყაპყაპა – ლაქლაქა. ყაპყაპა ხის პატარა ბაყაყია, რომელიც გამუდმებით ყიყინებს (ნ.ნიჟ., დღ., გურ., შდრ. საბა, ყაპყაპი – ჰურიის ყვავი; ლაზ. ყაპყაპი – მოჩვენება, ვამპირი, საზიზღარი).

ყერო – მესრის ღობის გასამაგრებელი ლარტყა. (ნ.ნიჟ., დღ., ყერ – ძირი საერთოქართველურადაა მიჩნეული – ჩუხუა, 282). (გადატ.) სუსტი და მაღალი.

ყიყვა – ჩიყვიანი. ყიყვი აჭარულის მსგავსად გვქონია ქიხიყურსა (ყიყვი – ჩიყვი) და ფშაურში (ყიყვი – ჩინჩახვი). ყიყვი მიღებულია საერთოქართველური ყიყუ-დან, რაც ჩიყვს აღნიშნავს – ჩუხუა, 281).

ყავი – ჩუმჩუმელა. (თურქ.) თრითინა.

ყლიპო – თვალეზგადმოკარკლული.

ყოჩალია – ყოჩიდან. წინამძღოლი, მოთავე.

ყურწა – ყურწას აჭარულში უწოდებენ მსხლის ერთ-ერთ ჯიშს, ბარაქას, ასევე, თამბაქოს მცენარის ერთ-ერთ სახეობას. ძირეული სიტყვა *ყურწი* კი აღნიშნავს ხილის ყუნწს. ასევეა გურულსა და იმერულში. *ყურწი* ქართული *ყუნწის* ზანური შესატყვისია (ნ.ქაჯაია, II).

ყურჭატა – პატარაყურებიანი ან თავად პატარა. ყურჭატა თხზული სიტყვაა: ყური+ჭატა. ჭატა-ჭიტა ლაზურად ცოტას, პატარას აღნიშნავს (ნ.ჩიქობ.).

ჩალიჩა – მოხერხებული.

ჩლატა – ფუყე. *ჩლატას* აჭარულში უწოდებენ წყალბატონებს, ბავშვთა ინფექციურ დაავადებას, რომელიც გარეგნული ნიშნებით წააგავს საშიშ ინფექციურ დაავადებას, ყვავილს, მაგრამ უფრო მსუბუქად მიმდინარეობს და ტრაგიკულად არ მთავრდება. აქედან გამომდინარე სახელიც კარგად ესადაგება მის ბუნებას: ჩლატა/ჩუტყ-ვავილა ანუ ტყუილი, ფუჭი ყვავილი.

ცეტო – ვინც უცბად გაფიცხდება, აყვირდება.

ცმაკუნა – მოუსვენარი.

ცქიტო – ცქეტი, მარდი.

ცქნაფა – პატარა და ყოჩალი.

ცხვირმანგალა – ცხვირნამგალა, გრძელ და მოღუნულ ცხვირია-ნი.

წიაპა – გრძელი, გაწედილი. წიაპი, ჩვეულებრივ ჰქვია წინდისთვის დატოვებულ გრძელ ძაფს, რომელსაც წინდის დასამაგრებლად წვივზე იხვევენ.

წირეხა – მიღებულია *წირეხ* – სიტყვიდან, რაც აჭარულსა და გურულში დაგრეხილ წნელს ჰქვია (ნ. ქეგლ, ნიჟ., დღ.). *წირეხ* საერთოქართველური ფუძეა და გრეხას, დაგრეხილს აღნიშნავს (ნ. ჩუხუა, 370. წირეხი, წირიხილი, წირიხუა – ქაჯაია, III).

ჭურღულა – კეთილხმოვანი, ტკბილმოუბარი. ჭურღული ფრინველთ ღულუნია (ნ. ჭურღული – ნიჟ., ქაჯაია, III).

ხაშარო – ძირეული სიტყვაა ხაშარი. ძველ ქართულში ფაღანგო სვეტს აღნიშნავს (ნ.საბა), ხოლო აჭარულში ტოტებშემოცლილ

მომსხო, გრძელ ჯოხს, სარს ეძახიან, რომელსაც მცენარეს (ლობოს, კიტრს...) უსობენ ლერწის მოსახვევად.

ხერტალა – კარგი აღნაგობის ადამიანი. ხერტალი თითისტარია, ძაფის დასართავი ხელის ტარი. ხერტალს აჭარულში მცენარე ცხენისკუდასაც ეძახიან (ნ.მაყაშ.).

ხვანა – ის ვინც უშნოდ, კბილების გადმოყრით იცინის.

ჯამუშა – (არაბ.) ჯამუშიდან – კამეჩი.

ჯაჯია – ძერა (ნ.ნიჟ., ღლ., ეტიმ. ღექს., ჩუხუა). ჯაჯია აჭარულში, ისევე, როგორც გურულში, ზანურიდანაა შეთვისებული. ზანური ჯაჯ – ძირი ქართული ძერის კანონზომიერი შესატყვისია).

ჯგუტა – ჩხვლეტია.

ჯენდეკი – ჯანდაგი, გამხდარი საქონელი.

ჯირეკა – უხეში, გაუთლელი, თანაც ტანდაბალი ადამიანი (მდრ. ჯირეკი – მსხვილი ხის გაუთლელი მორი).

ჯრიკო – ჯორკო – პატარა, დაბალი სკამი. ასე ეძახიან ძვალმსხვილ და ტანდაბალ ადამიანს.

Нанули Ногаидели

К вопросу о прозвищах в Аджарском диалекте

При изучение прозвищ особенно интересны диалектные материалы. Имеющиеся под рукой данные последних 10-15 лет характеризуются резкими инновациями. В них отражаются особенности сегодняшнего быта, вызванные развитием науки и техники, влиянием политики, медиа, спорта и др. Вместе с новыми названиями пока ещё встречаются прозвища, которые произведены из картвельских, старогрузинских или характерных для аджарского диалекта слов.

Nanuli Noghaideli

Nicknames in Adjarian Dialect

Registering and researching of nicknames creates multi-meaning aspects in lexicology. From this point of view, study of the data of dialects is very interesting. For the last 10 to 15 years nicknames in Ajarian dialect have been characterized with innovations. They depict peculiarities of the modern society that are being affected by political, media, sport or other things. Along with new names there are nicknames derived from the lexical units of the Kartvelian, Old Georgian, and Adjarian dialect, ex. pachuli – small, fughuti – fat, kurukha – unsociable, kikva – goiterous, tsiapa – long, khertala – pleasant appearance, jireka – small and with big bones, etc.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თოფურია ვ., ქაღდანი მ. სვანური ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა ქართული ენა, 2000.
2. მაყაშვილი ალ. ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1949.
3. ნიჟარაძე შ. ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, გამომცემლობა საბჭოთა აჭარა, 1971.
4. ნოღაიდელი ნ. საერთოქართველური ლექსიკიდან აჭარულ დიალექტში, XXIII რესპ. დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 2003.
5. ორბელიანი სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი, ტფილისი, გამომცემლობა ქართული წიგნი, 1928. (საბა).
6. ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990 (ეტიმ. ლექს.).
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986.
8. ქაჯაია ო. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I-III, თბილისი, გამომცემლობა ნეკერი, 2000.
9. დლონტი ალ. ქართული ლექსიკოლოგია, თბილისი, გამომცემლობა ცოდნა, 1964.
10. დლონტი ალ. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, გამომცემლობა განათლება, 1975.
11. ჩიქობავა არნ. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1938.
12. ჩუხუა მ. ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2000-2003.
13. Иоанидис А.А. Новогреческо-русский словарь, М., Государственное издание иностранных и национальных словарей, 1961.

ციალა ნარაკიძე

ადამიანის ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკიდან ლაზურში

ლაზურ დიალექტში კარგადაა დაცული ადამიანის ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ტერმინები. ნაკლებად შეიმჩნევა უცხოური წარმომავლობის სიტყვები. ნაშრომში ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსემების გვერდით წარმოდგენილია სათანადო ფუძიდან ნაწარმოები ყველა სიტყვა.

1. სიცოცხლე

ს ქ ი დ ა ლ ა – სიცოცხლე, ცოცხლად ყოფნა. „სქიდალა ვა იჭოფენ“ - სიცოცხლე არ იყიდება.

სიტყვა წარმოადგენს -სქიდ- (ცხოვრება) ფუძიდან -ალ სუფიქსით ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელს.

დ ო ს ქ ი დ უ – 1. დარჩა. „ნანა-ბაბა დუღუუ დო ბეე ხვალა დოსქიდუ“ - დედ-მამა მოუკვდა და ბავშვი მარტოდ დარჩა. 2. გაცოცხლდა. „ფუქიეფე მუში მთელი დოსქიდუ“ - ყვავილები მისი ყველა გაცოცხლდა.

ს ქ ი დ უ ნ – ცხოვრობს. „ანთეფე დიდო დუკარა სქიდუტეს“ (კარტოზია გ. 1993, 14) - ისინი ძალიან ღარიბად ცხოვრობდნენ.

ო ს ქ ა დ უ, ო ს ქ ე დ ი ნ უ – ცხოვრება. „აწიშკულე აქ ჩქიმი ოსქადუ ვა ღირს“ - აწის შემდეგ აქ ჩემი ცხოვრება არ ღირს.

2. სიკვდილი

დ უ ა – სიკვდილი. „ლურაშ დერდი ვა მიღუნ“ (მარი ნ. 1910, 101) – სიკვდილის დარდი არა მაქვს.

დ ო ლ უ რ უ – მოკვდა, გარდაიცვალა. „ქიმოლი დოდურუა დო მიშ ნეკნას გოხთაგინონ გელინი ჩქიმი“ (ჩიქობავა არნ. 1936, 139) – ქმარი გარდაიცვალაო და ვის კარზე უნდა იარო რძალო ჩემო.

დ უ რ ე ლ ი – მკვდარი. „დიდო ომგაინუთენ ღურელი ვა ისაღენ“ - ბევრი ტირილით მკვდარი არ გაცოცხლდება“ (შეროზია რ., მემიშიში ო. 1994, 198).

მ ე დ უ რ ე ლ ი - „ამომკვდარი“, ამოწყვეტილი, ნაოხარი, უპატრონო. „არ მეღურელი ქარმატე ქორტუ“ (ქლენტი ს. 1938, 195) – ერთი უპატრონო წისქვილი იყო.

სიკვდილთან დაკავშირებული ტერმინებია ლაზურში:

შ უ ი ქ ო მ ე ჩ უ – სული დაღია, მოკვდა, სული მისცა. „შუი-ქომენუ დო ქამუჩითუ“ - სული მისცა (მოკვდა) და გადარჩა.

შ უ ი ქ ე უ ხ თ უ – 1. სული ამოხდა, მოკვდა. „ზენგინიში ქესე გუინწკეტაშა დუკარას შუიქუხთეფსია“ - მდიდრის ქისის გახსნამდე ღარიბს სული ამოხდებაო (მოკვდებაო). 2. დაიღალა. „ოჩალიშუთენ შუი ქუხთუ“ - მუშაობაში სული ამოხდა (დაიღალა).

შ უ ი ჭ კ ვ ი დ უ ფ ს – სულს დაფავს, სულს ღვეს (კვდება). „ძაბუნიქ შუიჭკვიდუფს“ - ავადმყოფი სულს დაფავს (კვდება).

3. ასაკი

წ ა ნ ა – წლოვანება, ასაკი, სიცოცხლის ხანგრძლივობა. „თიქ გიჭკოუმს-ნა, წანა-სქანის ვა ბოწკე“ - თუ თავი გიჭრის, შენს ასაკს არ ვუყურებ (შეროზია რ., მემიშიში ო. 1994, 217).

ა რ წ ა ნ ა შ ი – თანატოლები. „მან დო ხავანა არწანაში ვოეთ“ - მე და ხავანა თანატოლები ვართ.

ჩ ი ჩ ქ უ – 1. ახალშობილი, ჩვილი. „ჩიჩქუ ბეეს კაი ოწკომილუ უნონ“ - ჩვილ ბავშვს კარგი მოვლა ესაჭიროება. 2. ნაზი, ქორფა. „კულანი ჩიჩქუ, ჩიჩქუ, მუჭო ღუყუში მორჩი...“ - გოგონა ნორჩი და ქორფა, როგორც ყლორტი ფხალისა“ (ვანილიში მ., თანდილაჲა აღ. 1972, 158).

ბ ა დ ი – მოხუცი კაცი, ბერიკაცი. „ბადი მუ გადოდუ, მოთ იმგარ?“ - ბერიკაცი რა მოგივიდა, რად ტირი? (ასათიანი ირ., 1974, 16). „ბადი“ მეგრულში წარმოდგენილია ბადიდი-ს სახით (ყიფშიძე იოს. 1914, 199).

-ბად- ფუძიდან ნაწარმოებია ნასახელარი ზმნა ი ბ ა დ ე ნ და ტერმინი ო ბ ა დ ა ლ ა კ ი შ ი.

ი ბ ა დ ე ნ – ბერდება. „კოჩი იბადენ, ჰამა გუი ვა იბადენ“ - კაცი ბერდება, მაგრამ გული არ ბერდება.

ო ბ ა დ ა ლ ა კ ი შ ი – სიბერეში. „კოჩიქ ობადალაკიში ნიშქუმეს ფიფილი“ - კაცი სიბერეში იშენებს (იტოვებს) წვერს.

ხ ჩ ი ნ ი ნიშნავს ლაზურში მხოლოდ და მხოლოდ მოხუც ქალს, ხოლო მეგრულში რ ჩ ი ნ ი || რ ჩ ი ნ უ საერთოდ მოხუცს აღნიშნავს (ყიფშიძე იოს. 1914, 311).

ძირი -ხჩ- ჭანურისა კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ -მც- ძირს, ჭანური -ხჩ- ძირი ვარიანტით -ქჩ- ... საერთოდ ზანურში აღნიშნავს თეთრს, -ინ- სუფიქსი იმავე ფუნქციისა ჩანს, როგორც ქართულში -ან-ს (მც-ოვ-ან-) განეკუთვნება. მნიშვნელობის მხრივ ჭანური ქართულს მიჰყვება: „ჭადაროსანი“, ე. ი. მოხუცი... მაგრამ ქართულისა და მეგრულისაგან განსხვავებით ლაზურში „ჭადაროსანი“ მოხუც ქალს აღნიშნავს და არა საერთოდ მოხუცებულს, „ბებერს“ (ჩიქობავა არნ. 1938, 40). „არ ქჩინი ქომემაგუ, ქჩინიქ მურგი ქომომჟუ“ (კარტოზია გ. 1972, 223) – ერთი დედაბერი შემხვდა, დედაბერმა გორგალი მომცა.

ნაწარმოები ზმნაა ი ხ ჩ ი ნ ე ნ || ი ქ ჩ ი ნ ე ნ. მას საფუძვლად უდევს ხჩინ- || ქჩინ- სახელის ფუძე. „ოხორჯა იხჩინენ, ჰამა თი მუში ხოლო ძენიეთმე უჩქინ“ - ქალი ბერდება, მაგრამ მისი თავი მაინც ახალგაზრდა გონია.

ო ხ ჩ ი ნ ა ლ ა კ ი შ ი – სიბერეში. „ნანდიდიქ ოხჩინალაკიში ქოგუშუბლუ“ - ბებია მ სიბერეში აურია.

4. გამრავლება

დ ო ბ ა დ უ – შვილის დაბადება, გაჩენა. „დოვიბადი მზოდას ჟინ, ექ ბლურარე, ქომიქჩინ“ (ბსკიფა, საქმე №215, 17) - დაეიბადე ზღვის ზემოთ, იქვე უნდა მოგვედო, მე ვიცი.

დ ო ბ ა დ ე ი – დაბადებული. „ბიჭი კაინდლას დობადეი ძენ“ - ბიჭი კარგ დღეს არის დაბადებული.

ნ ა შ ო ბ ი –ს მნიშვნელობით ლაზთა მეტყველებაში იხმარება ტერმინი

ნოთასე. „სი ჩქიმი ნოთასე ვა რეი?“ – შენ ჩემი ნაშობი არა ხარ? -თას- ფუძე თესლს ნიშნავს, ხოლო მისგან ნაწარმოები სახელზმნა დოთასეუკი – გაჩენას, შობას. „მეხთუ დო მტკობაშაში ბეე დოთასეუ“ - მივიდა და ჩუმად ბავშვი გააჩინა.

ფეხმძიმე ქალის აღმნიშვნელი ტერმინია ლაზურში მონ-კა

ოხოროჯა, მეგრ. მოკათუ - ფეხმძიმე, ორსული. როგორც პროფ. ი. ყიფშიძე შენიშნავს მონკა ქართ. მაკე – ს უნდა შეესატყვისებოდეს (ყიფშიძე იოს. 1914, 281). ხოლო რაც შეეხება მნიშვნელობას, „მძიმე“-ს წარმოდგენა უნდა ყოფილიყო ამოსავალი მაკე –შიც, რადგანაც ეტიმოლოგიურად მაკე მძიმეს ნიშნავს, ქართულში ახლაც ითქმის ორსულზე „ფეხ-მძიმედ“-ააო.

ლაზურში ფეხმძიმე ქალის აღმნიშვნელად, „მონკა ოხოროჯას“ პარალელურად, იხმარება ტერმინი უხვეენე || უხუენეი (მარი ნ. 1910, 192).

5. ზრდა

ორდუ – ზრდა, ზარდა. სალიტერატურო ქართულში ამ ზმნის ძირად

-ზრდ- გვევლინება. ზანურსა და სვანურში გვაკლია ზა- მარცვალი. სიტყვის დანარჩენ ნაწილში დამთხვევაა. კლიმოვი ზა- მარცვალს ზანურსა და სვანურში დაკარგულად მიიჩნევს (კლიმოვი გ. 1964, 88).

ვირდი – გავიზარდე. „მან ლაზი ვორე, მზოლაშ ჟინ ვირდი (ბსკიფა, საქმე №210, 11) – მე ლაზი ვარ, ზღვის ზემოთ გავიზარდე.

დორდუ – გაიზარდა. „ბეეს ჭიტანობაშენ ნოსი დოლოდვა-გინონ, დირდაში მუთუ ჩარე ვა გახვენენ“ - ბავშვს ბავშვობიდანვე ჭკუა უნდა ასწავლო, როცა გაიზრდება, ვერაფერს გახდები.

რდეი – გაზრდილი. „რდეი ბეე მითიშა ვა ნირჩენ“ - გაზრდილი ბავშვი არავისზე არ მიიცემა.

ნორდე – აღზრდილი. „მუში ნორდე კულანი ოხოიშა ვა ამიყონენ“ - მისი აღზრდილი გოგო სახლში (ოჯახში) არ შემოიყვანება.

მორდელი – მოზრდილი. „მორდელი ბიჭი დო კულანი უყოუნ ოხოის“ - სახლში მოზრდილი ბიჭი და გოგო ყავს.

6. კვება

ოჭკომუ – ჭამა. „ე, ძარი ჩქიმი, ძარი, ამ სერ სო ჭკომი გძარი, გძარი ქოჭკომიშკულე, ხეს მიქ გოგობუ წკარი“ (ბსკიფა, საქმე №210, 9) – ე, სატრფოვ ჩემო, სატრფოვ, ამ სალამოს სად ჭამე საჭმელი, საჭმელი რომ ჭამე, ხელზე წყალი ვინ დაგასხა.

ჭკომ- ფუძის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია ქართულში ჭამ.

ლაზურში ჭკომ- ფუძის პარალელურად შკომ- ფუძეც იხმარება. „მაქვალი დეფუჯიბი დო ვა შკომუ დო მა ოფშკომი“ (ყიფშიძე იოს. 1938, 79) -კვერცხი მოვუხარშე და არ ჭამა და მე შეეჭამე.

ოჭკომალე – საჭმელი, საკვები (შდრ. ძვ. ქართ. ჭამალი – აბულაძე ი., 1973, 556). „ოჭკომალე კაი უღუტეს“ - საკვები კარგი ჰქონდათ.

მ ჭ კ ო მ უ – მჭამელი. „მჭკომუ ბეე უყოუნ“ - მჭამელი ბავშვი ჰყავს.

ნ ო ჭ კ ო მ ე – ნაჭამი. „ემუში ნოჭკომეს ხე ვა ქომენტხათ“ - მის ნაჭამს ხელი არ წააკართო (არ მოკიდოთ).

უ - ჭ კ ო მ - უ (ჭ კ ო მ -ს ზმნის უარყ. მიმდ.) - უჭმელი. „ჭუმანიში უჭკომუ ოხიოშენ გამახთიმუ კაი ვა შინაფტეს“ - დილით უჭმელი სახლიდან გასვლას კარგად არ თვლიდნენ.

დ ი მ გ ვ ა ნ უ – გასუქდა. „ბეე დიმგვანუ დო კაი დიყუ“ - ბავშვი გასუქდა და კარგი გახდა.

მ გ ვ ა ნ ე ი – მსუქანი. „მგვანეი კულანი ვა მომწონს“ - მსუქანი გოგო არ მომწონს.

მ გ ვ ა ნ ე ი სიტყვიდანაა ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი მ გ ვ ა ნ ა – სიმსუქნე. „მგვანა მთელის ვა მუხთებს“ - სიმსუქნე ყველას არ უხდება.

მ გ ვ ა ნ - ფუძეს შესატყვისი სხვა მონათესავე ენებში არ უჩანს.

ო ძ ღ უ – გაძღომა. -ძღ- ძირი საერთო ქართველურია, მნიშვნელობაც ერთნაირია. „თოლი ვა იძღენ“ - თვალი არ ძღება (შეროზია რ., მემიშიში ო., 1994, 217). -ძღ- ფუძიდან ნაწარმოები სიტყვებია ლაზურში: უ ძ ღ უ – გაუმაძღარი (შდრ. ძვ. ქართ. უძღები – აბულაძე ი., 1973, 440). ძ ღ ე ი – მაძღარი.

უ ძ ღ უ სიტყვა მთელ როგ კომპოზიტებში ერთ-ერთ კომპონენტად გვხვდება: თ ო ღ ი უ ძ ღ უ – თვალხარბი, ქ ო რ ბ ა უ ძ ღ უ – ღორმუცელა, გ უ ი უ ძ ღ უ – გაუმაძღარი და ა.შ.

შ ქ ი ო ნ ს – შია (შდრ. მეგრ. შქირე – ყიფშიძე იოს., 1914, 360). „ბეეს შქიონს“ - ბავშვს შია.

მ შ ქ ო რ ი ნ ი – შიმშილი. „დიძლაში, მშქორინი მუფერი რენ, გოგიჭკონდუნ“ - რომ გაძღები, შიმშილი როგორია, დაგავიწყდება.

მ შ ქ ი ო ნ ე ი – მშიერი (შდრ. მეგრ. შქირენული – ყიფშიძე იოს. 1914, 360). „მიღეთი მშქიონეი ძენ“ - ხალხი მშიერია.

წ უ ფ ს – წოვს. „ჩინქუ ბექქ ბუძი წუფს“ - ჩვილი ბავშვი ძუძუს წოვს.

წ უ ფ- ფუძეს შესატყვისება მეგრულში წ უ ნ- და ქართულში - წ ო ვ-.

შ უ – სმა. ქართულ სალიტერატურო ლექსიკურ ფონდში ზანურ „შ უ“-ს შესატყვისება „ს უ“.

შ უ- ძირიდან ნაწარმოები სიტყვებია ლაზურში: შუფს – სვამს, ოშუმუში – სასმელი, შვეი – დაღეული, მთვრალი, მშვალე – მსმელი, შუმეი – გაბრაზებული.

7. შეგრძნებები

ა) სმენა

ო ს ი მ ი ნ უ – მოსმენა, გაგონება.

ი ს ი მ ი ნ ს - ისმენს. „ბექქ ისიმინს“ - ბავშვი ისმენს.

ქ ო ნ უ ს ი მ ი ნ უ || ქ ო ნ უ ს ი ბ ი ნ უ – 1. მოუსმინა. 2. დაუჯერა. „ბექქ ნანა-ბაბას ქონუსიბინუ“ - ბავშვმა დედ-მამას მოუსმინა (დაუჯერა).

ს ი მ- ძირი საერთოა ქართულისა და ზანურისათვის. მაგრამ ქართულსა და ზანურში დარღვეულია შესატყვისობა ხმოვნებს შორის. ქართულში ეს ძირი ამჟამად უხმოვნოდაა ცნობილი სმ- (ისმის,

ესმის...), ძვ. ქართულში ს ე მ- ძირი გვხვდება გარკვეულ შემთხვევებში: „შეგესემინ ჩემი!“ – შეგესმას ჩემი!

ო გ ნ უ – გაიგონა, გაიგო. „ნისაქ მთელი შეი ოგნუ“ - რძალმა ყველაფერი გაიგონა.

ქ ო მ უ ნ გ ო ნ უ – მოუგონა. „დამთეექ მთელი შეი ქომუნგონუ“ - დედამთილმა ყველაფერი მოუგონა. მეგრულში გვაქვს გ ო ნ- (გე-გონ-უ – გაიგონა, მი-გონ-უ – მოიგონა – ყიფშიძე იოს. 1914, 218). ეს მაგალითები ნათელყოფენ იმ გარემოებას, რომ ზანურში გ ო ნ- ფუძე გვხვდება შესმენის მნიშვნელობით.

ბ) ყნოსვა

ვ ი შ უ რ ა მ || ვ ა შ უ რ (ვსუნავ, „ვისუნებ“) ნაწარმოებია სიტყვიდან

შ უ რ ა (სუნი) - ნივთიერებათა თვისება, რომელიც ყნოსვით აღიქმება. „პატი შურა მომატუ“ - ცუდი სუნი მეცა. „გჲულის შურა კაი უღუნ დო ვაშურ“ - ვარდს კარგი სუნი აქვს და ვსუნავ.

გ) მხედველობა

ო წ კ ო მ ი ლ უ – ცქერა, ყურება, შეხედვა. „ართიქართის ოწკომილუთენ მტვეის ქომამქვეს“ – ერთმანეთისა ცქერითა, სახლი ავესო მტვერითა (შეროზია რ. მეშიშიშვილი, 1994, 199).

ო ც ა დ უ – ნახვა, გამოცდა, შემოწმება. „კულანი დოცადუ დო ეშო ნოჩქუ ელჩი“ - გოგო ნახა (გამოცადა) და ისე გაუშვა ელჩი.

ც ა დ- ძირი საერთოდ ქართველურია. მნიშვნელობაც არსებითად ერთია. სიტყვებისათვის ოცადუ, ფცადუფ, განცდა... ამოსავალია თვალთ შებრძნების სემანტიკა.

8. მეტყველება

მეტყველების პროცესის აღმნიშვნელ ზმნებთან ერთად წარმოდგენილია მათგან ნაწარმოები ნაზმნარი სახელები და ეტიმოლოგიურად მათთან დაკავშირებული ზოგი სიტყვაც.

დ ა რ დ ა ლ ი – ლაპარაკი. „დიდონა ღაღალა, ნენაქ ნენა მუ-მერს“ - ბევრი რომ ილაპარაკო, სიტყვა სიტყვას მოიტანს. დ ა რ დ ა ლ ი მეგრულში ყბედობის, უთავბოლო, მოსაბეზრებელი ლაპარაკის აღმნიშვნელი ტერმინია (ყიფშიძე იოს., 1914, 349). მაგრამ არც ლაზურსა და იმერულ დიალექტში უარყოფითი შინაარსი ამ სიტყვას არა აქვს. საბასთანაც გვხვდება დ ა რ დ ა ლ ი - მცირე რამ ჰაზრი (საბა, 1938, 376). ძველი ქართული ენის ძეგლებში დასტურდება მისგან ნაწარმოები სიტყვა უ დ ა რ დ ი ლ ო დ – უხმოდ, წარმოუთქმელად.

თ ქ უ – თქვა (შდრ. ძვ. ქართ. თქუმა – აბულაძე ი. 1973, 102).. „აწი ქიმოლი მუშიქ თქუ-ქი - ოხორჯაში დუღა მუ იყვენ?“ (ჩიქობავა არნ. 1929, 16) - ეხლა მისმა ქმარმა თქვა, რომ ქალის საქმე რა იქნება?

დ ი თ ქ ვ ე ნ – ითქმება. „მუთუ ვა იმფუდენ, მთელი შეი დითქვენ“ - არაფერი დაიმალება, ყველაფერი ითქმება.

ქ ე ლ ო თ ქ უ – გაუმხილა. „მუთუ ვა მფულუ, მთელი შეი ნა-ნას ქელოთქუ“ - არაფერი დაუმაღავს, ყველაფერი დედას გაუმხილა.

თ ქ ვ ე ი || ნ ო თ ქ უ მ ე – ნათქვამი. „მუში ნოთქუმეფექ დუღა ქაკუხვეს“ - მისმა ნათქვამებმა საქმე გაუფუჭეს.

ოთქუში - სათქმელი. „მუშა ოთქუში მიღუნ“ - მასზე სათქმელი მაქვს.

უწუ - უთხრა. „უწუ ართე ქინის ბადიქ“ (კატოზია გ. 1993, 260) - უთხრა ერთ დედაბერს ბერმა.

ზოპონს - ამბობს. „ემო პატი შეი ძენქი, ემუკალა მუთუ ვა ითქვენ, მთელი შეი ზოპონს“ - ისეთი ცუდი პიროვნებაა, რომ იმასთან არაფერი ითქმება, ყველაფერს ამბობს (ამხელს).

ზოპ-ფუძე დასტურდება ქართულშიც მოპ-ზოპავ-ს. საბას განმარტებით „მოზოპვა“ ცუდი სათქმელის მოამბეა (საბა. 1938, 219).

წიაფს - წივის. „ოხორჯაქ წიაფს“ - ქალი წივის.

ოწიუ - წივილი, კივილი. „ხინიქ ოწიუ-თენ დუნდა ქეხდუ“ - დედაბერმა კივილით ქვეყანა აიღო.

ყუაფს - ყვირის. „ბაბაქ ყუაფს, ჰამა მითიქ ყუჯი ვა მეჩაფს“ - მამა ყვირის, მაგრამ არავინ უსმენს (ყურს არ აძლევს).

ოყუუ - ყვირილი. „ოხოიშენ ოყუუ-ში სერსი გამიტუ“ - სახლიდან ყვირილის ხმა ისმოდა.

ოჭანდუ - მოწვევა, დაბარება, მოწოდება. შდრ. მეგრ. იჭანუ. ძირეული ჭ-ლაზურისა და მეგრულისა წარმოდგენილია ქართულში წ-თი, ფუძის საწარმოებელი სუფიქსები -ოდ-||-ან-||-ანდ-ფუნქციონალურად შეეფერება ერთმანეთს (ჩიქობავა არნ. 1938, 406). „მა ამსეი გიჭანდუფ...“ - მე ამედამ გიწვევ. (გეპატიუები).

ოფურჩულუ - ჩურჩული შდრ. მეგრ. ფურცქინ. „ნანა-ველადიქ ოფურჩულუ ქოგოჭკეს“ - დედა-შვილმა ჩურჩული დაიწყეს. ჩურჩული ფუძე გაორკეცებული კომპოზიტია თანხმოვნის დისიმილაციით. ძირი ლაზურ-ქართულისათვის საერთოა. განსხვავება ის არის, რომ მეგრულსა და ლაზურში მას -ფ- აქვს განვითარებული, მეგრულს -ცქ- მოუდის იქ, სადაც ლაზურს -ჩ- აქვს ქართულის მსგავსად. ასეთი შეფარდება ქართულსა და ზანურს შორისაა მოსალოდნელი, ამგვარად საფიქრელია, რომ ლაზურში იგივე ფურჩ- ძირი გვაქვს, რაც ქართულში, მეგრულმა კი ზანურის შესაძლო ვარიანტი შეგვინახა (ჩიქობავა არნ. 1938, 331).

უჯოხოფს - ეძახის. შდრ. ძვ. ქართ. იზახის. ეს ნასახელარი ზმნაა ლაზურში და უჯოხო (სახელი) სიტყვისგანაა ნაწარმოები. „ნანდიდიქ მოთაღეფეს უჯოხოფს, ჰამა მითიქ ყუჯი ვა მეჩაფს“ - დიდდა შვილიშვილებს ეძახის, მაგრამ ყურს არავინ აძლევს.

9. ძილი

ნჯიი - ძილი შდრ. მეგრ. ჯან || ჯირ. „ნჯიი ვა მიღუნ“ - ძილი არა მაქვს (არ მეძინება). ქართული და ზანური მონაცემების შეპირისპირებით ძირად გამოიყოფა -ძ-, -ჯ- და -ინ-, -ილ-, -ან-, -ირ- სუფიქსები.

ჯანს - ძინავს. „ჩაიპიჯი დოსთიბერენ, მზოლა ჯანს“ - ზღვისპირეთს ძინავს სიმყუდროვეში (ჰელიმიში ხ. 2005, 49).

ონჯიუ - დაძინება (ქოდინჯირს - დაიძინებს, ქოდონჯიაფს - დააძინებს). „ონჯიუ მინონ, ჰამა ვა მანჯიენ“ - ძილი მინდა, მაგრამ არ მეძინება.

ნჯიელ - მძინარე. „ონჯლოე ვა გიქინი, ნჯიელი კოჩინა გოკუცხინი“ - სირცხვილი არ იცი, მძინარე კაცი რომ გააღვიძე.

უ ნ ჯ ი უ – უძინარი, დაუძინებელი. „უნჯიუ ქოდობსქიდი“ - უძინარი დავრჩი.

ო ნ ჯ ე ე – საწოლი, ლოგინი. „ონჯემუშის მითი ვა ონჯია“- მის საწოლში ვინმე არ დააწვინო.

ნ ო ნ ჯ ი ე – ნაწოლი. „ძაბუნიში ნონჯიეს ბეე დილინჯიენი?“ - ავადმყოფის ნაწოლში ბავშვი ჩაიწვინება?

ო ნ ჯ ი უ შ ი – დასაწვენი. „ოხორჯა ბანიწას ონჯიუში დიყო“ - ქალი საავადმყოფოში დასაწვენი გახდა.

ქ ე ლ ვ ა ნ ჯ ი უ – მიუწვა. „ნანდიდიქ ბეეს ქელვანჯიუ“ - ბებია ბავშვს მიუწვა“.

ლ ი უ ფ ს – თვლემს (შდრ. მეგრ. ლური – ყიფშიძე იოს. 1914, 273). საბა: ჰრული - მცირე რამ ძილი (საბა. 1938, 101). ჭანური „ლირ“ მნიშვნელობით უფრო ახლოსაა საბასეულ „ჰრულ“-თან, ვიდრე მეგრულ „ლურ“-თან. „დიდიქ ბითუმ ლიუფს“ - დიდელა ყოველთვის თვლემს.

ხ რ უ ტ ი ნ ს – ხვრინავს (შდრ. მეგრ. ხურხინს). „კოჩიქნა ხრუტინტას, ვა მანჯიენ“ - კაცი როცა ხვრინავს, არ მეძინება.

გ ო კ უ ც ხ უ – გაიღვიძა. გ ო კ უ ც ხ უ ნასახელარი ზმნაა, ნაწარმოებია კ უ ნ ც ხ ი || კ უ რ ც ხ ე -საგან. კ უ ნ ც ხ ი ფხიზელს ნიშნავს (შდრ. მკერცხი - ფხიზელი – საბა, 1938, 85).

გ ო კ უ ც ხ ი ნ ე ი – გაღვიძებული. „ბეეფე გოკუცხინეი მეაშქვი“ - ბავშვები გაღვიძებული დავტოვე.

გ ო კ უ ც ხ ი ნ ა ფ ს – აღვიძებს. „ჭუმანიში, მექთებიშა ოხთი-მუს ვახთის, ნანაქ ბეეფე ზოითენ გოკუცხინაფს“ - დილით, სკოლაში წასვლის წინ, დედა ბავშვებს ძლივს აღვიძებს.

ი ზ მ ო ჯ ე – სიზმარი. „იზმოჯე ძარი ხე გოგისუმე“ (კარტოზია გ. 1972, 12) - სიზმარში საყვარელო ხელს მოგისვამ. ლაზურ-სა და ქართულში გვაქვს კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობა.

10. გამოყოფის პროცესები

ლ ე მ ჭ კ ვ ა – ნერწყვი (შდრ. მეგრ. ლერჭყვა, ძვ. ქართ. ნერწყუა). ნე-, ლე- თავსართები მორფოლოგიური ექვივალენტებია. ზანური -რჭყე- ძირი კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. -რწყე- ძირს. -ა სუფიქსითაა გაფორმებული ფუძე ძველ ქართულსა და ზანურში (გელენიძე ლ. 1974, 247).

ნასახელარი ზმნაა ნ ო ნ ჭ კ ვ ა ლ უ – შეაფურთხა. „ბეე თერბიესუზი ძენ, უჩიტელის ნონჭკვალუ“ - ბავშვი უზრდელია, მასწავლებელს შეაფურთხა.

უ ფ ი – ოფლი (შდრ. მეგრ. უფუ). ოფ- საერთო ქართველური ძირია. ზანური უფ- მიღებულია ქართ. ოფ- ისაგან ბაგისმიერთა ასიმილაციის შედეგად. ქართ. -ლ და მეგრული -უ მორფოლოგიური ექვივალენტებია. ლაზური -ი მიჩნეულია მეგრული -უ -საგან მიღებულიად და სახელობითის ახლანდელ -ი- ნიშანში აირია (ჩიქობავა არნ. 1955). „ბეეს გონკაპინუთენ შუი ქოხთუ ღო უფითი ქოგეჩუ“ - ბავშვს სირბილით სული აძვრა და ოფლიც დაასხა.

ჩ ე ლ ა მ ო ე – ცრემლი. „ხნე ჩერვეთენ ვიქოსუფ ჩელამურეფე ჩქიმი“ (კარტოზია გ. 1972, 208) – თეთრი ცხვირსახოცით ვიწმინდავ ცრემლებს ჩემსას. მართან გვხვდება ასეთი ვარიანტები: ჩ ე - ლ ა მ უ რ ე || ჩ ი ლ ა მ უ რ ე,

ჩ ი ლ ა მ ბ რ ი || ჩ ი ლ ა მ ბ ი (მარი ნ. 1910, 209).

11. ორგანიზმის დამცველი რეაქციები და მასთან დაკავშირებული ცნებები

ძ ა ბ უ ნ ო ბ ა || ზ ა ბ უ ნ ო ბ ა – ავადმყოფობა, სნეულება. „ზაბუნობა ცხენითენ მუღუნ, მეხოფეი იგზალს“ - ავადმყოფობა ცხენით მოდის, ხოხვით მიდის (შეროზია რ., მემიშიში ო., 1994, 215).

ძ ა ბ უ ნ ი – ავადმყოფი. შდრ. ქართ. „ძაბუნი“ - ძალას-მოკლებული, უძლური, უნიათო (ქეგელ. 1986, 543). „ძაბუნის ვა კითხუფან - გდარი გინონია“ - ავადმყოფს არ ეკითხებიან - საჭმელი გინდაო? (შეროზია რ., მემიშიში ო., 1994, 261).

ჭ ვ ი ნ ი – ტკივილი (შდრ. ძვ. ქართ. „მჭუნვარე“ - აბულაძე ი. 1973, 313). „მი ბძირანა მიშველასენ გური ჩქიმიში ჭვინი“ - ვინ უნდა ვნახო, რომ მომირჩინოს ჩემი გულის ტკივილი (კარტოზია გ. 1993, 255). ჭ ვ ი ნ ი –ს პარალელურად ლაზურში ტკივილის მნიშვნელობით იხმარება ტერმინი წ კ უ ნ ი. „ეკო ჭამი ფშვი, ჰამა თის წკუნი ვა მეკამილუ“ - იმდენი წამალი დავლიე, მაგრამ თავის ტკივილმა არ გამიარა.

ა ჭ უ ნ ს – სტკივა. „პატი ტაონეფეს ყვილი-ყვალა აჭუნს“ - ცუდ ამინდებში ძვლები სტკივა.

წ კ უ ფ ს – სტკივა. „ჩიჩქუ ბეეს ყუჯი წკუფს“ - ჩვილ ბავშვს ყური სტკივა.

ო კ უ ს ი ნ უ – კვნესა. შდრ. ძვ. ქართულთან კ უ ნ ე ს ა (აბულაძე ი. 1973, 205).

მ ჩ ხ ო ფ ა || მ ჩ ხ ო ფ ა – სიცხე. მ-ჩხ-ოფა -ჩხ ძირიდან ნაწარმოები სახელია. იგი კანონზომიერ შესატყვისს გვაძლევს ქართულთან და მეგრულთან: მეგრ. სი-ნ-ჩხ-ე, სადაც -ნ- ფონეტიკური დანართია.

თ ხ ო მ უ ი – ჩირქი, თხრამლი. მეგრულ-ლაზური თ ხ ო მ უ რ- ფუძის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია ძველ ქართულში თ ხ რ ა მ ლ- ფუძე (საბა, 1938, 67).

Циала Наракидзе

Из лазской лексики связанной с физиологией человека

Резюме

В труде представлен словесный материал, характеризующий физиологию человека. Лексические единицы даны в контексте и рассмотрены на основе сравнения с данными картвельских языков. Исследование вышеназванной отраслевой лексики открыла для научной литературы много интересных лексических единиц лазского: Скидала – жизнь; Шуричквидупс – умирает; Ухвене – беременная женщина и др.

LEXIS CONNECTED WITH HUMAN PHYSIOLOGY

Summary

The work deals with the word stock connected with human physiology. The lexical units are given in contexts and are surveyed on the basis of the comparative analysis with the data of the Kartvelian Languages.

The research of the given vocabulary in the Laz dialect has revealed many interesting lexical units to the scientific literature so far: Skidala – life, Shurichkvidups – is dying, Ukhvene –pregnant woman, etc.

ლიტერატურა

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ასათიანი ირ., ჭანური ტექსტები, თბ., 1974.
3. ბსკიფა – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკ-ლორული არქივი.
4. გელენიძე ლ., ადამიანის ანატომია – ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974.
5. ვალნიში მ., თანდილაჟა ა., ღაზეთი, თბ., 1964.
6. კარტოზია გ., ღაზეთი ტექსტები, I-II თბ., 1972-1993.
7. Климов Г., Сравнительный словарь картвельских языков, М., 1964.
8. Кипшидзе Н., Грамматика мингрельского (иверского) языка, С - П, 1914.
9. Мэрр Н., Грамматика чанского (лазского) языка, С – П, 1910.
10. ორბელიანი ს., ქართული ლექსიკონი, ტფ., 1938.
11. ჟღენტი ს., ჭანური ტექსტები, ტფ., 1938.
12. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.
13. ყიფშიძე ი., ჭანური ტექსტები, ტფ., 1938.
14. შეროზია რ., მემიშიში ო., ხალხური სიბრძნე, I, თბ., 1994.
15. ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936.
16. ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938.
17. ჰელიძე ს., ლექსები, ბირაფაფე, ბათ., 2005.

მნიშვნელობის ლექსიკასთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი აჯარული

აჯარული ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი კილოთაგანია. ლინგვისტური თვალთახედვით დიალექტური მონაცემები მნიშვნელოვანია ენის განვითარების ზოგად კანონზომიერებათა დასადგენად და ისტორიული განვითარების პროცესში ენაში მიმდინარე მოქმედ ცვლილებათა წარმოსაჩენად. სალიტერატურო ენა ყოველთვის მდიდრდება და საზრდოობს დიალექტებით, ხალხის ცოცხალი სასაუბრო მეტყველებით. დიალექტური თავისებურებანი მეტად გამძლეა და „ხალხის ყოფაში რჩება მათი წარმომშობი პირობების შეცვლის შემდეგაც კი“ (დლონტი აღ. 1984, 3).

დიალექტის ენობრივ თავისებურებათა განსაზღვრაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ლექსიკას ენიჭება. საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური თუ კულტურული ცვლილებები ენაშიც აისახება. ძირითადად კი ენის ლექსიკაში. ამიტომაცაა, რომ ენაში შედარებით მეტ ცვლილებებს ლექსიკა განიცდის, რომელიც „უშუალოდ ასახავს და ერთბაშად ეხმაურება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს“ (ჩიქობავა არნ. 1951,84). ლექსიკიდან კი „სწორედ ის ნაწილია მოძრავი და ცვალებადი, რომელიც საზოგადოების კულტურას ასახავს (ნებიერძე გ. 1991,245).

დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები და მასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები, ხატოვანი სიტყვა-თქმები ენის სიტყვიერი ფონდის გამდიდრება-გამრავალფეროვნების საფუძველია. ხატოვანი სიტყვა-თქმები ენის წიაღიდან მომდინარეობენ, ეროვნული სულისაგან იბადებიან და მკვიდრდებიან ენაში. ისინი ენის სახეობრიობაა. გარდა თავისებური შინაარსისა, მხატვრული დახვეწილობითა და ლაკონურობითაც გამოირჩევიან და განსხვავდებიან ენაში თავისუფალი შესიტყვებისაგან.

ხატოვან სიტყვა-თქმებთან სემანტიკურად სხვა, გადატანითი მნიშვნელობაა დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში, ცალკე აღნიშნულ სიტყვას დაკარგული აქვს პირვანდელი მნიშვნელობა და ერთ სემანტიკურ მთლიანობაშია მოქცეული. იქმნება ისეთი „გაქცავებული გამოთქმები“, რომელთა „კომპონენტების მნიშვნელობა შთანთქმულია იდიომის საერთო შინაარსით“ (ნიჟარაძე შ. 1971,31).

კუთხური მეტყველების სიტყვიერმა მასალამ, ხატოვანმა სიტყვა-თქმებმა იმთავითვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობაა მოცემული მ.ხუბუას, აღ. დლონტის, შ. ნიჟარაძის, შ. ძიძიგურის, ა.თაყაიშვილის, ჯ. ნოღაიდელისა და სხვათა გამოკვლევებში. ქართული სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი საგანძურია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“. თუმცა ეს

მაინც სრულად ვერ ამოწურავს ქართულ კილო-თქმათა ლექსიკის იმ მარაგს, რაც ჯერ კიდევ ხალხის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში მკვიდრობს. ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას დაუცავს ყოფით თუ სამეურნეო დარგთან დაკავშირებული გამოთქმები, რომელთაც თავისუფალი შესიტყვების სემანტიკა დაუკარგავთ. უთუოდ ღირებულია დიალექტის დარგობრივ ლექსიკაზე მუშაობა, თუმცა გარკვეული სიძნელეებიც ახლავს: „ამ სახის ლექსიკა ცოცხალ მეტყველებაზე ხანგრძლივ და სისტემურ დაკვირვებას მოითხოვს. მსგავსი მასალის უხვად მოპოვება შეიძლება ხალხთან უშუალო ურთიერთობისას, როცა საუბარი ლაღად, ძალდაუტანებლად ვითარდება და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ საკითხებს ეხება“ (ნოღაიდელი ნ. 2007,6).

სწორედ დიალექტის დარგობრივ ლექსიკას თუ მასთან დაკავშირებულ ხატოვან სიტყვა-თქმებს დაუცავს ბევრი ისეთი სიტყვა, რომელიც შესაძლოა დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაში. ასეთი სიტყვა-თქმები ჩვენი ენის დაფარულ საუნჯედ არ უნდა იქცნენ.

საყურადღებოა ხალხის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში დაცული ის ხატოვანი სიტყვა-თქმები, გაქვავებული თუ მყარი სიტყვათა შეხამებანი, რომლებიც სპეციფიკურია აჭარული კილოსათვის. აჭარული დიალექტის მემინდვრეობის ამსახველ ლექსიკას უამრავი ხატოვანი სიტყვა-თქმა დაუცავს:

ბერეკეთა □ **სიმინდი**— წყვილად გაზრდილი სიმინდის ტარო: „ორტოლა სიმინდი-ბერეკეთაჲ სიმინდს ვეტყვი“.

ბრინჯის გაშეშება// **ბრინჯის გაჩაღება**— ბრინჯის უმარცვლო თავთავი: „ბრინჯი ომ ყვავილობს, ამ დროს ყანაში არ გვირება. იგი ფუჭდება და ბრინჯი გაშეშდება, გაჩაღდება.“ ე. ი. თავთავს არ გაიკეთებს.

გაშეშებული ადგილი —გამოუსადეგარი ადგილი, რომელიც არც სათიბად, არც საყანედ გამოიყენება: „ბრავას ვუძახით გაშეშებულ ადგილს, აღარც სათიბადაა, აღარც ყანადაა“.

გაჭედილი კოტა— სავსე, მარცვლიანი სიმინდის ტარო: „სავსე კოტაზე ითქმება- გაჭედილი კოტააო“.

გული ყანა—კარგად მოვლილი ყანა.

ზეგამბარა □ **ნათესი**—არათანაბარი ნათესი: „ყანას რომ არ დახაზავ და ისე დათესავ, ზოგან ხშირი, ზოგან ტიალი ამოვა. ამაზე ითქმება: ზეგამბარაჲ ნათესიაო“.

კანულის გავლება— საერთო საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე წინასწარ თესლის ჩაყრა მიწაში. ამისათვის შეარჩევდნენ დღეს, მოვარეს. მოვარე აუცილებლად სავსე უნდა ყოფილიყო და ხუთშაბათი გავლილი. შემდეგ სამშაბათ დღეს პირველად ჩათესდნენ მიწაში თესლს, ცუდი ამინდიც რომ ყოფილიყო, ამას ეძახდნენ ყანულს // კანუხს. შდრ. საბასთან კანოხი- „გაზაფხულ პირველ კარის შებმას უწოდებენ მესხნი“.

კარში ყანა—საცხოვრისს მოშორებული ყანა: „სახლის გარეთა ყანას კარში ყანა ქვია“.

კაკილოს გაღება//**კიპის გაღება**— გაღვივებული მარცვლის აღმოცენების დაწყება, გაღვივებული მარცვლის მიერ ამოყრილი უმცირესი მორჩი.

კოტაზე ცხვირის მოხოცვა— სიმინდის ტაროზე უმარცვლო წვერის წატეხა: „წუწუმეტად კაკალი აქ კოტუმს წვერზე. იმას რომ მოგტეხთ- ცხვირი მოვხოცეო-ვიტყვი“.

მიწის გამოკავება/მიწის დაჭერა— გვალვისაგან სახნავი მიწის იმდენად გამოხმობა, რომ ხვნა-თესვა შეუძლებელია: „ნადარვეზე მიწა გამოკავებულია, გამოგვალულია და გოროსმა იცის ადგომა“.

მიწის დაღამება— მიწის მოცდენა: „მაგითვინ როგორ დავაღამებო ბიებთ მიწას“.

მიწის მოჭმა— „მიწა რომ მეიჭმება, მეიკოხაო, იტყვიან“.

ნაბრიყვები სიმინდი— სიმინდი, რომელიც ტაროს არ გამოიღებს, ნაყოფს არ იძლევა: „ნაბრიყვები სიმინდი ჩალათ წავა, კოტებს არ გეიკეთებს, იბრიყვა სიმინდმაო“.

ნეფისთითას ხვაგი— ორი-სამი სიმინდის ტარო ტყუპად ამოსული: „ორ-სამ ტყუპ კოტას უძახიდენ ნეფისთითას ხვავს“.

პირის აჭრა— ბრინჯის დათესვიდან მეშვიდე დღეს ნახავენ, მიწაში თესლი გასივებული, დაღერძილი თუ არის: „მეშვიდე დღეზე აჭრიან პირს. ნახვენ: „თესლი გასივებულია, დაღერწულია“.

პურის აჯეჯლება— კარგად ამოსული პურის ნათესი.

პურის ფერის ქცევა— იტყვიან სიმწიფეში წასულ პურის ყანაზე: „პური ამოვიღოდა, თავს დაიდგამდა, ოდოში გახდებოდა, ფერ იქცეოდა, გაბრეშდებოდა, მერე დამწიფდებოდა“.

როკამ ხევის გეიკეთა— სიმინდის ტაროს დამარცვლიანება: „ტაროს როკას ვეტყვი. მარცვალს რომ დეისახავს, ვიტყვი- როკამ ხევის გეიკეთაო, დეიწერაო“.

სამწრიაოს ამოღება— სიმინდის ყვავილის, ქოჩრის ამოსვლა: „კად ყანა გვაქ, ჭყინტილიანი, სამწრიაო ამოვიღო“.

საღარა კოტუში— სიმინდის ტარო, რომელსაც მარცვლის რიგებს შორის აქვს სიცარიელე: „საღარა კოტუმს კაკლის მწკრივებს შორის სიცარიელე აქ აქით-იქიდან“.

სიმინდის გოგზე შედგომა— სიმინდის მუხლზე შედგომა. სიმინდი მუხლებით იზრდება. თითოეული მუხლი გოგია. მცენარეს პირველი გოგი რომ გამოუჩნდება, იტყვიან სიმინდი გოგზე შედგაო. შდრ. საბასთან გოგი-თითის გარეგანი ნაწევარი, თითების სახსრები.

სიმინდი თავს იყრის— სიმინდი იზრდება: „პური ამოვიღოდა, რომ გეიხდებოდა-თავი იყარა“.

სიმინდი ენას ამეიდებს— სიმინდის ტაროს ჩანასახის გაჩენა.

სიმინდის დაწერვა // სიმინდის ჩაწერვა— სიმინდის ტაროზე მარცვლის გაკეთების დაწყება. იმავეს აღნიშნავს თქმები: სიმინდის დაწიწილება, სიმინდის დასახვა: „ჩეიწერაო, ახალათ ჩაწერილა, მარცვალს რომ ჩაისახავს“.

სიმინდი დაიბოლა— მცენარემ ფოთლები გაზარდა, მცენარე დაიფოთლა: „სიმინდი რომ ჟვერებს დაიზდის, სიმინდი დაიბოლაო, ითქმება“.

სიმინდი მუხლს გეიკეთებს // სიმინდი მუხლს გაიმაგრებს // სიმინდი მუხლს დეიკავენს — სიმინდის მთავარი ძირის წამოსვლა, გოგზე შედგომა: „მეორედი გეიმაგრა მუხლზეო, შებაზებულია სიმინდიო“.

სიმინდის დაორსულება—სიმინდის ტაროს გამოღება: „სიმინდი ჯერ ქოჩორს ამოიღებს, მერე მეიკატრის, დაორსუდება”.

ტყვილა □ **ჩაღა**— სიმინდი ტაროს არ გაიკეთებს, უნაყოფო დარჩება: „ლეშხია ეს სიმინდი, ტყვილად ჩაღა.”

ქერაობის დადგომა— ხვნის დაწყების დრო: „ ზეგანში ხნის დაწყებას ქერაობას უძახიან, ქერაობა დადგაო.”

ქოჩრის აყრა— // **ქოჩრის გადმოყრა**—ქოჩრის ამოსვლა: „სიმინდი რომ ქოჩორს ეიყრის, - იტყვიან, რომ დაწერილია”.

ყანიების დაჩორჩხვა— ნათესის დაღვარვა კოკისპირული წვიმისას: „სეღგარი ღვარია. სეღგარი ყანიებს დაჩორჩხავს, დაღვარავს”.

ყურის მოცლა— სიმინდის ნათესი როცა ორ-სამ ფოთოლს წამოიღებს, იტყვიან ყური მოიცალა.

ყანის გაშარნაღება— ნათესის გამომარგვლა, გაფხეკა.

ყანის გაწბილება—თესლი არ აღმოცენდება, ნათესი არ ამოვა. ამას ყანის გაწბილებას ეძახიან.

ყანას კა □ **პირი გამუჩდება**—სავარაუდოდ კარგი მოსავალი იქნება.

ყანის დაჯანგა—იტყვიან, როცა კარგი მოსავალი ჩანს, მცენარეს მუქი, ცოცხალი ფერი აქვს: „როცა გაშავდება ყანა, კად პირი გა-მუჩდება, დაჯანგა ყანაო-ითქმება, ყურყუმელა ყანაო”.

ყანის მოცდენა— დათესილი მარცვალი სრულად არ აღმოცენდება: „ალაგ-ალაგ რომ ამოვა, ყანა ნაცდენია, ბოკლებ-ბოკლებადაა ამოსული. განაცდენ ადგილს ვეტყვით ბოკლებს”.

ყანას კაბა შერეგია—ყანის სიმწვანეში მწიფე, თეთრი, ფერ-ნაცვალი ტაროს გამოჩენა: „სიმინდის შებაზებისას იტყვიან: როცა სიმინდი მწიფობას იწყებს, სიმინდი შებაზებულია, ითქმება, სიმინდს ჩვენ ყანაში შეერია კაბაო”.

ანალოგიური მნიშვნელობით გვხვდება სიტყვა-თქმა „ყანას პერანგი გარეგია”: „სიმინდი ჯერ დაჭყინტდება. მერე შებაზდება. ვიტყვით, ყანას პერანგი გარეგია”. საინტერესო თქმა დაუცავს ლაზურს: „ყონა დიქარტალუ-ყანა გადაქალაღდა (გადათეთრდა).ასე იტყვიან დამწიფებულ ყანაზე” (ნარაკიძე ც., 2007,55).

ყანის გამორეგვა— გამარგლა, ზედმეტი ამონაყრების მოშორება.

ყანის გამოსხეღვა— გამარგლა.

ყანის გაძირვა— ყანაში სარეველა ბალახის მომრავლება: „ყანას რომ სარეველა მოეძალება, იტყვიან გაძირა ყანაო, გაძირული ყანა მაქო”.

ჩაღის აქოჩვა— ჩაღის კონების ერთიმეორეზე ისე მიწობა, რომ არ წაიქცეს, ასე აწყობენ გამოშრობა-გამოხმობის გამო.

ჩაღის დაჩქმეტა—ძლიერი წვიმის დროს ჩაღის ფოთლები დაზიანდება, ფოთლებზე ნახვრეტები გაჩნდება, ღეროები დარჩება მხოლოდ.

ჩანწყრეული პური—თოვლში დარჩენილი პური: „პური, რომელსაც თოვლი მოუსწრებს, ჩანწყრეულ პურს ვეტყვით”.

წიწილა (წიწილა) სიმინდი— სიმინდის ტარო, რომელსაც მარცვ-ლები ახლად აქვს წამოსული.

ჭაღის გატეხვა—საერთოდ მოუხნავი ყანის დახვნა: „სულ მოუხნავ ყანას თუ მოხნავ, - ჭაღა გავტეხეო”.

ჭაღის გაჭრა—თიბვის დაწყების დრო: „გუშინ გაჭრეს ჭაღები”.

ხაზი ყანა– დაუმუშავებელი ყანა: „დაუმუშავებელი ყანა უყია. უყ ყანას- ხამიო- ეტყოდენ“.

ხამის გათერძვა–ყამირის გატეხა.შრდ. აღ. ღლონტთან: ათერძვა- დაუმუშავებელი მიწის პირველხვნა“.

ხერხშია სიმინდი– „იტყვიან პაწ-პაწად წამოსული რომაა სიმინდი“.

კირნათ-მარადიდის მეტყველებაში ხშირად გვხვდება სიტყვა-თქმა: „ნალიის ჩამონაყვა“ და „ანგელოზმა თითი ჩამოუსვა“.ნალიაში დაყრილ სიმინდს ტოკმეცით დანაყავდნენ. სიმინდის მარცვლები ჩაცვივდებოდა ნალიის ქვეშ, რადგან იატაკი ერთმანეთზე ცოტათი დაშორებული აქვს ნალიას. ნალიაში დარჩება ქუნჩალი- ამას ნალიის ჩამონაყვას ეძახიან. ხოლო ისეთი სიმინდის ტაროზე , რომელსაც რამოდენიმე რიგი უმარცვლო და პრიალა აქვს, იტყვიან ანგელოზმა თითი ჩამოუსვაო.

როგორც ვნახეთ, აჭარულ დიალექტს მემინდვრობის ლექსიკასთან დაკავშირებული საინტერესო ხატოვანი სიტყვა-თქმანი დაუცავს.

ბუნებრივია, ეს მასალა სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის ენის ფრაზეოლოგიური შესაძლებლობების გამოვლენის კუთხით, თუმცა საკმარისია იმის დასტურად, თუ როგორ ხატოვნად და ზედმიწევნითაა ასახული ხალხის გონებრივი თუ სულიერი ცხოვრების გამოცდილება ამ სიტყვა-თქმებში. ამოუწურავია ხალხის მხატვრული აზროვნებისა და წარმოსახვის შესაძლებლობანი. ამასთანავე, ეს სიტყვა-თქმები ენის ლექსიკის გამდიდრების მნიშვნელოვანი წყაროცაა და შესაძლებელია დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაში.

Эльза Путкарадзе

Образные слова и выражения связанные с полеводством в Аджарском диалекте

Резюме

Диалектические данные значительны в установлении развития общей закономерности языка. В определении языковых особенностей одно из решающих значений принадлежит лексике. Лексические единицы и связанные с ними образные слова и выражения – основа обогащения языкового фонда. Живая разговорная речь сохранила бытовую и отраслевую лексику, которые потеряли свободную семантику общения.

Именно, отраслевая (бытовая) лексика сохранила множество таких слов, которые, возможно, утвердятся в литературном языке. Такие слова не должны оставаться закрытым сокровищем.

В живой народной речи нужно уделить внимание тем словам и образным выражениям, которые специфичны для аджарского диалекта. В труде рассмотрены образные слова и выражения, связанные с лексикой полеводства.

The Figurative Word – Expressions Connected with Field Crop Cultivation in Adjarian Dialect

Summary

Dialectical facts are important to improve language common regularity. Lexical figurative word- expression is base for enrichment of dictionary. It defends alive colloquial speech and expressions. Dialect defends lot of such local words which may be used in literature. It's important to defend people's alive colloquial speech those figurative word- expressions, which is specific for adjarian dialect.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1973.
2. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დიალექტოლოგიური არქივის 1969-1981 წლის მასალები.
3. ნარაკიძე ც., ფრაზეოლოგიური გამოთქმები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი ლაზურში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IX, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2007.
4. ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1991.
5. ნიუარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1971.
6. ნოლაიდელი ნ., „სიტყვა სიტყვის მაკინარია“ (ხატოვან სიტყვა-თქმათა ნიმუშები აჭარულ დიალექტში), აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IX, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2007.
7. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, I, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1991.
8. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, II, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1993.
9. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1979.
10. ღლონტი ალ. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1984.
11. ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გამომცემლობა სსრკ „მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი“ თბ., 1938.
12. ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1951.

ფონეტიკური მოვლენის მორფოლოგიზაციის შემთხვევაი ქვემო აჭარის ტოპონიმიაში

(მაჭახლის ხეობის მასალის მიხედვით)

ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმთა რაოდენობა მაჭახლის ხეობაში ორ ათეულს აღწევს. თითოეულ მათგანს საფუძვლად უდევს პირის სახელი, რომლის ამოცნობაც სადღეისოდ ერთი შეხედვით ჭირს, რადგან ამ რიგის სახელთა უმეტესობა თანამედროვე ქართულ ონომასტიკაში კარგა ხანია, აღარ იხმარება. ამ სახელთა უმრავლესობა წერილობითი წყაროებითა თუ დოკუმენტური მასალებით დასტურდება ქართველურ საკუთარ სახელებად.

ყველაზე მრავლად – ევ სუფიქსიანი ტოპონიმები გვხვდება: მარჯანევი, ამზევი, მაზარევი|მაზარევა, ძღვეი|ძღვერი, ჩინჩალევი, ჯებნევი, გუნდარევი.

ტოპონიმ მარჯანევის პარალელურ ფორმად დასტურდება მარჯანეული, რაც გვაფიქრებინებს, რომ ადგილის სახელს საფუძვლად პირის სახელი უდევს. თუ ჩამოთვლილ სახელთა ძირებს მოვიძიებთ ქართველურ საკუთარ სახელთა ლექსიკონში, აღმოჩნდება, რომ გვქონია ისეთი ანთროპონიმები, როგორიცაა მარჯანი, ამზია, ძილა|ძილე, ჩინჩალა, ჯებანა, გუნდარი, ნაზარ (→მაზარ).

საკუთარი სახელის ტოპონიმად გაფორმებისას მაგალითად, “მარჯან” საკუთარ სახელს დაერთო პირისაგან წარმომავლობის აღმნიშვნელი – ეულ სუფიქსი, რომელიც შედგენილობით რთულია და მომდინარეობს – ევ – ულ სუფიქსისაგან. ყველა ჩვენს შემთხვევაში იგი პირდაპირ საკუთარი სახელის ფუძეს დაერთვის. შემდეგ ხდება სუფიქსისეული უს რედუცირება გდ, რასაც მოსდევს ბოლოკიდური თანხმოვნის დაკარგვა: მარჯან–მარჯან–ეულ–ი→მარჯან–ეულ–ი→მარჯან–ევი.

ბოლოკიდური თანხმოვნის გაუჩინარების პროცესი ჯერაც დასრულებული არ არის. სუფიქსის ბოლო თანხმოვანი ზოგ ტოპონიმში ახლაც დასტურდება პარალელურ ფორმაში. მაგ.: ძღვეი|ძღვერი, გუნდარევი|გუნდარევი... სუფიქსისეული თანხმოვნის დაკარგვას შესაძლებელია იმანაც შეუწყო ხელი, რომ თითქმის ყოველთვის პირის ბოლოკიდური თანხმოვანიც სონორი ბგერაა.

მსგავსი წარმოების გეოგრაფიული სახელები ქვემო აჭარის ტოპონიმიაში არ დავიდასტურებია. აქ – ეულ სუფიქსი ყველგან საკუთარი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ერთვის და გვაძლევს –ოლ, –ოულ დიალექტურ ვარიანტებს: ეფრემისოლი (ბობოყვათი), კაკაისოლი|კაკასოლი (ქვსამება), ნადირისოული (კოხი)...

პირისადმი ადგილის კუთვნილებაზე მიუთითებენ აგრეთვე შემდეგი ტოპონიმები: კვირიკავი, გულიავი, ნუკრავი|ნუკრიავი, ჭაპუკავი, ცქილავი, ბაბლუცავი. აქ – ავ სუფიქსი მოქმედებს, რომელიც – ა

ხმოვანფუძიან სახელებზე –ურ სუფიქსის დართვით მიიღება, მაგ., ტოპონიმი “კვირიკავი” მიღებულია –ა ხმოვანფუძიან საკუთარ სახელზე კვირიკა –ურ სუფიქსის დართვით –კვირიკაური. შემდგომ ხდება სუფიქსისეული უ-ს რედუცირება–კვირიკაური და სუფიქსისეულივე ბოლოკიდური სონორი თანხმოვნის დაკარგვა–კვირიკავი. იგივე პროცესი არის სავარაუდებელი სხვა შემთხვევებშიც.

პირის სახელები კვირიკა||კვირიკე, გულია, ნუკრი||ნუკრია, ჭაპუკა, ცქირი||ცქირია ქართველური საკუთარი სახელებია (დლონტი ა. 1986). ტოპონიმში “ბაბლუცავი” დაფიქსირებული საკუთარი სახელი ბაბლუცა არ დასტურდება ქართველურ ანთროპონიმთა ლექსიკონში, მაგრამ ანალოგიის წესით მის აღდგენას წინ არაფერი ეღობება.

შედარებით იშვიათად გვხვდება –ივ სუფიქსიანი ტოპონიმები. აქ ამოსავალ ფორმას რთული –ივ –ურ სუფიქსი წარმოადგენს. “ქვიტი” ქართველური საკუთარი სახელია. გვაქვს ადგილის სახელი “ქვიტივი” და მისი ფონეტიკური სახესხვაობანი: გარდამავალი ფორმა ქვიტიერი და ქვიტირი, სადაც ბოლოკიდური თანხმოვანი შენარჩუნებულია და დაკარგულია რედუცირებული ვ თანხმოვანი. ტოპონიმის მიღების გზა ასეთია: ქვიტი–ქვიტ-ი(ვ)–ურ–ი→ქვიტ-იერ–ი→ქვიტივი.

ადგილის სახელი “პეტრივი” მიღებულია პირის სახელისაგან პეტრე–პეტრ-ი(ვ)–ურ–ი→პეტრ-იერ–ი→პეტრ-იელ–ი→პეტრ-ივი.

ამრიგად, –ჟვ სუფიქსი მიღებულია –ეულ (← –ევ-ულ) სუფიქსისაგან სუფიქსისეული უ ხმოვნის რედუცირებისა და ბოლოკიდური სონორი თანხმოვნის დაკარგვის გზით: მარჯან-ეულ–ი→მარჯან-ეულ–ი→მარჯანევი. –ავ სუფიქსი მიღებულია –ა ბოლოხმოვნიან საკუთარ სახელზე –ურ სუფიქსის დართვით, როცა იკარგვის ბოლოკიდური სონორი თანხმოვანი და რედუცირდება სუფიქსისეული ხმოვანი: კვირიკა–ურ–ი→კვირიკა–ერ–ი→კვირიკავი. –ივ სუფიქსი მიიღება –ი(ვ)–ურ რთული სუფიქსისაგან იმავე გზით, ე.ი., სუფიქსისეული უ-ს რედუცირებითა და ბოლოკიდური თანხმოვნის (სონორის) დაკარგვით.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველად მკვლევარმა ამსხალაძემ აღნიშნა ფორმობრივ –ევ, –ივ, –ავ სუფიქსთა მიღება –ეულ, –იურ, –აურ სუფიქსებისაგან (მსხალაძე ა. 1954, 25–26). იგი თავის წერილში მხოლოდ სუფიქსთა წარმომავლობის ფორმობრივ მხარეს შეეხო.

ყველა –ევ, –ავ, –ივ სუფიქსებიანი ადგილის სახელი წარმოშობით საზღვრულდაკარგული მსაზღვრელია. ტოპონიმი “პეტრივი” მიღებულია სინტაგმისაგან “პეტრივი ყანა”, ე.ი. პეტრეს ყანა, პეტრეს კუთვნილი ყანა. “ჩინჩალევი” ვინმე ჩინჩალას ადგილს, ჩინჩალასეულს აღნიშნავს. “გულიავი” გულიას მამული, გულიას კუთვნილი ყანაა. კუთვნილებითი ნიუანსი ყველა აღნიშნულ სუფიქსიან ფორმაში ჩანს, რაც სუფიქსთა ფუნქციიდან გამომდინარეობს.

ყოველი –ევ, –ავ, –ივ სუფიქსებიანი ადგილის სახელი მიკროტოპონიმს წარმოადგენს.

თუ ასეთივე სუფიქსიან სახელებს მოვიძიებთ ქართულ ოიკონიმთა ინვერსიულ ლექსიკონში (ა.ფრიდონიძე შ. აკალათია ფ. 1980), აღმოჩნდება, რომ პირის სახელებზე დართული –ევ, –ავ, –ივ სუფიქსიანი ტოპონიმები არ დასტურდება ქართულ ოიკონიმთაში. აღნიშნული სუფიქსები ან კონფიქსისეულია (ნადარბაზევი, ნაღვარე-

ვი), ან უცნობი სემანტიკის მქონე სახელს დაერთვის (ვარგავი, ხუნევი, ფხუნდვეი, გეხავეი), ან მრავლობითი რიცხვის ნიშნის ფარდ სუფიქსს წარმოადგენს (ბელღევი, ვაშღევი, ბოსღევი) და ა.შ.

ფონეტიკურ ცვლილებათა გზით მიღებული კუთვნილებით-მქონეობითი ფუნქციის მქონე ეს სუფიქსები არც ქართული ენის მორფემათა ლექსიკონშია აღნუსხული (ჯორბენაძე ბ. კობაიძე მ. ბერიძე მ. 1988).

-ევ, -ავ, -ივ სუფიქსები იფართოებენ მოქმედების არეს და არაპიროვნულ, საზოგადო სახელებსაც დაერთვიან, ინარჩუნებენ რა ქონების, მქონეობითი ნიშანს (ფუნქციას).

სოფელ ცხემლარაში არის ბუჩქნარითა და ტყით დაფარული ფერდობი, რომელსაც ზრუგავი||ზრუგაური ჰქვია. ზრუგავი მიღებულია ზურგავ ფორმისგან და ამოზურცული, ზურგიანი ადგილის სახელწოდებას წარმოადგენს.

ასევე ცხემლარაშია ფერდობი, სახელწოდებით კირნავი. მისი ვარიანტებია კირნავლი||კირნაული||კინაული. სავარაუდოა, ამ ტოპონიმში დაფიქსირებული იყოს აქ ოდესღაც არსებული რკინის წარმოების ფაქტი.

სოფელ სკურდიდში დასტურდება ჰიდრონიმი უძარღვევი, პარალელური ფორმით უძარღვო ღელე. უძარღვევი დაუტოტავი, უშენაკადო ღელეა და მდ. სკურდიდს ერთვის.

მოყვანილ მაგალითებში (ზრუგავი, კირნავი, უძარღვევი) გამოირიცხულია -ევ და -ავ სუფიქსთა გამოყენება პირის სახელთაგან წარმომავლობის აღსანიშნავად. ამ შემთხვევაში აღნიშნული სუფიქსები გამოიყენებიან რაიმეს ქონების, მქონეობის ფუნქციით.

ფონეტიკურ პროცესთა შედეგად მიღებული აფიქსის მორფოლოგიური ფუნქციით აღჭურვის დასადასტურებლად განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი შემთხვევა, როცა -ავ სუფიქსი გამოიყენება უცხო ენობრივ, სახელდობრ, თურქულ ძირთან დამოუკიდებელ აფიქსად: “tağ” თურქული სიტყვაა და “ქვას” ნიშნავს. ადგილის სახელათ ტაშავი||ტაშავიქელი სოფელ ჩიქუნეთში აღინიშნება აქა-იქ მწირი ბუჩქნარით დაფარული კლდოვან-ქვიანი დიდი ფერდობი. ტოპონიმი “ტაშავი” ისეთივე ადგილს აღნიშნავს, როგორსაც ტოპონიმები “ქვაენარი”, “ქვიანი”, “როხიანი” და სხვ.

მაჭახლის ხეობის მომიჯნავე სოფლებში, რომლებიც აჭარისწყლისა და ჭოროხის ხეობებში მდებარეობენ, აღნიშნული სუფიქსები, თუმცა არაპროდუქტულად, მაგრამ მაინც გამოიყენება როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელთაგან მომდინარე ტოპონიმებში. პირის სახელთაგან მომდინარეობენ ადგილის სახელები: თოდორავი, იორდანევი სოფ. კირნათში, ფირცხალავი სოფ. უჩხითში, ზაქარევი ზედა მადლაკონში. აპელატივთაგან მომდინარეობს დიდგულევი სოფ. ზედა თხილნარში, მანდილევი ერგეში, ფერდელევი კაპნისთავში, მჭედლივი სოფ. კირნათში.

საინტერესოა, რომ სოფელ მარადიდში, რომელიც ჭოროხს გაღმა მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე, -ევ, -ავ, -ივ სუფიქსებიანი არც ერთი ტოპონიმი არ დასტურდება. აქ საგულისხმოა გავიხსენოთ ამ მხარის ოსმალური ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა, რომლის მიხედვითაც სოფლები მადლაკონი, უჩხი-

თი, მილისი, ნამლისევი, კირნათი, კობალეთი, გვარა მაჭახლის ნაპიეში ანუ თემში შედიოდნენ, ე.ი. თემობრივ ერთი საზოგადოება იყო, ხოლო სოფელი მარადიდი გონიოს თემს ეკუთვნოდა. იგი გეოგრაფიულადაც და ადმინისტრაციულადაც გამიჯნული იყო მაჭახლის ხეობის უშუალო გავლენისაგან (Лисовский В.Я. 1887).

საკითხის გასარკვევად საინტერესო იქნებოდა ზედა მაჭახლის მონაცემთა გათვალისწინება, ან საერთოდ, შავშეთის ტოპონიმის მონაცემები.

როგორც ცნობილია, აკად. ნიკო მარმა 1904 წელს შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობისას შეკრებილი მრავალმხრივ საინტერესო მასალა დღიურების სახით დაურთო მის მიერვე აღმოჩენილ და 1911 წელს პეტერბურგში გამოცემულ გიორგი მერჩულეს “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას”. “დღიურებში” უხვადაა ფიქსირებული ამ მხარეთა ტოპონიმაც. მარისეულ მასალაში ჩვენთვის საინტერესო სუფიქსებიანი ტოპონიმები არ დასტურდება (Март И.Я. 1911).

არ დასტურდება მსგავსი წარმოების სახელები არც პროფ. ი.სიხარულიძის წიგნში “შავშეთ-იმერხევი”, რომელიც ამ ორი მხარის ტოპონიმის აღნუსხვა-აღწერას ისახავს მიზნად (სიხარულიძე ი. 1988).

პროფ. ნ.ცეცხლაძის ნაშრომში “შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია” ზედა მაჭახლის მასალა ვერ ვიპოვეთ, მთლიანად რეგიონში კი ჩვენთვის საინტერესო ერთეული მაგალითებია დაფიქსირებული, მაგ.: იფხრეველი, ხოხლევი-სოფლებია, გოდანავრი-სათიბი (წეთილეთი). ოღონდ პირის სახელი ამოსავლად მხოლოდ უკანასკნელ მაგალითში დგინდება (ცეცხლაძე ნ. 2000, 171, 186, 238).

პროფ. ი.სიხარულიძე ზედა მაჭახლის სოფლების უბანთა დასახელებისას ადასტურებს ტოპონიმებს ტრედავლი (ეფურატის უბანი) და გოხინავი (ზედვაკე). მაშასადამე, პროცესი მთელი ხეობისათვის არის დამახასიათებელი (სიხარულიძე ი. 1958, 175).

ვფიქრობთ, მაჭახლის ხეობაში დადასტურებულ -ეფ, -ავ, -ივ სუფიქსებიან მიკროტოპონიმებში საქმე გვაქვს ლოკალურ მოვლენასთან, როცა ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგად ყალიბდებიან დამოუკიდებელი მორფოლოგიური დერივატები, რომელთაც საკუთარი აფიქსური ღირებულება გააჩნიათ.

Тамар Кукуладзе

**Морфологизация фонетического явления в топонимии Нижней
Аджарии
(По материалу Мачахельского ущелья)**

Р е з ю м е

В Мачахельском ущелии, в Нижней Аджарии, фиксируется локальный топонимический факт, когда в итоге фонетических изменений формируются морфологические дериваты, которые имеют собственную аффиксальную релевантность.

Cases of Morphologizing Phonetic Occurrences in the Toponymy of Lower Adjara

Summary

In micro-toponyms with the suffixes -ev, -av, -iv confirmed in the Machakhela Gorge, Lower Adjara, the local phenomenon takes place when, as a result of the phonetic changes, the independent morphological derivatives are formed which possess their own affix values.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აღ.დლონტი. ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი), თბილისი, 1986.
2. ა.მსხალაძე. მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკისათვის, ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი, 1954.
3. შაფრიდონიძე, ფ.მაკალათია. ქართული ოიკონიმები. ოიკონიმთა ინვერსიული ლექსიკონი, ტოპონიმიკა, II, თბილისი, 1980.
4. ბ.ჯორბენაძე, მ.კობაიძე, მ.პერიძე. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988.
5. Лисовский В.Я. Чорохский край, Тифлис, 1887.
6. Март И.Я. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию. «Георгий Мерчул. Житие св. Григория Хандзийского», С.-Петербург, 1911.
7. ი.სიხარულიძე. შავშეთ-იმერხევი, ბათუმი, 1988.
8. ნ.ცეცხლაძე. შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000.
9. ი.სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, 1958.

ნარგიზ ახვლედიანი

ერთი გვარის ისტორიისათვის აჭარაში

ქართველი კაცის თანდაყოლილი თვისებაა დაიცვას წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული ფასეულობანი. გვარს, როგორც ოჯახის თანმხლებსა და სარკისებრ ასახვას ყოველთვის პატივს მიაგებდა და უფრთხილდებოდა წინაპარი. ნაშრომში წარმოდგენილია აჭარაში გავრცელებული ერთ-ერთ ლიბოძლიური და ისტორიული გვარი – ახვლედიანი.

დიდი ილია წერდა: “ერის პირქვე დამხოვა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყო, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა და მთლად წარწყმედისაცა.

ბევრს ერს (ხალხს) ქვეყანაზე სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია, ესე იგი იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელსაც სთესს მერმისისათვის. ამისთანა ხალხი დღესაც ბევრი არიან ქვეყანაზედ. ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის – ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და სად მიდის...” (ი. ჭავჭავაძე, 1987:65-67).

...1913 წელს აჭარაში დაიწყო საყოველთაო აღწერა. რუსეთის მთავრობამ მოითხოვა აჭარაში არსებული ნამდვილი მემამულეების სია, ყველა ალა-ბეგი ვერ იქნებოდა, თუ არა მაშინ წარმოადგინეთ მემამულეობის დამადასტურებელი საბუთიო. მახინჯაურიდან ახვლედიანებმა წარადგინეს საბუთი, სადაც მათი მამულის საზღვრები იყო მითითებული. ეს საბუთი – სიგელი, მამულისმფლობელობის და გვარის უფლება-მოვალეობის წიგნი იყო, რომლის ორიგინალი ინახებოდა ერთ-ერთი ახვლედიანის ოჯახში, ასლი კი დღესაც სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო არქივშია დაცული. ამ გვარის ერთ-ერთმა გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ და მკვლევარმა ხარიტონ ახვლედიანმა მამისა და უფროსი ძმებისაგან კარგად იცოდა ამ “სიგელი“-ს შინაარსი და იქ დასახელებული ადგილ-მამულის საზღვრები: ჩრდილოეთით - “კარაემიშ ბურუნი” - წყაენარი კონცხი (დღევანდელი მწვანე კონცხი), აღმოსავლეთით - “სასირე ყელი” და “ომბალო” (დღევანდელი ომბალური), სამხრეთ-დასავლეთით - ყარადერე (დღევანდელი განთიადი), რომელიც იმ ტოპონიმთა რიგს მიეკუთვნება, რომელსაც ძველი სახელწოდება მთლიანად შეეცვალა, აზ. ახვლედიანის ცნობით, ეს იყო ორპირი (ახვლედიანი ა., 1971:86-87); და სარცხელას ღელე, დასავლეთით - შავი ზღვა (სიხარულიძე ი., 1974:19).

საგვარეულო გადმოცემით, მახინჯაურელი ახვლედიანები ღეჩხუმიდან მოსულები არიან. პირველი ქრისტიანი ახვლედიანი იყო ალხამუშ ახვლედიანი, რომელიც მახინჯაურშია დაკრძალული.

ღეჩხუმს ბუდობდა ოდითგან ძველი და სახელოვანი გვარი ახვლედიანთა. ამჟამად ახვლედიანები ცხოვრობენ: ღეჩხუმში, ქვ. რაჭა-

ში, ოდიშში, გურიაში, იმერეთში, აჭარაში, სამცხეში, თორში, ქართლში, კახეთში და ქიზიყში (ალ. ნაზლაიძე, იხ. დანართი №1).

ახვლედიანი – ალვი, ცაგერა (ცაგერის რაიონი), დერჩი (წყალტუბოს რაიონი) და სხვ. (გაგრც.), სვანური წარმოშობისაა. საგარაუდოა, საფუძვლად ედოს საკუთარი სახელი “ახვილდ” (<ახავილდ), სადაც “ილდ” სვანური კნინობითობის მაწარმოებელი ფორმანტია და ერთვის საკუთარ სახელს “ახავ”-ს (მაისურაძე ი., 1990:25-26).

ალხამუში შორეული წინაპარია. მახინჯაურელი ახვლედიანები მას აღიარებენ გვარის მოთავედ და წინაპრად, ამდენად ჩვენც ვენდობით ამ ფაქტს, – წერდა გაზეთი “საბჭოთა აჭარა”, 1967 წლის 5 დეკემბერს:

500 წლის წინათ ჩამოსულა ალხამუში შავი ზღვის პირას, მოსწონებია აჭარის მიწა და აქ დასახლება განუზრახავს. ზეპირ გადმოცემებს ცოტა დაეჯერება, მაგრამ როცა მემატყიანეს რაიმე ფაქტი გამორჩება, იმას ლეგენდებითა თუ თქმულებებით აესებენ, გავიხსენოთ თუნდაც ლეგენდა “ოქროს საწმისი”-ს შესახებ (მითი თუ რეალობა?!), (ხაზგასმა ჩვენია ნ. ა.). გადმოცემა და თქმულებაა ისეთი ისტორიული წყარო, როგორიცაა “ქართლის ცხოვრება”.

დიახ, სვანეთიდან ჩამოვიდა და სახარებასა და მაცხოვრის ხატთან ერთად თავისი სახელი და გვარი ჩამოიტანა. ძლეულ იქნა ქრისტიანობა, ჯვარს ნახევარმთვარე გადაეფარა, მაგრამ ქართველობას ვერა დააკლო ამან. ქართული სახელების შეცვლა მოჰყვა სარწმუნოების გამოცვლას, მაგრამ ქართველი ვაჟკაცების ეროვნული რწმენა და სამშობლოს სიყვარული არ შეცვლილა (ღორიაპ, 1967:3).

მეორე ვერსიით და გვარში არსებული თქმულება – გადმოცემით, რომელიც აზიზ ახვლედიანმა მოგვაწოდა, ჯვაროსნული ლაშქრობიდან უკან დაბრუნებისას, ერთ-ერთ ჯვაროსან მოლაშქრეს, აბჯაროსან ახვლედიანს მოსწონებია ეს ადგილი და დასახლებულა მახინჯაურში.

ბუნებრივია, ჯვაროსნულ ლაშქრობაში შესაბამისად აღჭურვილ-შეიარაღებულნი, აბჯარასხმული, “აბჯაროსანნი”, ანუ ჯავშნით შემოსილნი დებულობდნენ მონაწილეობას.

მახინჯაურელ ახვლედიანთა გენეალოგიური ხე ასე გამოიყურება: ხარიტონ და არიფ ახვლედიანები (ძმები) ← ახმედი ← მემედ ქუჩუკი ← სალიხი ← ხუსეინი ← კირილე ← ალხამუში. გადმოცემით, სწორედ კირილეს შვილები გამხდარან იძულებულნი მაჰმადიანობა მიეღოთ. ხალხური გადმოცემით, თუ ვინ იყვნენ ეს ახვლედიანები, ასე ამბობდნენ: ახვლედიანი კირისილოდლები, ხალხური ეტიმოლოგიით: ახვლედიანი კირილეს შვილები, შთამომავლები – მუსლიმანები და მორწმუნენი, მაგრამ ახვლედიანები და ქართველები – ეს ამბები ჩაწერილი იყო 70 წელს მიღწეული ოჯახის მამის და ხელმძღვანელის არიფ ახვლედიანისაგან გასული საუკუნის 60-იან წლებში: “მაღალ გორაკზე გადმომდგარი ორსართულიანი სახლის აივნიდან ბათუმი და ღურჯაღ მოლივლივე ზღვა მოსჩანს”. ასეთი იყო მსუყე სახლის ეზო-კარ-მიდამო გურამიშვილის ქუჩაზე (ღორიაპ, 1967:3).

ჩვენ ამჯერად შევჩერდებით კირისილოდლის განმარტებაზე. ოდელი, როგორც ვიცით, თურქულად შვილს, შთამომავლობას ნიშნავს, რაც შეეხება “კირისილ”-ს, იგი ჩვენი ვარაუდით “კირასირ” ფორმი-

საგან მიგვაჩნია მიღებული, სადაც პირველ ეტაპზე მომხდარა სონორულ თანხმოვანთა შორის დისიმილაცია. ამათგან უფრო ხშირად ეს მოუდით რ-რ-სა და ლ-ლ-ს. თითოეულში ამ წყვილთაგანი დისიმილირდება ერთი მეორის საშუალებით, ე. ი. რ-რ დისიმილირდება ლ-ს საშუალებით და პირიქით (ახვლედიანი გ., 1999:205-206). როგრესული დისტანციური დისიმილაციით მივიღეთ: კირასირ → კირასილ. თუ ჩვენი ეს ვარაუდი სწორია, მაშინ შემდეგ ეტაპზე, საქმე გვაქვს ხმოვანთა პროგრესულ, დისტანციურ, სრულ ასიმილაციასთან, კერძოდ, სინჰარმონიზმთან, ანუ ხმოვანთა ჰარმონიასთან, რომელიც მეტ-ნაკლებად გვხვება სხვადასხვა ენაში, მაგრამ მეტადრე დამახასიათებელია ურალურ-ალათური ენებისათვის, კერძოდ თურქული-სათვის (ახვლედიანი გ., იქვე გვ. 200). საბოლოოდ ხელთა გვაქვს მომდევნო ხმოვნის პალატალიზაცია: კირასილ → კირისილ, სადაც ასიმილატორია “ი”, ასიმილირებულია “ა” და “კირასილ”-ფორმისაგან მივიღეთ “კირისილ”. თუ თავდაპირველ ფორმას “კირასირ”-ს მივუბრუნდებით, რუსულ-თურქულ და თურქულ-რუსულ სამხედრო ლექსიკონში ასეთ განმარტებას ვპოულობთ: kirasir-cebec (Бочкарёв Б. С., 1940:406) ჯებეჯ ცებეც – სპარსული წარმოშობის სიტყვაა ჯაბადარი (ჯაბადრისა), რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ახსნილია როგორც ჯავშან-საჭურვლის მქონე. აქედან გამომდინარე “კირისილოდლი” უნდა ყოფილიყო ჯავშნოსანის, აბჯაროსანის, ბექთაროსანი მოლაშქრის შთამომავალი. ეს ვარაუდი ამართლებს საგვარეულო გადმოცემას, აბჯაროსანი ახვლედიანების შესახებ. აქვე მოვიყვანოთ kir-ძირის განმარტებებს რუსულ-თურქული ლექსიკონებიდან, ასე მაგალითად: “kir” – 1. светло-серый, седой და 2. поле, степь, равнина. “serdarı” – 1. хозяин полей და 2. военный начальник иррегулярного жандармского отряда. “kir” – ძირიდანაა ნაწარმოები “kir-al” – слав. правитель, князь, король, княжество (Магазаник Д. Л., 1931:586). კორსარები შუა საუკუნეების ევროპაში რუსეთში, თურქეთში და საფრანგეთშიც მოლაშქრეები იყვნენ. Cuirassier – ბეგთარით შეჭურვილი, მხედარი ბეგთაროსანი. (ფრანგულ-ქართული ლექსიკონი; 1998:602). აჭარაში თურქეთის ბატონობის დროს იშვიათი არ ყოფილა სამხედრო წოდებიდან მომდინარე გვარები. ასე, მაგალითად, ჩაუშოდლი (მეციხოვნე), სამბაშოდლი (სუბაშოდლი) (ცხენოსანი მოლაშქრე), იუზბაშოდლი (ასისტავი), ბინბაშოდლი (ათასეულის მეთაური), ბაშჩაუში (უფროსი უნტერ-ოფიცერი), ონბაშოდლი (ათმეთაური) მასალები ამოღებულია ხარიტონ ახვლედიანის პირადი არქივიდან საქმე №1) და სხვა, რომელთა შთამომავლებიც დღესაც სახლობენ აჭარაში. თურქეთის ბატონობის დროს, აჭარაში მოსახლე ყველა გვარს ემატებოდა “ოდლი” და ამასთანავე, ასევე პირდაპირ თარგმნიდნენ ძველ მანამდელ, თურქების შემოსვლამდე არსებულ გვარებს მათთვის გასაგებ ენაზე, ისევე, როგორც ძირძველ ქართულ ტოპონიმებს თარგმნიდნენ თურქულად. ასე, მაგალითად, თურქების შემოსვლამდე იყო “წყავნარი კონცხი”, რომელიც პირდაპირ ითარგმნა თურქების მიერ როგორც “კარაემიშ ბურუნი”, ხოლო რუსებმა იგი თარგმნეს “Зелёный мыс”-ად.

სამხედრო ვადდებულება პრივილეგიზებულიობის საფუძველი და ნიშანი იყო (ჩხატარაიშვილი ქ. 1979:3). ასევე იყო ის – საქართველოშიც. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, საქართველოში ფეოდალიზმის დროს “ლაშქარში ყოფნა და სამსახური მარტო მოქალაქეობრივი მოვალეობა კი არ იყო, არამედ საპატიო და საამაყო უფლებად ითვლებოდა ყოველ კეთილშობილ მამაკაცისათვის (ჯავახიშვილი ივ., 1928:61). მომდევნო ხანებშიც (XII-XIII) ს-თა მონაკვეთზე მოლაშქრეობა რომ პრივილეგია და პატივი იყო, ეს ვეფხისტყაოსნისდანაც კარგად ჩანს. პოემის მიხედვით (მშრომელს, გლეხს) სხვა საზოგადოებრივი ფუნქცია აქვს, მოლაშქრეს – სხვა:

“რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს
მუშა მიწვივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნებდეს” (რუსთაველი შ., 1991:3)

ლაშქრის სოციალური შემადგენლობა საზოგადოების ეკონომიკური პოლარიზაციითაც იყო განპირობებული. ფეოდალური საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილი – გლეხობა მოკლებული იყო მოლაშქრეობის ეკონომიკურ შესაძლებლობას, ხელი არ მიუწვდებოდა ძვირადღირებულ სამხედრო აღჭურვილობაზე და არც ლაშქრად ყოფნისას თავის რჩენა შეეძლო (Деленчук, 1933:59).

წარჩინებულ საგვარეულოს დიდი თანამდებობა სარდლობა ეჭირა. ახვლედიანთა სასარდლოს არსებობაზე იმერეთის ლაშქარში მოგვითხრობს ისეთი ისტორიული წყარო, როგორიცაა “ქართლის ცხოვრება”. XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე იმერეთის სამეფოში ოთხი სასარდლო არსებობდა: რაჭის, არგვეთის, ვაკისა და ოკრიბა-ლენხუმის, ამათგან ოკრიბა-ლენხუმის სასარდლო მოიცავდა ლაშხი-შვილებს, ინასარიძეებისა და ახვლედიანების სათავედოებს (სოსელია ო., 1973:223). (იხ. დანართი №2).

ანტიკური ხანის საქართველოში, როგორც ამას არქეოლოგიური გათხრების ეჭვმიუტანელი მონაცემები გვიჩვენებენ, საზოგადოების კლასობრივი დეფერენცია, ისე შორს იყო წასული, რომ მან ასახვა ჰპოვა ქართულ სამხედრო ორგანიზაციაშიც. ამ საკითხებზე მეტად საყურადღებო და დოკუმენტურად დასაბუთებული მოსაზრებებია გამოთქმული არქეოლოგ ი. გაგოშიძის ნაშრომებში. მისი სიტყვით ძვ. წ. აღ. VI-V საუკუნეთა სამაროვნებზე (მაგ.: ბეშთაშენი) “ბევრია საბრძოლო იარაღი”, მაგრამ ძვ. წ. აღ. V საუკუნის შუა წლებისა და მომდევნო ხანის მრავალრიცხოვან სამაროვნებზე კი იარაღი სრულებით არ გვხდება (გაგოშიძე ი. 1964:80).

ადრეანტიკური ხანის სამაროვნებში “იარაღის მასობრივი გაქრობა” დამახასიათებელია მთელი საქართველოს ბარისათვის (იქვე გვ. 79). ს. ჯანაშიამ ამ ფაქტში სოციალური შინაარსი დაინახა და იგი მცხეთის გაქალაქებას დაუკავშირა, მაგრამ ი. გაგოშიძის აზრით, “ამ მოვლენაში უფრო მეტი უნდა დავინახოთ, ვიდრე ცალკეული პუნქტების გაქალაქება (გაგოშიძე ი., 1964:79), რადგან როცა სამაროვნებზე იარაღი სრულებით აღარ გვხდება, მდიდრულ მამაკაცთა სამარხებში საბრძოლო იარაღი უხვადაა ჩატანებული (იქვე, გვ. 80).

ი. გაგოშიძის აზრით, რომელიც იმოწმებს რა ს. ჯანაშიას დაკვირვებას და ბ. კუფტინის ფაქტიურ მონაცემს, დასძენს: ძნელია იმ საზოგადოებაში, სადაც ამგვარი დაპირისპირება არ ჩანს, არ

დავინახოთ კლასობრივი საზოგადოება, სადაც იარაღი და მასთან ძალაუფლებაც საზოგადოების გარკვეული, უფლებრივად და ეკონომიკურად დაწინაურებული წრის, ფენის ხელშია (იქვე, გვ. 80).

ჯერ კიდევ სტუდენტი ხარიტონ ახვლედიანი თსუ-შივე დაუახლოვდა ნ. ბერძენიშვილს და მალე დაუმეგობრდა კიდევ ნ. ბერძენიშვილი ჩვეული ყურადღებით ისმენდა დამწყები მკვლევარის პირველ მოსაზრებებს და აქეზებდა მას შემდგომი მეცნიერული მუშაობისათვის. მასაც ბევრი რამ სურდა მოესმინა ხარიტონისაგან მახინჯაურელ ახვლედიანთა წარსულზე (სიხარულიძე ი., 1974:18).

ამ გადმოცემის ზოგიერთი ჩვენება ხ. ახვლედიანის ძმის, არიფის თქმით, 1967 წელს ჩაუწერია და გამოუქვეყნებია მწერალ პარმენ ღორიას გაზეთ “საბჭოთა აჭარაში” სახელწოდებით “ალხამუშის ნასახლარზე”. მოგვიანებით ეს გადმოცემა არიფ ახვლედიანისგანვე ჩაუწერია ი. სიხარულიძესაც ახვლედიანთა იმ შტოს შთამომავლობითი ხე, რომელსაც ისტორიკოსი ხარიტონ ახვლედიანი ეკუთვნოდა. ამ გადმოცემით, ხსოვნაში შემონახულ უძველეს წინაპარს ალხამუში რქმევია. მას თითქოს ერთი ვაჟი (კირილე) ჰყოლია. ამ უკანასკნელის შვილები უკვე იძულებულნი გამხდარან მაჰმადიანობა მიეღოთ (ხუსეინ, ახმედ). უფროსს ორი ვაჟი (სალიხ, მემი) შეეძინა, ხოლო პირველ მათგანს სალიხს – ოთხი (ახმედ, მემედ-ქუჩუკ, ხუსეინ), მესამე (მემედ-ქუჩუკი) ხარიტონის ბაბუა იყო და ორი ვაჟი (ახმედი და ისმაილი) ჰყავდა.

ზემოთ ნახსენებ მამულისმფლობელობის სიგელში ეწერა უფლებები და მოვალეობები, თუ რა ევალებოდა მემამულეს, ანუ შესაბამისი მიწის მფლობელს, მესაკუთრეს. ასე მაგალითად, ჟანდარმერიას არ ჰქონდა მამულში უნებართვოდ შესვლის უფლება, ომის დროს მემამულეს ევალებოდა ჯარის გამოყვანა საომრად, ჯარში იუნკერებად იწვევდნენ მემამულეთა შვილებს და სხვა. აქვე მოვიყვით რამდენიმე გადმოცემას მახინჯაურელ ახვლედიანებზე.

უფროსი თაობის ახვლედიანებისაგან ცნობილია, როცა თურქებს დატყვევებული ქემალ ჯინჭარაძე მიჰყავდათ თურქეთის ჯარში სამსახურისათვის, ხუსეინ-ალა ახვლედიანს გაუთავისუფლებია ტყვე და თურქებს დამუქრებია კიდევაც. “სად მიგყავთ? ვინ მოგცათ უფლება? იმ თქვენ გატენილ ვალს უთხარით მეტი აღარ გაბედოს ასეთი რამ და აქედან წავიდესო”. ხუსეინ-ალამ მერე ტყვეს მიმართა: “შენ, ქემალ, სახლში წადიო”. დაბნეული ჯარისკაცები უკან გაბრუნებულან. ეს ამბავი გადმოგვცა აზიზ ახვლედიანმა, რომელიც მას ბაბუის მონათხრობიდან ახსოვდა. ეს ისტორიული გადმოცემები (სხვაც ბევრი, – ხაზგასმა ჩვენია, ნ. ა.) მახინჯაურში ამ გვარის დიდი ხნის მკვიდრობას ადასტურებს. მართლაც საკმარისი იყო ახვლედიანების მამულში ფეხი შემოედგა ნებისმიერ ლტოლვილს, მას ხელს ვეღარავინ ახლებდა. ეს იცოდნენ კიდევაც და საშველად მოდიოდნენ. ამასთან დაკავშირებით გავისხენებთ კიდევ ერთ ნამდვილ ამბავს 78 წლის, მახინჯაურის მკვიდრის, ნიაზ ახვლედიანის ცნობით, როცა ბეჟანიძეებს ხალხი აუჯანყდა, დაახლოებით ეს იყო 1800-1850 წწ., თავადი ბეჟანიძეები დედის მხრიდან ხიმშიაშვილების ბიძაშვილები იყვნენ და თავის დასაცავად იმალებოდნენ თამარის ციხეში, დღევანდელი “ბენზე“-ს ტერიტორიაზე. ხალხის

რისხვისაგან ბეჟანიძეები ხუსეინ ახვლედიანმა და მისმა მეუღლემ დინდილე ხანუმმა (რომელიც აფხაზი თავადის ემხვარის ასული იყო) იხსნეს. დინდილე ხანუმს საჭმელ-სანოვარზე შეჰქონდა ციხეში, როცა ეს ამბავი გაიგო დასახმარებლად წამოსულმა შერიფ ხიმშიაშვილმა, გზად შიკრიკი გამოგზავნა ამბის გასაგებად, თუ ვის მხარეს იყვნენ ახვლედიანები, როცა შერიფ-ბეგი დარწმუნდა, რომ ახვლედიანები ბეჟანიძეებს გვერდით ედგნენ, მობრუნებული და უკან წასულა სახლში, აქ ყველაფერი კარგად იქნებოდა.

თავადის დამახასიათებელ ატრიბუტს ქონებრივი თვალსაზრისით, ყმა-მამულთან ერთად, ციხე-სიმაგრის ფლობა წარმოადგენდა. ფეოდალურ ეპოქაში ციხეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (სოსელია ო., 1966:38). სტუდენტობის დროს ხარიტონ ახვლედიანმა საგვარეულო გადმოცემასთან ერთად, მათი ძველი “ჯიხურის” ადგილ-სამყოფელიც იცოდა (სიხარულიძე ი., იქვე:18). ეს ადგილი დღემდე ცნობილია მახინჯაურელი ახვლედიანებისათვის. “ჯიხური” მეგრულ-ლაზური წარმოშობის სიტყვაა და სიტყვა-სიტყვით საციხურს ნიშნავს, სადაც ახვლედიანებს 40-50 კაცის შემადგენლობით ჯარი ჰყავდათ, რომელთა ჭამა-სმა და ეკიპირება, აღჭურვა, ახვლედიანებს ევალებოდათ და საჭიროების შემთხვევაში საბრძოლველად გაჰყავდათ.

ქვეყნის ფეოდალური დაშლილობის შემდგომ გაღრმავებას წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში სათავადოების ჩამოყალიბება. ეს პროცესი დაწყებული XIV საუკუნის დასასრულს სამეფო-სამთავრობო საბოლოო ფორმირების პარალელურად და მის შემდეგ XVIII საუკუნეშიც მიმდინარეობდა (სოსელია ო., 1966:37).

თავადობა აზნაურებს უფრო გვიან XV საუკუნეში გამოეყო. მანამდე მთელი გაბატონებული კლასი აზნაურებით იყო წარმოდგენილი, რომელთაც ე. წ. “ტახტის აზნაურები” ერქვათ, მათ ნაცვლად დარჩა აზნაური. თავადთა წოდების ჩამოყალიბება XV საუკუნეში მოხდა. თავდაპირველად სიტყვა “თავადი” წოდებრივი მნიშვნელობით არ იხმარებოდა, XI-XIII საუკუნეებში ამ სიტყვით ყოველგვარი მოთავე აღინიშნებოდა. XVI საუკუნიდან “დიდება” მემკვიდრეობით კუთვნილებად იქცევა და ამ დროიდან თავადობაც უკვე წოდებრიობის ხასიათს ღებულობს (საქართველოს ისტორია, 1946:298-299; კაკაბაძე ს., 1921:9, 19, 26, 33; თაყაიშვილი ე., 1909:373). “დიდება” – მეფის მიერ აზნაურთათვის დიდი სახელოსა (თანამდებობა) და მისი შესაფერისი ყმა-მამულის ბოძებას ერქვა. დიდებამინიჭებულ აზნაურს დიდებული აზნაური ეწოდებოდა (ბერძენიშვილი ნ., 1990:100-103).

დასავლეთ საქართველოში თავადთა შემდეგ გვარებს ვხვდებით: იმერეთის სამეფოში (რაჭა-ლეჩხუმის ჩათვლით) – აბაშიძე, ახვლედიანი, ყიფიანი, მხეიძე, წერეთელი, ჩხეიძე, ერისთავი (რაჭის და იმერეთის), ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე, დოღობერიძე, წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ინასარიძე, ლაშხიშვილი, მიქელაძე, ჩიჯავაძე, აგიაშვილი, ფინეზისშვილი (აბაშიძეთა შტო), დაბუაშვილი, ანუ გაბუაშვილი (აბაშიძეთა შტო) (სოსელია ო., 1966:46). ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები ეყრდნობა პირველწყაროებს, დოკუმენტურ მასალებს და თავადთა საგვარეულო საბუთებს. მათი უდიდესი ნაწილი

გამოუქვეყნებელია და ინახება სხვადასხვა არქივსაცავებში (სოსელია ო., იქვე:17).

აღსანიშნავია ახვლედიანების, ჩიჯავაძეების, მიქელაძეების ახლო ნათესაობა მახინჯაურში. ჩიჯავაძეები და მიქელაძეები ახვლედიანების ოჯახზე მოსულები, ზედსიძეები არიან, დედით ახვლედიანები (სიხარულიძე 1974:19)

მახინჯაურში დღემდე ახსოვთ ახვლედიანების მიწები: ახლანდელი გუბანოვის ტერიტორია, რომლის ძველი სახელწოდება, აზიზ ახვლედიანის ცნობით, არის “ოჯინჯი”. ასე, მახინჯაურში არსებული რუსულენოვანი ტიპონიმების ქვეშ მათი ძირძველი ქართული სახელწოდებების აღდგენა შეიძლება. ესენი მუჰაჯირობის დროს ან ძალად გასახლების ხარჯზე დატოვებული ახვლედიანების მიწები იყო მახინჯაურში. აზიზ ახვლედიანი იხსენებს საკუთარი ბაბუის გადმოცემას, როცა გრიგოლ გურიელი ათასგვარ სანახაობას მართავდა იმისათვის, რომ აქაური მკვიდრნი თურქეთში არ გადასახლებულიყვნენ, ამასთან თხოვდა კიდევაც მათ საკუთარ მამულში დარჩენას. განსაკუთრებული სიახლოვე მახინჯაურელ ახვლედიანებს (კირისილოვლებს) გურიელებთან ჰქონდათ.

მეფის მთავრობა ცდილობდა აჭარის სანაპირო ზოლიდან აეყარა ადგილობრივი მკვიდრნი და რუსეთის გუბერნიებიდან ხალხი აქ გადმოესახლებინა. მათ ეს განზრავა შეასრულეს კიდევ. ასე გაჩნდა მახინჯაურში ლიტვინოვი, გუბანოვი, ფესინკოვი, სმირნოვი და სხვა. მთელი შავი ზღვის სანაპიროზე რუსმა კოლონიზატორებმა დაიწყეს აგარაკების აშენება. ასე დაიწყო შავიზღვისპირეთის საუკეთესო მიწების დატაცება. დატაცება იმ მხარეებისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიულად (ბათუმსა და მის მიდამოებს), არა მარტო მისი ნავსადგომით ვაჭრობის თვალსაზრისით, არამედ მისი ბუნებითაც. ბათუმისა და მისი მიდამოების ლამაზი მდებარეობა, მისი შესანიშნავი ჰავა და სუბტროპიკული ხეხილიანი კორდების სიუხვე ხიბლავდა თავისკენ იზიდავდა ყველა დამპყრობელს და ყველა მის ხელში ჩაგდებას ლამობდა (ასეა დღესაც, ხაზგასმა ჩვენია—ნ.ა). რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამოხატულება იყო ისიც, რომ 1894წელს მუჰაჯირების მიწები და სოფლები კომლექტითურთ ჩარიცხულ იქნა სახელმწიფო ფონდში (ახვლედიანი—კირისილოვლი ხ., 1944:221–223).

აქვე მოვიყვანო ბათუმის სახელმწიფო არქივში დაცულ საბუთებს ახვლედიანების (კირისილოვლების) მიწათმფლობელობის შესახებ მახინჯაურში. 1880 წლის 14 ოქტომბრით დათარიღებულ საბუთში ვკითხულობთ: მახინჯაურელი კირისილოვლები: «...Кирисыл-оглы Кочуг-Ага, Кирисыл-оглы Гусейн-Ага, дочери Гусейн-Аги Фатьмы, Падины, дочери Расан-Али, Ломан-Ага, Маир Чоуш, Ариф-Ага, и Гусейн-Ага, Меми-Ага оглы...Помянутыми недвижимыми именными владеют бесспорно-наследственно более тридцати лет, на праве полной и исключительной собственности, вне всякого стороннего участия и кроме их, к именным этим других наследников или претендентов нет» (ბათუმის ცენტრალური არქივი, ფონდი №410).

1914 წლის 23 მარტით დათარიღებულ საბუთში ვკითხულობთ: «Мы ниже сего подписавшиеся жители селен Махинджаури Кинтришского

участка Батумского округа и области, сим удостоверяем, что участок земли лежащее в сел. Махинджаури, под названием «Абано» действительно составляет полную собственность односельцев наших Ахмед-Ага и Исмаина-Ага Кирисил-оглы, каковой находится в их фактическом владении и пользовании с давних пор ещё при турецком владычестве, владеем по настоящее время, на основании местных законов о земновладении». მასალა ამოღებულია ბათუმის სახელმწიფო არქივიდან და დამოწმებულია იმ დროინდელი ბათუმის ნოტარიუსის კაზიმირ კაზიმირის ძე პრუსკის მიერ (ბათუმის ცენტრალური არქივი, ფონდი №1).


ახელედიანთა მიწათმფლობელობას მახინჯაურში ადასტურებს 1901 წლის 5 აპრილით გაცემული მოწმობები, რომლებიც პირად საგვარეულო არქივებშია დაცული. ხარიტონ ახელედიანის პირად არქივში ვკითხულობთ: „ლაზისტანის ლივა, ბათუმის კაზა, სოფელი მახინჯაური: მიწის მეპატრონე ქუჩუკ-აღა კირისილოლი, საბუთს ხელს აწერს ლაზისტანის ლივას განყოფილების უფროსი მეჭმედ ეგინი. საბუთი დამტკიცებულია უმაღლეს ხელისუფალთა მიერ და არავის აქვს უფლება მათ შეეხონ“. საბუთი თარიღდება 1204 წლით, ჰიჯრის დაახლოებით 1826 წელი (მიწათმფლობელობის საგვარეულო საბუთები, ხარიტონ ახელედიანის პირადი არქივი №2), თუმცა ამას გარდა, მიწების დიდი ნაწილი კოლექტივიზაციის პერიოდში მახინჯაურელ ახელედიანებს ჩამორათვეს.

ცნობილია, ისიც როცა რუსეთის მთავრობას ბათუმის მიმართულებით რკინიგზა გაჰყავდა დღევანდელი მახინჯაურის ტერიტორიაზე, რომელიც ახელედიანთა სამოსახლო იყო, მთავრობამ მწვანე კონცხიდან გვირაბამდე ადგილის სანაცვლოდ ახელედიანებს კახაბერში და დღევანდელი ბნზ-ს ტერიტორიაზე მიწა აჩუქა. დღევანდელი მახინჯაურის სანაპიროს 200 ჰექტარზე მეტი წადებული აქვს ზღვას. მახინჯაურის მკვიდრნი 76 წლის ანზორ სიხარულიძე იხსენებს იმ დროს, როცა სანაპირო მახინჯაურში გაცილებით შორს იყო: „აქ სანაპიროზე დიდი მინდორი იყო“. ადრე აქ ახელედიანებს ბრინჯი და სიმინდი მოჰყავდათ. ბათუმში რკინიგზა 1883 წლის 11 მაისს გაიყვანეს (აჭარისტანი, 1928:77).

მკვლევარი აზიზ ახელედიანი ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში წერდა, თუ როგორ გაუმასპინძლდნენ ახელედიანები მახინჯაურში (სასირეყელზე) იმერთა მეფეს და მის ამაღლას იმერელ თავადებთან და როსტომ გურიელთან ერთად და როგორ მოიხიბლა მეფე შევარდნით, რომელიც ცაში ირავს აკეთებდა. მეფეს აღფრთოვანებით წამოუძახია: „—ოჰ, რა შევარდენია“-ო. „—გეახლებათ“-ო, ნელა წარმოთქვა აღხამუშ ახელედიანმა. მან კარგად იცოდა, რომ ომბალურზე, ჯვარზე, ოღიაზე და სხვაგან გაწაფული ბიჭები ჰყავდა სპეციალურ ქოხებში მიმინოს ბადეთი და ასეთ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდნენ. ცოტა ხანში მეფე თავზე უსვამდა ხელს ცეცხლისმფრქვეველ შევარდენს და კმაყოფილებით იყურებოდა ახელედიანისაკენ: „—საახელედიანოდან ერთი რემა რომ მოგერთმიათ, ასე ვერ დაგიფასებდი, როგორც ამას, ამ შევარდენს“-ო, უთქვამს მეფეს და იგი მოახლოებული ბაზიერისათვის გადაუცია (ახელედიანი ა., 1991:2).

გადმოცემები და ისტორიული საბუთები მრავლად მოგვეპოვება, თუმცა ამჟღად აქ შეეჩერებით და დავძენთ: ასე რუდუნებით გამოატარა გვარმა თავის წინაპრებზე თქმულება-გადმოცემები. ასეთი ისტორიის მქონე გვარს, რომლის შთამომავლებმაც შეიდი თაობის წინანდელი წინაპრის სახელი და საქმენი იციან, გადაშენება არ უწერიათ, უფლის სადიდებლად.

საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორი



Երսահյւն Եսայի: Եւ Եսայի Երսահյւն Եսայի:

ქართული ლექსების ფორმა

უკუდგომად განყოფილება

განმედი ლექსები

განმედი ლექსები

განმედი ლექსები

I სარტყელი მთავარი განმედი განმედი

I სარტყელი მთავარი განმედი განმედი

I სარტყელი მთავარი განმედი განმედი

III სარტყელი მთავარი განმედი განმედი	II სარტყელი მთავარი განმედი განმედი
---	--

III სარტყელი მთავარი განმედი განმედი	II სარტყელი მთავარი განმედი განმედი
---	--

III სარტყელი მთავარი განმედი განმედი	II სარტყელი მთავარი განმედი განმედი
---	--

„საქართველო თაგად ცოტა იყო და შენვე მრავალი დაყოფილი და ერთმანეთის
ურხნი და ქმნი, მტერი ერთმანეთისა მარტყნი და მარტყნი“.

К истории одной фамилии в Аджарии

Резюме

По фамильному преданию, возвращаясь из крестового похода, одному из крестоносцев, латнику Ахвледiani, понравилось это место и он поселился в Махинджаури. Естественно в крестовом походе принимали участие соответственно вооружённые, одетые в латы или броню, воины.

Цель нашего труда представить историю одной фамилии в Аджарии, которая жила в Махинджаури – это махинджаурские Ахвледiani – потомки Алхамуша Ахвледiani, выходца из Лечхуми, который был одним из последних христиан Ахвледiani в этом поселении. «Здесьние Ахвледiani считают его главой и предком своей фамилии, и поэтому мы доверяем этому факту», - писала газета «Советская Аджария» 5 декабря 1967 года.

Во времена господства турок, представители этой фамилии, так же как и почти все жители Аджарии, получили новую, оформленную турецким «оглы» фамилию.

Например, Ахвледiani стали именоваться Кирилсил-оглы.

Что касается этимологии Кирилсил-оглы, известно, что «-оглы» по-турецки означает сын, а форма «кирилсил», по нашему мнению, восходит к слову «кирасир», где на первом этапе освоения грузинским языком этого слова произошла диссимилиация сонорных согласных, которая чаще всего происходит со звуками «р» и «л». В данном случае, посредством прогрессивной дистанционной диссимилиации, мы получили от «кирасир» - «кирасил». Если эта точка зрения верна, то на следующем этапе мы имеем дело с полной прогрессивной дистанционной ассимиляцией согласных, в частности с сингармонизмом, т. е. гармонией гласных, которая более или менее часто встречается в разных языках, но характерна более всего для тюркских языков. В итоге, у нас на лицо палатализация последующего гласного, где ассимилятором является «и», а ассимилирован гласный «а»: «кирасил» -> «кирилсил». Если вернёмся к изначальной форме «кирасир», то в русско-турецком и турецко-русском военном лексиконе находим такое разъяснение: kirasir-cebec (джебебж) – слово персидского происхождения, которое в грузинском толковом словаре объясняется как «джабадар» - носитель лат – латник. Исходя из этого, Кирилсил-оглы должны были быть потомками латника. Это предположение подтверждает фамильное предание про латника – Ахвледiani.

Фамилия Кирилсил-оглы – это плод одной конкретной эпохи времён турецкого господства (латник Ахвледiani было переведено на турецкий как кирилсил-оглы Ахвледiani), в то время как фамилия Ахвледiani идёт из далёкого прошлого. Аналогично произошли в Аджарии фамилии: Самбашоглы (Субашоглы), Чаушоглы, Юзбашоглы и др.

В исследовании использованы датированные 14.04.1880 и 23.03.1914 исторические документы, заверенные тогдашним Батумским нотариусом Казимиром Казимировичем Пруским, удостоверяющие владение обширными земельными участками в Махинджаури представителями фамилии Ахвледiani. Вышеуказанный документ хранится по сегодняшний день в архивном управлении г. Батуми.

Такова попытка нашего объяснения истории фамилии Ахвледиани в Аджарии.

Nargiz Akhvlediani

The Origin of one surname in Adjara

R e s u m e

According to the family tradition, one of the crusader armour-bearer Akhvlediani liked this place and settled in Makhinjauri when he returned from the crusade. Naturally in the crusade armoured people took part. The aim of our paper is to present the history of one surname in Adjara that lived in Makhinjauri. Makhinjauri Akhvledians are the descendants of Alkhamusha Akhvlediani, person originally from Lechkhumi, who was one of the last Christians in Makhinjauri.

Local Akhvledians believe that he was their head and ancestor and we trust in this fact – wrote the newspaper “Soviet Adjara” (December, 5, 1967).

In period of Turk domination in Adjara, to this surname was added “Ogli”, like other families in Adjara. This is the Turkish term. For example: Akhvlediani – Kirisilogli. It is known that “ogli” in Turkish means “son” and, to our mind, comes from the initial from “Kiragir”, where on first stage occurred the dissimilation between the sonorous r-r and l-l (Akhvlediani p. 1999: 205-206). In this situation we got “kirasir” - “kirasil” by the progressive distant dissimilation. If this point of view is exact, then on the other stage we have the situation with the full progressive distant assimilation, namely with synharmony that is the harmony of vowels, that is often registered in different languages, but for the most part it is characteristic for the Turkish language. Finally we have to deal with the palatalisation of the following vowel, where the assimilant is “i” and assimilated – “a”: “kirasil” – “kirisil”. If we go back to the initial form “kirasir”, according to the Russian-Turkish and Turkish-Russian military dictionary, we find the next explanation: “kirasir-cebec” (djebedji) the word of Persian origin, and in the Georgian dictionary this word is explained as: “djabadar” – the same as armour-bearer. As a result, kirisogli were the descendants of the armour-bearer (probably). This point of view supports the family tradition about armour-bearer Akhvlediani.

The surname Kirisogli – is the result of one epoch, of the Turkish domination (Akhvlediani armour-bearer is translated into Turkish-Kirisogli-Akhvlediani and surname Akhvlediani is of very distant past origin. Analogically originated the surnames Sambashogli (Subashogli), Chaushogli and so on.

In the paper we have used historical documents dated back to 14.04.1880 and 23.03.1914 concerning landownership of Akhvlediani in Makhinjauri, that was certified by Batumi notary kazimir Kazemirovich Pruski. The abovementioned documents is kept in the Archives management of Batumi.

Such is our experiment of explaining one surname in Adjara.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი ა., 1971 – ა. ახვლედიანი, ორთაბათუმი, ეტიმოლოგიური შენიშენა, ჟურნალი “ჭოროხი”, №2, ბათ., 1971.
2. ახვლედიანი ა., 1991 – ა. ახვლედიანი, „შევარდენი სასირეყელზე“, გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, ბათ., 1991.
3. ახვლედიანი გ., 1999 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1999.
4. ახვლედიანი ხ., 1944 – ხ. ახვლედიანი (კირისილოვლი), ნაკვეთი აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები), აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა, ბათ., 1944.
5. აჭარისტანი, 1928 – ნ. ლორთქიფანიძე, აჭარისტანი (გეოგრაფიული ნარკვევი), ქ. ბათუმი, 1928.
6. ბათუმის სახელმწიფო არქივი, საბუთი №94.
7. ბერძენიშვილი ნ., 1990 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, მე-2 გამოცემა, თბ., 1990.
8. გაგოშიძე ი., 1964 – ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.
9. თაყაიშვილი ე., 1909 – ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტომი I, თბ., 1909.
10. კაკაბაძე ს., 1921 – ს. კაკაბაძე, საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, თბ. 1921.
11. ლორია პ., 1967 – პ. ლორია, აღზამუშის ნასახლარზე, გაზეთი “საბჭოთა აჭარა”, 5 დეკემბერი, ბათ., 1967.
12. მაისურაძე ი., 1990 – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), გამომცემლობა “საქინფორმკინო”, თბ. 1990.
13. რუსთაველი შ., 1991 – შ. რუსთაველი, “ვეფხისტყაოსანი”, გამომცემლობა “ლაშარი”, თბ. 1991.
14. საქართველოს ისტორია, 1946 – საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, I, თბ., 1946.
15. სიხარულიძე ი., 1974 – ი. სიხარულიძე, ხარიტონ ახვლედიანი, ბათ., 1974.
16. სოსელია ო., 1966 – ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966.
17. სოსელია ო., 1973 – ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973.
18. ფრანგულ-ქართული ლექსიკონი, 1998 – ნ. ქადეიშვილი, ნ. წულაძე – კალატოზი, ც. ახვლედიანი, ც. ბიბილეიშვილი, დ. მელიქიშვილი, ფრანგულ-ქართული ლექსიკონი, I ტომი, გამომცემლობა “მედეა”, თბ., 1998.
19. ქართლის ცხოვრება – 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ. 1973.
20. ქეგელ, 1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1964.
21. ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საბუთი №1101.
22. ჩხატარაიშვილი ქ., 1979 – ქ. ჩხატარაიშვილი, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1979.
23. ჭავჭავაძე ი., 1987 – ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1987.
24. ჯავახიშვილი ივ., 1928 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, თბ. 1928.
25. Бочкарёв Б. С., 1940 – Военный турецко-русский и русско-турецкий словарь. Составил Б. С. Бочкарёв, Москва, 1940.
26. Дельбрюк Г. С., 1933 – Г. С. Дельбрюк, История военного искусства, III, Москва, 1933.
27. Магазаник Д. А., 1931 - Турецко-русский словарь. Составил Д. А. Магазаник, Москва, 1931.

სამყაროსა და პირველი ადამიანების შექმნის მოტივი აჭარულ შემსახმის ლეგენდაში⁴⁴

ლეგენდებს სამყაროს შექმნისა და პირველი ადამიანების გაჩენის შესახებ, ანუ კოსმოგონიურ ლეგენდებს, მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერება იცნობს. მონოთეისტთა რწმენა-წარმოდგენები ამ საკითხზე ბიბლიურ მონათხრობს თანხვდება, თუმცა შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ფანატიზმი იქამდე მიდიოდა, რომ შესაქმის ზუსტ თარიღსაც კი ასახელებდნენ (Косидовский 3. 1968, 9-31).

ხალხური კოსმოგონიური ლეგენდები, იგივე „ხალხური შესაქმე“, ორი უმთავრესი საკითხის წარმოჩენას ცდილობს: 1. სამყაროს შექმნა და პირველი ადამიანების გაჩენა; 2. პირველი ადამიანების შეცოდება და უფლისმიერი სასჯელი. წინამდებარე ნაშრომში აჭარის მუსლიმი თემის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული შესაქმის ლეგენდის ვარიანტთა შუქზე გავაანალიზებთ ხალხური კოსმოგონიის ერთ-ერთ უმთავრეს მოტივს – სამყაროსა და პირველი ადამიანების შექმნას.

ქვეყნიერების და ადამიანის გაჩენის საკითხი სამყაროს შეცნობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემატაგანია და, ბუნებრივია, ქართული ზეპირსიტყვიერების კოლექტიური ავტორი საუკუნეთა განმავლობაში მას გვერდს ვერ აუვლიდა. შესაქმის ლეგენდის ქართული ვარიანტები აშკარად სარგებლობს ბიბლიით, თუმცა, როგორც თავის დროზე მკვლევარმა ნ. შამანაძემ მიუთითა, ამ თეზაში ზოგიერთი კორექტივია შესატანი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ბიბლიის გაცნობამდეც ისწრაფვოდნენ ჩვენი წინაპრები სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობისაკენ და, ბუნებრივია, საკუთარი შეხედულებანიც გამოიმუშავეს (შამანაძე ნ., 1973, 18-20), რისი კვალიც აშკარად შეიმჩნევა ქართულ ხალხურ კოსმოგონიურ ლეგენდათა ვარიანტებში.

⁴⁴ სტატია მომზადებულია პროექტის „საქართველოს მუსლიმური თემი თანამედროვეობის კონტექსტში (ისტორიული, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული, სოციო-ფსიქოლოგიური, კულტუროლოგიური და სტატისტიკური ანალიზი)“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი ხორციელდება სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (გრანტი # 07-614-1-140). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) შეხედულებებს.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერება იცნობს შესაქმის ლეგენდის ისეთ ვარიანტებს, რომლებშიც, ბიბლიური სიუჟეტისაგან განსხვავებით, უფალი დამოუკიდებლად კი არ მოქმედებს, არამედ სხვათა დახმარებას საჭიროებს. სვანური ლეგენდის თანახმად, სამყაროს მოწესრიგებაში, ღმერთთან ერთად, მონაწილეობენ სამოელი, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ლეგენდით სამოელს უფალ ღმერთზე მეტი ძალმოსილებაც კი გააჩნია და მასზე ჭკუამახვილადაც გამოიყურება (ნიჟარაძე ბ. 1962, 138-145).

შემოქმედი ღმერთის, ანუ დემიურგის სისუსტისა და სხვებზე დამოკიდებულების მოტივის შემცველია მოსე ჯანაშვილის მიერ საინგილოში ჩაწერილი და 1912 წელს ჟურნალ „ნაკადულში“ (№10) გამოქვეყნებული შესაქმის ლეგენდა „როგორ გაჩნდა ქვეყანაზე მთები და ხევები“. ამ ლეგენდის მიხედვით, ღმერთს შეეშალა და დედამიწა ცაზე დიდი გააჩინა; „არ მოერგო ცა დედამიწას, ვერ ესარქველებოდა“; შეცდომა ეშმაკმა გამოასწორებინა, ურჩია:

„ – მოუჭირე მიწას შენი ძლიერი მკლავები და ცა ზარფუშივით დაეხურებაო“. ღმერთმაც დაუჯერა ეშმაკს, „მოუჭირა დედამიწას მკლავები... ცა დაესარქვლა, მაგრამ მიწა კი შეიზნიქა და აქა-იქ ამოიბურცა გორებად“ (ხალხური სიბრძნე. 1964, 249).

ღვთაებათა იერარქიის, მათი სისუსტისა თუ ძლიერების პრობლემა ქართულ ფოლკლორში საფუძვლიანად განიხილა ივანე ჯავახიშვილმა ლეგენდის – „იესო ქრისტე, ელია წინასწარმეტყველი და წმინდა გიორგი“ – მიხედვით და დაასკვნა, რომ ქრისტიანული რწმენით, ღმერთი-შემოქმედი ყველაზე მაღლა უნდა იდგეს, ლეგენდაში კი „უფროს-უმცროსობა სულ სხვანაირად არის დასურათებული; ღმერთი-შემოქმედი ისეთ შესაბრაღის მდგომარეობაშია, რომ მეცხვარისაგან ერთი ბატანიც კი ვერ მიუღია სადილად; პირიქით, იგი ემუქრება კიდევ ღმერთს: „ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, აი, ამ კომბლით თავს გაგიტყხავდიო. ცხადია, მთავარ ღვთაებას მეცხვარე ასეთ თავხედობას ვერ გაუბედავდა“, – ასკვნის მკვლევარი და დასძენს, რომ მეცხვარისათვის ავტორიტეტი არის წმინდა გიორგი; მეორე ადგილზეა შემოქმედი ღმერთი, მესამეზე კი – ელია (ჯავახიშვილი ი. 1979, 83-85, 88). ეს მოტივი დიდმა მეცნიერმა დაადასტურა სხვა ლეგენდებშიც, რომელთა საფუძველზეც წმინდა გიორგისადმი ქართველი ხალხის განსაკუთრებული მოწიწება და თაყვანისცემა იმით აიხსნება, რომ „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის – წარმართობისდროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების – მთვარის ადგილი უკავია“ (ჯავახიშვილი ი. 1979, 90).

ზემოთ განხილულ ლეგენდებში დემიურგის გვერდით, წარმართულ ღვთაებებთან ერთად, მოქმედებენ დემონოლოგიური პერსონაჟები – ეშმაკი და სამოელი. მათთან ღმერთი-შემოქმედის დაპირისპირება და ხშირ შემთხვევაში უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ჩვენი წინაპრების მითოლოგიურ-რელიგიური მსოფლგაგება ქრისტიანობამდე გაცილებით ადრე ცდილობდა, შეემუშავებინა საკუთარი შეხედულება სამყაროსა და ადამიანის შექმნის თაობაზე და ეს არქაული რწმენა-წარმოდგენები, უფრო მოგვიანებით შემოსულ მოტივებთან ერთად, თავისებურად

დაილეკა კიდევ ლეგენდებში; ამასთან, ქრისტიანობის დამკვიდრებისათვის წარმართობასთან ბრძოლის რეალური კვალის გვერდით, ქართული ხალხური შესაქმის ლეგენდაში აშკარად არის გამოკვეთილი, რომ, მიუხედავად დემონოლოგიური პერსონაჟების უფალთან მეტოქეობისა, ისინი საბოლოოდ მაინც მარცხდებიან: შესაქმის ერთ-ერთი კახური ლეგენდის თანახმად, ეშმაკის ოინი ამაო გამოდგა, ღმერთმა იგი დაამარცხა (Хаханов А. 1895, 258).

შესაქმის ლეგენდის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიოს ყველა ხალხის, და მათ შორის ქართველთა, რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ადამიანის შექმნაა. მიწისაგან (თიხისაგან) ადამიანის გამოძერწვის მოტივს იცნობს ჯერ კიდევ შუმერული შესაქმის ლეგენდა: ღმერთებმა მეტოქე აბზუს სისხლში მოზიდეს თიხა და შექმნეს ადამიანი (Косидовский З. 1968, 89); „გილგამეშიანში“ კი ენქიდუს შექმნა ასეა მოთხრობილი:

...მერმე განიბანა ხელნი არურუმ,
თიხა მოზილა, ველად მოისროლა;
ველად მოავლინა გმირი ენქიდუ,
ველთა ნაშიერი ნინურთას ძალისა.

(გილგამეშიანი. 1984, 40)

თიხისაგან ადამიანის გამოძერწვის მოტივი გვხვდება ბიბლიაშიც: „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად“ (ბიბლია. 1989, 14).

მიწისაგან ადამიანის გაჩენის მოტივი გვხვდება ე.წ. ნაკლებად-განვითარებულ ხალხთა ფოლკლორულ შემოქმედებაში, რომელიც, ბუნებრივია, არც ბიბლიას იცნობს და არც შუმერულ ლეგენდებს და, ამდენად, თვითწასახვის გზით არის შექმნილი.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ვითარებაა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, რომელზე დაკვირვებაც ცხადყოფს, რომ აღნიშნული მოტივი „ძირითადად გაფორმებულია ბიბლიის სიტყვიერი ქსოვილის მიხედვით, თუმცა ამ მოტივს ქართველობა გაცილებით ადრე იცნობდა, ვიდრე ბიბლია ითარგმნებოდა“ (შამანაძე ნ. 1973, 31) და, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ დამოუკიდებლად არის შექმნილი სამყაროს შეცნობის მოწადინე ჩვენი შორეული წინაპრების მიერ; თუმცა, ისიც დასაშვებია, რომ აღნიშნული მოტივი გაჩნდა ქართველთა და კავკასიელთა მონათესავე ტომების – ხურიტების და ურარტეელების – უშუალო მეზობლის – შუმერების ანალოგიით.

ქართული ხალხური ლეგენდების, და მათ შორის კოსმოგონიური ლეგენდების, შესწავლას მშვენიერი ნაშრომი უძღვნა მკვლევარმა ნოდარ შამანაძემ (შამანაძე ნ. 1973, 110). მან გამოწველილვით შეისწავლა საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებული „ქვეყნის შექმნის“ მოტივის შემცველი ლეგენდები, თუმცა, სამწუხაროდ, მის მონოგრაფიაში ასახვა ვერ პოვა აჭარულმა მასალამ, ურომლისოდაც ამ პრობლემის მიმართ ქართველური ტომების ოდინდელი დამოკიდებულის წარმოჩენას, ჩვენი აზრით, თავისი ხიბლი და სპექტრის მნიშვნელოვანი ფერები აკლდება.

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად გავრცელებული ლეგენდა სამყაროსა და პირველი ადამიანის შექმნის შესახებ

საერთოქართულ ლეგენდათა რიგში განიხილება, თუმცა მისი სიუჟეტის ცალკეულ დეტალებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოუხდენია მუსლიმთა წმინდა წიგნში – „ჟურანში“ – მოთხრობილ ეპიზოდებსაც.

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული შესაქმის ლეგენდებზე დაკვირვება ცხადყოფს: 1. მასალათა ერთ ნაწილში ჯერ უფლის მიერ სამყაროს მოწესრიგებაზე, ანუ ქაოსის კოსმოსად გარდაქმნაზეა საუბარი, შემდეგ – ცისა და მიწის გაყოფაზე და ბოლოს – ადამიანის შექმნაზე. ლეგენდის ეს ვარიანტები, ბუნებრივია, ბიბლიურ თხრობას ეთანადება. 2. შესაქმის ლეგენდათა მეორე ნაწილისათვის თხრობის დასაწყისშივე საინტერესოა დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენა, ანუ ადამიანის შექმნა. ამ რიგის მასალებში დედამიწა უკვე არსებობს, როცა უფალი ღმერთი იწყებს ადამიანის შექმნას. 3. აჭარულ ლეგენდათა ერთი ნაწილი, რომელიც შუემწერულ შესაქმესთან უფრო ახლოს დგას, სამყაროს პირველ საწყისად აღიარებს წყალს. ნაშრომში განვიხილავთ თვითოეულ მათგანს, რომელთა ანალიზითაც ცხადი ხდება აჭარული კოსმოგონიური ლეგენდის ვარიანტთა მნიშვნელობა და ადგილი საერთოქართულ ფოლკლორულ სპექტრში.

ქობულეთური შესაქმის ლეგენდა „როგორ შეიქმნა დუნია“ (ნბიფა, საქმე №242, გვ.31–32) გვაუწყებს: „დუნია ბნელით იყო მოცული. ძირი არაფერზე ედგა და ზევით არაფერზე ეკიდა. გაუჩერებელი ქარი ქროდა, არავითარი სუდღეშული იმ დროს არ იყო. იყო მხოლოდ ღმერთი–ერთი“.

ლეგენდის თანახმად, ღმერთმა ხუთ დღეში მოაწესრიგა ქაოსი და მეხუთე დღეს შექმნა ადამიანი: „ღმერთმა ერთ მშვენიერ დღეს გაანათა ბნელით მოცული დუნია; მეორე დღეს მან ცა გაჰყო მიწისაგან, ჩადრმავებულ ადგილებში ზღვა ჩააყენა; მესამე დღეს ცას მოჰფინა ვარსკვლავები და მთვარე – ღამის მანათობელი, მერე – დღის მანათობელი მზე; მეოთხე დღეს ღმერთმა გამჩენელმა წყალში მოამრავლა თევზები და სხვა ცხოველები, შემდეგ გააჩინა ფრინველები და სხვა მრავალი ქვეწარმავლები; მეხუთე დღეს უთვალავი ნადირი გააჩინა, როგორც მტაცებლები, ასევე – უწყინარი ცხოველები და მათ საცხოვრებლად ტყე გააჩინა; ამავე დღეს, როცა მზე ეშვებოდა, დიდმა ღმერთმა ტალახიდან ადამიანი გააკეთა, ჩაუბერა სული და გააჩინა პირველი კაცი – ადამი. ადამს რომ ეძინა, გვერდიდან გამოუდო პირველი ქალი ევა...“

ლეგენდის ამ ვარიანტით სრულიად ცხადია სამყაროს შექმნის მოტივის ბიბლიურ ლეგენდასთან თანხვედრა, თუმცა ხალხური შესაქმისათვის ხუთი დღეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დემიურგს მოეწესრიგებინა ქაოსი და გაეჩინა ადამიანი. სხვა ვარიანტით „ექვს დღე-ღამეზე გაჩნდა ყველაფერი სულიერი და უსულო“ (ნბიფა, საქმე №133, გვ.12). ბიბლიის თანახმად კი უფალმა ამ საქმეს შვიდი დღე მოანდომა. ამ რიგის ლეგენდები მრავლად არის აჭარის ფოლკლორში და ასევე მრავალი ვარიანტი მოეპოვება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

აჭარული კოსმოგონიური ლეგენდების დიდი ნაწილის თანახმად, როგორც ავღნიშნეთ, დედამიწა უკვე შექმნილია, როცა ღმერთი ადამიანის გაჩენაზე იწყებს ფიქრს და წარმატებულადაც ახორციელებს.

„ადემის გაჩენამდე 62 ათასი წელიწადის განმავლობაში დედამიწა ცარიელი დარჩენილა. მერე გამჩენელმა ღმერთმა უბრძანა ანგელოზებს – მელაიქებს, წადით, ტალახი აიღეთ და ადამიანი გააკეთეთო,“ – გვაუწყებს ე. ზოიდის მიერ 1981 წელს ქობულეთის რაიონის სოფ. მუხაესტატეში თოფუზ ბათნიძისაგან ჩაწერილი ლეგენდა „ადამიანის გაჩენა“ (ნბიფა, საქმე №240, გვ.37).

ეს ლეგენდა იმითაც არის საინტერესო, რომ დედამიწისაგან ადამიანის შექმნას, ხალხური შესაქმის მიხედვით, ზნეობრივი ასპექტი უდევს საფუძვლად: რაკი დედამიწა ცარიელი იყო, ღმერთმა უბრძანა ანგელოზებს, ტალახი აეღოთ და ადამიანი გაეკეთებინათ, მაგრამ დედამიწამ სასტიკი უარი განაცხადა, მიწა არ მისცა ანგელოზებს და უარი ასე დაასაბუთა: „...ცოდვიანი ადამიანები უნდა გაჩნდნენ და მერე ისევ მე უნდა მჯლავნონო“. ღმერთმა მაინც შეასრულა განზრახვა, „ეზრავლი, სულის ამღები, გააგზავნა და იმან ძალით აართვა; მხოლოდ უბრძანა: ერთი ადგილიდან არ ეიღო, წითელი, შავი, თეთრი ალაგიდან ეიღეო. ერთი ადგილიდან რომ ეიღო, მაშინ ადამიანები ერთი ფორმისანი იქნებოდნენ.“

დედამიწის მიერ უფალი ღმერთისადმი მიწის მიცემაზე უარის მოტივს აჭარაში გავრცელებული შესაქმის ლეგენდის მრავალი ვარიანტი იცნობს. ერთ-ერთი მათგანი (ნბიფა, საქმე, №133, გვ.12-17), რომელიც ნ. ცქიტიშვილმა დააფიქსირა ხულოს რაიონის სოფ. განახლებაში 1969 წელს 85 წლის მურად ბოლქვაძისაგან, მოგვითხრობს, რომ გამჩენელ ღმერთს სამჯერ უთხოვია მიწა, მაგრამ დედამიწამ „სამ ანგელოზს უარი გაუმცხადა, მეოთხე ანგელოზმა ძალდატანებით მოჭაჭვა შვიდ ალიგიდან მიწა და იმიდან გააკეთეს“. აქვე ვეცნობთ უფლის მოციქულთა ვინაობასაც: „სამ ანგელოზს, მიწამ რო უარი უთხრა, ერქვა: ერთს – ჯებრაელი⁴⁵, მეორეს – მიქაელი⁴⁶, მესამეს – ისრაფილი⁴⁷, მეოთხეს, ძალდატანებით რო ასწია მიწა – ღეზრაილი. თან, ეს არის სულის ამრთმეველი“.

შესაქმის ლეგენდის ერთ-ერთი, შუახევის რაიონის სოფ. ბუთურაულში თემიზალ მამულაძისაგან 1970 წელს ი. აბულაძის მიერ ჩაწერილი, ვარიანტის (ნბიფა, საქმე №146, გვ.187-193) თანახმად, უფლის პირველ მოციქულს (ჯებრაელს) დედამიწამ უთხრა: „–თუ ღმერთი გიყვარს, ნუ ამწევო“. ჯებრაელმაც ვეღარაფერი გააწყო; რაკი ღმერთი და მისი სიყვარული უხსენეს, ხელცარიელი გაბრუნდა. მეორე მოციქულიც (ღეზრაელი) ასევე დაანამუსა დედამიწამ, მაგრამ ღეზრაელმა უთხრა: „– ღმერთიც მიყვარს და შენცნა წიგიღოვო.“ ღეზრაელი ასეც მოიქცა.

ამ რიგის ლეგენდებს აშკარად ატყვიან პოლითეისტური სივრცის კვალი. მათში დემიურგს წინააღმდეგობას უწევს დედამიწა, მიწას არ

⁴⁵ **ჯებრაელი, ანუ ჯაბრაილი** – ალაჰთან დაახლოებული მთავარანგელოზი, იუდაურ-ქრისტიანული ტრადიციით – გაბრიელი.

⁴⁶ **მიქაელი, ანუ მიქალი** – ალაჰთან დაახლოებული ანგელოზი, იუდაურ-ქრისტიანული ტრადიციით – მიხაილი.

⁴⁷ **ისრაფილი** – ალაჰთან დაახლოებული ანგელოზი, რომელიც კითხულობს რჯულის ფიცარზე ნაწერ გადაწვეტილებებს ადამიანთა თუ სამყაროს ბედის შესახებ.

აძლევს ადამიანის შესაქმნელად და ამ საკითხის მოგვარებაში უფალს სულთამხუთავის დახმარება სჭირდება.

სწორედ მიწისაგან (თიხისაგან) ადამიანის შექმნის მოტივს საფუძვლად უდევს ყველა ხალხის არქაული რწმენა – წარმოდგენები მიწაზე, როგორც ქალურ საწყისზე (მარადიულ საშოზე), რომელიც მითოსურ ტრადიციათა უმეტესობის (ეგვიპტურის გამოკლებით) თანახმად, დაწყვილებულია ცასთან – მამაკაცურ საწყისთან. აჭარის ფოლკლორში გავრცელებული შესაქმის ლეგენდებშიც მიწა გამოიყურება „დიდ დედად“, რომელიც გარკვეულ წინააღმდეგობას უწევს ზეცას – ამ შემთხვევაში გამჩენელ ღმერთს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედამიწის უარი ღმერთისათვის ადამიანის შესაქმნელი მიწის მიცემაზე, ალბად, მოგვიანებით, პირველქმნილი ცოდვისა და დედამიწაზე დაღვრილი პირველი სისხლის გააზრებით არის მოტივირებული, მაგრამ, ამ შემთხვევაში ჩვენთვის უაღრესად საინტერესო ცნობას გვაწვდის ქართული ფოლკლორის შემქმნელისა და საუკუნეთა მანძილზე მისი ღირსეული მატარებლის – კოლექტიური ავტორის შეხედულებაზე უფლის უზენაესი ქმნილების – ადამიანის დანიშნულებასა და მის ზნეობრივ მისიაზე.

ჩვენი აზრით, ადამიანის შექმნისადმი დედამიწის სკეპტიკური დამოკიდებულება მუსლიმთა წმინდა წიგნიდან – „ჟურანიდან“ იღებს სათავეს. „ჟურანში“ ვკითხულობთ: „როცა ღმერთმა ანგელოზებს უთხრა, მწადიო, ქვეყნად თანაშემწე ვიყოლიო, მათ მიუგეს: განა ქვეყნად ისეთი სულიერი უნდა გააჩინო, რომ ურიგობა ჩაიდინოს და სისხლი დაანთხიოს მაშინ, როცა შენ ქებას ვღაღადებთ, შენ გადიდებთ და შენ სიწმინდეს განუწყვეტლივ ვაღიარებთ? უფალმა მიუგო, მე უწეი, რაც თქვენ არ იცით („ჟურანი“. 1906,9).

როგორც ვხედავთ, ჟურანის თანახმად, ადამი უფლის თანაშემწე, მისი მოადგილეა დედამიწაზე. ბუნებრივია, დედამიწაზე უფლის თანაშემწის, ანუ ადამიანის, გაჩენაზე ანგელოზებისეულ უარის მოტივსაც ძველი აღთქმის ამბავი (პირველქმნილი ცოდვა და ძმის სისხლის დაღვრა) დაედო საფუძვლად, რადგანაც, როცა „ჟურანი“ იწერებოდა, ძველი აღთქმისეული ლეგენდები საყოველთაოდ იყო ცნობილი.

მკვლევარ ზურაბ თანდილაშვილს მიერ 1974 წელს ქობულეთის რაიონის სოფ. ზენითში ხუსეინ ქათამაძისაგან დაფიქსირებული ლეგენდის – „ადამი და ევა“ (ფოლკლორული მასალები...1990,93-95) თანახმადაც, ადამიანის შექმნამდე დედამიწა არსებობდა, მაგრამ ვინ შექმნა, ამაზე არაფერია ნათქვამი. „დედამიწაზე სიცოცხლე არ იყო უწინ, ცოცხალი არსება არ იყო...ჯერ ადამიანი გაჩენილი არ იყო“. ზენითური ლეგენდის მიხედვით, ყველა სულიერი არსება სამოთხეში ბინადრობდა; ყველაზე პირველად კი ეშმაკი გაჩენილა ცეცხლიდან, მაგრამ, რაკი მის გაჩენას ვერაფერი სიკეთე მოჰყვა, „ღმერთმა წინასწარმეტყველებს უთხრა, რომ ადამი უნდა გავაკეთოთ“. წინასწარმეტყველები წავიდნენ სამოთხეში, მოთხარეს შვიდნაირი მიწა, დაამზადეს ტაღახი და გააკეთეს კაცი – ადამი, რომელსაც ჯერ სული არ ჰქონდა ჩადგმული. წინასწარმეტყველებმა ეშმაკს უთხრეს: „ჩვენ ადამი გავაკეთეთ, წამოდი, ნახე, თუ მოგეწონოსო.“ მივიდა ეშმაკი და ნახა, რომ ტაღახისაგან კაცი იყო გაკეთებული; დაათვა-

ლიერა და ზედ დააფურთხა. წინასწარმეტყველებმა იწინეს და ეშმაკი სამოთხიდან გააძევეს. მათ ადამს ამოჭრეს ეშმაკის დანაფურთხები აღგილი და მონაჭერი გადააგდეს, შემდეგ კი ადამს სული ჩაუდგეს. ადამის სხეულის ამონაჭრიდან გაჩნდა ძაღლი. „ამიტომ არის ძაღლი ადამიანის მეგობარი, იგი ადამიანის ხორცის ნაჭერია“, – გმოდღვრავს ლეგენდა და გვაუწყებს, რომ „ადამს მარცხენა უბეში გაუჩნდა ევა, რომელიც შემდეგ მისი ცოლი გახდა“.

შესაქმის ლეგენდის ამ ვარიანტში უფლისეული გარჯა ნაკლებად იგრძნობა: იგი წინასწარმეტყველებს ავალებს ადამიანის შექმნას და სულსაც კი წინასწარმეტყველები ჩაბერავენ ტალახისაგან შექმნილ ადამიანის ფიგურას; ამავე დროს, ადამის ფიგურას წინასწარმეტყველები თავდაპირველად ღმერთს კი არ უჩვენებენ, არამედ – ეშმაკს.

ძალზე საინტერესოა ლეგენდის ეტიოლოგიური სიუჟეტები ეშმაკისა და ძაღლის გაჩენის შესახებ. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ეშმაკი ცეცხლისგან იშვა სამოთხეში; ეშმაკი დაცემული ანგელოზია, ანუ თავდაპირველად ისიც სამოთხის ჩვეულებრივი ბინადარი იყო; მისი გაჩენაც სამყაროსეული შესაქმის ერთ-ერთი პირველადურიდან – ცეცხლიდან მოხდა; მაგრამ შემდეგ, რაც „ეშმაკმა არაფერი სიკეთე არ მოიტანა“, ღმერთმა წინასწარმეტყველებს ადამიანის გაკეთება დაავალა. როგორც მკვლევარი გ. მახარაშვილი მიუთითებს, „ღმერთს არ სურდა, ქვეყანაზე ყოფილიყო ეშმაკი, მაგრამ რადგანაც ვერ გაექცა ბოროტების არსებობას, რომელსაც თავადვე ჩაუყარა საფუძველი, გააჩინა ადამიანი“ (მახარაშვილი გ. 2004, 155). ლეგენდის ეს ეპიზოდები გარკვეულწილად მიუთითებს იმაზე, რომ, ხალხის რწმენით, ზოგჯერ შემოქმედის ცდება, თუმცა თავადვე ასწორებს ამ შეცდომას.

ზენითური ლეგენდა შეიცავს ეტიოლოგიურ სიუჟეტს ძაღლის გაჩენის შესახებაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ლეგენდით ძაღლი ადამის სხეულზე ეშმაკის მიერ დაფურთხებული და წინასწარმეტყველების მიერ ამოჭრილი ხორცის ნაჭრიდან გაჩნდა. ადამის სხეულიდან ძაღლის გაჩენის ეტიოლოგიურ ეპიზოდს იცნობს ლეგენდის ზემოთ განხილული, შუახეური (სოფ. ბუთურაული) ვარიანტიც. ლეგენდის თანახმად, ღეზრაილმა მიწა რომ მიიტანა, გააკეთეს „კაცისებური რამე“, რომელიც 40 ათასი წელიწადის განმავლობაში უსულოდ იდო. „გეიარა შეითანმა და ამას მიაფურთხა. აი მოფურთხული გამოჭრეს და გეიქნიეს. იქიდან გამეიჩეკა ძაღლი“ (ნბიფა, საქმე №146, გვ. 187).

ამრიგად, როგორც ქობულეთური ლეგენდა „ადამი და ევა“, ისე შუახეური ლეგენდა „ადამიანის გაჩენა“ მრავალმხრივ საინტერესო ნიმუშებია; მათში აშკარად არის გამოკვეთილი, რომ ადამიანის გაჩენამდე დედამიწა უკვე შექმნილია. ადამიანის შესაქმნელთან ერთად, ეს ლეგენდები გვთავაზობს ეშმაკისა და ძაღლის გაჩენის მოტივსაც, რასაც არ იცნობს საქართველოს არც ერთი კუთხის ფოლკლორული მასალა. ამ თვალსაზრისით აჭარული შესაქმის ლეგენდა ძალზე ორიგინალური და საგულისხმოა, თუმცა საფიქრებელია, რომ ლეგენდის არქეტიპული ვარიანტი ძაღლის გაჩენის ეპიზოდს არ იცნობდა; ის ლეგენდის გვიანდელი ჩანართია, სოციალური დატვირთვა გააჩნია და საზრდოობს ცნობილი ხალხური ფრაზეოლოგიზმით – „ძაღ-

ლი ადამიანის მეგობარია“. მიუხედავად ამისა, ამ რიგის ლეგენდათა ვარიანტები თავისთავად ორიგინალურია, რადგანაც ადამის სხეუ-
ლიდან ევას გარდა სხვა პერსონაჟის გაჩენაზეც გვაუწყებს.

სხეულიდან მოჭრილი ხორცის ნაჭრიდან სულიერის დაბადებას იცნობს აფრიკის ერთ-ერთი ტომის – ეინაბოგოველების ფოლკლორი. ლეგენდის თანახმად, დიდმა მანიტუმ გაიდვიბა და დაინახა, რომ დედამიწა ცარიელი იყო. მან სხეულიდან მოიგლიჯა ხორცის ნაჭერი, მიწას შეურია და გააჩინა კაცი. როგორც ვხედავთ, აფრიკულ შესაქმეშიც, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს „ბიბლიასთან“ და შემერულ ეპოსთან, ადამიანის შექმნისათვის ერთ-ერთი კომპო-
ნენტია მიწა და სხეულის ნაჭერი (Косидовский 3. 1968, 158).

აჭარული შესაქმის ლეგენდის ერთ-ერთი ვარიანტი „საიდან გაჩნდა ინსანი“, ⁴⁸ რომელიც 1962 წელს აზიზ ახვლედიანმა ჩაიწერა ქობულეთის რაიონის სოფ. აჭში მეჯიდ ხაჯიშვილისაგან, თხრობას იწყებს პირველი ადამიანების შექმნის თაობაზე: „პირველად მელაი-
ქებმა ⁴⁹ მოზილეს მიწა და გაჩდა კაცი–ადემი. ამ კაცის გვერდის ძვალი გამოიღეს და იქიდან გაჩდა ქალი–ევა“ (ნბიფა. საქმე №63, გვ.32). ლეგენდაში არაფერია ნათქვამი შემოქმედი ღმერთის მიერ სამყაროს მოწესრიგებაზე; ადამისა და ევას შექმნის ეპიზოდს კი უშუალოდ მოსდევს თხრობა პირველქმნილი ცოდვისა და ადამისა და ევას დასჯისა თუ სამოთხიდან გამოძევების თაობაზე.

თითქმის იდენტურია ლეგენდა სათაურით „ქვეყნის გაჩენა“ (ნბიფა, საქმე № 131. გვ.61-64), რომელიც ასევე ადამიანის გაჩენით იწყებს თხრობას: „ადემი არი მიწიდან გაკეთებული... მერე გამჩენმა ღმერთმა ადემს მისცა ძილი. ამ ძილში ამუშულო მარცხენა ყაბურღა ⁵⁰ და გააჩინა ქალი – ხევა“. შემდგომ კი, ზემოთ ნახსენები ლეგენდის დარად, მოქმედი ვრცლად მოგვითხრობს სამოთხის პირველი ბინადრების თავგადასავალზე, ეშმაკისაგან ცდუნებასა და უფლის მიერ მათ დასჯაზე.

ზემოთ განხილულ ლეგენდათა მსგავსია შესაქმის რატული ვარიანტი: „უფალმა მოზილა თიხა, სული ჩაბერა და გააჩინა ადამი-
ნი. მას დაარქვა ადამი“ (შამანაძე ნ. 1973, 20).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაქმის ლეგენდის ზოგიერთი აჭარუ-
ლი ვარიანტი სამყაროს პირველ საწყისად აღიარებს წყალს, რითაც შემერულ კოსმოგონიას უფრო ეხმაურება, ვიდრე – ბიბლიურს.

შემერთა ლეგენდის თანახმად, თავდაპირველად ქაოსი იყო და ყველაფერი წყლით იყო დაფარული. ქაოსისაგან იშვნენ პირველი ღმერთები. საუკუნეების შემდეგ ზოგიერთებმა სამყაროს მოწესრი-
გება გადაწყვიტეს, რამაც აღაშფოთა ღმერთი აბზუ და მისი ცოლი – ქაოსის ღმერთქალი თიამათი, რომელსაც დრაკონის გამოსახულე-
ბა ჰქონდა. ღმერთებმა მარდუკის ხელმძღვანელობით დახოცეს ცოლქმარი, თიამათის სხეული ორად გაჭრეს და ზეცა და მიწა შექმნეს, ხოლო აბზუს სისხლით თიხა მოზილეს და ადამიანი გააკე-
თეს (Косидовский 3. 1968, 27).

⁴⁸ ინსანი (არაბ.) – ადამიანი, კაცი.

⁴⁹ მელაიქი (არაბ.) – ანგელოზი, ღვთის მოციქული.

⁵⁰ ყაბურღა (თურქ.) – ნეკნი.

ქობულეთის რაიონის სოფ. აჭყვისთავში დაფიქსირებული შესაქმნის ლეგენდა „ადამ და ევა“ (ნბიფა, საქმე №242, გვ.5-10) მოგვითხრობს: „წინათ დუნია სულ ზღვით იყო დაფარული. ზღვა დამრა და დარჩა ხმელეთი. ინსანი არ არსებობდა. ღმერთმა ტალახიდან კაცის ფორმა გააკეთა, სული ჩაუბერა, გააცოცხლა და სახელად ადამ დაარქვა“. საინტერესოა ამ ლეგენდისეული ევას შექმნის ეპიზოდი. ადამს არც ტანსაცმელი სჭირდებოდა და არც საკვები, ყველაფერს ღმერთი უზრუნველყო; „ყოველ დღე, დილა–საღამოს, მასთან დედალი მწვერი ჩამოდიოდა ზეციდან ღმერთის ბრძანებით. ერთხელ ადამმა მწვერს გამოსჭრა გვერდის ნაწილი და იქიდან გააკეთა მისივე მსგავსი ადამიანი – ქალი, რომელსაც სახელად ევა დაარქვა“.

აჭყვისთავური ლეგენდა იმ მხრივაც არის ღირშესანიშნავი, რომ საქართველოს სხვა კუთხეებში და მათ შორის აჭარაშიც, დღემდე დაფიქსირებულ შესაქმნის ლეგენდათა ყველა ვარიანტის თანახმად, ევა ჩნდება ადამიანის გვერდიდან (ნეკნიდან), ამ ლეგენდით კი ევა მწვერის გვერდიდან გააკეთა ადამმა და არა ღმერთმა – ადამის ნეკნიდან; თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ერთ-ერთი კოსმოგონიური ლეგენდა „ადამიანის გაჩენა“ (ნბიფა, საქმე №240, გვ.37-38) გვაუწყებს, რომ ევა მისით გაჩნდა: ახლადშექმნილი „ადემი პირდაპირ ჯენნეთში⁵¹ შეაბრძანეს. მარტო იყო ჯენნეთში და დეეძინა. რომ ეძინა, მარცხენა ფირცხალიდან⁵² გამოვიდა ჰავა. ჰავა ჰაერიდან მისით არის გაჩენილი და იმიტომ დაერქვა ჰავა.“ ლეგენდის მიხედვით, ადამმა ვერც კი გაიგო, ევა რომ გაჩნდა. იგი ანგელოზებმა გააღვიძეს და აუწყეს „ჯენნეთის ამხანაგის“ გაჩენის თაობაზე.

ამრიგად, აჭარის ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად გავრცელებული ლეგენდა ქვეყნიერების შექმნასა და პირველ ადამიანთა გაჩენაზე საშუალებას იძლევა, დავასკვნათ: ლეგენდათა ერთი ნაწილის თანახმად, სამყაროს შექმნისა და პირველ ადამიანთა გაჩენის მოტივი ემთხვევა ბიბლიურ ლეგენდას, თუმცა აშკარად იგრძნობა ყურანისეული სიტყვიერი ქსოვილისა და ცალკეული ეპიზოდების გავლენაც. ლეგენდის ზოგიერთი ვარიანტი თანხვედრა შემერულ მოტივს; მათში შეინიშნება პოლითეისტური რწმენის ნაკვალავი და წარმართულსა და ქრისტიანულ მსოფლმხედველობას შორის ბრძოლის ანარეკლი.

აჭარული კოსმოგონიური ლეგენდის ვარიანტებზე დაკვირვება მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ მიწისაგან ადამიანის შექმნის მოტივი ქართულ ფოლკლორში ბიბლიის გავლენით არ უნდა იყო შექმნილი, რომ ამ მოტივს ბიბლიის თარგმნამდეც იცნობდნენ ჩვენში. ბუნებრივია, ყურანისეული გავლენებიც ბოლოდროინდელ, აჭარაში მუსლიმანობის გავრცელების შემდგომ, მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

⁵¹ ჯენნეთი (არაბ.) – სამოთხე.

⁵² ფირცხალი (ზ. აჭ.) – მალი, სწრაფი, ჩქარი.

Мотив сотворения мира и первых людей в аджарской легенде Бытия

Резюме

В аджарском фольклоре, во многих вариантах распространенная легенда о сотворении мира и первых людях, рассматривается в системе общегрузинских верований; Она совпадает с библейским преданием, но на развитие отдельных эпизодов и деталей значительное влияние произвела мусульманская святая книга «Коран».

На основе изучения аджарских космогонических легенд можно сделать вывод, что мотив сотворения человека из земли не должен был возникнуть под влиянием «Библии» и «Корана». Данный мотив гораздо архаичен и свидетельствует о типологичности представлений разных народов в процессе осознания мира.

Tina Shioshvili

Motive of the creation of the world and first humans in Ajarian legend on creation

Summary

There are various variations of the legend on the creation of the world and first humans in the Ajarian folklore. Overall, the legend can be considered as part of the Georgian belief system, coinciding with the Biblical version, although certain fragments of the plot and details were seriously influenced by the Book of the Muslims – Koran.

By studying the Ajarian variations of this legend we can conclude that the idea of creating a human from soil in the Georgian folklore cannot be explained by the impact of 'Bible' and 'Koran'; rather, this motive is much more archaic, proving that faith and beliefs of various peoples in relations to exploring the world are typical.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია. თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989.
2. ყურანი, თბილისი, ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, 1906.
3. გილგამეშიანი, ძველი შუამდინარული ეპოსი. II გამოცემა. აქადურიდან და შუმერულიდან თარგმნა ზ. კიკნაძემ. თბილისი, გამომცემლობა „განათლება“, 1984.
4. მახარაშვილი გ. შესაქმის ლეგენდა აჭარულ ფოლკლორში. ღუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კრებული „კრიტიკური“, № 11 თბილისი, 2004.
5. ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი (ნბიფა).

6. ნიუარაძე ბ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1962.
7. ფოლკლორული მასალები, შეკრიბა, გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ზურაბ თანდილაყამ. კრებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ზეპირსიტყვიერება, X. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990.
8. შამანაძე ნ. ქართული ხალხური ლეგენდები, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.
9. ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები, თბილისი, 1965.
10. ჯავახიშვილი ი. თხზულებანი 12 ტომად, ტომი I. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979.
11. ხალხური სიბრძნე. თბილისი, გამომცემლობა „ნაკადუ-ლი“, 1964.
12. Косидовский З. Библейские сказания, 1968.
13. Хаханов А. Очерки по истории грузинской словесности, 1895.

გიორგი მახარაშვილი

ახალგათხოვილი ქალიშვილისათვის „სადილის“ მიტანის ტრადიცია აჭარაში და მისი გენეზისის პრობლემა⁵³

*(დიდი წარღვნის ლეგენდის აჭარული ვარიანტების
მიხედვით)*

დიდი წარღვნის ლეგენდის ჯემალ ნოღაიდელისეული ჩანაწერის მიხედვით, წარღვნის დროს ნუხ ფეილაძეს, იგივე ნოე წინასწარმეტყველს, გემზე ყოლია მისი სამი ვაჟი და ერთი ასული. მთქმელის განმარტებით, „ხალხი რომ გამრავლებულიყო, ნუხს გადაუწყვეტია, თავისი ქალი თავისსავე ვაჟზე დაექორწინებინა, „მაგრამ ქალი ერთი ჰყავდა და ვაჟი კი - სამი. ნუხ-ფეილაძე დიდონებულა. მაშინ ღმერთს ჯებრაილი⁵⁴ მიუგზავნია ნუხისათვის და უბრძანებია: შენ რომ დედალი ვირი და ძაღლი გყავს, დამე შენს ქალთან ერთად ოთახში დაამწყვდიეო. ნუხს ბრძანება შეუსრულებია და დილას ოთახში სამი ქალი დახვედრია. ნუხს თავისი ასული ვეღარ უცვნია. თითო ვაჟისათვის თითო ქალი დაურიგებია. შემდეგ ნუხს თავისი ქალის ცნობა გადაუწყვეტია. ერთი კვირის შემდეგ მიუტანია ერთ-ერთი ვაჟისათვის სადილი და უკითხავს: როგორია ჩემი ასულიო? ვაჟს უპასუხია: კარგია, მაგრამ ცოტა მეტი ლაპარაკი უყვარს.

ნუხს უცვნია, რომ ეს ძაღლის ჯიშადან არისო.

მეორე კვირას მეორე შვილისათვის მიუტანია სადილი. გამოკითხვის შემდეგ გაუგია, „რომ მისი ქალი კარგია, ცოტა ინათიანი - ჯიუტი რომ არ იყოსო. ამ გზით ნუხ ფეილაძეს თავისი პირმშო ასული გამოუცნია“ (ნოღაიდელი ჯ. 1971, 61).

როგორც მკვლევარი ჯემალ ნოღაიდელი მიუთითებს, „საფიქრებელია, რომ ქორწილის შემდეგ „სადილის“ მიტანის ჩვეულება, რაც ბოლო დრომდე აჭარული საქორწილო რიტუალის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია, სწორედ ამ ნიადაგზე იყოს გავრცელებული.

აღსანიშნავია, რომ აჭარაში დაფიქსირებულ ერთ-ერთ, ვარიანტშიც („ნოე ანგელოზის ამბავი“) ვხვდებით ქორწილის შემდეგ

⁵³ სტატია მომზადებულია პროექტის „საქართველოს მუსლიმური თემი თანამედროვეობის კონტექსტში (ისტორიული, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული, სოციო-ფსიქოლოგიური, კულტუროლოგიური და სტატისტიკური ანალიზი)“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი ხორციელდება სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (გრანტი # 07-614-1-140). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) შეხედულებებს.

⁵⁴ ჯებრაელი, ანუ ჯაბრაილი – ალაჰთან დაახლოებული მთავარანგელოზი, იუდაურ-ქრისტიანული ტრადიციით – გაბრიელი.

ქალიშვილისათვის სადილის მიტანის გენეზისის შემცველ ეპიზოდს, ოღონდაც სასიძოვები აქ გემის მშენებელი ხელოსნები („უსტები“) არიან.

დიდი წარღვნის ლეგენდის ამ ვარიანტით, ნოეს დაესიზმრა, „დედამიწა უნდა ეიღოს წყალმაო“ და გემის აშენება დაევალა. მთქმელის განმარტებით, რადგანაც დაესიზმრა, „ვაღაღ დეედვა“ და ნოემაც მონახა უსტები. ამ ვარიანტითაც უსტა სამია, გოგო კი – ერთი. კვლავ ესიზმრა ნოეს: „ – არ შეწუხდე, სამნივეს დაპირდიო!“ მართლაც, ნოე სამივე მშენებელს დაპირდა, რომ ქალიშვილს მიათხოვებდა. გემის მშენებლობა რომ დამთვრდა, ნოეს კვლავ ესიზმრა, როგორ მოქცეულიყო; ეს რჩევა-დარიგებაც სხვა ვარიანტთა იდენტურია: ჭაკი ვირი, ძაღლი და ქალიშვილი ერთ ოთახში ჩაკეტა ნოემ და მეორე დილას კი სამი ერთმანეთის მსგავსი გოგო დახვდა და საკუთარი ვეღარ გამოარჩია. „დუუძახა უსტიებს და მისცა (გოგოები - გ. მ).“ (ნბიფა, №219, 42-45).

საკუთარი ქალიშვილის შეცნობის წადილი ამ ვარიანტითაც ქალიშვილისათვის ეგრეთწოდებული „სადილის“ (ტკბილეულობის) მიტანის საფუძვლად არის აღიარებული: ნუხმა „სადილი“ მიუტანა სიძეს და უთხრა:

- შვილი კი მოგე, მარა რა ზნე აქო?
- კაია, მარა ცოტა ენა-პირიანიაო.
- აჰა, ესაა ძაღლიო! – თქვა ნუხმა, წველა მეორესთან“. იქ უთხრეს:

- კაია, მარა ცოტა ინათიანიაო.
- აჰა, ესა ვირიო!“

ახლა მესამესთან წავიდა. იქ ქალის მიზეზიანობა ვერ უთხრეს, შეუქეს და ნუხმაც დაადგინა, რომ ეს მისი ქალიშვილი იყო:

„ – აჰა, ეს ჩემი შვილიო!“⁵⁵ (ბსკიფა, №219, 42-45)

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ მთქმელი ტაშტან პაქსადე ამ ფაქტით ხსნის ქალთა მოდგმის სხვადასხვანაირ ხასიათს: ერთნი მომეტებულად ჯიუტნი არიან, მეორენი – ბრაზიანები, ხოლო სხვანი – უზადონი: „ეს სამი ჯიში ადამიანისა იქიდან არის დარჩენილი, სხვა ხალხი ყველა დაიხრჩო,“ – გვაუწყებს ლეგენდა (ნბიფა, №219, 42-45).

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულია დიდი წარღვნის ლეგენდის ისეთი ვარიანტებიც, რომელთა თანახმადაც, გათხოვილი ქალისათვის ნოეს სულაც არ მიაქვს ეგრეთწოდებული „სადილი“, ის სიძეებს იმ მიზნით სტუმრობს, რომ შეიცნოს საკუთარი ქალიშვილი. მართალია, ამგვარ ვარიანტთა თხრობა დიდი წარღვნის წინ გემის მშენებლობის სიუჟეტურ ფონზე მიმდინარეობს, მაგრამ მათი ლაიტ-მოტივია, ახსნას ქვეყნად სამნაირი (ჯიუტი, ავი და ადამიანური, ანუ კეთილი) ხასიათის ქალის არსებობის მიზეზი. ეფიქრობთ, რომ ამ ვარიანტებში „სადილის“ მიტანის ტრადიციაზე სწორედ ამიტომაც არ არის გამახვილებული ყურადღება.

⁵⁵ ავტორის პირადი არქივიდან, მთქმელი ალი ქამადაძე, 74 წლის, მცხ. შუახევის რაიონის სოფ. ნენიაში, ჩაიწერა ბსუ მაგისტრანტმა თეონა ქამადაძემ 2005 წელს. მასალა მოგვაწოდა ჩამწერმა.

პრობლემის სრულად წარმოჩენისათვის განვიხილავთ ერთ-ერთ მათგანს,⁵⁶ რომელიც დიდი წარღვნის ლეგენდათა სხვა ვარიანტებს გარკვეულწილად ავსებს კიდევ: კილობნის აშენება რომ დაიწყო, ნოეს ოსტატები შემოაკლდა. მოიყვანა ერთი ოსტატი, რომელმაც დაჟინებით მოსთხოვა სანაცვლოდ რაიმეს მიცემა.

„ – არაფერი მაქ, – უთხრა ნოემ.

– მაშინ გემში შემოიყვანო.

– არაო, ღმერთმა იმიკრძალო.“

გაჯიუტებულ ოსტატს ნოემ უთხრა:

„ – თუ წარღვნას გადარჩი, ერთი ციცაი მყავს და მოგცემო.

– დამანახვეო.

დვინახა და მეეწონა“

ოსტატს ისე მოეწონა ნოეს ქალიშვილი, რომ დღედაღამ „ლოცვი-ლობა და ყველა ფიცარს თავს ურტყამდა.“

კილობნის აგება გვიანდებოდა და ნოემ ცალ-ცალკე კიდევ ორი ოსტატი (უსტა) დაიქირავა. იმათაც ქალიშვილს დაპირდა, თუკი წარღვნას გადაურჩებოდნენ.

წარღვნა რომ დამთავრდა, გადარჩენილმა ოსტატებმა ნოეს მიაკითხეს. მას კი, ლეგენდის სხვა ვარიანტთა მსგავსად, მხოლოდ ერთი ქალიშვილი ჰყავდა. „რა ქნას ნოემ, სიტყვას ხომ ვერ გატეხს ღმერთისტოლა კაცი! ჩავარდა დარდში, მარა რა დარდში...“ ორმოცი დღე და ღამე ილოცა ნოემ; ევედრებოდა ღმერთს, ეხსნა გასაჭირი-საგან. ბოლოს უფალი გამოეცხადა და ურჩია, ქალიშვილი ძაღლთან და ვირთან ერთად ახორში დაამწყვდიეო. დილას სამი ქალიშვილი დახვდა. ახალი საგონებელი გაუჩნდა ნოეს: აღარ იცოდა, რომელი იყო მისი ნამდვილი შვილი. დაიწყო ღოცვა და ისევ უფალი მიეხმარა და ურჩია, გაეთხოვებინა გოგონები.

გაათხოვა ნოემ სამივე გოგო. ძალიან მოენატრა შვილი, მაგრამ არ იცის, რომელია. მივიდა ერთთან. დაიწყეს საუბარი. მამამთილმა უთხრა:

„ – კაია ჩემი რძალი ყველაფრით, მაგრამ ცოტა ძაღლი სოიდანაა, ენა არ უდგება კბილებ შუაო.“

ნოე მიხვდა, რომ ეს მისი ქალიშვილი არ იყო. მეორე ოჯახში მისულს ქალიშვილის დედამთილმა უთხრა:

„ – კაია, მარა ნამეტანი ინათიანიაო.“

ახლა კი მიხვდა ნოე, რომელი იყო მისი ნამდვილი ქალიშვილი და მესამე ოჯახს მიაშურა. ეზოშივე მიეგებნენ მოყვრები, მიეფერნენ, გადაეხვივნენ და უთხრეს:

„ – ... ნამდვილი ინსნის გამზრდელი ინსანი ხარო.“

ლეგენდის დასკვნით, იმ სამი ქალიდან გამრავლდა ხალხი და ამიტომაც არის, რომ ზოგი ადამიანური ხასიათისაა, ზოგი ვირით ჯიუტია, ზოგი კი – ძაღლივით ავი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლეგენდის ამ ვარიანტში არაფერია ნათქვამი გათხოვილი ქალიშვილის ოჯახში „სადილის“ მიტანაზე; აქ აქცენტი ადამიანური ხასიათის ნაირგვარობაზეა გამახვილებული როგორც დასაწყისში, ისე – დასკვნით ნაწილში.

⁵⁶ იქვე.

ლეგენდის სხვა ვარიანტი („ნოეს კიდობანი“⁵⁷) კი გვაუწყებს: „იყო რუხ (იგივე ნუხი, ნოე – გ.მ.) ფეილაბერი, რომელიც აშენებდა გემს, რომ დუნია უნდა დაქცეულიყო.“ ნოემ გემის აშენება სთხოვა ერთ ახალგაზრდა კაცს, მან კი უპასუხა:

„ – თუ მომცემ ცოლად შენს ქალიშვილს, მაშინ დაგეხმარებიო.“

ფეილაბერი დაპირდა. რაკი დრო აღარ ითმენდა, ნოემ კიდევ ორი ოსტატი მონახა და მათაც იგივე პირობა დაუდო. მთქმელი ხაზგასმით მიანიშნებს, რომ ნუხმა ზნეობას უღალატა, ტყუილი თქვა – ერთი ქალიშვილი სამ ვაჟს დაპირდა, მაგრამ აქვე გამართლებასაც უძებნის მის საქციელს: „არ შეიძლებოდა ფეილაბერის ტყვილი ლაპარაკი, მაგრამ რა ექნა, დრო არ ითმენდა. სამივე ახალგაზრდა დაარიგა ცალ-ცალკე, რომ მისი დანაპირევი და ჩანაფიქრი ერთმანეთისთვის არ გაემხილათ.“

წარდგენა რომ დამთავრდა, ხელოსნებმა დანაპირები მოითხოვეს. რუხმა ზეცისაკენ აღაპყრო ხელები და წარმოთქვა:

„ – ღმერთო გამჩენელო, რა გავაკეთო?“

ღმერთმა მიუგო:

„ – შენი გოგო შეაგდე საჯინიბოში და თანაც ერთი დედალი ვირი და ერთი დედალი ძაღლი შეაყოლე!“

ფეილაბერი ასეც მოიქცა. გავიდა დრო, ნუხ ფეილაბერმა გააღო საჯინიბოს კარები და „გაშტერდა, მისი თვალები რას ხედავდნენ: მის წინ სამი ლამაზი ქალიშვილი იდგა. მაშინ მისი საქმეც გამოსწორდა.“

მართლაც, ნუხ ფეილაბერმა საკუთარიცა და მისი ქალიშვილის მსგავსი ორიც გემის მშენებელ ოსტატებს ჩამოურიგა და შევებითაც ამოისუნთქა, რადგან დანაპირების შესრულება შეძლო.

დრო რომ გავიდა, ფეილაბერმა ცოლს სთხოვა, ტკბილეული გამოეცხო, რათა ქალიშვილი მოენახულებინა და გაეგო მისი ამბავი. ცოლმა გამოუცხო ტკბილეული და გაატანა. ერთ-ერთი ქალიშვილის სახლში მივიდა და მოიკითხა:

„ – ჩემი გოგო როგორია, როგორ ძაღლობსო?“⁵⁸

ოჯახის წევრებმა უთხრეს:

„ – ყველანაირად კარგია, ყველანაირად ლამაზია, ყველაფერ აკეთებს, მაგრამ როცა გაჯავრდება, ძაღლივით ყფებს და არისო.“

მიხვდა ნუხ ფეილაბერი, რომ ეს არ იყო მისი ნამდვილი ქალიშვილი.

გავიდა ხანი. ნუხმა კიდევ გამოაცხოებინა ტკბილეული მეუღლეს და ახლა მეორე ქალიშვილს ესტუმრა. იქაც იკითხა, როგორ ძაღლობსო. მათაც მიუგეს:

„ – ყველანაირად კაია, მაგრამ ჯიუტია როგორც ვირიო, ვერაფერს გააწყობო.“

მიხვდა ფეილაბერი, რომ არც ეს იყო მისი ნამდვილი ქალიშვილი. მესამეჯერ გამოაცხოებინა ცოლს ტკბილეული და მესამე ქალიშვილსაც ეწვია. იქაც რომ მივიდა, მოიკითხა ქალის საქციელი. მაშინ მიუგეს:

⁵⁷ ავტორის პირადი არქივიდან, რეგული № 1, გვ. 7-10.

⁵⁸ როგორ რძლობას ეწვეო?

„ – ქალიშვილი კი არა, ანგელოზიაო. ისეთი კარგია, რომ ყველაფრის გაკეთება შეუძლია და არავითარი ნაკლი არა აქვსო. ღმერთმა აგაშენაო და ჩვენც აგვაშენაო ამ ქალმა! მაშინ გაუხარდა ნუხ ფეიდაშვილს, რომ ის ქალი მისი ქალიშვილი იყო.“

ლეგენდა დასძენს: „ამის შემდეგ დაწესდა სადილის მიტანა გოგოზე აჭარაში.“

როგორც მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული გათხოვილი ქალიშვილისათვის სადილის მიტანის სიუჟეტის შემცველი დიდი წარღვნის ლეგენდა ძირითადად ამ ორი ვარიანტით გვხვდება: 1. წარღვნის შემდგომ კაცობრიობის გასამრავლებლად ნოე წინასწარმეტყველი ცდილობს თავისი ერთადერთ ქალიშვილის თავისსავე ვაჟზე დაქორწინებას, მაგრამ, რაკი ქალიშვილი ერთი ყავს და ვაჟი კი – სამი, უფალი ეხმარება და დედალ ვირსა და ცხენს ქალიშვილებად გადააქცევს; 2. ნოეს გემს სამი ხელოსანი აგებს და ნოე სამივეს პირდება თავის ქალიშვილს. წარღვნის შემდეგ დანაპირების ასრულებაში ისევ ღმერთი ეხმარება და ამავე გზით გაასამებს ნოეს ქალიშვილს.

დღივლი ქალიშვილის შეცნობის მოწადინე ნოეს თავგადასავალი კი ორივე ვარიანტისათვის იდენტურია, რასაც, ხალხის რწმენით, მოჰყვა გათხოვილი ქალიშვილისათვის ტკბილეულის მიტანის ჩვეულება („სადილის“ მიტანა).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ზეპირსიტყვიერებაში დაფიქსირებულია ისეთი ვარიანტებიც, რომლებშიც აღარ მიეთითება დიდი წარღვნის ამბავზე და სიუჟეტი საქორწილო თხოვა-გათხოვებამდეა დასული. ლეგენდის ერთ-ერთი ვარიანტით, რომელიც დაფიქსირებულია ქედის რაიონის სოფელ ხარაულაში (მთქმელი ოსმან ზაქარაძე, ჩაიწერა თინა შიოშვილმა 1987 წელს), შენდება არა ნოეს კიდობანი (გემი), არამედ – ერთ-ერთი უსტის (ოსტატის - გ. მ.) საცხოვრებელი სახლი და მშენებლობის დასაჩქარებლად ეს უსტა სამ სხვა უსტას მიიწვევს დასახმარებლად. სამივეს სათითაოდ მოეწონა სახლის პატრონის მშვენიერი და კარგად გაზრდილი ქალიშვილი და სათითაოდ გაუმხილეს თავიანთი სურვილი ქალიშვილის მამას. ისიც სათითაოდ ყველას დაპირდა, რომ მის ასულს მიათხოვებდა, თუკი კარგად და ხარისხიანად იმუშავებდნენ.

შეგულიანებულმა ხელოსნებმა უფრო მონდომებით დაიწყეს საქმიანობა და, მშენებლობა რომ დამთავრდა, სახლის პატრონს პირობაც შეახსენეს. საგონებელში ჩავარდნილი კაცი ხოჯასთან მივიდა და რჩევა ჰკითხა. ხოჯამ იგივე ურჩია, რაც დიდი წარღვნის აჭარულ ლეგენდაში ნოეს ურჩია უფალმა; შემდეგ კი საკუთარი ქალიშვილის ამოსაცნობად „სადილი“ (ტკბილეული) მიიტანა უსტამ სამივესთან. „ასე და ამგვარად დაწესდა ტკბილეულის, ანუ „სადილის“ მიტანა გათხოვილი ქალიშვილის ოჯახში მერვე ან ოცდამეერთე დღეს.“⁵⁹

ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში 90 წლის ხასან დუმბაძისაგან 1966 წელს სერგო დუმბაძის მიერ ჩაწერილ ვარიანტში „სამი უსტა“ (ნბიფა, №101, 21-23), რომლის თხრობის სტილიც საზღაპრო ეპოსს წააგავს („იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი. ეგ კაცი აკეთებს

⁵⁹ მასალა მოგვაწოდა ჩამწერმა – პროფ. თინა შიოშვილმა 2001 წელს.

სახს...“), სიუჟეტი ასევე სახლის მშენებლობით ვითარდება. სახლის პატრონი ხელოსნებს სამუშაოს საფასურად ქალიშვილების მითხოვებას შეპირდა, თუმცა ერთი ქალიშვილი ყავდა. სახლის მშენებლობა რომ მთავრდებოდა, საგონებელში ჩაგარდნილ კაცს ესიზმრა მოხუცი ჯადოქარი დედაკაცი, რომელმაც ურჩია, ოთახში ერთად დაემწევიდა ქალიშვილი, ვირი და ძაღლი, თან ერთი დუა (ლოცვა) წაეკითხა. კაცი ასეც მოიქცა. სამი დღის შემდეგ ძაღლი და ვირი გოგონებად გადაიქცნენ და სახლის პატრონმა სამივე ხელოსანი „პირნათლად“ გაისტუმრა.

ამ ვარიანტშიც არ იხსენიება სადილის მიტანა, ისევე, როგორც ზემოთ განხილულ, ნენიაში ჩაწერილ, ვარიანტში. აქ საკუთარი ქალიშვილის ამოცნობის სურვილით მიდის კაცი სამივე უსტის ოჯახში. შეკითხვაზე, კმაყოფილია თუ არა ცოლით, ერთ-ერთი სიძე პასუხობს:

„ძალიან კარგია, ოღონდ კი ცოტათი სიძაღლე აქვს“.

მიხვდა კაცი, რომ ეს ქალი ძაღლიდან იყო; მეორე სიძესთანაც გაარკვია, რომ ვირიდან იყო, რადგანაც „ქმარი უჩივის ინათიანობას“; მესამე უსტასთან სტუმრად მისულს სიძემ სიხარულით უთხრა:

„- ძალიან კარგი ადამიანია, ამის უკეთესი ქვეყანაზე არ მეგულება არსად. არის სიტყვის გამგონი, მორჩილი, უყვარს სტუმარი, არის პატიოსანი, მშრომელი, კეთილსინდისიერი.“

კაცი მიხვდა, რომ ეს იყო მისი დეიძლი ქალიშვილი.

ლეგენდის დასასრულს ამ ვარიანტშიც ადამიანთა ხასიათის ნაირგვარობაზეა მინიშნებული.

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ერთ-ერთი ლეგენდა სათაურით „სადილი“⁶⁰ მოგვითხრობს: „ერთ კაცს ღამაში ქალი ყოლია. სამი კაი ბიჭი თხოვნილობდა, მაგრამ კაცს ერთი ქალი ყავდა. დაღონებულია ეს კაცი. მაშინ ჯებრაილი გამუგუზავნია ღმერთს მასთან და უთქმია:

„ - დედალი ვირი და ძაღლი რომ გყავს, ღამე შენს ქალთან ერთად დაამწევიო.“

ამის შემდეგ თხრობა იმავე კალაპოტში მიედინება. ქალიშვილის მოსანახულებლად მისულ კაცს ერთი სიძე ასე უხასიათებს ცოლს:

„ - კაია, მარა ცოტა ბევრი ლაპარაკი უყვარს და თან ძალიან გაბრაზებაც იცისო.

მიმხდარა კაცი, რომ ეს ძაღლის ჯიშოდან იყო.“

მეორე კვირას მეორე სიძესთან მისულს უთხრეს:

„ - შენი ქალი კაია, მარა ცოტა ინათიანიაო.

მიმხდარა კაცი, ეს ვირის ჯიშოდან არიო.“

კაცს საკუთარი ასული ადვილად გამოუცვნია მისი ადამიანური თვისებების გამო.

ლეგენდის ამ ვარიანტიც გათხოვილი ქალიშვილისათვის „სადილის“ მიტანის ჩვეულება წარღვნის ლეგენდასთან არ არის დაკავშირებული; ჩანს, რომ ხალხის მახსოვრობას ვეღარ შემორჩენია უფლის რჩეული ნოეს სახელი და მის მიერ კიდობნის აგების ამბავი.

⁶⁰ ავტორის პირადი არქივიდან, რეგული № 4, გვ. 12-14. მოქმედი გული ბერიძე, მცხ. შუახვეის რაიონის სოფ. ღარჩიძეებში. ჩაიწერა ნათია ბერიძემ 2001 წელს.

ლეგენდის მთავარი პერსონაჟი აქ მხოლოდ და მხოლოდ გასათხოვარი ქალიშვილის მამად გამოიყურება, თუმცა, ისიც ნიშანდობლივია, რომ მოქმედი ამ სიუჟეტს „ძველ ამბავს“ უწოდებს.

ამ ლეგენდის იდენტურ ვარიანტზე დაყრდნობით (მოქმედი ოსმან ზაქარაძე, ჩამწერი იმხანად სოფ. ხარაულას სკოლის მოსწავლე მაყვალა ზაქარაძე) მკვლევარმა იოსებ ბეჭირიშვილმა საგაზეთო პუბლიკაციაში „აჭარაში შემორჩენილი ორი თურქული თქმულება“ (გაზ. „აღმოსავლეთი“, 1999 წლის 12 თებერვალი) გამოთქვა მოსაზრება, რომ გათხოვილი ქალიშვილისათვის სადილის მიტანის ტრადიცია არ არის ქართული, რომ იგი ქართველებმა თურქებისაგან გადაიღეს.

ავტორს აქვე მოაქვს ლეგენდის (თავად „თქმულებას“ უწოდებს) მოკლე შინაარსი, რომელიც იმავე მოქმედისაგან არის ჩაწერილი, ვისგანაც 1987 წელს ჩიწერა პროფ. თინა შიოშვილმა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ორივე ჩამწერი მიუთითებს, რომ მოქმელს – ოსმან ზაქარაძეს, რომელიც, ი. ბეჭირიშვილის შენიშვნით, 1999 წელს საუკუნეს იყო მიღწეული, ეს ლეგენდა ბებიასაგან გაუგონია. მართალია, ჩვენ არ ვიცით, ვისგან მოისმინა ეს სიუჟეტი ოსმან ზაქარაძის ბებია, მაგრამ, ბუნებრივია, არც იმის საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ახლად გათხოვილი ქალიშვილისათვის სადილის (რომელშიც შედის მხოლოდ ტკბილეული) მიტანის ჩვეულება ჩვენმა ხალხმა მაინცდამაინც თურქებისაგან გადაიღეს. აქვე დავძენთ, რომ საგულდაგულო ძიების მიუხედავად, თურქთა შორის ეს ჩვეულება ვერ დავადასტურებთ; აჭარაში (როგორც ზემო, ისე ქვემო რაიონებში) კი ეს ჩვეულება, რომელიც უკვე ტრადიციად არის ქცეული, ფართოდ არის გავრცელებული და, როგორც სათანადო მასალის ანალიზით დავრწმუნდით, დიდი წარდგნის ლეგენდის მრავალრიცხოვან ვარიანტებსა და ცალკეულ მშენებლობათა ციკლის ლეგენდებშიც თემატურად არის ჩართული. ისიც საყურადღებოა, რომ დღემდე არცერთ მკვლევარს არ შეპარვია ეჭვი ამ ჩვეულების ქართულობაში.

აჭარის ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი პირველი კომპეტენტური მკვლევარი – ჯემალ ნოღაიდელი, თავის დროზე განიხილავდა რა ქორწილის შემდეგ გათხოვილი ქალიშვილისათვის „სადილის“ მიტანის ტრადიციას, ცალსახად მიანიშნებდა, რომ ეს ჩვეულება აჭარული საქორწილო რიტუალის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია. იგი წერს: „... უნდა ვიფიქროთ, რომ ქორწილის შემდეგ „სადილის მიტანა“ ჩვენში ამ ნიადაგზე (საკუთარი ქალიშვილის შეცნობის – გ. მ.) უნდა იყოს გავრცელებული.“ (ნოღაიდელი ჯ. 1971, 61); ჩვენში, ბრძანებს აჭარული ზეპირსიტყვიერების ცნობილი მკვლევარი ჯემალ ნოღაიდელი და არა – თურქეთში.

პროფ. შოთა ნიჟარაძე წიგნში „ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა“ ასე განმარტავს „სადილის მიტანას“: „... ახალგაათხოვილი ქალის ოჯახში ნამცხვრების, ტკბილეულისა და მისთანების მიტანა სამშობლოდან, გათხოვების დღიდან 2 - 3 კვირის გასვლის შემდეგ“ (ნიჟარაძე შ. 1971, 306). აქ არსად არის მინიშნება ამ ტრადიციის არაქართულობაზე. სხვა შემთხვევაში ისეთი აღიარებული ლექსიკოგრაფი და მეცნიერი, როგორც ბატონი შუქრი ნიჟარაძე ბრძანდებოდა, ამ ფაქტს უყურადღებოდ არ დატოვებდა; მით უფრო, რომ აჭარულ დიალექტში დამკვიდრებული ამა თუ იმ სიტყვისა თუ

ფრაზის განმარტებისას იგი ყოველთვის მიუთითებს მის წარმომადგენლობაზე.

ჩვენს ვარაუდს ახალგათხოვილი ქალიშვილისათვის ოჯახიდან ტკბილეულის („სადილის“) მირთმევის ტრადიციის ქართული გენეზისის თაობაზე ისიც ამაგრებს, რომ ეს ჩვეულება დასტურდება ისტორიულ საქართველოში, კერძოდ თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ჩვენებურთა შორისაც. პროფ. შუშანა ფუტკარაძემ გასული საუკუნის 90-იან წლებში ისტორიული იმერხევის მკვიდრთა შორის დაამოწმა ეს ჩვეულება იმავე სახელდებით – „სადილის მიტანა“ – და ასე განმარტა: „ახალგათხოვილ ქალს ქმრის ოჯახში მშობლები და ახლობლები ესტუმრებიან ქორწინებიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ. მიაქვთ ტკბილეულობა და საჩუქრები. ამ ადათს „სადილის მიტანა“ ჰქვია.“ მაგალითისათვის მოხმობილია იმერხეველთა ნაამბობი: „დოდოფალთან სადილის მიტანა ვიცით, ახლა „თაბღი მიტანა“ ჰქვია, გედექცა თურქნაზე“; „ჩემ ძალთან ამ ჰაფთი ბოლოს სადილი მიაქუან“ (ფუტკარაძე შ. 1993, 553-554). როგორც ვხედავთ, ეს ჩვეულება ქართველთა შორის არის ფესვგადგმული და მთქმელიც გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სახელწოდება უკვე თანდათან თურქულად გამოითქმის.

აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ ახალგათხოვილი ქალის ოჯახში მშობლების სტუმრობა და ძღვენის (ზღვენის) მირთმევა ზოგადქართული ტრადიციაა და საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული.

საჭიროდ მიგვაჩნია, ისიც აღვნიშნოთ, რომ მკვლევარ იოსებ ბეჭირიშვილის მიერ გამოთქმულ, ჩვენი აზრით, მცდარ დებულებაზე იქნებ არც კი გაგვემახვილებინა ყურადღება, მაგრამ მან 1992 წელს გამოთქმული ეს მოსაზრება კვლავ ძალაში დატოვა 2003 წელს გამოცემულ ნაშრომში „ნორჩი ხარაუღელი ფოლკლორისტის ჩანაწერები“, სადაც მიუთითებს: „ხარაუღელბმა შემოგვინახეს, აგრეთვე, ორი თურქული თქმულება: „საიდან მოდის აჭარაში გათხოვილ ქალიშვილთან სადილის მიტანის ტრადიცია“ და „სულთან სულეიმანი – ქალაქის მშენებელი“, რომელთა შესახებ წერილი ჩვენ გაზეთ „აღორძინების“ 1999 წლის 12 თებერვლის ნომერში გამოვაქვეყნეთ და აქ აღარ შევჩერდებით.“

ამგვარი განცხადება ცხადყოფს, რომ პატივცემულ მკვლევარს „სადილის“ მიტანის ტრადიციის გენეზისის თაობაზე აზრი არ შეუცვლია, რაც მით უფრო სამწუხაროა იმიტაც, რომ საგაზეთო სტატიის თუ წიგნის გამოქვეყნებამდე ბევრად ადრე, 1993 წელს, გამოვიდა ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის წიგნი „ჩვენებურების ქართული“, სადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაჩვენებია, რომ ეს ტრადიცია გავრცელებულია ისტორიულ იმერხევეშიც.

სამწუხაროდ, გამოაქვს რა, ჩვენი აზრით, არამართებული დასკვნა, რომ „აღლათ ამ თქმულებამ (ღეგენდა ახალგათხოვილი ქალიშვილისათვის „სადილის“ მიტანის თაობაზე – გ. მ.) მეზობელი ქვეყნიდან შემოაღწია ჩვენს მხარეში,“ ი. ბეჭირიშვილი, მწერალ ნოდარ დუმბაძის ცნობაზე დაყრდნობით, გვაუწყებს, რომ „სულში ამ ტრადიციას „ფეხნაქცევს“ უწოდებენ.“ ტერმინი „ფეხნაქცევი“, ანუ „ფეხის ქცევა“, „ფეხის ბრუნება“ არამართო ხულოში, არამედ მთელს

საქართველოშია გავრცელებული და ნიშნავს სიძის პირველ სტუმრობას სიმამრის ოჯახში ძღვნითა და საჩუქრებით, ანდა გათხოვილი ქალიშვილის პირველად მისვლას მამისეულ ოჯახში (ბექაია მ. 1974, 70-71); უფრო კი ამ ტერმინს მეორე მნიშვნელობით ხმარობენ, განსაკუთრებით კი – აღმოსავლეთ საქართველოში. ამდენად, ახალგათხოვილი ქალიშვილისათვის „სადილის“ მიტანის ჩვეულების არაქართულ წარმომავლობასთან ერთად, საეჭვოდ მიგვაჩნია მკვლევარ იოსებ ბეჭირიშვილის ცნობა ტერმინ „ფეხნაქცევის“ ეტიმოლოგიის თაობაზეც. ვფიქრობთ, რომ დღეს ჩვენ ხელთ არსებული საქართველოში დამოწმებული და თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ისტორიულ ქართველთა (იმერხეველთა) შორის დაფიქსირებული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალა გვაძლევს იმის უფლებას, დავასკვნათ, რომ დიდი წარდენისა თუ საამშენებლო თემატიკის ლეგენდებში თავჩენილი ტრადიცია ახალგათხოვილი ქალისათვის მშობლებისა და ახლობლების მხრიდან ეგრეთწოდებული „სადილის“, ანუ ტკბილეულობის, მირთმევა წმინდა ქართული გენეზისისაა.

გიორგი მახარაშვილი

**Традиция преподношения «Садили» новобрачной девушке и
проблема его генезиса
(по аджарским вариантам легенды большого потопа)**

Резюме

По аджарским вариантам легенды большого потопа мы узнаем традицию преподношения новобрачной девушке т.н. «Садили (груз. Обед)» (сладости), что в аджарском этнографическом быту фиксируется до сегодняшних дней и с которой также знакома население исторической Грузии (Имерхеви).

По нашим материалам и по фольклорно-этнографическим материалам зафиксированных среды населения исторической Грузии (Имерхеви) в турецкой республике дает нам право утверждать, что традиция подношения новобрачной девушке со стороны родителей и родственников, которая всплывает в легендах о потопе и в строительной тематике, имеет чисто грузинский генезис.

**Traditions of delivering 'dinner' to the newly married female in Ajara
and the problem with its genesis (according to the Ajarian variation of the
legend on great deluge)**

Summary

From the Ajarian variations of the legend on great deluge we come to know the tradition of delivering the so-called 'dinner' (sweets) to the newly married female. This tradition is still preserved in ethnographic culture of Ajara and is well-known to the Georgian population living on the territory of the republic of Turkey (historically Georgian territory 'Imerkhevi').

The materials available to us today in Georgia, as well as the folk-ethnographic materials derived from the Georgian population living in the republic of Turkey (Imerkhevels) provide us with the right to conclude that the tradition of delivering 'dinner' (sweets) to the newly married female on the part of her parents and relatives is a purely Georgian genesis.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, 1989.
2. ყურანი, თბილისი 1906; თბილისში გამოცემული ქართული თარგმანი.
3. ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი (ნბიფა). საქმე № 219, № 101.
4. ბექაია მ. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათ., 1974.
5. ნიჟარაძე შ. ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.
6. ნოღაიდელი ჯ. ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი I, ბათუმი, 1971.
7. ფუტყარაძე შ. ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

გარეული ფრინველის (ქორის) სიმბოლიზაცია აჭარის ზეპირსიტყვიერებაში

ქართული ფოლკლორი მდიდარია ისეთი პოეტური ნაწარმოებებით, რომლებშიაც სამყაროს ცალკეულ მოვლენებსა თუ არსებებზე ადამიანთა უძველესი რწმენა-წარმოდგენებია გადმოცემული.

ფრინველებზე შექმნილი ნაწარმოებების სიუხვე, მრავალსახეობა, პოეტური სრულყოფა, ფრინველთა ძლიერი კულტის არსებობაზე მიგვითითებს. ამგვარ ლექსთა უმეტესობაში ტოტემური პერიოდი აღინიშნება. ადამიანსა და კეთილდღეთაებს შორის შუამავლად ფრინველი – ჩიტი, ორბი, ქორი ითვლებოდა, რომლებიც ადამიანის ბედისწერაში გარკვეულ როლს ასრულებდნენ.

ფრინველთა უმეტესობა სიცოცხლის სიმბოლოს–ხის წევრზე ბუდობს; ლექსის სიუჟეტის ვითარებაც იქედან იწყება ხოლმე.

ფრინველები პერსონაჟებად ძირითადად წარმოდგენილია საწესჩვეულებო, საყოფიერო, სამგლოვიარო, მაგიური ჟანრის ნიმუშებში, ასევე მინიატურებში, გათვლებსა და სხვა ხასიათის პოეტურ ნაწარმოებებში.

ფრინველები ქართულ ხალხურ პროზაშიც, უმეტესად ჯადოსნურ ზღაპრებში, განსაკუთრებულ როლს ასრულებენ. ისინი ძირითადად მთავარი გმირის დამხმარე პერსონაჟებია. ფრინველები, ძირითადად, დადებით საქმიანობას ეწევიან. “ზღაპრულ ფრინველს (ორბი, ფაშგუნდი, ქორი, არწივი) უნარი შესწევს მითურ გმირს დაეხმაროს” (აბაშიძე გ. მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, თბილისი, 1984, გვ.96).

საზოგადოების განვითარების გარკვეულ პერიოდში მოხდა ფრინველთა დიფერენცირება; დაიყო შინაურ და გარეულ ფრინველებად. ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ გარეულ ფრინველზე – ქორზე.

ქართულ ხალხურ პოეტურ შემოქმედებაში ქორი მეტად ორიგინალურადაა წარმოდგენილი. ქორი საგმირო-საისტორიო პოეზიაში რომელიმე გმირის სიმბოლური პერსონაჟია. ამგვარ ნაწარმოებებში ქორს შედარებით ახალი გააზრება აქვს:

აფრინდა ქორი, აფრინდა,
არაგვი ჩაინადირა,
მცხეთას დაეცა დედალსა,
აჭალას მტვერი ადინა.

როგორც მკვლევარი ელ.ვირსალაძე შენიშნავს, “ამ შემთხვევაში აფრინილი ქორი საქართველოში შემოსული მტერია, ხოლო მცხეთის აწიოკებული დედალი და აჭალას ადენილი მტვერი საქართველოს

აოსრებული გულია” (ქართული სამონადირეო ეპოსი, თბილისი, 1964, გვ.153).

უფრო ძველი გააზრებით, ფრინველთა ტოტემური პერიოდიდან მომდინარე ნაწარმოებებში ადამიანსა და კეთილ ღვთაებებს შორის შუამავლად სხვა ფრინველებთან (ჩიტი, ორბი) ქორიც ითვლებოდა. ისინი ადამიანის ბედისწერაში გარკვეულ როლს ასრულებდნენ.

მრავალმხრივ ინტერესს იწვევს აჭარაში გავრცელებული ლექსი “ქორი იჟდა ხესაო”

„ქორი იჟდა ხესაო,
ხესა არა თუ ხესაო,
ქალი იყო შობიარე,
იწვა ლოგინათო.
ანაჲ ყავდა ანობილი,
ეჟდა სასთუმალსაო,
ბაბოჲ ყავდა ბაბობილი,
ეჟდა საფერხესაო.
ძიაჲ ყავდა დიაკონი
უკითხავდა წილსაო
მოდინა ორი ანგელოზი,

მოაფრინვენ ცხენსაო” (ბსკიფაბ საქმე 185, გვ.207).

ლექსში ქორი თავის მუდმივ სამყოფელში—ხეზეა და იგი ნაყოფიერებას უკავშირდება, თუმცა ნაწარმოები სიუჟეტური განვითარებით სამგლოვიარო ციკლის ნიმუშებს განეკუთვნება. ქორის ხის წვერზე ჯდომა უძველესი პლასტია, ამასთან ლექსში ახალი მომენტები და ტერმინები დაფიქსირებული—“დიაკონი”, “ზიარება” და სხვ.

ქორის ადგილი ყოველთვის ზეცაშია და ქვემოთ მყოფ ფრინველებს, თავისი მდგომარეობით ჩაგრავს. მიუხედავად იმისა, რომ ქორი ბევრ უსიამოვნებას აყენებს ადამიანს, ხალხურ პოეზიაში მისი არასასიამოვნოდ მოხსენება თითქმის არ გვხვდება. ეს ფაქტი მისი თავდაპირველი ფუნქციითა და ტოტემური პერიოდით აიხსნება.

ფრინველებთან დაკავშირებით ყურადსაღებია ფერთა სიმბოლიკა. ფრინველები ფერების მიხედვითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თეთრი ფერის ფრინველნი დადებითი თვისებებით არიან აღჭურვილნი და ადამიანებისათვის ბედნიერება მოაქვთ.

თეთრი ქორი ერთ—ერთი პერსონაჟია აჭარული ნადური შრომის ლექსებში. ყურადღებას იმსახურებს “ელია თუ მელია” (ჯიქურაჲ), ლექსი საკმაოდ დიდია და მრავალმხრივ ტოტემურ თუ საყოფიერო პლასტებს მოიცავს:

„... იმ ქალაქის მოქალაქე
მიდიან და მოდიანო.
ლომსა შინა ელიანო.
იგი ღომი არ მოვიდა,
თეთრი ქორი მოსულაო,

თეთრი ქორი ჭანდარზეო,
მოწყენილი ჭანდარზეო.
ბაზიერი მოჩივოდა,
ქორი მყავდა ბედაური.
ერწამ ქორი ავად გახდა.
მე თუ ქორი ქი მომიკტა
ასე ვირბენ სამ წელიწადს...” (აჭარის ხალხური პოეზია,
თბილისი, 1969, გვ.42).

ქორის სიძლიერეზე ლექსში მეტყველებს ადგილი, სადაც ღომს
ენაცვლება ქორი: “იგი ღომი არ მოვიდა, თეთრი ქორი მოსულაო”...

ქორი პერსონაჟად ქართულ შელოცვებშიაც გვხვდება. სამაგალი-
თოდ მოვიტანოთ “შეშინებულის შელოცვას”:

შინა, შინა,
რამ შეგაშინა,
ქორი იჯდა ჭანდარასა,
კროხი იჯდა ბუდარასა
შეშინებულო, შიგნით თუ ხარ
გარეთ გამოდ (ბსკიფა, საქმე 157, გვ.164).

თეთრი ქორი დიალოგური ფორმის პოპულარულ ლექსში
“სიზმარშიც” გვხვდება.

– კეცი ხურს და გარ გამოხურს,
– ნეტად ნენევ, რა არი?
– წყალი დუღს და ზედ გადმოღუღს
ნეტად ნენევ, რა არი?
– მთას ირემი მობღუოდა,
ნეტად ნენევ, რა არი?
– თეთრი ქორი მოფრინავდა,
ნეტად ნენევ, რა არი?
– თანა შაშვი იბღღნებოდა,
ნეტად ნენევ, რა არი?

.....
– კეცი ხურს და თან გამოხურს,
ისაჲ შენი ბაბოჲ არი.
– წყალი დუღს და ზედ გადმოღუღს,
ისა შენი დედა არი.
– თეთრი ქორი მოფრინავდა,
ისა შენი ქალი არი.
– თანაც შაშვი იბღღნებოდა,
ისა შენი დაჲ არი,
თას ირემი მობღუოდა
ისა შენი ძმაჲ არი” (ბსკიფა, საქმე 157. გვ. 152).

სიზმრის ამ და უმეტეს ვარიანტებში თეთრი ქორი ღირიკული გმირის ცოლია, ქალის სიმბოლოა. დანარჩენი სიმბოლოებიც ტოტემიზმის გამოვლენაა.

ლექსების ერთ ნაწილში ხშირად იხსენიება ქორის ავადმყოფობა: „ერწამ, ქორი ავით შექნა,“ რაც სიტუაციის დაძაბვას იწვევს.

ერთობ საინტერესოა შრომის ოთხხმიანი ნადური ნაწარმოები „მთას ხოხობი აფრენილა“ (სასადილო). ლექსში გამოსჭვივის ინტერესი ფრინველთა სამყაროს წარმომავლობაზე. იგულისხმება შეკითხვა არსთა გამრიგისადმი-თუ ვინ გააჩინა სამყარო, ვინ ასწავლა ხოხობს, ქორს, შევარდენს ფრენა და ნადირობა. აღნიშნული შრომის ლექს-სიმღერა შინაარსობრივად ახლოს დგას დედამთილის დატირებასთან. მათი პირველადობის დადგენა ამჟამად მეტად ძნელია.

ფრინველებზე შექმნილი ლექსები მხატვრულობითაც გამოირჩევა. მაღალმხატვრულობას ხელს უწყობს ცალკეულ ფრინველთა შედარებად, ეპითეტად და მეტაფორად გამოყენება.

სიმბოლოებით აზროვნება დღესაც დამახასიათებელია საზოგადოებისათვის-ეს იქნება მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ ყოფით ცხოვრებაში. თუმცა უნდა ითქვას, რომ უძველესი სიმბოლოების ერთი ნაწილის მნიშვნელობა გადაფასდა და მას ახალი სიმბოლოები ჩაენაცვლა.

ფოლკლორში მიმდინარე ზოგიერთი პროცესი ფრინველების ლექსებსაც შეეხო. ეროვნული ფოლკლორის უძველესი ნიმუშები, რომლებსაც ის ქვეტექსტური გააზრება ჰქონდა, რომელმაც განაპირობა ამ ნაწარმოებების შექმნა, დღეს ძველი მნიშვნელობით აღარ იხმარება. ზოგიერთი მათგანი თანდათანობით გამოეყო მოზრდილთა რეპერტუარს და საბავშვო ნაწარმოებებად იქცა, რადგანაც ბავშვებმა ზოგიერთი ნიმუში აითვისეს პირველი მნიშვნელობისაგან აბსოლუტურად განსხვავებული ჟღერადობით.

მაგალითად, ქორი საბავშვო რეპერტუარში მხოლოდ მტაცებელია. ცნობილია ხალხური თამაში „ქორობია“, სადაც ქორი კრუხს სტაცებს წიწილებს, კრუხი კი თავგამოდებით იცავს მათ.

ქორი გათვლებშიაც მტაცებელია, მას თვით ბავშვები უწევენ წინააღმდეგობას;

„ჰაუ, ჰაუ, ქორო ნუ ფრენ,
ჩვენ ეზოში დიღ დიღასა
ვერ მომპარავ არ გაგატან,
ჩვენს პატარა წიწილასა“.

ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებებისათვის სხვა შინაური თუ გარეული ფრინველების სიმბოლიზაციაა დამახასიათებელი, კერძოდ, ქათმის, ინდაურის, შევარდენის, ორბის, მერცხლის და სხვ., რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ადამიანის მჭიდრო კავშირს სამყაროსთან.

**Символизация дикой птицы (ястреба) в устном народном творчестве
Аджарии**

Резюме

Грузинское устное народное творчество богато такими произведениями, в которых отображены древнейшие представления людей об отдельных явлениях и существах окружающего мира.

Обилие, многообразие и поэтическое совершенство произведений о пернатых, свидетельствуют о существовании ярко выраженного культа птиц.

В большинстве стихотворений о птицах просматривается тотемный период.

В грузинском народном устном творчестве наиболее оригинально представлен Ястреб. В тотемный период Ястреб воспринимался, как посредник между человеком и добрыми божествами, а в историко-героической поэзии Ястреб являлся персонификацией главного героя. Ястреб, как персонаж, фигурирует и в заговорах. Особенно популярен образ Белого Ястреба.

Часть стихотворений из цикла об Ястребе, отделилась от взрослого репертуара и стала составляющей детского фольклора.

Eter Zoidze

Symbolization of the wild bird (Hawk) in oral folklore of Adjara

Summary

Georgian folklore is rich with the creative works, displaying ancient beliefs of people about the surrounding world.

Wide diversity and poetical completeness of the creative works about birds proves the existence of the birds' cult.

There has been presented the totem period in the majority of poems about birds.

Hawk has specially been presented in Georgian folklore.

Hawk was acquired as the mediator between people and kind goddess and in the historical-heroic poetry it was the personification of the main character. Hawk also acts in charms. The most popular is the image of White Hawk.

The part of Hawk poetical cycle separated from the adults' repertoire and became a part of children's folklore.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე გ., მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირ-სიტყვიერებაში, თბილისი, 1984.
2. აჭარის ხალხური პოეზია, თბილისი, 1969.
3. ბსკიფა, საქმე 185, საქმე 157, საქმე 152.

4. ვირსალაძე ე. ქართული სამონადირეო ეპოსი, თბილისი, 1964.
5. ზოიძე ეთ. ფრინველის (მამლის) სიმბოლიზაცია აჭარის ზეპირსიტყვიერებაში, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, 2007; ბათუმი, 2007; ჩიტის სიმბოლური სახე აჭარის შრომის ლექს-სიმღერებში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, XII, ბათუმი, 2007.
6. წილი-ზიარება.

ვახტანგ მიქაშავიძე, ჟანი მიქაშავიძე

ტურიზმის განვითარების რეგიონული ასპექტები

ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს ტურიზმის როლი და მნიშვნელობა მსოფლიო მეურნეობის, ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკის განვითარებისა და ზოგადსაქაოცოებრიო ფასეულობათა სისტემაში. იგი ეკონომიკის დინამიურად განვითარებადი დარგია და მისი დახმარებით მნიშვნელოვნად ვითარდება ვაჭრობისა და მომსახურების სფერო და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები, რაც იწვევს სავალუტო შემოსავლებისა და დასაქმების ზრდას, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო ასპარეზზე გატანას და მათი შენარჩუნების ფინანსურ უზრუნველყოფას.

ტურიზმის გავლენა ქვეყნისა, თუ მისი ცალკეული რეგიონის ეკონომიკაზე შეიძლება განსაზღვროს მხოლოდ ეკონომიკური შედეგებით, რაც ვლინდება როგორც პირდაპირი, ისე ირიბი (მულტიპლიკაციური) ეფექტის ფორმით. პირდაპირი გავლენა გამოიხატება რამდენიმე ფორმით:

- ტურიზმის სწორი მენეჯმენტისა და ორგანიზაციის პირობებში, მას მოაქვს სწრაფი მოგება (მათ შორის სავალუტო) სხვა დარგებთან შედარებით;

- ტურიზმის მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს ამა თუ იმ საქონლის ე.წ. „უხილავი ეფექტი“. კერძოდ, დასვენებისა და მოგზაურობის დროს უცხოელი ტურისტი არა მარტო ტურისტული საქონლის მოთხოვნის მატარებელია, არამედ ყოველდღიური მოხმარების პროდუქტზე მოთხოვნილების მქონე ადამიანიც. ამ პროდუქტს ტურისტი იძენს უცხოურ ან ადგილობრივ ვალუტაზე, რაც საქონლის ექსპორტის ტოლფასია. ეს სავალუტო შემოსავლებისა და აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

- ტურიზმის გაფართოება სასარგებლო პროცესად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან იგი სტიმულს აძლევს მომიჯნავე დარგების – კვების მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის, ტრანსპორტის, სამშენებლო ინდუსტრიის, კომუნალური მეურნეობის, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, სავაჭრო მომსახურების განვითარებასა და ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას (მარგველაშვილი მ. 2002, 26-27).

ეკონომიკაზე ტურიზმის გავლენა ირიბი ფორმით გამოიხატება მულტიპლიკაციური ეფექტით, ანუ ტურისტთა დანახარჯების განმეორებადობაში მომსახურებისა და საქონლის ყიდვაზე განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრულ ადგილას. როცა ტურისტი ხარჯავს ფულს

მომსახურებისას, ჩერდება სასტუმროში, ან სადილობს რესტორანში. ბიზნესის ამ დარგებში წარმოებს ფულის რეცირკულაცია, რომელითაც შეიძლება ახალი საქონელი და მომსახურება, და რომელსაც ტურისტები მომავალში შეიძენენ. ამას კი, თავის მხრივ, თავიდან მოაქვს ფული და ეს ციკლი მუდამ მეორდება კიდევ და კიდევ. ე.ი. დანახარჯები-შემოსავლები-დანახარჯები-შემოსავლები და ა.შ. ამასთან ერთად, ტურიზმის ტრადიციის თანამშრომლები ფულის დიდ ნაწილს, რომელიც გამოიმუშავენ თავის რეგიონში, თავადვე ხარჯავენ, ყიდულობენ რა სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას. აღსანიშნავია, რომ რაც მეტი შემოსავლების წილი იხარჯება რეგიონის ფარგლებში, მით მეტია მულტიპლიკაციის ეფექტი. ტურიზმის მულტიპლიკაციური გავლენა ვლინდება იმაში, რომ ჯაჭვური რეაქციის შედეგად, შემოსავლები, რომელიც მიღებული იქნა ერთი ტურისტისგან, მნიშვნელოვნად აღემატება იმ ფულად თანხას, რომელიც დაიხარჯა ჩასვლის ადგილას საქონლისა და მომსახურების შეძენისას.

საქართველოსა და მის ცალკეულ რეგიონს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით უდიდესი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი გააჩნია, მაგრამ მისი დაბალი დონე განპირობებულია რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით, რომელთაგან მთავარი იყო ხელისფლების არასწორი კურსი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღიდან 2004 წლამდე, რამაც დააქვეითა და მძიმე ფინანსური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის წინაშე დააყენა ტურიზმის სფერო. უახლოეს წარსულში საბჭოთა კავშირის სივრცეში საქართველოს ტურისტული ქვეყნის სახელი ჰქონდა დამკვიდრებული მძლავრი ტურისტული მატერიალური-ტექნიკური ბაზით – მაღალი კლასის სანატორიუმებით, სასტუმროებით, ტურისტული ობიექტებით, განვითარებული ინფრასტრუქტურით – სადაც ყოველწლიურად ისვენებდა 4 მლნ კაცი. მაგრამ საქართველოში ახლო წარსულში წარმოებული სამოქალაქო ომისა და თავს მოხვეული შიგარეგონული კონფლიქტების შედეგად, რომელსაც მოჰყვა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან 300 000 დევნილის შეფარება თბილისისა და საქართველოს სხვა რეგიონების ტერიტორიაზე არსებულ განთავსების ობიექტებში, ქვეყნის ტურისტული და საკურორტო ინფრასტრუქტურის სრული პარალიზება გამოიწვია (ოზბეგაშვილი ე. 2005, 149). საკმარისია ითქვას, რომ აჭარაში თუ 1980-1990 წლებში ყოველწლიურად შემოდის საშუალოდ 1600-1800 ათ. ტურისტი და ექსკურსანტი, ხოლო მისგან მიღებული საერთო შემოსავალი მერყეობდა 10-17 მლნ მანეთამდე, ეს მაჩვენებლები 1991-1999 წლებში მკვეთრად დაეცა (თურმანიძე ო. 2007, 170-172). კერძოდ, ამ პერიოდში რეგიონში განთავსებული ტურისტული ორგანიზაციების რაოდენობა 43-მდე, საწოლთა რაოდენობა 7296 ერთეულამდე, ხოლო დამსვენებელთა რიცხვი 26699 კაცამდე შემცირდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ტურისტთა და ექსკურსანტთა ამ რაოდენობაში იგულისხმება 5670 აფხაზეთიდან იძულებით ადგილგადანაცვლებული პირი, რომლებიც განთავსებულნი იქნენ ავტონომიური რესპუბლიკის ყველაზე საუკეთესო და პრესტიჟულ სასტუმროებსა და დასასვენებელ სახლებში (აჭარის არ. 2003, 33). რა თქმა უნდა, სხვა სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებთან ერთად ამ გარე-

მოებამაც ითამაშა უარყოფითი როლი რეგიონის ტურიზმის სფეროს ფუნქციონირებაზე.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ ნეგატიური პროცესების გამო სრულიად პარალიზებული იქნა და თითქმის მთლიანად განადგურდა ან გამოუსადეგარი შეიქნა ქვეყნის ტურისტული ინფრასტრუქტურა, რომელიც მრავალი ათეული წლების განმავლობაში იქმნებოდა. ამის შედეგად, ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა უმძიმეს მდგომარეობაში. ერთადერთი გამოსავალი, რომელიც ქვეყნის წინაშე იდგა იყო ის, რომ დაჩქარებულიყო საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბება, ტურიზმისა და კურორტების სფეროში განხორციელებულიყო სახელწიფო სექტორში დანგრევას ჯერ კიდევ გადარჩენილი ობიექტების პრივატიზება, რესტრუქტურიზაცია და რეაბილიტაცია.

სწორედ, ამ სასიცოცხლო აუცილებლობიდან იყო გამოწვეული საქართველოს ხელისუფლების მიერ 90-იანი წლების ბოლოს მიღებული საკანონმდებლო აქტები, რომლის ფუნქციას შეადგენდა მთლიანად ეროვნულ მეურნეობაში და მათ შორის ტურიზმის სფეროში არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირება. მართლაც, ჩვენს ქვეყანაში მიღებულმა საკანონმდებლო აქტებმა, მიუხედავად ამისა, რომ ისინი შემდგომ სერიოზულ გადამუშავებას, დახვეწასა და სრულყოფას საჭიროებდნენ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ყველა დარგისა და მათ შორის ტურისტული სფეროს განვითარებაში. კერძოდ, ახალი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე, ტურისტულ კომპლექსში მოქმედ ნორმატიულ აქტებში სათანადო ცვლილებების შეტანამ, გარკვეულწილად შეცვალა ინვესტიციური პოლიტიკა და მთლიანად დარგში მოქმედი მმართველობის სისტემა. ფართო გასაქანი მიეცა არა მარტო ტურისტულ კომპლექსში არსებულ ობიექტების განსახელწიფოებრივებასა და პრივატიზებას, არამედ მრავალი ახალი კერძო ობიექტის შექმნასაც, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე აჭარის რეგიონში, რომლებიც დღესაც წარმატებით ფუნქციონირებენ (მიქაშავიძე ვ. 2007, 36-38).

ვეხებით რა გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯებს ტურიზმის სფეროს განვითარების საქმეში არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ტურისტული ბიზნესის სფეროში არსებული სიძნელენი 2004 წლამდე მთლიანად ვერ იქნა დაძლეული, რადგანაც ეროვნული მეწარმეობის განვითარება და აღმავლობა შესაძლებელია მხოლოდ ხელსაყრელ საბაზრო სოციალურ გარემოში, სადაც მეწარმეთა და ბიზნესმენტთა საქმიანობა არა მარტო კანონის საფუძველზეა დაცული, არამედ მომგებიანიცაა. ასეთ გარემოს ჩამოყალიბებაში კი სახელწიფოს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. სახელწიფომ ყოველი ღონისძიებით ხელი უნდა შეუწყოს მეწარმეობისა და ინვესტიციური პროცესებისათვის ხელსაყრელი, მხარდაჭერისა და კეთილსასურველი ბიზნეს-გარემოს ფორმირების, სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირების, მისი განვითარების გზაზე წარმოშობილი ხელისშემშლელი ფაქტორების დაძლევას. სწორედ ამიტომ, 2004 წლიდან მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ქვეყანაში ფართომასშტაბიანი კორუფციის დასაძლევად. ამ მიზნით, შემოღებული იქნა სათანადო საკანონმდებლო აქტები, გააქტიურდა სასამართლო სისტემის საქმიანობა, შემუშავებული იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც მნიშვნელოვ-

ნად გააუმჯობესა ადრე არსებული კოდექსი გადასახადების ღირებულების თვალსაზრისით. ამ ღონისძიებათა შედეგად სახელმწიფოში მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული – გაუმჯობესდა ქვეყანაში ბიზნეს-საქმიანობა, ამოღდა უცხოური ინვესტიციების შემოღინება მთლიანად ჩვენს ქვეყანაში და მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რასაც მოჰყვა ახალი ტურისტული კომპლექსების მშენებლობა და ამოქმედება, საბოლოო ჯამში კი ტურისტული სექტორის ძირითადი ეკონომიკურ-სტატისტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება (იხ. ცხრილი 1). ასე მაგალითად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის

ცხრილი 1

განთავსების ობიექტების, ტურისტებისადმი გაწეული მომსახურებისა და შემოსავლების დინამიკა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (2000-2007 წწ.)

№ რიგზე	წელი	ორგანიზაციის რაოდენობა	საწოლთა რიცხვი (ათასი ადგილი)	დამსვენებელთა და კაც-დღეები რაოდენობა				მომსახურების მოცულობა (ათასი ლარი)	საბალანსო მოგება (ათასი ლარი)	შემოსავალი ტურიზმიდან (ათასი ლარი)
				შეღია ტურისტები	უცხოელი (ათასი კაცი)	ღამს. რაოდ. სულ (ათასი კაცი)	კაც-დღე (ათასი)			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	2000	50	8,0	14,0	4,4	18,4	92,0	2459,6	460,0	9200,0
2	2001	51	8,0	13,7	3,8	17,5	87,8	2162,1	442,9	9658,0
3	2002	54	8,0	11,5	4,4	15,9	75,8	2651,9	333,5	8338,0
4	2003	56	8,2	71,0	4,0	75,0	375,0	16327,5	2092,5	41850,0
5	2004	58	10,2	75,0	8,0	83,0	415,0	18068,0	2282,5	45650,0
6	2005	58	11,0	120,0	27,0	147,0	767,504	32000,0	4221,2	84425,4
7	2006	66	27,3	182,6	67,4	250,0	1062,6	46266,7	5844,3	116886,0
8	2007	67	27,2	239,8	112,3	352,1	1428,4	62134,6	7856,2	157124,0

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

მონაცემებით თუ 2003 წლისათვის, ტურისტულ სფეროში ფუნქციონირებდა 56 ორგანიზაცია, საწოლთა რიცხვი შეადგენდა 8,2 ათ. ადგილს, დამსვენებელთა რაოდენობა 75 ათ. კაცს, დასვენების ადგილზე გატარებული კაც-დღეები რაოდენობა 375,0 ათასს, მომსახურების მოცულობა 16 323,5 ათ. ლარს, ტურიზმიდან შემოსავალი 41 850,0 ათ. ლარს, ხოლო საბალანსო მოგება 2 092,5 ათ. ლარს, ეს მაჩვენებლები 2007 წლისათვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. კერძოდ, ორგანიზაციათა რაოდენობა გაიზარდა 67 –მდე (20%-ით), საწოლთა რიცხვი 27,2 ათ. ადგილამდე (3,3-ჯერ), ტურისტთა რაოდენობა 350,1 ათ. კაცამდე (4,7-ჯერ), დასვენების ადგილზე გატარებული კაც-დღეების რაოდენობა 1 428,4 ათასამდე (3,8-ჯერ), მომსახურების მოცულობა 62 134,6 ათ. ლარამდე (3,8-ჯერ), ტურიზმიდან შემოსავალი 157 124,0 ათ. ლარამდე (3,8-ჯერ), ხოლო საბალანსო მოგება 7856,2 ლარამდე (3,8-ჯერ). როგორც ცხრილ 1-ის მონაცემებით დას-

ტურდება რეგიონში უკვე ჩაისახა ტურიზმის სფეროს განვითარების დადებითი ტენდენცია. ამასე მეტყველებს უკანასკნელ წლებში (2000-2007) ტურიზმის შემოსავლების საბიუჯეტო გადასახადების სისტემატური ზრდა (იხ. ცხრილი 2). ასე მაგალითად, გადასახადების საერთო მოცულობა 2000 წლის 1 994,0 ათ. ლარიდან 2007 წელს გაიზარდა 35 315 ათ. ლარამდე ანუ 17,7-ჯერ, საშემოსავლო გადასახადი 21,6 ათ. ლარიდან 142,3 ათ. ლარამდე ანუ 6,7-ჯერ, სოციალური გადასახადი 36,4 ათ. ლარიდან 240,0 ათ. ლარამდე ანუ 6,6-ჯერ, მოგების გადასახადი 96,0 ათ. ლარიდან 1 571,24 ათ. ლარამდე ანუ 16,4-ჯერ, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი 1 840,0 ათ. ლარიდან 33 361,5 ათ. ლარამდე ანუ 18,3-ჯერ. ამასთან, დამატებული ღირებულების გადასახადის ხვედრითმა წილმა 2007 წელს გადასახადების მთელ მოცულობაში შეადგინა 94,5%, ხოლო ყველა დანარჩენმა 5,5%. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა გააჩნია ბიუჯეტის შევსებისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის ზრდას.

ცხრილი 2

ტურიზმის შემოსავლების საბიუჯეტო გადასახადები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (2000-2007 წწ.) (ათასი ლარი)

№ რიგზე	წელი	გადასახადების სახეები				სულ ჯამი
		მოგების	დამატებული ღირებულების	საშემო- სავლო	სოციალ- ური	
1	2000	96,0	1840,0	21,6	36,4	1994,0
2	2001	88,6	1931,6	18,5	30,3	2069,0
3	2002	66,8	1667,6	17,2	28,4	1780,0
4	2003	418,6	8370,0	33,2	55,2	8877,0
5	2004	456,6	9130,0	36,2	60,2	9683,0
6	2005	844,2	16885,1	66,4	110,3	17906,0
7	2006	1168,8	23377,2	102,0	170,0	24818,0
8	2007	1571,24	33361,5	142,3	240,0	33901,0

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

ჩვენ ზემოაღნიშნულ ეკონომიკურ-სტატისტიკურ და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ჩვენი ქვეყნისა და მათ შორის აჭარის რეგიონის ტურიზმის სექტორში არსებული პრობლემები და მისი განვითარების ტენდენციები. ამასთან აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ამ სფეროში განხორციელებული ღონისძიებანი მიუხედავად ზოგიერთი წარმატებული პროექტისა, მაინც ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, რადგანაც როგორც მთელი ქვეყნის, ისე აჭარის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მხოლოდ მცირე ნაწილია გამოყენებული. აშკარად იგრძნობა ტურისტული ინდუსტრიის ქრონიკული ნაკლებობა, ტურისტ-

ტული ინფრასტრუქტურის მომსახურების დაბალი დონე, მენეჯ-მენტის არასრულყოფილება და რაც ყველაზე მთავარია „დიდი ტურიზმის“ ქვეყნის იმიჯის დამკვიდრებისათვის საკუთარი და უცხოური ინვესტიციების გამოყენების არასაკმარისი მოცულობა. სწორედ ამიტომ, ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით აუცილებელია შეიქმნას სამთავრობო პროგრამა, სადაც გათვალისწინებული იქნება რეგიონის ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და ტურისტული კომპლექსის განვითარების პერსპექტივები. იგი უნდა შეიცავდეს დროში გაწერილ პროგრამას დაფინანსების უზრუნველყოფის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბათუმის მიმდებარე ტერიტორიების და შავი ზღვის სანაპირო ზოლის, აგრეთვე კურორტ ბეშუმის და სხვა საკურორტო ტერიტორიების რეაბილიტაციისა და დაჩქარებული განვითარების საკითხებს. ამასთან ყურადღებას იმსახურებს საკურორტო-რეკრეაციული რესურსული პოტენციალის მოვლა-პატრონობის ფუნქცია, რომელიც სახელმწიფომ საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა აიღოს.

როგორც ცნობილია, ტურიზმი შრომატევად საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება, სადაც მომუშავეთა უდიდესი ნაწილი ნაკლებადაა დაკავშირებული მაღალკვალიფიციურ, მაღალინტელექტუალურ, ან შემოქმედებით შრომასთან ამიტომ ჩვენს ქვეყანაში, როცა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უმუშევარია, ტურიზმს დადებითი როლის შესრულება შეუძლია სოციალური პრობლემების გადაჭრისა და მოსახლეობის შედარებით ადვილად დასაქმების საქმეში. რეგიონში ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობამ 2006 წელს 2099 კაცი შეადგინა, რომელიც ძირითადად ქალაქ ბათუმზე, ქობულეთსა და ხელვაჩაურის რაიონებზე მოდის. დასაქმებულთა რაოდენობა კი აჭარის მაღალმთიან რაიონებში უმნიშვნელოა. მაგრამ სპეციალისტთა აზრით, უახლოესი 5 წლის მანძილზე ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა რამდენჯერმე გაიზრდება.

რეგიონის განვითარების კონცეფციის თანახმად, რომელიც მუშავდება უცხოელი სპეციალისტების დახმარებით, აჭარაში მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე ყოველწლიურად განხორციელდება მნიშვნელოვანი ინვესტიციები, გაიზრდება ტურისტთა და დასვენებისას გატარებული კაც-დღეების რაოდენობა, აგრეთვე ტურიზმის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების მოცულობა (იხ. ცხრილი 3). აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის პროგნოზული მონაცემებით 2007-2011 წლებში რეგიონის ტურისტული კომპლექსის განვითარების მიზნით, განხორციელდება მინიმუმ 571,2 მლნ. ლარის ინვესტიციები, რის შედეგადაც ტურისტთა რაოდენობა 2006 წლის 250 ათ. კაციდან 2011 წელს მიაღწევს 950 ათ. კაცს. კაც-დღეების რაოდენობა ამ პერიოდში 1.0 მილიონიდან 6.0 მილიონამდე გაიზრდება, ხოლო გაწეული ხარჯები 78 მლნ. ლარიდან 674,2 მლნ. ლარამდე. პროგნოზით გათვალისწინებული მაჩვენებლების ცხოვრებაში რეალური განხორციელება ხელს შეუწყობს რეგიონში არსებული ტურისტული პოტენციალის გამოყენების ხარისხის ამაღლებას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, ტურისტულ სექტორში მოგების სისტემატიურ ამაღლებას და აქედან

გამომდინარე, საბიუჯეტო შემოსავლების მატებას, რაც პირდაპირ კავშირშია რეგიონის მთლიან შიდა პროდუქტში ტურიზმიდან შემოსავლების ხვედრი წილის ზრდასთან. კერძოდ, თუ 2006 წელს ტურიზმიდან შემოსავლების ხვედრი წილი რეგიონის მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენდა 11,0% ეს მაჩვენებელი 2011 წელს რამდენიმე პუნქტით გაიზარდება.

ცხრილი 3

ტურისტების მომსახურების დინამიკა 2006-2011 წლებში

№	კატეგორია	ფაქტ. მონაც.	პროგნოზი				
		2006 წელი	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი
1	ტურისტების რაოდენობა (ათასი კაცი)	250	352	400	600	700	950
2	კაც-დღეები	1062000	1900000	2900000	3400000	4400000	6000000
3	გაწეული ხარჯები (მლნ ლარი) მათ შორის	78	154.6	216.6	336.7	458.5	674.2
ა	სასტუმროები და რესტორნები (მლნ ლარი)	52	103.1	144.	224.5	305.7	449.5
ბ	სხვა მომსახურება (მლნ ლარი)	26	51.5	72.2	112.2	152.8	224.7
4	საშუალო ხარჯი დღეში (ლარი)	74	91	108	116	127	150

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

ტურიზმის განვითარების ამოცანების გადაწყვეტა გულისხმობს მისი შემაფერხებელი ფაქტორების მინიმუმამდე დაყვანას ან თუნდაც გაუვნებელყოფას და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევას მიზანი კი არის ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის დასაქმებას, უმუშევრობის შემცირებას, შემოსავლების ამაღლებას და მის საფუძველზე ადამიანთა უკეთესი სოციალური და ეკონომიკური პირობების შექმნას. ეს შესაძლებელია განხორციელდეს რამდენიმე პრობლემას გადაწყვეტის საფუძველზე, ესენია: ტურისტული ბაზრების მარკეტინგული კვლევისა და ეფექტური რეკლამის წარმოება და ტურისტული პროდუქციის საზღვარგარეთ გატანა; მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქციის შექმნა და მოთხოვნისადმი მიწოდება; ინფრასტრუქტურის განვითარება, სატრანსპორტო და ტურისტული ინდუსტრიის სიმძლავრეების ამაღლება; ტურისტთა და ვიზიტორთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა; უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის დამკვიდრება; თანამედროვე მოთხოვნების

შესაბამისი კვალიფიციური პერსონალის მომზადება, გადამზადება და სხვ. (მიქაშაიძე ვ. 2007, 49-50).

ცნობილია, რომ ტურისტული იმიჯის შესაქმნელად მსოფლიოს ქვეყნები ათეულ მილიონობით დოლარს ხარჯავენ, რაც ტურისტთა ნაკადების მიღებისა და შესაბამისად სავალუტო შემოსავლების ზრდის აუცილებელი პირობაა. ამ პრობლემის გადაჭრის საერთაშორისო გამოცდილება კარგა ხანია არსებობს და დადებითი შედეგებიც მოაქვს მსოფლიოს ქვეყნებისათვის. კერძოდ, არსებობს პირობითი საერთაშორისო სტანდარტი იმისათვის, რომ მოიზიდო ერთი უცხოელი ტურისტი, რომელიც საშუალოდ ქვეყანაში ტოვებს 1000 აშშ დოლარს. რეკლამებისათვის დადებითი იმიჯის შესაქმნელად სახელმწიფომ უნდა დახარჯოს შემოსავლის 0,5% ანუ 5 აშშ დოლარი მაინც (ოზბეგაშვილი ე. 2005, 146; ტურიზმის განვითარება საქართველოში, 2001).

ჩვენი აზრით, აჭარის რეგიონის ხელისუფლებას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ტურიზმის სფეროს განვითარებაში, აქ საკითხი ეხება მცირე ბიზნესისადმი განსაკუთრებულ მხარდაჭერას. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი საქართველოს მაღალმთიანი დეპრესიული რეგიონების რეაბილიტაცია და გამოცოცხლება. მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება და სხვა. პრობლემების დასაძლევად ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს კერძო სექტორს და ინვესტორებს, რომლებიც აშენებენ 10-20 ოთახიან მინი სასტუმროებს აჭარის მთიან რაიონებში. ამ რაიონების ეკონომიკური გამოთანაბრებისათვის საჭიროა ტურიზმის სფეროში მიმართული იქნეს ინვესტიციები, რომლის მასტიმულირებელი როლის ეფექტიანი გამოყენების დიდი გამოცდილება არსებობს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, და ეს გამოცდილება უნდა იქნას მაქსიმალურად გამოყენებული ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის. ფაქტორები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანამ საკუთარი ტრადიციებისა და თავისებურებათა გათვალისწინებით გამოიყენეს ტურიზმის სტიმულირებისათვის, შემდეგია: სამთავრობო მხარდაჭერა პროექტების დაფინანსებაში; სამთავრობო გრანტები ტურისტული კომპლექსების მშენებლობისათვის; სამთავრობო გრანტები კომერციული ბანკებიდან სესხის აღებისას; მთავრობის წილობრივი მონაწილეობა ტურიზმის განვითარებაში; სამუშაო ნებართვის გაცემის ლიბერალური პოლიტიკის გატარება; ვალუტის გაცვლის შეუზღუდავი რეჟიმის დაწესება; საიმპორტო საბაჟო გადასახადის გაუქმება; გადასახადების შემცირება; მთავრობის მიერ კომუნალური მომსახურების ფასების სუბსიდირება; სამთავრობო სტრუქტურაში ინვესტორთა დამხმარე და მხარდამჭერი ორგანიზაციის ჩამოყალიბება და სხვა (ტურიზმის სექტორის განვითარება საქართველოში, 2001).

ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგია ეფუძნება ეკონომიკური ზრდის მიღწევას ჩვენს ქვეყანაში. ტურიზმის განვითარების ეკონომიკური მიზანია ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლების ზრდა, რაც ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების, მათი დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის საფუძველს ქმნის. ტურიზმის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს ინფრასტრუქტურის მაქსიმალურ დატვირთვასა და სეზონურობის გაზრდას. იგი ჩვენს ქვეყანაში ეფუძნება ტურიზმის სახეების მიხედ-

ვით აღმოჩენით, სათავგადასავლო, ოფიციალურ-საკონფერენციო და რაც მთავარია, გამაჯანსაღებელ და სამკურნალო ტურიზმს. აჭარის რეგიონში ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის პროგნოზით მომავალში დიდი პერსპექტივები გააჩნია ტურიზმის ისეთი სახეების განვითარებას, როგორიცაა: კრუიზები (ბათუმის პორტი გაწევრიანდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ასოციაციაში-„მედკრუიზი“, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის შემოსული საკრუიზო ხომალდების რაოდენობას), ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სამთო ტურიზმი. ტრადიციული ტურისტული პროდუქტის (ზღავზე დასვენება), პარალელურად აღნიშნული მიმართულებები ხელს შეუწყობს ბაზრის სწორ სეგმენტაციას. ტურისტული ბაზრის ახალი სეგმენტები განსაკუთრებით მიმზიდველი იქნება უცხოელი ტურისტებისათვის.

ცნობილია, რომ უცხოელ ტურისტულ სააგენტოებთან კავშირების დამყარების და ჩვენი რეგიონის რეკლამირების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობა და სარეკლამო ტურების ორგანიზება. სწორედ ამ მიზნით, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა უკანასკნელ წლებში სისტემატიურად ღებულობს მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებზე, რაც ხელს უწყობს რეგიონის, როგორც ტურიზმში აქტიურად ჩართული მხარის პოპულარიზაციას. ასე მაგალითად, 2006 წელს აჭარის რეგიონი წარმოდგენილი იყო ისეთ ტურისტულ-საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებზე როგორიცაა: ბერლინის, სტამბულის, მოსკოვის, კიევის, აღმაატის, თბილისის, ერევნისა და ბაქოს ტურისტული გამოფენა-ბაზრობები, ხოლო 2007 წელს ტელ-ავივის, რიგის, სტამბულის, ვილნიუსის, ბერლინის, პარიზის, კიევის, ბაქოსა და თბილისის გამოფენა-ბაზრობებზე. ანალოგიური ღონისძიებები დაგეგმილია 2008 წელსაც. გამოფენებში მონაწილეობამ დაადასტურა, რომ ინტერესი საქართველოსა და კერძოდ აჭარის რეგიონისადმი ბოლო წლებში სისტემატიურად იზრდება.

ჩვენი რეგიონის პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე ხელს შეუწყობს, ის მოვლენა, რომ 2007 წელს ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით ტურიზმის საერთაშორისო ინდექსით საქართველომ დაიკავა 66-ე ადგილი (წყარო GHV, 2007/03/01), რითაც გაუსწრო თანამეგობრობის ქვეყნებს, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა პროექტის – „აბრეშუმის გზის“ აღორძინება-განხორციელებაში, სადაც მას უკვე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. საკმარისია დავასახელოთ: 1998 წელს ქ. თბილისში ჩატარებული „დიდი აბრეშუმის გზის“ მსოფლიო ტურისტული ფორუმი; III საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 29 ქვეყნის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციების წარმომადგენლებმა; თბილისის საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობა, რომელიც 1999 წლიდან ყოველწლიურად იმართება, საქართველოს დედაქალაქში და ეწყობა „აბრეშუმის გზის“ საერთაშორისო პროექტის მონაწილე ქვეყნების ტურისტული პოტენციალის რეკლამირება (ბარბლიშვილი ჯ. 2006, 121-122). ეს მნიშვნელოვანი წარმატებაა ჩვენი ქვეყნისათვის, რაც საშუალებას გვაძლევს უკეთ გავაცნოთ ჩვენი ქვეყანა უცხოელებს, მოვახდინოთ ქართული ტურისტული პროექტების რეკლამირება და

გავაფართოვოთ ტურიზმის საერთაშორისო კავშირები, ხელი შევუწყოთ მისთვის ტურისტული ქვეყნის იმიჯის დამკვიდრებას.

Вахтанг Микашавидзе, Жани Микашавидзе

Региональные аспекты развития туризма

Резюме

Мировой опыт доказывает, что развитие туризма может сыграть решающую роль в ускоренном развитии экономики Грузии, в сокращении дефицита торгового и платежного баланса, в улучшении жизненных условий населения и решении проблем бедности. Основанием для этого является высокий и уникальный туристический потенциал как Грузии в целом, так и Абхазии в частности, который, к сожалению, еще не изучен и не использован полностью. В соответствии с концепцией развития региона в ближайшие годы предусмотрено значительное развитие туристического комплекса Абхазии. В частности, прогнозируется, что в данную сферу в 2007 – 2011 гг. будет инвестировано минимум 571,2 миллиона лари, в результате чего значительно возрастут число туристов, затраты на строительство туристических объектов и туристическое обслуживание, что в свою очередь, будет содействовать упрочнению имиджа Грузии как туристического государства.

Vakhtang Mikashavidze, Zhani Mikashavidze

Regional aspects of tourism development

Resume

It is proved by the world's experience, that tourism development can play the decisive role in the accelerated development of the economics of Georgia, decreasing of trade and payment balance shortage, improvement of living conditions of the population and overtaking the poverty problems. A good reason of it is high and unique tourism potential of the whole Georgia and Adjara in particular, which unfortunately has not been fully studied and used. In accordance to the conception of regional development, tourism complex of Adjara is expected to be developed significantly. In particular, at least 571,2 mil of GEL are expected to be invested in this sphere in 2007-2011, that will cause increase of tourists number, inputs in tourism units construction and tourism service and will strengthen image of Georgia as a tourism destination.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის კრებული, აჭარა ციფრებში, მსოფლიო ციფრებში, ბათუმი, 2003.
2. ბაბუნაშვილი გ. საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემები. თსუ, თბ., 2000, 207 გვ.
3. ბარბლიშვილი ჯ. ტურიზმის განვითარება თანამედროვე ეტაპზე. ჟ. „ეკონომიკა“, 2006 წ. №1, გვ. 117-126.
4. გოცირიძე მ. საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე ტურიზმის ზეგავლენის საკითხები, „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“. სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, თსუ, 2001, №4, გვ. 245-251.
5. თურმანიძე ო. ტურიზმის ისტორია და განვითარების პერსპექტივები აჭარაში. კრებული – ტურიზმის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2007, გვ. 167-177.
6. კოჭლამაზაშვილი ლ. ქართველიშვილი ლ. საქართველოში შიდა ტურიზმის განვითარება – შემოსავლების მულტიპლიკაციის საშუალება. ჟ. „ეკონომიკა“, 2006 წ. №1, გვ. 113-116.
7. მარგველაშვილი მ. ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია საქართველოში. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2002, 158 გვ.
8. მეტრეველი მ. ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2001. 173 გვ.
9. მიქაშავიძე ვ., მიქაშავიძე ჟ., ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები. კრებული – ტურიზმის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ბათუმი, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2007, გვ. 5-59.
10. ოზბეთელაშვილი ე. ტურიზმის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება საქართველოს ეკონომიკურ სტრუქტურაში. ჟ. „ეკონომიკა“, 2005 წ. №3-4, გვ. 144-150.
11. ტურიზმის სექტორის განვითარება საქართველოში. შაქართველოს ტურიზმის სტრატეგია. ფინალური რეპორტი TACIS. თბ., 2001.
12. შუბლაძე ვ. საქართველოში ტურიზმის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი (სიღარიბის დაძლევის კონტექსტში), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2004, 147 გვ.

აჭარის სამშენებლო ბაზრის ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემები

წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ იმ სახელმწიფო ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია, რათა აჭარის სამშენებლო ბაზარზე ჩამოყალიბდეს პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ დარგის როგორც სტატიკურ, ისე დინამიკურ ეფექტიანობას. მოცემული ღონისძიებები რამდენიმე ნაწილად შეიძლება დაგვით:

- საკუთრების ტრანსფორმაციის ღონისძიებები; ბაზრის გამჭვირვალობის ამაღლების ღონისძიებები; ანტიმონოპოლიური ღონისძიებები; ინვესტირების სტიმულირების ღონისძიებები; ნორმატიული ღონისძიებები; სამშენებლო წარმოების რესურსებით უზრუნველყოფის ღონისძიებები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

საკუთრების ტრანსფორმაცია. ჩვენ დადგენილი გვაქვს პრივატიზაციის კავშირი სამშენებლო ბაზართან და დავამტკიცეთ, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია აჩქარებს საინვესტიციო პროცესებს და დადებითად ზემოქმედებს სამშენებლო ბაზარზე.

საკუთრებითი ტრანსფორმაციის პროცესში მთავრობის ამოცანებია:

1. სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის რაც შეიძლება ჩქარა დასრულება;

2. პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალედ წარმართვა, საპრივატიზებო ქონების აუქციონის, კონკურსის წესით გაყიდვა ყველა მსურველისათვის კონკურენტული გარემოს შექმნისათვის, საზოგადოებრივი სექტორის ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სუბიექტური ფაქტორებისა და ინტერესთა კონფლიქტების გამორიცხვის მიზნით;

3. რეგიონის განვითარების დარგობრივი პრიორიტეტების შესაბამისად სახელმწიფო მიწების საინვესტიციო კონკურსის საფუძველზე მიყიდვა მსხვილ დეველოპერებზე;

4. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის პროცესის სისტემატიზაცია და სრულყოფა; სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში არსებული სახელმწიფო აქციების (წილის) აღრიცხვისა და მართვის საკითხების სრულყოფა; მართვის უფლებით გადაცემული სახელმწიფო ქონების მონიტორინგი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

ბაზრის გამჭვირვალობა. ბაზრის გამჭვირვალობა დინამიური ბაზრის არსებობის უმთავრესი პირობაა. ამ მხრივ, რეგიონული ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ:

1. რეგიონის სამშენებლო ბაზრის დინამიკის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის საჯაროობა საინფორმაციო ბროშურების გამოშ-

ვებით, ინტერნეტ-გვერდების შექმნით და მომხმარებელზე ორიენტირებული სტატისტიკური სამსახურის ჩამოყალიბებით;

2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა, რისი მიღწევაც შეიძლება სახელმწიფო შესყიდვების გრძელვადიანი პროგნოზის მეშვეობით, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო ორგანიზაციების მიხედვით მოკლე და გრძელვადიანი საჭიროებები და მსხვილი საინვესტიციო პროექტები, რომლებიც ამ უწყებებში იგეგმება სამომავლოდ. სახელმწიფო შესყიდვათა სამომავლო მიმართულებების ღია ბაზის შექმნა;

3. სახელმწიფო შესყიდვების დახურულ ტენდერებზე უარის თქმა, სატენდერო პირობების მომზადება ანტიმონოპოლიური მოთხოვნების დაცვით;

4. ტერიტორიის განაშენიანების გეგმების შედგენა ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით განაშენიანების კონკურსების, საზოგადოებრივი გამოკითხვების, არასამთავრობო სექტორის მონაწილეობის უზრუნველყოფით – მოქალაქეს უფლება აქვს იცოდეს, როგორ ქალაქში იცხოვრებს.

აჭარის სამშენებლო ბაზარი ღია უნდა გახდეს როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში არსებული ფირმებისათვის, ისე უცხოური სამშენებლო კომპანიებისათვის. სწორედ კონკურენტული ბრძოლის გამწვავება აიძულებს ადგილობრივ კომპანიებს გაზარდონ ეფექტიანობა.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკა.

ცნობილია ორი მიდგომა ანტიმონოპოლიურ პოლიტიკაში: პირველი გულისხმობს ნებისმიერ მონოპოლიურ მდგომარეობასთან ბრძოლას, რადგან ამ მიდგომის მიხედვით მონოპოლიის მარტო არსებობა ნიშნავს ბოროტებას, მეორე მიდგომის მიხედვით არსებობს „კარგი“ მონოპოლია, რომელმაც თავის მდგომარეობას მიაღწია კონკურენტებთან ბრძოლის შედეგად და „ცუდი“ მონოპოლია, რომელიც არაპატიოსანი კონკურენციის, ბაზარზე შესვლის ადმინისიტრაციული ბარიერების, ფარული შეთანხმებებისა და ბაზრების განაწილების საფუძველზე წარმოიშვა.

რეგიონული სამშენებლო ბაზრის მიმართ ანტიმონოპოლიურმა პოლიტიკამ ოქროს შუალედი უნდა მოძებნოს: ერთის მხრივ, მან ხელი არ უნდა შეუშალოს ფირმების შერწყმას, რადგან ფირმების გამსხვილება ბაზრის დინამიური ეფექტიანობის საფუძველია, მეორეს მხრივ, მან არ უნდა დაუშვას ფირმებს შორის შეთანხმება ბაზრის განაწილებისა და ფასების დადგენისა, ასევე ბაზარზე შესვლის ბარიერების თაობაზე. ამ თვალსაზრისით, რეგიონული ანტიმონოპოლიური პოლიტიკა გულისხმობს:

1. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სამართლებრივი დაცვის პრაქტიკის გააქტიურებას, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული რეგიონული ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნას, რომელსაც ექნება კვლევის, შემოწმებისა და საჭიროების შემთხვევაში სარჩელის აღძვრის უფლება;

2. ანტიმონოპოლიური სამსახურის, არქმშენისსპექციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის კოორდინაციას ანტიმონოპო-

ლიური პრაქტიკისა და მომხმარებელთა უფლებების დარღვევის აღმოცენებისა და მათზე რეაგირების მიზნით;

3. სასამართლო სტრუქტურების მომზადებას ანტიმონოპოლიური საქმეების განხილვისათვის;

4. საქმიანობის გააქტიურებას ცალკეული ეკონომიკური აგენტებისათვის დარგებში და სასაქონლო ბაზრებზე საქმიანობისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის შემთხვევების გამოვლენისა და აღკვეთის და მათ შორის დაუსაბუთებელი შეღავათების, ექსკლუზიური უფლებების ჩამორთმევის მიმართულებით;

5. კონკურენციის შემზღუდავი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებული მუშაობის პრაქტიკის, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებას და აღკვეთას;

6. ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობის, განხორციელებული გამოკვლევების, აღძრული საქმეებისა და მიღებული შედეგების საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას თვით ანტიმონოპოლიური სამსახურის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

რეგიონული ფისკალური პოლიტიკა. აუცილებელია რეგიონული ფისკალური პოლიტიკის მყარი წესების განსაზღვრა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება სახელმწიფო შეკვეთებს, რომელთა არასტაბილურობა მოქმედებს როგორც სამშენებლო ბაზარზე, ისე რეგიონის ეკონომიკური განვითარების ტემპებზე.

სამშენებლო სფეროში რეგიონული სახელმწიფო შეკვეთების არასტაბილურობის მიზეზი ასევე რეგიონული საბიუჯეტო სისტემის მოუწყობლობაა – გარდამავალ პერიოდში ხშირად იცვლება ფისკალური სისტემა და მას თან ახლავს ცვლილებები მიდგომაში, თუ რომელი დონის ბიუჯეტმა რა სახის ფისკალური აქტივობა უნდა განახორციელოს.

მშენებლობაში სახელმწიფო შესყიდვების მკაფიო მექანიზმის განსაზღვრისათვის აუცილებელია:

1. რეგიონების როლის ამაღლება ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში;

2. რეგიონულ დონეზე სახელმწიფოს ფუნქციების ზუსტად ჩამოყალიბება, ცენტრისა და რეგიონის საკუთრებისა და ეკონომიკური ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა;

3. საბიუჯეტო სისტემის დეცენტრალიზაცია, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტების ფინანსური შესაძლებლობების ამაღლება;

4. ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა;

5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე წარმოდგენილ პროექტებს შორის „შიდა კონკურსის“ ჩატარება რეგიონის განვითარებისთვის ყველაზე აუცილებელი პროექტების გამოსავლენად;

6. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ნორმებისა და წესების დეტალიზაცია და გამკაცრება;

7. სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება შემსყიდველი ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა

და თანამშრომლების მიერ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევისათვის;

8. სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობისა და საჯაროობის დონის ამაღლების მიზნით გლობალური საინფორმაციო ქსელის, ტელევიზიისა და მასმედიის საშუალებათა შესაძლებლობების სრულად გამოყენება.

საინვესტიციო კლიმატი. აჭარაში კეთილგანწყობილი საინვესტიციო კლიმატის შექმნას მოჰყვება მშენებლობის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა, რაც იმოქმედებს თვითონ მშენებლობაში ინვესტირების პროცესზე – ეს აისახება სახელმწიფო სამშენებლო საწარმოების შეძენასა და მშენებლობის ბაზარზე ახალი ფირმების შესვლაში.

მშენებლობაში ინვესტირება დამოკიდებულია ინვესტიციების ამოგების პირობებზე, ანუ იმაზე, თუ რა შემოსავლები და რა დროში შემოვა სამშენებლო კომპანიაში. ამიტომ დარგის განვითარების თვალსაზრისით გვმართებს კონცენტრირება იმ ასპექტებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მშენებლობაზე რეგიონული მოთხოვნის საკმარის დონეს სამშენებლო წარმოების განვითარებისათვის.

საქართველოში კერძო ინვესტიციების ზრდის ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზისას გამოიკვეთა ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა განხორციელება რეგიონის მთავრობამ პირველ რიგში უნდა უზრუნველყოს:

1. სამეწარმეო საქმიანობის შემდგომი ლიბერალიზაცია და სახელმწიფოს გავლენის შემცირება. უნდა აღმოიფხვრას არსებული სტერეოტიპი, რომ ნებისმიერი საშუალო დონის საინვესტიციო პროექტის შესახებ მთავრობამ უნდა იცოდეს;

2. მაკონტროლებელი ორგანოების სისტემის ოპტიმიზაცია. დღესდღეობით სამშენებლო კომპანიის შემოწმება „მოულოდნელი თავდასხმის“ ხასიათს ატარებს, რაც მიუღებელია. აუცილებელია მაკონტროლებელი ორგანოების მინიმუმამდე დაყვანა და მათი ერთობლივი შემოწმებების სისტემის დანერგვა;

3. მშენებლობის მარეგულირებელ და მაკონტროლებელ ორგანოებს შორის დუბლირების გამორიცხვა;

4. რეგიონის დონეზე ქონების შეძენისა და რეგისტრაციის მექანიზმების გამარტივება და გაიაფება;

5. დაუმთავრებელი მშენებლობების ბედის გადაწყვეტა მათი გაყიდვის გზით;

6. საინვესტიციო კონკურსებისა და საჯარო ვაჭრობების ფართო გამოყენება მსხვილი პროექტების რეალიზაციისათვის წვრილი საწარმოების შერწყმის სტიმულირებისათვის;

7. ინფრასტრუქტურული განვითარების საინვესტიციო პროგრამების შემუშავება;

ქალაქმშენებლობის რეგულირება.

1. რეგიონული ქალაქმშენებლობის სფეროში ნორმატიულ-მეთოდური ბაზის შექმნა და განვითარება;

2. არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობითი პოლიტიკის მოწესრიგება და მშენებლობის ხარისხობრივი სტანდარტების ამაღლება;

3. რეგიონის განვითარების, მათ შორის ქალაქმშენებლობის შემდეგი დოკუმენტაციის შემუშავება;

3.1. რეგიონის განვითარების გენერალური გეგმა;

3.2. რეგიონის ქალაქმშენებლობის განვითარების ძირითადი მიმართულებები;

3.3. საბინაო, კულტურული, კომუნალური და სხვა სახის მშენებლობის განვითარების პროექტები;

3.4. საქალაქო მეურნეობის დარგები, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის და სხვ. განვითარების და განლაგების სქემა;

3.5. რეგიონში შემავალი ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების დეტალური დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტები;

3.6. სამრეწველო ზონების დაგეგმარების პროექტები;

კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების გაერთიანება ქალაქმშენებლობის სფეროში შესაძლებელია: ქალაქის იერსახე საზოგადოებრივი პროდუქტია, რომელსაც კონკრეტული ეკონომიკური სარგებელი მოაქვს – დამთვალეობების ფული. ისეთი ტურისტული ქალაქებისათვის, როგორცაა ქობულეთი, ქალაქის განაშენიანება თავისთავად ვითარდება ისე, როგორც ამას ტურისტული ბაზარი მოითხოვს: პატარა, არქიტექტურულად მრავალფეროვანი სახლები, რომელთა დანიშნულებაც ზღვაზე ჩამოსული ტურისტების მოზიდვა და მომსახურებაა.

სამრეწველო და საქმიანი ტერიტორიებისათვის განაშენიანება უკვე სხვა პირობებს მოითხოვს: აქ მთავარია სარგებელი ინფრასტრუქტურისაგან, რომელსაც ამ ტერიტორიაზე მყოფი საწარმოები დებულობენ.

ბათუმის შემთხვევაში განაშენიანება შესაძლოა რამდენიმე მიმართულებით განხორციელდეს:

ა. ტურისტული მიმართულებით;

ბ. პორტის ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით;

გ. სამრეწველო მიმართულებით;

დ. ქალაქის ცენტრში საქმიანი დაწესებულებების მიმართულებით.

მრავალმხრივი დანიშნულება ქალაქს ყოველთვის უშლიდა ხელს ერთიანი განაშენიანების ფარგლებში მოქცეულიყო. ბათუმს განსაკუთრებული არქიტექტურა არ გააჩნია: მისი ისტორიული ნაწილი, რომელიც თავის დროზე ტიპური რუსული პროვინციული ქალაქის არქიტექტურულ სტილზე იყო აგებული, დღეს მხოლოდ ცალკეულ შენობებშია შემორჩენილი. ჯერ ბათუმი დაიგეგმა როგორც საპორტო-სამრეწველო ქალაქი, შემდეგ გადაწყვიტეს მისი, როგორც კურორტის განვითარება.

შეუძლებელია განაშენიანების ერთიან გეგმაში ჩამოაყალიბო ყველა სექტორის განვითარების შესაძლებლობები: თავისუფალი ბაზარი თვითონ გადაწყვეტს, რამდენი სასტუმრო და გასართობი დაწესებულებაა საჭირო, რამდენად უნდა იზრდებოდეს პორტის სიმძლავრეები და რამდენი ქარხნის აშენება აწეობთ კერძო ინვესტირებს აჭარის ტერიტორიაზე. თანაც სამრეწველო განვითარება ზღუდავს ტურისტულს და პირიქით.

ამიტომ, ნაცვლად განაშენიანების დაწვრილებითი გეგმებისა, მთავრობამ უნდა ჩამოაყალიბოს ქალაქმშენებლობისა და ტერიტორიის განაშენიანების ზოგადი პრინციპები, მოახდინოს ზონირება, გადაჭრას კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხები და ხელი შეუწყოს სამშენებლო ნორმებისა და წესების შესრულებას. დანარჩენი ბაზარმა უნდა გადაწყვიტოს [1. 2005, 69-72].

გამჭვირვალე გახდეს მიწის ნაკვეთების ბაზარი, დასრულდეს მიწების პრივატიზაცია. სრულფასოვნად აღირიცხოს მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებები; მოხდეს რეგიონში მიწის ნაკვეთების ზონირება და განაშენიანების გეგმების შექმნა როგორც ბათუმისა და ქობულეთისათვის, ისე ტურისტული თუ სხვა სპეციალური ზონებისათვის.

სამშენებლო წარმოების რესურსული უზრუნველყოფა. ამაში იგულისხმება შრომითი რესურსების, საშენი მასალების, საფინანსო რესურსებისა და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის ხელშეწყობა.

რეგიონის მშენებლობას უნდა ჰყავდეს კვალიფიცირებული საინჟინრო, არქიტექტურულ-საპროექტო და სხვა კადრები, რისი მიღწევაც შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებების გატარების ხარჯზე:

1. შრომის ბაზრის გამჭვირვალობა და სამუშაო ძალის მობილიზაცია უმნიშვნელოვანესი პირობაა მშენებლობის კვალიფიციური კადრებით მომარაგებისათვის. სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა, ვაკანტურ ადგილებზე კონკურსების წესით აღამიანების მიღება უზრუნველყოფს, ერთის მხრივ, სამუშაო ძალის შემადგენლობაში კონკურენციის განვითარებას და აიძულებს აღამიანებს გამუდმებით აიმაღლონ ცოდნა, კვალიფიკაცია და გამოცდილება. მეორეს მხრივ, ასეთი მდგომარეობა ამაღლებს თვით საწარმოს ეფექტურობას, რადგან იგი ღებულობს სამუშაოდ მაღალკვალიფიციურ შრომით რესურსს. ამ ამოცანის გადაჭრა ხდება დასაქმების ადგილობრივი სამსახურების მეშვეობით, რომლებიც მათ მიერ კონტროლირებად ზონაში დამქირავებლებთან აქტიურ ურთიერთობებს ამყარებენ უშუალო კონტაქტების გზით – ადგილებზე პერიოდული გასვლით. ამასთან, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება დამქირავებელთა მიერ ვაკანსიებისა და მოსალოდნელი შემცირებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების სავალდებულო ხასიათს. საინფორმაციო ბაზა იქმნება როგორც უშუალოდ დამქირავებელთა და სამუშაოს მაძიებელთა მიერ მიწოდებული, ასევე დასაქმების სამსახურების მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე;

2. კადრების მომზადებისა და გადამზადების მოქნილი და ეფექტიანი სტრუქტურის შექმნა, კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ გადამზადებაში მოსახლეობის ხელშეწყობა, სამუშაო ძალის დეკვალიფიკაციის პროცესის შეჩერება.

სამშენებლო წარმოების პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებაში იგულისხმება როგორც უშუალოდ საწარმოო ტექნოლოგიების თანამედროვე, ახალი ეფექტური მანქანა-მექანიზმების გამოყენება, ასევე წარმოების ორგანიზაციის ახალი მეთოდები და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ახლებური მიდგომები:

1. მშენებლობაში კომპიუტერული ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ავტომატიზებული მართვის სისტემების დანერგვა. პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს საბუღალტრო და არქიტექტურულიზაინერულ პროგრამებს. ავტომატიზებული მართვის სისტემების გამოყენება შესაძლებელია ძირითადადში საცნობარო-საინფორმაციო და მმართველობით პროცესებში იმ ინფორმაციის მოკრების, გადაცემის, დამუშავებისა და გაფორმებისათვის, რომლებიც აუცილებელია მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად.

2. სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია ბევრად გაზრდის სამშენებლო წარმოების ეფექტიანობას და გაათავისუფლებს მუშახელს სხვადასხვა სახის მძიმე, სახიფათო შრომისაგან;

3. წარმოების ნაკადური მეთოდების დანერგვა. ამგვარი წარმოების ტექნოლოგია უზრუნველყოფს მუშებისათვის უწყვეტ სამუშაო დროს, იძლევა სპეციალიზაციისა და დახელოვნების განვითარების საშუალებას, ამადლებს შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს მუშებისა და მანქანა-მექანიზმების მოცდენის დროს, ამცირებს ხარჯებს პროდუქციის ერთეულზე მუდმივი ხარჯების გადანაწილების მეშვეობით;

ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულების განვითარების პირობას საკმარისი რეგიონული მოთხოვნა წარმოადგენს – ამ შემთხვევაში სამშენებლო კომპანიის მასშტაბები გაიზრდება და საჭირო იქნება პროგრამული უზრუნველყოფა ეფექტიანი მენეჯმენტისათვის.

აუცილებელია სამშენებლო წარმოების სფეროში დაგროვილი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-კონსტრუქტორული სამუშაოების მდიდარი სამამულო გამოცდილების ამოქმედება. ქართული ტექნოლოგიური მიღწევები ფართოდაა ცნობილი მსოფლიოში (სეისმოდევლობის თეორია, მსუბუქი რკინა-ბეტონის გამოყენების თეორია, დრეკადობისა და გარსთა გაანგარიშების თეორიები და სხვ.), და მათი დანერგვა სამშენებლო წარმოებაში რესურსების გამოყენების ეფექტურობის გადიდების ერთ-ერთი უსწრაფესი და უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა.

პროგრესული მასალების გამოყენება და ადგილობრივი სამშენებლო მასალების საბადოების ათვისება ასევე წარმოადგენს მშენებლობაზე რეგიონული მოთხოვნისა და ბაზრის კონკურენტულობის ფუნქციას. აქ აღსანიშნავია ისეთი მიმართულებები, როგორიცაა თერმობლოკების საშუალებით მშენებლობა, სამშენებლო და სამრეწველო ნარჩენებისაგან სხვადასხვა სამშენებლო დეტალების, კარფანჯრებისა და სხვათა წარმოება, მსუბუქი შემავესებლების გამოყენება (კერამიტი, პერლიტი, აგლოპორიტი, შენგიზიტი, ვულცანიზებული შლაკები, ვერმოკულიტი), რომელთა წარმოებაც შეიძლება ადგილობრივი მასალებიდან (თიხები, სილა, შლაკი და სხვა მინერალები) – ისინი ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას და კონსტრუქციების წონას. ასევე:

1. საკედლე მასალების საწარმოების, პირველ რიგში, აგურის ქარხნების ხელახალი ტექნიკური შეიარაღება და მოდერნიზაცია და ახალი კერამიკული აგურის ქარხნის მშენებლობა ადგილობრივი

ნედლეულის ბაზაზე, აგრეთვე უჯროვანი ბეტონისაგან დამზადებული წერილი ბლოკების წარმოების განვითარება;

2. ბუნებრივი ინერტული მასალების დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით ხელოვნური ინერტული მასალების წარმოების გაფართოება-განვითარება ეკოლოგიური მოთხოვნების მკაცრი დაცვის გათვალისწინებით;

3. საკედლე (სახერხი) და მაღალხარისხოვანი მოსაპირკეთებელი ქვების წარმოების ათვისება და განვითარება;

4. საშენი მასალების წარმოების დარგში როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, დარგის კონკურენტულობის უზრუნველყოფა;

აჭარაში არსებობს რამდენიმე საბადო, რომელთა ათვისება პერსპექტივაში საშუალებას მოგვცემს სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალებზე მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ: დაგვას მიკროტუფორექჩები (მოსაპირკეთებელი ფილების, ბორდიურების წარმოება), დანისპარაულის ანდეზიტ-დაციტი, ხალისთავის გაბრო-დიორიტი, ჟანივრის გაბრო (მოსაპირკეთებელი ფილების წარმოება), ახალშენის პორფირიტი, კინკიშას ანდეზიტ-ბაზალტები, ხეყრუის დიორიტ-პორფირიტი (სამშენებლო ღორღის წარმოება), ჭოროხის ქვიშა-ღორღი (სამშენებლო ქვიშა, ხრეშის წარმოება), ბრილის სააგურე თიხა (აგურის, კრამიტის, მოსაპირკეთებელი ფილებისა და კერამიკული ნაკეთობების წარმოება).

საშენ მასალათა საბადოების ათვისების უმთავრესი პირობა კერძო სექტორის დაინტერესებაა, რისთვისაც საჭიროა აჭარაში საშენ მასალათა საბადოების ზუსტი აღწერა და მოცემული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; საბადოების ათვისებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნაზე ზრუნვა; საბადოთი სარგებლობის მკაფიო წესების შემუშავება და მათი გაყიდვა ან იჯარით გაცემა საინვესტიციო კონკურსის საფუძველზე;

მშენებლობის დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშენებლობის დაფინანსების სხვადასხვა წყაროების განვითარებას. სახელმწიფო კაპიტალ-დაბანდებათა დაფინანსების პარალელურად უნდა განვითარდეს საინვესტიციო დაფინანსება სამრეწველო ინვესტორთა მხრიდან, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური რესურსების გამოყენებით, განვითარდეს სამოქალაქო მშენებლობა, დაინერგოს იპოთეკური დაკრედიტების სისტემები.

საჭიროა აჭარაში საბანკო სექტორის კონკურენტულობის ამაღლება, რაც განაპირობებს საბანკო მომსახურების მრავალფეროვნებას და გააადვილებს საინვესტიციო პროცესებისათვის ფინანსური რესურსების გამოძებნის მექანიზმებს.

უძრავი ქონების შეძენისათვის სესხის აღება საზღვარგარეთ ითვლება უკვე როგორც არა საცხოვრებლის პრობლემის გადაწყვეტის მეთოდად, არამედ ცხოვრების წესად [2. 2005, 106-109]

რეფორმების სწრაფი გატარება და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის მაქსიმალური შემცირება უზრუნველყოფს სამშენებლო დარგში ეფექტიანობის ზრდას, რაც აჭარაში ცივილიზებული სამშენებლო ბაზრის ჩამოყალიბების საწინდარი იქნება.

Паата Чаганова

**Проблемы экономической эффективности строительного базара
Аджарии**

Резюме

В статье рассмотрены те государственные мероприятия, которые обеспечивают как статическую так и динамическую эффективность. Предполагаемые мероприятия могут быть подразделены на следующие части: Мероприятия по трансформации собственности; Мероприятия по повышению прозрачности деятельности; Антимонопольные мероприятия; Мероприятия по стимулированию инвестирования; Нормативные мероприятия; Мероприятия по обеспечению строительного производства ресурсами.

Paata Chaganava

The Problems of Economic Effectiveness of the Building Market of Adjara

Summary

In the work it is discussed such governmental measures which ensure as well as static so dynamic effectiveness of the building industry. Such supposed measures can be divided into next parts: The measures according to the transformation of the ownership; The measures according of the increasing of the transparency of the activity; Antimonopoly measures; Normative measures; The measures according of the providing the building industry with the resources.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩაგანავა პ. განაშენიანების გეგმები და მშენებლობა აჭარაში. უკრნ. ეკონომიკა, N 7, თბ., 2005. გვ. 69-72;
2. ჩაგანავა პ. იპოთეკური დაკრედიტების პერსპექტივები საქართველოში. უკრნ. ეკონომიკა, N 7, თბ., 2005. გვ. 106-109;

ირმა ჩხაიძე, ღამარა მიქელაიშვილი

საქართველოში გამჭვირვალე საპენსიო სისტემის შექმნის პერსპექტივები

დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელისუფლების შექმნის საფუძველს წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობა, რომელმაც ეროვნული სიმდიდრე ეფექტიანი მართვისათვის პოლიტიკური არჩევნების გზით გადასცა სახელმწიფო ხელისუფლებას, რითაც მას მიანიჭა უფლება განსაზღვროს და გამოავლინოს საზოგადოებრივი სახელმწიფოს შექმნის ზომიერი და აქტიური რეგულირებადი როლი ეკონომიკის აღმავლობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების მიღწევისათვის, რაც მრავალი სხვა სახელმწიფოებრივი ფუნქციების მსგავსად არის სოციალური სამართლიანობის მემკვიდრეობითობის პრინციპების განმსაზღვრელი საშუალება.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი სოციალური და ეკონომიკური მემკვიდრეობითობის სამართლებრივი პრინციპების დაცვით, როგორ და რა ხარისხით იქმნება „მომლოდინეთათვის“ (პენსიონერები, შრომისუნარიანობა დაკარგულები, ინვალიდები) სახელმწიფოს მიერ შექმნილი „არაწინააღმდეგობრივად“ გამოყენებული კეთილდღეობა. განსაზღვრულია – ჩვენ როგორც საზოგადოების წევრები, როგორ ვდებულობთ მონაწილეობას ადგილობრივ საბიუჯეტო პროცესში საშემოსავლო გადასახადების გადახდით.

შეფასებულია სოციალური და ეკონომიკური მემკვიდრეობითობის პრინციპების დაცვაში სამომავლოდ სახელმწიფოს რეგულირებადი როლის შესუსტების სტრატეგია, რაც ითვალისწინებს თავად დასაქმებულზე „პირადი კეთილდღეობის“ შექმნის მიზნით ამ ვალდებულებების გადაცემას.

საქართველოში გარდამავალ ეტაპზე სახელისუფლებო პროგრამებიდან ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი დაეთმო მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფას, რაც ითვალისწინებს უმთავრესი მიზნის–სოციალური მემკვიდრეობითობის სამართლებრივ აღდგენას და მოითხოვს მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში არაეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის მიზეზების გამო საპენსიო სისტემაში წარმოშობილი სისრთულებების დაძლევას.

საქართველოში დღეს „მოხუცებულობის სამუდამო პენსიის“ (მნიშვნელობა არა აქვს, არიან თუ არა შრომისუნარიანი) გადახდის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს პარლამენტის მიერ შემუშავებული და 2005 წლიდან ამოქმედებული „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონი, რომლითაც, შეიძლება ითქვას, სახელმწიფომ ამ მემკვიდრეობითობის შენარჩუნებისათვის მთლიანი მოსახლეობიდან „მომლოდინე“ პენსიონერთა 20,5%-ს შეუქმნა 2007 წლის ბოლოსათვის „თანაბარი კეთილდღეობა“ თვიური 55 ლარის ოდენობით,

რაც 2004 წელთან შედარებით გაზრდილია 41 ლარით. „მოხუცებულობის სამუდამო პენსიების“ გაზრდის ტენდენციას 2004-2006 წლებში განაპირობებდა, იმ ათასამდე პირის პენსიის შემცირება, რომლებიც ყოველთვიურად 560 ლარზე მეტს იღებდნენ, და იმ დროისათვის მომუშავე პირთა მიერ გამომუშავებული თანხიდან ღარიცხული გადასახადებით.

თანამედროვე ეტაპზე ხელისუფლების მიერ საქართველოში სოციალური მემკვიდრეობითობის სამართლებრივი პრინციპის განხორციელებას თან ერთვის 2007 წლის ოქტომბრის დასაწყისისათვის საპრეზიდენტო პროგრამების ამოქმედება, რომლის შესაბამისად 800000 პენსიონერს მიეწოდა როგორც ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის 50-50-ლარიანი ღირებულების ვაუჩერის, ასევე მედიკამენტების შესაძენი 25-ლარიანი ღირებულების ვაუჩერის გამოყენებით „თანაბარი“ და „არაწინააღმდეგობრივი“ კეთილდღეობა. რეალური მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს, რომ პენსიონერებისათვის აღნიშნული კეთილდღეობის მიმწოდებელი სახელმწიფო ხელისუფლებაა, ხოლო ერთი მხრივ პირველი სახის (ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ვაუჩერი) კეთილდღეობაზე მომსახურების განმახორციელებლად სახელდება მოქმედი სხვა კომერციული ბანკებისაგან განსხვავებით „სს“ სახალხო ბანკი, რომელიც შესაბამის საბანკო მომსახურებას განახორციელებს ქვეყნის მასშტაბით 200 და აჭარის რეგიონის მასშტაბით 19 ფილიალის ფართო ქსელის საშუალებით. მეორე სახის კეთილდღეობაზე (მედიკამენტების ვაუჩერი) მომსახურების განმახორციელებლად სახელდება საქართველოში მოქმედი „PSP“-ს 90-მდე და „A“ 50-მდე აფთიაქი, ხოლო აჭარის რეგიონის მასშტაბით „PSP“-ს ოთხი და „A“ ოთხი აფთიაქი, რომლებიც რეგიონის მთლიანი მოსახლეობიდან პენსიონერთა 19%-ს საზოგადოების სხვა წევრების (მომხმარებლების) მსგავსად 24 საათის განმავლობაში სთავაზობენ თანაბარი დონისა და ხარისხის მედიკამენტებით მომსახურებას.

საქართველოში 2007 წლის ბოლოსათვის საპრეზიდენტო პროგრამების შედეგად ამოქმედებული ჯამში 125-ლარიანი ღირებულების (ბუნებრივი აირის 50-ლარიანი ღირებულების ვაუჩერი, ელექტროენერგიის 50 ლარიანი ღირებულების ვაუჩერი და მედიკამენტების შესაძენი 25 ლარიანი ღირებულების ვაუჩერი) ვაუჩერების გამოყენება პენსიონერებს შეუძლიათ პერიოდულად 2007 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 1 ივლისამდე. პრაქტიკული რეალობიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ ასაკობრივი პენსიის (თვიური 55 ლარი) ოდენობაზე და აღნიშნული ვაუჩერების ღირებულებაზე (სულ ვაუჩერის ღირებულება 125 ლარი) შესაძლებელია ითქვას, რომ ზემოაღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით პენსიონერთა თვიური შემოსავალი უკვე შეიძლება თვის განმავლობაში საშუალოდ (მოხუცებულობის სამუდამო პენსიას დამატებული ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის, მედიკამენტების ვაუჩერები) აღემატება 70 ლარს, თუმცა აღნიშნულის პარალელურად აღსანიშნავია ის დადებითი გარემოებაც, რომ მიმდინარე (2008) წლის პირველი აპრილისათვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ასაკობრივი პენსიის 70 ლარამდე გაზრდა, რომლის წინაპირობად სახელდება, უკვე დღეს კერძო და სახელ-

მწიფო სექტორში 1750000 მომუშავე პირთა მიერ გამოიყენებული თანხიდან დარიცხული გადასახადები, რომელიც აღნიშნულთან ერთად ქმნის ამ მომუშავე პირის სამომავლო საპენსიო სისტემას.

ამრიგად, რეალური პრაქტიკული მსჯელობა ცხადყოფს, რომ თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო ავლენს თავის რეგულირებად როლს სოციალური მემკვიდრეობითობის სამართლებრივი პრინციპის დაცვაში, მაგრამ პარალელურად ის არ ივიწყებს მომავალი თაობისათვის მისაღები რეალური სამომავლო საპენსიო სისტემის შექმნას, რომლის განხორციელების პროცესში ის ითვალისწინებს ქართველი და უცხოელი ექსპერტების შეფასებებს და არსებულის საფუძველზე განხორციელებს შესაბამის კანონებში ცვლილებების შეტანას.

საქართველოში 2008 წლის პირველი იანვრიდან პრაქტიკული ამოქმედება კპოვა პარლამენტის მიერ 2007 წლისათვის საგადასახადო კოდექსში შეტანილმა, დამტკიცებულმა ცვლილებებმა და დამატებებმა, რაც ითვალისწინებს სოციალური 20%-იანი და საშემოსავლო 12%-იანი გადასახადის გაერთიანების საფუძველზე 25%-იანი საშემოსავლო გადასახადის დაწესებას. აღნიშნული ოდენობის საშემოსავლო გადასახადი მოქმედებს ლატვიაში, ჩეხეთში 31%-ს შეადგენს, ხოლო ხორვატიასა და გერმანიაში შესაბამისად 15%-45% და 19,9-48,5%-ის შუალედში მოქმედებს. საქართველოს „საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ კანონპროექტის ამოქმედებამდე, კერძოდ 2007 წლის დეკემბრის ბოლომდე, როგორც თეორიულად ასევე პრაქტიკულად სოციალური გადასახადის გადამხდელად სახელდებოდა დამქირავებელი (წარმოება/ორგანიზაცია) და მის მიერ გადახდილი გადასახადი მთლიანად ირიცხებოდა სახელ-მწიფო ბიუჯეტში, ხოლო საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი იყო დაქირავებული პირი და მის მიერ გადახდილი გადასახადი მთლიანად ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში. 2008 წლის დასაწყისისათვის ზემოაღნიშნული კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩარიცხულმა საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 6018400 ლარი, რომლის გადამხდელად სახელდება რეგიონის მთლიანი მოსახლეობის (400000 კაცი) 29%-ზე მეტი ადამიანი, ანუ საზოგადოების ის წევრები (ისევე, როგორც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე), რომლებიც დასაქმებულია ადგილობრივ ტერიტორიულ ერთეულზე მოქმედ სახელმწიფო და სამეწარმეო დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და რომელთა დაბეგრილი ხელფასი გაზრდილია 1,67%-ით.

ამრიგად, რეფორმირებად სფეროში გარდამავალ ეტაპზე მიმდინარე ცვლილებებზე შესაძლებელია ითქვას, რომ პრაქტიკულად არც დამქირავებელი და არც დაქირავებული პირი არ ზარალდება, რადგან ისინი დღეს ამოქმედებული ახალი თეორიული პრინციპების მიუხედავად მაინც პრაქტიკულად თითქმის ადრე მოქმედი პროპორციით იხდიან გადასახადებს. არსებულს განამტკიცებს სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის საფუძველადაც შესაძლებელია ითქვას, რომ საშემოსავლოს გადამხდელს-დაქირავებულ პირებს გადასახადები არ გაეზრდებათ, რადგან პირველ ეტაპზე ექსპერტების შეფასებით მისაღებია საშემოსავლოს და სოციალური

გადასახადის გაერთიანების შემდეგ მაინც მოხდეს მათი შიდადაყოფა, ხოლო მეორე ეტაპზე მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების, უცხოელი და ქართველი ექსპერტების შეფასებით მისაღებია სოციალური გადასახადის 5 ან 10%-მდე შემცირება, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საშემოსავლო გადასახადის 15%-მდე შემცირება და მის პარალელურად საშემოსავლო გადასახადის დიფერენცირებული პრინციპით ამოქმედება, რაც ითვალისწინებს, რომ პირს რომელსაც ექნება 100 ლარამდე ხელფასი, საერთოდ უნდა გათავისუფლდეს საშემოსავლო გადასახადიდან, 100 ლარზე ზევით დიფერენცირებული იქნება, დაბალხელფასიანი ნაკლებს გადაიხდის, მაღალხელფასიანი – მეტად დაიბევრება.

დღეისათვის თეორიულად შესაძლებელია განისაზღვროს, რომ საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს უკვე არა დამქირავებელი არამედ დაქირავებული, რომელიც გაზრდილი ხელფასიდან დარიცხული 25%-იანი საშემოსავლო გადასახადის გადახდით, ჯერ კიდევ მასში სოციალური და საშემოსავლო გადასახადის შიდადაყოფის პრინციპის მოქმედების პირობების შესაბამისად პირველ რიგში ბიუჯეტს გადასახადს უხდის და შემდეგ დგება არჩევანის წინაშე დარჩენილი თანხის ნაწილი საპენსიო ფონდში საკუთარ ანგარიშზე დადოს, თუ სახელმწიფოს მისცეს იმ იმედით, რომ როცა საპენსიო ასაკს მიაღწევს, გარკვეულ პენსიას მიიღებს, ეს რეალურად საპენსიო რეფორმის პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც იმ ადამიანებს აძლევს არჩევანის საშუალებას ვინაც დღეისათვის უკვე მუშაობს. 18 წლის ახალგაზრდები, რომლებიც რამოდენიმე წლის შემდეგ (2-3 წლის შემდეგ) დასაქმდებიან უკვე ის ვალდებულია დაეკისრებათ, რომ პირველ რიგში სახელმწიფო ბიუჯეტს გადაუხადონ გადასახადი, ხოლო დანარჩენი ნაწილი, მათი პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე საპენსიო ფონდში საკუთარ ანგარიშზე დაიგროვონ. არსებულს შესაძლებელია საფუძვლად დაედოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრება, რომ „თითოეული მომუშავე პირი არაფერს კარგავს, ის ჯერ შრომობს, ქმნის მის საბოლოო ტიპის საპენსიო სისტემას და მოხუცებულობის სამუდამო პენსიაზე გასვლის შემდეგ ცხოვრების ბოლომდე მოიხმარს.“

ამრიგად, შესაძლებელია ითქვას, რომ საპენსიო სისტემის „რეფორმირებადი“ ეტაპის დასასრულს სახელმწიფოს აღარ სურს ითამაშოს სერიოზული მეურვის როლი სოციალური და ეკონომიკური მემკვიდრეობითობის პრინციპების დაცვაში და არსებული რეფორმის განხორციელების შემდეგ მან ნაკლები ვალდებულებები აიღოს საკუთარ თავზე პენსიების გაცემის თვალსაზრისით, რაც ვლინდება ერთი მხრივ გარდამავალ პერიოდში საქართველოში საბიუჯეტო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებში. ზემოაღნიშნული მიმდინარე რეფორმა გვკარნახობს, რომ სახელმწიფომ ეს ვალდებულებები ფაქტიურად თავად დასაქმებულ პირს დააკისრა „პირადი კეთილდღეობის“ შექმნის მიზნით, რადგან რეალურად ყოველი დასაქმებული პირი მის მიერ დაგროვილი თანხის შესაბამისად ბევრად უფრო ნორმალურ პენსიას მიიღებს, და ადამიანები ბოლოს და

ბოლოს (10-15 წლის შემდეგ პენსიაში გასულები) შესძლებენ მართლაც ღირსეული ოდენობის პენსიის მიღებას.

მეორე მხრივ სოციალური და ეკონომიკური მემკვიდრეობითობის პრინციპების დაცვაში სახელმწიფოს როლის შესუსტებაზე მეტყველებს საქართველოში მყარი საპენსიო სისტემის შექმნის სტრატეგია, რომლის განხორციელების უპირატესობა მიენიჭა „სახალხო ბანკს“, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების შემდეგ, რომლის საფუძველად სახელმწიფოს საპენსიო ფონდის დავალებით დაევადა ფონდში აკუმულირებული თანხების დაბანდება, ყოველი პენსიონერისათვის საპენსიო ანგარიშის გახსნა და მისი შევსება დღეს მომუშავე იმ პირთა შენატანებით რომლებიც საკუთარ ანგარიშზე ახდენენ საკუთარი სამომავლო საპენსიო ფონდის შევსებას, რომლებმაც განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრები მოსახლეობის მსგავსად უნდა შესძლონ მათ მიერ დაგროვილი თანხის ოდენობის გამჭვირვალე მიღება სახალხო ბანკის მიერ გაწეული მომსახურებით.

Ирма Чхаидзе, Ламара Микелаишвили

Перспективы создания прозрачной пенсионной системы в Грузии

В данной статье представлено, каким образом и в каком качестве, с соблюдением правовых принципов социальной и экономической наследственности, осуществляется для «ожидающих» (пенсионеры, потерявшие дееспособность, инвалиды) «непротиворечивое» применение благосостояния, созданного государством. Определено, мы как члены общества, каким образом принимаем участие в местном бюджетном процессе путём уплаты подоходных налогов.

В соблюдении принципов социальной и экономической наследственности на будущее оценена стратегия ослабления регулятивной роли, что предусматривает, с целью создания «личного благосостояния», передачу этого обязательства самому занятому рабочему.

Irma Chkhaidze, Lamara Mikelaishvili

Prospects of creation of Transparent Pension System in Georgia

In the present work there is considered in what way and in what quality, with observance of legal principles of a social and economic heredity, it is carried out for "expecting" (the pensioners who have lost capacity, invalids) "consistent"

application of the well-being created by the state. It is specified, how we as members of a society take part in local budgetary process by payment of surtaxes.

In observance of principles of a social and economic heredity, on future the strategy of easing regulatory roles that provides, with the purpose of creation of "personal well-being ", transferring of this obligation to the most busy worker is estimated.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ 2005.
2. საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, 2003.
3. საქართველოს კანონი „საბიუჯეტო უფლებამოსილებისა და გადასახადების ბიუჯეტთაშორისი განაწილების შესახებ“, 2005.
4. ქართული სამართლის საფუძვლები, თბ., გამომცემლობა მეცნიერება, 2000.
5. ჩიხლაძე ნ., ქაჯაია ვ., ბიუჯეტის კარმონიზაციის პრობლემები სახელმწიფოს რეგიონალურ პოლიტიკაში, ქუთაისი, გამომცემლობა მეცნიერება, 2001.
6. ჩიხლაძე ნ. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკანონმდებლო რეგულირების რეგიონული ასპექტები“, ჟურნ. საქართველოს ეკონომიკა, 2006 №1.
7. Стиллиц Дж. Ю. Экономика государственного сектора, Москва, издательство московского университета, 1997
8. Якобсон Л.Н. Экономика общественного сектора, Москва, издательство ВЕК, 1996.
9. Ходов Л. Г. Основы государственной Экономической политики, Москва, издательство аспект пресс, 2002 .

ბესიკ ბოლქვაძე

საბიუჯეტო-საბაღასახალო სისტემის ფუნქციონირების რაოდენობრივი და თვისებრივი ასპექტები აჭარის რეგიონში

როგორც ცნობილია, ადგილობრივი ფინანსები და საბიუჯეტო რესურსები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლოკალურ-ტერიტორიული მნიშვნელობის ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. ადგილობრივი ფინანსები, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიურად უნდა იყოს ჩართული რეგიონული ეკონომიკის რეგულირებაში, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაში, ადგილობრივი სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში, ლოკალური სოციალური ამოცანებისა და ეფექტიანი პროგრამების რეალიზაციაში. ამასთან ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხარჯვა, რომელიც რეგიონული (ქალაქის, მუნიციპალიტეტის) ამოცანების რეალიზაციისათვის არის გათვალისწინებული, უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკური და ფინანსური მიზანშეწონილობის, სამართლიანობის, რაციონალურობისა და ტრანსპარენტობის პრინციპებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობა როგორც სხვა ადგილობრივ ორგანოთა, ასევე სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისაგან. თანამედროვე ეტაპზე აღნიშნულ სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციების შესრულებაში პრობლემებს წარმოშობს სწორედ ადგილობრივი ბიუჯეტების მინიმალური დონის რეალისტური უზრუნველყოფის საკითხების მოუგვარებლობა.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა სახელმწიფო და რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრატეგიის ორგანული ნაწილია. მის მიზანს რეგიონში არსებული ეკონომიკური და შესაბამისად, ფინანსური პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების უზრუნველყოფა და არსებული თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროს ნორმალური და ეფექტიანი ფუნქციონირების პირობების შექმნა წარმოადგენს. (Гладкий Ю.Н.1998, 47).

ეფექტიანი ადგილობრივი ფინანსური სისტემის ფორმირების რეალური მიზანი, რეგიონული განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ამადლების ხელშეწყობის მიზნით, გულისხმობს მდგრადი ადგილობრივი ფინანსური ბაზის ჩამოყალიბების პირობებში რეგიონული და მასში შემავალი ბიუჯეტების, ასევე ეფექტიანი ადგილობრივი მნიშვნელობის პროგრამების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის პრიორიტეტული ამოცანის შესრულებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ფინანსურ-საბიუჯეტო სისტემის მართვის ისეთი მოდელის შემუშავება, პილოტირება და დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს ლოკალურ

რი სამეურნეო ინიციატივების სტიმულირებას, საწარმოო რეზერვების გამოვლენის დაჩქარებას, მოქნილი ფინანსური კონტროლის მექანიზმის ფორმირებას და მთლიანობაში, ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებელთა ზრდას.

საქართველოს თანამედროვე საბიუჯეტო სისტემა, რომელიც ძირითადად ეფუძნება კანონებს „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“, მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, ავტონომიური რესპუბლიკების (რეგიონულ) ბიუჯეტებს და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების) ბიუჯეტებს. (ზურაბიშვილი ვ. 2005, 23). აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, თავისი სპეციფიკური სტატუსიდან გამომდინარე, გააჩნია რეგიონის დონეზე არსებული შიდა საბიუჯეტო სისტემა, რომელიც საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტის ნაწილია და იმავდროულად, აქედან გამომდინარე, ჩართულია ურთიერთშემხვედრი ფინანსური ნაკადების მოძრაობაში, ხოლო მეორე მხრივ, ახასიათებს განსაზღვრული დამოუკიდებლობა. საბიუჯეტო სისტემის რეგიონული ქვესაბიუჯეტო სისტემა (რეგიონის კონსოლიდირებული ბიუჯეტი) აერთიანებს რესპუბლიკურ ბიუჯეტს და ხუთი თვითმმართველი ერთეულის (ქ. ბათუმის, ხულოს, შუაქეთის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების) ბიუჯეტებს.

საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ლოკალური ფინანსური ბაზა (გამსახურდია თ. 2003, 152), რომლის ძირითად საბიუჯეტო წყაროებსაც ქმნის: ა) საკუთარი (მიმაგრებული) შემოსავლები (ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების სახით); ბ) გადანაწილებითი (მარეგულირებელი) შემოსავლები (ცალკეული საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების სახით); გ) ფინანსური დახმარებები (გამოთანაბრებითი, სპეციალური და მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერების სახით). ნებისმიერი ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობა და ფინანსური ბაზის სიმტკიცე დამოკიდებულია აღნიშნული ფინანსური რესურსების წყაროების სტრუქტურასა და მათი დაწესება-გადანაწილების საკანონმდებლო თავისებურებებზე.

საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზის პირობებში რეგიონში არსებული ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების ერთ-ერთ ძირითად მიმაგრებულ შემოსავალს ქონების გადასახადი წარმოადგენს (ქ. ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის ასევე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი). საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დაწესებული ადგილობრივი გადასახადების შემოღების უფლება აქვთ მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს არსებული ზღვრული განაკვეთების ფარგლებში, რაც ამცირებს ამ მხრივ ადგილობრივი ორგანოების დამოუკიდებლობის ხარისხს. იქიდან გამომდინარე, რომ ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა, ფიზიკურ პირთა და მიწაზე ქონების გადასახადს, მაღალმთიანი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის იგი არარეალურ და არაეფექტიან წყაროს

წარმოადგენს წარმოების განუვითარებლობის, მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონის და მაღალმთიანი რაიონებისათვის მიწის გადასახადზე დაწესებული შეღავათების გამო. ჩვენი აზრით, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ადგილობრივ ორგანოებს მიეცეთ უფლება თვითონ დააწესონ და გააუქმონ მათი ტერიტორიის სპეციფიკისადმი მისადაგებული სხვადასხვა ადგილობრივი გადასახადები და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინონ მანევრირება მათი განაკვეთების ზრდის ან შემცირების მიმართულებით. ამასთან მიზანშეწონილია შემუშავებულ იქნეს საგადასახადო სანქციების დაწესების ადგილობრივი სპეციფიკური მექანიზმი.

ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის მარეგულირებელი საგადასახადო შემოსავლების ძირითად წყაროს ქმნის (აჭარის რეგიონში შემავალი ბიუჯეტებისათვის) საშემოსავლო და მოგების გადასახადები, რაც განპირობებულია საბიუჯეტო სისტემის კონსოლიდაციის პრინციპის წინა პლანზე წამოწევიან და საბიუჯეტო რეგულირების უპირატესად ცენტრალიზებული მოდელის არსებობით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობების მნიშვნელოვან ნაწილს რეგიონში წარმოადგენს ფინანსური დახმარებები, რაც ამცირებს მათ ფინანსურ დამოუკიდებლობას. მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ტრანსფერების სტრუქტურის ცვლილება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ სისტემაზე, მოქმედებს ისეთ ეკონომიკურ პარამეტრზე, როგორიც არის მოხმარება. სატრანსფერო შემოსავლების მოცულობის გადიდება იწვევს საგადასახადო შემოსავლების შემცირებას და ზრდის მოხმარებას (Улюкаев А. В. 2004, 254).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2005-2007 წწ ტრანსფერების შესახებ

დასახელება	2005	2006	2007
1. გამოთანაბრებითი დახ. ეგმა	X	X	4 555 000
ტრანსფერი ფაქტი	X	X	3 416 000
2. სპეციალური დანიშ. დახ. გეგმა	46560800	24081000	27063841
ტრანსფერი ფაქტი	46560800	24081000	9549341
3. მიზნობრივი დანიშ. დახ. გეგმა	X	X	X
ტრანსფერი ფაქტი	X	X	X

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემები.

თვისებრივი კრიტერიუმების გარდა მნიშვნელოვანია ქვეყნისა და რეგიონის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ფუნქციონირება შეფასდეს რაოდენობრივი კრიტერიუმების მიხედვით, რისთვისაც უცილებელია საგადასახადო პოლიტიკა და შესაბამისად, სისტემა განხილული იქნეს რეგიონის ეკონომიკურ ზრდასთან და ბიუჯეტის საშემოსავლო სტრუქტურასთან ურთიერთკავშირში. ამ თვალსაზრისით მართებულად მიგვაჩნია საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა შეფასდეს შემდეგი რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით: 1. საგადასახადო ტვირთი და მისი ზეგავლენა, ერთი მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებზე და მეორე მხრივ, გადასახადის გადამხდელებზე; 2. ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში საკუთარი და უცხოური წყაროების

თანაფარდობა; 3. საბიუჯეტო შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლებსა და სხვა დანარჩენ შემოსავლებს შორის თანაფარდობა; 4. თვით საგადასახადო შემოსავლებში პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის დამოკიდებულება; 5. თანაფარდობა შიდა და-ბეგვრიდან და საგარეო ვაჭრობიდან ამოღებულ არაპირდაპირ გადასახადებს შორის.

საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი, რაც უნდა ასახავდეს რეგიონში საგადასახადო სიმძიმის დონეს, უნდა იქნეს გაანგარიშებული რეგიონის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების (მოგების, საშემოსავლო და ქონების გადასახადები) რეგიონულ რეალურ მშპ-თან შეფარდებით. 2006 წლისათვის ა.ა.რ.-ის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 43,3 მლნ ლარი, ხოლო მშპ-მა – 950,6 მლნ ლარი, შესაბამისად, საგადასახადო სიმძიმის მაჩვენებელმა – 4,6 %, ხოლო საბიუჯეტო დატვირთვის კოეფიციენტი – 8,5 % (80,5 მლნ-იანი საბიუჯეტო შემოსულობების პირობებში). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული პრინციპით ადგილობრივ დონეზე საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება პირობითია და პირდაპირ დამოკიდებულია ადგილობრივი საგადასახადო ბაზის მაფორმირებელი გადასახადების სახეობების რეგიონის ნაერთ ბიუჯეტსა და ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტს შორის გადანაწილების რეგლამენტირებულ წესზე, რომელიც განიცდის სისტემატურ ცვლილებებს. მაგალითად, 2008 წლის საბიუჯეტო საპროგნოზო პარამეტრების მიხედვით მოგების გადასახადი მთლიანად მიმართულია სახელმწიფო ბიუჯეტში და მოხსნილი აქვს ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის მიმაგრებული გადასახადის ფუნქცია.

საგადასახადო ტვირთის შეფასების შემდეგ მიზანშეწონილია გაგვიანალიზოთ ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში შემოსულობათა საკუთარი და უცხოური წყაროები. ბიუჯეტის საკუთარ და მოზიდულ შემოსულობებს შორის დამოკიდებულება ნათლად ასახავს კონკრეტული ბიუჯეტის მდგრადობის დონეს (აბსოლუტურად მდგრადი, ნორმალური, არამდგრადი და კრიზისული). აღნიშნული შეიძლება ნაჩვენები იქნეს აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტისა და ქ. ბათუმის ბიუჯეტის მაგალითზე. 2007 წლის საგვემო მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 73 540 ათასი ლარით, რომლის მხოლოდ 30,5 % მოდის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღებ ფინანსურ დახმარებებზე. აღნიშნული ბიუჯეტის ნორმალური მდგრადობის მაჩვენებელია მაშინ, როდესაც იმავე საანალიზო პერიოდისათვის ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 34 000 ათასი ლარით, საიდანაც 85,4 % მოდის მოზიდულ საბიუჯეტო რესურსებზე – როგორც სახელმწიფო, ასევე ა.ა.რ.-ის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღებ ფინანსურ დახმარებებზე. ანალოგიურად კრიზისულად არამდგრადი ბიუჯეტები და მახასიათებელი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისათვის, რაც ერთი მხრივ გამოწვეულია მწირი ადგილობრივი საშემოსავლო ბაზის არსებობით და მეორე მხრივ, ადგილობრივ ბიუჯეტებზე არარეალური შემოსავლის მქონე წყაროების მიმაგრებით (ქონების გადასახადი, მოსაკრებლები, სხვა არასაგადასახადო შემოსავლები).

ბიუჯეტის საგადასახადო და სხვა შემოსავლების (არასაგადასახადო, კაპიტალური შემოსავლები, ტრანსფერები) ურთიერთთანაფარდობა ბიუჯეტების სტრუქტურული ანალიზის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. რეგიონის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის 2007 წლის მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე საგადასახადო შემოსავლების კომპონენტმა შეადგინა 41,7 %, ქ. ბათუმის ბიუჯეტისათვის – 11,7 %. როგორც რესპუბლიკური, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის შემოსულობების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს შემოსავლები კაპიტალის ოპერაციებიდან: რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის შესაბამისად – 2006 წელს 35,3 მლნ ლარი, 2007 წელს – 28,1 მლნ ლარი, 2008 წელს (პროგნოზი) – 24,6 მლნ ლარი.

გატარებული საგადასახადო პოლიტიკის ეფექტურობის შეფასების თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის თანაფარდობა. ასევე ქვეყნის ან მისი რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხარისხი და საგადასახადო სისტემის მუშაობა ირიბად შეიძლება იმითაც შეფასდეს, თუ როგორი თანაფარდობაა ქვეყნის შიდა დაბეგვრიდან და საგარეო ვაჭრობიდან მიღებულ არაპირდაპირ გადასახადებს შორის (Ширкевич Н. А. 1991, 188). აღნიშნული კრიტერიუმებით ბიუჯეტური მდგრადობის შეფასება რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის აზრს მოკლებულია, ვინაიდან ქვეყანაში მოქმედი ყველა სახეობის არაპირდაპირი გადასახადი (დღგ, აქციზი, საბაჟო გადასახადი) თანამედროვე ეტაპზე არსებული საბიუჯეტო-საგადასახადო მოდელის მიხედვით წარმოადგენს მკაცრად ცენტრალიზებულს და შესაბამისად, ქმნის ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის ნულოვან დონეს.

რეგიონის დონეზე საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების შეფასების უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს არა მარტო შემოსულობების ანალიზი, არამედ საბიუჯეტო გადასახდელების გამოყენების პრობლემა წარმოადგენს (გამსახურდია გ. 1997, 127). ამ მხრივ მნიშვნელოვანია ბიუჯეტის მიმდინარე და კაპიტალური დანიშნულების ხარჯების ურთიერთთანაფარდობის განსაზღვრა. აღნიშნული თვალსაზრისით 2006 წლის რეგიონის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 106 816 794 ლარი, საიდანაც კაპიტალურ ხარჯებზე მოდის 37 965 096 ლარი ანუ 35,1 %, 2007 წლის ცხრა თვის მაჩვენებლების მიხედვით კი შესაბამისად 39,4 %.

ამრიგად, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების აჭარის რეგიონის დონეზე ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება გამოვეყოთ სისტემის მუშაობის შემდეგი ძირითადი ნაკლოვანებები: ა) რეგიონში არსებული საბიუჯეტო რგოლების შედარებით სუსტი პროგრამულ-მიზნობრივი ხასიათი; ბ) რეგიონში არსებული ადგილობრივი ბიუჯეტების მდგრადობის და შესაბამისად, ლოკალური საშემოსავლო ბაზის უკმარისობა; გ) ადგილობრივი ბიუჯეტების უფლებრივი და ფინანსური დამოუკიდებლობის არასაკმარისი დონე; დ) საბიუჯეტო დაგეგმვა-პროგნოზირების არასრულყოფილი ხასიათი. აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრისა და შიდა საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილად მოგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების კომპლექსურად გატარება:

1. მოხდეს გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი რეგიონული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის ფორმირება და რეალიზაცია.
2. ამაღლდეს საბიუჯეტო-საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის ხარისხი როგორც გადამხდელების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობითი და მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან.
3. ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენა, მისაღები შემოსავლებისა და გასაწევი ხარჯების გაანგარიშება მოხდეს რეგიონში (ქალაქში, რაიონში) არსებული ეკონომიკური სუბიექტების და სხვა გადამხდელების ეკონომიკური საქმიანობის დეტალიზებული ანალიზისა და დასაბუთებული გათვლების საფუძველზე.
4. მაქსიმალური ყურადღება გამახვილდეს ექსტენსიური და ინტენსიური გზებით ადგილობრივი საგადასახადო ბაზის გაფართოებაზე.
5. განხორციელდეს რეგიონისა და მისი ტერიტორიული ერთეულებისათვის აუცილებელი და პრიორიტეტული მიმართულებების სტიმულირება, ადგილობრივი ბიუჯეტების საინვესტიციო პოტენციალის ამაღლება.
6. ბიუჯეტების პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსების პრიმატულობიდან გამომდინარე, გაუმჯობესდეს ადგილობრივი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანი შემუშავებისა და ბიუჯეტებში ასახვის მექანიზმი.
7. დაიხვეწოს ურთიერთშემხვედრი ფინანსური ნაკადების მოძრაობის ეფექტიანობა ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსური ბაზის განმტკიცების მიზნით, როგორც „სახელმწიფო ბიუჯეტი – რეგიონული ბიუჯეტი“, ასევე „რეგიონული ბიუჯეტი – ადგილობრივი ბიუჯეტების“ მიმართულებით.
8. კანონით „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ ადგილობრივ ხელისუფლებებს უფლება აქვთ ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლებისგან აიღონ სესხი ფინანსთა სამინისტროს სახელით ან მასთან შეთანხმებით. ჩვენი აზრით, უფრო ეფექტური იქნება, თუკი მათ ექნებათ უფლება გამოუშვან ფასიანი ქაღალდები და აიღონ სესხი მათ მიერ მობილიზებული შემოსავლების გარკვეული პროცენტის ოდენობით, რითაც სტიმული მიეცემათ ადგილობრივ ბიუჯეტებს გაზარდონ თავიანთი შემოსავლები, რათა ჰქონდეთ უფრო მეტი სესხის აღების უფლება.
9. ადგილობრივ შემოსავლებთან ერთად უნდა გაიზარდოს მარეგულირებელი გადასახადების მექანიზმის ეფექტიანობა. ყოველივე ზემოთაღნიშნული, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის მიმართულებით აჭარის რეგიონისა და მასში შემავალი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების როლის გაზრდას ადგილობრივი მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.

Бесик Болквадзе

**Качественные и количественные аспекты функционирования
бюджетно-налоговой системы в Аджарском регионе**

Р е з ю м е

В работе рассмотрены особенности функционирования бюджетно-налоговой системы на примере Аджарского региона. Мобилизация и расходования местных финансовых ресурсов должно основываться на принципах экономической целесообразности, рациональности и транспарентности. Вместе с тем его целью должно являться обеспечение максимального освоения существующего в регионе финансового и экономического потенциала. Для этого обязательно создание устойчивых и эффективных местных бюджетов и их участие в решении социально-экономических проблем регионального и локального значения.

В работе проанализированы количественные аспекты финансовой устойчивости и самостоятельности бюджетов территориальных единиц в тесной взаимосвязи с экономическим ростом региона и доходными структурами бюджетов.

Besik Bolkvadze

**Qualitative and Quantitative Aspects of Budget-Tax System Functioning In
Adjara Region**

Summary

The subject of the research is the peculiarity of the budget-tax system functioning on Adjara region model. The mobilization of the local financial resources and their expenses should be based on economic aptitude, principles of rationality and transparency. Simultaneously, it means assimilation all economic and financial potentials of the region. For that reason it is necessary to provide with effective and steady local budgets and to guarantee their participation in the solution of social and economic problems of the region.

In the research is discussed the quantitative aspects of the financial independence and stability of the budgets in each territorial unit in combination with region's economic growth and revenue structure.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური და სტატისტიკური ანგარიშების მონაცემები.
2. გ. გამსახურდია. ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. თბ., 1997.
3. თ. გამსახურდია. საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ. 2003

4. ვ. ზურაბიშვილი. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პერიოდში. თბ., 2005.
5. Гладкий Ю.Н. Основы региональной политики. М., 1998
6. Мысляева И. Н. Государственные и муниципальные финансы, М., 2007
7. Улюкаев А. В. Проблемы государственной бюджетной политики, М., 2004.
8. Ширкевич Н. А. Местные бюджеты, М., 1991.

კოტე ღლონტი

**შრომის სოციოლოგიის ზოგიერთი ასპექტი
კველამოსავლურ და ანტიკურ შეხედულებებში**

შრომის სოციოლოგიის წარმოშობა ზოგად-კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის განვითარების შედეგია. მართალია, როგორც ერთის, ისე მეორის შესახებ, ჯერ კიდევ არსებობს განსხვავებული აზრი, მაგრამ დღეს სადაო აღარაა, რომ სოციოლოგია ზოგადთეორიული მეცნიერებაა საზოგადოების შესახებ და ორიენტირებულია ზოგად-კონკრეტულ სინამდვილეზე.

შრომა ადამიანური მოქმედების კონკრეტული გამოხატულებაა. იგი თავიდანვე გახდა ფიქრისა და განსჯის საგანი. ადრეული გამოკვლევები ადასტურებენ შრომისადმი ინტერესის ორ მხარეს— შინაარსეულსა და მნიშვნელობისეულს.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში შრომა და მასთან დაკავშირებული საკითხები სპეციალურ დაწესებულებათა ყურადღების ცენტრში იდგა. ამას მოითხოვდა სამეურნეო ცხოვრების ფართო მასშტაბი, თვით მონური შრომის პირობებშიც კი.

ანტიკურ საბერძნეთსა და რომში ეკონომიკის, კერძოდ შრომის საკითხები, პოლიტიკასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ეს პრობლემა განსაკუთრებით წამოიწია წინაპლანზე მომდევნო ხანაში, მაგრამ **ადამიანის დამოუკიდებლობის შრომასთან** დაკავშირების აზრი ისტორიის უახლეს პერიოდს ეკუთვნის. “გამოღვიძებული სოციალური სინდისი” შრომისა და სოციალური სინამდვილის სხვა პრობლემებს უფრო სხვა კუთხით უდგებოდა.

XX საუკუნის დასაწყისში ტეილორისა და მეიოს შეხედულებებმა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა. ახლა „ადამიანურ ურთიერთობათა“ მართვის სოციალური ფორმები ძიების მთავარი საგანი გახდა. მართვის პრიმატი „**სოციალური ჯგუფის მიერ მართვისაკენ**“ გადაიხარა მართვის “ინდივიდუალურ ფუნქციასთან” შედარებით, რასაც შრომის სოციოლოგიის როგორც მეცნიერების დარგის წარმოშობას უკავშირებენ (Маркович Д. 1980,120).

შრომის სოციოლოგია, დღეს, თანდათან აფართოებს თავის საზღვრებს, ეძებს ახალ ფორმებსა და მეთოდებს, საკითხების კომპლექსურად კვლევის გზებს. ამავე დროს, შრომის სოციოლოგიური შესწავლა საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესწავლაა, მეცნიერული ძიების პროცესის განვითარება და შემეცნების ფორმათა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, პოტენციურად, ზოგად-თეორიულ

მეთოდამდე, თვით ფილოსოფიურამდეც კი, ამაღლება (Чангли И. 1973, 9).

ისტორიულად, ადამიანთა საზოგადოებაზე წარმოდგენის შექმნა, შრომის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის და მასთან დაკავშირებით ადამიანის განმსაზღვრელი როლის ახსნა, დიდ სიძნელესთან იყო დაკავშირებული.

აღრეულ ეპოქებში, შრომის იარაღების პრიმიტიულობის გამო, შრომა მძიმე ტვირთად ითვლებოდა, რისი შემსუბუქებაც მხოლოდ მისი სხვაზე “დაკისრებით” იყო შესაძლებელი. ცხადია, ეს პროცესი ძალდატანებას უკავშირდებოდა და მხარეთა შორის დაპირისპირებას უწყობდა ხელს.

აღრეული ქრისტიანობიდან შრომას უარყოფითთან ერთად ბევრ დადებით თვისებასაც მიაწერდნენ (სიზარმაცის დაძლევის, ორგანიზმიდან სისუსტის გამოდგენის, ჯანმრთელობის გაუმჯობესების და სხვ.). უფრო გვიან ეს მოსაზრება განავითარა ლუთერმა და “მრწამსის მონობისადმი” უპირატესობის მინიჭებით შრომაზე ახალ შეხედულებასაც გაუმყარა საფუძველი (Маркс К. и Энгельс Ф., 1955, 422; Маркович Д. 1988, 119), რამაც ხელი შეუწყო შრომის ადგილისა და მნიშვნელობის ამაღლებას ადამიანის შრომითი არსების განსაზღვრის საქმეში, შრომის დანაწილების სწორად გააზრებას შრომის მწარმოებლურობასთან და საერთოდ სოციალურ სინამდვილესთან მიმართებაში.

ინდუსტრიული წარმოების გაქანების პერიოდში (XX საუკუნის დასაწყისი) ახალმა “ადამიანურ ურთიერთობათა სკოლამ” “ინდივიდუალურ ფაქტორთა” ადგილზე “საზოგადოებრივი ფაქტორები” დასვა და ხაზგასმით აღიარა სოციალური ფაქტორების პრიმატი სხვა ფაქტორებთან შედარებით. ასე შეენაცვლა “ინდუსტრიულ ადამიანს” “საზოგადოებრივი ადამიანი”, რომლის ნამდვილ კმაყოფილებას “მუდმივი შრომითი ჯგუფისადმი კუთვნილებაში” პოულობდნენ, რაც თანდათან საზოგადოებრივი პატივისცემის საფუძველი ხდებოდა.

სამუშაო ძალის მნიშვნელობასა და შრომიის ორგანიზებულად გამოყენებაზე ძველ სამყაროში გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ, მაგრამ შრომა **როგორც ადამიანის სოციალური აქტივობის საფუძველი**, ძველი დროის მოაზროვნეებთან არ იყო სათანადოდ გააზრებული. მსჯელობის საგნად იშვიათად ქცეული იგი, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების სახით ვრცელდებოდა სხვადასხვა მონათმფლობელურ საზოგადოებაში, რისი მიზეზიც, თითოეული ქვეყნის სპეციფიურ ნიშნებთან ერთად, კულტურისა და აზროვნების განსხვავებულ ფორმებშია საძებნი. სწორედ ეს იყო მონათმფლობელურ ქვეყნებში შრომის შესახებ ერთიანი, ჩამოყალიბებული კონცეფციის არარსებობის მიზეზი. მიუხედავად ამისა, ძველი აღმოსავლეთისა და საბერძნეთ-რომის ქვეყნების პოლიტიკური, ფილოსოფიური და სამართლებრივი ძეგლები, ამ მხრივ, გარკვეულ ინტერესს იმსახურებენ.

უძველესი კულტურის მქონე ეგვიპტეში სახელმწიფოსა და სამართალთან ერთად (ჯერ კიდევ IV ათასწლეულში) იშვა სამიწათმოქმედო მეურნეობა, გაჩნდა „საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზა-

ციის ფუნქცია“ და შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოები–სამეურნეო და ფულადი (მარქსი კ. ენგელსი ფ. 1950, 386-387). ეს სათანადოდ აირეკლა “განაწესებში” “ინსტრუქციებში”, “დეკრეტებში”, “კანონებში” და სხვა, რომელთა იურიდიული ხასიათი არ გამოირიცხავს სამეურნეო საქმიანობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და მათდამი ინტერესს.

ეგვიპტური “პტახოტების სწავლება” ძირითადად საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების საკითხებს ეხება. იგი გარკვევით აყალიბებს საკუთრების აუცილებლობისა და მისი განვითარების მორალურ ნორმებს. ძეგლის მიხედვით სოციალური უთანასწორობა “ღმერთის ნებაა”, კეთილშობილი და მდაბიო ერთ სიბრტყეზე ვერ მოთავსდება, მეორე მთლიანად პირველზეა დამოკიდებული. ამ დამოკიდებულებას ეკონომიკური შინაარსიც ჰქონდა, რისი გათვალისწინებაც, საკითხის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია, თუ კი საშუალებას თვითონ ძეგლი იძლევა.

პოლიტიკური და ფილოსოფიური ტრაქტატი, მეფე “ახტოის სწავლება”, მეკეთრად გამოხატული კლასობრივი შინაარსის მიუხედავად, საგანგებოდ ეხება შრომისადმი დამოკიდებულებას, შრომის აუცილებლობას და სხვა საკითხებს. ამას განაპირობებს ძეგლის ინტერესის სფეროს სიფართოვე, რაც თავისთავად გულისხმობს მასში სხვადასხვა ხასიათის მასალის შემცველობას (Рубинштейн И. 1950, 130).

შრომისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა ასპექტების ანალოგიური გააზრება არც სხვა ეგვიპტური ძეგლებისთვისაა უცხო. ზოგიერთი მათგანი, უფრო მეტად, სამეურნეო საქმიანობაზეა მოტივირებული, თუმცა, ამით, არსებითად საქმის ვითარება არ იცვლება.

ძეგლი ბერძნების მიერ “მესოპოტამიად” წოდებულ ბაბილონის სამეფოში, მონათმფლობელობაზე გარდამავალ პერიოდში, სამეურნეო ცხოვრება საკმაოდ დაწინაურებული იყო. მიწის კერძო საკუთრებიდან დაწყებული, მეფისშეობის ჩათვლით და სოციალური დიფერენციაციის სწრაფი ტემპით დამთავრებული, ყველაფერი აისახა “ჰამურაბის კანონებში”. საზოგადოებრივ მოვლენათა კანონზომიერების შესწავლის და მეცნიერების დარგებისადმი (მათემატიკა, ასტრონომია, ფილოსოფია, სახელმწიფო და სამართალი და სხვ.) ინტერესის გაღვივებასთან ერთად იქ საუბარია სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობაზე, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის ზრუნვაზე, “ცისა და მიწის კავშირზე”, “სიმდიდრისა და სიუხვის დაგროვებაზე”, “ბედლების ავსების აუცილებლობაზე” და ა.შ. (დოლიძე ი. 1960, 25-26). ბუნებრივია კლასობრივი ბრძოლის ფაქტი მმართველ ფენას აიძულებდა სოციალურ-ეკონომიკური მომენტებისთვისაც დაეთმო ყურადღება, მაგრამ არა “ზომაზე მეტად”. გამონაკლისი ამ მხრივ არც გილგამეშის განთქმული ეპოსია.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ინდოეთის სახელმწიფოს აკლდა მსგავსი “ტრაქტატები” საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის შესახებ, თუმცა ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობა არ სცილდებოდა “დადგენილ ნორმებს”. იმდროისათვის მაღალგანვითარებული ინდოეთი გაბატონებული კლასების ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა და დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელთა მიმართ განსაკუთ-

რებული ნორმებიც ჰქონდა შემუშავებული, რომლის მიხედვით ადამიანი “ცხოველთა შვიდეულის” (ძროხა, თხა, ადამიანი, ცხვარი, ცხენი, ჯორი, სახეღარი) მკვიდრ წევრად ითვლებოდა” (აბაშმაძე ვ. 1975, 127).

სამეურნეო და საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციას ხელი-სუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. სახელმწიფოს შემოსავლის მრავალი წყარო ჰქონდა, მათ შორის გადასახადიც, რომელსაც ქვე-შევრდომებიდან იღებდა. ეს ფაქტი ეკონომიკური ინტერესის სფერო-ზეც მიუთითებს, მაგრამ ამ მიმართულებით აზრის განვითარებას არსებული წყაროები გვერდს უვლიან, მათ შორის ისეთიც კი, როგორიცაა “მეცნიერება პოლიტიკის შესახებ” (აბაშმაძე ვ. 1975, 157).

დიდად განსხვავებული ვითარება ამ მხრივ არც ჩინეთში შეიმჩნევა. აღმოსავლეთის ამ ტიპიურად მონათმფლობელურ საზოგა-დოებაში გაბატონებული კლასი რეალურად ახორციელებდა სახელ-მწიფო ხელისუფლების მონოპოლიას შესაბამისი იდეოლოგიით. ჩინეთს რიგი თავისებურებებიც ჰქონდა: სოციალური ურთიერთობის განვითარებას იქ არ გამოუწვევია გაბატონებულ კლასთა საქმიანო-ბის სფეროს მკვეთრი გამიჯვნა, როგორც ეს საბერძნეთში მოხდა. კერძოდ, პოლიტიკოსებსა და ფილოსოფოსებს შორის შრომა დაუნაწილებელი იყო, რაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზრზე გარკვეულ გავლენას ახდენდა. ანალოგიურ ვითარებას საბერძნეთ-რომსა და სხვა ქვეყნებში არ ჰქონდა ადგილი.

ისეთი მრავალმხრივი მოაზროვნე როგორიც იყო კონფუცი (551–478) განსაკუთრებით გამოჰყოფდა მატერიალური დოვლათის წარ-მოების, “მატერიალური სიუხვის” დიდ მნიშვნელობას და უკავშირებდა მას მთავრობისადმი ხალხის ერთგულების გარანტიას. კონფუცი ცდილობდა “ოქროს საშუალოს” პრინციპით გაენეიტრა-ლებია სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა სიმწვავე, მოენახა საშუალო ხაზი სიმკაცრესა და ღმობიერებას შორის (რაც ძველ საბერძნეთში ასეთი ფორმულით იყო გამოთქმული – „არც ზომიანე მეტი, არც ზომიანე ნაკლები”). ეს პრინციპი საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ სფეროსაც უნდა შეხებოდა, რამდენადაც ზემოთხსენებული ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება საზოგადოებრივი ჯანყის მიზეზად ქცეულიყო, რაც არ შესაბამებოდა “სოციალური ჰარმონიის” კონფუცისეულ თეორიას.

გამონაკლისი ამ მხრივ არც “მოიზმია” (III-II ს.ს.). მართალია, მისი აზრით, ადამიანთა ცოდნა-წარმოდგენები ცხოვრების მატერია-ლურ პირობებს უკავშირდება, მაგრამ შრომასა და შრომის პროცეს-თან დაკავშირებული საკითხების მიხედვით იგი ოდნავადაც ვერ სცილდება წინამორბედის შეხედულებებს; შეიძლება ითქვას სავსე-ბით მის ნიადაგზე დგას. “მოიზმი” უფრო გახსნილია “შრომის მნიშვნელობის” საკითხში, აღიარებს მას “ბედნიერების პირდაპირ საფუძვლად” (Древнекитайская философия, 1972, 196-197). მისთვის “შრომა და სიმაძღრე” განუყოფელი ცნებებია. ასეთი რადიკალიზმით შრომის მნიშვნელობა მთელს ძველ აღმოსავლეთში თითქმის არავის გამოუხატავს.

უადრესად მკრთალად ჩანს ეს კონცეფცია ძველი ჩინეთის უდიდეს მოაზროვნე ლაო ძისთან (VI-V ს.ს.). ამ მრავალმხრივმა პი-

როვნებამ მთელი ყურადღება პოლიტიკურ და ფილოსოფიურ პრობლემებზე გადაიტანა. მისი ფილოსოფიური შეხედულებები დიალექტიკურია—სამყარო თავისთავადია, იგი არავისგან არაა შექმნილი. სამყაროს თავისთავადობის აზრი და მისი ყოველგვარი ქმნადობის უარყოფა მას მატერიალისტის სახელს უმკვიდრებს. დვთაებრივი არსის გარეშე ბუნებრივი განვითარების კანონების აღიარებას, ლაო ძის და საერთოდ ჩინური ფილოსოფიის, უდიდეს მიღწევად თვლიან.

უფრო საყურადღებოა “კანონთა სკოლის” უდიდესი წარმომადგენლის ხან ფეის (280–230) შეხედულებები. ცენტრალიზებული სახელმწიფოს ეს იდეოლოგი, წესრიგის უზენაესობასთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამეურნეო-ეკონომიკური ღონისძიებების რეგულარულად გატარებას, როგორც ქვეყნის ძლიერების ერთ-ერთ ფაქტორს. ამავე დროს, პოლიტიკური და ეკონომიკური ღონისძიებების ერთიანობაში განხორციელება, მისი აზრით, ქვეყნის ხელმძღვანელობის სიმტკიცის გარანტიაცაა.

ადრეული ფილოსოფიისა და სიბრძნის ერთიანობის პერიოდში მთელი თეორიული ინტერესი პოლიტიკისაკენ იხრებოდა. ბერძნულ ფილოსოფიას, როგორც პოლიტიკურ იდეოლოგიას ანუ პოლიტიკისა და ფილოსოფიის ერთიანობას პლატონის “პოლიტეა” და “სახელმწიფო” გვიდასტურებს. არისტოტელეს “პოლიტიკაშიც” უმთავრესი ნაწილი სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთობის საკითხებს ეხება. ახლა, უკვე, პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და ფილოსოფიის იმდროინდელი იგივეობა ფაქტია, რასაც ზოგიერთი აღიარებული მკვლევარი, ბერძენი ხალხის საკვებით თავისებური ისტორიული მდგომარეობით ხსნის (გოგიბერიძე მ. III, 1972, 131).

ჯერ კიდევ დემოკრიტე, ძველი დროის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე (460–370), მიუთითებდა ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით საზოგადოების ორ ნაწილად—მდიდრებად და ღარიბებად გაყოფაზე. მისი სიმპატია, რომ უკანასკნელის მხარეზე არ იყო ამას მონის მხოლოდ “სხეულის ნაწილად” აღიარების ფაქტიც ადასტურებს. სოციალურ ფენათა შორის იგი “პირველი ეთიკოსისათვის” ყველაზე დაბალი რეიტინგისაა. ამაზე შორს დემოკრიტე ვერ წავიდა, თუმცა საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლის აუცილებლობას, სადაც ეკონომიკური მხარეც უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი, მთელი ანტიკური სამყარო აღიარებდა.

ამ თვალსაზრისით უფრო საინტერესოა სოგრატე (470–379), რომელიც საკუთარი ქვეყნის დიდ სიყვარულს მიწათმოქმედებისა და სამხედრო საქმის დაწინაურებას უკავშირებდა. სამეურნეო დარგთა შორის პირველობას იგი მიწათმოქმედებას ანიჭებდა, სხვა დარგებს ნაკლებ მნიშვნელობას, ხოლო ხელოსნობას “საძრახისად” თვლიდა. სხვათა შორის, ეს აზრი თითქმის არ ჩამოდის ანტიკური აზროვნების სცენიდან.

პლატონის (427–367), მონათმფლობელური დემოკრატიის ამ დიდი აპოლოგეტის უზარმაზარი მემკვიდრეობიდან, შრომისა და ეკონომიკურ მოვლენებთან დაკავშირებული მოსაზრებები მის პოლიტიკურ, სამართლებრივ და ფილოსოფიურ შრომებშია გაფანტული. იგი სრულყოფილად იცნობდა სამეურნეო ცხოვრებას და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს, მაგრამ ყოველივე ამას “იდეალური სამყაროს”

ინტერესებს უკავშირებდა. ბუნებრივი მიდრეკილებისა და უნარის მიხედვით საუკეთესოდ, დროულად შესრულებულ შრომას, მაღალ პროფესიულობას და არჩეული პროფესიისადმი პატივისცემას, პლატონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა (Платон. 1971, 151; მარქსი. 1954, 465-466).

პლატონი არაფერს ამბობს მონაზე, როგორც მთელი მატერიალური დოვლათის შემქმნელზე. იგი მისთვის უზნეო, უსარგებლო, პირუტყვის თანაზიარი, დაბალი ინტელექტის, ლოგიკურ აზროვნებას მოკლებული არსებაა, რომელიც მუდმივი ტერორისა და შიშის ქვეშ უნდა იყოს. მისი “იდეალური სახელმწიფო” მხოლოდ გაბატონებული კლასის ინტერესებს იცავს. ამიტომ, შრომა და მასთან დაკავშირებული სოციალური ასპექტები მისი ინტერესის სფეროში ვერ დაიჭერდნენ შესაფერის ადგილს. ანტიკური აზროვნება, ბუნებრივია, საამისოდ ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული.

ბერძნული აზროვნების მწვერვალად აღიარებულმა “ოქროს ტალღებად მოიხსენიეს” არისტოტელემ (384–322), როგორც მას ციცერონი უწოდებდა, განუზომელი გავლენა მოახდინა კაცობრიობის სულიერ განვითარებაზე. სახელმწიფოს წარმოშობის, შრომის დანაწილების და ამ საფუძველზე სოციალურ ფენებად დაყოფის საკითხები მასთან საფუძვლიანად და მაღალ სააზროვნო დონეზე გაშუქებული. ქვეყნის ეკონომიკაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იგი სოფლის მეურნეობას, კერძოდ სამიწათმოქმედო შრომას ანიჭებს მესაქონლეობასა და ხელოსნობასთან შედარებით⁶¹²

საზოგადოებრივ კლასთა შორის წინააღმდეგობის გამწვავებასა და აჯანყების საშიშროებასთან დაკავშირებით არისტოტელეს აქცენტი პოლიტიკურ მოტივებზე გადააქვს. იგი არ მიჰყვება ამ მოვლენათა ეკონომიკურ ანალიზს, არ სწავლობს ეკონომიკურ მოვლენებს როგორც დესპოტიის (ისე დემოკრატიის) საფუძველს. მან კარგად იცის, რომ მატერიალური დოვლათის ძირითადი შემქმნელია ის კლასი, რომელიც “მათრახის სუსხის ქვეშ” უზრუნველყოფს სხვათა არსებობასა და სიცოცხლეს, მაგრამ დიდი სტაგეირელი აქ დუმის ამჯობინებს. მიუხედავად ამისა, წმინდა ეკონომიკურ საკითხებში, ზოგიერთი რამ მან ისეთი სიცხადით გაარკვია, რომ მომდევნო ეპოქის ადამიანების განცვიფრება გამოიწვია. კერძოდ, მან იცის, რომ საქონლის ფულადი ფორმა მხოლოდ უფრო განვითარებული ღირებულების ფორმის მარტივი სახეა. მას ესმის რა არის საქონელთა ტოლობა, რომ გაცვლა არ შეიძლება ამ სიდიდის გარეშე, ხოლო ტოლობა თანაზომადობის გარეშე. მარქსი ამას არისტოტელეს გონების გენიალობას უწოდებს, რამაც მას საშუალება მისცა აზროვნების, საზოგადოებისა და ბუნების მრავალი ფორმისათვის პირველს გაეკეთებინა ანალიზი (მარქსი კ. 1954, 80-81). ის რაშიც ხელი მას შეეშალა, არსებული საზოგადოების ისტორიული შეზღუდულობით

⁶¹² სხვათა შორის, თავის წიგნში „ოიკონომიკოს“, ქსენოფონტი ნატურალურ მეურნეობას იცავს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის კეთილდღეობას და სახელმწიფოს ძლიერებას. ქსენოფონტის და არისტოტელეს აზრები ამ საკითხთან დაკავშირებით თითქმის მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1986, 562).

იყო განპირობებული, მაგრამ ამან ვერაფერი დააკლო არისტოტელეს სახელის აღიარებას “აზროვნების ბუმბერაზად”, “ძველი დროის უდიდეს მოაზროვნედ”, “გენიალური სიცხადის ადამიანად”, “შემოქმედებით შეხედულებათა ნამდვილ მხედართმთავრად” (მარქსი კ. 1954, 108, 517; აბაშმაძე ვ. 1977, 297).

ანალოგიური საკითხებისადმი უინტერესო არც რომაული აზროვნება დარჩენილა. ჯერ კიდევ კატონი უფროსის (234–143) ტრაქტატში, “მიწის შესახებ,” დეტალურადაა განხილული ნატურალური მეურნეობა, მონური შრომის ორგანიზაცია, როგორც ქვეყნის ეკონომიკური სიმდიდრის წყარო, მაგრამ მხოლოდ მონების უმკაცრესი დაქვემდებარების პირობებში.

საყურადღებოა, მონათმფლობელური რომის პოლიტიკური კრიზისის ეპოქის ცნობილი წარმომადგენლის, მარკუს ტულუს ციცერონის (104–43) შეხედულებები. ეს უდიდესი ფარისეველი და უდიდესი ჰუმანისტიც, ერთსა და იმავე დროს (როგორც მას თანამედროვენი უწოდებენ), ბერძნულ ფილოსოფიაში, სამართალსა და საერთოდ ბერძნულ აზროვნებაში განსწავლული, საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს ეკონომიკური ცხოვრების მრავალ მხარეზე–მიწის საკუთრებაზე, მიწის დამუშავების სარგებლიანობაზე, ეკონომიკური ურთიერთობის ფორმებზე და არაერთხელ გამოსულა სენატში მიწის კანონის იურიდიულ შემფასებლად, თუმცა შრომასთან დაკავშირებული სოციალურ–ეკონომიკური მოვლენები მისი მახვილი ყურადღების გარეშე დარჩა.

შრომისა და შრომის ორგანიზაციის საკითხებზე ორიგინალური მოსაზრებები გამოთქვა ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის მწერალმა და აგრონომმა კოლუმელამ. მისი 12-წიგნიანი ნაშრომი “სოფლის მეურნეობის შესახებ” მონური შრომის დაბალი ნაყოფიერების ერთ–ერთი პირველი ამლიარებელია. მან ყურადღება მიაქცია მონათა გამრავლების წახალისების აუცილებლობას, პრინციპულად დასვა მრავალშვილიანი მონა დედების ჯერ შრომიდან, ხოლო შემდეგ მონობიდან გათავისუფლების საკითხი. კოლუმელა უპირატესობას თავისუფალ მიწათმოქმედთა შრომას ანიჭებდა. კოლონიური ექსპლუატაციის ძველ ფორმას იგი ახლით ცვლიდა, მაგრამ საგრძნობლად ამსუბუქებდა, რაც გამონაკლისი შემთხვევა იყო მისი თანამედროვე და მომდევნო ხანის მოაზროვნეთა შეხედულებებში. ამ მხრივ მას, უსათუოდ, პირველობა ეკუთვნის და პროგრესული მიმართულების სათავესთან დგას.

ძველი რომის განვითარების თითოეულ ეტაპზე საზოგადოებრივ–ეკონომიკურ ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებები, ამავე დროს, იწვევდნენ ცვლილებებს ეკონომიკური აზრის განვითარებასა და ადამიანურ შრომაზე წარმოდგენებში. ავტორთა გარკვეული ნაწილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მონური შრომის მიზანმიმართულ გამოყენებას უზარმაზარი იმპერიის მთელს სამეურნეო სისტემაში. ამ მხრივ, ყურადღებას იმსახურებს ფილოსოფოსების, სენეკასა და ლუკრეციუსის, შეხედულებები. ანტიკურ მოაზროვნეთაგან, კერძოდ არისტოტელესაგან განსხვავებით ისინი აშკარად აღიარებდნენ ადამიანთა ბუნებრივ თანასწორობას. უთანასწორობას საზოგადოებრივ ურთიერთობათა შედეგად თვლიდნენ. თუმცა აქედან,

ამ საკითხში, თანმიმდევრული და პირდაპირი აქცენტი მათ შეხედულებებში არ ჩანს.

თავის განთქმულ წიგნში, “საგანთა ბუნებისათვის,” კარი ლუკრეციუსი საზოგადოებრივ განვითარებას წარმოადგენს უწყვეტ პროცესად, ხოლო პირველყოფილ საზოგადოებას გამორიცხავს ბერძნული გაგების ”ოქროს საუკუნიდან”. მთავარი საამისო არგუმენტი, მისი აზრით, არის იმ ეპოქის ადამიანის ცხოველთა დონეზე ცხოვრების ფაქტი. შრომის იარაღების დამზადებასა და გამოყენებაზე გადასვლას ემთხვევა ადამიანთა ცხოველთა სამყაროსაგან გამოყოფა, რამაც მათ ბუნებაზე უპირატესობის მოპოვების საშუალება მისცა. კიდევ უფრო მეტიც, კაცობრიობის ცივილიზაციის დასაწყისი არსებითად ამ პროცესთანაა დაკავშირებული. ტიციანუს ლუკრეციუს კარუს ეს შეხედულება ყურადღებას იმსახურებს იმ მხრივ, რომ იგი სწორად მიუთითებს კაცობრიობის განვითარების იმ გზაზე, რომელმაც ფართო ასპარეზი გაუხსნა **სამეურნეო-ეკონომიკურ და შემოქმედებით საქმიანობას** და მომდევნო საუკუნეებში, ხელი შეუწყო არსებული სინამდვილის რადიკალურად შეცვლას.

ვიდრე “სოციალური ჯგუფის მიერ მართვის” უპირატესობას აღიარებდა “მართვის ინდივიდუალურ ფუნქციასთან” შედარებით, საიდანაც შრომის სოციოლოგია”, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, იწყებს თავის არსებობას, კაცობრიობის აზროვნებამ დიდი და ძნელი გზა გაიარა. შინაგან და გარეგან ძალთა დაუნდობელი ჭიდილის მიუხედავად, ძველმა ლიტერატურულმა წყაროებმა ჩვენს დრომდე მაინც მოიტანეს ამის დამადასტურებელი არაერთი საინტერესო საბუთი, შემდეგ დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევების საფუძველად რომ იქცა ძველი აღმოსავლეთისა და საბერძნეთ-რომის აზროვნების წესის შესახებ.

პოლიტიკურ, სამართლებრივ და ფილოსოფიურ მიმართულებებზე აქცენტირებული ეს აზროვნება ასეთივე სისრულით ვერ აღიქვამდა ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენებს, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველს, რის გამოც ისინი განსხვავებულ სააზროვნო სივრცეში “იკარგებოდნენ,” მაგრამ მაინც ვერ შესძლო მათთვის გვერდის ავლა იმის გამო, რომ სწორედ ეკონომიკური ცხოვრების ფორმებში იყო საძებნი ის, რაც ადამიანის სოციალურ აქტივობას აძლევდა იმპულსს და რაც მისი დამოუკიდებლობის საფუძველად უნდა ქცეულიყო.

მიუხედავად ამის სრული სახით გაუაზრებლობისა, მაინც დიდ ინტერესს იწვევს ძველი სამყაროს ქვეყნებში არსებული შეხედულებები შრომისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, რომლებმაც, გარკვეული აზრით, ბიძგი მისცა აზროვნებას შრომის სოციოლოგიურ გაგებადღე მისაყვანად.

**Некоторые аспекты социологии труда в древневосточных
и античных взглядах**

Р е з ю м е

На древнем Востоке, в античной Греции и в Риме имелись определенные представления о труде и его организации, но труд как основа человеческой социальной активности пока не был соответственно осмыслен. Причины этого обстоятельства, наряду со специфическими экономическими и политическими условиями античных стран, необходимо также искать в различных формах культуры и мышления. Несмотря на это, все-таки существующие в Древнем мире идеи о труде и его значении заслуживают большого внимания.

Kote Glonti

**Some aspects of Sociology of the Labour According to
Ancient East and Antiquity Ideas**

Summary

Definite ideas about the Labour was spread in Ancient East and Antiquity, but the Labour as the basis of human social activity was not yet correspondingly comprehended.

The cause of this circumstance along with the specific economic and political conditions of the anicient countries it is necessary to search in the different forms of culture and thinking. In spite of that the ideas about the Labour and its significance existed in Ancient World are worfhy of attention.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Данило Маркович, Социология труда, М., 1988, с.120.
2. Чангли, Труд.М., 1973, с.9.
3. К.Маркс и Ф.Энгельс, Сочинения, т.1, М., 1955, с.422; Данило Маркович, Социология труда, М., 1988, с.119.
4. კმარქსი და ფენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბ., 1950, გვ.386-387.
5. Рубинштейн, Поручение Гераклопольского царя своему сыну, «Вестник древней истории», №2, 1950, с.130.
6. იდოლიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960, გვ. 25-26.
7. ვაბაშაძე, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, I, თბ., 1975, გვ. 127.
8. ვაბაშაძე, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, I, თბ., 1975, გვ. 157.
9. Древнекитайская философия, М., 1972, с.196-197.
10. მკოგიბერიძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. III, თბ., 1972, გვ. 131.

11. Платон, Сочинения, т.3, М., 1971, с.151; კმარქსი, კაპიტალი, ტ.1, თბ., 1954, გვ. 465-466.
12. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.10, 1986, გვ. 562.
13. კმარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 80-81.
14. კმარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 108,517; ვაბაშვიძე, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, II, თბ., 1977, გვ. 297.

გურამ ჩაგანავა

ცნობიერების პრობლემა აპროპრიაციის ფსიქოლოგიის საფუძველზე

ცნობიერების ფორმირება უკავშირდება ადამიანის განვითარების ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს (Шаффер Д. 2003, 110). ფსიქიკურ განვითარებაში გენეტიკურ ფაქტორებზე მიუთითებს ფსიქოგენეტიკა (Равич-Щербо И. В. и др. 2006, 5) და განვითარების ეთოლოგიური (ანუ ევოლუციური) თეორია (Шаффер Д. 2003, 93-101).

ცნობიერების პრობლემა მიეკუთვნება რთულ და არასაკმარისად ცხად პრობლემათა რიგს (Бассин Ф.В.1968, 124). ს.ლ. რუბინშტეინის მიხედვით ცნობიერება სუბიექტის მიერ ობიექტური რეალობის გაცნობიერებაა, რაც რეალობის მიმართ გარკვეულ დამოკიდებულებას ასახავს. ცნობიერება, ერთის მხრივ, ყოფიერების ასახვაა, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის საქმიანობის რეგულატორის ფუნქციის შემსრულებელია (Бассин Ф.В.1968, 128-129). **ცნობიერება** გვაძლევს საშუალებას **გაგაკონტროლოდ** ჩვენი მდგომარეობა (Майерс Д. 2001, 284). აქ უფრო მეტად ცნობიერების ფუნქციაზე და არა სტრუქტურაზეა მითითება, მაგრამ ორივე შემთხვევაში ცნობიერების არსი ყურადღების მიღმა რჩება.

გ.პ. ზინჩენკო **თვითცნობიერებასთან** დაკავშირებულ **ცნობიერების** სტრუქტურაში ორ ფენას გამოყოფს: **ყოფითი ცნობიერება** (მოძრაობათა თვისებები, გამოცდილება, გრძნობითი ხატები); **რეფლექტური ცნობიერება** (მნიშვნელობა, აზრი) (Столяренко Л.Д. 1999, 229-273). აქ აქცენტი კარგად განხორციელებულ ცნობიერების სპეციფიკურობაზე კეთდება, რაც მასში გარემოსი თუ საქმიანობის თავისებურებების ასახვასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ცნობიერების არსის დადგენაში ეს ყველაფერი ნაკლებ მნიშვნელოვანია. ცნობიერების ეპიცენტრად **საკუთარ “მე”-ს** თვლიან. **ცნობიერების ფუნქციებად** კი **მიჩნეულია: ასახვა, წარმოქმნადობა, მარეგულირებულობა-შეფასებობა, რეფლექსურობა** (Столяренко Л.Д. 1999, 229-273). ცნობიერების მოყვანილი სტრუქტურა და ფუნქციები კარგი დეტალიზების მიუხედავად ცნობიერ მოვლენათა უბრალო აღწერაა და ფსიქიკურ მოვლენებისათვის დამახასიათებელი დინამიზმი აკლია. ცნობიერება კი აბსტრაქტული კონსტრუქტი არ არის. ის რეალური ადამიანის ფსიქიკის სპეციფიკური მდგომარეობაა.

ცნობიერებაში, როგორც მეცნიერულ კონსტრუქტში (Солсо Р.2006,168-194) შეიძლება მითითებული იქნეს ცნობიერებისა და ქვეცნობიერების მთელი რიგი შეპირისპირებული პოლარობები, რომელთა

ნაწილი დაკავშირებულია ცნობიერებასთან და ნაწილი კი ქვეცნობიერებასთან (Солсо P.2006,168-194). უცნობი რჩება, თუ როგორ არის ეს პოლარობები გაერთიანებული ცნობიერებაში.

ცნობიერების მეცნიერული შესწავლის კონცეპტუალურ საფუძვლად პინკერის მიხედვით გამოყოფენ სამ კატეგორიას; **ცნობიერება როგორც მგრძნობელობა, ცნობიერება, როგორც ინფორმაციისადმი დაშვებადობა, თვითცნობიერება როგორც “ნედლი” შეგრძნებების ერთობლიობა** (Солсо P.2006,168-194). **ცნობიერება შეზღუდული გამტარუნარიანობით** ხასიათდება (Солсо P.2006,168-194). **ცნობიერებას სიახლისა და პროექტორიული მეტაფორულობა** ახასიათებს, **ცნობიერება ინტეგრაციის მეტაფორასთან** ანუ ბნელ დარბაზში მკვეთრად, კაშკაშად განათებულ სცენასთან გაიგივდება (Солсо P.2006,168-194). უეჭველად კარგად განხორციელებულ ანალიზთან გვაქვს საქმე, მაგრამ აქ უფრო მეტად საუბარია, თუ როგორ მოქმედებს ცნობიერება გარეშე დამკვირვებლის თვალსაზრისით და არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა არის ცნობიერება.

ცნობიერების თანამედროვე თეორიებში (Солсо P.2006,168-194) გამოიყოფა **შაკტერის ცალკეულ ურთიერთქმედებათა და ცნობიერი გამოცდილების მოდელი (Dissociable Interactions and Conscious Experience – DICE)**. **DICE –ს მოდელის** ძირითადი იდეა იმაშია, რომ პროცესები, რომლებიც განაპირობებენ ცნობიერ იდენტიფიკაციასა და ცნობას მკაცრად უნდა იყოს გამოყოფილი მოდულური სისტემებისაგან, რომლებსაც საქმე აქვთ ლინგვისტურ, პერცეპტულ და სხვა სახის ინფორმაციასთან (Солсо P.2006,168-194). **DICE –ს მოდელი** გულისხმობს ცნობიერების ისეთ ძირითად როლს, როდესაც თავისუფალი მოქმედება განპირობებულია ცენტრალური “ადმინისტრატორის” კონტროლით. მაგრამ ამ უნარის დეტალები არ არის ბოლომდე ნათელი და არ არის აგრეთვე აღწერილი ცნობიერების სხვა შესაძლებელი ფუნქციები (Солсо P.2006,168-194).

საყურადღებოა ბაარსის საერთო სამუშაო სივრცის თეორია, რომელიც სამ თეორიულ კონსტრუქტს მოიცავს: **პროცესორები-ექსპერტები, საერთო სამუშაო სივრცე, კონტექსტები. საერთო სამუშაო სივრცე** გამოირჩევა იმით, რომ მას შეუძლია განახორციელოს სისტემური ინტეგრაცია და ინფორმაციის გაერცვლება. საერთო სამუშაო სივრცის ცენტრალურ ნაწილს (წრეს) იკავებს **ცნობიერი გამოცდილება**, მომდევნო წრე დაკავებული აქვს მოსახდერე სივრცეს. მუშა მესხიერება ღებულობს შემომსვლელ ინფორმაციას, წარმართავს შინაგან მეტყველებასა და განმეორებას, იყენებს წარმოსახვას სივრცისეული ამოცანების გადასატრელად და იმყოფება ნებისყოფითი კონტროლის ქვეშ (Солсо P.2006,189-190). კონტექსტი, მესამე კონსტრუქტი არის ის ძალა, რომელიც გონების თეატრის სცენის მიღმა იმყოფება. ფუნქციონალურად ეს სტრუქტურები, ზღუდავენ ცნობიერ შინაარს და თვითონ გაცნობიერებულნი არ არიან. ამრიგად ცნობიერება არის გარე ან და შინაგანი კოგნიტური მოვლენების შესახებ ჩახედულება, ხოლო ცნობიერების ფუნქციები მოიცავენ ინფორმაციის მნიშვნელობის განსაზღვრას, ადაპტაციას, ინფორმაციის პრიორიტეტების დადგენას, მოქმედებათა კონტროლს,

გადაწყვეტილების მიღებას, რედაქტირებას, თვითკონტროლს, შინაგანი ორგანიზაციისა და მოქნილობის მართვას (Cоlaco P.2006,189-193). აქ კარგად არის ჩამოყალიბებული ცნობიერების განმაპირობებელი ფაქტორები, ნაყოფიერია საერთო სამუშაო სივრცის ცნება, მაგრამ ყველა ამ მოვლენის ერთმანეთთან დამაკავშირებელ ფაქტორზე რეალურად არაფერია ნათქვამი და ამიტომ ეს მოდელიც ნაკლებია.

ფსიქოანალიზი მივიდა ყველაზე ახლოს ცნობიერების არსის გაგებამდე. მან მნიშვნელოვანწილად გაიმეორა მითოლოგიაში არსებული შეხედულებები. შუამდინარული მითოლოგიის მიხედვით “ქვესკნელი უქვემოეს ადგილად არის მიჩნეული სამყაროს სამ სკნელს შორის: ზემო მიწა – ცოცხალთა სამყოფელი სადგომი; შუა მიწა-**ენქის** სამფლობელო; ქვემო მიწა – მკვდართა სამყოფელი” (კიკნაძე ზ. 1984, 16). საყურადღებოა ცეცხლის, როგორც სინათლის მომცემის, ცნობიერების სიმბოლური გამოხატულების მითოლოგიური შუა ადგილი. **”ნუსქუ**, ცეცხლის ღმერთის ერთ-ერთი გამოვლინება (შდ. გირუ). **ნ უ ს ქ უ** დაკავშირებულია **ენ ღ ი ღ თ ა ნ**, როგორც მისი ნანდაური და ეს გამოხატულია მის ეპითეტში “ღურანქის ნაშიერი”, საიდანაც ჩანს, რომ მის ჭეშმარიტ ადგილად, ვითარცა სამსხვერპლო ცეცხლისა, წარმოდგენილია სამყაროს შუაგული..... ამ მითოლოგიისა და მისი ფიზიკური მოქმედების ძალით **გ.** მიჩნეულია ცისა და მიწის შემაკავშირებლად (ცეცხლის ალის ვერტიკალიზმი), რისი კერძო გამოვლენაა მისი როლი შუამავლის მსხვერპლ-შეწირვის დროს კაცობრივ და ღვთაებრივ სამყაროებს შორის” (კიკნაძე ზ. 1984, 47).

ფსიქოანალიზი ცნობიერს განიხილავს ფსიქიკურის თვისებად, რომელიც შეიძლება მიუერთდეს ან არ მიუერთდეს მის სხვა თვისებებს (ფროიდი ზ. 2007, 457). ”გამოცდილება გვიჩვენებს, – ამბობს ფროიდი – რომ ფსიქიკური ელემენტი, მაგალითად წარმოდგენა, ჩვეულებრივ დიდხანს არ შეიძლება ყოფილიყო ცნობიერი..... როგორი შეიძლება იყოს ის შუალედურ პერიოდში – ჩვენ არ ვიცით; შეიძლება ვთქვათ რომ ის იყო ლატენტურ მდგომარეობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ნებისმიერ დროს შეიძლება ცნობიერი გამხდარიყო (ფროიდი ზ. 2007, 458). არაცნობიერის ცნება მიიღება განდევნის მოძღვრებისაგან.... არის არაცნობიერის ორი სახეობა, ლატენტური, რომელიც შეიძლება გახდეს ცნობიერი და განდევნილი, რომელიც არ შეიძლება გახდეს ცნობიერი (ფროიდი ზ. 2007, 459).....ლატენტურ არაცნობიერს, რომელიც არაცნობიერია მხოლოდ აღწერილობით და არა დინამიური თვალსაზრისით, ეწოდება “წინაცნობიერი,” “არაცნობიერის” ტერმინი გამოიყენება მხოლოდ განდევნილ დინამიური არაცნობიერის აღსანიშნავად. ამრიგად გვაქვს სამი ტერმინი “**ცნობიერი**,” “**წინაცნობიერი**,” და “**არაცნობიერი**”. ზ.ფროიდს შემოტანილი აქვს “**ზე-მე**”-ს ცნება, რომელსაც მისი აზრით შეიძლება “**მე-იდეალი**” ეუწოდოთ.

ამ ტერმინების აპროპრიაციის ფსიქოლოგიის პოზიციებიდან გაანალიზება, ფიზიკური სივრცის ფენომენოლოგიურ აღწერილობას გვაძლევს. “**ზე-მე**” უთუოდ “**ქვე-მე**”-ს არსებობას გულისხმობს და ამგვარად შესაძლებელია ვერტიკალურ ხაზთან ანუ სიმაღლესთან

ფსიქოლოგიური ღირებულების იდენტიფიკაცია. თუ ზ. ფროიდის მიერ არაცნობიერისა და ცნობიერების მიმართებებს დავაკვირდებით მაშინ არაცნობიერი ანუ ზ. ფროიდის მიხედვით “ის” ძირითადად, “ქვე-მე”-ს უნდა შეესატყვისებოდეს (ქვეცნობიერი), თუმცა ზ. ფროიდი ამტკიცებს, რომ “ზე-მე”-ც შეიძლება არაცნობიერი იყოს (ფროიდი ზ. 2007, 477). ზ.ფროიდის მოცემულობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს “წინაცნობიერი”, რაც ზემოთ განხორციელებული ინტერპრეტაციის ანალოგიურად უთუოდ გულისხმობს “უკუ-მე”-ს არსებობას, რაც შეიძლება ფიზიკურ, პერსპექტიულ, სივრცის განზომილებასთან გაიგივდეს და ფსიქოლოგიურად სიახლოვე – დაშორებულობის ეკვივალენტად მივიჩნიოთ. ასეთი ფსიქიკური ეკვივალენტი წარსულთან (“უკუ-მე”-), აწმოსთან (“ცნობიერი”) და მომავალთან (“წინაცნობიერი”) შეიძლება გაიგივდეს.

ასეთი ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოდ, რომ ზ. ფროიდის მიერ ცნობიერისა და არაცნობიერის სტრუქტურირება ყველაზე უფრო მოქნილია და ფიზიკური დროისა და სივრცის ფენომენოლოგიურად ამსახველია. ასეთი სტრუქტურა ძალიან წააგავს სამ სკნელს. ადვილი შესამჩნევია, რომ ჩვენს მიერ ინტერპრეტირებულ ზ.ფროიდის ცნობიერებისა და არაცნობიერების მიმართებებში ადვილი არა აქვს ფიზიკური სივრცის განედურ განზომილებას და მის ფენომენოლოგიურ ეკვივალენტს, რაც აპროპრიაციის ფსიქოლოგიის მიხედვით ფენომენოლოგიურად გაიგივებული უნდა იყოს კუთვნილებასთან, საკუთრებასთან, რადგან ფიზიკური განედური ხაზი ცოცხალ არსებათა შორის და განსაკუთრებით ადამიანთა შორის საზღვრის დამდებ, შემზღუდავ, მადიფერენცირებელ და საკუთარი ნების (თვითნებობის) თავისუფლად განხორციელების სივრცის აღმნიშვნელად გვევლინება (ჩაგანავა გ. 1995; ჩაგანავა გ. 2001, 168-196). კუთვნილების, საკუთრების ეკვივალენტი ამავე დროს ყველა სხვა ფიზიკური განზომილების ფენომენოლოგიუბის საფუძველი უნდა იყოს, რადგან ყველა მიმართულება დაკავშირებულია დაუფლებულობის აუცილებლობასთან. ფროიდი მის ნაწერებში არა ერთხელ საუბრობს კუთვნილებაზე, მაგრამ მას ეს განცდა, მდგომარეობა თუ ღტოლვა არასდროს გაუხდია მსჯელობის საგნად.

საყურადღებოა, რომ დ.უზნაძე აგრეთვე არა ერთხელ ხაზს უსვამს კუთვნილების ფაქტს, მაგრამ **კუთვნილება** იმდენად “ჩვეულებრივ” მოვლენად მიაჩნია, რომ საჭიროდ არ თვლის მასზე ყურადღების შეჩერებას. დ.უზნაძის მიხედვით ე. ჰუსერლი სამ ძირითად მნიშვნელობას ადასტურებს, რომლითაც, ჩვეულებრივ, ცნობიერების ცნება იხმარება.... თითოეული განცდა,.... მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ცნობიერების ფაქტად ჩაითვალოს, თუ იგი დანარჩენ განცდათა ერთობლიობის ბაღეში შედის;..... წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა, იგი ვისამე განცდად ჩაგვეთვალა. მე რომ სიამოვნებას ვგრძნობ, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს გრძნობა ჩემია, ე.ი. ჩემს დანარჩენ განცდათა მთლიანობას ერთვის და მის თავისებურ ნაწილად ან მომენტად მვევლინება.....ადამიანის სულიერ ფენომენთა ან განცდათა მთელი ერთობლიობა უეჭველს განუყრელ კავშირში იმყოფება ურთიერთთან და ამდენად იგი რთულ **მთლიანს** წარმოადგენს,.....ადამიანის სულიერი ცხოვრების ამ თავისებურებას, ამ

მათს მთლიანობასა და ერთიანობას ყველაზე უფრო ხშირად ცნობიერებას უწოდებენ..... ცნობიერება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენი განცდების შესახებ ერთგვარი უშუალო ცოდნა გვაქვს.....მათ ჩვენი შინაგანი აღქმის საგნად ვაქცევთ. ცნობიერება ამ შინაგანად აღქმულ განცდათა ერთობლიობას წარმოადგენს”(უზნაძე დ. 1925, 124-125).

ჩვენთვის საყურადღებოა დ. უზნაძის შემდეგი მოსაზრება: ჩემი გრძნობა არა მარტო გრძნობაა, არამედ იგი თვით შეიცავს რაღაც-ნაირად იმ მთლიანსაც, რომელშიც სხვა განცდებთან ერთად თვითონაც შედის.....ყოველ აზრსა და მისწრაფებას აუცილებლად თან ახლავს განცდა, რომ იგი აი ამ მომენტში ჩემ მიერ განიცდება, რომ იგი ჩემი განცდაა (უზნაძე დ. 1925, 151). აქ შინაარსის მიხედვით, რეალურად დ. უზნაძე მიუთითებს იმაზე, რომ ცნობიერება კუთვნილების ტენდენციასთან არის დაკავშირებული, თუმცა ასეთი მოსაზრება მას არა აქვს სტრუქტურულად იდენტიფიცირებული და დიფერენცირებული.

ნაშრომში “ანრი ბერგსონი” დ.უზნაძე წერს: “ადამიანის დამახასიათებელი თვისება ინტელექტია.....ინტელექტი იარაღის წარმოების ორგანო არ იქნებოდა, მას რომ ყოველ გარეგან ზემოქმედებაზე უშუალო რეაქციის სახით პირდაპირი პასუხის გაცემა შეძლებოდა. პირიქით, ფაქტიური რეაქცია, უშუალო ზემოქმედება, ყველგან შეჩერებულია, სადაც საუკეთესო მოქმედების იარაღი ჯერ კიდევ გამოსაგონებელია. იქ კი, “სადაც არსებობს მრავალი ერთნაირად შესაძლო მოქმედება, ხოლო არც ერთი ფაქტიური, იქ ცნობიერება ინტენსიურია.” ამგვარად ინტელექტი, თავისი არსებით, ცნობიერია (უზნაძე დ. 1986, 34). აქ ჩვენთვის საყურადღებოა, “**ფაქტიური რეაქციის, უშუალო ზემოქმედების**” შეჩერების შესაძლებლობა, რაც ფსიქიკური პროცესების ისეთ მდგომარეობას გულისხმობს, როდესაც ისინი თავისთავად, შედარებით დამოუკიდებლად, მიზანშეწონილად კი არ მოქმედებენ, არამედ ერთ მიზანს ექვემდებარებიან, რაც პიროვნების მიერ მათი გაკონტროლების, მისი ნებისადმი დამორჩილებაში ანუ ძირითადად შინაგანი ფსიქიკური მდგომარეობის დაუფლვებულობა-აპროპრიაციაში გამოიხატება.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ ინტელექტის “მეორე თვისებაც, რომელიც ინტელექტის შემეცნებას ახასიათებს და აგრეთვე მისი მთავარი ფუნქციის ბუნებიდან გამომდინარეობს” არის ის რომ ადამიანის ინტელექტი არაორგანულს, ხელოვნურ იარაღს აწარმოებს, ეს იმიტომ ხდება, რომ მას სწადია, ცხოვრების ყოველგვარ პირობაზე ისეთი ზეგავლენა მოახდინოს, რომ მისგან მაქსიმალური სარგებელი მიიღოს”(უზნაძე დ. 1986, 35). **მაქსიმალური სარგებელის მიღება კი სხვა არაფერია გარდა იმისა, თუ არა საკუთარი ნების გავრცელების შესაძლებლობასთან გაიგივება და გარემოს რაღაც ნაწილის ჩვენდამი დამორჩილება, დაქვემდებარება, დაუფლება-აპროპრიაცია.**

ინტელექტი, როგორც ცნობიერების ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, ერთმანეთთან აერთიანებს ადამიანის პიროვნებისადმი დამორჩილებულ (აპროპრიერებულ) შინაგან ფსიქიკურ პროცესებს და გარე სინამდვილის ფენომენოლოგიზებულ (აპ-

როპრიერებულ) ნაწილებს, რაც ერთიანობაში ზოგადად ცნობიერებასთან გაიგივდება. ამავე დროს ინტელექტიც სხვა არაფერია, თუ არა დაუფლების (აპროპრიაციის) მაღალგანვითარებული სახეობა.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობიერება მართლაც განცდათა მთლიან ერთობლიობას უნდა წარმოადგენდეს, ამ ერთობლიობის განმაპირობებელი ფაქტორი არ ჩანს არც ერთ ზემოთ მოტანილ ცნობიერების განსაზღვრებაში და ფსიქიკურ განცდათა ერთობლიობის უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებად ჩვენ კუთვნილების ანუ აპროპრიაციის ტენდენცია მიგვაჩნია.

ამრიგად, ცნობიერების სტრუქტურის დადგენისას აუცილებელია როგორც შინაგანი ფსიქოლოგიური განცდების, ისე ადამიანთა საზოგადოებაში წარმოქმნილი ფსიქიკურ განცდათა გათვალისწინება, რომელთა ინტერპრეტაციას ჩვენ აპროპრიაციის ფსიქოლოგიის (ჩაგანავა გ. 1995) საფუძველზე ვცდილობთ განვახორციელოთ. ჩვენ შემოთავაზებული გვაქვს განწყობის ზოგადფსიქოლოგიური მოდელის სტრუქტურის აპროპრიაციული პარამეტრების ცნება, რომლის მიხედვით, სივრცის სამი განზომილებიდან ვერტიკალური ანუ სიმაღლის განზომილება გაიგივებულია ღირებულებასთან, პერსპექტიული, სიგრძის განზომილება სიახლოვე-დაშორებულობასთან, ხოლო განედური განზომილება ანუ ჰორიზონტალური ხაზი გაიგივდება საკუთრებასთან. ადამიანთა შორის განედური ხაზი უთუოდ საზღვრის განმაპირობებელია, რაც ცალკეული პიროვნების თავისუფლად ზემოქმედების, უფრო მეტიც თვითნებობის სივრცის შემოფარგვლის მაჩვენებელია (ჩაგანავა გ. 2001, 182). ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ზემოთ მითითებული პარამეტრული გაიგივება გარკვეული პირობითობით ხასიათდება, რადგან, როდესაც ექსპერიმენტულ პირობებში ცდისპირი საკუთარ თავს აყენებდა ვერტიკალური (სიმაღლის განზომილება – ღირებულებასთან გაიგივებული), ჰორიზონტალური (განედური განზომილება – საკუთრებასთან გაიგივებული) და პერსპექტიული, პერპენდიკულარული (სიგრძე – სიახლოვე – დაშორებულობასთან გაიგივებული) ხაზების გადაკვეთაში, ხოლო ზემოთ მითითებულ ხაზებზე უნდა განელაგებინა მისთვის მეტნაკლებად ახლობელი ადამიანები – დედა, მამა, ძმა, და, ბებია, სხვა ნათესავები, ნაცნობ- მეგობრები, შვილი და ა.შ., კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატავად კოორდინატთა სისტემის ცენტრში პირობითად მოთავსებული ცდისპირი, სივრცის ყველა მიმართულებით ადამიანებს სიახლოვე – დაშორებულობის მიხედვით განალაგებს უპირველეს ყოვლისა, რადგან აქ დომინანტური დამოკიდებულება ზუსტად სიახლოვე – დაშორებულობაა და ამიტომ ცენტრში “მოთავსებული” ცდისპირის ირგვლივ იყრის თავს მისი ახლობლები, ხოლო ვერტიკალური ხაზის ღირებულებასთან გაიგივება უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდება ისევე, როგორც განედური ხაზის საკუთრებასთან გაიგივება. სინამდვილეში, როგორც ამას უ. ჯეიმსი ამბობდა ჩემს მე–ში შედის ახლობლების წრე და სხვა მრავალი რამ. ასე რომ აქაც ჩვეულებრივ კუთვნილების ტენდენციის გამოვლენის შემთხვევებთან გვაქვს საქმე.

კარგად არის ცნობილი, რომ ახალშობილობის ასაკში, რომელიც დაბადებიდან 1-2 თვემდე გრძელდება (პეტროვსკი ა. ვ. 1977, 45) ზოგიერთი ინსტინქტი და უპირობო რეფლექსი არის შენარჩუნებული (უზნაძე დ. 1967, 47-74; მუხინა ვ. ს. 1989, 65-70), რომლებიც “არ შეადგენს ფსიქიკური განვითარების საფუძველს-ისინი მხოლოდ უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლეს” (მუხინა ვ. ს. 1989, 65-70). მათი ნაწილისათვის მაგალითად, ჩაჭიდებისა და სოხვის “რეფლექსებისათვის დამახასიათებელი მოძრაობები შემდგომში ქრება” (მუხინა ვ. ს. 1989, 65-70). ასეთი “გაქრობა” მათი უფუნქციობით არის გამოწვეული, მაგალითად, წოვის რეფლექსისაგან განსხვავებით. ბავშვის ორგანიზმი ამ რეფლექსების ასამოქმედებლად არ არის მზად, როგორც ეს ადამიანის ცხოველურ წინაპარს ახასიათებდა. ახალშობილი ბავშვი ფიზიკურად ძალიან სუსტია, ის დედაზეა დამოკიდებული. ჩვეულებრივ დედას აქვს საშუალება დიდი ხნის განმავლობაში მოუაროს ჩვილ ბავშვს და ამიტომ ბავშვს არც კი სჭირდება უპირობო რეფლექსების საფუძველზე მოძრაობების განხორციელება. დედისეული მოვლის შესაძლებლობა, უზრუნველყოფილი ოჯახი (საზოგადოება) აკომპენსირებს მოძრაობითი რეფლექსების უფუნქციობას, ახანგრძლივებს ბავშვის უსუსურობას, როდესაც მოძრაობითი რეფლექსების ფუნქციონირება უბრალოდ შეუძლებელია მთლიანად ორგანიზმის კუნთოვანი სისტემის განუვითარებულობის გამო. თვითონ ბავშვის ფიზიკური განუვითარებლობა, მისი სისუსტე, კუნთოვანი სისტემის ჩამოუყალიბებლობა, ბავშვის უსუსურობა აბლოკირებს მოძრაობით და სხვა ინსტინქტების ამოქმედებას. ფილოგენეტიკურად, როდესაც ადამიანის წინაპრების განვითარებაში დედებს ოჯახური (თუ ტომის) დახმარების საფუძველზე შესაძლებლობა მიეცათ უფრო მეტად მოველოთ ახალშობილი ბავშვებისათვის, ზემოთ გამოთქმული მოსაზრებების შესაბამისად, ბავშვი უფრო მეტად მომვლელის მხრიდან (ოჯახიდან ან საზოგადოებიდან) მომდინარე ზემოქმედებას დაექვემდებარა ვიდრე გენეტიკურად განპირობებულ გარემოსთან ურთიერთობების განმსაზღვრელ უპირობო რეფლექსებს. ჯერ კიდევ ცხოველთა საზოგადოებრივი სტილის უპირატესობად ითვლება ის, რომ საზოგადოებაში, ჯგუფში მალდება ჩვილების სიცოცხლის შენარჩუნების ხარისხი (Дьюснери Д. 1981, 352). დ. უზნაძე ახალშობილობის პერიოდს “ობიექტური სინამდვილის ცნობიერების დასაწყისად” მიიჩნევს (უზნაძე დ. 1967, 78). ამ პერიოდში ბიოლოგიური არსება სოციალურ არსებად გარდაქმნას იწყებს. ბავშვის უსაფრთხოება დაბადებიდანვე უზრუნველყოფილია და ის მუდმივი ყურადღების ცენტრშია (Мид М. 1988, 178-179). ბავშვის ახლობლები მის დაბადებამდე ზრუნავენ ჩაცმულობაზე (Мид М. 1988, 99). ბავშვის უსაფრთხოებაზე, მოვლაზე და მისთვის შედარებით კომფორტული პირობების უზრუნველყოფაზე თავიდანვე ორიენტირებულია ბავშვის ახლობლები. ჩვილების მაგრად სახეებში მოთავსებაც მზრუნველობის გამოხატულებაა (Байур Т. 1979, 169).

ახალშობილობის პერიოდში ბავშვის ახლობლების საქმიანობა მიმართულია, მაქსიმალურად, ბავშვის გარემოსაგან **განსარიდებლად**, ბავშვის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. ბავშვისადმი მზრუნველობა ერთგვარ ბარიერს უქმნის ინსტინქტებსა და უპირობო რეფ-

ლექსებს, რომლებიც კონტაქტში ვერ შედიან მათ ბუნებრივ აღმძვრე-
 ლებთან და გამოვლენის საშუალებას კარგავენ, ჩლუნგდებიან და
 ქრებიან. ამ თვალსაზრისით ბავშვის მჭიდროდ შეკვრა აგრეთვე
 ერთ-ერთი საშუალებაა გარემოზე ორიენტირებული ინსტინქტების
 დასაძლევად, რადგან ინსტინქტებს აქტიობის საშუალება არ ეძლე-
 ვათ და გზა ეხსნება სოციალურ ზემოქმედებას. ჩვეულებრივ ახალ-
 დაბადებული ბიოლოგიური არსება უშუალოდ, მთელი სხეულით გა-
 ნიცდის გარე გამღიზიანებლების ზემოქმედებას და თავიდანვე იქმნე-
 ბა კეთილგანწყობილი პირობები გარემოსთან ურთიერთობაზე ორი-
 ენტირებული გენეტიკური რეფლექსების აქტუალიზაციისათვის. ასე-
 თი ბიოლოგიური არსების გარემოსთან ურთიერთობები მნიშვნე-
 ლოვანწილად განპირობებულია შეხების შეგრძნებებით, რომელთა
 გარეშე შეუძლებელია გარემოსთან ურთიერთობაზე ორიენტირებული
 რეფლექსების ამოქმედება. ბავშვის ჯანმრთელობის დასაცავად
 ბავშვის სახვევში შეხვევა ანცალკეებს მას ბუნებრივი გარემოსაგან,
 ბლოკირდებიან შეხების შეგრძნებები, ფერხდება გარემოსთან ურთი-
 ერთობაზე ორიენტირებული რეფლექსების გააქტიურება და ბავშვი
 საზოგადოებრივი ზემოქმედებისათვის იხსნება. ეს მდგომარეობა თა-
 ვისთავად წინ წამოწევს **მხედველობისა და სმენის შეგრძნებებს**,
 რომელთა აქტიურობა, უკვე ახალშობილობის პერიოდში იწვევს მარ-
 ტივი ცნობიერების ფორმირებას- ხდება “მხედველობითი და სმენითი
 კონცენტრაცია” (მუხინა ვ. ს. 1989, 69). უფრო მეტიც ჩვენს მიერ
 ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას განამტკიცებს ის დადასტურებული
 ფაქტი, რომ **“ახალშობილის მნიშვნელოვანი თავისებურება იმაში
 მდგომარეობს, რომ მხედველობისა და სმენის განვითარება უფრო
 სწრაფად ხდება, ვიდრე სხეულის მოძრაობისა”** (მუხინა ვ. ს. 1989,
 69). ასეთი მდგომარეობის მიუხედავად მაინც შეუძლებელი იქნებოდა
 სოციალიზაციის ქცევის განხორციელება ანუ საზოგადოებისაგან
 მომდინარე ზემოქმედებათა შეთვისება თუ ბავშვი არ იქნებოდა ამ
 ზემოქმედებისათვის მომზადებული, შესაბამისად განწყობილი. ეს
 სირთულე შემჩნელი იყო და ამ რთული მდგომარეობიდან გამოსასვ-
 ლელად და ადამიანური ფსიქიკის ჩამოსაყალიბებლად აქცენტს
 უპირობო რეფლექსებზე კი არა არამედ ე. წ. ტაცების ტენდენციაზე
 აკეთებენ. “ბავშვის მოძრაობები, რომლებიც აუცილებელია მისი
 ფსიქიკური განვითარების, გარემოსთან ურთიერთქმედების უნარის
 განვითარებისათვის იწყება არა ჩაჭიდების მოძრაობის, არამედ
 ტაცების საფუძველზე, რომელიც აღმოცენდება თ ი თ ე ბ ი ს გა-
 ღიზიანებით. ჩაჭიდების რეფლექსი უფრო მაღე ქრება, ვიდრე
 ტაცება იჩენს თავს. ხოხვის რეფლექსი ფეხის გულზე დაყრდნობით
 ასევე არ წარმოადგენს ამოსავალს სივრცეში დამოუკიდებლად გა-
 დაადგილების განვითარებისათვის.....ნამდვილი ხოხვა იწყება არა
 ფეხების კვრით, არამედ ხელის მოძრაობებით; ბავშვი მიიწევს
 მიმზიდველი საგნისაკენ, “აბიჯებს” ხელებით და მიდის წინ” (მუხინა
 ვ. ს. 1989, 67-68). დასტურდება ე.წ. **ტაცების ტენდენციის** დიდი
 მნიშვნელობა, რომლის დროს ბავშვი არა მხოლოდ ყველაფრის
 ხელის შეხებას, საკუთარი თავისაკენ მოზიდვას, არამედ აგრეთვე
 პირისაკენ ყველაფრის მომართვას, ნებისმიერი საგნის კბილებით
 მოსინჯვას ცდილობს. კანონიერია შეკითხვა – როგორ შეიძლება

გაჩნდეს **ტაცების ტენდენცია** თუ ის არ არის ინსტინქტური წარმოშობის? სოციალიზაციის მიზნებისათვის ასეთი ტენდენციის აუცილებლობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბიოლოგიურ ორგანიზმში ასეთი აუცილებლობა იქნება გათვალისწინებული. უფრო მეტიც ასეთი რამ არა თუ პრაქტიკულად, არამედ თეორიულადაც კი შეუძლებელია. ადამიანთა წინაპრების გარემოს (თუნდაც ცხოველურ დონეზე სოციალურის) არ შეეძლო ეთამაშა ადამიანური ფსიქიკური თვისებების **“ჩამოყალიბების”** აღმძვრელის როლი, რადგან, ახლაც კი, როდესაც რეალურად არსებობს ძლიერი სოციალური გარემო ის ვერ შესძლებს ასეთი როლის შესრულებას ანუ **ტაცების** მაგვარი **ტენდენციის** გამოწვევას, თუ ცოცხალ არსებაში თავისთავად არ არსებობს ასეთი ტენდენციის წინაპირობები.

“უკანასკნელ წლებში მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ ზოგიერთი რეფლექსური რეაქცია ვლინდება ჯერ კიდევ დაბადებამდე. ასე, მაგალითად, უკვე თერამეტი კვირის შემდეგ ნაყოფს უყალიბდება წოვის რეფლექსი” (მუხინა ვ. ს. 1989, 66). წოვის რეფლექსის ასე ადრეულ ასაკში გამოვლინება იმას ნიშნავს, რომ ის საერთოდ ფილოგენეტიკურად ძალიან ადრე იქნა ჩამოყალიბებული, რადგან კვებითი ორიენტაცია ცოცხალი არსების უმნიშვნელოვანეს დაუფლებით (აპროპრიაციულ) ტენდენციას წარმოადგენს და ამის უარყოფა შეუძლებელია.

უნდა დავასკვნათ, რომ ე.წ. **ტაცების ტენდენცია**, როგორც ყველაფრის განურჩევლად დაუფლების განმახორციელებელი და შთანთქმავი ორიენტირებული, სხვა არაფერია, თუ არა **მთლიანი ზოგადბიოფსიქიკური პირველადი (უმარტივესი) დონის (საფეხურის) აქტიური აპროპრიაციის განწყობა** (ჩაგანავა გ. 2004, 226), რომელიც “ახასიათებს აბსოლუტურად ყველა ცოცხალ არსებას დაწყებული პრიმიტიული ვირუსით და ადამიანით დამთავრებული” (ჩაგანავა გ. 2004, 226). ის “უზრუნველყოფს ცოცხალი არსების მზადყოფნას /მზაობა/ შესაფერის, შესატყვის სიტუაციაში აითვისოს, დაეუფლოს, მიისაკუთროს გარემო ან მისი ნაწილი მოხმარების, გარემოს სივრცის შევსების, მასზე ზემოქმედების, ანდა გარემოში გამრავლების მიზნით” (ჩაგანავა გ.2004,226). ნებისმიერი რეფლექსი (ინსტინქტი) ცოცხალი არსების განვითარების ამა თუ იმ დონის მიუხედავად მაინც მთლიანი ზოგადბიოფსიქიკური განწყობის კერძო გამოვლენაა. ამ უმარტივესი და ამავე დროს უზოგადესი განწყობის მიერ ახალშობილობის პერიოდში უპირობო რეფლექსების ჯერ შესუსტებისა და შემდეგ გაქრობის პროცესში ფსიქიკაში მანიფესტაცია და შემდეგ ტაცების ტენდენციის სახით გამოვლინება სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, რადგან მისი ძირითადი, დიფუზური, არადიფერენცირებული მახასიათებლები დაკარგული კონკრეტული, სპეციფიკური და სპეციალიზებული რეფლექსების მომცველები არიან აგრეთვე და ამიტომ ბუნებრივია, რომ ზოგადი რომელიც მოიცავს კონკრეტულს, კიდევაც ცვლის მას კონკრეტულის გამოვლენის შეფერხებებისა და წარმოქმნილ პირობებში განხორციელების შეუძლებლობის გამო. ტაცების ტენდენცია ჩვილობის პერიოდში ისევე, როგორც “წოვის რეფლექსი” პრენატალურ პერიოდში, ფსევდოკვების ტენდენციად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან პირველი მაშინ

ვლინდება როდესაც ბავშვი დანაყრებულია, ხოლო მეორე (წოვის რეფლექსი) კი მაშინ, როდესაც ნაყოფს სულ არ სჭირდება პერორალური კვება. თავისთავად ის ფაქტიც, რომ დანაყრებული ბავშვი “წინარდება” ე.წ. მატყუარას მეშვეობით და ის აგრძელებს წოვას, როდესაც მას ამისი საჭიროება არა აქვს ნიშნავს, რომ აქაც ფსედოკვების ტენდენციასთან, ანუ ისევ **აქტიური აპროპრიაციის განწყობის** გამოვლენასთან გვაქვს საქმე, რომელიც უპირობო რეფლექსების პარალელურად მოქმედებს და მხოლოდ შემდეგ ენაცვლება მათ.

იმის გამო კი, რომ **აქტიური აპროპრიაციის განწყობა** არ არის სპეციალიზებული და კონკრეტული სივრცისეული ობიექტების ათვისებაზე ორიენტირებული, არამედ ის ზოგადად შთანთქმავს, ხოლო ამ სიტუაციაში ფსევდოშთანთქმავს არის მიმართული (რადგან საკვებს ბავშვი ისედაც ღებულობს), გამოდის, რომ ის განწყობილი ხდება სოციალური ზეგავლენის ასათვისებლად, მის შესაშთანთქმავად, რას კიდევაც უზრუნველყოფს ბავშვის სოციალიზაციას.

ზ. ფროიდი ჩვილობის პერიოდს ე.წ. ორალურ ფაზასთან აიგივებს, რომელსაც ის კანიბალიზტურს უწოდებს. ფილოგენეტიკურად ცნობიერების წარმოშობასა და გარემოსთან ურთიერთობაზე ორიენტირებული უპირობო რეფლექსების გაქრობას თან მოყვა კანიბალიზმის გავრცელება, რომელიც სახეობის შენარჩუნების ინსტინქტის საპირისპირო იყო (ჩაგანავა გ. 2004,31), რადგან ერთი და იგივე სახეობის ცხოველები თითქმის არასდროს ანადგურებენ ერთმანეთს (Лоренц К.З. 1970, 210). კანიბალიზმი ცნობიერების წარმოშობაზე უკუერეკება იყო. უკიდურესი ევოლუციონიზმის წარმოშობა, იმით იყო განპირობებული, რომ ცხოველი გარემოსთან ურთიერთობაში ინსტინქტს ეყრდნობა, პირველყოფილი ადამიანი კი საკმაოდ ხშირად /Наумов Н. П., 1973/ ბრძოლაში იარაღს იყენებდა საყრდენად. მეტოქე პირველყოფილი ადამიანისათვის ჩვეულებრივი ნადავლი იყო”. კანიბალიზმი “საკვებზე მოთხოვნილებიდან კი არა, არამედ ზიზღისა და შურისძიების დაკმაყოფილების მოთხოვნილებიდან უნდა განვითარებულიყო (Щурт Г., 1895; Вундт В., 1910).

ბუნებრივია, რომ ჩვილი ბავშვის უსუსურობა მას შესაძლებლობას არ აძლევს ამგვარი უკიდურესი **აქტიური აპროპრიაციის განწყობის** სრულყოფილად განხორციელებისა, ე.ი. მას არ შეუძლია გარემო სიტუაციის მთლიანი ფიზიკური შთანთქმა. ბავშვისათვის ასეთი უძლიერესი დაუფლებითი ტენდენცია განაპირობებს სოციალური გარემოდან მომდინარე სტიმულების განცდისუფლად, ფსიქოლოგიურად “შთანთქმას” ანუ შეთვისებას. ასეთი შეთვისების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ხდება ამ მისთვის კეთილგანწყობილი სივრცის (სიტუაციის) მიმართ დაუფლების მოთხოვნილების გამოხატვა, რაც კონცენტრირებული ყურადღებით ანუ დიდი ხნის განმავლობაში ჭკრეკით გამოიხატება. ამ მოვლენასთან დაკავშირებით დ. უზნაძე წერს: “ბავშვს ნამდვილი წყურვილი უჩნდება გარედან მომდინარე გამღიზიანებელთა მიმართ და, როდესაც ეს უკანასკნელნი მასზე არ მოქმედებენ, იგი თვითონ იწყებს მათ ძებნას (უზნაძე დ. 1967, 82). “ჩვენი პერიოდის ერთ-ერთს უპირველეს ამოცანას რეცაპტორული ფუნქციების დახმარებით მისი დაუფლება შეადგენს” (უზნაძე დ. 1967, 230).

აქ დ. უზნაძე ამბობს **დაუფლება**, რაც ზუსტად ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. ჭერეტა თავისთავად ამ პერიოდში ვერ გამოიწვევდა გარემოს **დაუფლებას**, რადგან ცოცხალ არსებებს გარემოს დაუფლების ორგვარი საშუალება აქვთ მხოლოდ. პირველი ცხოველური, როდესაც გარემოს დაუფლება მართლაც გარემოს ნაწილის **გაშინაგნებას**, **შთანთქმას** ნიშნავს, ხოლო მეორე საშუალება ადამიანურია, როდესაც გარემო (მისი ნაწილი) ფიზიკურად კი არ შთანთქმება, არამედ ფსიქოლოგიურად, ე.ი. მეტყველების, აზროვნების, ნებისყოფისა და წარმოსახვის საშუალებით ფენომენოლოგიურ სამყაროდ ტრანსფორმირებულ ფიზიკურ სამყაროს აშინაგნებს, ეუფლება ადამიანი. ამ შემთხვევაში კი, რადგან ფსიქიკური ფუნქციები ჯერ არ არიან მომწიფებული, **ჭერეტის** პროცესი ბიოლოგიურად არა აუცილებელ გარემოს ნაწილზე ყურადღების კონცენტრაციაში გამოიხატება, რაც სივრცის მიმართ მოქმედებების შეჩერებასა და მის უმარტივეს შეფასებას, ანუ გაცნობიერებას უზრუნველყოფს.

Гурам Чаганава

Проблема сознания на основе психологии апроприации

Резюме

Формирование сознания естественно связано с проблемой опосредованности развития человека биологическими и социальными факторами. Рассмотрены некоторые современные психологические взгляды по проблеме сознания и психического развития (Шеффер Д., Равич-Щербо И. В., Бассин Ф.В., Майерс Д., Зинченко В.П., Столяренко Л.Д., Фрейд З., Солсо Р., Узнадзе Д., Чаганава Г.) и выдвинута гипотеза по которой интеллект как один из важнейших факторов функционирования сознания объединяет в единое целое подчиненные (апропрированное) личности человека внутренние психические процессы и части феноменологизированной (апропрированной) внешней среды.

Проведен сопоставительный анализ онтогенетического периода созерцания и периода хватания с предполагаемыми периодами в филогенезе, которые гипотетически совпадают с начальным периодом освобождения от инстинктов и формированием простейших форм человеческого сознания.

Guram Chaganava

The Problem of the Consciousness on the Basis of the Psychology of the Appropriation

Summary

The formation of the consciousness naturally is connected with the problem of determination of the development of a man by biological and social factors. It is discussed some modern psychological points of view in connection with the consciousness and the psychic development (Shaffer D. R., Ravich-Sherbo I. V., Bassin f. V., Myers D. G., Zinchenko V. P., Stoliarenko L. D., Freud S., Solso R., Uznadze D., Chaganava G.) and suggested the hypothesis that the intellect as one of the important factor of the functioning of the consciousness consolidating in a singl whole the subordinated (appropriated) to the person of a man the internal psychological processes and the phenomenologied (appropriated) parts of the external surrounding.

It is carried out the comparative analysis of the ontogenetic stage of the contemplation and the period of the “grasping” with the supposed periods in phylogenesis that hypothetically coincide with the initial periods of deliverance from the instinct and the formation of the primitive forms of human consciousness.

ლიტერატურა

1. კიკნაძე ზ. შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი. თბილისი, მეცნიერება, 1984.
2. მუხინა ვ. ს. ბავშვის ფსიქოლოგია. თბილისი, გამომცემლობა განათლება, 1989.
3. პეტროვსკი ა.ვ. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია. თბილისი, გამომცემლობა განათლება, 1977.
4. უზნაძე დ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 1925.
5. უზნაძე დ. შრომები. ტ. V. თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 1967.
6. უზნაძე დ. ფილოსოფიური შრომები. წიგნი მეორე. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1986.
7. ჩაგანავა გ. აპროპრიაციის ფსიქოლოგიის პრობლემები. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი, 1995.
8. ჩაგანავა გ. განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები. ბათუმი, გამომცემლობა აჭარა, 2001.
9. ჩაგანავა გ. ისტორიული და სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები. ბათუმი, გამომცემლობა ბათუმის უნივერსიტეტი, 2004.
10. Бассин Ф.В. Проблема бессознательного (О неосознаваемых формах высшей нервной деятельности). Москва, Медицина, 1968.
11. Бауэр Т. Психическое развитие младенца. Москва, Прогресс, 1979.
12. Дьюсборн Д. Поведение животных: Сравнительные аспекты. Москва, Мир, 1981.
13. Лоренц К. З. Кольцо царя Соломона. Москва, Знание, 1970.
14. Майерс Д. Социальная психология. СПб, Издательский дом Питер, 1999.
15. Мид М. Культура и мир детства. Москва, Наука, 1988.
16. Равич-Щербо И. В. и др. Психогенетика. Москва, Аспект Пресс, 2006.
17. Солсо Р. Когнитивная психология. СПб, Издательский дом Питер, 2006.
18. Столяренко Л.Д. Основы психологии. Ростов-на-Дону, Издательство Феникс, 1999.
19. Фрейд З. Очерки по психологии сексуальности. Минск, Попурри, 2007.
20. Шеффер Д. Дети и подростки: психология развития. СПб, Издательский дом Питер, 2003.

გამომცემლობის დირექტორი: **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი: **ლალი კონცელიძე**
ტექნიკური რედაქტორი: **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 6.05.2008
ქაღალდის ზომა 70X108 1/16
ტირაჟი 120

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, მელიქიშვილის 35